

ვუძღვნი დედის, ქართველი არქეოლოგის
ლამარა (დოდო) სახაროვას ნათელ ხსოვნას

GEORGIAN NATIONAL MUSEUM
Otar Lordkipanidze Centre of Archaeology

NINO SULAVA

THE CAUCASIAN FIBULAE
(Typology, chronology, genesis)

TBILISI
2011



საქართველოს ეროვნული მუზეუმი
ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრი



ნინო სულავა

კავკასიის ფიბულები
(ტიპოლოგია, ქრონოლოგია, გენეზისი)

თბილისი
2011

უაკ (UDC) 902(479)

ს- 922

ნაშრომი პირველი ცდაა მთლიანად კავკასიის ფიბულების კატალოგიზაციის, ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური კლასიფიკაციის, გენეზისისა და არეალური დისტრიბუციის საკითხების კვლევისა. ნაშრომი ორი ნაწილისაგან შედგება: **ნაწილი I.** კავკასიის ერთწილადი რკალისებური ფიბულები, **ნაწილი II.** კავკასიის ორწილადი რკალისებური ფიბულები.

ნაშრომს თან ერთვის კატალოგი, რომელიც მოიცავს ტიპოლოგიურად და ქრონოლოგიურად დალაგებულ 1000-მდე არტეფაქტს (ერთწილად და ორწილად რკალისებურ ფიბულებს, რომელთა უმეტესი ნაწილი კოლხური კულტურის არეალშია), საილუსტრაციო მასალა (სურათები, ტაბულები, რუკები) და მოკლე შინაარსი ინგლისურ ენაზე.

ნაშრომი განკუთვნილია ბრინჯაო-რკინის ხანის კავკასიის არქეოლოგიის საკითხებზე მომუშავე ქართველი და უცხოელი სპეციალისტებისათვის, სტუდენტებისათვის და საქართველოს წარსულით დაინტერესებული მკითხველისათვის.

რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
პროფ. იულონ გაგოშიძე

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
გურამ კვიციანი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
დარეჯან კაჭარავა

ISBN 978-9941-0-3017-8

© ნინო სულავა 2011
NINO SULAVA

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი ს ა გ ა ნ

ქალბატონ ნინო სულავას ეს მონოგრაფია გამიზნულია იმისათვის, რომ სამაგიდო წიგნად იქცეს კავკასიის არქეოლოგიის მკვლევართათვის და ეჭვი არ მეპარება, რომ იქცევა კიდევ.

ამ წიგნის ავტორი წლების განმავლობაში მუშაობდა გერმანიაში და, ალბათ ამიტომ არის, რომ მისი ეს მონოგრაფია, როგორც შინაარსით, ისე სტრუქტურითაც ანალოგიური გერმანული მონოგრაფიების მსგავსია. როგორც გერმანელ არქეოლოგებს სჩვევიათ, ჩვენმა ავტორმაც თავი მოუყარა ერთი საკმაოდ ვრცელი რეგიონის – კავკასიის ტერიტორიაზე აღმოჩენილ რკალისებრ ფიბულებს, მოაქცია ისინი ერთიან ფორმოზოლოგიურ-ტიპოლოგიურ სისტემაში, მოახდინა მათი კარტოგრაფირება, აღწერა და კატალოგის სახით წარმოადგინა ისინი, გაარკვია მათი წარმოშობა და კავკასიაში შემოტანა-გავრცელების გზები, ფიბულების შემცველი არქეოლოგიური კომპლექსებისა და მათი ხმელთაშუაზღვისპირული, დასავლეთევროპული, წინააზიური, მცირეაზიური და შავიზღვისპირული ანალოგიების მოხმობით განსაზღვრა მათი ფარდობითი და აბსოლუტური ქრონოლოგია. მონოგრაფიას წამდვარებული აქვს კავკასიის იმ არქეოლოგიური ძეგლების კატალოგი, რომლებიც ფიბულებს შეიცავს.

კავკასიის ერთწილადი რკალისებრი ფიბულების ქრონოლოგიის, გენეზისისა და გავრცელების გზების საკითხების კვლევის შედეგად ნინო სულავამ დაასკვნა, რომ ეს ფიბულები კავკასიაში არსებობდა ქ.წ. IX-VIII ს-თა მიჯნიდან ქ.წ. IV საუკუნემდე. გენეტიკურად ის მათ უკავშირებს სამხრეთ ევროპასა და ეგეოსურ სამყაროს და მიაჩნია, რომ კავკასიაში ისინი მოხვდნენ მცირე აზიის გვერდის ავლით, საზღვაო გზით და უკვე ქ.წ. IX-VIII ს-თა მიჯნაზე აქ ჩამოყალიბდა ერთწილადი რკალისებრი ფიბულების მხოლოდ კავკასიისათვის დამახასიათებელი ტიპები. რაც შეეხება ორწილად ფიბულებს, ისინი, ნ. სულავას აზრით, კავკასიაში ურარტუდან შემოსულა ქ.წ. VII ს-ში და, ალბათ, ურარტულის მემკვიდრეებია ქ.წ. V-IV სს-ში გავრცელებული ადგილობრივი წარმოების ასეთივე ფიბულები, რომლებიც საქართველოში ქ.შ. III ს-მდე შემორჩა.

ასეთია ამ წიგნის ძირითადი დასკვნები, მაგრამ სანამ ამ დასკვნებამდე მივიდოდა, ავტორმა გზადაგზა დასვა და გადაჭრა ბევრი სხვა საკითხი, რომელთაგანაც, ჩემი აზრით, ერთ-ერთი უმთავრესია თლიას სამაროვნის ქრონოლოგიის გარკვევა. თლიას სამაროვანი კოლხური კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლია კავკასიაში და აქ სხვა მასალასთან ერთად 250 ფიბულაც არის აღმოჩენილი. ასე რომ სავსებით გამართლებულია ავტორის გადაწყვეტილება, სწორედ თლიას სამაროვნის მონაცემები გამოეყენებინა კავკასიური ერთწილადი რკალისებრი ფიბულების ტიპოლოგიის შესამუშავებლად და მათი ფარდობითი და აბსოლუტური ქრონოლოგიის დასადგენად. თლიას სამაროვნის ფიბულების შემცველი 154 სამარხი მთელი სამარხეული ინვენტარის გათვალისწინებით ავტორმა ოთხ თანამიმდევარ ქრონოლოგიურ ჯგუფად დააღაგა, რამაც საშუალება მისცა მას აეგო ჯერ თლიას სამაროვნისა, შემდეგ კი მთელი კავკასიის ერთწილადი რკალისებრი ფიბულების ტიპოლოგია, რაც თავისთავად საფუძვლად დაედო ფიბულების ქრონოლოგიის კვლევას.

ნინო სულავას კვლევის შედეგები მარტო ფიბულებს არ მოიცავს, ისინი მთელი კავკასიის გვიანი ბრინჯაოს და ადრეული რკინის ხანის არქეოლოგიის სფეროში შორს მიმავალი დასკვნების საშუალებასაც იძლევა. მარტო ის გარემოებაც კი, რომ ამიერიდან, თუკი ავტორს ვერწმუნებით, აღარ არის აუცილებელი დაუუკავშიროთ კავკასიაში ფიბულების პირველი გამოჩენა მაინცდამაინც ქ.წ. XII-XI სს-ის ე.წ. სუბმიკენურ ფიბულებს, ფუნდამენტურ ცვლილებებს იწვევს ქ.წ. II-I ათასწლეულის კავკასიის არქეოლოგიის ჩვენთვის ჩვეულ და, თითქოს, აპრობირებულ ქრონოლოგიაში. ასეთი მკვეთრი ცვლილება კი ყოველთვის მტკივნეულია.

ქ-ნ ნ. სულავას ეს წიგნი, როგორც თვით ავტორი წერს, შესაძლებელია არც იყოს დაზღვეული ხარვეზებისაგან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არქეოლოგებისთვის ის სამაგიდო წიგნად მაინც იქცევა, რადგანაც აქ თავმოყრილია კავკასიაში აღმოჩენილი ყველა ფიბულა და შესწავლილია ისინი მათ გარშემო არსებული მთელი ლიტერატურის გათვალისწინებით: შეგიძლიათ არ გაიზიაროთ ავტორის არცერთი ძირითადი დასკვნა და მაინც წარმატებით ისარგებლოთ ამ წიგნით.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი იულონ გაგოშიძე

ს ა რ ჩ ე ვ ი

რედაქტორისაგან;

შესავალი;

ნაწილი I. კავკასიის ერთწილადი რკალისებური ფიბულები;

I თავი. კავკასიის ფიბულების შესწავლის ისტორია;

II თავი. კავკასიის ერთწილადი რკალისებური ფიბულების აღმოჩენები (ძეგლები);

III თავი. კავკასიის ერთწილადი რკალისებური ფიბულების ქრონოლოგიის საკითხები და ტიპოლოგიის საფუძვლები;

§ 1. კავკასიის ერთწილადი რკალისებური ფიბულების ქრონოლოგია და ტიპოლოგია თლიისა და სამთავროს სამაროვნების ფიბულებიანი სამარხების მიხედვით;

§ 2. ტერმინოლოგია, კონსტრუქცია, ნედლეული, დამზადების ტექნიკა;

IV თავი. კავკასიის ერთწილადი რკალისებური ფიბულების ტიპოლოგიური კლასიფიკაცია;

§ 1. კავკასიის ერთწილადი რკალისებური ფიბულების ტიპები (მასალა);

I ტიპი – ნახევაროვალურკალიანი ანუ დაბალრკალიანი ფიბულები;

I 1 – სადარკალიანი;

I 2 – ერთმანეთისაგან დაშორებული ირგვლივი „თევზიფხურით“ რკალშემკული;

I 3 – გრეხილრკალიანი;

I 4 – ნაჭდევებით შემკულრკალიანი;

I 5 – „დაკეჭნილრკალიანი“ (თუ გოფირებულრკალიანი);

I 6 – მარყუჟისებურზამბარიანი;

II ტიპი – ოდნავასიმეტრიურკალიანი ფიბულები;

II 1 – სადარკალიანი;

II 2 – ერთმანეთისაგან დაშორებული ირგვლივი „თევზიფხურით“ რკალშემკული;

II 3 – გრეხილრკალიანი;

III ტიპი – ნახევარწრისებრი ანუ მაღალრკალიანი („ნალისებრი“) ფიბულები;

III 1 – სადარკალიანი;

III 2 – სიგრძეზე მიმართული „თევზიფხურით“ რკალშემკული;

III 3 – ირგვლივი „თევზიფხურით“ რკალშემკული;

III 4 – ყვავილისებურგანიკვეთიანი რკალით;

III 5 – მრავალკუთხაგანიკვეთიანი რკალით;

III 6 – მართკუთხაგანიკვეთიანი რკალით;

III 7 – რომბისებრგანიკვეთიანი რკალით;

III 8 – რკალზე დისკოსებრი შემსხვილებებით;

III 9 – მძივისებრკალიანი ფიბულები;

- III 10 _ ირგვლივი ზოლების სეგმენტებით რკალმემკული;
- III 11 _ დაკეჭნილზურგიანი;
- III 12 _ გრეხილრკალიანი;
- III 13 _ ფირფიტისებრრკალიანი;
- III 14 _ რკალზე „ეკლისმაგვარი“ შვერილებით;
- III 15 _ რკალზე ლურსმნისებრი შვერილებით;
- III 16 _ რკალზე ვერძის თავის პროტომებით;
- III 17 _ დაფანჯრული ნახევარფეროსებრი რკალით;
- III 18 _ რკალის თავსა და ბოლოში ზოომორფული გამოსახულებებით;

§ 2. იმპორტული ფიბულები;

- III 19 _ პალმეტებით ბუდეშემკული;
- III 20 _ ბუდეჭვინტიანი;
- III 21 _ ბალიშისებურზურგიანი;
- III 22 _ ნავისებურ (a navicella) ზურგიანი რკალით;
- III 23 _ ღრუმუცლიანი რკალით;
- III 24 _ ბიბილოსებური რკალით;
- III 25 _ ბრტყელრკალიანი;

IV ტიპი _ „ზოომორფული“ ფიბულები;

V ტიპი _ „გველისებური“ ფიბულები;

- ბრინჯაოს ერთწილადი რკალისებური ფიბულები, რომელთა განსაზღვრა არ ხერხდება;
- ფიბულათა ნემსები, ზამზარები;
- რკინის ფიბულები;

§ 3. ლოკალური ვარიანტები და სახელოსნოები;

V თავი. კავკასიის ერთწილადი რკალისებური ფიბულების ქრონოლოგია, გენეზისი, გავრცელების გზები;

§ 1. ქრონოლოგია;

§ 2. გენეზისი;

§ 3. გავრცელების გზები;

ნაწილი II. კავკასიის ორწილადი რკალისებური ფიბულები (ტიპოლოგია, ქრონოლოგია, გენეზისი, გავრცელების გზები);

I ტიპი _ მარტივი რკალისებური ფიბულები;

II ტიპი _ ე.წ. „მცირეაზიული“ ტიპების მსგავსი ანუ ურარტული ფიბულები (U)

დასკვნები;

Summary;

ლიტერატურა;

შემოკლებათა განმარტება;

გეოგრაფიული სახელები (ინგლისურ-ქართული);

ტაბულები (1 – 65);

რუკები (1 – 9).

შესავალი

კავკასიის ურთიერთობა გარესამყაროსთან ასახულია არაერთ უძველეს არქეოლოგიურ კულტურაში, წერილობით წყაროებსა და მითოლოგიაში. ჩვენი კვლევის მიზანია კავკასიის არქეოლოგიის ერთი კონკრეტული არტეფაქტის ყოველმხრივი შესწავლით კიდევ უფრო შეივსოს ჩვენი ცოდნა კავკასიის არქეოლოგიური კულტურებისა და მათი გარესამყაროსთან ურთიერთობის შესახებ.

კვლევის საგანია კავკასიის ერთწილადი და ორწილადი რკალისებური ფიბულები, რომლებიც ზოგადად ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარსა და ახ.წ. პირველ საუკუნეებს მოიცავენ. კავკასიის ფიბულები, განსაკუთრებით კი უძველესი ფიბულები, ჩვენი კვლევის საგანი შემთხვევით არ გამხდარა. ისინი კავკასიაში გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში არსებული კოლხური, ყოზანური, კოლხურ-ყოზანური კულტურებისა თუ კოლხურ-ყოზანური ბრინჯაოს ნაწარმის¹ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია.

რადგან ჯერ კიდევ არ არის ერთიანი აზრი ამ კულტურების ურთიერთდამოკიდებულების, არეალის, გენეზისის განსაზღვრისა და, რაც ყველაზე მთავარია, ქრონოლოგიის შესახებ, ჩვენი აზრით, კავკასიის ფიბულები უნდა განვიხილოთ მთლიან კავკასიურ კონტექსტში და არა ცალკეული კულტურების მიხედვით. ვფიქრობთ, ეს საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ წინასწარ შექმნილი აზრის გავლენის ქვეშ მოქცევა.²

კოლხურ-ყოზანური კულტურები მათთვის დამახასიათებელი თითოეული არტეფაქტის (საბრძოლო და შრომის იარაღი, სამკაული და სხვ.) კომპლექსურად შესწავლის მეთოდით, ანუ როცა ნივთი შეისწავლება ტიპოლოგიური, ქრონოლოგიური კვლევის, გენეზისისა და გავრცელების გზების დადგენის თვალსაზრისით, საგანგებოდ არავის უკვლევია. მით უმეტეს, არ გაკეთებულა კავკასიის სამხრეთსა და ჩრდილოეთში მოპოვებული მასალების შედარებითი ანალიზი, რათა ნათლად გამოჩენილიყო მათ შორის მსგავსება და განსხვავება, როგორც ტიპოლოგიურ, ისე ქრონოლოგიურ ჭრილში. ამ მეთოდზე დამყარებული პირველი ნაშრომი, რომელიც მიემდვნა კოლხურ-ყოზანური ურთიერთობების საკითხებს, მხოლოდ ბოლო წლებში იქნა შესრულებული³. ჩატარებული სამუშაოს შედეგად მიღებული დასკვნების შემოკლებული სახით პუბლიკაციაში ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი ფორმულირება: “ეს

¹ ჩვენი დამოკიდებულება ამ საკითხებისადმი ანუ კულტურებისადმი, რომელთა კიდევ ერთხელ წამოჭრით, ვფიქრობთ, ბიძგს მივცემთ ამ მიმართულებით ქართველ არქეოლოგთა კვლევების ახალი ეტაპის დაწყებას, იხ. ნაშრომში - Панцхава, Сулава, Папуашвили 2003, გვ. 102-117.

² “კოლხური” და „ყოზანური” კულტურები, როგორც ტერმინების გამოყენება, ჩვენი მხრიდან იქნება მხოლოდ სამუშაო, პირობითი ტერმინები და არა ცნებები, რაშიც ვგულისხმობთ გარკვეულ ფიზიკურ-გეოგრაფიულ არეალს, მისთვის დამახასიათებელი არქეოლოგიური მონაცემებით.

³ იგულისხმება 1998-2000 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრანტით შესრულებული თემა: ლ. სახაროვა, მ. ბარამიძე, შ. ჩართოლანი, ნ. სულავა, ბ. ჯორბენაძე, - “კოლხეთი და გარე სამყარო გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში” (კოლხური და ყოზანური კულტურების ურთიერთობა), გრანტი № 1972. ნაშრომში საკითხის შესწავლის ისტორიის (სადაც გათვალისწინებულია მოსაზრება ყველა ავტორისა, ვინც კი შეხებია კოლხური და ყოზანური კულტურების ურთიერთობის პრობლემას) შემდეგ, მოცემულია არქეოლოგიური მასალის ტიპოლოგიური კვლევა და მათი ურთიერთშედარება, რათა უფრო ნათლად გამოჩენილიყო მათ შორის მსგავსება-განსხვავება (განხილულია საბრძოლო და სამეურნეო იარაღი, კერამიკა, სამკაული, აგრეთვე ნამოსახლარები და სამაროვნები). შესწავლილია სამთამადნო ბაზა და საკომუნიკაციო საშუალებები (საუღელტეხილო გადასასვლელები, გზები და ბილიკები).

კულტურები (კოლხური და ყობანური – ნ. ს.) . . . ნაწილია საერთო კავკასიური ბრინჯაოს კულტურისა, რომელიც, თავის მხრივ, გარკვეულ მიმართებაშია წინა აზიისა და ხმელთაშუაზღვის აუზის კულტურებისადმი” [სახაროვა 2002, გვ. 25].

ამგვარად, კავკასიის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ბრინჯაოს ნაწარმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტის – ფიბულის შესწავლა (ტიპოლოგიური ნიშნების განსაზღვრის საფუძველზე ქრონოლოგიისა და გენეზისის დადგენა; ქრონოლოგიის განსაზღვრის საფუძველზე კავკასიის თანადროული კულტურების ურთიერთმიმართებისა და დამოკიდებულების დადგენა; გენეზისის დადგენის საფუძველზე კავკასიის კულტურების ურთიერთობის განსაზღვრა გარესამყაროსთან), ვფიქრობთ, დაგვეხმარება კავკასიის არქეოლოგიის მთელი რიგი თუ არა, ზოგიერთი საკამათო და ბუნდოვანი საკითხის გარკვევაში მაინც.

ფიბულა ლათინური სიტყვაა (ფიბულა, ფიბულაე) და საკინძს, შესაკრავს ნიშნავს [ლათინურ-ქართული ლექსიკონი 1940; 1961; Латинско-русский словарь 1952; 1976; 1986].⁴

ყველა ის ასპექტი, რაც ჩვენი კვლევის საგანი იქნება, ხაზგასმულია ფ. ბროკჰაუზისა და ი. ეფრონის ენციკლოპედიური ლექსიკონის განმარტებაში, რომლის მიხედვითაც ფიბულა განსაკუთრებული სახის შესაკრავია და ის ფართოდ იყო გავრცელებული წინაისტორიულ ხანაში. ფიბულა გამოიყენებოდა ტანსაცმლის შესაკრავად და სამკაულად. ფიბულა შედგება: 1. ნემსისაგან, რომელიც განკუთვნილია ტანსაცმლის შესაკრავად; 2. ნემსსაჭერისაგან; 3. რკალის ანუ ფიბულის კორპუსისაგან და 4. ზამბარისაგან. ავტორთა ხაზგასმით, ყველა ეპოქამ თავისი კვალი დატოვა ფიბულაზე (ესთეტიკური, ტექნიკური, საკულტო), ამიტომ ისტორიული ქრონოლოგიისათვის ფიბულებს დიდი მნიშვნელობა აქვს [Энциклопедический словарь 1902, გვ. 642, 643].

ჩვენი კვლევის ამოცანაა მოვახდინოთ კავკასიაში გავრცელებული ფიბულების კარტოგრაფირება; გამოვავლინოთ მათი ტიპოლოგიური ნიშნები და არქეოლოგიური კონტექსტის გათვალისწინებით მოვუძებნოთ ქრონოლოგიური ადგილი; გამოვავლინოთ ამა თუ იმ ტიპის ქრონოლოგიური ჩარჩოები და არეალი. ტიპოლოგიური ნიუანსების ანალიზის საფუძველზე გამოვყოთ ლოკალური ვარიანტები და იმპორტული ნაწარმი; მეზობელი რეგიონების მასალის შესწავლისა და პარალელური მასალის ანალიზის საფუძველზე დავადგინოთ კავკასიაში ფიბულათა გავრცელების გზები და გენეზისის საკითხები.

ყველა დასახული ამოცანის შესწავლით, ვფიქრობთ, მივაღწევთ საბოლოო მიზანს – წარმოვაჩინოთ ფიბულის როლს ისტორიული ქრონოლოგიისათვის.

კავკასია ევრაზიის სივრცეში ერთ-ერთ იმ რეგიონთა რიცხვს მიეკუთვნება, სადაც ფიბულებია დადასტურებული. ფიბულები გავრცელებულია აპენინის ნახევარკუნძულიდან კავკასიის ჩათვლით, მთელ მედიტერანულ სივრცეში, შუა ევროპასა და მცირე აზიის ჩათვლით [Laux 1978; Kilian 1975; Betzler 1974; Sapouna-Sakellarakis 1978; Eles Masi 1986; Bader 1983; Gergova 1987; Caner 1983; Řihovský 1993; Vasić 1999; Pedde 2000; Storch 1988].⁵ მიუხედავად იმისა, რომ კავკასია რაოდენობრივი თვალსაზრისით

⁴ ამ ნივთის აღმნიშვნელად ლათინურ ტერმინს იყენებდა ივ. ჯავახიშვილი: “სამოსელის შესაკრავად ჰქონიათ ღილები, დუგმები, ფიბულები და სხვადასხვანაირი ქინძისთავები . . .” [ჯავახიშვილი 1960, გვ. 14].

⁵ ფიბულების (და არა მარტო ფიბულების) შესახებ ჩვენს მიერ წარმოდგენილი ნაშრომის ტიპის პუბლიკაციების დიდი ტრადიციაა გერმანიაში, სერიის – Prähistorische Bronzefunde (PBF)-ს სახით. კერძოდ, ფიბულებს ეძღვნება ამ სერიის XIV ტომი. უკვე გამოსულია 10 ტომი (ჩამონათვალი იხ. აქვე), ხოლო ამ სერიით გათვალისწინებული ორი ტომი, რომლებიც ეძღვნება პოლონეთისა (ტომი XIV.10) და

ჩამორჩება ფიბულების მქონე ისეთ ქვეყნებს, როგორცაა საბერძნეთი და იტალია, სადაც ფიბულათა რაოდენობა ათასობით განისაზღვრება, კავკასიის ფიბულებისადმი ინტერესი ყოველთვის დიდი იყო. უცხოელ მეცნიერთა აზრით, კავკასიის ფიბულები გამოცანაა; ისინი პრობლემებს ქმნიან ან საიდუმლოებითაა მოცული [Sundwal 1943, გვ. 22; Bouzek 1985, გვ. 159]. მკვლევარები ცდილობდნენ კავკასიის ფიბულები დაეკავშირებინათ ჩრდ. იტალიისა (ე. შანტრი) და საბერძნეთის მასალებთან. არიან კავკასიის ფიბულათა ადგილობრივი წარმოშობის მომხრეებიც (გ. გობეჯიშვილი, ბ. ტეხოვი, ლ. სახაროვა). არ არის ერთიანი აზრი ქრონოლოგიაზეც.

წინამდებარე ნაშრომი პირველი ცდაა შეძლებისდაგვარად კავკასიის ფიბულების მთელი მასალის წარმოდგენისა და იმ პრობლემებზე პასუხის გაცემისა, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ. ბუნებრივია, ნაშრომი ვერ იქნება დაზღვეული ხარვეზებისაგან, თუნდაც მასალის დიდი მოცულობის გამო. ამასთან, ჩვენ კარგად გვესმის, რომ ნაშრომში განხილული ყველა კარდინალური საკითხი ვერ იქნება ბოლომდე ამომწურავად გაშუქებული. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, კავკასიის ფიბულების ამ ფორმით წარმოდგენა უფრო მეტ ნათელს მოჰფენს მთელ რიგ პრობლემებს და ხელს შეუწყობს კავკასიის სიძველეებზე მომუშავე მკვლევარებს.

ნაწილი I.

კავკასიის ერთწილადი რკალისებური ფიბულები

I თავი. კავკასიის ფიბულების შესწავლის ისტორია

კავკასიაში უძველესი ფიბულების პირველი აღმოჩენების შესახებ ცნობები XIX ს-ის შუა ხანებს განეკუთვნება [Хаников, Савельев 1856, გვ. 50-60, სურ. 2-24], მაგრამ განსაკუთრებული დაინტერესება კავკასიის სიძველეებით და, მათ შორის, ფიბულებითაც გაიზარდა 1869 წლიდან, ოსეთის სოფ. ყობანის აღმოჩენების შემდეგ. იქ გამოვლენილ სიძველეებს არაერთი მეცნიერის ფუნდამენტური ნაშრომი მიეძღვნა [Virchow 1881; 1883; Chantre 1882; 1885-1887; Bayern 1882; Morgan 1889; Уварова 1900]. ყობანის სამაროვნის, რომელიც კავკასიის არქეოლოგიისათვის ისეთივე მნიშვნელობისაა, როგორც ევროპისათვის ჰალშტატის სამაროვანი, მასალების უდიდესი ნაწილი აღნიშნულ მეცნიერთა დაინტერესებითა და ხელშეწყობით (აგრეთვე კოლექციონერთა მცდელობითაც) სხვადასხვა ქვეყნების დიდ მუზეუმებში მოხვდა (სენ-ჟერმენი, ლიონი, ვენა, ბერლინი, ბუდაპეშტი, ლონდონი, რომი, სანკტ-პეტერბურგი, მოსკოვი, თბილისი, ვლადიკავკაზი, ნალჩიკი) [Крупнов 1960, გვ. 25-40; Козенкова 1996, გვ. 7-9].

რ. ვირხოვი, ე. შანტრი, დ. ვილკე კავკასიის ფიბულებს ჩრდ. იტალიისა და შუა ევროპის ფიბულებთან აკავშირებდნენ. ხოლო მათ გამოჩენას კავკასიაში Yძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოს ვარაუდობდნენ [Virchow 1883, გვ. 10, 26; Chantre 1885, ტ. II, გვ. 67-69; Wilke 1904, გვ. 40].

ი. უნდესტი კავკასიის ფიბულების პროტოტიპად ბერძნულ ფიბულებს თვლიდა [Undest 1889, გვ. 213-215].

ა. კალიტინსკის ეკუთვნის პირველი ნაშრომი საკუთრივ კავკასიის ფიბულების შესახებ. მისი აზრით, რადგან კავკასიონის ქედის სამხრეთით ფიბულები ერთეულების სახითაა წარმოდგენილი, ხოლო ჩრდ. კავკასიაში კი დიდი რაოდენობით იყო კონცენტრირებული, განსაკუთრებით მის ცენტრალურ ნაწილში, ისინი აქ უნდა გავრცელებულიყვნენ ბერძენი კოლონისტების ვაჭრობის შედეგად (ძვ.წ. VII ს.) მდ. ყუბანისა და მისი შენაკადების, აგრეთვე მდინარეების თერგისა და კუმას აყოლებით. მკვლევარი არ გამორიცხავდა ამ პროცესში მთის გადასასვლელებისა და დიოსკურიისა და ფაზისის როლსაც [Калитинский 1926, გვ. 46-50, სურ. 8].⁶ მასვე ეკუთვნის კავკასიის ფიბულების ტიპოლოგიის შემუშავების პირველი მცდელობა. ა. კალიტინსკი ფიბულათა სამ სერიას გამოყოფდა: I. საკუთრივ რკალისებური, II. შარნირიანი, III. ზოომორფული. ტიპოლოგიის საფუძვლად ის იღებდა მათ კონსტრუქციას, ფორმას და ძირითადი ნაწილების ურთიერთმიმართებას.

I სერიის ფიბულებში მიმღებისა (ბუდის) და რკალის მიხედვით გამოყოფდა: I. ვიწრო მიმღებითა და დაბალი რკალით, II. განიერი მიმღებითა და მაღალი რკალით, III. განიერი მიმღებითა და მსხვილი (წურბლისებური)⁷ რკალით.

I სერიის ფიბულების შესამკობად გამოიყენებოდა: ზურგის შემსხვილება, რკალის თავსა და ბოლოში დისკოსებური შემსხვილებები, “ნაძვისებური” ორნამენტი, რგოლებისა და წერტილების ჯგუფები, ძეწკვები, ცხოველთა თავის გამოსახულებები, გრეხილი [Калитинский 1926, გვ. 44-46].

ა. კალიტინსკი თავისი II სერიის ორწილად ანუ შარნირიან ფიბულებს სამ ტიპად ყოფდა: 1. მრგვალი ან წახნაგოვანგანივკვეთიანი; 2. მრგვალგანივკვეთიანი რკალით, რომელსაც თავსა და ბოლოში ცხოველის გამოსახულებები აქვს; 3. ბრტყელი, ნახევარმთვარისებრი რკალით. პირველი ორი ტიპის წარმოშობას ის უკავშირებდა რკალისებურ ფიბულებს. მთვარისებური ფიბულების ტიპს კი ბერძნულ, კერძოდ, ბეოტიურ ტიპთან აკავშირებდა და მის ბარბაროსულ მინაბამად თვლიდა. თუმცა, მათ დათარიღებას აღმოჩენათა ხასიათის გამო შეუძლებლად მიიჩნევდა [Калитинский 1926, გვ. 57-59].

III სერიის ზოომორფულ ფიბულებში ა. კალიტინსკის მიერ გაერთიანებულია ცხოველისებურრკალიანი ფიბულა (სვანეთიდან) და გველისებურრკალიანი ფიბულები. პირველის შესახებ ის აღნიშნავდა, რომ “ცხოველი” ანალოგიურია ყობანურ აბზინდებსა და ცულებზე გამოსახული ცხოველისა. სხვა დეტალები კი იმეორებენ რკალისებური ფიბულების ფორმებს. ამიტომ ისინი, ალბათ, თანადროულნი არიან. რაც შეეხება გველისებურ ფიბულებს, მკვლევარი არ თვლიდა აუცილებლად, რომ ისინი მაინცადამაინც ჰალშტატური და იტალიური წარმოშობისა ყოფილიყვნენ, რადგანაც გველის კულტი არსებობდა სხვადასხვა ხალხებსა და სხვადასხვა პერიოდში. ის მათ ყობანის ზედა ფენის სამარხებს მიაწერდა და ძვ.წ. II ს-ით ათარიღებდა [Калитинский 1926, გვ. 59-61].

ამგვარად, ა. კალიტინსკის ნაშრომიდან, რომელიც პირველი ცდა იყო კავკასიის ფიბულების ტიპოლოგიური მოწესრიგებისა და მათი გენეზისის ძიებისა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია I სერიის ფიბულების ბუდისა და რკალის მორფო-

⁶ საინტერესოა, რომ ა. კალიტინსკის მოსაზრება მთის გადასასვლელებისა და დიოსკურია-ფაზისის როლის შესახებ რატომღაც ყოველთვის იგნორირებული იყო [Калитинский 1926, გვ. 49, 50].

⁷ ტერმინი შემოიღო ე. შანტრმა, იხ.: Chantre 1886, გვ. 66.

ლოგიური განვითარების ანალიზი, რასაც ეგეოსურ სამყარომდე მივყავართ. მისი აზრით, არა მარტო კონსტრუქციის, არამედ მიმღებისა და რკალის ფორმის, ორნამენტაციის მიხედვითაც ცხადია კავკასიის ფიბულების მსგავსება ბერძნულ ფიბულებთან. მათ გამოჩენას კავკასიაში ა. კალიტინსკი ბერძნულ კოლონიზაციას უკავშირებდა [Калитинский 1926, გვ. 48, 49].⁸

ფრ. ჰანჩარს კავკასიური ფიბულების პროტოტიპად ბერძნული ფიბულები მიაჩნდა და მათ გამოჩენას ძვ.წ. XII-XI სს-ს მიაწერდა [Hančar 1934, გვ. 89].

ს. პრევეორსკის მიხედვითაც რკალისებური ფიბულები ეგეოსური სამყაროდან, შესაძლოა შუამავლობით, ისტორიულად ჯერ კიდევ არახელშესახები ზღვაოსნებისა და ვაჭრების საშუალებით, ზღვის გზებით აღწევდნენ კავკასიას ძვ.წ. XII-XI სს-ში [Przeworski 1936, გვ. 58-დან].

ბ. კუფტინის ნაშრომებში კავკასიის ფიბულების თემას საკმაო ადგილი უკავია. მას კავკასიური ფიბულის პროტოტიპად ბერძნული სუბმიკენური ფიბულა [Blinkenberg 1926, გვ. 13-25, 58, 59] მიაჩნდა. მაგრამ არ ეთანხმებოდა ა. კალიტინსკის, რომელიც კავკასიაში ფიბულების შემოსვლას შავ ზღვაზე ბერძნული კოლონიების გაჩენას მიაწერდა. მას არგუმენტად მოჰქონდა ის გარემოება, რომ ბერძნული კოლონიზაციის ეპოქაში ფიბულები, ჯერ ერთი, უკვე თითქმის გამოსული იყვნენ ხმარებიდან; მეორეც, მათ განიცადეს მთელი რიგი ცვლილებები, რომლებიც საერთოდ არ აისახა კავკასიურ ფიბულებზე. მისივე აზრით, ბერძენი კოლონისტების მიერ ფიბულების შემოტანას ისიც ეწინააღმდეგება, რომ ჩრდ. შავიზღვისპირეთის ბერძნულ კოლონიებში ფიბულები საერთოდ არაა დადასტურებული [Куфтин 1941, გვ. 72]. ბ. კუფტინი თვლიდა, რომ კავკასიური ფიბულის სახით საქმე გვაქვს უფრო ძველი კულტურული მონაპოვრის ადგილობრივ გადამუშავებასთან. მისი აზრით, ბერძნულ-მიკენურ კულტურასთან კავშირი პირდაპირ, მცირე აზიისაგან დამოუკიდებლად ხორციელდებოდა. საზღვაო გზების გათვალისწინების გარეშე კოლხურ-ყობანურ ბრინჯაოში რკალისებური ფიბულების შემოღწევა მას წარმოუდგენლად მიაჩნდა. ის სავსებით სამართლიანად აღნიშნავდა, რომ ამგვარი ფიბულა უცხოა მცირე აზიისათვის, მაგრამ მთელი თავისი კავკასიური ვარიანტებით ანალოგიურია მხოლოდ ქრ. ბლინკენბერგის კლასიფიკაციის “სუბმიკენური” ჯგუფისა, რომელიც ძვ.წ. XII-X სს-ს განეკუთვნება. ის აღნიშნავდა, რომ დასავლეთ კავკასიის ფიბულებზე გვაქვს ადრებერძნული ნიმუშებისათვის დამახასიათებელი განივი წიწვოვანი ჭდეული ორნამენტი და წურბლისებურად გაფორმებული ზურგი (“a sanguisuga”), რომელიც მიკენური ხანის ზოგიერთ ხემისებურ და იტალიის ტერამარების ფიბულებზე გაჩნდა, და რომელიც კარგადაა წარმოდგენილი სუბმიკენური ხანის საბერძნეთის სამარხებში ვროკასტროდან (კრეტა), ამარგოსსა და ასარლიკში (კარია). მკვლევარის აზრით, ის ცვლილებები, რომელიც სუბმიკენური ტიპის ფიბულამ განიცადა მის გავრცელებასთან დაკავშირებით ატიკაში, ბეოტიაში, თესალიაში, ეპირში, აგრეთვე, იტალიასა და დუნაის ქვეყნებში, საერთოდ არ შეხებია კოლხურ ფიბულას, რომელიც განსაკუთრებით შორს დარჩა მცირეაზიული და სირიული (კვიპროსული) სპეციფიკური გადამუშავებისაგან ძვ.წ. VIII ს-დან (ჩადგმული მბრუნავი ნემსით, სიმეტრიულად ნახევარწრიული ან მუხლისებური რკალით). ბ. კუფტინი გაკვირვებას გამოთქვამდა, რომ ეს ფიბულები, რომლებიც სამხრეთ მესოპოტა-

⁸ კავკასიაში აღმოჩენილი ერთილადა რკალისებური ფიბულების საყრდენად გამოყენება დათარიღებისათვის ჯერ კიდევ გ. ნიორამემ სცადა [ნიორამე 1931, გვ. 202, 203]. მის კვალდაკვალ სხვა მკვლევართათვისაც კავკასიის ფიბულები ერთ-ერთ დამათარიღებელ ნივთად იქნა მიჩნეული, რადგან მას გენეტიკურ კავშირს ბერძნულ სუბმიკენურ ფიბულებთან უძებნიდნენ [Куфтин 1941, გვ. 72; 1944, გვ. 316; აბრამიშვილი 1957, გვ. 136; ფიცხელაური 1973, გვ. 65].

მიამდე და ეგვიპტემდე აღწევდნენ, საერთოდ არ გვხვდება კავკასიაში (და ეს მაშინ, თუ გავიხსენებთ ჰიპოტეზას ქართველი ტომების მიგრაციის შესახებ მცირე აზიიდან გვიანასირიულ ხანაში) [Куфтин 1944, გვ. 316, 317].

მიუხედავად იმისა, რომ ბ. კუფტინის დროს სამხრეთ კავკასიაში არ იყო ცნობილი ფიბულათა ისეთი რაოდენობა, როგორც ამჟამად, ის მაინც გამოყოფდა ორ დამახასიათებელ ტიპს – უბრალო, ზომიერად შემსხვილებული ზურგით და ე.წ. “წურბლისებური” (“a sanguisuga”) ფორმის ანუ მნიშვნელოვნად შემსხვილებული ზურგითა და მკვეთრი გამობერილი სარტყლებით რკალის თავსა და ბოლოში. ის აღნიშნავდა, რომ ეს ნიშნები თავს იჩენენ უკვე ძვ.წ. XII-XI სს-ის სუბმიკენური კერამიკით დათარიღებულ ბერძნულ ფიბულებზე [Куфтин 1949, გვ. 138].

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ბ. კუფტინის მიერ ახალ ათონში შემთხვევით აღმოჩენილი ფიბულის სწორი ინტერპრეტაცია: მან ფიბულა განსაზღვრა როგორც ნავისებური (a navicella) და მიაკუთვნა გეომეტრიული სტილის ეპოქის, ძვ.წ. X-IX სს-ის ატიკურ ფიბულებს [Куфтин 1949, გვ. 161, 242, სურ. 293].⁹ უახლესი ლიტერატურაზე დაყრდნობით ეს განსაზღვრება სავსებით დადასტურდა.

აფხაზეთის როზეტისებურზურგიან ფიბულებს კონსტრუქციული თვალსაზრისით ბ. კუფტინი ყობანურ ფიბულებს ამსგავსებდა. მათ განსაკუთრებულობას დეკორატიული შემკულობის თვალსაზრისით, რომელსაც ანალოგი არ მოეძებნება, ხსნიდა კავკასიაში ფიბულების ხანგრძლივი ადგილობრივი კულტურის არსებობით. ამგვარი მსჯელობის შემდეგ ცოტა გაურკვეველია რა საფუძველზე აცხადებდა მკვლევარი, რომ აფხაზეთის განხილული ფიბულები ენათესავებიან კვიპროსული და სირიული ფიბულების ფილიაციებსო, კერძოდ, ქრ. ბლინკენბერგის XIII ტიპს. თუმცა ამ ტიპის ყველაზე გავრცელებული ფორმა მუხლისებური რკალით, რომელიც ძვ.წ. VII ს-ით თარიღდება, კავკასიაში საერთოდ არაა აღმოჩენილი [Куфтин 1949, გვ. 241]. ამ მსჯელობის მეორე ნაწილი, რომელიც სავსებით სწორია, სრულიად არ შეესაბამება მის წინა ნაწილს. ბ. კუფტინი სწორად აღნიშნავდა, რომ კავკასიის სიძველეებისათვის ასევე სრულიად უცხოა ფიბულათა ჯგუფი განსაკუთრებულად განვითარებული ნემსსამაგრით (ე.წ. ფრიგიული ფიბულები – ნ. ს.). მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის სამხრეთით, ბოლანჯისა და გორდიონის გათხრებიდან ისინი დიდი რაოდენობითაა ცნობილი [Куфтин 1949, გვ. 243].

ბ. კუფტინის აზრით, ეს მოვლენა ჯერჯერობით ისე უნდა იქნას ინტერპრეტირებული, რომ ფიბულის დამოუკიდებელი განვითარება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სანაპირო რაიონებში, იმ ეპოქაში, რომელიც წინ უსწრებდა ბერძნული კოლონიების გაჩენას, სტიმულირდებოდა საზღვაო ვაჭრობით და ხდებოდა ურთიერთზემოქმედებით უფრო ძველ ზღვაოსან ხალხებთან, რომლებმაც თავიანთი ჰეგემონია შემდეგ ბერძნებს დაუთმეს.

როგორც ჩანს, ეს იყო განსაკუთრებული საზოგადოებრივ-სამეურნეო ფენა, რომელიც ფორმირდებოდა მცირე აზიის სანაპირო რაიონებში და ჩრდილოეთით დაკავშირებული იყო იონიელების სახელთან. როგორც მკვლევარი აღნიშნავდა, სამწუხაროდ, შავი ზღვის სამხრეთი სანაპირო არქეოლოგიურად ნაკლებად იყო შესწავლილი, მაგრამ მაინც ნათელია, რომ სანაპირო ზოლი დამოუკიდებელი იყო მცირე აზიის შიდა რაიონებიდან [Куфтин 1949, გვ. 243].

ბ. კუფტინის მსჯელობიდან საინტერესოა ის, რომ ცალკეული ფორმების დამოუკიდებელი განვითარება ადგილობრივ ბრინჯაოს ინდუსტრიაში ცხადია, მაგრამ

⁹ აგრეთვე იხ. სულავა 2001; 2003ა; Сулава 1999; Sulawa 2003.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მჭიდრო კონტაქტის პირობებში “ზღვის ხალხებთან” [Куфтин 1949, გვ. 243].

შემდგომში ბ. კუფტინი უფრო მკვეთრად აყალიბებდა აზრს, რომ ეს კავშირი უფრო ადრეული უნდა ყოფილიყო, ვიდრე კოლხურ-ყოხანურ სივრცეში ბრინჯაოს სუბმიკენური ფიბულის (ძვ.წ. XII-X სს.) დამკვიდრება მცირე აზიისაგან დამოუკიდებელი გზით [Куфтин 1950, გვ. 180].

განსაკუთრებით საინტერესოა ბ. კუფტინის მიერ გავლებული პარალელი კავკასიასა და სამხრეთ ევროპას შორის. კერძოდ, მას ნიშანდობლივად მიაჩნია იტალიასა და ნაწილობრივ დუნაისპირა ქვეყნებში კერამიკაზე რქისებური სახელურების არეალის შემოსაზღვრა ისევე, როგორც პარალელურად ანალოგიური არტეფაქტებისა მდ. რიონის დაბლობში. ასევე პარალელური მოვლენა იჩენს თავს ბრინჯაოს ხანის ბოლოს სუბმიკენური ტიპის ფიბულის სახით. სამხრეთ და ჩრდილოეთ იტალიაში მათი გავრცელება მიუთითებს საზღვაო გზაზე. ასევე საზღვაო გზით უნდა მომხდარიყო ამ ფიბულების კავკასიაში გამოჩენა, რადგან მცირე აზიაში არ დასტურდება არცერთი ის ტიპი, რომელიც ეგეოსურ სამყაროსა და კავკასიას გააერთიანებდა [Куфтин 1950, გვ. 224, 225].

ბ. კუფტინის მოსაზრებები რომ შევაჯამოთ, მივიღებთ ასეთ სურათს: კავკასიური ფიბულების პროტოტიპად ის თვლიდა ბერძნულ სუბმიკენური ტიპის ფიბულას, რომელიც პირდაპირი კონტაქტით, ზღვით უნდა გავრცელებულიყო კოლხეთში “დიდ ბერძნულ კოლონიზაციამდე”, ე.ი. ძვ.წ. VIII-VI სს-მდე ბევრად ადრე. მკვლევარი გამორიცხავდა მცირე აზიის როლს ერთწილადი რკალისებური ფიბულების გავრცელების საქმეში.

კ. შეფერის აზრით, რკალისებური ფიბულები ჩნდება ყველა იმ ქვეყანაში, რომლებთანაც პირდაპირი ან არაპირდაპირი კავშირი ჰქონდა გვიანმიკენურ თუ სუბმიკენურ ცივილიზაციას. ის აღნიშნავდა, რომ კავკასიის ფიბულები (ლეღვარი, ყოხანი) ეკუთვნიან სუბმიკენური ფიბულების იმ ტიპს, რომელსაც ქრ. ბლინკენბერგი 1200-1000 წლებით ათარიღებდა [Schaeffer 1948, გვ. 502].

ი. ზუნდვალი აღნიშნავდა რომ კავკასიაში რკალისებური ფიბულების არსებობა საიდუმლოებითაა მოცული [Sundwall 1943, გვ. 22]. ა. კალიტინსკისა და ჯ. ვისნერის მიხედვით, ისიც ფიქრობდა, რომ კავკასიური ფიბულები გენეტიკურად “ძველ ევროპას” (ე.ი. საბერძნეთს – ნ. ს.) უკავშირდება, მაგრამ არ ეთანხმებოდა მათ ფიბულების გავრცელების საკითხში ანუ ა. კალიტინსკის იმაში, რომ ფიბულათა გავრცელებას ის ბერძნულ ვაჭრობას უკავშირებდა, ხოლო ჯ. ვისნერს იმაში, რომ ამ პროცესს ის კიმერიული ტომების შემოსვლას უკავშირებდა. ის უარყოფდა ფრ. ჰანჩარისა და ა. კალიტინსკის ქრონოლოგიას (ძვ.წ. XII-XI სს. ძვ.წ. VII ს.) და თვლიდა, რომ კავკასიის მიერ ფიბულათა გადაღება პროტოგეომეტრიულ ხანაზე გარდამავალ პერიოდში, დაახლოებით ძვ.წ. 1000 წელს უნდა მომხდარიყო (ი. ზუნდვალის ქრ. ბლინკენბერგის II ჯგუფზე მიუთითებდა). ის ხედავდა ჰალშტატურ გავლენასაც ბალკანეთის სივრციდან, რაც ფიბულებზე საკიდებში მჟღავნდება. ეს მოვლენა მომდევნო ხანას უნდა ეკუთვნოდეს. ძვ.წ. VI-V სს-ს მიაწერდა “მცირეაზიული მოყვანილობის ფეხიან” ფიბულას ჩეგემიდან [Калитинский 1926, ტაბ. VII21]. ე.წ. ორწილადი შარნირიანი ფიბულები და ზოომორფული ფიბულები უფრო ახალგაზრდად მიაჩნდა [Sundwall 1943, გვ. 22, 23]. ი. ზუნდვალი კავკასიურ ფიბულებს ეხებოდა “გველისებურრკალიან” და ფიგურულრკალიან ფიბულებთან დაკავშირებითაც. მას ბალკანეთზე ან ჩრდილო იტალიაში წარმოშობილად მიაჩნდა გველისებური ფიბულები, რომლებმაც კავკასიამდეც კი მიაღწიეს. ასევე კავკასიამდე გავრცელებულად თვლიდა ის ფიგურულრკალიან

ფიბულებს (მაგ.: რკალი “ცხენის” გამოსახულება – ნ. ს.). ფიბულების გრძელფეხიანი ეგზემპლარები მას დათარიღებული აქვს ძვ.წ. VII-VI სს-ით [Sundwall 1943, გვ. 59, სურ. 30a; გვ. 62, სურ. 32c].

დ. სტრონახის აზრით, კავკასიაში ფიბულათა ბევრი დამაკავშირებელი ფორმების აღმოჩენა, როგორც ჩანს, უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ სხვადასხვაგვარ ახლოაღმოსავლურ ნიმუშებს ურარტუზეც უნდა გაეველოთ [Stronach 1959, გვ. 181].

რ. აბრამიშვილი ე.წ. სუბმიკენური ტიპის ფიბულას იყენებდა ფრ. ბაიერნის № 591 სამარხის დასათარიღებლად. დ. სტრონახზე დაყრდნობით ის სავსებით სამართლიანად აღნიშნავდა, რომ სამთავროს № 591, 600 სამარხებში აღმოჩენილი ფიბულების ანალოგიური ფიბულები სრულიად უცხოა მცირე აზიისათვის და ისინი ბერძნული ხმელთაშუაზღვისპირეთიდან მომდინარეობენ. მრასაც, ბ. კუფტინის კვალდაკვალ, მიაჩნდა, რომ ეს პროცესი შავი ზღვის საზღვაო გზების გათვალისწინების გარეშე ვერ აიხსნება. იმის საჩვენებლად, რომ ეს ფიბულა კავკასიაში ბერძნული სუბმიკენური ფიბულის არსებობის პერიოდში გავრცელდა, მას მოჰყავს ბ. კუფტინის არგუმენტაცია, რომ სხვა ქვეყნებში სუბმიკენური ფიბულები თავის ფორმებს იცვლის, ამიერკავკასიაში კი – არა. აქ ისინი ინარჩუნებენ მეტროპოლიაში შემუშავებულ თავდაპირველ სახეს [აბრამიშვილი 1961, გვ. 328, 329; იხ. იქვე Blinkenberg 1926, გვ. 17, 21; Stronach 1959, გვ. 181-185, 203, 204; Куфтин 1944, გვ. 316, 317]. რ. აბრამიშვილის მსჯელობის მიხედვით, რადგან ქრ. ბლინკენბერგი სუბმიკენურ ფიბულებს ზოგადად ძვ.წ. XII-X სს-ით ათარიღებდა, ხოლო ის სახეობები, რომლებიც ამიერკავკასიაში გავრცელდა, ბერძნულ სამყაროში კონკრეტულად ან ძვ.წ. XII ს-ით თარიღდება, ან სუბმიკენურ კერამიკასთან ერთად გვხვდება, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ამ ტიპის ფიბულები კავკასიაში ძვ.წ. XII ს-ში შემოვიდა¹⁰ [აბრამიშვილი 1957, გვ. 117, 136; 1961, გვ. 329].

გ. გობეჯიშვილის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება ფიბულების ბერძნული წარმოშობის შესახებ, არქეოლოგიური მასალა ამას საეჭვოს ხდის, რადგან ძვ.წ. II-I ათასწლეულების მიჯნის კოლხურ და საერთოდ კავკასიის მატერიალურ კულტურაში (ე.ი. მაშინ, როცა საბერძნეთში და ჩვენში პირველად ჩნდება ფიბულა) ბერძნული გავლენის არავითარი კვალი არ შეინიშნება. მას საეჭვოდ მიაჩნდა, რომ ბერძნულის მიბაძვით მხოლოდ ფიბულები ემზადებინათ. ის თვლიდა, რომ ამ სახის საკინძი (ფიბულა) შეიძლება დამოუკიდებლად შექმნილიყო როგორც საბერძნეთში, ასევე საქართველოში. წინამორბედი ხანის მასალებში არ გვხვდება არავითარი მსგავსი ნივთი, რომლისგანაც ფიბულა შეიძლება განვითარებულიყო. ის უშუალოდ გვიანბრინჯაოს ხანის ნაყოფია [გობეჯიშვილი 1959a, გვ. 136, 137].

ე. კრუპნოვი ყოზანური ფიბულების პროტოტიპად ბერძნულ ფიბულებს თვლიდა. მას სავსებით დასაშვებად მიაჩნდა მათი შემოტანა, მაგრამ არა ბერძნული კოლონიების დაარსების დროს ჩრდილო შავიზღვისპირეთში (სადაც ამგვარი ფიბულები აღმოჩენილიც არაა), როგორც ამას ა. კალიტინსკი ამტკიცებდა, არამედ უფრო ადრემიკენური კულტურის ბოლოს, ძვ.წ. II ათასწლეულის სულ ბოლოს [Крупнов 1960, გვ. 103; იხ. იქვე Montelius 1924, ტაბ. 18, 19; Куфтин 1941, გვ. 72].

ო. მუსკარელა ჰასანლუმში (ჩრდილო ირანი) აღმოჩენილი ურარტული ფიბულის კვლევისას ეხება ჩრდ. კავკასიურ პარალელებს და ყოზანის ერთწილად რკალისებურ ფიბულებსაც. მისი აზრით, ამ უკანასკნელის “წარმოშობის სხვადასხვა წყარო არსებობს:

¹⁰ შდრ.: ბ. კუფტინი [Куфтин 1941, გვ. 72]. ჩვენი დამოკიდებულება ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. ქვემოთ.

იტალია, ევროპა, საბერძნეთი, ახლო აღმოსავლეთი.” ხოლო ქრონოლოგიურად ყობანის ფიბულებს ძვ.წ. VIII-VII სს-ში ათავსებს [Muscarella 1965, გვ. 238, 239].

მ. თრაფშს ტიპოლოგია აფხაზეთის სამაროვნების (გუადიხუ, წითელი შუქურა) ფიბულებისა, რომლებიც ლოკალური თავისებურებებით გამოირჩევიან, შემდეგნაირად ჰქონდა წარმოდგენილი. მის მიერ ძვ.წ. VIII-VI სს-ით დათარიღებულ, გუადიხუს სამაროვანზე აღმოჩენილ ფიბულებში გამოყოფდა სამ ტიპს: I. ოვალურფირფიტისებრ-ზურგიანი, II. რომბულგანივკვეთიანი რკალით და III. როზეტისებრი (რომელიც ორწილადაა, რადგან რეპარირებული უნდა იყოს _ ნ. ს.); ასევე VIII-VI სს-ით ათარიღებდა ის წითელი შუქურას სამაროვანს, სადაც გამოვლენილ ფიბულებში გამოყოფდა სამ ჯგუფს: I ჯგუფის ფიბულებს ახასიათებდა მრგვალგანივკვეთრკალიან ფიბულებად; თუმცა ამ ჯგუფში აერთიანებდა სხვადასხვაგვარრკალიან ფიბულებს: A1 - მრგვალგანივკვეთიანი რკალით, წიწვებით შემკული; A2 - მრგვალგანივკვეთიანი რკალით, სადა; A3 - გრებილრკალიანი; A4 - როზეტისებური; A5 - რომბისებურად შემსხვილებულზურგიანი (“ზალიშისებურზურგიანი” _ ნ. ს.); II ჯგუფის ფიბულებში მ. თრაფშს გაერთიანებული აქვს დაწახნაგებულრკალიანი ფიბულები: B1 - რომბულგანივკვეთიანი რკალით, გრავირებული ორნამენტით შემკული და B2 - რომბულგანივკვეთიანი, სადა. III ჯგუფის ფიბულებში კი C1 - რომბისებრი ფორმის, შემკული წიწვისებური ბილიკებით და C2 - ოვალური ფორმის, შემკული ირიბი ნაჭდევებით. როგორც მკვლევარი აღნიშნავდა, გუადიხუს ყველა ფიბულა რკალის ფორმით ახლოა კოლხურ-ყობანურ ბრინჯაოს ფიბულებთან [Трапш 1969, გვ. 71-73, 191-193].

თ. მიქელაძე რკალისებური ფიბულის გამოჩენას კოლხური კულტურის ძეგლებზე მიაწერდა ეგეოსელ ზღვაოსნებს, რომლებმაც შავი ზღვის სამხრეთსა და აღმოსავლეთ სანაპიროს კვლავ მიაღწიეს ე.წ. სუბმიკენურ ხანაში (ძვ.წ. 1160-1050 წწ.). თ. მიქელაძეც იმ აზრისა იყო, რომ ამ ფიბულებს მივეყვართ ხმელთაშუაზღვისპირეთის ფიბულების უძველეს ჯგუფთან, რომელსაც სუბმიკენურს უწოდებენ. ბ. კუფტინის კვალდაკვალ, ისიც ფიქრობდა, რომ ეს ფიბულები სრულიად უცხოა მცირე აზიისათვის და კოლხეთში მათი გამოჩენა შავი ზღვის საზღვაო გზების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია. ის ასევე იზიარებდა ბ. კუფტინის აზრს, რომ ცვლილებები, რომელსაც შემდგომში განიცდის სუბმიკენური ფიბულა, საქართველოში აღმოჩენილ მსგავს ფიბულებს არ განუცდიათ.¹¹ ეს იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ეს ფიბულები საქართველოში შემოტანილია მათი გაჩენის ხანაში [მიქელაძე 1974, გვ. 95, 96; 1985, გვ. 47-49].

ბ. ტეხოვი განეკუთვნება იმ მკვლევართა (გ. გობეჯიშვილი) რიგს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ კავკასიური ფიბულა ადგილობრივ ნიადაგზეა წარმოშობილი და განვითარებული. ის უარყოფს მკვლევართა იმ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც კავკასიური ფიბულის პროტოტიპი ბერძნული “სუბმიკენური” ფიბულაა, რომელიც ძვ.წ. XII ს-ის ბოლოს შემოვიდა კავკასიაში. მისი აზრით, თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ უნდა გავიხსენოთ, რომ ეს არის ბრინჯაოს მეტალურგიის გაფურჩქვნის ხანა კავკასიაში. როგორც ის წერს “Кавказские мастера-металлурги изготовляли много первоклассных изделий.” აქედან გამომდინარე, მათთვის არანაირ სირთულეს არ წარმოადგენდა რკალისებური ფიბულის დამზადება. იმ შემთხვევაში თუ რკალისებური ფიბულა

¹¹ ჩვენი აზრით, ეს არგუმენტი სწორი არაა, იმიტომ, რომ სუბმიკენური ტიპის ფიბულებმა მეტროპოლიაში ადრეარქაულ ხანამდე იარსებეს [Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 42-45]. მათ ცვლილებები არ განუცდიათ. პარალელურად, გარკვეული ქრონოლოგიური სხვაობებით, ეგეოსში სხვა ტიპის ფიბულები წარმოიშვნენ, რაც უახლეს სამეცნიერო ლიტერატურაში სათანადოდაა გაშუქებული.

მართლაც საბერძნეთიდან შემოვიდა, ბ. ტეხოვისათვის გაუგებარია, რატომაა ის გავრცელებული უმთავრესად მთიან რაიონებში და არა კოლხეთის დაბლობზე, რომელიც უფრო მეტად ურთიერთობდა ბერძნულ სამყაროსთან [Техов 1973, გვ. 146, 147; 1977, გვ. 145, 146].

ბ. ტეხოვს ორი არგუმენტი მოჰყავს. პირველი ის, რომ კავკასიელი მეტალურგებისათვის რთული არ უნდა ყოფილიყო ფიბულის დამზადება, და მეორე ის, რომ ფიბულების კონცენტრაციას ადგილი აქვს ცენტრალურ კავკასიაში და არა იმ ტერიტორიაზე, რომელიც უფრო მეტად ურთიერთობდა საბერძნეთთან.

მისი აზრით, კავკასიის რკალისებური ფიბულის პროტოტიპი უნდა ყოფილიყო “Изогнутые бронзовые булавки северокавказской культуры первой половины II тыс. до н. э. (1977 წ. გამოცემის მიხედვით – “середины II тысячелетия до н. э.”).” რა ნივთს გულისხმობს ბ. ტეხოვი, ცოტა გაუგებარია, რადგან არც ტაბულაა მითითებული და არც ლიტერატურა. შემდეგ მას კიდევ ერთი არგუმენტი მოჰყავს. კავკასიური ფიბულა ბერძნული ნიმუშების მიხედვით რომ იყოს დამზადებული, აქ სხვა ფორმებიც გავრცელდებოდა. საპირისპიროდ ის უშვებს შესაძლებლობას, რომ კოლხეთის გავლით კავკასიური ფიბულა შეიჭრა საბერძნეთში ძვ.წ. XII-XI სს-ში, მაგრამ იქ სათანადო განვითარება ვერ ჰპოვა, რაც იმით დასტურდება, რომ მარტივი რკალისებური ფიბულები საბერძნეთში უმნიშვნელო რაოდენობითაა აღმოჩენილი, და იქ სხვა ფორმები წარმოიქმნენ, მაგალითად – ბეოტიური.

საბოლოოდ ის თვლის, რომ თეზისი – კავკასიური ფიბულის განვითარებისა “სუბ-მიკენურიდან”, უარყოფილი უნდა იყოს. კავკასიის ფიბულა წარმოიშვა და განვითარდა ადგილობრივ ნიადაგზე, თუმცა ჯერ რთულია უშუალო პროტოტიპების მოძებნა კავკასიის სიძველეებში [Техов 1973, გვ. 144-149; 1977, გვ. 142-147].

ბ. ტეხოვს აქვს ცალკეული სამაროვნების, კერძოდ თლიას სამაროვნის ფიბულების ტიპოლოგიური მოწესრიგების მცდელობაც. 1973 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში მას გამოყოფილი აქვს 7 ტიპი. აქედან I ტიპისათვის ტიპოლოგიის საფუძვლად აღებული აქვს რკალის მოყვანილობა, ხოლო შემდეგი დანარჩენი 6 ტიპისათვის რკალისა და ბუდის შემკულობა [Техов 1973, გვ. 144, 145]. მას სწორად აქვს შემჩნეული, რომ ყველაზე ადრეული ფიბულებისათვის დამახასიათებელია მრგვალგანივკვეთიანი ღერო, ნახევაროვალური მოყვანილობის თალი და ვიწრო მიმღები ნემსისათვის (ფეხი თუ ბუდე); ხოლო შემდეგ, ფიბულები თანდათანობით განიცდიან ცვლილებებს – მსხვილდება რკალის ღერო, ფართოვდება მიმღები, თალი რკალისებური ხდება [Техов 1977, გვ. 142].

ეს უკანასკნელი დაკვირვება სავსებით სწორია, მაგრამ იმის გამო, რომ მისეული I ტიპის შემდეგ ის ცვლის ტიპოლოგიის საფუძველს, იქმნება გარკვეული არეულობა, რომელიც სულაც არ უწყობს ხელს სამაროვნის ფიბულებიანი კომპლექსების ქრონოლოგიურ მოწესრიგებას [Техов 1973, გვ. 144, 145].

სხვა სურათი გვაქვს ბ. ტეხოვის 1977 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში, სადაც მხოლოდ ფიბულათა სამ ტიპს გამოყოფს, რომლებიც ადრინდელ ნაშრომში წარმოდგენილ სამ ტიპს ემთხვევა. ადრე გამოყოფილი ფიბულათა დანარჩენი ტიპები უკვე აღარ ფიგურირებს [Техов 1977, გვ. 142-147]. ასევე სხვა სურათია ბ. ტეხოვის ახალ ნაშრომში – “Тайны древних погребений, Владикавказ, 2002”. აქ ფიბულები 5 ტიპადაა დაყოფილი. ტიპოლოგიის საფუძველია – “ორნამენტის ფორმა, რკალის ჭრილი, მისი ფორმა, ბუდის მოწყობილობა და სხვ.” [Техов 2002, გვ. 228-230].

ე. საპოუნა-საკელარაკისი თავის ნაშრომში საბერძნეთის კუნძულების ფიბულების შესახებ რკალისებურ ფიბულებს მისეულ II ჯგუფში აერთიანებს და დ. სტრონახისა და

ჯ. ვისნერზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ ისინი ეგეოსის გარდა გავრცელებული არიან იტალიაში, ბალკანეთსა და დუნაისპირეთში, კავკასიასა და მცირე აზიაში (ძვ.წ. XII ს-დან) [Stronach 1959, გვ. 185; Sapouna-Sakellarakis 1978-ის მიხედვით, იხ.: გვ. 42, Wiesner 1939, გვ. 315; 1964, გვ. 90. Sundwall 1943, გვ. 20]. რკალისებური ფიბულების გავრცელება ემთხვევა სუბმიკენურ და პროტოგეომეტრიულ ხანას. გარკვეული ვარიანტებით ფიბულა არსებობს არქაული ხანის ჩათვლით. პერიფერიებში კი უფრო დიდხანსაც [Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 41, 42]. კავკასიის რეგიონს მკვლევარი კიდევ ერთხელ ეხება ნაშრომში, როცა თავისი კლასიფიკაციით ფიბულათა IV ჯგუფს (მკვეთრად შემსხვილებულრკალიანი ფიბულები; რკალი ბუდისა და ზამბარისაგან გამოყოფილია რგოლისებური შემსხვილებებით; ფეხი მაღალი და ტრაპეციის ფორმისაა – ნ. ს.) ო. მუსკარელაზე დაყრდნობით არქაული ხანის განმავლობაში კავკასიაში გავრცელებულ (beliebt – საყვარელი) ტიპად თვლის [Muscarella 1965, გვ. 233; Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 85].

ე. ჩანერი კავკასიის ფიბულებს ეხება წინა აზიასა და ანატოლიაში გავრცელებულ ნახევარმთვარისებურ საკიდებთან დაკავშირებით. ის აღნიშნავს, რომ ნახევარმთვარისებური ფიბულები (ნახევარმთვარისებური საკიდების მსგავსი რკალით – ნ.ს.) ეგეოსის კუნძულების და კვიპროსის გარდა ჩრდილო კავკასიიდანაც არის ცნობილი [Caner 1983, გვ. 202, 204].

რ. გორდეზიანს კავკასიაში გვიანბრინჯაოს ხანის დასასრულის ეგეოსური მიგრაციების ერთ-ერთ ისტორიულ-არქეოლოგიურ საფუძველად აქ “მშვილდის მსგავსი ფიბულების გაჩენა” მოაქვს. ის მცდარად მიიჩნევს ბ. ტეხოვის მოსაზრებებს კავკასიური ფიბულის ადგილობრივობის შესახებ და აკრიტიკებს მის არგუმენტებს. რ. გორდეზიანის აზრით, კავკასიის კონტაქტები ეგეოსურ სამყაროსთან გვიანბრინჯაოს ხანაში გამოიხატებოდა ცალკეულ საზღვაო ექსპედიციებში (მაგ. არგონავტთა ლაშქრობა) ეგეიდიდან კავკასიისაკენ ან ცალკეულ ტომთა მიგრაციაში. ის, რომ ფიბულები ფაქტიურად უცებ გავრცელდა დასავლეთ საქართველოსა და ცენტრალური კავკასიის ტერიტორიაზე, იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ისინი აქ გადმოსახლებულთა ტალღებს უნდა შემოეტანათ და არა საზღვაო ექსპედიციების მიერ იყო იმპორტირებული. იმ ხანებისათვის არსებული არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე ის აღნიშნავს, რომ ფიბულების ნაკლებობა კოლხეთის დაბლობზე და მათი კონცენტრაცია ცენტრალურ კავკასიაში, შესაძლოა, არქეოლოგიისათვის დამახასიათებელი შემთხვევითობით აიხსნას. მისი აზრითაც, თუ გვიანბრინჯაოს ხანის ბოლოს ფიბულები ეგეიდიდან კავკასიაში მართლა გავრცელდნენ, ისინი, რა თქმა უნდა, მშვილდისმაგვარნი იქნებოდნენ, რადგან ამ ხანაში სწორედ ასეთი ფიბულებია გავრცელებული [გორდეზიანი 1985, გვ. 166, 167].

კავკასიის არქეოლოგიაზე მომუშავე მკვლევარები გვერდს ვერ აუვლიან გერმანელი მეცნიერის **გ. კოსაკის** შესანიშნავ ნაშრომს, რომელიც ხასიათდება არქეოლოგიური მასალის საფუძველიან ცოდნაზე დამყარებული საინტერესო ინტერპრეტაციებით. მკვლევარის აზრით, კავკასიაში ფიბულათა არსებობა იწყება ძვ.წ. II-I ათასწლეულების მიჯნიდან. მისი ვარაუდითაც რკალისებურ ფიბულებს წინ ხემისებური ფიბულები უძღოდნენ. კავკასიაში კი იმავე დროს უნდა გავრცელებულიყვნენ, როგორც სამხრეთ ევროპაში, ეგეოსზე, აპენინის ნახევარკუნძულზე და სიცილიაში, კვიპროსზე და ლევანტის სანაპიროზე [იმოწმებს: Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 34, 41; Stronach 1959, გვ. 181; Birmingham 1963, გვ. 80; Kossack 1983, გვ. 99]. მისი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ კავკასიაში ხემისებური ფიბულები არაა აღმოჩენილი, “შეიძლება მათგან წარმოებულად ჩავთვალოთ ზმეისკოეს ნასახლარზე აღმოჩენილი “ასიმეტრიული”

მუხლისებური ფიბულა ჩამოკიდებული რკალითა და მაღალი ფეხით” [Kossack 1983, გვ. 99]. იგი ფიქრობს, რომ ამ “ფიბულის”, ნაჭდევებიანი კერამიკისა და სწორადზურგჩამოჭრილი ნამგლის საშუალებით შესაძლებელია ხიდის გადება გვიანი ხანის ბალკანეთის სამაროვნების კულტურასა (სრუბნაია) და უკრაინის სტეპების ზონას შორის, რომლის საფეხურთა თანამიმდევრობა (საბატინოვკა, ბელოზერკა) კარპატების ქვეყნებთან არის კორელირებული.

გ. კოსაკი კავკასიაში ფიბულების არსებობის დასაწყისს ძვ.წ. XI ს-ით განსაზღვრავს. ის ეყრდნობა ვ. კოზენკოვასა და ა. ლესკოვის განსაზღვრებებს, რომ ფიბულა ზმეისკაია სტანიცადან მსგავსია სიცილიური “ad arpa” (არფისებური) ეგზემპლარებისა, რომლებიც ძვ.წ. XII ს-დან არსებობენ ძვ.წ. IX ს-მდე. სწორედ ამ უკანასკნელ თარიღს აძლევს უპირატესობას ა. ლესკოვი [Козенкова 1975, გვ. 52, სურ. 17; 1975ა, გვ. 91, 93, სურ. 1ა1; Kossack 1983, გვ. 117, სურ. 2]. მთელი რიგი სინქრონულ-ქრონოლოგიური ძაფების გავლებით გ. კოსაკი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ზმეისკაია სტანიცას ფიბულა შეიძლება ძვ.წ. XI ს-ით დათარიღდეს, ხოლო თლიას სამაროვნის ასიმეტრიულრკალიანი ფიბულები [Kossack 1983, სურ. 31-4] ჩაითვალოს ზმეისკაიას ფიბულისაგან წარმოებულად და ათასწლეულების მიჯნით დათარიღდეს [Kossack 1983, გვ. 99-102].

გ. კოსაკის დაინტერესება თლიას სამაროვნით იმან გამოიწვია, რომ, როგორც თვითონ აღნიშნავს, თლია ბევრ კავშირს პოულობს ყობანის ჯგუფთან. კარგად გამოქვეყნებული თლიას სამაროვნის საშუალებით შესაძლებელია ქრონოლოგიური ჯგუფის გამიჯვნა მათთვის დამახასიათებელი ბრინჯაოს ნაწარმის ჯგუფებით [Kossack 1983, გვ. 90-92]. არტეფაქტთა ამ ჯგუფებში პრიორიტეტი ფიბულას ენიჭება. გვიანბრინჯაოს ადრეული ხანა – Tli A – გ. კოსაკის მიხედვით ფიბულების გამოჩენამდე პერიოდია და ძვ.წ. XIII-XII სს-ით თარიღდება [Kossack 1983, გვ. 95, 96, სურ. 2]. გარდამავალი ხანა – Tli B – ფიბულების გამოჩენის ხანაა (ძვ.წ. XI ს.); ამ საფეხურის აბსოლუტური თარიღია ძვ.წ. XI-X სს. [Kossack 1983, გვ. 97-110]. ადრერკინის ხანის – Tli C – საფეხურზე წამყვან ფორმად კვლავ ფიბულებია, ოღონდ სხვა მოდიფიკაციის – მაღალი სიმეტრიული რკალითა და ნიჩბისებური ფეხით. Tli C-ს ძველ პერიოდს ის ძვ.წ. X-IX სს-ით ათარიღებს [Kossack 1983, გვ. 114]. Tli C ახალგაზრდა პერიოდში შემდეგი სახის ფიბულებია – შემსხვილებული, წურბლისებურზურგაიანი, მრგვალგანიკვეთიანი ან როზეტისებურგანიკვეთიანი რკალით. ამ საფეხურის (Tli C ახალგაზრდა) აბსოლუტური თარიღია ძვ.წ. VIII ს-ის შუა ხანები ან მისი ბოლო ათწლეული [Kossack 1983, გვ. 141]. ადრერკინის ხანის – Tli D – საფეხურზე ფორმათა ჯგუფს ის ათარიღებს ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევრითა და ძვ.წ. VI ს-ის მეორე ნახევრით. ამ პერიოდის აბსოლუტური ქრონოლოგიის ერთ-ერთი საფუძველია ახალი მოდიფიკაციის ფიბულები – რკალის ჭრილი როზეტისებური ან კვადრატულია. Tli D-ს ბოლოში ჩნდებიან ბრინჯაოს ფიბულები “ფსევდომარნირიანი” კონსტრუქციით [Kossack 1983, გვ. 154, 156, 157, სურ. 41]. გ. კოსაკის მიხედვით, ფიბულები აქემენიდურ ხანაში კავკასიის ხალხების ტანსაცმლის შემადგენელი ნაწილია [Kossack 1987, გვ. 210].

მიუხედავად იმისა, რომ ფიბულებს კავკასიის არქეოლოგიაში ასეთი მნიშვნელოვანი “როლი” დაეკისრა, მათი მთლიანობაში ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური მოწესრიგების მცდელობა არავის ჰქონია გარდა ი. ვორონოვისა, რომელმაც კავკასიის ფიბულების საკმაოდ “თავისუფალი” და სქემატური ტიპოლოგია მოგვცა და ფიბულების კავკასიაში გამოჩენა ა. კალიტინსკის მსგავსად ბერძნულ კოლონიზაციას დაუკავშირა [Воронов 1983, გვ. 29, 30].

ი. ვორონოვის მიხედვით, კავკასიის რკალისებური ფიბულები გენეტიკურად უკავშირდებიან ევროპულ ფიბულებს, უპირველეს ყოვლისა ბერძნულსა და იტალი-

ურს, რომელთაც კავკასიაში ჩრდილო-აღმოსავლეთის ლოკალური ვარიანტი შექმნეს და ისინი ძვ.წ. VIII-VII სს-ით თარიღდებიან. ხოლო მათი კავკასიაში შემოსვლის გზები დაკავშირებული უნდა იყოს როგორც ჩრდილო, ასევე სამხრეთ შავი ზღვის სანაპიროსთან და მცირე აზიასა და ურარტუსთან [Воронов 1983, გვ. 32; აგრეთვე იხ. მითით. ლიტ. იქვე].¹²

ი. ვორონოვმა კავკასიის ფიბულები დაყო სამ ტიპად: I. სადა ან ორნამენტირებული ფიბულები მრგვალგანიკვეთიანი რკალით; II. სადა ან ორნამენტირებული ფიბულები მრგვალგანიკვეთიანი რკალით, რომლებზეც შემსხვილებებია ზამბარისა და მიმღების წინ; III. გრებილრკალიანი. I და II ტიპის ფიბულებიდან გამომდინარეობს რომბულგანიკვეთიანი ფიბულები. ამასთან დაკავშირებით პირველ რიგში თვალშისაცემია ის სუბიექტური დამოკიდებულება, რომელიც საფუძვლად უდევს ი. ვორონოვის ტიპოლოგიას. მკვლევარი ფაქტიურად იგნორირებას უკეთებს კავკასიაში გავრცელებული სხვა დანარჩენი ტიპის ფიბულებს; პარალელების მოტანისას ხშირად უშვებს უზუსტობებს. მაგ. მისეული I ტიპის ფიბულების ევოლუციურ ტაბულაზე, სადაც მრგვალგანიკვეთიანი ფიბულები უნდა იყოს წარმოდგენილი, გვხვდება ვროკასტროში (კრეტა) აღმოჩენილი ფიბულა მართკუთხაგანიკვეთიანი რკალით [შდრ. Воронов 1983, სურ. 14 და Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 47, ტაბ. 5144].¹³ რომბულგანიკვეთიანი ფიბულებისათვის ტექსტში პარალელები საბერძნეთიდან მოჰყავდა, ლიტერატურის მითითებისას კი ბ. ტეხოვის ნაშრომს ასახელებდა [შდრ. Воронов 1983, გვ. 29, სურ. 118 და იქვე, გვ. 33, სქ. 10]. ეს მაშინ, როცა რომბულგანიკვეთიანი ფიბულები გვაქვს ე. საპონა-საკელარაკის ნაშრომის იმავე ტაბულაზე, რომელსაც ასახელებდა I ტიპის ფიბულებთან დაკავშირებით [იხ. Sapouna-Sakellarakis 1978, ტაბ. 5150-152, ტაბ. 6155, 156, 160]. უზუსტობებია სხვა მითითებებშიც [შდრ. Воронов 1983, სქ. 15, 16].

ი. ვორონოვი თავისი სამივე ტიპის რკალისებური ფიბულებისათვის პროტოტიპებად თვლიდა ისეთივე ტიპის ხემისებურ ფიბულებს. ეს მოსაზრება საკმაოდ გავრცელებულია და მას არაერთი მკვლევარი იზიარებს [Stronach 1959, გვ. 182; Sundwall 1943, გვ. 19; Betzler 1974, გვ. 70; Bouzek 1985, გვ. 159].¹⁴ თუმცა, ორივე ტიპი ხემისებურიც და რკალისებურიც, როგორც საბერძნეთში, ისე იტალიაში დროის გარკვეულ მონაკვეთში თანაარსებობენ კიდევ [Sundwall 1943, გვ. 19; Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 42].

ი. ვორონოვი თავისი II ტიპის ფიბულების ევოლუციურ განვითარებაშიც საწყისად მიიჩნევდა ხემისებურ ფიბულებს დისკოსებური შემსხვილებებით საბერძნეთიდან [Воронов 1983, სურ. 21-5, 16]. დასახელებული 6 ფიბულიდან პირველი (№ 1) ფიბულა საბერძნეთიდანაა (კოსი) [Sapouna-Sakellarakis 1978, ტაბ. I6], მეორე (№ 2) წინა აზიიდან (ჰამა) [Stronach 1959, გვ. 182, სურ. 13; Pedde 2000, გვ. 99-101, 103, ტაბ. 214], მესამე (№ 3) ჰამადანაა [Stronach 1959, გვ. 182, სურ. 15; Pedde 2000, გვ. 106, 107, ტაბ. 535], მეოთხე (№ 4) – ქრ. ბლინკენბერგისეული II 19a ტიპის ფიგ. 59 უნდა იყოს და ძვ.წ. XII-X სს-ით თარიღდება [Blinkenberg 1926, გვ. 75], მეხუთე (№ 5) ფიბულა ლემნოსიდანაა და არ მიეკუთვნება დისკოსებურშემსხვილებებიან ფიბულათა ტიპს [Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 69, 70, ტაბ. 20616 D], მეთექვსმეტე (№ 16) ფიბულა, კრეტადანაა და მას სუსტად

¹² ჩვენი დამოკიდებულება ი. ვორონოვის ნაშრომისადმი იხ. ქვემოთ.

¹³ ამ ლაფსუსს ჯ. აფაქიძემაც მიაქცია ყურადღება, იხ. აფაქიძე 2002, გვ. 236, შენ. 683.

¹⁴ ი. ბოუზეკსაც ი. ვორონოვის ანალოგიური ტიპოლოგია აქვს: a ტიპი – სადა მშვილდიანი, b ტიპი – გრებილმშვილდიანი, c ტიპი – დაკორმილმშვილდიანი [Bouzek 1985, გვ. 159].

გამოხატული დისკოები აქვს [Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 52, ტაბ. 7219], ტაბულაზე მოცემული ფიბულისაგან განსხვავებით.

ამგვარად, როგორც მოტანილი პარალელური მასალიდანაც ჩანს, გარდა კოსის ხემისებური ფიბულისა, არცერთი პარალელი ფაქტიურად არ გამოდგება. ეს ბუნებრივიცაა, რადგან საბერძნეთში დისკოსებურშემსხვილებებიანი ფიბულები არა გვაქვს. ბერძნული ფიბულების შემსხვილებები რკალზე გაფორმებულია ბურთისებურად ან ასტრაგალისებურად.¹⁵

ანალოგიურად საბერძნეთისა, ი. ვორონოვის იტალიის მასალებშიც ხემისებური ფიბულიდან გამოჰყავს რკალისებური დისკოსებურშემსხვილებებიანი ფიბულები ანუ პანტალიჩა (სიცილია) II პერიოდის ხემისებური ფიბულებიდან გამომდინარეობენ: სურ. 2-ის № 11 და № 13 ფიბულები, რომელიც ჰ. მიულერ-კარპესა და ჰ. ბეტცლერის ნაშრომების მიხედვით აქვს მოტანილი – ფიბულები პანტალიჩადან და ესტავაი-ლე-ლაკიდან [Müller-Karpe 1959, სურ. 321; Betzler 1974, ტაბ. 14143]. თუმცა, ძნელი სათქმელია ტაბულაზე რომელი ფიბულაა გამოსახული. № 12 ფიბულა იუგოსლავიის მასალებიდან – პრილეპიდანაა [იხ. Воронов 1983, სქ. 24]. ეს ფიბულა სინამდვილეში არაა რკალშემსხვილებული და პატარაზამბარიანი; დისკოსებური შემსხვილებებიც პატარა ზომისა აქვს. უფრო მეტიც – ძვ.წ. 800 წელს ნამდვილად არ განეკუთვნება. ისინი დისკოებიანი ფიბულების ადრეულ საფეხურს განეკუთვნებიან და ძვ.წ. X ს-ით თარიღდებიან [Vasić 1999, გვ. 45, 46, ტაბ. 24276, 277]. № № 14, 15 ფიბულებიც იტალიის (ესტე) მასალებიდანაა ჰ. მიულერ-კარპეს მიხედვით, თუმცა ძნელი დასადგენია № 14 ფიბულაში რომელი ფიბულა იგულისხმება. № 15 ფიბულა კი ი. მონტელიუსსაცა აქვს გამოქვეყნებული [Montelius 1895, ტაბ. 503]. ი. ვორონოვის ტაბულის მიხედვით, ეს უკანასკნელი ძვ.წ. VII ს-ის შუა ხანებში ჯდება. ამ ტიპის ფიბულების თარიღი კი ძვ.წ. X საუკუნეა [Eles Masi 1986, გვ. 30, 31, ტაბ. 13234-236]. ი. ვორონოვის ტაბულაზე დისკოსებურშემსხვილებებიანი ფიბულების განვითარების ბოლო ეტაპია წინა აზიის (№ 6 – ბოლაზქოი), ურარტუს (№ 7) და კავკასიის ფიბულები (№ № 8, 9, 17). წინა აზიისა და ურარტუს ფიბულებს არანაირი გენეტიკური კავშირი არა აქვთ დისკოებიან ხემისებურ ფიბულებთან, რადგან ამ ტერიტორიაზე აღმოჩენილია ერთადერთი ცალი დისკოებიანი ხემისებური ფიბულა (სტამბულის მუზეუმი), რომელიც დაახლ. ძვ.წ. XII ს-ით თარიღდება და ისიც უცილობლად დასავლეთიდან შემოსულ იმპორტად ითვლება [Caner 1983, გვ. 27, ტაბ. 11]. ამგვარად, საქმე გვაქვს სხვადასხვა გენეტიკისა და ქრონოლოგიის მასალებთან, რომელიც საკმაოდ “თავისუფლადაა” მოქცეული ერთ ტაბულაზე.

ი. ვორონოვისეული III ტიპიც ანუ გრეხილრკალიანი ფიბულები, თავისი ევოლუციური განვითარების სათავეს გრეხილრკალიანი ხემისებური ფიბულებიდან იღებენ. გრეხილრკალიანი ფიბულები იმდენად პოპულარული ტიპია ყველა იმ ქვეყანაში, სადაც ფიბულები მზადდებოდა (კავკასიის სამხრეთი რეგიონების გარდა), რომ მისი ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური განვითარების წარმოდგენა რთული არაა. მაგრამ სირთულეებთანაა დაკავშირებული იმ კომპლექსების დათარიღება, რომლებიც შეიცავენ უმველეს გრეხილრკალიან ფიბულებს. მხედველობაში გვაქვს სამთავროს № 591 სამარხი, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი. ამ კომპლექსის დათარიღებას ი. ვორონოვიც შეეხო. მისი აზრით, სამარხის ინვენტარი (მახვილები, სარტყელის ორნამენტაცია, დაკეჭნილი სამაჯურები, ცენტრალურ-ამიერკავკასიური ცულები)

¹⁵ ამ ტიპოლოგიური ნიშნის გავრცელების შესახებ საბერძნეთის ფიბულებზე იხ.: Sulava 2003, გვ. 273-275.

აერთიანებს სამარხს დვინის სახელოსნოსთან, რომლის განადგურებაც ურარტელების ერთ-ერთ თავდასხმასთანაა დაკავშირებული ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევარში.¹⁶

ი. ვორონოვი სტატიის ბოლოს აკეთებდა სავსებით ლოგიკურ დასკვნას, რომ კავკასიის ფიბულები გენეტიკურად უკავშირდებიან ბერძნულ და იტალიურ ფიბულებს, რომელთაც კავკასიაში, როგორც ო. მუსკარელა ფიქრობდა, შექმნეს ჩრდილო-აღმოსავლეთის ლოკალური ვარიანტი [Muscarella 1965, გვ. 239, 240]. იგი მათ შემოჭრას კავკასიაში ძვ.წ. VIII ს-ით განსაზღვრავდა. მისი აზრით, I ტიპის ფიბულები შეიძლებოდა კავკასიაში როგორც სამხრეთიდან, ისე ჩრდილო შავიზღვისპირეთიდან გავრცელებულიყო. ხოლო II ტიპის ფიბულების გავრცელებას კავკასიაში სამხრეთიდან ფიქრობდა. ასევე არ გამორიცხავდა, რომ საზღვაო გზითაც შეიძლებოდა მომხდარიყო მათი შემოსვლა კავკასიაში. ეს ბოლო მოსაზრება ჯერ კიდევ ბ. კუფტინს ჰქონდა გამოთქმული [Куфтин 1944, გვ. 316]. კავკასიაში ერთწილადი რკალისებური ფიბულების გავრცელების გზების შესახებ ჩვენი მოსაზრება ი. ვორონოვის მოსაზრებისაგან განსხვავებულია, მაგრამ ამის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ.

ამგვარად, კავკასიის ფიბულების ი. ვორონოვისეული ტიპოლოგია ძალიან სქემატურია, რომ არაფერი ვთქვათ უამრავ უზუსტობებზე და მხოლოდ იმ მიზანს ემსახურება, რომ წინასწარვე განსაზღვრულ თარიღამდე მიგვიყვანოს.¹⁷

დ. გერგოვას ა. მილჩევის ნაშრომზე [Milčev 1958, გვ. 475]¹⁸ დაყრდნობით საყურადღებოდ მიაჩნია მოსაზრება თრაკიული და კავკასიური ფიბულების ნათესაობის შესახებ. ა. კალიტინსკის მიერ წამოყენებული აზრი, კავკასიაში ფიბულების შეღწევისა ბერძნული კოლონიზაციის გავლენით ჩრდილო პონტოს სივრცეში, უარყოფილი იქნა, რადგან ამ ფიბულების ხანაში (ძვ.წ. VIII-VII სს.) ბერძნული კოლონიები ჩრდ. შავიზღვისპირეთში არ არსებობდნენ. აქედან გამომდინარე, ა. მილჩევი თვლის, რომ ფიბულები კავკასიაში აღმოჩნდნენ ჯერ კიდევ პირველი ბერძნული კოლონიების დაარსებამდე, როგორც შედეგი თრაკიელებსა და კავკასიის ხალხებს შორის კონტაქტებისა. ის აღნიშნავს, რომ კავკასიური ფიბულების ქრონოლოგია ჯერ კიდევ არ არის საკმარისად ნათელი. უმარტივესი ტიპისათვის ახლახანს, ადრეული დათარიღება – ძვ.წ. VIII ს. იქნა მიღებული, როგორც ის ბ. ტეხოვზე დაყრდნობით¹⁹ [Техов 1973] ამბობს. მას ბ. ტეხოვის ის მოსაზრებაც მოჰყავს, რომლის მიხედვითაც თლიას სამაროვნის ფიბულები საფუძველს აძლევენ გამთხრელს ვარაუდისათვის, რომ ადრეული კავკასიური ფიბულები დამოუკიდებლად განვითარდნენ, განსხვავებით კავკასიის ფიბულების განვითარებული ტიპებისა. სპორადულად არსებული შემკულობა თრაკიულ და კავკასიურ ფიბულებზე ერთგვაროვანი არაა. ადრე რკინის ხანის განმავლობაში ორივე რეგიონში გვხვდება ანალოგიური ორნამენტის ჯგუფები, რომელთა პროტოტიპებიც შეიძლება ლოკალიზირდებოდეს კარპატების აუზში და, ა. მილჩევის აზრით, ადასტურებენ, რატომ ემყარება ფიბულების კავკასიური ჯგუფი თრაკიულ საფუძველს [Gergova 1980, გვ. 298, 303; 1987, გვ. 2].

ი. ბოუზეკის თანახმად, მშვილდისებური ფიბულის ერთდროული გავრცელება საბერძნეთში, იტალიაში და დასავლეთ ბალკანეთში, ადრიატიკის გასწვრივ არსებულ კონტაქტებზე მიუთითებს. მისი კავკასიაში გამოჩენა კი განსაკუთრებულ პრობლემას

¹⁶ ჩვენი დამოკიდებულება სამთავროს № 591 სამარხის თარიღთან დაკავშირებით იხ. ქვემოთ.

¹⁷ კავკასიის ფიბულების ქრონოლოგიის საკითხთან ჩვენი დამოკიდებულება იხ. ქვემოთ.

¹⁸ ა. მილჩევის ნაშრომს ვიცნობ დ. გერგოვას ნაშრომის მიხედვით [Gergova 1987, გვ. 2].

¹⁹ რომელი ტიპის დათარიღებას გულისხმობს, გაუგებარია.

ქმნის. მისეული C ტიპის (რკალზე დისკოსებურშემსხვილებებიანი) ფიბულებზე საუბრისას აღნიშნავს, რომ ეს ტიპი ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან გავრცელებული იყო ადრიატიკის გაყოლებით, საბერძნეთში, კვიპროსზე, სირიაში და კავკასიის რეგიონში, ხოლო მარტივმშვილდიანი ფიბულები (A ტიპი) კავკასიაში გამოირჩევიან სიმძიმით, მასიურობით და უფრო მჭიდლის ნამუშევარს გვანან, ვიდრე ოქრომჭიდლისა [Bouzek 1985, გვ. 159, სურ. 81; 1980].

საინტერესოა ი. ბოუზეკის მოსაზრება ახალი ათონისა და აბგარხუკის ფიბულების შესახებ. მისი აზრით, ისინი ძლიერ გვანან ბერძნულ პროტოგეომეტრიულ ფიბულებს, როგორც საერთო იერით, ასევე დისკოებით. ამასთანავე აღნიშნავს, რომ ფიბულათა სხვა ვარიანტები დასავლეთ რეგიონიდან (დასავლეთ საქართველოდან – ნ. ს.) მოგვაგონებენ ბერძნულ სქემას. მისი აზრით, ამიერკავკასიის შავიზღვისპირეთი ყველაზე უფრო საუკეთესო სავარაუდო არეა საბერძნეთთან საკონტაქტოდ, რაც მითებშიც აისახა. ის აგრეთვე აღნიშნავს, რომ არა მარტო ფიბულები, არამედ ცხოველების და ადამიანების ფიგურები, სატევრები და სხვა ნივთებიც ავლენენ დასავლურ კავშირებს. ი. ბოუზეკის აზრით, საქართველოს განვითარება გვიან ბრინჯაოდან ადრე რკინის ეპოქამდე შეიძლება შეედაროს ცენტრალური ევროპის ჰალშტატურ უწყვეტ განვითარებას [Bouzek 1983, გვ. 191].

ალ. პრუსს კავკასიის მასალებიდან თლიას სამაროვნის ფიბულები 5 ტიპად აქვს დაყოფილი 1. ასიმეტრიულრკალიანი 2. სიმეტრიულრკალიანი (ოდნავ დაბალი თალით – ნ. ს.); 3. ნახევარწრისებურრკალიანი, შემკული; 4. სიმეტრიული, ნახევარწრისებური, სადა, განიერი ბუდით; 5. ნახევარწრიული, სიმეტრიული, რკალზე დისკოსებური შემსხვილებებით. მისი თქმით, იმის მერე, რაც ნათელი გახდა, რომ ყობანის კულტურის სივრცეში ფიბულები ირგვლივ მდებარე (umliegende) რეგიონებიდან იქნა გადაღებული, ცენტრალური საკითხი ყობანის კულტურის დასაწყისის დათარიღებისა ფიბულების გაჩენის მომენტი გახდა. ის გამორიცხავს მედიტერანული სივრციდან ფიბულების შემოსვლას ანატოლიის გზით, რადგან ცენტრალურ თურქეთში ფიბულები ძვ.წ. VII ს-დან ჩნდება. გამორიცხავს ამ პროცესში უკრაინის გზასაც. ბოლოს კი ასკვნის, რომ კავკასიაში ფიბულები საზღვაო გზით გაჩნდნენ.²⁰ ის აღნიშნავს, რომ რკალისებური ფიბულები ძვ.წ. VIII ს-შიც არსებობენ და, რომ ადრეულ რკალისებურ ფიბულებს დიდი ზამბარა აქვთ, რასაც ქრონოლოგიისათვის მნიშვნელობა ენიჭება. ალ. პრუსის აზრით, კავკასიაში ფიბულების გავრცელების თარიღია ძვ.წ. XI-IX სს. [Pruß 1990, გვ. 154]. ამ საკითხთან დაკავშირებით მას, ალბათ, ყველაზე მისაღებად მიაჩნია გ. კოსაკის არგუმენტაცია (ზმეისკოეს მუხლისებური ფიბულა, მისი პარალელები, ქრონოლოგიურად დაკავშირება ეგეოსისა და სიცილიის ძვ.წ. XI ს-ის ფიბულებთან, თლიას ასიმეტრიული ფიბულების ამ ფიბულებიდან განვითარება და ამიტომ, კავკასიაში ფიბულების გაჩენის ძვ.წ. II-I ათასწლეულების მიჯნით განსაზღვრა – ნ. ს.), მაგრამ როგორც თვითონ წერს, ამ გასაოცარი თეზისათვის (“überraschende These”) გ. კოსაკის არგუმენტაცია მაინც საკმარისი არ უნდა იყოს. მისი აზრით, ზმეისკოეს აღმოჩენა იმდენად იზოლირებულია, რომ ფიბულების ლოკალური წარმოშობა კი არ უნდა ვივარაუდოთ, არამედ ბიძგი დასავლეთიდან იმპორტში უნდა დავინახოთ. მას მისაღებად მიაჩნია ა. ტალგრენის, ჯ. ზუნდვალისა და ო. მუსკარელას არგუმენტები ფიბულების კავკასიაში გამოჩენის ძვ.წ. X ს-ით განსაზღვრის სასარგებლოდ და თავის მხრივ უმატებს, რომ დიდი ზომის ზამბარა, რაც დამახასიათებელია ადრეული ბერძნული ფიბულებისათვის, თლიას ფიბულებში უკვე აღარ გვხვდება [Pruß 1990, გვ. 156]. ალ.

²⁰ შდრ. Куфтин 1944, გვ. 316; 1950, გვ. 224, 225.

პრუსი თვლის, რომ თლიას სამაროვანს შუამავალი როლი უკავია ჩრდილო და ამიერკავკასიას შორის [Pruß 1994, გვ. 22].

თლიას სამაროვნის მასალა ალ. პრუსს დაყოფილი აქვს მამაკაცთა სამარხებისა და ქალთა სამარხების მიხედვით ექვს-ექვს ჯგუფად და ორივე ჯგუფის ქრონოლოგია ერთად აქვს მოცემული. მისი ამგვარი დაყოფის მიხედვით მამაკაცთა სამარხებში უადრესი ფიბულები (ასიმეტრიული, დაბალი და ნახევარწრისებური) ჩნდება – ჯგუფში თლია 2, რომელსაც ძვ.წ. X ს-ით ათარიღებს [Pruß 1993, გვ. 30; 1994, გვ. 16], ხოლო ქალთა სამარხებში კი ჩნდება ჯგუფში თლია 3/4, რომელსაც ძვ.წ. IX და VIII ს-ის პირველი მეოთხედით – VIII ს-ის ბოლოთი ათარიღებს [Pruß 1993, გვ. 39; 1994, გვ. 16, 17]. ე.ი. ფაქტიურად გ. კოსაკისა და ალ. პრუსის დათარიღება – ძვ.წ. ათასწლეულთა მიჯნა, ძვ.წ. X ს. – ერთმანეთს ემთხვევა.

ალ. პრუსის ტიპოლოგიაში ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა ის, რომ სწორადაა დალაგებული ტიპები – ასიმეტრიული, დაბალრკალიანი, ნახევარწრისებურრკალიანი. ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან თვით შედარებითი ქრონოლოგია გვაძლევს ამის საფუძველს. ტერმინს “ასიმეტრიულრკალიანი”, მკვლევარი იმეორებს გ. კოსაკის კვალდაკვალ, რომელმაც პირველად გამოიყენა ეს განსაზღვრება [Kossack 1983, გვ. 97, სურ. 31-4]. ორივე მეცნიერი ამ ტერმინს (ასიმეტრიული) იყენებს იმდენად, რამდენადაც ეს ჭირდებათ სამაროვნის ქრონოლოგიის ასაგებად. გ. კოსაკი თლიას სამაროვნის ასიმეტრიულრკალიან ფიბულებს აკავშირებს სამხრეთ ევროპის მუხლისებურ ფიბულებთან და ძვ.წ. II-I ათასწლეულების მიჯნით ათარიღებს [Kossack 1983, გვ. 99-101].

ს. რაინჰოლდის აზრით, ჩრდილოკავკასიური ფიბულები მიეკუთვნებიან რკალი-სებური ფიბულების კლასს. ისინი არიან დამოუკიდებელი კავკასიური წარმოშობისა, რადგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ანატოლიური, ბერძნული და ბალკანური ფიბულებისაგან. ამასთან ნაკლებ სტილისტურ კავშირს ავლენენ წინააზიის ფიბულებთან.

ფიბულების ს. რაინჰოლდისეული კლასიფიკაციის მთავარი კრიტერიუმია ფიბულათა რკალის მოყვანილობა, რადგან ქრონოლოგიურ მომენტს, მისი აზრით, როგორც ჩანს, ფიბულის რკალის სისქე განსაზღვრავს. წვრილი რკალი ადრეულია, მსხვილი, დაკუთხული რკალი – გვიანი. შემკულობის მიხედვით ის ფიბულებში გამოყოფს 6 ჯგუფს: 1. ფიბულები სადა რკალით; 2. ფიბულები შემკული თევზიფხური სახით; 3. გეომეტრიული მოტივებით შემკული ფიბულები; 4. დაკუთხულრკალიანი ფიბულები; 5. გრეხილრკალიანი ფიბულები; 6. ვარსკვლავისებურჭრილიანი რკალის მქონე ფიბულები.

ს. რაინჰოლდს, როგორც განსაკუთრებული ფორმები, გამოყოფილი აქვს სამი ფიბულა: ზომორფულრკალიანი ფიბულა, გველისებურრკალიანი და ზმეისკოეს ნასახლარის ე.წ. მუხლისებური ფიბულა [Reinhold 1995, გვ. 103, დანართი 1, გვ. 1-3, ტაბ. 247].

გ. ლიჩელის აზრით, კავკასიის ფიბულები მომდინარეობენ არა უშუალოდ ბერძნული პროტოტიპებიდან, არამედ ადრე რკინის ხანის ბერძნული ორიგინალების ფრიგიული ადაპტაციებიდან, და რომ ჩვენ შეიძლება მათ ვუწოდოთ ფრიგიული ფიბულების კოლხური რეინტერპრეტაცია. ის თვლის, რომ ფიბულის ტიპი, რომელიც შეიქმნა კავკასიის ფარგლებს გარეთ, შემოტანილ იქნა კავკასიაში მცირე აზიიდან, უფრო ფრიგიიდან, საქონლის მოძრაობასთან ერთად, ვიდრე უშუალოდ ბერძნული პროტოტიპების მოძრაობის შედეგად შავი ზღვის მეშვეობით. მისი აზრით, ეს დასკვნა ბაზირებულია პირობით მონაცემებზე, რადგანაც არც ადრეული ფრიგიული და არც

ბერძნული ფიბულა არ ყოფილა აღმოჩენილი საქართველოს ტერიტორიაზე.²¹ ის თვლის, რომ ამ მოსაზრებას მხარს უჭერს სხვა სახის აღმოჩენა – ბრინჯაოს ქანდაკება ფრიგიული ქუდით (იმოწმებს – ლამბაშიძე, ლამბაშიძე 1987, გვ. 40, 41). ფიბულის გამოჩენას კავკასიაში ის ძვ.წ. VII ს-ს მიაწერს [Licheli 1997, გვ. 33-43].

ი. მოტცენბეკერი “კოსნიერსკას კოლექციის” (ფასკაუ, ზემო რუთხა) პუბლიკაციასთან დაკავშირებით, სადაც ფიბულებიცაა წარმოდგენილი, ეხება კავკასიურ ფიბულებს, რომლებსაც ადრეული ყობანის კულტურას მიაკუთვნებს. ის გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ფიბულათა მასობრივი პროდუქციით კალიანი ბრინჯაოს შემოსვლა ხომ არ ხდებოდა იმ ქვეყნებიდან (ბალკანეთი, ალპების მხარე, ეგეოსი, იტალია), სადაც კავკასიაზე უფრო ადრე ჰქონდათ გამოყენებული ბრინჯაოს წარმოებაში კალა, რომელიც სატრანზიტო ვაჭრობით უნდა შესულიყო ცენტრალურ კავკასიაში. მისი აზრით, ფიბულებზე დაყრდნობით კავკასიის სივრცეში უცხო (ევროპული) ხალხთა დიდი რაოდენობის შემოჭრას ადგილი არ უნდა ჰქონებოდა [Motzenbäcker 1996, გვ. 103, 104]. მას “კოსნიერსკას კოლექციის” ერთწილად რკალისებურ ფიბულებში სამი ტიპოლოგიური ჯგუფი აქვს გამოყოფილი: რკალშემკული და სხვადასხვანაირი განივკვეთის მქონე ფიბულები (ვარიანტები F1-F5), დისკოსებურშემსხვილებებიანი ფიბულები და გრებილრკალიანი. I ჯგუფის ფიბულები, რომელთა საწყისი თარიღი მთლად ნათელი არაა, როგორც ი. მოტცენბეკერი წერს, ხანგრძლივი დროის მანძილზე არსებობენ, რკინის ხანის ჩათვლით და მათ ფორმებს რკინის ფიბულები იმეორებენ. F1 ვარიანტი დათარიღებულია ძვ.წ. XI-X სს-ით, F4 ვარიანტი – ძვ.წ. X-IX სს-ით, F5 ვარიანტი – ძვ.წ. VI ს-ით. მიუხედავად იმისა, რომ ი. მოტცენბეკერი დისკოსებურშემსხვილებებიანი ფიბულების დათარიღებაში გ. კოსაკს ეყრდნობა, ამ შემთხვევაში იზიარებს ბ. ტეხოვის დათარიღებას – ძვ.წ. VI-V სს [Motzenbäcker 1996, გვ. 103-105].

ვ. კოზენკოვა მისეული “ყობანის კულტურის” აღმოსავლური ვარიანტის უძველეს ფიბულად სერჟენ-იურტის ნასახლარის ძვ.წ. X-VII სს-ით დათარიღებული ფენის რკალისებურ ფიბულას თვლის და ის ძვ.წ. XIII-X სს-ის იტალიური თაღისებური ფიბულების მინაბაძად მიაჩნია. თვით ფიბულას სერჟენ-იურტიდან ძვ.წ. X-IX სს-ს მიაკუთვნებს [Козенкова 1982, გვ. 59]. ის არ იზიარებს ი. ვორონოვის მიერ შემოთავაზებულ კავკასიაში ფიბულების შემოსვლის თარიღს (ძვ.წ. VIII ს.) და იშველიებს ა. კალიტინსკის მოსაზრებაზე (ფიბულათა გამოჩენის დაკავშირება ბერძნულ კოლონიზაციასთან) ა. იესენის მიერ გასული საუკუნის 30-იან წლებში გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნას, რომ ბერძენი ზღვაოსნები ძვ.წ. VIII ს-ში ვერ შემოიტანდნენ ფიბულის იმ სახეობას, რომელიც საბერძნეთში აღარ იწარმოებოდა.²² კავკასიის ფიბულების საწყისი თარიღის განსაზღვრაში ის დიდ როლს ანიჭებს ზმეისკაია სტანიცას ფიბულას [იხ. Деопик, Крупнов 1961, გვ. 28], რომელსაც გამთხრელების აზრის საწინააღმდეგოდ, რომ ეს ნივთი დეფორმირებული ქინძისთავია და არა ფიბულა, თვლის ძვ.წ. XI-X სს-ის მუხლისებურ იტალიურ ფიბულად. ის ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე, ე.წ. ფარისებრ ფიბულაზე ვ. დოლბეჟევის 1887 წლის გათხრებიდან ყობანის ჩრდილო სამაროვანზე და აღნიშნავს, რომ ფარისებრი ფიბულები დამახასიათებელია ურნათა ველების კულტურისათვის ძვ.წ. XII-XI სს-ში [Козенкова 1996, გვ. 81, 85].

კავკასიის ფიბულების კლასიფიკაციის მცდელობების (მ. თრაფში, გ. კოსაკი – ზურგის ფორმა და განივკვეთი; ბ. ტეხოვი – ზურგის ფორმა და ორნამენტი; ა. კალიტინსკი, ბ. კუფტინი, ი. ვორონოვი – მათ პირდაპირ გადმოიტანეს ხმელთაშუა-

²¹ ჩვენი დამოკიდებულება ამ საკითხის შესახებ იხ. ქვემოთ.

²² ეს მოსაზრება უკვე საკმაოდ მოძველდა, რაც კარგად ჩანს ბოლო ხანების გამოკვლევების მიხედვითაც.

ზღვისპირეთის ფიბულების ტიპოლოგია) მიმოხილვისას, ვ. კოზენკოვა აღნიშნავს, რომ ყველა მკვლევარი აწყდებოდა ადგილობრივი ძეგლების ქრონოლოგიის პრობლემას. ისინი ან აძველებდნენ ან აახალგაზრდავებდნენ მასალებს. ვ. კოზენკოვა თვლის, რომ ხმელთაშუაზღვისპირეთის ფიბულების ზეგავლენის უარყოფა კავკასიის ფიბულებზე არამართებულია. მთავარია დადგინდეს როდის მოხდა ეს, რომელი გზებით ხდებოდა ფიბულების გავრცელება, როგორი მოდიფიკაცია განიცადეს მათ უცხო პირობებში.

ვ. კოზენკოვას აზრით, ხმელთაშუაზღვისპირეთის ყველაზე ადრეული ტიპი, ხემისეზური ფიბულები (ძვ.წ. XIII-XII სს.) კავკასიაში არ გვაქვს, მაგრამ გვაქვს მისი გვიანი მოდიფიკაცია, ე.წ. მუხლისებური ფიბულა (ძვ.წ. XI-X სს.) და ფარისებრი ფიბულა²³ (ძვ.წ. XI-X სს.) ზემისკოეს ნასახლარიდან და ზემო ყოზანის სამაროვნიდან. “ირიზ” დამადასტურებლად იმისა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ადრეული იერი კავკასიური ფიბულისა, მას მაგალითად მოჰყავს სტეპნოს ძვ.წ. XI-X სს-ით დათარიღებული ფიბულა. ამ უკანასკნელთან კი თლიას (№ № 64, 115 სამარხები) ფიბულებს აკავშირებს.

საბოლოოდ, ის ყოზანის კულტურის მისეულ დასავლურ ვარიანტში ფიბულების ორ ტიპს გამოყოფს. ტიპოლოგიის საფუძვლად აღებული აქვს რკალის ფორმა, ხოლო ვარიანტები გამოყოფილი აქვს შემდეგი ნიშნებით: რკალის ყველაზე დიდი სიმაღლის შეფარდება ნემსის სიგრძესთან; რკალის განივკვეთის ფორმა; მიმღების (ბუდის) ფორმა და ზომა; ზამბარის ნახვევების რაოდენობა; რკალის დეკორი. ამ პრინციპით მისი I ტიპის ფიბულების ტიპოლოგიური ნიშნებია – თანაბრად გაგანიერებული რკალი, მრგვალი, როზეტისებური, სეგმენტისებური და რომბული განივკვეთით; II ტიპის ფიბულების ტიპოლოგიური ნიშნებია – მკვეთრად შემსხვილებული ზურგი, თავსა და ბოლოში რგოლისებური შვერილებით. ვ. კოზენკოვას I ტიპის ფიბულები თავისი 4 ვარიანტით, არსებობენ ძვ.წ. II-I ათასწლეულების მიჯნიდან ძვ.წ. VI-V სს-ის ჩათვლით. II ტიპის ფიბულები – ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან ძვ.წ. VI ს-მდე. მკვლევარი ბოლოს ასკვნის, რომ როგორც I ასევე II ტიპის ფიბულების პროტოტიპები შეგვიძლია დავინახოთ ე. საპოუნა-საკელარაკის “IV B” ტიპში²⁴ [Козенкова 1998, გვ. 71-75].

ნ. დოლიძეს აფხაზეთის სამაროვნის ფიბულები დაყოფილი აქვს 6 სახეობად. ესენია: მრგვალგანივკვეთიანი, გრეხილრკალიანი, წურბლისებურრკალიანი, დაწახნაგებულრკალიანი, ფირფიტოვანრკალიანი, ასიმეტრიული. მ. თრაფმის მსგავსად, ნ. დოლიძესაც მრგვალგანივკვეთიანი ფიბულების სახეობაში სხვადასხვაგვარრკალიანი ფიბულები აქვს გაერთიანებული. მაგ.: ჭვირულვარდულრკალიანი და რომბულრკალიანი [დოლიძე 1999, გვ. 65-67]. გაურკვეველია რას გულისხმობს მკვლევარი “ასიმეტრიულ” ფიბულაში [დოლიძე 1999, გვ. 68, 69]. მას კოლხეთში ფიბულების გავრცელების პერიოდად ძვ.წ. VIII-VI სს-ი მიაჩნია [დოლიძე 1999, გვ. 71].

ო. ლორთქიფანიძე აღნიშნავდა, რომ ძვ.წ. VIII-VII სს-ში კოლხეთის მატერიალურ კულტურაში სრულიად აშკარად თავს იჩენს ინოვაციები, რომლებიც ვერ აიხსნება ვერც ადგილობრივი ტრადიციებით და ვერც წინააზიურ კულტურებთან ურთიერთობით. ამ სიახლეთა შორის ჩნდება ტანსაცმლის ახალი ელემენტი, ე.წ. სუბმიკენური ტიპის ერთწილადი მშვილდისებური ფიბულები, ხოლო აფხაზეთში აღმოჩენილი იმპორტული ფიბულები კოლხეთისა და ეგეოსური სამყაროს კოლონიზაციამდელი კონტაქტების დამადასტურებელია [ლორთქიფანიძე 2002, გვ. 187, 188, სურ. 157].

²³ ეს ნივთი სპეციალურ ლიტერატურაში ვერსად მოვიძიეთ.

²⁴ ვ. კოზენკოვას მიერ მოტანილი ეს პარალელი ვერ არის შესაფერისი, რადგან ე. საპოუნა-საკელარაკის “IV B” ტიპის ფიბულებს [Sapouna-Sakelarakis 1978, ტაბ. 21, 22] კავკასიური დისკოსებურშემსხვილებებიანი ფიბულებისაგან განსხვავებით, აქვთ შემსხვილებული რკალი, რომელიც შემოსაზღვრულია ასტრაგალი-სებური შემსხვილებებით.

ჯ. აფაქიძე კავკასიის ფიბულებიდან თლიას სამაროვნის ფიბულებს 4 ტიპად ყოფს “მორფოლოგიური და ქრონოლოგიური ასპექტების გათვალისწინებით”: I. ასიმეტრიულრკალიანი ფიბულები; II. ოდნავასიმეტრიულრკალიანი ანუ იგივე ნახევაროვალურრკალიანი; III. ნახევარწრისებურრკალიანი; IV. ნახევარწრისებურრკალიანი, რკალზე “დისკოსებრი” გამონაზარდებით (შდრ. სულავა 2000ა).

უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ პირველ რიგში სრული არეულობაა ტერმინოლოგიაში. I ტიპის ფიბულები ნამდვილად ასიმეტრიულრკალიანია და ტაბულაზე გამოსახულს შეესაბამება. II ტიპის ფიბულები ნახევაროვალურრკალიანია და როგორ შეიძლება ისინი ამავდროულად, როგორც ტექსტშია აღნიშნული, ოდნავასიმეტრიულრკალიანი იყვნენ – გაუგებარია?! IV ტიპად გამოყოფილ დისკოსებურგამონაზარდიან ფიბულებზე აღნიშნავს, რომ ნახევარწრისებურრკალიანია ანუ თავისუფლად შეიძლებოდა III ტიპში მათი გაერთიანება ვარიანტის სახით [აფაქიძე 2002, გვ. 161-166]. ჯ. აფაქიძის მიხედვით, თლიას სამაროვანზე ფიბულები ჩნდება თლია II A ქვეპერიოდში, ძვ.წ. XI ს-ის მეორე ნახევარში.* სხვა მკვლევართა კვალდაკვალ ისიც თვლის, რომ ფიბულები კოლხეთში საბერძნეთიდან და იტალიიდან უნდა გავრცელებულიყვნენ და აქ ლოკალური, აღმოსავლური ვარიანტი შეექმნათ [აფაქიძე 2002, გვ. 233-242].

ასეთია მოკლედ კავკასიის ფიბულათა შესწავლის ისტორია. როგორც ვნახეთ, კავკასიის ფიბულების შესახებ მკვლევარები, ხშირად ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ და ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებს გამოთქვამენ. ეს ეხება ფიბულების გენეზისის პრობლემას, ქრონოლოგიასა თუ სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. ჩვენს დამოკიდებულებას ცალკეული მკვლევარების მიერ გამოთქმულ შეხედულებაზე გზადაგზა, ქვემოთ შევხებით.

II თავი. კავკასიის ერთწილადი რკალისებური ფიბულების აღმოჩენები (ძეგლები)

კავკასიაში ერთწილად რკალისებურ ფიბულათა უმეტესი ნაწილი აღმოჩენილია სამაროვნებზე, შემდეგ განძებში, იშვიათად სამლოცველოებზე და ნასახლარებზე. ფიბულათა აღმოჩენები 152 ძეგლიდანაა ცნობილი.²⁵ საერთო სურათის წარმოსადგენად, თუ რა ვითარებაშია აღმოჩენილი კავკასიის ფიბულები, აუცილებლად მივიჩნიეთ იმ ძეგლების მიმოხილვა, რომელთაც განსაკუთრებული ადგილი უკავიათ კავკასიის არქეოლოგიაში.

სამაროვნები. კავკასიაში რამდენიმე ისეთი სამაროვანია, რომლებიც მნიშვნელოვანია როგორც ფიბულათა კონცენტრაციის, ისე იქ მოპოვებული ფიბულების სწორი ტიპოლოგიური და ქრონოლოგიური განსაზღვრის შესაძლებლობის თვალსაზრისითაც, რადგან ამაზე დიდადაა დამოკიდებული კავკასიაში ფიბულების გამოჩენისა და გენეზისის საკითხების, მათი ევოლუციური განვითარების სურათის წარმოდგენა. ამიტომ, საჭიროდ ჩავთვალეთ მოკლედ ვაჩვენოთ: რა მასალას შეიცავს ეს სამაროვნები, მათი

* ე.ი. გამოდის, რომ კოლხეთის სამაროვნების ფიბულები უფრო ახალგაზრდაა თლიას სამაროვნის ადრეულ ფიბულებზე. ჩვენი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი იხილეთ ქვემოთ.

²⁵ ბუნებრივია, რომ ამ ციფრს არ შეიძლება სიზუსტის პრეტენზია ჰქონდეს, ვინაიდან კავკასიაში არსებული პოლიტიკური ვითარების გამო, არ გვქონდა საშუალება კავკასიის ყველა მუზეუმის ფონდებში მუშაობისა; ზოგჯერ, სამწუხაროდ, არც ყველა ნაშრომზე მიგვიწვდებოდა ხელი.

დღეისათვის მიღებული დათარიღება, ამა თუ იმ სამაროვნის როლი კავკასიის არქეოლოგიის პრობლემატური საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებით; ანუ ყველა ის ასპექტი, რომლებიც ახლავს ამ სამაროვნებში აღმოჩენილ ფიბულებს. ვფიქრობთ, ამგვარი მიმოხილვით გარკვეული სურათის შექმნა შეიძლება კავკასიაში ფიბულების გავრცელების შესახებაც.


ცენტრალური კოლხეთის სამაროვნები.²⁶

ურეკი (სურ. 1). ურეკის სამაროვანზე საველე-არქეოლოგიური სამუშაოები, რომელმაც ფიბულების შემცველი სამარხები გამოავლინა, თ. მიქელაძის ხელმძღვანელობით, 1976 წელს დაიწყო [მიქელაძე 1985, გვ. 3]. სამარხები იქ ორგვარია – კოლექტიური სამარხი ორმოები (№ № 1, 2, 3) და ინდივიდუალური (69 სამარხი). კოლექტიური სამარხი ორმოები საოჯახო-საგვარეულო სამარხებადაა მიჩნეული. ამ სამარხებში, დაკრძალვასთან დაკავშირებული რიტუალის შესრულების შემდეგ ასაფლავებდნენ მიცვალებულთა ძლიერ დანაწევრებული ძვლების ნაშთებს. თანმხლები ინვენტარი წარმოდგენილია: იარაღით, სამკაულით, საკულტო საგნებით, იშვიათად თიხის ჭურჭლით. ხშირ შემთხვევაში მიცვალებულთა ნაშთები და კუთვნილი ნივთები გამოცალკევებულ ჯგუფებად (ქვეკომპლექსებად) იკითხება. ქვეკომპლექსში შემავალი ნივთები ხშირად თავმოყრილია სეგმენტურ იარაღზე ან ფარის უმბონზე. დაფიქსირებულია ნივთების ჯგუფისა და ძვლოვანი ნაშთების ტყავში ან ქსოვილში გახვევის შემთხვევები (№ 1 სამარხი ორმო, I და II ქვეკომპლექსები). სამარხში ნივთები ზოგჯერ ისე კომპაქტურადაა განლაგებული, რომ ქვეკომპლექსების გამოყოფა საკმაოდ პირობითია.

სამივე სამარხი ორმო (№ № 1, 2, 3) და ე.წ. საკულტო მოედანიც დაზიანებული იყო იქ გამართულ ქვიშის კარიერზე წარმოებული სამუშაოების შედეგად. საკულტო მოედანი წარმოადგენდა ქვაყრილით მოფენილ მოედანს. ქვაყრილში ფიქსირდებოდა ცეცხლის კვალი, წვრილად დანაწევრებული ძვლების ნაშთები, თიხის ჭურჭლის უამრავი ნატეხი და ცალკეული ნივთები: რკინის დანები, სატევარი, თოხი, შუბის მასრა; ბრინჯაოს ღერო, ისრისპირები, ზარაკი, აბზინდა, მილაკი; კაჟის ისრისპირი; ვერცხლის რგოლები; სარდიონის, იასპის, მინის, გიშრის მძივები; ძვლის ნივთები; სალესი ქვები.

ინდივიდუალური სამარხებიც (№ № 1-69) სავარაუდოდ კრემაციული უნდა ყოფილიყო. ინვენტარის მიხედვით ისინი სამარხი ორმოების მსგავსია [მიქელაძე 1985, გვ. 3-13].

²⁶ ცენტრალური კოლხეთის სამაროვნებზე საველე-არქეოლოგიურ სამუშაოებს წლების განმავლობაში აწარმოებდა კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია პროფ. თ. მიქელაძის, ხოლო შემდეგ დოქტ. რ. პაპუაშვილის ხელმძღვანელობით.



სურ. 1. ურეკის სამაროვანი. I. სამარხებს გარეთ მოპოვებული მასალა. II. სამარხი № 3. სამარხებს გარეთ აღმოჩენილი ფიბულები - 1 (კატ. 3), 2 (კატ. 326). № 3 სამარხის ფიბულები - 3 (კატ. 350), 4 (კატ. 449), 5 (კატ. 698).

ურეკის სამაროვნიდან 9 ფიბულაა ცნობილი.²⁷ 6 ფიბულა (3 ბრინჯაოსი, 3 რკინისა) აღმოჩნდა № 3 სამარხ ორმოში (მეორადი დაკრძალვა კრემაციით). თანმხლები ინვენტარი წარმოდგენილია შემდეგი მასალით: კერამიკა – ქოთნები, ქუსლგამოყვანილი ჭურჭელი; ბრინჯაო – სეგმენტები, ჰარპუნები, თოხი, საყბეური, უმბონები, ცულები, სატევარი, ისრისპირები, ლურსმნები, საკისრე რკალები, სამაჯურები, რგოლები, აზინდები, დუგმები, მცირე ქანდაკებები, საკინძები, მილაკები; რკინა – სატევრები, შუბისპირები, ისრისპირები, ცული; ოქრო – ზომორფულთავებიანი სასაფეთქლე რგოლები, მილაკი, გარსაკრავი, მძივი; სარდიონის, იასპის, გიშრის, ქალცედონის, ქარვის, ოპალის, მინის მძივები; სარდიონის თვლები [მიქელაძე 1985, გვ. 102-104, ტაბ. IX-XVIII]. 3 ფიბულა (2 ბრინჯაოსი, 1 რკინის) აღმოჩენილია სამარხის გარეთ მოპოვებულ მასალაში [მიქელაძე 1985, გვ. 13, ტაბ. XXVII2(948), 3(949)].


ჩვენთვის საინტერესო ფიბულების შემცველ № 3 სამარხ ორმოს თ. მიქელაძე ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრით ათარიღებს [მიქელაძე 1985, გვ. 90, 91].

ურეკის სამაროვნის მაღალრკალიანი ფიბულები 5 სახისაა: 1. მრგვალგანიკვეთრკალიანი სადა ფიბულა [მიქელაძე 1985, ტაბ. XXVII3]; 2. მრავალწახნაგანნიკვეთიანი, წიწვისებურად შემკული [მიქელაძე 1985, ტაბ. XXVII2]; 3. მრგვალგანიკვეთრკალიანი, ზურგმემსხვილებული, რკალის თავსა და ბოლოში დისკოსებრი

²⁷ მ. ჭირაქაძის მიხედვით 15 ერთეულია [ჭირაქაძე 1997, გვ. 275, 280].

შემსხვილებებით²⁸ [მიქელაძე 1985, ტაბ. XIII40]; 4. რომბულგანივკვეთიანი რკალით [მიქელაძე 1985, ტაბ. XIII27]; 5. ბრტყელრკალიანი. რკალის თავსა და ბოლოში შემსხვილებით და ასეთივე შემსხვილებებით ნემსზე [მიქელაძე 1985, ტაბ. XIII49]. თ. მიქელაძე თვლიდა, რომ ურეკის სამაროვნის ფიბულები მორფოლოგიურად და ორნამენტაციით სუბმიკენური ფიბულებისაკენ მიილტვიან [მიქელაძე 1985, გვ. 47].

ნიგვზიანი (სურ. 2, 3). ნიგვზიანის სამაროვანზე საველე-არქეოლოგიური სამუშაოები 1974 წელს დაიწყო. სამაროვნის ყველა სამარხი კოლექტიურია ანუ ურეკის მსგავსად ეს სამარხებიც სამარხი ორმოებია. ისინი ამოჭრილია თირში და სავსეა მიცვალებულის ძვლებით, ინვენტარით და რიყის ქვებით, რომლებიც სავარაუდოდ, ქვაყრილის ნარჩენები უნდა იყოს. ცალკეული ინდივიდის კუთვნილი ინვენტარის გამოყოფა თითქმის შეუძლებელია. გათხარა 12 სამარხი ორმო და “საკულტო მოედანი”. ნიგვზიანის სამაროვნიდან 5 ბრინჯაოს ფიბულაა ცნობილი.²⁹ ისინი აღმოჩენილია № 1 და № 6 სამარხ ორმოებში.



სურ. 2. ნიგვზიანის სამაროვანი. I - № 1 სამარხის კომპლექსი. F ფიბულები № 1 სამარხიდან - 1 (კატ. 4), 2 (კატ. 5), 3 (კატ. 44), 4 (კატ. 45).


№ 1 სამარხი ორმოს ინვენტარი, ბრინჯაოს 4 ცალი ფიბულის გარდა, წარმოდგენილი იყო შემდეგი მასალით: კერამიკა – ქუსლგამოყვანილი სასმისები, ტოლჩები, ქოთ-

²⁸ ამ ფიბულას მ. ჭირაქაძე რატომღაც მიიჩნევს ღრუმუცლიანად – “ღრუ ღეროსაგან დამზადებულად”, “წურბლისებრი (ღრუ)”, “მშვილდის ღრუ ტანი”, “მშვილდსაკინძის მშვილდი ღრუ არის”, “სუბმიკენური ღრუტანიანი”, “т. н. субликкенская фибула с полый дужкой” [ჭირაქაძე 1997, გვ. 277, 278, 283-286]. ნივთი არასწორადაა განსაზღვრული. მას არა აქვს ღრუ მუცელი და არც შეიძლება ქონდეს, რადგან დისკოსებურ-შემსხვილებებიან ფიბულებს, სადაც არ უნდა იყვნენ ისინი გავრცელებული, ღრუ ტანი არა აქვთ (იხ. თავი III, ტიპოლოგიის შესახებ).

²⁹ მ. ჭირაქაძის მიხედვით 9 ერთეულია [ჭირაქაძე 1997, გვ. 275].

ნები, ყურმილიანი დოქები, ვაზები; ბრინჯაო – სატევრები, შუბისპირები, ჰარპუნები, აბზინდები; რკინა – სატევრები, შუბისპირები, სამაჯური; სარდიონის, იასპის, ქალცედონის, გიშრის, მინის, გაუმჭირვალე, პოლიქრომიული მძივები [მიქელაძე 1985, გვ. 71, 117, 119, ტაბ. XXXVII-XLIII].

№ 6 სამარხი ორმოს ინვენტარი, 1 ცალი ბრინჯაოს ფიბულის გარდა, წარმოდგენილია შემდეგი მასალით: კერამიკა – ყურმილიანი დოქები, ქუსლგამოყვანილი ჭურჭელი; ბრინჯაო – სატევარი, ქანდაკება, სამაჯური, რგოლები; ვერცხლი – რგოლი; სარდიონის იასპის, ოპალის, გიშრის, თეთრი მინის, მწვანე მინის, პოლიქრომიული მძივები [მიქელაძე 1985, გვ. 72, 120, ტაბ. XXXV, XLVI].




სურ. 3. ნიგვზიანის სამაროვანი. I - № 6 სამარხის კომპლექსი.
1 - № 6 სამარხის ფიბულა (კატ. 46).

ნიგვზიანის სამაროვნის ფიბულების შემცველი ორივე სამარხი ძვ.წ. VII ს-ის მიწურულითაა დათარიღებული [მიქელაძე 1985, გვ. 91].

ნიგვზიანის სამაროვნის ფიბულები 3 სახისაა: 1. ასიმეტრიულრკალიანი, მრგვალგანივკვეთიანი, დაშორებული ირგვლივი თევზიფხური სახით შემკული; 2. დაბალრკალიანი, მრგვალგანივკვეთიანი, დაშორებული ირგვლივი თევზიფხური სახით შემკული; 3. სადა, მრგვალგანივკვეთიანი ფიბულების ფრაგმენტები. თ. მიქელაძე მათაც ისე განსაზღვრავს, როგორც ურეკის სამაროვნის ფიბულებს [მიქელაძე 1985, გვ. 82].

ერგეტა (სურ. 4, 5). ერგეტის სამაროვანზე საველე-არქეოლოგიური სამუშაოები 1978 წელს დაიწყო. გამოვლენილია ოთხი სამაროვანი ერგეტა I, III და IV, რომლებზეც დასრულებულია სამუშაოები და ერგეტა II, რომელზეც მუშაობა გრძელდება [პაპუაშვილი, პაპუაშვილი 2005, გვ. 3]. ერგეტის სამაროვანიც ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება – საკულტო მოედნისა და კოლექტიური სამარხი ორმოებისაგან. ერგეტის სამაროვნებზე (ისევე როგორც დღვანის) განსაკუთრებული ვითარებაა იმ თვალსაზრისით, რომ ისინი არაა დაზიანებული სხვადასხვა გარემოებებით. ამიტომ, მათზე დაყრდნობით თითქმის ზედმიწევნით შეიძლება აღვადგინოთ იქ არსებული დაკრძალვის წესი [პაპუაშვილი 1998, გვ. 9-17].³⁰




³⁰ საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები სისტემატურად ქვეყნდებოდა. იხ. Микеладзе, Мухელიшვილი, Хухутაიшვილი 1981; Микеладзе 1982; Микеладзе, Мигдисова, Папуашვილი 1984; 1985; 1986; Микеладзе, Мигдисова, Папуашვილი, Чубинишვილი 1987; 1991. მზადდება სრული პუბლიკაცია, იხ.: პაპუაშვილი 1998, გვ. 6; პაპუაშვილი, პაპუაშვილი 2005, გვ. 5.

სურ. 4. ერგეტა. I სამაროვნის № 5 სამარხის ინვენტარი.

1 - № 5 სამარხის ფიბულა (კატ. 652).

ერგეტის სამაროვნებიდან 12 ფიბულაა ცნობილი [ჭირაქაძე 1997, გვ. 275]. ისინი აღმოჩენილია: ერგეტა I-ის № 5 სამარხ ორმოში – 2 ცალი.³¹ ერთი ფიბულა მხოლოდ ზამბარის ფრაგმენტითაა წარმოდგენილი, მეორე – ბრტყელრკალიანია [პაპუაშვილი 1998, ტაბ. XXIV97,98]. ასევე ზამბარის ფრაგმენტითაა წარმოდგენილი რკინის ფიბულა ერგეტა IV-ის № 2 სამარხი ორმოდან [Микеладзе, Мигдисова, Папуашვილი, Чубინიшვილი 1991, გვ. 63, ტაბ. 14824]. ერგეტა I-ის № 6 სამარხ ორმოში ერთი ცალი ფიბულაა წარმოდგენილი და ისიც მხოლოდ ზამბარისა და ნემსის ფრაგმენტით [პაპუაშვილი 1998, ტაბ. XXXVIII65]. ერგეტა III-ის №1 სამარხ ორმოში 2 ფიბულაა. ერთი ბრინჯაოსი – რომბულგანიკვეთიანი, მეორე – რკინისა, რომელსაც ნემსი აკლია, ხოლო რკალი კი იმდენად არის მოღუნული, რომ ბუდე და ზამბარა ერთმანეთთან აქვს მიტანილი [პაპუაშვილი 1998, ტაბ. XL40,42]. ერგეტა II-ის № 4 სამარხ ორმოში ერთი დაბალრკალიანი რკინის ფიბულაა [პაპუაშვილი 1999, გვ. 8, ტაბ. IV58]. ამგვარად, ერგეტის სამაროვნის გამოქვეყნებული მასალიდან ცნობილია შემდეგი სახის ფიბულები: 1. ბრტყელრკალიანი, 2. რომბულგანიკვეთიანი და 3. დაბალრკალიანი რკინის ფიბულა.

³¹ Микеладзе, Мигдисова, Папуашვილი 1985, გვ. 39-ის მიხედვით 3 ბრინჯაოს და 3 რკინის ფიბულაა.



სურ. 5. ერგეტა. III სამაროვნის № 1 სამარხი.

1 - ბრინჯაოს ფიბულა (კატ. 392), 2 - რკინის ფიბულა (კატ. 935).

ერგეტა I-ის №№ 5, 6 სამარხი ორმოები დათარიღებულია ძვ.წ. VI ს-ის დასაწყისით. თუმცა № 5 სამარხი ორმო შეიძლება ძვ.წ. VII ს-ის ბოლო ხანებითაც დათარიღდეს. ამგვარი დათარიღების საფუძვლად პირველ რიგში მიჩნეულია იქ აღმოჩენილი კერამიკა, სადაც შუაკოლხური კერამიკის ყველა წამყვანი ფორმაა წარმოდგენილი. ამგვარი კერამიკა ძვ.წ. VI ს-დან ვრცელდება მთელ დასავლეთ საქართველოში; და მეორეც – არარსებობა კანელურებიანი და ყურზე რქისებურშვერილებიანი კერამიკისა,

რომლებიც ძვ.წ. VII ს-ზე გვიან აღარ გვხვდება. თვლიან, რომ აღნიშნულ დათარიღებას არ ეწინააღმდეგება ამ კომპლექსებში ისეთი ნივთების არსებობაც კი როგორცაა – ბრინჯაოს სკვითური ისრისპირები, რკინის აკინაკი, ტალკის დომინოსებური მძივები, რომლებიც უფრო ადრე ჩნდებიან, მაგრამ ძვ.წ. VI ს-შიც არსებობენ [Микеладзе, Мигдისова, Папуашვილი 1985, გვ. 38-40].

თ. მიქელაძის აზრით, “ყველა ეს ძეგლი განეკუთვნება იმ დროს, როცა მთავრდება კოლხური ეთნოსის გავრცელებისა და საბოლოო დამკვიდრების პროცესი მთელ დასავლეთ ამიერკავკასიაში, სადაც გლობალურად ვრცელდება ერთგვაროვანი, თითქმის სტანდარტული მატერიალური კულტურა” [Микеладзе 1982, გვ. 34].

ერგეტა IV-ის № 2 სამარხი ორმო ძვ.წ. VII ს-ის მიწურულითაა დათარიღებული [Микеладзе, Мигдისова, Папуашვილი, Чубინიშვილი 1991, გვ. 63].

ერგეტა III-ის № 1 სამარხი ორმო, სადაც განსაკუთრებით ბევრი რკინის ინვენტარია, თარიღდება ძვ.წ. VI ს-ით [Микеладзе, Мигдისова, Папуашვილი 1984, გვ. 24, ტაბ. XXVII].

ერგეტა II-ის № 4 სამარხი ორმო დათარიღებულია ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევრითა და ძვ.წ. VII ს-ის პირველი ნახევრით [პაპუაშვილი 1999, გვ. 9].

მიუხედავად იმისა, რომ სრული პუბლიკაციები ჯერ ხელთ არა გვაქვს, ვფიქრობთ, ერგეტის სამაროვნების განსაკუთრებული მნიშვნელობა უდავოა. გარდა იმისა, რომ სამაროვნები არაა დაზიანებული და ეს ძეგლის რეალური ანალიზის მეტ საშუალებას იძლევა, ერგეტის სამაროვნებზე წარმოდგენილია ყველა ის არტეფაქტი, რაც დამახასიათებელია კოლხურ-ყობანური ბრინჯაოს ნაწარმისათვის [Панцхава, Сулава, Папуашვილი 2003, გვ. 102-117]. როგორც რ. პაპუაშვილი თვლის: “აქ აღმოჩენილ ნივთიერ მასალაში ნათლად ჩანს არამარტო ბრინჯაოს ინდუსტრიის ფინალური და რკინის ინდუსტრიის ჩასახვა-განვითარების თანამიმდევრული ეტაპები, არამედ ის თანმხლები მოვლენებიც, რაც აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა ახალი ლითონის შემოსვლასა და დამკვიდრებას”. სავსებით ვეთანხმებით მკვლევარს ამ სამაროვნების შეფასებაში, როგორც ეტალონური ძეგლებისა, რომლებზეც საკვლევი ეპოქის ყველა საფეხური უწყვეტ ჯაჭვადაა წარმოდგენილი [პაპუაშვილი 1998, გვ. 86].

დღვაბა (სურ. 6). დღვაბის სამაროვნის შესწავლა 1985 წელს დაიწყო. გამოვლინდა ერგეტას ანალოგიური სამაროვანი. ნაწილობრივ გაითხარა № 1 სამარხი ორმო, რომელიც არქეოლოგიური მასალის ხასიათით უფრო ადრეულად იქნა მიჩნეული, ვიდრე ერგეტისა და ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრით დათარიღდა [Микеладзе, Мигдისова, Папуашვილი 1986, გვ. 64. Микеладзе, Мигдისова, Папуашვილი, Чубინიშვილი 1987, გვ. 42.]. დღვაბის სამაროვნის № 2 სამარხ ორმოში აღმოჩენილია დაბალრკალიანი, წვრილღეროიანი, გრეხილრკალიანი ფიბულა. № 2 სამარხი ორმოს ინვენტარი განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია. სამარხი ძვ.წ. VII ს-ის ბოლო ხანებით თარიღდება [Микелადзе, Мигдისова, Папуашვილი, Чубინიშვილი 1995, გვ. 42, 43].


პალური (სურ. 7). პალურიდან 3 ფიბულაა ცნობილი. აქედან რკინის 1 ფიბულა მრგვალგანივკვეთიანი რკალით, ქვაყრილიდანაა (1964 წლის გათხრები). ბრინჯაოს 2 ფიბულა აღმოჩნდა №24 სამარხში (როგორც ირკვევა ნ. ოქროპირიძისა და მ. ბარამიძის ხელნაწერიდან – „პალურის საძვლე“), რომელიც თანმხლები ინვენტარის მიხედვით (კერამიკა – ირიბკანელურებიანი კათხა, ჰორიზონტული ყურმილიანი ჭურჭელი;³² ბრინჯაო –

³² ამ ჭურჭელთან დაკავშირებით მ. ბარამიძეს პარალელურად მოჰყავს კოლხეთში ფართოდ გავრცელებული ყურმილიანი დოქები. მაგრამ ტაბულის მიხედვით ისე ჩანს, რომ ეს ჭურჭელი უფრო ქოთანია,


სატევრები, აზინდა, ცხოველის სკულპტურა,³³ თავჩახვეული საკისრე რკალი, 2 სამაჯური – ბრტყელფირფიტოვანი და მრგვალგანივკვეთიანი; რკინის ყუნწიანი დანა; ელექტრუმისა და ვერცხლის წყვილი საყურე; სარდიონის, გიშრის, მინის მძივები). თარიღდება ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრითა და ძვ.წ. VI ს-ის დასაწყისით. პალურის ბრინჯაოს ფიბულები ორი სახისაა: 1. მრგვალგანივკვეთიანი რკალით, რომლის თავსა და ბოლოში დისკოსებური შემსხვილებებია; 2. რკალი წარმოადგენს ცხოველის ბრტყელ გამოსახულებას, რომელიც თევზიფხურადაა დამტრიხული [ბარამიძე 1977, გვ. 29, 30, ტაბ. VIII].

ვიდრე დოქი და მილიანი ყური ჰორიზონტულად აქვს მიძერწილი. ამიტომ, ვფიქრობთ, ის არ უნდა უკავშირდებოდეს ყურმილიან დოქებს [შდრ. მიქელაძე 1978, გვ. 57, ტაბ. XXXV].

³³ ეს ნივთი ძალზე საინტერესოა. გამოსახულება ტაბულის მიხედვით, ვფიქრობთ აზინდა უნდა იყოს, რადგან ქვედა მხრიდან მას მარყუქები აქვს.




სურ. 6. I – დღვაბა, სამარხი № 2.
 1 - ბრინჯაოს ფიბულა (კატ. 26).



სურ. 7. I - პალურის № 24 სამარხის კომპლექსი.
 № 24 სამარხის ფიბულები - 1 (კატ. 399), 2 (კატ. 699).
 3 - რკინის ფიბულა ქვაყრილიდან (კატ. 888).

მუხურჩა (სურ. 8). მუხურჩის სამაროვნის შესწავლა 1974 წელს დაიწყო პროფ. ე. გოგაძის ხელმძღვანელობით. სამაროვნის მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე დაზიანებული იყო მიწის სამუშაოების შედეგად. გაითხარა ტერასულად განლაგებული ორი დასაკრძალავი მოედანი ანუ კოლექტიური სამარხები, რომლებიც ორ თანამიმდევრულ ქრონოლოგიურ პერიოდს განეკუთვნებიან. როგორც ჩანს, იკრძალებოდა მიცვალებულთა ძვლები ნივთების კომპლექსთან ერთად. ქვედა დასაკრძალავ მოედანზე კრემაციის კვალი არ ჩანს. ზედა მოედანზე ძვლები კრემირებულია. დაკრძალვის წესში ამ განსხვავებას უფრო ქრონოლოგიურ სხვაობას მიაწერენ, ვიდრე ეთნიკურ ცვლილებებს.



სურ. 8. მუხურჩის სამაროვნის ფიბულების ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური ტაბულა:
 1 (კატ. 25), 2 (კატ. 27), 3 (კატ. 160), 4 (კატ. 50), 5 (კატ. 32), 6 (კატ. 321),

დასაკრძალავი მოედნების გარდა, ცალკეული კოლექტიური სამარხებიც გამოვლინდა დასაკრძალავი მოედნების ჩრდილოეთით და სამხრეთით. ჩრდილოეთის სამარხი შეიცავდა სტრატოგრაფიულად ორ, ერთმანეთის თავზე განლაგებულ კოლექტიურ სამარხს. როგორც ვარაუდობენ, ორივე სამარხი ქრონოლოგიურად უნდა ემთხვეოდეს ზედა და ქვედა დასაკრძალავ მოედანს. სამხრეთის სამარხი კოლექტიური დაკრძალვის მძლავრ ფენას შეიცავდა და სავარაუდოდ, ქვედა მოედნის ასაკის ტოლი ან ცოტა ადრეული იყო.

ქვედა დასაკრძალავი მოედნის მასალა წარმოდგენილია შემდეგი ნივთებით: ბრინჯაო – სეგმენტისებური იარაღი, კოლხური ცულეები, ვიწროპირიანი თოხები, **ფიბულები**, სატევრები, შუბისპირები, ყუნწიანი ისრისპირები, სადა სარტყლები, პეპლისებური აბზინდები, პინცეტები, სადა და ორნამენტირებული სამაჯურები, ზარაკები და აჟურული საკიდები, ძეწკვები, ორმაგცულისებრი საკიდები, სათვალისებრი დუგმები, სავარცხლები, ღილები; რკინა – სატევრები; კერამიკა – ზადისებურორნამენტისანი ფრაგმენტები, ვერტიკალურკანელურებისანი და მცირე ზომის მარყუჟისებრყურიანი კერამიკა; ტალკის, “დომინოს” ტიპის პასტის, სარდიონის, მინის მძივები და ქვის საკიდები.

ზედა დასაკრძალავი მოედნის მასალა წარმოდგენილია: ბრინჯაო – საკიდები, ზარაკები, პინცეტები, საკისრე რკალები, რგოლები; რკინა – პირგანიერი თოხები, სატევრები, ცულეები; კერამიკა – მცირე ზომის მოყავისფრო და მოშავო ყურმილისანი დოქები, ქოთნები, კათხები, ბიკონუსური ჭურჭლები, სასმისები და კათხები მაღალ ცილინდრულ ფეხზე, ვიწროპირიანი სასმისები, მოზრდილი ქოთნები და დოქები; კერამიკის ორნამენტაცია – კონცენტრული წრეები მხარზე, ნაჭდევები, წნევით დატანილი ხაზები; მინის ერთფერი და პოლიქრომული მძივები. მასალის ქრონოლოგიური და ტიპოლოგიური ანალიზის საფუძველზე, ქვედა მოედნის კომპლექსი დათარიღებულია ძვ.წ. VIII-VII ს-ის პირველი ნახევრით, ზედა მოედნის კომპლექსი – ძვ.წ. VII ს-ის ბოლოთი და VI ს-ით [Гогодзе, Панцхава, Дариспанაშვილი 1977, გვ. 60-64, ტაბ. VI-X].

1976 წელს მუხურჩის სამაროვნის შესწავლა დამთავრდა და მრავალრიცხოვანი პარალელების საფუძველზე “ქვედა დასაკრძალავი მოედნის” მასალები, რომლებიც ძვ.წ. VIII-VII სს-ით იყო განსაზღვრული, შესაძლებელი გახდა ძვ.წ. IX ს-ის ბოლოთი და VIII ს-ის დასაწყისით დათარიღებულიყო [Гогодзе, Панцхава, Дариспанაშვილი, Кориძე 1978, გვ. 53-55]. თუმცა, ე. გოგაძემ თავის იმ ნაშრომში, რომელიც კოლხური კულტურის ქრონოლოგია-პერიოდიზაციის საკითხებს ეხება, მუხურჩის სამაროვნის ადრეული კომპლექსების თარიღად ისევ ძვ.წ. VIII-VII ს-ის პირველი ნახევარი დატოვა [Гогодзе 1984, გვ. 29].


როგორც გამოქვეყნებული მასალებიდან ჩანს, ერთწილადი რკალისებური ფიბულები მუხურჩის კომპლექსიდან სწორედ ადრეულ ანუ ქვედა დასაკრძალავ მოედანს განეკუთვნება.³⁴ მთელი რიგი არტეფაქტების და მათ შორის ფიბულების მიხედვითაც, ავტორები ანალოგებს ხედავენ აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლებთან (თრიალეთი, სამთავრო). ავტორთა აზრით, თრიალეთის ძეგლებთან, მუხურჩის კომპლექსი

³⁴ საერთო ჯამში მუხურჩის სამაროვანზე 10 ფიბულაა აღმოჩენილი. ისინი შემდეგი სახისაა: 1. სადა, მრგვალგანივკვეთიანი რკალით (2 ც.); 2. მრგვალგანივკვეთიანი რკალით, ღეროზე სუსტი ნაჭდევებით (1 ც.); 3. მრგვალგანივკვეთიანი რკალით, სიგრძივ დაღარული, ღარებში პერპენდიკულარული ხაზებით (1 ც.); 4. მრგვალგანივკვეთიანი რკალით, თავსა და ბოლოში შემსხვილებებით (1 ც.); 5. გრეხილრკალიანი (2 ც.) [დავლიანიძე 2003-2004, გვ. 23, ტაბ. I2,3].

სინქრონულია მთელი რიგი ანალოგიური მასალებით. ესაა ტიპიური კოლხური ნაწარმი – ვიწროპირიანი თოხები და “ერთწილადი ფიბულები, რომელთა ერთეული ეგზემპლარები, შესაძლოა იმპორტირებული, აღმოჩენილია თრიალეთში” [Гогодзе, Панцхава, Дариспанაშვილი 1977, გვ. 63].

სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთის სამაროვნები.

ფიჭვნარი (სურ. 91-8). ფიჭვნარის სამაროვანზე ფიბულები გამოვლენილია როგორც კოლხურ, ისე ბერძნულ ნეკროპოლზე. ისინი ცნობილია 17 კომპლექსიდან, რომლებიც ითხრებოდა 1976, 1978, 1981, 1985, 1998, 1999, 2002 წლებში. აღმოჩენილია 19 ცალი ფიბულა. მათგან 8 ბრინჯაოსია, 4 ვერცხლის, 7 რკინის. ისინი წარმოდგენილია შემდეგი სახეობებით: 1. მრგვალგანივკვეთიანი, სადა; 2. მრგვალგანივკვეთიანი, თევზიფხური სახით შემკული; 3. გრებილრკალიანი; 4. მძივისებურრკალიანი. ისინი თარიღდება ძვ.წ. V-IV სს-ით [Кахидзе, Сулава 2005, გვ. 57-66].



სურ. 9. ფიჭვნარის სამაროვანი: 1 - კატ. 6 (სამარხი № 165), 2 - კატ. 153 (სამარხი 182), 3 - კატ. 154 (სამარხი № 264), 4 - კატ. 150 (სამარხი № 3) 5 - კატ. 560 (სამარხი № 21) 6 - კატ. 470 (სამარხი № 82), 7 - კატ. 472 (სამარხი № 129), 8 - კატ. 471 (სამარხი № 49). 9, 10 - წონიარისი (კატ. 284, 285).


წონიარისი (ქედის რ-ნი) (სურ. 99,10). 2003 წელს შემთხვევით აღმოჩნდა ბრინჯაოს 2 ფიბულა (სამაროვანი (?) - ნ. ს.). ორივე ერთი სახისაა: მრგვალგანივკვეთიანი, განივი თევზიფხური სახით რკალშემკული და დაშტრიხული ლენტისებური სახით

ბუდეშემკული.³⁵ უნდა თარიღდებოდეს ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევრითა და ძვ.წ. VI ს-ის პირველი ნახევრით.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან ადრეული ხანის ფიბულები მხოლოდ წონიარისიდანაა ცნობილი. სამწუხაროდ, ამ ხანის ძეგლები (სამაროვნები თუ ნამოსახლარები) რეგიონში ჯერჯერობით გამოვლენილი არაა.³⁶

ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის სამაროვნები.

ყულანურხვა (სურ. 10). ყულანურხვას სამაროვნის შესწავლა მიმდინარეობდა 1948 და 1951-1952 წლებში. გამოვლინდა 12 სამარხი, რომელთაგან 11 სამარხი ადამიანს ეკუთვნის, ხოლო 1 სამარხში (№ 4) ცხენია დაკრძალული. 9 სამარხი (№ № 1-3, 6-9, 11, 12) შეიცავდა კოლხური ბრინჯაოს ინვენტარს, ხოლო 3 სამარხი (№ № 4, 5, 10) – ტიპურ სკვითურ ინვენტარს. სამარხები ჩვეულებრივი ორმოებია, სადაც მიცვალებულები დაკრძალულია ზურგზე გამოტილი. ძეგლის გამთხრელი მ. თრაფში სამაროვნის კოლხურინვენტარიან სამარხებს ძვ.წ. VIII-VII ს-ის პირველი ნახევრით ათარიღებდა, ხოლო სკვითურინვენტარიან სამარხებს ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრითა და ძვ.წ. VI ს-ის პირველი ნახევრით [Трапш 1951; 1962; 1970, გვ. 100, 162-168]. სამაროვანზე, როგორც კოლხურ, ისე სკვითურინვენტარიან სამარხებში სულ 4 ფიბულაა აღმოჩენილი. კოლხურინვენტარიან სამარხებში (№ 3 სამარხი) აღმოჩენილია ბრინჯაოს ფირფიტისებურკალიანი ფიბულები, ხოლო სკვითურინვენტარიან სამარხში (№ 5 სამარხი) აღმოჩენილია რკინის მრგვალგანივკვეთიანი ფიბულები.



სურ. 10. ყულანურხვას სამაროვნის ფიბულები და ფიბულებიანი კომპლექსები.

³⁵ მასალის გაცნობისათვის უღრმეს მადლობას მოვახსენებ პროფ. ა. კახიძეს.

³⁶ ფიბულა თუ ფიბულები აღმოჩენილი ყოფილა ციხისძირის მახლობლად და ქობულეთსა და ხუცუბანს შორის, როგორც ჩანს, ბრინჯაოს ნივთების კონტექსტში [Кухтин 1949, გვ. 133, 134].

1-3 - № 3 სამარხის ფიბულები (10-66:55, № 86). 4 - ღრუმუცლიანი ფიბულა (კატ. 696) ა. ლუკინის კოლექციიდან.


5 - ფიბულა (კატ. 467) ა. ლუკინის კოლექციიდან (10-66:55, № 98). 6 - სამარხი № 3. 7 - სამარხი № 5.

ყულანურხვადან ცნობილია შემთხვევით აღმოჩენილი ფიბულაც – რკალის თავსა და ბოლოში დისკოსებურშემსხვილებებიანი და ლურსმნისებურშვერილებიანი.

მ. თრაფშისაგან განსხვავებით, ყულანურხვას სამაროვნის კოლხურიწვენიტარიან სამარხებს (№ № 1, 2, 6, 7, 11) ლ. ფანცხავა ძვ.წ. VII-VI სს-ით ათარიღებს. მისი აზრით, ყულანურხვას № 1 სამარხში აღმოჩენილი სკულპტურული გამოსახულებით შემკული ცული მხოლოდ პირობითად შეიძლება მივაკუთვნოთ ო. ჯაფარიძის კლასიფიკაციის [ჯაფარიძე 1950, გვ. 60-71] კოლხური ცულების II ტიპს. ფორმით ის მსგავსია იმ რკინის ცულებისა, რომლებიც დასავლეთ ამიერკავკასიისა და სამთავროს მასალების მიხედვით კარგად თარიღდებიან ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრითა და VI ს-ით. გარდა ამისა, ყულანურხვას ცულზე მოთავსებულ სკულპტურულ გამოსახულებას მხატვრული სტილით ამსგავსებს ოფორას № 5 სამარხის ცულის სკულპტურულ გამოსახულებას. ოფორას სამარხი კი ძვ.წ. VII ს-ით თარიღდება [ფანცხავა 1988, გვ. 56, 57].


ყულანურხვას № 3 სამარხს ძვ.წ. VII ს-ით ათარიღებს ნ. დოლიძეც [დოლიძე 1999, გვ. 65].

სოხუმის მთა (სურ. 11). სოხუმის მთაზე 1951 წელს წარმოებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად გამოვლინდა: ბრინჯაოს ნივთების განძი, სამარხი № 1, სამარხული ნივთების კომპლექსები № № 2-10, № № 11, 12 და კრემაციული სამარხები № № 1, 2. ფიბულები აღმოჩნდა კრემაციულ სამარხებში. № 1 კრემაციულ სამარხში აღმოჩნდა ვერცხლისა და ბრინჯაოს ფიბულები, ხოლო № 2 კრემაციულ სამარხში ვერცხლის 2 ფიბულა. ოთხივე ფიბულა უმნიშვნელო განსხვავებებით ანალოგიურია – რკალი ნაჭდევი ორნამენტით შემკული რომბისებრი ფირფიტაა. ორივე სამარხი (ნივთებთან ერთად სრული კრემაცია) დათარიღებულია ძვ.წ. VII-VI სს-ით [კალანდაძე 1954, გვ. 54-56]. გ. კვირკველიას სამართლიანი შენიშვნით, ამ თარიღს ეწინააღმდეგება წითელი შუქურას სამაროვნის უმცროსი ჯგუფის № 12 სამარხში 2 ცალი ანალოგიური რომბისებურზურგიანი ფიბულის აღმოჩენა უფრო გვიანდელ შავლაკიან კერამიკასთან ერთად [კვირკველია 1978, გვ. 77. დამოწმებული ლიტ. Трапш 1969, გვ. 274, 276, ტაბ. XXXIX4,7,8]. ის წითელი შუქურას № 12 სამარხს ძვ.წ. VI-V სს-ით ათარიღებს [Квирквелия 1981, გვ. 5, 6].



სურ. 11. სოხუმის მთის № 1 კრემაციული სამარხის ფიბულა (კატ. 634) და სამაჯური.

გუადიხუ (სურ. 12, 13). გუადიხუს სამაროვნის შესწავლა დაიწყო 1952 წელს. 3 წლის მუშაობის შედეგად შესწავლილ იქნა 91 კრემაციული სამარხი. სამაროვანი მ. თრაფშმა ორ ქრონოლოგიურ ჯგუფად დაყო. გვიანი ბრინჯაოდან რკინის ფართო ათვისების ეპოქას (ძვ.წ. VIII-VI სს. “უფროსი ჯგუფი”) მიაკუთვნა 32 სამარხი. დანარჩენი 59 სამარხი გააერთიანა “უმცროსი ჯგუფში” და ძვ.წ. V-II სს-ით დაათარილა [Трапш 1969, გვ. 18, 19]. ე.წ. “უფროსი ჯგუფის” სამარხებში გამოყო დაკრძალვის ორგვარი წესი – ორმოსამარხები სრული კრემაციით და ორმოსამარხები ნაწილობრივი კრემაციით. მისი ვარაუდით, პირველ შემთხვევაში მიცვალებულთა დაწვა ინვენტართან ერთად ხდებოდა სამარხებიდან მოშორებით. შემდეგ ფერფლისა და ინვენტარის ნაშთებს სამარხებში ფლავდნენ. მეორე შემთხვევაში დიდსა და გრძელ ორმოებში პირდაპირ ხდებოდა მიცვალებულთა ნაწილობრივი დაწვა. ამ ტიპის სამარხებში ინვენტარის განლაგების დადგენა შესაძლებელია. ჩვენთვის საინტერესო ნივთები, კერძოდ, ფიბულები მიცვალებულის მკერდის არეში ფიქსირდება [Трапш 1969, გვ. 45-47]. გუადიხუს ე.წ. “უფროსი ჯგუფის” სამარხების ფიბულები (7 ერთეული) ყველა ბრინჯაოსია. ისინი აღმოჩენილია № № 3, 4, 6, 24, 25 სამარხებში და წარმოდგენილია შემდეგი სახეობებით: 1. ფირფიტისებრი, ორნამენტირებული რკალით; 2. რომბულგანივკვეთიანი რკალით; 3. ფიბულა დაფანჯრული ნახევარსფეროს ფორმის რკალით, რომელსაც კიდებზე დარჩილული აქვს სპირალისებური ნაკვეთები. ფიბულა რეპარირებული უნდა იყოს ანუ მას როგორც ჩანს მოტყედა ნემსი და ის ზამბარის მხარეს, რკალზე დაახვიეს. ამგვარად, ერთწილადი ფიბულა ორწილადად იქცა. ჩვენს ამ ვარაუდს ისიც უჭერს მხარს, რომ რკალის ბოლოში მას არა აქვს ორწილადი რკალისებური ფიბულებისათვის დამახასიათებელი ლურსმნისებური თავი ან ბურთულა (იხ. აქვე, ნაწილი II. ორწილადი რკალისებური ფიბულები).




სურ. 12. გუადიხუს სამაროვნის ფიბულებიანი კომპლექსების ქრონოლოგიური ტაბულა.

გუადიხუს “უმცროსი ჯგუფის” სამარხებში ფიბულები ცნობილია № № 10, 11, 12, 13, 26 სამარხებიდან (6 ცალი). ისინი ორი სახისაა: 1. ფირფიტისებურრკალიანი (№ №


10, 11, 12, 26 სამარხები) და 2. შემსხვილებული რკალით, რომელზეც ეკლისმაგვარი “ხორკლები” აქვს (№ 13 სამარხი) [Трапш 1969, გვ. 155-257, 258, 259].

გუადიხუს სამაროვნის მ. თრაფშისეულ დათარიღებას არ ეთანხმებოდა გ. ლორთქიფანიძე და ი. ვორონოვი [Лордкипანიძე 1978, გვ. 55, 56; Воронов 1984, გვ. 13, 14]. გ. ლორთქიფანიძე გუადიხუს სამაროვნის “უმცროს ჯგუფს” ძვ.წ. VI-III სს-ს მიაკუთვნებს [Лордкипანიძე 1978, გვ. 55, 56]. გ. კვირკველიას აზრით, სამაროვნის სწორი დათარიღებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ამ სამარხებში წარმოდგენილ რკინის ცულებს. მისი დაკვირვებით, რკინის ცულები კომპლექსებში სამხრეთ კავკასიაში ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრიდან ვრცელდება (სამთავრო, ნარეკვაკი, თლია, ბრილი, ყულანურხვა, წითელი შუქურა, დიდაჭარის განძი). ძვ.წ. VI ს-დან რკინის ცულების პირი განივრდება, პროპორციები მძიმდება, ყუა მოკლდება (ბრილი, ნესტეროვო, ნიგვზიანი, შორი, ლარილარი). ისინი ძვ.წ. VI-V სს-ით თარიღდებიან. მკვლევარის აზრით, სწორედ ამ ტიპს განეკუთვნება გუადიხუს (და წითელი შუქურას) ცულები. მომდევნო ხანის ცულებს ახასიათებთ უფრო განიერი პირი, ყუის მკვეთრი გაფორმება და ისინი ძვ.წ. V ს-ის ბოლოსა და IV ს-ის პირველი ნახევრის სამარხებში გვხვდებიან (გუადიხუს “უმცროსი ჯგუფი”). ძვ.წ. III-II სს-ში მათი ფორმა საბოლოოდ ყალიბდება. ამრიგად, გ. კვირკველიას აზრით, გუადიხუს “უფროსი ჯგუფის” სამარხების წარმოქმნა ძვ.წ. VI-IV სს-ით უნდა განისაზღვროს [Квирквелия 1981, გვ. 6, 7].




სურ. 13. გუადიხუს სამაროვნის ფიბულების ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური ტაბულა.
 1 - კატ. 366 (სამ. № 25(72)), 2 - კატ. 661 (სამ. № 25(72)), 3 - კატ. 638 (სამ. № 6(9)),
 4 - კატ. 619 (სამ. № 11(23)), 5 - კატ. 653 (სამ. № 13(25)).

წითელი შუქურა (სურ. 14, 15). წითელი შუქურას ტერიტორიაზე არქეოლოგიური მასალის გამოჩენას 1935 წლის სადაზვერვო ექსპედიციის დროს ჰქონდა ადგილი და შემდეგ



სურ. 14. წითელი შუქურას სამაროვნის ფიბულებიანი კომპლექსების ქრონოლოგიური ტაბულა.

1947 წელს, როცა ზღვის ნაპირიდან 10 მ-ის დაშორებით, შემთხვევით ორი დანგრეული სამარხის ნაშთები იქნა მიკვლეული [Иессен 1933, გვ. 251, 252; Соловьев 1950, გვ. 281-283]. 1956 წელს მ. თრაფშის მიერ ჩატარებული არქეოლოგიური დაზვერვების შედეგად აღმოჩნდა თვით სამაროვანი, სადაც 1957-1959 წლებში ტარდებოდა სისტემატური გათხრები. სამაროვანი დაზიანებული იყო ქვიშის კარიერით და მეორე მსოფლიო ომის დროს აქ გათხრილი სანგრებით. შესწავლილ იქნა 152 სამარხი. მ. თრაფშის აზრით, 104 სამარხი მიეკუთვნება გვიან ბრინჯაოდან განვითარებული რკინის ხანაზე გარდამავალ ეპოქას – ძვ.წ. VIII-VI, ხოლო დანარჩენი 48 სამარხი მომდევნო პერიოდს, კერძოდ ძვ.წ. V-II სს-ებს [Трапш 1969, გვ. 78-82].



სურ. 15. წითელი შუქურას სამაროვნის ფიბულების ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური ტაბულა.

1 – კატ. 31 (სამ. № 49(68)), 2 – კატ. 140 (სამ. № 100(146)), 3 – კატ. 585 (სამ. № 64(94)), 4 – კატ. 436 (სამ. № 62(92)), 5 – კატ. 147 (სამ. № 39(56)), 6 – კატ. 184 (სამ. № 26(35)),

წითელი შუქურას სამაროვანზე დაფიქსირდა მიცვალებულთა დაკრძალვის სამგვარი წესი: I. ორმოსამარხში მიცვალებული დასვენებულია ზურგზე გამოტილი, თავით ჩრდილო-დასავლეთისკენ (ამგვარი 77 სამარხია); II. ორმოსამარხში მიცვალებული დასვენებულია მარჯვენა გვერდზე, მოხრილი კიდურებით, თავით ჩრდილო-დასავლეთისკენ (ამგვარი 7 სამარხია); III. მეორადი დაკრძალვა, როცა გახრწნილი მიცვალებულის ძვლებს ფლავდნენ ჭისებურ ორმოში ან ჭურჭელში, რომელსაც თავით ქვემოთ დგამდნენ და მიწას აყრიდნენ (ამგვარი 26 სამარხია). ყველა სამარხისათვის საერთო ისაა, რომ მათი იატაკი მოფენილი იყო ზღვის წვრილი კენჭებით. როგორც მ. თრაფში ვარაუდობდა, წითელი შუქურასა და გუადიხუს სინქრონული სამაროვნების განსხვავებულობა, მიუხედავად ტერიტორიალური სიახლოვისა, ეთნიკური სხვაობით უნდა აიხსნას [Трапш 1969, გვ. 149, 150].

მ. თრაფშის მიხედვით, წითელი შუქურას უფროსი ჯგუფის სამარხების ინვენტარი (ერთნაირი დაკრძალვის სამივე წესისათვის) წარმოდგენილია შემდეგი ნივთებით: კერამიკა – დოქები, ქოთნები, ფეხიანი სასმისი, სამარხი ურნები; ბრინჯაო – თასი, სიტულა, კოლხური ცულები, შუბისპირები, სკვითური ტიპის ისრისპირი, ყუნწიანი სატევარი ორი ნახვრეტით, მცირე ზომის სატევარი ფიგურული თავითა და გრავირებული პირით, სატევრისებური საკიდი, აბჯრის ფირფიტა არწივის გამოსახულებით, ცხენის საყბურები და ლაგამი, რგოლები, კისრის რკალები, ფიბულები, სამაჯურები, ქინძისთავები, პინცეტები, ნახევარწრიული და მართკუთხა აბზინდები, ძეწკვები, სპირალები, ზარაკები, საკიდები, მძივები; რკინა – სწორი და მოხრილი დანები, სატევრები, შუბისპირები, ცულები, ფიბულები; ვერცხლი – სასაფეთქლეები, ბეჭედი; სარდიონის, ქარვის, მინის, გიშრის მძივები.

წითელი შუქურას სამაროვანზე უფროსი ჯგუფის 16 სამარხიდან (№ № 1, 4, 6, 12, 13, 16, 19, 21, 26, 29, 38, 39, 49, 62, 64, 100, 103) 20 ფიბულაა ცნობილი. აქედან 4 ფიბულა რკინისაა (№ № 1, 12, 26 სამარხები). ბრინჯაოს ფიბულები წარმოდგენილია შემდეგი სახეობებით: 1. მრგვალგანივკვეთიანი რკალით, სადა; 2. მრგვალგანივკვეთიანი რკალით, სიგრძივი თევზიფხურით შემკული; 3. რომბულგანივკვეთიანი რკალით; 4. გრეხილრკალიანი; 5. რკალზე დისკოსებრი შემსხვილებებით; 6. ფირფიტისებურრკალიანი; 7. ნახევარსფეროსებური დაფანჯრული რკალით; 8. ბალიში-სებურზურგაიანი.

უფროსი ჯგუფის სამარხების ძვ.წ. VIII-VI სს-ით დათარიღების გარდა, ამ ჯგუფისათვის სხვა თარიღიც არსებობს – ძვ.წ. სს. IX-VI სს. [Трапш 1969, გვ. 208, ტაბ. XVII-XIX]. ამ თარიღს მ. თრაფში დასკვნის სახით გვთავაზობდა, მთელი მასალის ანალიზის შემდეგ.

ი. ვორონოვი ამ ჯგუფს ძვ.წ. X-VI სს-ით ათარიღებდა [Воронов 1969, გვ. 31].³⁷ გ. ლორთქიფანიძემ ეს ჯგუფი ორ ქრონოლოგიურ ჯგუფად დაყო – ძვ.წ. VIII-VII სს. და ძვ.წ. VI ს. [Лордкипანიძე 1978, გვ. 46-52].

უფროსი ჯგუფის სამარხების უფრო დანაწევრებული პერიოდიზაცია გააკეთა გ. კვირკველიამ. მას ყველაზე გვიანდელად მიაჩნია № № 3, 19 სამარხები, რომლებიც შეიცავენ რომბულფირფიტისებურ რკალიან ფიბულას და მათ ძვ.წ. V-IV სს-ით ათარიღებს. ძვ.წ. VI-V სს-ით ათარიღებს № № 1, 4, 5, 10, 12, 17, 18, 20, 21, 23-27, 29, 61,

³⁷ შდრ. Воронов 1984, გვ. 8-14.

82-84 სამარხებს, რომლებიც შეიცავენ მრგვალმავთულიან სამაჯურებს ნიჩბისებური და გველისგამოსახულებიანი თავებით, გრეხილ საკისრე რკალებს რომბული ან დაწახნაგებული თავებით, ცალყურა ქოთნებს, რკინის ცულებს და სკვითურ ისრისპირებს.³⁸ ძვ.წ. VI ს-ით არის დათარიღებული № 38 სამარხი რკინის ცულითა და ორნამენტირებული ფირფიტოვანი სამაჯურით³⁹. ძვ.წ. VII-VI სს-ით თარიღდება სამარხები (№ № 7, 8, 11, 16) ორწილადი ბრინჯაოს ლაგმებით, ფარის გარსაკრავით (“არწივი”), ადრეული ტიპის რკინის ცულითა და “პეპლისებური” ბრინჯაოს აბზინდით.⁴⁰ სამარხების დიდი უმრავლესობა (№ № 31, 32, 34-36, 41, 42ა, 43, 47-49, 52ა, 53, 54ა, 55, 56, 56ა, 58, 62-65, 66ა, 67-69, 71, 74, 52ა, 75ბ, 76, 76ა, 79, 85, 86, 88-95, 104), რომლებიც შეიცავენ რკინისა და ბრინჯაოს იარაღს, ბრინჯაოს ფირფიტოვან სარტყლებს, საკისრე რკალებს ჩახვეული თავებით, ბიკონუსურ მძივებს, დათარიღებული აქვს ძვ.წ. VIII-VII სს-ით.⁴¹ გ. კვირკველიას სამაროვნის უძველეს სამარხებად მიაჩნია ის სამარხები (№ № 33, 40, 42, 44, 52, 70, 75, 98, 99), რომლებშიც აღმოჩენილია ნახევარწრისებური და მრგვალი აბზინდები და ამ სამარხებს ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ მეოთხედს აკუთვნებენ [Квирквелия 1981, გვ. 5, 6].

მ. თრაფშის მიერ ძვ.წ. V-II სს-ით დათარიღებული ანუ “უმცროსი ჯგუფის” სამარხები წაგრძელებულ-ოვალური ან ოთხკუთხაა. აქ არაა ჭისმაგვარი და ურნასამარხები. სამარხის იატაკზე არაა მოფენილი ზღვის კენჭები. დაკრძალვა ინჰუმაციურია [Трапш 1969, გვ. 268]. ამ ჯგუფის სამარხებისათვის ყველაზე დამახასიათებელია მათში აღმოჩენილი იმპორტული კერამიკა – ატიკური შავლაკიანი სკიფოსი (№ № 1(12), 6(29), 12(42) სამარხები), წითელლაკიანი მცირეაზიული წარმოშობის ორყურა ვაზა (№ 32(113) სამარხი), წითელი თიხის ამფორისკი (№ 39(150) სამარხი). მ. თრაფშის ამ ჯგუფის სამარხებში ფიბულები მხოლოდ ორ სამარხშია აღმოჩენილი. ისინი ორი სახისაა: 1. ოვალური ფირფიტისებური ზურგით (№ 3(26) სამარხი) და 2. რომბული ფირფიტისებური ზურგით (№ 12(42) სამარხი). ამგვარი რკალის მქონე ფიბულების შემცველი სამარხები გ. კვირკველიამ ძვ.წ. V-IV სს-ით დაათარიღა [Квирквелия 1981, გვ. 5]. ფიბულებიან სამარხებში იმპორტული კერამიკის არსებობა ამ თარიღებს კიდევ უფრო აზუსტებს.

იაშთხვა (სურ. 16). იაშთხვას მთაზე 1958-1959 წლების სადაზვერვო სამუშაოებისას, რომელსაც აწარმოებდა შავიზღვისპირეთის პალეოლითური ექსპედიცია (ხელმძღ. ნინო ბერძენიშვილი), აღმოჩნდა ორი სამარხი, რომელიც შემდგომ შეისწავლა გ. კვირკველიამ. სამარხები ორმოებს წარმოადგენდნენ. მიცვალებულები სავარაუდოდ დაკრძალული იყვნენ მოხრილი კიდურებით. სამარხეული ინვენტარი: ბრინჯაო – ზარაკები, ბრტყელი და მრგვალგანივკვეთიანი, ბრტყელბურთულებიანი სამაჯურები, სარტყელი, ფიბულების ფრაგმენტები, ბაყაყის გამოსახულებიანი ბალთა, საკინძი, ძეწკვის ფრაგმენტი, ოთხსპირალიანი ბალთები; რკინა – მრგვალგანივკვეთიანი სამაჯურები, შუბისპირის ფრაგმენტი. სამარხში აღმოჩენილი ფიბულის ფრაგმენტები რომბისებურკალიან ფიბულებს ეკუთვნის. გ. კვირკველია მათი ორნამენტაციის პრინციპს (დიაგონალზე თევზიფხური ლენტით გაყოფილი, რომლის აქეთ-იქით

³⁸ ამ ჯგუფის სამარხებიდან № № 1, 4, 12, 21, 26, 29 სამარხებში გვხვდება როგორც ბრინჯაოს, ისე რკინის ფიბულები – რომბული, ფირფიტისებური, ბალიშისებური, თევზიფხურით შემკული.

³⁹ ფიბულით, რომელსაც აქვს დაფანჯრული ნახევარსფეროსებური რკალი, კიდებზე მირჩილული ბურთულებით.

⁴⁰ № 16 სამარხში ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი, სადა ფიბულაცაა.


⁴¹ ამ ჯგუფის სამარხებიდან სადა, მრგვალგანივკვეთიანი, დისკოსებურმემსხვილებიანი, გრეხილ-რკალიანი ფიბულები აღმოჩენილია № № 49, 62, 64, სამარხებში.

მინდორზე თითო-თითო სიმეტრიული წრეა) აკავშირებს კოლხურ დიადემებთან, რომლებიც ძირითადად ძვ.წ. V-IV სს-შია გავრცელებული. იაშთხვას სამაროვნებისათვის მას რეალურ თარიღად ძვ.წ. V ს. მიაჩნია [კვიციანი 1978, გვ. 74-79].




სურ. 16. იაშთხვას სამაროვნის ფიბულები (კატ. 632, 633) და კომპლექსების მასალა.

ჯანტუხი (ტყვარჩელი) (სურ. 17, 18). ჯანტუხის სამაროვნის შესწავლა 1982 წელს დაიწყო. როგორც ჩანს, ძველი უკვე დაზიანებული იყო განძისმადიებელთა მიერ. სამაროვნის საზღვრების დადგენა ვერ მოხერხდა. ძველის გამთხრელ გ. შამბას აზრით, სამაროვანი კოლექტიური უნდა ყოფილიყო, სადაც დასაკრძალავად გადაჰქონდათ ძვლები. მიცვალებულებს კრემაციას უკეთებდნენ ან ინჰუმაციური წესით კრძალავდნენ (თუმცა, არაა გამორიცხული, რომ უკანასკნელ შემთხვევაში მეორად დაკრძალვას ჰქონდა ადგილი). სამარხეული ინვენტარი წარმოდგენილია



სურ. 17. ჯანტუხის სამაროვნის ფიბულების ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური ტაბულა.

1 – კატ. 79, 2 – კატ. 431, 3 – კატ. 373, 4 – კატ. 389,
5 – კატ. 322, 6 – კატ. 323, 7 – კატ. 408, 8 – კატ. 462.



სურ. 18. ჯანტუხის სამაროვნის მასალა.

შემდეგი ნივთებით:⁴² ორყურა ჭურჭელი, გეომეტრიული სახეებით და კანელურებით შემკული ჭურჭლის ფრაგმენტები, ყურმილიანი ჭურჭლის ფრაგმენტი; რკინა – ფიბულები, დანისებური სატევრები; სალესი ქვეები; კვირისტავები; ქვის, სარდიონის, მინის მძივები; ბრინჯაო – სამაჯურები (ზოომორფულთავეებიანი, ნეკნისებური, ფირფიტისებრი), კისრის რკალები, პინცეტები, სპირალები, სათასმე რგოლები, ზარაკები, ჯვრისებური, ორმაგკულისებრი, სათვალისებრი საკიდები, ფიბულები, მართკუთხა აბზინდები, ბალთები, სკულპტურული ფიგურები, მძივები. როგორც თვლიან, ჯანტუხის სამაროვანზე ძვ.წ. VIII-VII სს-ში კრემაცია და ინჰუმაცია თანა-არსებობდა [Шамба 1984, გვ. 32-47].

ტყვარჩელის სამაროვანზე 65 ფიბულაა აღმოჩენილი. მათგან 7 რკინისაა, 58 ბრინჯაოსი. ისინი წარმოდგენილია შემდეგი სახეობებით: 1. მრგვალგანივკვეთიანი რკალით; 2. როზეტისებურჭრილიანი რკალით; 3. რომბულგანივკვეთიანი რკალით; 4. ფირფიტისებური ოვალური რკალით; 5. დისკოსებურმემსხვილებებიანი რკალით (მრგვალგანივკვეთიანი, როზეტისებურგანივკვეთიანი, ოვალურგანივკვეთიანი ზედაპირზე ქედით) [Шамба 1984, სურ. 21, 25].

ცენტრალური კოლხეთის სამაროვნები.

ვანი. ვანის ნაქალაქარზე № 11 სამარხი, სადაც ფიბულაა გამოვლენილი, აღმოჩნდა 1969 წელს⁴³. სამარხი ორმო ამოჭრილია კლდოვან დედაქანში, რომელშიც ხის სარკოფაგი მდგარა. სამარხზე რიყის ქვების ქვაყრილი იყო გამართული. სამარხში ოთხი მიცვალებული იყო. მათგან ერთი მდიდრულად დაკრძალული ქალი, რის გამოც სამარხს “წარჩინებული კოლხი ქალის სამარხი” ეწოდა. სარკოფაგის გარეთ ცხენი იყო დაკრძალული. სამარხში აღმოჩენილი იმპორტული ნივთების (ბრინჯაოს პატერა, ატიკური შავლაკიანი კილიკი, ვერცხლის კილიკები) საფუძველზე № 11 სამარხი ძვ.წ. V ს-ის შუა ხანებით დათარიღდა [ლორთქიფანიძე, ფუთურიძე, თოლორდავა, ჭყონია 1972, გვ. 225]. ამ სამარხში მხოლოდ ერთი ფიბულაა აღმოჩენილი (კატ. № 468). ის ოქროსია, რკალი შემკული აქვს მძივისებურად⁴⁴ [სულავა 1998, გვ. 58, ტაბ. 12].

გორაძირი. 1967-1968 წლის სადაზვერვო-გათხრითი სამუშაოების დროს ადგილ გორაძირზე გამოვლინდა სამი ყორღანული სამარხი და ოთხი ორმოსამარხი, რომლებიც მკაფიოდ არ გამოიყოფოდა. სამარხეული ინვენტარი კომპაქტურად ელაგა მიცვალებულის კრემირებული ძვლების მცირე ნატეხებთან ერთად. გამთხრელები არ გამორიცხავენ, რომ აქაც, მსგავსად ცენტრალური კოლხეთის სამაროვნებისა (პალური, მუხურჩა, ნიგვზიანი, ურეკი), შესაძლოა საქმე გვქონდეს კოლექტიურ სამარხებთან, კრემაციული დაკრძალვით, რომელთა ნაწილსაც აღნიშნული სამარხები წარმოადგენდნენ [გოგაძე, დავლიანიძე 1981, გვ. 5-8]. მრგვალგანივკვეთიანი, წვრილი მავთულისგან დამზადებული ფიბულა (კატ. № 134) აღმოჩნდა № 2 შურფში [გოგაძე, დავლიანიძე 1981, გვ. 10]. სამაროვანზე აღმოჩენილი მასალის (კერამიკა – ქილები, ქოთნები, კოჭბები, ჯამები, კეცები, სასმისები, ტოლჩები; ბრინჯაო – სატევრები, შუბისპირები, ისრისპირები, სამაჯურები, საკინძები, აბზინდები, ფიბულა, პინცეტი,

⁴² ჩანს, სამაროვანზე გვიანდელი ფენებიც იყო, რადგან ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ “... нас будет интересоваться лишь старшая, предантичная группа предметов” [Шамба 1984, გვ. 33].

⁴³ ვანის ნაქალაქარზე გათხრებს აწარმოებდა ვანის არქეოლოგიური ექსპედიცია პროფ. ო. ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით.

⁴⁴ ანალოგიურად რკალშემკული ფიბულები აღმოჩენილია ვანის № 6 სამარხშიც. ოღონდ ისინი ორწილადაა (იხ. კატ. № № 55, 56).

ქანდაკეები, მძივი; რკინა – სატევარი, დანა; სარდიონის, გიშრის, მინის, ქვის მძივები) ტიპოლოგიური ანალიზის შედეგად, გორაძირის ძეგლების აბსოლუტური თარიღი განსაზღვრულია ძვ.წ. VII-VI სს-ით. თუმცა, დაშვებულია ვარაუდი, № 4 (შეიძლება კოლექტიური) სამარხის ინვენტარის ძირითადი ნაწილის ძვ.წ. VIII ს-ის დასასრულით ან მისი მეორე ნახევრით დათარიღებისა [გოგაძე, დავლიანიძე 1981, გვ. 11-21].

მთიანი კოლხეთის სამაროვნები.

გონა. ადგილ გონადან შემთხვევითი მონაპოვრის სახით ცნობილია 4 ფიბულა, რომელიც 1987 წელს გადაუციათ ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისათვის ბრინჯაოს შუბისპირთან და სამაჯურთან ერთად. ნივთები უნდა ეკუთვნოდეს დანგრეულ, ქვაყრლიან ორმოსამარხებს, რომელთა ინვენტარის ნაწილიც იყო მომდევნო წლებში იქვე აღმოჩენილი ზოომორფულყურებიანი სხვადასხვა ჭურჭლის ფრაგმენტები, ქვევრის, თიხის მილის ფრაგმენტები, რკინის შუბისპირი და ისრისწვერი, ბრინჯაოს თავებდაბრტყელებული სამაჯური [გაბიძაშვილი, სახაროვა, სულავა, სულხანიშვილი 2004, გვ. 123]. ძეგლი, სავარაუდოდ ძვ.წ. VIII-V სს-ით უნდა დათარიღდეს.

ბრილი. ბრილის სამაროვნის შესწავლა 1939 წელს დაიწყო გ. გობეჯიშვილის ხელმძღვანელობით. სამაროვანზე ფიბულებიანი კომპლექსები გამოვლინდა 1939, 1940, 1948, 1950-1953, 1960, 1961 წლებში. 36 კომპლექსში აღმოჩენილია 83 ფიბულა. სამარხები ორი ტიპისაა: 1. ორმოსამარხები, რომლებიც ზოგჯერ “კეცით” არის დახურული, ზოგჯერ ქვაყრილიანია, დაკრძალვა ინჰუმაციურა მოხრილ მდგომარეობაში, ერთი ან ორი-სამი მიცვალებულით და 2. ქვის უსახურავო ან “კეცით”, ზოგჯერ კი რიყის ქვებით დახურული სამარხები, დაკრძალვა ინჰუმაციურია მოხრილ მდგომარეობაში, ერთი ან ორი-სამი მიცვალებულით.

სამარხებს გარდა, ფიბულები აღმოჩენილია ე.წ. “დანგრეულ კრემაციულ სამარხში” (ბრინჯაოს 4 და რკინის 1 ფიბულა, 1951 წ.) და “კოლხური პერიოდის კრემაციული მოედნის ჩრდილოეთით, სკვითური ხანის დამწვარ ფენაში” (ბრინჯაოს 3 და რკინის 3 ფიბულა, 1951 წ.). ამ ფიბულების ტიპოლოგიური განსაზღვრა ძნელია, რადგან ცეცხლის ზემოქმედების შედეგად მათზე ძლივს შეიმჩნევა შემკულობის სახეები. მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ გარდა 1 ცალი რომბულგანივკვეთიანი რკინის ფიბულისა, ყველა მრგვალგანივკვეთიანია.⁴⁵ ბრილის სამაროვნის გამთხრელის გ. გობეჯიშვილის აზრით, კრემაციის წესი დამოწმებულია მხოლოდ ძვ.წ. X-V სს-ში, ხოლო თვით სამარხების ინტერპრეტაცია ასეთია: კრემაციისათვის ქვის ფილებით⁴⁶ გამართულია კრემაციული მოედანი; გადახურვა არ ფიქსირდება. სავარაუდოდ, ხის კონსტრუქცია უნდა ყოფილიყო ზემოდან მიწაყრილით; თითოეულ სამარხში იკრძალებოდა რამდენიმე მიცვალებული. გვამს თვით სამარხში წვავენ ინვენტართან ერთად, რის გამოც ერთმანეთთანაა შედუღებული რკინა, ბრინჯაო, მინა, კერამიკა, ძვალი, ხის ნახშირი. სამარხეული ინვენტარი: რკინის საბრძოლო (ცულები, სატევარი-აკინაკები, სკვითური ისრისპირები, შუბისპირები) და სამეურნეო (ცულები, მოხრილი დანები) იარაღი; რკინისა და ბრინჯაოს ლაგმები და საყბურები, სალესი ქვები; ბრინჯაოს ჭურჭლის ფრაგმენტები, საკისრე რკალები, ფიბულები, სხივანა საყურეები, ეჭვნები, ფირფიტისებური სამაჯურები, მცირე ზომის მართკუთხა აბზინდები; ფართო ასორტიმენტის მინის მძივები [გობეჯიშვილი 1959, გვ. 190-196].

⁴⁵ გათხრების დღიურებს, დავთრებსა და მასალას გავეცანი 1994-1995 წწ-ში აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ბრილის ფონდის მცველის, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ლ. ფანცხავას დახმარებით, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვასხენებ.

⁴⁶ ფილაქვის აღსანიშნავად გ. გობეჯიშვილი იყენებდა ტერმინებს – “კეცი,” “ქვის ფიცარი”.

ვფიქრობთ, ინვენტარის ჩამოთვლაც კი საკმარისია, რომ ამ ტიპის სამარხების არსებობის გ. გობეჯიშვილისეული ადრეული თარიღი (ძვ.წ. X ს.) ეჭვის ქვეშ დადგეს. ყველაფერი მიგვიტოთებს იმაზე, რომ ამ სამარხთა არსებობის ხანა ძვ.წ. VII ს-ის ბოლოს უნდა დაწყებულიყო.

ბრილის სამაროვნის ფიბულების შემცველი 36-ივე სამარხი ზოგადად, ძვ.წ. VI-IV სს-ით უნდა დათარიღდეს. ამგვარი დათარიღების საფუძველია რკინის აკინაკები და ცულები, ოქროსა და ვერცხლის სხივანა საყურეები, მათ შორის ვარდულიანი და ხუთ-სხივიანი, ბოლოებდაბრტყელებული და გახვრეტილი სასაფეთქლეები, სამაჯურები, საკისრე რკალები [სულავა 2000a, გვ. 43].

ბრილის სამაროვნის ფიბულების უმრავლესობა ბრინჯაოსია, რამდენიმე რკინისაა, 1 ვერცხლის (სამარხი № 9, 1960 წ.). ისინი 7 სახეობითაა წარმოდგენილი: 1. მრგვალ-განიკვეთიანი რკალით, სადა ან შემკული; 2. გრებილრკალიანი; 3. რომბულ-განიკვეთიანი; 4. რკალის თავსა და ბოლოში დისკოსებური შემსხვილებებით; 5. რკალზე ირგვლივი ღარებით; 6. მძივისებური რკალით; 7. მართკუთხაგანიკვეთიანი რკალით [სულავა 2000b, გვ. 1-5].

ლარილარი. ლარილარის სამაროვნის შესწავლა 1964 წელს დაიწყო [გობეჯიშვილი, ჩართოლანი 1965, გვ. 31-38]. სამაროვანზე ივარაუდება ინჰუმაციური სამარხების არსებობა. შესწავლილია საკრემაციო მოედანი, რომელიც შეიცავს ერთმანეთზე შედუღებული ლითონის იარაღისა და სამკაულის, თიხის ჭურჭლის, მინის, ძვლისა და ქვის დამწვარი ნატეხების შემცველ კონგლომერატებს. დაფიქსირებულია შალის ქსოვილის ფრაგმენტებიც. სამაროვნის ინვენტარი შეიცავს: კერამიკას – დერგები, დოქები, სამზარეულო და სუფრის ჭურჭელი ზოომორფული ყურებით; მეტალურგიასთან დაკავშირებულ კერამიკულ ნაწარმს – საქმენი მილებისა და ბათქაშების ფრაგმენტები. იმპორტული შავლაკიანი კერამიკის (კანთაროსის?) ფრაგმენტები; რკინის – ყუაკვერიანი ცულები, სწორი და მოხრილი დანები, შუბისპირები, მუჯირი, ლაგმები, სამთითა; ბრინჯაოს – ქარქაში, მასრიანი და ბრტყელი ისრისპირები, მრგვალგანიკვეთიანი და ბრტყელი სამაჯურები, ფიბულები, საკიდი ფიგურები (დარახტული ცხენი, ფრინველები, ვერძი, თხა, ჯიხვი, ძაღლი), სათასმე ბალთები, მძივები, ზარაკები, ფარაკიანი ბეჭდები, საკისრე რკალები, სასაფეთქლე რგოლები, ძეწკვები, ცილინდრული და ნახევარსფერული ხვიები, ტუჩისა და თვალის საფარი ფირფიტები; მინის (ერთფერი და პოლიქრომული), ოპალის, ქალცედონის, კვარცის, აქატის, სარდიონის მძივები; კაჟის ქუსლამოღებულ ისრისპირს, ობსიდიანის დანის ნატეხს.

ლარილარის სამაროვანი მიკუთვნებულია ადრეანტიკური ხანის კოლხეთის კულტურის წრეს და ძვ.წ. VI-IV სს-ით თარიღდება [ჩართოლანი 1968, გვ. 300-315].

ვფიქრობთ, ძეგლის ქრონოლოგიური დიფერენციაციის საშუალებას იძლევა თვით გამთხრელის დაკვირვება, რომ ე.წ. შავნახშიროვანი ფენა (ყველაზე ქვედა, რომელიც უშუალოდ ყამირზე დევს) გამოსახულია ბუდეების სახით და შეიცავს ლითონის მრავალფეროვან სამკაულს. ამის მაგალითად შ. ჩართოლანს მოჰყავს I თხრილის ე/5 კვადრატის სიტუაცია, სადაც ერთი კომპლექსის სახით იყო წარმოდგენილი: ბრინჯაოს ნივთები – ფიბულა, ბალთები, დისკოსებური საკიდები, ბრტყელი და მასიური სამაჯურები; რკინის ნივთები – შუბისწვერი, ცული, დანები, ქარქაში [ჩართოლანი 1968, გვ. 303, 306, 307]. ჩვენი აზრით, ანალოგიური მასალის შემცველი კომპლექსები თლიას სამაროვნის I ჯგუფის კომპლექსების მსგავსად ძვ.წ. VI ს-ით ან მისი პირველი ნახევრით უნდა დათარიღდეს [სულავა 2000a, გვ. 39]. ფარაკიანი ბეჭდების შემცველი კომპლექსების თარიღი ძვ.წ. V-IV სს-ით იყო განსაზღვრული [ლორთქიფანიძე 1961, გვ.

39-42], მაგრამ ლარილარის ანალოგიური ირმის გამოსახულებიანი საბეჭდავი ბეჭდის მიხედვით, რომელიც შემთხვევითაა აღმოჩენილი ვანში, ელინისტური პერიოდის შუა ხანებით უნდა დათარიღდეს [ლორთქიფანიძე 1975, გვ. 101-103, ტაბ. X49].

ლარილარის განათხარი მასალიდან ცნობილია: მრგვალგანივკვეთრკალიანი ფიბულები, რომელთა რკალი სხვადასხვაგვარადაა შემკული – სიგრძივი წიწვებით, დამტრიხული სამკუთხა სეგმენტებით, ბიბილოსებური ქედით, რომლის ნახვრეტებშიც გაყრილი და ჩამოკიდებულია ფრინველის მინიატურული ფიგურები (კატ. № № 133, 328, 329).

ლარილარის სამაროვნიდანვეა ცნობილი “გველისებურრკალიანი” ფიბულაც. ეს აღმოჩენა სამხრეთ კავკასიაში ამ ტიპის ფიბულის აღმოჩენის პირველი შემთხვევაა.⁴⁷

სვანეთიდან,⁴⁸ შემთხვევითი აღმოჩენის სახით, ცნობილია ვ. ვირუბოვის მიერ შეძენილი და ერმიტაჟში დაცული ფიბულა, რომლის რკალი ფანტასტიკური ცხოველის გამოსახულებას წარმოადგენს. გამოსახულება, რომელიც კოლხურ ცულებზე გამოსახული ფანტასტიკური ცხოველის ანალოგიურია, ბრტყელია და დაფარულია გრავირებული ზენური ხვიებითა და თევზიფხური სახით (კატ. 700).

ზემო ქართლის (მესხეთის) სამაროვნები.

მზეთამზე. მზეთამზეს სამაროვანზე არქეოლოგიური სამუშაოები 1983 წელს დაიწყო [Насидзе 1987, გვ. 98]. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შედეგად სამაროვნის დიდი ნაწილი დაზიანებული იყო. სამაროვანზე სხვადასხვა პერიოდის სამარხეული კომპლექსებია გამოვლენილი (გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის, ადრეანტიკური, ელინისტური, შუასაუკუნეების). ჩვენთვის საინტერესო გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხები ჩაჭრილია ელინისტური ხანის ქვის სამარხებით. ორმოსამარხები წაგრძელებული ოვალის ფორმისაა. დაკრძალვა ინჰუმაციურია. მიცვალებულები დასვენებულია მარჯვენა გვერდზე კიდურებმოკეცილი, დასავლეთიდან აღმოსავლეთი-საკენ ორიენტაციით. სამარხეული ინვენტარი: ბრინჯაო – კოლხური ცულები, შუბისპირები, სკვითური ტიპის ისრისპირები, ფიგურები, სამაჯურები, ბალთები, ქინძისთავები, საკიდები; რკინა – ცულები, სატევრები, შუბისპირები, მოხრილი დანები; სხვადასხვა ჯიშის ქვებისა და მინის მძივები; კერამიკა – ძველკოლხური I ჯგუფის კერამიკის ფორმები (თ. მიქელაძის კლასიფიკაციით. იხ. მიქელაძე 1974, გვ. 53-56). სამარხები თარიღდება ძვ.წ. VII-VI სს-ით [ნასიძე 1990, გვ. 12; Насидзе 1991, გვ. 87-89]. სამაროვანზე აღმოჩენილი ყოფილა 100-მდე ფიბულა.⁴⁹ ჩვენთვის, პუბლიკაციების მიხედვით ცნობილია მხოლოდ 9 ფიბულა, რომლებიც სიგრძეზე მიმართული თევზიფხური ორნამენტითაა შემკული, ხოლო ბუდეები გრავირებულია [ნასიძე 1991, ტაბ. V; Georgien 2001, გვ. 372, კატ. № 299].

ჩითახევი. “ჩითახევის მიწებზე” არქეოლოგიური სამუშაოები 1972 წელს დაიწყო. გამოვლინდა მრავალფენიანი ძეგლი – განვითარებული შუასაუკუნეების ნაგებობის ნაშთი ქვედა მეორე ფენისაგან გამოყოფილია 1 მ სისქის თიხა-მიწის სტერილური შრით და ნამტვრევი წვრილი ქვის ხელოვნური საფარით, რომელიც, თავის მხრივ, ზემოდან ადევს დიდი ზომის ქვებით შექმნილ ყრილს. ყრილში აღმოჩნდა ორმოსამარხები და ქვის სამარხები. სამაროვანზე 1972 წელს სულ გაითხარა 33 სამარხი. დიდი ზომის ქვის სამარხები კოლექტიური სამარხებია 5-9 მიცვალებულით. პატარა ზომის ქვის სამარხებში აღმოჩენილია: თიხის ჭურჭელი, სხვადასხვა ნივთები და საქონლის ძვლები,

⁴⁷ ცნობა მოგვაწოდა ისტ. მეც. დოქ. შ. ჩართოლანმა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ.

⁴⁸ ფიბულის შესახებ უფრო კონკრეტული მონაცემები არა გვაქვს.

⁴⁹ ცნობა მოგვაწოდა პროფ. ვ. ლიჩელმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ.

ზოგჯერ ცეცხლის კვალით. სამაროვანზე მოპოვებულ ინვენტარს (ბრინჯაოსა და რკინის ცულები, რკინის სატევრები, მახვილები, მოხრილი დანები, შუბისპირები, ბრინჯაოსა და რკინის ფიბულები, ბრინჯაოს მასიური რგოლები, მძივები, თიხის ჭურჭელი და სხვ.) ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარს მიაკუთვნებენ [ლამბაშიძე, ართილაყვა 1973, გვ. 46].

გამოქვეყნებული მასალებიდან ბრინჯაოსა და რკინის ფიბულები აღმოჩენილია 1972-1973 წლების განათხარ მასალაში⁵⁰ – № 26 (ინვენტარი: ბრინჯაო – ფიბულა, კოლხური ცული, ე.წ. “ზიბრიდული ცული”; ბრინჯაოსტარიანი რკინის სატევარი; კერამიკა; სარდიონისა და აქატის მძივები), № 58 (ინვენტარი: ბრინჯაო – ფიბულა, ცულები (თუ ცული), ფრთადაშვებული ისრისწვერები, კვერთხის თავი, მასიური სამაჯური, მილისებრი ხვიები; რკინის შუბისპირი; მძივი), № 20 (ინვენტარი: ბრინჯაო – სამაჯურები, რგოლი, მართკუთხაგანივკვეთიანი საკინძი; რკინა – 2 შუბისპირი, ფიბულა, რგოლი; კერამიკა – 3 დოქი, სასმისი) სამარხებში [ლამბაშიძე, ართილაყვა 1973, გვ. 46; Georgien 2001, გვ. 372, კატ. № 297].

ჩითახევის № 26 სამარხი თარიღდება ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით; № 58 სამარხი – ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედით [ლამბაშიძე, ართილაყვა 1973, გვ. 30, 46]. ხოლო № 20 სამარხი რკინის ფიბულით – ძვ.წ. VIII-VII სს-ით [Georgien 2001, გვ. 372].

ჩითახევის ბრინჯაოს ორი ფიბულა ერთი ტიპისაა. ისინი დაბალრკალიანია. დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი მავთულისაგან. რკალი შემკულია დაშორებული განივი თევზიფხური სახეებით (კატ. № № 17, 18). რკინის ფიბულა კი მკვეთრად მაღალკალიანია.

შიდა ქართლის სამაროვნები.

თლია (სურ. 19-26). თლიას სამაროვნის შესახებ ცნობები XIX ს-ის ბოლოდან არსებობს. თავდაპირველად იქ არქეოლოგიური ნივთები ვინმე ხაბომ კანუკოვმა მოიპოვა და ვ. დოლბუჟევს გადასცა. ამ უკანასკნელმა 1890 წელს ვენელ ნატურალისტ ფ. ჰეგერთან ერთად შეისწავლა სამაროვნის ტერიტორია. მათ გათხრით მოპოვებული და ადგილობრივი მოსახლეობისაგან შეძენილი ნივთების ნაწილი გაგზავნეს პეტერბურგში, ნაწილი კი ვენის საბუნებისმეტყველო მუზეუმში [Уварова 1890, გვ. 336, 338; Тешов 1957, ტაბ. XV-XVIII; 1980, გვ. 5]. 1891 წელს მცირე გათხრები ჩაატარა თლიაში პ. უვაროვამ [Уварова 1890, გვ. 337; Тешов 1957, ტაბ. XIII, XIV; 1971, გვ. 12-14]. თლიას სამაროვნის გეგმაზომიერი არქეოლოგიური შესწავლა 1955 წელს დაიწყო ბ. ტეხოვის ხელმძღვანელობით. გამოქვეყნებულია სამაროვნის მთელი განათხარი მასალა [Тешов 1957, გვ. 36-148; 1971, გვ. 149-218; 1980; 1981; 1985; 2002]. ძეგლის გამთხრელის მიხედვით სამაროვნის არსებობის დიაპაზონი საკმაოდ დიდია – ძვ.წ. XVI ს-დან – ძვ.წ. V ს-მდე. სამაროვნის მასალა ბ. ტეხოვს რამდენიმე ქრონოლოგიურ ჯგუფად აქვს დაყოფილი. I ჯგუფს მიაკუთვნებს შუა ბრინჯაოს ხანის დასასრულსა და გვიანდელი ბრინჯაოს ადრეულ ეპოქას (ძვ.წ. XVI-XIII სს.). ამ ეტაპისათვის დამახასიათებელია – ინჰუმაციური დაკრძალვა, გამოტოლი, ერთი ან რამდენიმე მიცვალებული; სამარხები ქვებით შემოწყობილი ორმოები ან ქვის სამარხებია.⁵¹ II ჯგუფს ბ. ტეხოვი მიაკუთვნებს გვიანი ბრინჯაოს ხანის მეორე ეტაპს (ძვ.წ. XII-X სს.). ამ ეტაპისათვის

⁵⁰ 1973 წელს გაითხარა 13 ქვის სამარხი და 18 ორმოსამარხი [ლამბაშიძე, ართილაყვა 1974, გვ. 28-30]. ტაბულები გამაცნო ისტ. მეც. კანდ. ი. ლამბაშიძემ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვასხენებ.

⁵¹ რადგან ამ პერიოდში ფიბულები ჯერ კიდევ არ არსებობენ, ამიტომ ამ ჯგუფის ინვენტარის აღწერას არ ვიძლევი.


დამახასიათებელია – ინჰუმაციური კიდურებმოხრილი დაკრძალვა, ძირითადად მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთისაკენ, იშვიათად ორი მიცვალებულით. სამარხები ქვებით შემოწყობილი ორმოები ან ქვის სამარხებია ზემოდან ქვაყრილით. დაკრძალვის წესის შემადგენელი ნაწილი უნდა ყოფილიყო რიტუალში ცეცხლის მონაწილეობა (სამარხში ცეცხლს ანთებდნენ ან ნაკვერჩხლებს ყრიდნენ) [Texov 1977, გვ. 14-16, 63-68; 1980, გვ. 11-14]. სწორედ ამ პერიოდიდან ვარაუდობს ბ. ტეხოვი ფიბულების გაჩენას თლიას სამაროვანზე [Texov 1973; 1977, გვ. 142]. სამარხების ამ ჯგუფის ინვენტარი წარმოდგენილია: კერამიკა – უყურო და ცალყურა ქოთნები თუ კათხები, ჯამები; ბრინჯაო – ზოომორფულყურებიანი სადა და კანელურებიანი სიტულები, ფიალები, მასრაგახსნილი შუბისპირები, გრავირებული ცულები, სატევრები, კვერთხისთავები, პინცეტები, სადა და გრავირებული სარტყლები, მართკურთხა დიდი და პატარა გრავირებული აბზინდები, ფიბულები, დუგმები, საკინძები, კისრის რკალები, სამაჯურები ფირფიტისებური, მრგვალგანივკვეთიანი, ნეკნისებური სპირალური ბოლოებით, ფეხის რგოლები, ფიგურული საკიდები (ზოომორფული, ჯვრისებური), რომბული ფირფიტები, სასაფეთქლეები ნავისებური სპირალური ბოლოებით, მცირე პლასტიკა; ოქროს ფოლგით დაფარული თიხის, სარდიონის, კალციტის, ობსიდიანის, ბრინჯაოს, ფაიანსის მძივები [Texov 1977, გვ. 63-183].

III ჯგუფს ბ. ტეხოვი მიაკუთვნებს ადრერკინის ხანის ეპოქას (ძვ.წ. X ს-ის ბოლო – IX ს.). ამ ხანისათვის დამახასიათებელია – ინჰუმაციური, კიდურებმოხრილი დაკრძალვა ძირითადად მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთისაკენ, 2-3 მიცვალებულით. სამარხები ქვებით შემოწყობილი ორმოები ან ქვის სამარხებია ზემოდან ქვაყრილით. სამარხებში ყრიდნენ ნაკვერჩხლებს. სამარხის იატაკი ყოველთვის მოფენილია ხის, ბალახის ან ტყავის საფენით [Texov 1981, გვ. 24-27]. სამარხების ამ ჯგუფის ინვენტარი წარმოდგენილია: კერამიკა – ჯამი, ფრაგმენტები; ბრინჯაო – თასები, ზოომორფულყურებიანი სიტულები, გრავირებული და სადა ცულები, სატევრები, სარტყლები, აბზინდები, ფიბულები, პინცეტები, საკისრე რკალები, რგოლები, საკიდები, სასაფეთქლეები, მრგვალყუნწიანი ბალთები; რკინა – სატევრები, შუბისპირი; რკინისპირიანი და ბრინჯაოსტარიანი სატევარი; ოქროს ფოლგით დაფარული სარდიონის მძივები [Texov 1981, გვ. 7-24].

IV ჯგუფს ბ. ტეხოვი მიაკუთვნებს პერიოდს, როცა რკინის ნივთების რაოდენობა იზრდება (ძვ.წ. VIII-VII ს-ის პირველი ნახევარი). ამ ხანისათვის დამახასიათებელია – ინჰუმაციური, ინდივიდუალური დაკრძალვა კიდურებმოხრილი მარჯვენა გვერდზე თავით ჩრდილოეთისაკენ; სამარხები ქვებით შემოწყობილი ორმოებია ზემოდან ქვაყრილით. სამარხებში ყრიდნენ ნაკვერჩხლებს. იატაკზე აფენდნენ ხის ან ტყავის საფენს. მეორე ტიპის სამარხები ქვის სამარხებია [Texov 1981, გვ. 50-55]. სამარხების ამ ჯგუფის ინვენტარი წარმოდგენილია: კერამიკა – ცალყურა ქოთნები; ბრინჯაო – გრავირებული ცულები, სატევრები, თასები, სადა და ნეკნისებურგვერდებიანი, ვაზები, ორყურა ქვაბები, ზოომორფულყურებიანი სიტულა, სარტყლები, აბზინდები, ფიბულები, საკისრე რკალები, ფირფიტისებური და მრგვალგანივკვეთიანი სამაჯურები, პინცეტები, საკიდები; რკინა – სატევრები, ცული, ფიბულები; ბრინჯაოსტარიანი რკინისპირიანი სატევარი-აკინაკი [Texov 1981, გვ. 28-50].

V ჯგუფის სამარხებს მიაკუთვნებს რკინის ფართო ათვისებს პერიოდს (ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევარი – VI ს.).⁵² ამ ხანისათვის დამახასიათებელია – ინჰუმაციური, ინდივიდუალური ან წყვილადი დაკრძალვა, კიდურებმოხრილი მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთისაკენ; სამარხები ქვებით შემოწყობილი ორმოებია ზემოდან ქვაყრილით ან ქვის სამარხებია. სამარხებში ყრიდნენ ნაკვერჩხლებს. იატაკზე აფენდნენ ქვებს, ხის ფიცრებს ან ტყავს [Техов 1981, გვ. 57-64]. სამარხების ამ ჯგუფის ინვენტარი წარმოდგენილია შემდეგი მასალით: კერამიკა – ცალყურა ქოთნები; ბრინჯაო – გრავირებული ცულები, სატევრები, ორყურა ქვაბები, ზოომორფულყურაიანი სიტულები, აბზინდები, ფიბულები, საკისრე რკალები, დიადემები, სამაჯურები მრგვალგანიკვეთიანი და ფირფიტისებური, საკიდები; რკინა – სატევრები, სატევარი-აკინაკები, ცულები, დანები, ფიბულები, სამაჯურები; სარდიონის, ქარვის, კალციტის, მინის მძივები [Техов 1985, გვ. 5-56].

როგორც აღვნიშნეთ, ფიბულები თლიას სამაროვანზე ბ. ტეხოვისეული II ჯგუფიდან (ძვ.წ. XII-X სს.) იწყებენ არსებობას და V ჯგუფის სამარხების (ძვ.წ. VI ს.) ჩათვლით არსებობენ ანუ ფიბულათა არსებობა თლიას სამაროვანზე 7 საუკუნითაა განსაზღვრული. თუ თვალს გადავავლებთ დაკრძალვის წესს და სამარხულ ინვენტარს (ჩვენი ინტერესის საგანი მხოლოდ ფიბულების შემცველი სამარხებია) ჩნდება ეჭვი, რომ დროის ამხელა მონაკვეთზე ფუნქციონირებდეს ტიპოლოგიურად ერთგვაროვანი მასალის შემცველი სამაროვანი.⁵³




სურ. 19. თლია (სურ. 19-26-ის ნივთების ნომრები შეესაბამება თლიის სამარხების ნომრებს).

⁵² როგორც ბ. ტეხოვი აღნიშნავს: “Выделить эту группу погребений оказалось делом не лёгким; можно сказать, материалы VIII-VII вв до н.э. мало чем отличаются друг от друга. Тем не менее по некоторым отдельным признакам удалось определить хронологию того или иного комплекса и тем самым выделить большую группу погребальных комплексов, относящихся ко второй половине VII-VI вв до н.э.” [Техов 1985, გვ. 5].


⁵³ ჩვენი მოსაზრებები და დასკვნები ამ საკითხის შესახებ იხ. სულავა 2000a და აქვე, გვ. 75-84.

თლიას სამაროვანზე 154 კომპლექსიდან 168 ფიბულაა ცნობილი (139 ბრინჯაოსი, 29 რკინის).⁵⁴ ისინი სამი ტიპისაა (თავისი ქვეტიპებით): I. დაბალკორპუსიანი, მრგვალგანიკვეთიანი რკალით, დაშორებული თევზიფხურით შემკული (სურ. 1964,115,52); II. ოდნავ ასიმეტრიულკორპუსიანი (სადა, დაშორებული თევზიფხურით შემკული, გრებილრკალიანი) (სურ. 1923,37,48,52,79,99);




სურ. 20. თლია.


⁵⁴ ბ. ტეხოვის 1980, 1981, 1985 წლების ნაშრომების მიხედვით. მისი ახალი ნაშრომის [Техов 2002] მონაცემებით თლიას სამაროვნის ფიბულების ტიპოლოგიური სურათი ფაქტობრივად არ იცვლება.




სურ. 21. თლია.




სურ. 22. თლია.




სურ. 23. თლია.




სურ. 24. თლია.



სურ. 25. თლია.



93



205




146




226



69




172



314



333




300




216




255




68



139



158



308

III. ნახევარწრისებურკორპუსიანი (მრგვალგანივკვეთიანი, ყვავილისებურგანივკვეთიანი, მრავალკუთხაგანივკვეთიანი, რომბულგანივკვეთიანი, რკალზე დისკოსებურშემსხვილებიანი, წვრილრკალიანი და განიერფეხიანი, დაკეჭნილზურგიანი) (სურ. 20-26) [სულავა 2000ა, გვ. 38-45].

ნაცარგორა. ნაცარგორის სამაროვანზე 1984-1992 წლებში ჩატარებული გათხრების შედეგად შესწავლილ იქნა 500-ზე მეტი სამარხი. აქედან 150 სამარხი ზოგადად ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარს განეკუთვნება. ამ ხანის სამარხებიდან 1986 წლის გათხრებისას შესწავლილ იქნა № 7 სამარხი (ორმოსამარხი, ინჰუმაციური, მარცხენა გვერდზე მწოლიარე მიცვალებული, მოხრილი კიდურებით). ინვენტარი შედგებოდა შემდეგი ნივთებისგან: თიხა – ოთხი ჭურჭელი; ბრინჯაო – თასი; რკინა – სატევარი, შუბისპირი, დანა, წვეტიანი ნივთი, ფიბულა. უკანასკნელი მაღალრკალიანია.

ნაცარგორის გამოქვეყნებული მასალებიდან ფიბულები კიდევ 5 სამარხიდანაა ცნობილი – № № 315, 208, 227, 319, 435. № 319 სამარხი დათარიღებულია ძვ.წ. VIII-VII ს-ის პირველი ნახევრით და მისი ინვენტარი წარმოდგენილია: ბრინჯაო – გრავირებული კოლხური ცულები, საკიდები; რკინა – ფიბულა, მახვილი, შუბისპირი, დანა; კერამიკა – დოქი, ქოთანი, ლანგარი. № 435 სამარხი დათარიღებულია ძვ.წ. VIII ს-ით და მისი ინვენტარი წარმოდგენილია: ბრინჯაო – ფიბულა, მახვილი, შუბისპირი მასრაგახსნილი, კოლხური ცული, გრავირებული აბზინდა, ბუნიკი; რკინა – მახვილი, შუბისპირი მასრაგახსნილი; კერამიკა – ლანგარი, განიერყელიანი დოქი, ორყურა დიდი ქოთანი. № 208 სამარხი დათარიღებულია ძვ.წ. VIII ს-ით და მისი ინვენტარი წარმოდგენილია: ბრინჯაო – შუბისპირი, სარტყელი, 2 ფიბულა (ერთი მხოლოდ ნემსისა და ზამბარის ფრაგმენტებით); რკინა – სატევარი და რაღაც ნივთის ფრაგმენტი; კერამიკა – ქოთანი, 2 ცალყურა ქოთანი, ლანგარი. № 227 სამარხი დათარიღებულია ძვ.წ. VIII ს-ით და მისი ინვენტარი წარმოდგენილია: ბრინჯაო – გრავირებული სარტყელი, სატევარი; რკინა – ფიბულა, შუბისპირი; კერამიკა – ლანგარი, ბიკონუსურტანიანი ქოთანი, 2 ცალყურა დოქი, კასრისებრი ცალყურა კათხა. № 315 სამარხიც ძვ.წ. VIII ს-ით უნდა დათარიღდეს. ის შეიცავს: ბრინჯაო – სარტყელი გრავირებული, ფიბულა; რკინის სატევარი; კერამიკა – ლანგარი, ცალყურა დოქი [Рамишвили 1995, გვ. 71, ტაბ. 10959; Рамишвили 1997, გვ. 41-44; რამიშვილი 2001, გვ. 157-159, ტაბ. I (სამარხი № 315), ტაბ. II (სამარხი № 208), ტაბ. V (სამარხი № 227), ტაბ. VII (სამარხი № 319), ტაბ. VIII (სამარხი № 435)].

ამგვარად, ნაცარგორას ჩვენთვის ცნობილი რკინისა და ბრინჯაოს ფიბულები წარმოდგენილია ორი სახით: მაღალრკალიანი და დაბალრკალიანი – დაბალრკალიანი რკინის ფიბულა № № 227, 319 სამარხიდან (კატ. 887, 930) და ბრინჯაოს ფიბულა № 435 სამარხიდან, რომელიც დაშორებული განივი წიწვებითაა შემკული (კატ. 43). მაღალრკალიანია № 7 სამარხის რკინის ფიბულა და № № 315, 208 სამარხების ბრინჯაოს სადარკალიანი ფიბულები (კატ. 74, 75).

სამთავრო. სამთავროს სამაროვნის არსებობა XIX ს-ის 60-იანი წლების ბოლოს საქართველოს სამხედრო გზის გაყვანისას წარმოებული სამუშაოების დროს გახდა ცნობილი. სამაროვნის შესწავლას “კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების” დავალებით 1871-1877 წლებში აწარმოებდა ავსტრიელი ნატურალისტი და არქეოლოგი ფრ. ბაიერნი, რომელმაც 600 სამარხი გათხარა [Bayern 1885; Байерн 1871; 1872; Уварова, Радде 1902; ლომთათიძე 1945; Ломтатидзе 1955, გვ. 10-15; კალანდაძე 1980, გვ. 22-32].

ფართომასშტაბიანი არქეოლოგიური გათხრები სამთავროს სამაროვანზე 1938 წლიდან დაიწყო ა. კალანდაძისა და მ. ივამჭენკოს ხელმძღვანელობით. დღემდე სა-

მთავროს სამაროვანზე შესწავლილია 4400 სამარხი ადრებრინჯაოს ხანიდან მოკიდებული ადრე შუასაუკუნეების ჩათვლით [სადრამე 1997, გვ. 4, 55].

სამთავროს სამაროვანზე უძველეს კულტურულ ფენას მიაკუთვნებენ ადრინდელი ბრინჯაოს ხანას, რომელიც წარმოდგენილია არქაული კერამიკით, ქვის იარაღითა და შენობათა დამწვარი ნაშთებით. შუა ბრინჯაოს ხანა (ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევარი) წარმოდგენილია გორასამარხებით, რომლებშიც ნაპოვნია: ბრინჯაოს იარაღი, მძივები, ოქროს სამკაული. გვიანდელი ბრინჯაოს ხანისა (ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარი) და ადრინდელი რკინის ხანის (ძვ.წ. IX-V სს.) სამარხები ჩვეულებრივი ან რიყის ქვებით შემოსაზღვრული ორმოებია, გადახურული ძელებით, ზოგჯერ ფილაქვით და ქვაყრილით; სამარხთა დიდი უმრავლესობა ინდივიდუალურია. გვხვდება კოლექტიური სამარხებიც (მაგ. S უბანი, სამარხი № 8, 33 მიცვალებულით). ყველა სამარხი ინჰუმაციურია. იშვიათად გვხვდება კენოტაფებიც. გვხვდება მეორადი დაკრძალვაც. მიცვალებულები დასვენებულია გვერდზე, კიდურებმოხრილი; იშვიათად ზურგზე გამოტოლი. სამარხეული ინვენტარის გარდა, “საგზლად” ატანდნენ შინაურ და გარეულ ცხოველთა ხორცს. სამარხების ინვენტარი წარმოდგენილია: ბრინჯაო _ იარაღი (წვერმომრგვალებული და წვერკვეთილი მახვილები, სატევრები ტარზე მაღალი ქუდით, ორფრთიანი გრძელყუნწიანი ისრისპირები, კოლხური ტიპის ცულები, მთლიანმასრიანი და მასრაგახსნილი შუბისპირები), გრავირებული სარტყლები, სამკაული (ჭდეულზედაპირიანი სამაჯურები, ბეჭდები), ცხოველთა ფიგურები; ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთები _ ფიბულა, ვარდულები, მილები, სამხარილღიე ბალთები, რგოლები; რკინა _ იარაღი (ტარშეურჩენელი მახვილები, ფოთლისებური სატევრები, კოლხური ტიპის ცულები, შუბისპირი მასრაზე ბრინჯაოს სალტით, ისრისპირები გრძელყუნწიანი, გრძელი მახვილები, სატევრები); სამკაული (სამაჯურები, ბეჭდები, ფიბულები); სარდიონის ზარისებური და ხუთწახნაგა მძივები; კერამიკა _ გეომეტრიულორნამენტისანი გაპრიალებული და მოჭიქული კერამიკა [აბრამიშვილი 1957, გვ. 132-137; კალანდაძე 1959, გვ. 163 და შემდ. 1985, გვ. 11]. როგორც ვხედავთ, ამ უკანასკნელ პერიოდს მიაწერენ სამთავროს სამარხებში ფიბულების გაჩენას.

სამთავროს სამაროვანზე მხოლოდ ბრინჯაოს 3 (კატ. 16, 23, 561) და რკინის 6 ფიბულაა (კატ. 912-917) აღმოჩენილი. ბრინჯაოს ფიბულები ორი ტიპისაა: დაბალრკალიანი (გრეხილდეროიანი; მრგვალგანივკვეთიანი, განივი თავზიფხური სახით რკალშემკული) და მაღალრკალიანი (გრეხილდეროიანი) [სულავა 2000, გვ. 65-71].


თრელი. თრელის სამაროვანზე ბრინჯაო-ადრერკინის ხანის მასალა 1969-1972 წლებში გამოვლინდა. სამაროვნის არქეოლოგიური მასალის ქრონოლოგიური დიაპაზონი ფართოა. შუა ბრინჯაოს ხანის მიწურულის (ძვ.წ. XV ს.), გვიანბრინჯაოს ადრეული ეტაპისა (ძვ.წ. XV ს-ის ბოლო _ XIV ს.) და გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის (ძვ.წ. XIII-XII სს.) სამარხები თრელის სამაროვანზე 100-ზე მეტია გათხრილი [აბრამიშვილი, ბოხოჩაძე, კვიციანიძე, მირცხულავა, ნიკოლაიშვილი, რამიშვილი 1971; აბრამიშვილი 1978, გვ. 7-13, ნახ. 61, 62, 78-80].

თრელის სამაროვანზე ფიბულის შემცველია სამარხი № 49, რომელიც 1972 წელს გაითხარა.⁵⁵ სამარხი მამაკაცს ეკუთვნის. ინვენტარი დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი: თიხის ჭურჭლები; ბრინჯაო _ 2 კვერთხისთავი, ფიბულა, 3 ბეჭედი,

⁵⁵ № 49 სამარხი პირველად მოხსენიებულია 1972 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების ანგარიშებში [აბრამიშვილი, გოგაძე, თუშიშვილი, კალანდაძე, მუსხელიშვილი, ნიკოლაიშვილი, რამიშვილი 1973, გვ. 42]. ვფიქრობთ, აქ რაღაც შეცდომასთან უნდა გვქონდეს საქმე, რადგან ინვენტარის აღწერისას ნახსენებია ყუნწიანი სატევრისპირი და პირამიდისებურთავიანი საკინძები. თანაც სამარხი ძვ.წ. XV ს-ით არის დათარიღებული. შდრ.: აბრამიშვილი 1978, ნახ. 80; Georgien 2001, კატ. № 277.

ზომორფულთავიანი მოხრილი დანა, პინცეტი, 3 სამხარელო ბალთა, სადგისი, ჯვრისებური საკიდი, სარტყელი, ბოლოკვეთილი მახვილი, რგოლი, ფირფიტისებული ისრისწვერები, სატევარი, დანა; რკინის ისრისპირები; ძვლის ისრისპირები; სარდიონისა და ფიანსის მძივები [Georgien 2001, გვ. 363, 372, კატ. № 298]. კრებულში – “თბილისი I” გამოქვეყნებულია ინვენტარის ტაბულა ძვ.წ. XIII-XII სს-ით დათარიღებულ ძეგლებთან ერთად, თუმცა სამარხი ტექსტში ნახსენები არაა [აბრამიშვილი, გიგუაშვილი, კახიანი, ოქროპირიძე, სულთანაშვილი 1978, გვ. 129, ნახ. 80]; ხოლო იგივე სამარხი ადრერკინის ხანით, დაახლოებით ძვ.წ. 800 წლითაა დათარიღებული საარბრიუკენში მოწყობილი გამოფენის კატალოგში [Unterwegs 1995, კატ. № 373]; ბოხუმში მოწყობილი გამოფენის კატალოგში კი ძვ.წ. IX-VIII სს-ითაა დათარიღებული [Georgien 2001, გვ. 372, კატ. № 298].

თრელის № 49 სამარხის ფიბულა დაბალრკალიანია და სადა (კატ. 2).



სურ. 27. დილომი. ფიბულები (კატ. 1, 29).

დილომი (სურ. 27). დილომში 1960 წლის მარტში შემთხვევით აღმოჩენილი სამი აღმოსავლურქართული ტიპის ცული დ. ქორიძემ სავარაუდოდ განძად ან განძის ნაწილად მიიჩნია და ძვ.წ. XIII-XII სს-ით დაათარიღა [ქორიძე 1965, გვ. 19, სურ. 9]. ამავე წელს, აპრილის თვეში ეს კოლექცია (სემ ინვ. 6-60:11-13) იმავე ადგილას აღმოჩენილი ახალი ნივთებით შევსებულა (იხ. სემ “პირითადი ფონდი”, ინვ. 6-60:1-87). როგორც ჩანს, საქმე გვაქვს დანგრეულ სამარხთან. კოლექცია წარმოდგენილია შემდეგი ინვენტარით: კერამიკა – ქილები, მათ შორის ობსიდიანის “სარკმელით”, კოჭბები, ცილინდრული სასმისები, დოქები, ლანგრები, ქვაბქოთანა, დერგი; ბრინჯაო – 2 ფიბულა, ე.წ. აღმოსავლურქართული ტიპის ცულები, ბოლომომრგვალებული და ბოლოკვეთილი მახვილები, მასრაგახსნილი შუბისპირები, სადა და ზურგდაკეჭნილი სამაჯურები,

საკინძები თავგახვრეტილი, სარტყლის ფრაგმენტები, ბალთები, დილები, ბეჭდები, მახათები; რკინა – შუბისპირის ფრაგმენტი, ნატეხები; მრგვალი სარდიონის, ცისფერი პასტის მძივები.

ამ კოლექციიდან ორი ფიბულაა ცნობილი (კატ. 1, 29). ორივე ნახევაროვალურკალიანია ერთი სადაა, მეორეს რკალი შემკულია თევზიფხურისა და მოკლე სიგრძივი ხაზების კომბინაციებით. რადგან დახურულ კომპლექსთან არ გვაქვს საქმე, თარიღის განსაზღვრისას ნივთების ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური მონაცემებით უნდა ვიხელმძღვანელოთ. აქედან გამომდინარე კოლექცია, ალბათ, ძვ.წ. IX-VIII სს-ის მიჯნით ან ძვ.წ. VIII ს-ით უნდა დავათარილოთ.⁵⁶

ქვემო ქართლის სამაროვნები.

მარალინ-დერესი (სანთა). 1936-1947 წლებში თრიალეთის (წალკის) არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ბ. კუფტინის ხელმძღვანელობით სოფ. სანთას მიდამოებში ოთხი სხვადასხვა პერიოდის სამაროვანი გათხარა. მათ შორის ადრერკინის ხანის სამაროვანი ადგილ მარალინ-დერესში [Куфтин 1941, გვ. 50-55; გაგოშიძე 1982, გვ. 41]. ქვის სამარხებში დაკრძალვა ინჰუმაციური იყო. ფიბულა აღმოჩნდა № 4 ქვის სამარხში, რომელშიც გოგონა დაეკრძალათ. ინვენტარი წარმოდგენილი იყო შემდეგი ნივთებით: კერამიკა – დოქი მსხლისებური კორპუსით, ქოთანი ცალყურა, დოქი სფეროსებური მუცლით; ბრინჯაო – თოხი, სავარცხელი, 2 სამაჯური; რკინა – დანა; ქვის ამულეტი; მინის დიდი ზომის გირჩისებურშვერილებიანი, სარდიონის მძივები; ნიჟარა კაური (სემ 31-65:35, კომპლ. 33-45).

მარალინ-დერესის ფიბულა (კატ. 30) დაბალრკალიანია. რკალის ზედაპირი შემკულია განივად მიმართული ირიბი ნაჭდევების სეგმენტებით, რომელთა შორისაც ჯვარედინი ნაჭდევებია. ბ. კუფტინი მარალინ-დერესს № 4 სამარხის ქრონოლოგიას ვანის ეპოქით განსაზღვრავდა [Куфтин 1941, გვ. 5-55].

განთიადი. განთიადის სამაროვნის (დმანისის რ-ნი) შესწავლა დაიწყო მაშავერას ხეობის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელიც 1981 წელს შეიქმნა. იქ გამოვლენილია ქვაყრილიანი ორმოსამარხები. შიგ ჩადგმულ ქვებზე გამართული უნდა ყოფილიყო დასასვენებელი, რომელზეც მიცვალებულს, კიდურებმოხრილ მდგომარეობაში მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთით კრძალავდნენ. დასასვენებლის ქვეშ თიხის ჭურჭელს დებდნენ. სამარხები იყოფა ორ ქრონოლოგიურ ჯგუფად: I. სამარხები, რომლებშიც აღმოჩენილია მახვილები, მოკლე კონუსურთავიანი საკინძები, თიხის ჭურჭელი, დათარიღებულია ძვ.წ. VIII-VII სს-ით. ამ ჯგუფს განეკუთვნება ბრინჯაოს ფიბულის შემცველი, მამაკაცის № 61 სამარხიც, რომლის ინვენტარი წარმოდგენილია: რკინა – მახვილი, მასრაგახსნილი შუბისპირი; ბრინჯაო – ფიბულა, სარტყელი, რგოლი, სამაჯური, კონუსურთავიანი საკინძები, ფრთებჩამოშვებული ყუნწიანი ისრისპირები, საკიდები (ირმები), ზარაკი ბორბლისებური ბალთები; კერამიკა – დოქი, ლანგრები, კათხები. სამარხში აღმოჩენილი ფიბულა (კატ. 73) მაღალრკალიანია, სადა [Кахиани . . . 1985, გვ. 29, 30, ტაბ. XXX, XXXI; Georgien 2001, გვ. 377, კატ. № 308].

კახეთის სამაროვნები.

თეთრიწყლები. თეთრიწყლების სამაროვანი ცნობილი იყო 1949 წლიდან შემთხვევით მოპოვებული მასალის (ბრინჯაოს მახვილები) სახით, რასაც 1953 წელს

⁵⁶ ამ კოლექციაში, რომელიც ჯერ გამოქვეყნებული არ არის, ერთად გვაქვს რკინის შუბისპირი და ბრინჯაოს მახვილები და ცულები, რომლებიც ძვ.წ. VIII ს-ის კუთვნილებაც შეიძლება იყოს; ზურგდაკეპნილი სამაჯურების არსებობაც იგივე ხანას ემთხვევა. ხოლო დაბალრკალიანი ფიბულების პარალელური მასალა კოლხეთის სამაროვნებიდან და თლიას სამაროვნიდან ძვ.წ. VIII ს-ს განეკუთვნება [სულავა 2000].

კიდევ დაემატა შემთხვევით მოპოვებული ანტიკური და ადრერკინის ხანის მასალა. 1965 წლის არქეოლოგიური დაზვერვების შედეგად გაირკვა, რომ მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის შედეგად სამაროვანი ინგრეოდა. 1966 წელს ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები კ. ფიცხელაურის ხელმძღვანელობით. გამოვლინდა 6 ორმოსამარხი: 2 თითქმის განადგურებული იყო, 2 – შედარებით უკეთ დაცული. სამარხები დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ორიენტირებული სწორკუთხა ორმოებია. მიცვალებულები დაკრძალული ყოფილა მჯდომარე პოზაში. ჩატანებული ქონდათ მთელი ცხვარი. სამარხეული ინვენტარი წარმოდგენილია დიდი რაოდენობით კერამიკული ნაწარმით, ბრინჯაოს ნივთებითა და რკინის მხოლოდ რამდენიმე ნივთით (შუბისპირი და დანის ფრაგმენტები № 1 სამარხიდან და ბრინჯაოს მახვილი რკინის ჟანგის ნაკვალევით № 4 სამარხიდან). ფიბულა აღმოჩენილია № 5 სამარხში, რომლის ინვენტარიც წარმოდგენილია: ბრინჯაო – ჯაჭვი დედალი დუგმით, ნახევარსფერული ღილები, მახვილი (კ. ფიცხელაურის კლასიფიკაციით IV3 ჯგუფი) [ფიცხელაური 1965, გვ. 73; Pizchelauri 1997, გვ. 19, 20], სამაჯურები, ფიბულა, ერთნახევრიანი ხვია, ტახის თავ-გახვრეტილი ეშვი; კერამიკა – ორყურა ლანგარი, ჯამები, 3 ქოთანი, 2 კათხა, ჭურჭლის ფრაგმენტები [ბუგიანიშვილი, დედაბრიშვილი, ფიცხელაური, რამიშვილი, ჩიკოიძე 1967, გვ. 40, 41; Пицхелаური 1969, გვ. 101-107, ტაბ. XI].

№ 5 სამარხში აღმოჩენილი ფიბულა (კატ. 33) დაბალრკალიანია. ზურგი გოფრირებულია, რითაც მიაგავს ამავე სამარხში აღმოჩენილ სამაჯურებს. ანალოგიური სამაჯურები ცნობილია სამთავროს სამაროვნის რკინის ინვენტარის შემცველი ძვ.წ. VIII-VII სს-ით დათარიღებული სამარხებიდან [აბრამიშვილი 1961, ტაბ. VII2 (სამარხი № 123); ტაბ. XIII1 (სამარხი № 174); ტაბ. XIV1 (სამარხი № 121 – გრავირებული კოლხური ცულით); ტაბ. XVII2 (სამარხი № 50 - აკინაკით); ტაბ. XVIII2 (სამარხი № 295)] და ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახ. – VI ს-ით დათარიღებული მასალებიდან [აბრამიშვილი 1957, ტაბ. I39 (სამარხი № 293); აგრეთვე იხ. სულავა 2000, ტაბ. II, III]. როგორც თავად კ. ფიცხელაური აღნიშნავს, ანალოგიური სამაჯურები აზერბაიჯანის მასალებიდან გვიანი ბრინჯაოს ადრეული საფეხურის სამარხებში გვხვდება [Пицхелаური 1969, გვ. 107; Ивановский 1911, გვ. 85-185].

სამარხები ძვ.წ. II-I ათასწლეულების მიჯნითაა დათარიღებული [ბუგიანიშვილი, დედაბრიშვილი, ფიცხელაური, რამიშვილი, ჩიკოიძე 1967, გვ. 41; Пицхелаური 1969, გვ. 101-107; ფიცხელაური 1973, გვ. 65, ტაბ. LXIX260].

ჩრდილოეთ კავკასიის სამაროვნები.

ყოზანი. 1869 წელს ზემო ყოზანის სამაროვანზე შეგროვებული ბრინჯაოს ნივთები ადგილობრივმა მცხოვრებმა ხ. კანუკოვმა თბილისში, კავკასიის მუზეუმში ჩამოიტანა [Уварова 1900, გვ. 3-14; Уварова, Радде 1902, გვ. 1-11]. ამ კოლექციამ გადააწყვეტინა გ. ფილიმონოვს 1877 წელს გათხრები ეწარმოებინა ზემო ყოზანის სამაროვანზე, რომლის მასალაც შემდგომში საქვეყნოდ ცნობილი გახდა [Филимонов 1878]. 1879 წელს ვ. ანტონოვიჩმა კიდევ ხუთი სამარხი გათხარა [Антонович 1879, გვ. 216]. ამ დროიდან მოყოლებული, ყოზანის სამაროვანზე სავლელ სამუშაოებს სხვადასხვა დროს აწარმოებდნენ ა. უვაროვი და პ. უვაროვა, ფრ. ბაიერნი, რ. ვირხოვი, ე. შანტრი (ამ უკანასკნელმა 22 სამარხი გათხარა) [Уварова 1900, გვ. 152 და შემდ. Virchow 1881; Chantre 1882; Байерн 1872, გვ. 30]. კავკასიის სიძველეებით დაინტერესებულ მეცნიერთა და კოლექციონერთა წყალობით, ბრინჯაოს ნივთების უმდიდრესი მასალები, კერძო კოლექციების გარდა, საუკეთესო შემთხვევაში, ისეთ დიდ მუზეუმებში ხვდებოდა, როგორცაა: მოსკოვის ისტორიული მუზეუმი, სანკტ-პეტერბურგის ერმიტაჟი და ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი, თბილისის, ვლადიკავკაზისა და ნალჩიკის მუზეუმები, სენ-

ჟერმენის მუზეუმი, ლიონის, ვენის, ბერლინის, ლონდონის, ბუდაპეშტის, რომის მუზეუმები. ყობანის სამაროვანს მიეძღვნა რ. ვირხოვის, ე. შანტრის, პ. უვაროვას ცნობილი ნაშრომები [Virchow 1883; Chantre 1885-1887; Уварова 1900]. ყობანის კულტურის ძეგლების შესწავლა არაერთი მკვლევარის სახელთანაა დაკავშირებული [იხ. Крупнов 1960, გვ. 25-53; Козенкова 1989, გვ. 252-254; 1996, გვ. 7-11], მაგრამ თვით ყობანის სამაროვანი, როგორც ცალკე ძეგლი, კომპლექსურად არავის შეუსწავლია. უპირველეს ყოვლისა ეს დაკავშირებულია იმ პრობლემასთან, რომ უამრავ მუზეუმში გაბნეულ მასალაში არ ხერხდება სამარხეული კომპლექსების გამოყოფა. ცნობილია, რომ 1869 წლიდან მოყოლებული 600-ზე მეტი სამარხეული კომპლექსია აღმოჩენილი. ე. შანტრის, ა. ბობრინსკის, ვ. დოლბეჟევის, ა. დრანიცინის შესწავლილი მასალების მიხედვით, დ. გაზდაუპსტაის 53 ქვის სამარხი აქვს გამოყოფილი. ხოლო რ. ვირხოვის, ბ. ანტონოვიჩის და ე. კრუპნოვის გათხრების მიხედვით, კიდევ 100 სამარხის დათვლა შეიძლება [Козенкова 1996, გვ. 14]. ყობანის სამაროვნის დათარიღების შესახებ არაერთ მკვლევარს გამოუთქვამს აზრი [დაწვრ. იხ. Крупнов 1960, გვ. 105-108; Козенкова 1989, გვ. 252-254; 1996, გვ. 8, 9], მაგრამ კონკრეტულად, ყობანის სამაროვნის ქრონოლოგია-პერიოდიზაციის საკითხები პ. უვაროვას გარდა, არავის განუხილავს [Уварова 1900]. სამაროვნის კომპლექსების დადგენა და მასალის ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური კვლევა ჯერ კიდევ მომავლის საქმეა.

ყობანის (ზემო ყობანის) სამაროვანს ტერასული განლაგება აქვს. ქვიშაქვის მასიური ფილებისაგან შედგენილ და გადახურულ სამარხებში დაკრძალული იყო ერთი ან ორი მიცვალებული. სამარხის იატაკი მოფენილი უნდა ყოფილიყო ხის ფიცრებით ან ტყავით. მიცვალებულები დაუსვენებიათ მოხრილ პოზაში, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ (თუმცა სხვაგვარი დამხრობაცაა მითითებული) [Крупнов 1960, გვ. 257, 258; Козенкова 1996, გვ. 14, 15]. აქვე, ზემო და ქვემო ყობანის სამაროვანზე დაფიქსირებულია დაკრძალვის სხვა წესიც – ოვალური ან სწორკუთხა ფორმის ორმოსამარხები, შემოსაზღვრული რიყისა და ფლეთილი ქვებით. სამარხებში შეინიშნება ხის კონსტრუქციის გამოყენებაც. ე. შანტრსა და კ. ოლშევსკიზე დაყრდნობით ვ. კოზენკოვას მიერ ყობანის სამაროვნის აღდგენილი კომპლექსების (№ № 9, 12, 15, 16, 17) ინვენტარი წარმოდგენილია შემდეგი ნივთებით: კერამიკა – ბიკონუსურმუცლიანი და ცალყურა კათხები, შავპრიალა ჯამები, თავსახურავიანი ცილინდრული ჭურჭლები; ბრინჯაო – ფიბულები, დიდი მართკუთხა აბზინდები, სპირალურბოლოებიანი ნეკნისებური სამაჯურები, საკისრე რკალები, სპირალურბოლოებიანი და ნავისებურდეროიანი სასაფეთქლეები, ნახევარწრიული აბზინდები, თავხვია ქინძისთავები, სპირალური მილაკები, სპირალურბოლოებიანი სამკლაურები, საკიდები – ვერძის თავებით, ცხვარჩიტები, დუგმები, რომბისებური ფირფიტები [Козенкова 1996, სურ. 3-8]. ამ კომპლექსების ფიბულები ყველა მაღალრკალიანია, შემსხვილებული გრავირებული ზურგით და ოდნავ გაგანიერებული ფეხით.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდებში დაცული ყობანის სამაროვნის 22 ფიბულა [Уварова, Радде 1902] შემდეგი ტიპებითაა წარმოდგენილი: ოდნავასიმეტრიულრკალიანი, განივი თევზიფხური სახით შემკული და ნახევარწრისებურრკალიანი: 1. შემსხვილებული ზურგით, სიგრძივი თევზიფხურით შემკული 2. შემსხვილებული ზურგით, განივი თევზიფხურით შემკული; 3. ირგვლივი წრეხაზებისა და მათ შორის სიგრძივი ღარების, თევზიფხური სახის სეგმენტებით შემკული რკალით; 4. სუსტად შემსხვილებული, ირგვლივი თევზიფხურით შემკული რკალითა და მის თავსა და ბოლოში დისკოსებური შემსხვილებებით; 5. რკალის ღერო ბრტყელია, ჯვარედინი

ნაჭდევებით⁵⁷. ჩრდილოეთ კავკასიის სამაროვნებში ყობანის სამაროვანი ერთადერთია, სადაც ფიბულები დიდი კონცენტრაციითაა წარმოდგენილი.⁵⁸

ზემო რუთხა. ზემო რუთხას სამაროვნის შესწავლა 1887 წელს დაიწყო სანკტ-პეტერბურგის საიმპერატორო არქეოლოგიური კომისიის მზრუნველობით. გათხრებს აწარმოებდა ვლადიკავკაზის გიმნაზიის უფროსი მასწავლებელი ვ. დოლბეჟევი.⁵⁹ რ. ვირხოვის აზრით, “მალიან ენერგიული და ინტელიგენტი ადამიანი” [Virchow 1881, გვ. 417]. ზემო რუთხაში აღმოჩენილი 200 ქვის სამარხის გარდა, ვ. დოლბეჟევა შეისწავლა კიდევ სამი დაუზიანებელი ქვის სამარხი. ერთ-ერთ მათგანში (№ 2 ქვის სამარხი) სამი მიცვალებული იყო. ორი ქალი დაეკრძალათ ერთმანეთზე, მარჯვენა გვერდზე, მოხრილი კიდურებით. მამაკაცი დაეკრძალათ მარცხენა გვერდზე, მოხრილი კიდურებით. მამაკაცის ინვენტარი წარმოდგენილი იყო: ბრინჯაო – კისრის რკალი სპირალური ბოლოებით, დიდი საკინძი, ბრტყელი ფირფიტისებრი თავით, სამაჯური სპირალურბოლოებიანი, ნეკნისებური, სამაჯური მრგვალგანივკვეთიანი ღეროთი, საკიდი – ვერძის თავი, ყუამილიანი ცული, 3 სატევარი (ერთი მთლიანადსხმული, ლენტისებური სამკუთხედებით შემკული თავით); ერთ-ერთი ქალი მიცვალებულის ინვენტარი წარმოდგენილი იყო: ბრინჯაო – 2 საკინძი დიდი ზომის (ერთი ბრტყელი, ფირფიტისებრი თავით. მეორე – ვერძის თავებით), თავგახვრეტილი საკინძი, გარსაკრავი ვერძის თავებით, ფიბულა, ბოლოებზე ოთხ-ოთხ სპირალიანი ნეკნისებური სამაჯურები; სპირალური ხვია; მეორე ქალი მიცვალებულის ინვენტარი: ბრინჯაო – საკინძი (ანალოგიური წინა სამარხისა), მინიატურული სატევარი, ხარის თავის ფიგურა, ზარი, სამკუთხედებით დაფანჯრული მრგვალი საკიდი, თმის შესაკრავი, აბზინდა [Крупнов 1960, გვ. 219; Козенкова 1982a, გვ. 14-18; 1996, გვ. 21, 22; Motzenbäcker 1996, გვ. 20-25]. ერთ-ერთი ქალი მიცვალებულის ინვენტარში გამოვლენილ ფიბულას რკალი შემკული აქვს სიგრძივ მიმართული რელიეფური წნულებით.

ვ. დოლბეჟევის, კ. ოლშევსკისა და პ. უვაროვას შემდეგ, ზემო რუთხას სამაროვანზე მხოლოდ XX ს-ის 30-იან წლებში განახლდა სამუშაოები [OAK 1891, გვ. CCCI-CCII; OAK

⁵⁷ ამ თავში უპირატესობა მივანიჭეთ ყობანის სამაროვნის გამოქვეყნებული კომპლექსების ფიბულებისა და ჩვენთვის ხელმისაწვდომი კოლექციის ფიბულების განხილვას. დანარჩენი ფიბულები ყობანის სამაროვნიდან, რომლებიც გამოქვეყნებულია ე. შანტრის, პ. უვაროვასა და სხვათა ნაშრომებში, ჩვენს კატალოგში ტიპოლოგიური ნიშნების მიხედვითაა განთავსებული.

⁵⁸ ყობანის ფიბულები პუბლიკაციების გარდა, ჩვენთვის ცნობილია ისტ. მეც. კანდ. ლ. ფანცხავას სამუზეუმო ბარათების მიხედვით [ერმიტაჟი: კოლ. 1731 (ი. ოლშევსკის მიერ შეგროვებული), № № 31-53; კოლ. 1885/1-11 (ვ. დოლბეჟევის 1891 წ. გათხრები), № 4; კოლ. 2192/1-28 (1885 წ. მურიეს მიერ შეგროვებული მასალიდან), № № 7, 8; კოლ. 1360, № № 65-120; კოლ. 1732/1-98 (1882 წ.); კოლ. 1733/1-10 (1880 წ.); კოლ. 1774/1-2; კოლ. 1739/1-2 (დ. ვირხოვის მიერ შეგროვებული. შექმნილია 1896 წ.); კოლ. 1747, № № 1-60, 67, 69, 108, 113 (ა. ბობრინსკის მიხედვით)]; ერმიტაჟის ექსპოზიციიდან – 17-V 88 (333/2, 1333/1, 1727/27, 1727/7, 1291/153, 143/2, 129/137, 1731/3, 1731/91, 1366/3, 1360/36, 1360/170, 1731/20, 2688/3); 18-V88 (1732/16, 1360/711, 1360/81, 1731/601360/172, 1360/168, 1731/76, 1731/77, 1360/382, 1731/9, 1731/14, 1732/2, 1360/157, 1360/154, 1732/7, 1360/21, 1360/5, 1360/14, 1360/34, 1731/189-191, 1731/10, 1805/1, 329/1, 1731/161, 1747/6, 1747/7, 1731/71, 84/2, 1731/181, 1732/81, 1733/9, 1731/131, 1731/123-130, 1731/84); 19-V 88 (1566/3, 4, 1727/6, 1291/139, 1566/6, 1727/10-12, 1727/8, 1727/33, 1727/31, 1727/15, 1291/12-14, 18, 23, 26, 27, 1991/83, 1566/9, 20, 21, 1291/106, 1731/65, 1360/303, 1731/62, 173/78, 1731/78, 79, 1731/36, 37, 1360/164, 165, 1360/54, 1360/58, 1731/19, 1360/35, 1732/40, 1944/2, 1360/63, 1360/402, 1731/140, 142, 167, 1360/578, 599, 600, 1732/44, 45, 1731/82, 83, 117, 1732/92, 1360/681, 682, 1731/2, 4, 6, 18, 1739/2, 1734/1); 6-V 88 (1360/706, 707, 1747/44, 45, 49, 53, 62, 67, 69, 1566/22, 1727/16, 173/144, 1731/145, 759/3). ერმიტაჟის კოლექციებიდან ფიბულები დაახლ. 200 ერთეული უნდა იყოს. სამწუხაროდ, რადგან ფონდებში პირადად მუშაობის საშუალება არ გვქონდა, ძნელი სათქმელია თუ რომელი მათგანია გამოქვეყნებული, იზვიათი გამოწვევის გარდა [Доманский 1984, სურ. 56-58].

⁵⁹ ვ. დოლბეჟევამდე ხ. კანუკოვი ზემო რუთხაშიც “მოღვაწეობდა.”

1892, გვ. 58-63; ОАК 1893, გვ. 122, 123; Уварова 1900, გვ. 210, 235-253; Крупнов 1939a, გვ. 264; 1947, გვ. 99; 1960, გვ. 215-218]. სამწუხაროდ, ეს სამაროვანიც,⁶⁰ სხვა სამაროვნების მსგავსად, ძალზე დაზიანებულია ადგილობრივი მოსახლეობის მიერ წარმოებული “გათხრებით”.

1938 წელს ე. კრუპნოვის მიერ შესწავლილ იქნა № № 10, 16 სამარხები ანუ დანგრეული კომპლექსებიდან გადარჩენილი ინვენტარი [Крупнов 1951, გვ. 48-56; Motzenbäcker 1996, გვ. 24]. იგივე სიტუაცია გაგრძელდა შემდეგაც. სამარხებად უმეტეს შემთხვევაში თვლიდნენ ნივთთა კომპლექსებს. აღმოჩენილია 20 კომპლექსი. მათ შორის ერთი კომპლექსი ბრინჯაოს ნივთების განძია [Крупнов 1960, გვ. 218]. ბრინჯაოს ფიბულები ცნობილია № № 17, 18 სამარხებიდან. № 17 სამარხის ინვენტარი წარმოდგენილია: ვერცხლი – სასაფეთქლის ფრაგმენტები; ბრინჯაო – სარტყლის ფრაგმენტები, 2 ფიბულა, სამაჯური, მასიური, გარეთა მხრიდან ქედით; ქარვის, ძვლის მძივები; ასტრაგალები [Крупнов 1960, გვ. 226]. № 18 სამარხის ინვენტარი წარმოდგენილია: კერამიკა – 7 ჭურჭელი (გაპრიალებული, ორნამენტირებული ცალყურა კათხები); ბრინჯაო – 2 ფიბულა, სპირალურბოლოებიანი კისრის რკალები, სამაჯური, ცხვრის თავის ფორმის საკიდი, რომბული ფირფიტა, ექვსნახვრეტიანი გამყოფი, ცხოველის თავის ფორმის საკიდი [Крупнов 1960, გვ. 226-228].⁶¹ № 17 სამარხი-კომპლექსის ფიბულები გრეხილრკალიანია, ხოლო № 18 სამარხის ფიბულები – ერთი დაბალრკალიანია, მცირე ზომის, მეორე მაღალრკალიანია, სადა, ოდნავ გაგანიერებული ბუდით.

XIX ს-ის ბოლოს ზემო რუთხას სამაროვანზე სხვადასხვა გზებით მოპოვებული მასალის ერთი ნაწილი ბერლინის ადრე და პრეისტორიული მუზეუმის ერთ-ერთი კოლექციის, ე.წ. კოსნიერსკას კოლექციის სახელითაა ცნობილი [Motzenbäcker 1996, გვ. 16-34, 50-84]. კოლექციაში გვხვდება: ცულები, სატევრები, საკინძები, აზინდები, საკიდები (ცხოველთა ფიგურები), სამაჯურები, სასაფეთქლეები, თმის სამაგრები, ფიბულები [Motzenbäcker 1996, ტაბ. 38, 62]. ფიბულები წარმოდგენილია შემდეგი სახეობებით: 1. მრგვალგანივკვეთიანი რკალით, სადა, ოდნავ გაგანიერებული ბუდით [Motzenbäcker 1996, ტაბ. 282,3,9, ტაბ. 621,2,5]; 2. მრგვალგანივკვეთიანი რკალით, შემკული ირგვლივი ნაჭდევებით და სხვა გეომეტრიული სახეებით [Motzenbäcker 1996, ტაბ. 624]; 3. გრეხილრკალიანი [Motzenbäcker 1996, ტაბ. 288]; 4. რკალზე დისკოსებური შემსხვილებებით, სადარკალიანი ან სხვადასხვა სახეებით შემკული. ერთ შემთხვევაში ბუდეც შემკულია [Motzenbäcker 1996, ტაბ. 285, 7, ტაბ. 623, 7]. ი. მოტცენბეკერის თანახმად, “კოსნიერსკას” კოლექციის ფიბულები თარიღდება ძვ.წ. XI (SB 2 = Tli B) – VI-V სს-ით [Motzenbäcker 1996, გვ. 103-105].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, **ყოზანის სამაროვანი** ჩრდილოეთ კავკასიაში ერთადერთი ძეგლია ფიბულების დიდი რაოდენობით. ჩვენთვის ხელმისაწვდომი ლიტერატურის მონაცემების შეჯერების საფუძველზე სამაროვანზე 200-ზე მეტი ფიბულა უნდა იყოს მოპოვებული. ყოზანის სამაროვანი იმ ძეგლთა რიგს განეკუთვნება,

⁶⁰ როგორც ე. კრუპნოვი უწოდებს – “Кумбултский могильник Верхняя Рутха” [Крупнов 1960, გვ. 234].

⁶¹ № № 17 და 18 კომპლექსებს ე. კრუპნოვი ზოგადად ყოზანის კულტურის განვითარების პირველი ეტაპის ბოლო ხანებს მიაკუთვნებდა – ძვ.წ. IX-VIII სს [Крупнов 1960, გვ. 236]. მისი აზრით, № 17 სამარხის გრეხილრკალიანი ფიბულების ვიწრო ბუდეები ამ ფიბულების ადრეულობაზე მიუთითებს [Крупнов 1960, გვ. 237]. იგივე არგუმენტით (ფიბულების ადრეულობა) ათარიღდება № 18 სამარხსაც, ოღონდ, დამატებით არგუმენტად მოჰყავდა სპირალურბოლოებიანი კისრის რკალების ადრეულობა და კერამიკული ნაწარმის სიახლოვე ზემისკოეს ნასახლარის სკვითებამდელი ხანის კერამიკასთან [Крупнов 1960, გვ. 237].

რომელიც ჯერ კიდევ არაა სათანადოდ გამოქვეყნებული და შესწავლილი. ჩვენთვის უცნობია კომპლექსების რაოდენობა. რამდენიმე სამარხის გარდა უცნობია თუ როგორ კონტექსტშია ფიბულები აღმოჩენილი.

ჩრდილოეთ კავკასიაში გამოვლენილი ფიბულების შემცველ დანარჩენ ძეგლებზე ფიბულები მხოლოდ თითო-ორჯერ ეგზემპლართაა წარმოდგენილი. ამიტომ, მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია ამ ძეგლებზე ფართოდ შეჩერება და შემოვიფარგლებით მხოლოდ მცირე, კონკრეტული მონაცემებით და ლიტერატურის მითითებით.

ნალჩიკის დანგრეული სამარხიდან (1952 წ.) ცნობილია დაშორებული თევზიფხური სახით შემკული ფიბულა [Крупнов 1960, ტაბ. V8].

ლუგოვოს სამაროვნის გათხრები გასული საუკუნის 50-ანი წლებიდან დაიწყო. სამარხები ქვაყრილიანი ორმოებია, ზოგჯერ კრომლექებით. სამაროვანი ძვ.წ. VI-V ან IV სს-ით თარიღდება. იქ აღმოჩენილი ფიბულები განიერი ფეხითა და ირგვლივი ნაჭდევების სეგმენტებით ხასიათდებიან [Крупнов 1954, გვ. 95, სურ. 396; 1957ა, გვ. 159, სურ. 34, 8; 1960, ტაბ. LXVII1, LXX1, 3; 1960ა, ტაბ. 406; Козенкова 1982, გვ. 59, ტაბ. XXXVII7-11].

გიუგიდის 1928 წელს გათხრილი აკლდამის კომპლექსიდან (ინვენტარი: ბრინჯაო – უმბონის მსგავსი ბალთა, სოლარულნიშნის დილი, აბზინდა, გვერგვის ფრაგმენტები, “ნეკნებიანი” სამაჯურის ფრაგმენტები, ზარაკი), რომელიც ძვ.წ. VIII-VII სს-ით თარიღდება [Козенкова 1982, გვ. 22, 57], გრეხილრკალიანი ფიბულაა ცნობილი. ამავე კომპლექსს ი. ჩეჩენოვი და ვ. ვინოგრადოვი ძვ.წ. VII-VI სს-ით ათარიღებენ [Чеченов 1969, გვ. 35, 36, № 78; Виноградов 1972, გვ. 208]. ერთ-ერთ კომპლექსში ბრინჯაოს 2 ფიბულა კოლხურ ცულებთან ერთადაა აღმოჩენილი და დათარიღებულია ძვ.წ. X-VII სს-ით [Иессен 1941, გვ. 16, ტაბ. I, გვ. 19, სურ. 3, ტაბ. II2-4; Козенкова 1998, გვ. 73, ტაბ. XXIV16].

ნიკიტინის ველიდან ძვ. VIII-VII სს-ით დათარიღებული, ბურცობებიანრკალიანი ფიბულაა ცნობილი [Иессен 1941, გვ. 94, სურ. 231; Алексеева 1971, ტაბ. 43].

ვოზდევიჟენსკოეს ციხე-სიმაგრეიდან (1850 წ.) ცნობილია სადა, განიერფეხიანი ბრინჯაოს ფიბულა [Крупнов 1960, ტაბ. III8].

ვედენოდან ნ. ვ. ორიოლის კოლექციიდან მომდინარეობს ბრინჯაოს გრეხილრკალიანი ფიბულა [Козенкова 1982, გვ. 59, ტაბ. XXXVII4].

ზაიუკოვოს სამაროვანზე ფიბულები ცნობილია: 1935 წელს შესწავლილი დანგრეული ყორღანიდან [Козенкова 1998, გვ. 75, ტაბ. XXV3]; № 1 სამაროვნის № 2 სამარხიდან (1949 წ.) [Гриневиц 1951, გვ. 136, 137, სურ. 142; Козенкова 1989, გვ. 100, Б-17; 1998, გვ. 75, ტაბ. XXV4]⁶²; ძვ.წ. XI-X სს-ით დათარიღებული დანგრეული სამარხიდან [Козенкова 1998, გვ. 75, ტაბ. XXV6]; ძვ.წ. XI-X სს-ით დათარიღებული დანგრეული ყორღანიდანვეა (1935 წ.) ცნობილი წვრილრკალიანი სადა და გრეხილრკალიანი ფიბულებიც [Козенкова 1998, გვ. 73, ტაბ. XXIV12, 15]; ძვ.წ. X-VII სს-ით დათარიღებული ფიბულა ვ. ი. დოლბეჟევის გათხრებიდან [Козенкова 1989, გვ. 23, 58, 1998, გვ. 73, ტაბ. XXIV21].

ჩეგემის სამაროვნიდან ცნობილია როზეტისებურგანივკვეთიანი ფიბულა და რკალის თავსა და ბოლოში ცხოველის თავის გამოსახულებებით შემკული ფიბულები [Калитинский 1926, ტაბ. II6, ტაბ. III21].

⁶² ვ. გრინევიჩი № 2 სამარხის ინვენტარს და მათ შორის ფიბულას, რომელსაც რკალზე დისკოსებური შემსხვილებები აქვს, ათარიღებს ძვ.წ. VIII-VII სს-ით და აღნიშნავს, რომ - “Эта культура совпадает по времени с гальштатской культурой Западной Европы” [Гриневиц 1951, გვ. 136, 137].

კამუნთის სამაროვანი შემთხვევითაა აღმოჩენილი 1876 წელს. 1879 წელს იქ გათხრებს აწარმოებდა ვ. ბ. ანტონოვიჩი, ხოლო 1882 წელს ა. ს. უვაროვი. გაითხარა 7 სამარხი, მათ შორის ბრინჯაოს ფიბულების შემცველიც [Уварова 1900, გვ. 297, 304, ტაბ. CIV2-ის მსგავსი].

ძინაგისა და მოზდოკის შემთხვევით აღმოჩენილი (1977 წ.) სამარხებიდან გრეხილ-რკალიანი და სიგრძივი ნაჭდევებით რკალშემკული ფიბულებია ცნობილი. თანმხლები ინვენტარის გათვალისწინებით (ბრინჯაო – სარტყელი, ჯაჭვი, სამაჯური, ზარაკი; რკინა – ცულები, შუბისპირი; თიხის ჭურჭელი) დათარიღებულია ძვ.წ. VII ს-ის ბოლო – VI ს-ით [Козенкова 1996, გვ. 25, სურ. 12].

ფასკაუს სამაროვანზე [Уварова 1900, გვ. 271; Motzenbäcker 1996, გვ. 23, 24], რომელსაც ისეთივე “ბედი” ჰქონდა როგორც ოსეთის სხვა სამაროვნებს (განძისმაძიებელთა ქმედება, მასალის სხვადასხვა ქვეყნებში მიმოფანტვა) შესამოწმებელი გათხრები 1935 წელს ე. კრუპნოვმა ჩაატარა. დადგინდა, რომ დაკრძალვა ქვის სამარხებში ხდებოდა [Крупнов 1951, გვ. 26; 1960, გვ. 212]. ფიბულები ცნობილია: 1. ზურგშემსხვილებული, ირგვლივი წრეხაზებისა და თევზიფხურის სეგმენტებით შემკული [Motzenbäcker 1996, ტაბ. 122, ტაბ. 428]; 2. რკალის თავსა და ბოლოში დისკოსებური შემსხვილებებით [Motzenbäcker 1996, ტაბ. 429].

არხონის ორმოსამარხებიანი სამაროვნის ფიბულები გრეხილრკალიანია, რკალზე დისკოსებური შემსხვილებებით [Уварова 1900, გვ. 334, ტაბ. CXXXI, 2; Крупнов 1960, გვ. 213].

კამენომოსტსკის სამაროვნის დანგრეული სამარხების ფიბულები, რომლებიც სიგრძივი “ღრმა” თევზიფხური სახითაა შემკული, თარიღდება ძვ.წ. XI-X სს-ით [Козенкова 1998, გვ. 73, ტაბ. XXIV4].

ბაქსანის ხეობის ფიბულები ე. ზიჩის კოლექციიდან ძვ.წ. VII-VI სს-ით თარიღდება [Козенкова 1998, გვ. 73, 74, ტაბ. XXIV8, 11, 19].

მინერალური წყლების სამაროვნის № 1 სამარხის ფიბულა ძვ.წ. V ს-ს მიეკუთვნება [Козенкова 1998, გვ. 73, 74, ტაბ. XXIV2].

კისლოვოდსკის სამაროვნის № 16 სამარხის (1933 წ. გათხრები) ფიბულა ძვ.წ. VI ს-ით თარიღდება [Козенкова 1998, გვ. 73, 74, ტაბ. XXIV3].

კიზილ-კალას სამაროვნის № 2 სამარხის “სამალავის” ფიბულა ტიპოლოგიურად ადრეული უნდა იყოს, მაგრამ აღმოჩენილია სკვითური ხანის სამარხში [Козенкова 1998, გვ. 73, ტაბ. XXIV6].

ტალიკის დანგრეული ყორღანიდან, რომელიც 1959 წელს აღმოჩნდა, ფიბულები სკვითური ტიპის ინვენტართან ერთადაა აღმოჩენილი და ძვ.წ. VI-V სს-ით თარიღდება. **ფიბულები** წარმოდგენილია ორნახვევიანი და სამნახვევიანი ზამბარებით; ერთი გრეხილრკალიანია, ორი მართკუთხაგანიკვეთიანი, ერთი კი – რომბულგანიკვეთიანი რკალით [Алексеева 1971, გვ. 58, 59; Козенкова 1989, გვ. 52].

ვაკო-ჟილეს სამაროვნის ძვ.წ. VI-V სს-ის ქვის სამარხებიან სამაროვანზეც დადასტურდა ფიბულები [Алексеева 1971, გვ. 62, ტაბ. 14a12; Козенкова 1989, გვ. 54, 59; 1998, გვ. 73, 74, ტაბ. XXIV9].

პანტელიმონოვსკოეში შემთხვევით აღმოჩენილ ქვის სამარხში, რომელიც ყორღანის ქვეშ იყო, 1956 წელს აღმოჩნდა ბრინჯაოს 2 ფიბულა, ბუდეზე “ვოლუტისებური” შემკულობით. სამარხი ძვ.წ. VI-V სს-ით დათარიღდა [Крупнов 1960, გვ. 181; Козенкова 1981, გვ. 200, 201, სურ. 35, 6; 1989, გვ. 53, 60; 1998, გვ. 74, ტაბ. XXV11, 12].

შაროს 1882 წელს აღმოჩენილ სამი სამარხის ნივთებში ბრინჯაოს 5 ფიბულაა. თანმხლები მასალის მიხედვით ისინი ძვ.წ. II-I ათასწლეულის მიჯნითა და I

ათასწლეულის პირველი ნახევრითაა დათარიღებული [Козенкова 1978, გვ. 160, სურ. 22-13; 1982, გვ. 59, ტაბ. XXXVII3].

სერჟენ-იურტის 1971 წელს შემთხვევით აღმოჩენილი დანგრეული სამარხიდანაცაა ცნობილი ფიბულა, რომელსაც რკალი შემკული აქვს სიგრძეზე მიმართული თევზიფხური სახით. დათარიღებულია ძვ.წ. VIII-VII სს-ის მიჯნით [Козенкова 1982, გვ. 59; Kozenkova 1992, გვ. 53, ტაბ. 892].

ისტი-სუს სამაროვანი შემთხვევით აღმოჩნდა 1937 წელს. 1937-1938 წლებში შესწავლილი 19 სამარხიდან ორში (№ № 11, 20) აღმოჩნდა 3 ფიბულა. სამარხები ძვ.წ. VI-V სს-ით თარიღდება [Крупнов 1939, გვ. 27, 28, სურ. 5; Артаманова-Полтавцева, 1950, გვ. 32-34, სურ. 92, გვ. 42-46, 173, გვ. 98; Козенкова 1982, გვ. 59, ტაბ. XXXVII6]. ამ ფიბულებს ირგვლივ დაღარული რკალები და ნიჩბისებურად გაგანიერებული ბუდეები აქვთ.

კლინ-იარსკის № 2 სამაროვნის № 1 სამარხის ე.წ. “სამალავში” აღმოჩნდა ასიმეტრიულრკალიანი ბრინჯაოს ფიბულა [Козенкова 1998, გვ. 73, ტაბ. XXIV5]. სკვითურ ინვენტარზე დაყრდნობით, სამარხი ძვ.წ. VII-VI სს-ით თარიღდება. ამავე სამაროვანზე აღმოჩენილია გვიანდელი ფიბულებიც, ნიჩბისებური ბუდითა და რკალის ირგვლივ სეგმენტებით, რომლებიც ძვ.წ. VI-V სს-ით თარიღდება [Козенкова 1989, გვ. 35, 60; 1998, გვ. 73, ტაბ. XXIV5].

კიჩ-მალკის დანგრეული სამარხიდან (1955 წ.) ცნობილია წვრილრკალიანი, სადა ფიბულა, რომელიც ვ. კოზენკოვას მიერ ყობანის კულტურის II ეტაპითაა (ძვ.წ. X-VII სს-ის შუა ხანები) დათარიღებული [Козенкова 1998, გვ. 73, ტაბ. XXIV18].

ტებერდის ნაკრძალის ტერიტორიაზე 1955 წელს შემთხვევით აღმოჩენილ ნივთებში 2 ჭვინტიანბუდიანი ფიბულაცაა. კოლექცია ძვ.წ. V-IV სს-ს განეკუთვნება [Козенкова, Ложкин 1981, გვ. 196-198, სურ. 26, 7; Козенкова 1989, გვ. 51, 61].

დომბაიდან დაახლოებით 20 ბუდეჭვინტიანი ფიბულაა ცნობილი, რომლებიც ძვ.წ. V-IV სს-ით თარიღდება [Нечитаило 1968, გვ. 77; 1986, გვ. 125, 128, 130, სურ. 12, სურ. 21, 2; Алексеева 1971, გვ. 61, ტაბ. 157, 17; Козенкова 1998, გვ. 74, ტაბ. XXV13, 14, 15].

ოტრადნაიას, ბაიბარისის და ილიჩის ორმოსამარხებიდან თუ შემთხვევით აღმოჩენილი ფიბულები განიერბუდიანია, რომელზეც ვოლუტისმაგვარი გამოსახულებებია. ისინი ძვ.წ. VI-V სს-ით თარიღდებიან [Козенкова, Ложкин 1981, გვ. 201-203, სურ. 45, 6, 51-4; Козенкова 1989, გვ. 54, 59; 1998, გვ. 74, ტაბ. XXV7-10].

ფიბულები ცნობილია: **ყარასის** სამაროვნის I აკლდამიდან; **სულთანგორსკის** № 1 სამაროვნის № 7 სამარხიდან; **ლერმონტოვის კლდის** № 3 სამაროვნის № 1 სამარხიდან; **ულუბაგანლის** № 2 სამაროვნის № 4 სამარხიდან (ყველა ძვ.წ. VII-VI სს.); **გიუნდელენის** დანგრეული სამარხიდან (ძვ.წ. X-VII სს.) [Козенкова 1989, გვ. 22, 57; 1998, გვ. 73, 74, ტაბ. XXIV1, 7, 10, 13, 17]; **ლაშკუტას** დანგრეული სამარხიდან, რომელიც ვ. ბატჩაევის მიხედვით ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოთი და I ათასწლეულის დასაწყისით თარიღდება [Батчаев 1985, გვ. 12], ხოლო ვ. კოზენკოვას მიხედვით – ძვ.წ. IX-VIII სს-ით [Козенкова 1998, გვ. 75, ტაბ. XXV5].

ცენტეროიდან შემთხვევითი აღმოჩენის სახით ცნობილია ძვ.წ. VII-VI სს-ით დათარიღებული ფიბულა [Марковин 1966, გვ. 125, სურ. 3].

ურუპაში შემთხვევით აღმოჩენილი ფიბულები დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. ორი ფიბულა ირგვლივი ნაჭდევების ჯგუფებითაა შემკული (კატ. № 499, 500), ერთი – “გველისებურია” (კატ. № 705).

სომხეთის სამაროვნები.

მაკარაშენი. მაკარაშენის სამაროვანი 1955 წელს გაითხარა. ქვის სამარხები შედგენილი იყო დიდი ზომის ფილებისაგან. სამარხების დიდი ნაწილი განადგურებულია

მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობით. გაითხარა ქვის სამარხი 6 მიცვალებულითა და მდიდარი მასალით. ინვენტარი წარმოდგენილია: კერამიკა _ შავპრიალა დოქი, ქოთნები და ბიკონუსური კანელურებიანი ჭურჭელი; ბრინჯაო _ სადა და თავდაბრტყელებული სამაჯურები, რგოლები, გველისთავებიანი და ზურგნაჭდევებიანი სამაჯურები, თავგახვრეტილი რგოლები, მრგვალფარაკიანი ორწილადი ფიბულა, ორწილადი ფიბულა ოვალური ფირფიტისებური რკალითა და რკინის ნემსით, ერთწილადი რკალდაკეჭნილი ფიბულა (ეს ფიბულა ტექსტში არაა ნახსენები, მაგრამ ქრონოლოგიურ ტაბულაზე _ XXXVI16, არის როგორც მაკარაშენის ფიბულა _ ნ. ს.); რკინა _ მოხრილი დიდი ზომის დანები, შუბისპირები, სამწახნაგა ისრისპირი; მინის მძივები. ძეგლი ძვ.წ. VII-VI სს-ით თარიღდება [Мартиросян 1964, გვ. 286-289, ტაბ. XXX, XXXI, XXXVI16].

ამგვარად, მაკარაშენის სამაროვანზე ერთდროულად თანაარსებობენ ერთწილადი ზურგდაკეჭნილი და ორწილადი ფიბულები.

ერებუნი. ერებუნის სამაროვანი 1957 წელს აღმოჩნდა მიწის სამუშაოების დროს ერებუნის ციტადელის დასავლეთით. გაითხარა სამი ნაწილობრივ გადარჩენილი სამარხი. პირველი სამარხი წარმოდგენილი იყო ორი ჭურჭლით, რომელთაც ირგვლივ შემოწყობილი ქონდა ქვები. ამ ჭურჭლებიდან მიცვალებულის ფერფლი მხოლოდ წითლადანგობირებულ ურნაში იყო, ხოლო შავპრიალა დიდი ზომის ქოთანში კი ელაგა ინვენტარი: ბრინჯაო _ 12 სადა და ნეკნისებური სამაჯური ზოომორფული თავებით, პექტორალი, პინცეტი, საკინძი ზოომორფული თავით, ჩაქურჩისებური საგნები შუაში ნახვრეტიტ, ფიბულები, გრავირებული სარტყლის ფრაგმენტები, ურარტული საბეჭდავები; აქატის, სარდიონის, მინის მძივები. დანარჩენი ორი სამარხიც ურნასამარხი იყო. სამაროვანს ურარტულ ხანას მიაკუთვნებენ [Мартиросян 1964, გვ. 242, 243]. ერებუნის პირველ სამარხში აღმოჩენილი ფიბულები ერთწილადი რკალისებურია, მსხვილი რკალის თავსა და ბოლოში დისკოსებური შემსხვილებებით, ხოლო რკალის ცენტრში ფრინველის ფიგურებით. ბუდე ძლიერ გაგანიერებულია. ზამბარა ორნახვევიანია.⁶³

ოშაკანი. ოშაკანის სამაროვანი 1971-1983 წლებში ითხრებოდა. იქ აღმოჩნდა ქვის დიდი აკლდამები კრომლეხებით. № 62 სამარხში, სადაც 10-12 მიცვალებული იყო დაკრძალული, აღმოჩნდა: კერამიკა, სარდიონის, მინის მძივები, კაური, ოქროს მილაკისებური მძივი; ოქროს საყურე; ბრინჯაოს მაღალთადიანი, გრეხილრკალიანი ფიბულა. სამარხი ძვ.წ. VI ს-ით თარიღდება [Есаян, Калантарян 1988, გვ. 80, 81, ტაბ. LXV1].

აზერბაიჯანის სამაროვნები.

კალაკენტი. პარადიზი. კალაკენტისა და პარადიზის სამაროვნებს, სადაც ქვის სამარხებია გამოვლენილი, XIX ს-ის ბოლოს თხრიდა გერმანელი ვალდემარ ბელკი (1862-1932 წწ.), რომელიც ფირმა Siemens-ის ელექტროქიმიკოსი იყო და ხელმძღვანელობდა ქედაბეკისა და კალაკენტის სპილენძის საბადოების ელექტროლიტურ კვლევით განყოფილებას. ამასთანავე რ. ვირხოვისა და ბერლინის ანთროპოლოგიის, ეთნოლოგიისა და ძველი ისტორიის საზოგადოების დავალებით თავისუფალ დროს გათხრებს უთმობდა. მისი მცდელობით სამხრეთ კავკასიიდან გერმანიაში ისეთი რაოდენობის არქეოლოგიური მასალა დაგროვდა, რომ რაოდენობრივად მათ მხოლოდ ვენის,

⁶³ საინტერესოა ა. მარტიროსიანის აზრი ყობანის ბრინჯაოს ნაწარმის ქრონოლოგიის შესახებ. მას აღნიშნული ფიბულა ურარტული ხელოსნების მიერ ყობანური ნიმუშის მიხედვით დამზადებული გონია და ამიტომ ყობანური ბრინჯაოს ნაწარმის ძვ.წ. VIII საუკუნისათვის, უფრო მისი პირველი ნახევრისათვის მიკუთვნება მართებულად მიაჩნია [Мартиросян 1964, გვ. 243]. ვფიქრობთ, ეს მოსაზრება სწორია.

ლიონის, პარიზის კავკასიური კოლექციები თუ გაუტოლდება [Nagel, Strommenger 1985, გვ. 9-15].

ერთწილადი რკალისებური ფიბულები ცნობილია კალაკენტის № № 29, 32 სამარხებიდან. № 29 სამარხის ინვენტარი წარმოდგენილია: ბრინჯაო – სამაჯურები, ბეჭდები, ფიბულა; რკინა – შუბისპირი მასრიანი, დანა; ობსიდიანის ქუსლამოღებული ისრისწვერები; ბრინჯაოს, ობსიდიანის, სარდიონის, ფაიანსის მძივები, ცხოველის კბილები; კერამიკა. № 29 სამარხის ბრინჯაოს ფიბულა დაბალრკალიანი, სადაა და დიდი ზომის (12,6 სმ) [Nagel, Strommenger 1985, გვ. 91, სურ. 57(2506 m); Карахмедова, Рагимова 1994, გვ. 92, 93, ტაბ. I1]. № 32 სამარხის ინვენტარი წარმოდგენილია: ბრინჯაო – 2 ფიბულა, საჭრისი, სატევრის თავი, სპირალები, მძივები, სამაგრები; რკინა – ღერო კონუსური თავით, შუბისპირები, ზოდი; მინის ცისფერი, ანტრაციტის (?), ქვის, სარდიონის, ქარვის (?) მძივები, გახვრეტილი კბილები; ობსიდიანის ფრაგმენტები [Nage, Strommenger 1985, გვ. 98, 162, სურ. 5717, ტაბ. 621; Карахмедова, Рагимова 1994, გვ. 93, ტაბ. I2, 3]. № 32 სამარხის ფიბულები სრულიად განსხვავდება კავკასიაში გავრცელებული ფიბულებისაგან ზამზარისა და ბუდის მოწყობილობით. ისინი ერთწილადებია, მაგრამ ზამზარა, ნაცვლად იმისა, რომ ფიბულის შიდა მხარეს იყოს დახვეული, გარეთაა გამოტანილი მარყუჟის სახით. ბუდე მილისებური ფორმისაა, რომელშიც ნემსის წვერი თავსდება. ერთი ფიბულის რკალი მრგვალგანივკვეთიანი წვრილი მავთულისაა, მეორე – გრებილრკალიანია. ანალოგიური ფიბულა პარადიზის № 170 სამარხიდანაცაა ცნობილი. სამარხის ინვენტარი წარმოდგენილია: ბრინჯაო – კისრის რკალი, ფიბულა,⁶⁴ 13 სამაჯური, 3 თავებგადადებული სამაჯური, რგოლები, ზარისებური საკიდი; რკინა – 10 მასრიანი შუბისპირი, 2 დანა; ხელით ნაძერწი კერამიკა [Nagel, Strommenger 1985, გვ. 133, 134, სურ. 105(2748 b); Карахмедова, Рагимова 1994, გვ. 93, ტაბ. I4]. ვ. ნაგელის მიხედვით, ეს ძეგლები ძვ.წ. XI-VIII სს-ის განჯა-ყარაბაღის კულტურას განეკუთვნებიან [Nagel, Strommenger 1985, გვ. 10]. ა. კარახმედოვა და მ. რაგიმოვა აღნიშნავენ, რომ კალაკენტსა და პარადიზში ვ. ბელკის მიერ აღმოჩენილი ფიბულები სხვადასხვა ტიპისაა და ძვ.წ. IX-VIII სს-ით თარიღდება [Карахмедова, Рагимова 1994, გვ. 92, 98].

განძები, სამლოცველოები.

განძებსა და სამლოცველოებზე აღმოჩენილი ფიბულები ჩვენთვის მხოლოდ სამხრეთ კავკასიის ტერიტორიიდანაა ცნობილი. განძები კავკასიაში კოლხური ბრინჯაოს კულტურის ძირითადი არეალიდან და მომიჯნავე რაიონებიდანაა ცნობილი. განძები არ გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. იშვიათად გვხვდება ჩრდილოეთ კავკასიაში. განძების ფენომენი ფართოდაა გავრცელებული ბრინჯაოს ხანის ევროპაში, მაგრამ უცხოა საბერძნეთისათვის [Hänsel 1997]. ბოლოდროინდელი გამოკვლევების მიხედვით, კოლხური ბრინჯაოს განძები (ისევე, როგორც ევროპაში აღმოჩენილი განძების ზოგიერთი კატეგორია) შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს ღვთაებისადმი შეწირულობად. ეს მოვლენა კი იმ პერიოდს ემთხვევა, როცა კოლხეთში ჯერ კიდევ არაა ტაძრები და მსხვერპლშეწირვის ტრადიციული ადგილები [ლორთქიფანიძე 2001, გვ. 180-182, 185]. ე.ი. იქ სადაც არა გვაქვს შესაწირავი ადგილები, გვაქვს განძები. საბერძნეთში შეწირული

⁶⁴ ვ. ბელკის აღწერილობის თანახმად, № 170 სამარხის ფიბულა ორწილადია. მისივე ჩანახატების მიხედვით კი კალაკენტის № 32 სამარხის ანალოგიურია ანუ ერთწილადია [Nagel, Strommenger 1985, გვ. 134, სურ. 105 b]. ა. კარახმედოვასა და მ. რაგიმოვას პუბლიკაციის მიხედვითაც ერთწილადია [Карахмедова, Рагимова 1994, გვ. 93, ტაბ. I5].

ფიბულები უამრავ ტაძარშია აღმოჩენილი: ფერაის სამლოცველოზე (თესალია) [Kilian 1975], სამოთრაკიაზე, ეგინაზე (აფროდიტესა და აპოლონის სამლოცველო), დელოსზე (ზევის სამსხვერპლო და არტემისიონი), სამოსზე (ჰერაიონი), პაროსზე (დელიონი), თასოსზე (არტემისიონი), ქიოსზე, როდოსზე, კრეტაზე და სხვ. ამ სამლოცველოების შეწირულობანი მიეკუთვნება გეომეტრიულ და ადრეარქაულ ხანას [Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 2]. იტალიის ბერძნული კოლონიების სალოცავებში შეწირული ფიბულები ითვლება ბერძენ ვაჭართა ძღვნად [Kilian 1975, გვ. 164].

ის განძები და სამლოცველოები სამხრეთ კავკასიაში, სადაც ფიბულებია აღმოჩენილი ცნობილია **კოლხეთიდან** (ოჯოლის განძი, გორაძირის სამლოცველო), **აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთიდან** (ჩაბარუხის, ფასანაურის, ყაზბეგის განძები), **კახეთიდან** (არაშენდას სამლოცველო).

კოლხეთი.

ოჯოლის განძი. ოჯოლის განძი შემთხვევითაა აღმოჩენილი 1960 წელს სახლის მშენებლობისათვის ადგილის მოსწორების დროს, 1 მეტრ სიღრმეზე. მზრინჯაოს ჭურჭელში ელაგა შემდეგი ნივთები: ბრინჯაო – 23 თოხი (13 სწორტანიანი და სეგმენტურპირიანი, 5 – წელში მოხრილი), ხელეჩო, 5 სეგმენტური იარაღი, 2 ცალი სადა და გრავირებული კოლხური ცული, ბრტყელი ცული, 3 ისრისპირი, ზედაპირდაკბილული სამაჯურები, სპირალურბოლოებიანი ფირფიტისებური სამაჯური, ბოლოებგახსნილი მასიური რგოლი, ფიბულა, ჭურჭლის ფრაგმენტები, ზოდები. ოჯოლის განძს დ. ქორიძე ძვ.წ. IX-VIII სს-ით ათარიღებდა [ქორიძე 1965, გვ. 38, 39, 119, 120, ტაბ. XX-XXIV]. ლ. ფანცხავას ოჯოლის განძისათვის უფრო მისაღებ თარიღად მიაჩნია ძვ.წ. VIII-VI სს-ის პირველი ნახევარი, ხოლო ასეთი დათარიღების საყრდენად – დაკბილულზედაპირიანი და სპირალურთვალეებიანი სამაჯურები და ფიბულები [ფანცხავა 1988, გვ. 70]. განძში აღმოჩენილი ფიბულა მაღალრკალიანია. ოდნავ დაწახნაგებული რკალი შემკულია სიგრძივი თევზიფხური სახით. ფეხი კარგადაა გამოჭედილი და ოდნავ გაგანიერებულია. რკალი ბუდისა და ზამბარისაგან გამოყოფილია ირგვლივი ხაზების სეგმენტებით (კატ. 158).

გორაძირი. გორაძირის საკულტო ძეგლის გათხრები მიმდინარეობდა 1997-1998 წლების დეკემბერ-მაისის თვეებში. გამოვლინდა ძვ.წ. VII-IV სს-ის წარმართული სამლოცველოს ნაშთები, რომლებიც ორი კულტურული ფენით იყო წარმოდგენილი. უფრო ადრეული, I კულტურული ფენა წარმოადგენდა ორმაგი კედლის მქონე რთული კონსტრუქციის შენობას, რომელიც გეგმაში სწორკუთხა უნდა ყოფილიყო. საძირკვლად გამოუყენებიათ ფლეთილი ქვის წყობა. შენობის კედლის ზედა ნაწილი თიხით ნალესი სარ-ლასტისა და ჯარგვალური ტიპის უნდა ყოფილიყო. საძირკვლისა და ზედა კედლების დამაკავშირებლად ალიზის აგურები ყოფილა. ნაგებობის ცენტრალურ ნაწილში თიხისაგან ნაგები სხვადასხვა ზომის კუბის ფორმის ორი პოდიუმი, ალბათ სამსხვერპლო საკურთხევლები იყო. როგორც ჩანს, ეს ფენა ძლიერი ხანძრით განადგურებულა, რადგან დადასტურდა ცეცხლისაგან დეფორმირებული, წიდად ქცეული თიხის ჭურჭლისა და შელესილობის ფრაგმენტები. I ფენაში აღმოჩნდა: ბულა, ფანტასტიკური ცხოველის გამოსახულებით; რიტუალური თიხის ჭურჭლები (თასები, შიგ ჩაძერწილი კოჭებებით), ჯამები, ლანგრები, ხელადები, ქოთნები.

სამლოცველოს II კულტურული ფენა წარმოდგენილია სწორზედაპირიანი, წითლად დამწვარი დიდი ზომის ფილაქვებით მოპირკეთებული სწორკუთხა მოედნით, რომლის შუაშიც ამოღებული იყო ორმო და რომელშიც იდგმებოდა გამჭოლი ცილინდრული ნახვრეტის მქონე დიდი ზომის ქვა (სავარაუდოდ სვეტის ან კერპის ბაზა). ფილაქანზე დაფიქსირდა წვრილფეხა საქონლისა და ფრინველის საგანგებოდ

დამწვარი ძვლების გროვები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მსხვერპლშეწირვა ამ ფილაქანზე ხდებოდა. II ფენაში აღმოჩენილია: კერამიკა – პირმოყრილი ჯამ-ფიალები, დერგები, ქოთნები, კოჭბები, ლანგრები, ყურმილიანი და ზოომორფულყურიანი ჭურჭლები, სამარილები, სარქველები; ბრინჯაო – სამაჯურის ფრაგმენტი, ჯაჭვი, ორფრთიანი სკვითური ისრისპირი; რკინა – მაღალრკალიანი ფიბულა. აღნიშნულ მასალებზე დაყრდნობით, საკულტო ნაგებობები ძვ.წ. VII-VI სს-ით თარიღდება.

თხემის ჩრდილო ნაწილში გამოვლინდა ფლეთილი ქვით ნაგები შენობის საძირკვლის ნაშთები – სავარაუდოდ დამხმარე ნაგებობა. თანმხლები მასალა წარმოდგენილია: კერამიკა – ამფორისა და შავლაკიანი ჭურჭლის ფრაგმენტები, ზოომორფულყურიანი ჭურჭლის ფრაგმენტები; ბრინჯაო – მაღალრკალიანი და განიერბუდიანი ფიბულა [მეშველიანი, ქორიძე 1999, გვ. 10-15, ტაბ. 3, 4; Гогодзе . . . 2003, გვ. 118-124, ტაბ. II12, III8] (კატ. 134).

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი.

ჩაბარუხის განძი. ჩაბარუხის ხევის განძი შემთხვევითაა აღმოჩენილი 1961 წელს სახლის მშენებლობისათვის მიწის მოსწორების დროს. 133 ნივთი გადახვეული იყო ბრინჯაოს სარტყლით და ამ სახით იყო ჩაფლული მიწაში [კალანდაძე 1965, გვ. 16]. ლ. ფანცხავას კოლხურ-ყოზანური კულტურების საკითხების კვლევისას, ადრერკინის ხანის კავკასიის ხელოვნების ზოგიერთ ასპექტთან დაკავშირებით სპეციალური სამუშაოები აქვს ჩატარებული ფასანაურისა და ჩაბარუხის განძებზე. მისი მონაცემებით ჩაბარუხის განძში 120-ზე მეტი ნივთია [Панцхава 1986, გვ. 23]. ჩაბარუხის განძი შეიცავს: ბრინჯაო – სატევრები, კოლხური ცულები, სარტყლები, აბზინდები, დუგმები, 5 ფიბულა, სამაჯე-საიდაყვეები, რგოლები, ლაგმის ფრაგმენტები, ბალთები, სიტულა, თასები, მცირე ზომის ფიგურები (ცხენი, ვერძი, ირემი), მილაკები, ხვიები, მეწკვები; რკინა – მახვილი, შუბისპირები; სარდიონის, ამეთვისტოს, მინის მძივები. აღ. კალანდაძე განძს ძვ.წ. IX-VIII სს-ით ათარიღებდა [კალანდაძე 1965, გვ. 16, 17, 27], ლ. ფანცხავა – ძვ.წ. VIII-VII სს-ით [Панцхава 1986, გვ. 28-31; ფანცხავა 1988, გვ. 67]. ჩაბარუხის განძის ფიბულები ყველა მაღალრკალიანია. რკალი დაფარულია განივი თავზიფხური სახით; ბუდე – ოდნავ გაგანიერებული, კარგად გამოჭედილი.

ფასანაურის განძი. ფასანაურის განძი შემთხვევითაა აღმოჩენილი არაგვის მარცხენა ნაპირზე 1963 წელს, გაზსადენის ტრასის გაყვანისას. განძის შემადგენლობაში გამოვლინდა 141 ნივთი [კალანდაძე 1965, გვ. 16, 17];⁶⁵ ბრინჯაო – კოლხური ცული, ფარის უმბონი, სამაჯე-საიდაყვე, ისრისპირები, რგოლები, კაპარჭის გარსაკრავი, ფიბულა, ბალთები, ხვიები, სიტულა, ირმის მცირე ზომის ფიგურა, ჯაჭვის ფრაგმენტები. აღ. კალანდაძე ფასანაურის განძს ძვ.წ. IX-VIII სს-ით ათარიღებდა [კალანდაძე 1965, გვ. 27]. ლ. ფანცხავა განძის თარიღს განსაზღვრავს ძვ.წ. VII-VI სს-ით [Панцхава 1986, გვ. 28-31]. ფასანაურის განძში აღმოჩენილი ერთადერთი ფიბულა მაღალრკალიანია, ყვავილისებურგანივკვეთიანი; ბუდე ოდნავ გაგანიერებულია და შემკულია ფანტასტიკური ცხოველის გამოსახულებით [კალანდაძე 1965, გვ. 23, 24].⁶⁶

ყაზბეგის განძი. ყაზბეგის განძის სახელით ცნობილია ის მასალები, რომელიც 1877 წელს გ. ფილიმინოვის მიერ ჩატარებული გათხრების შედეგად აღმოჩნდა სოფ. სტეფანწმინდაში, აღ. ყაზბეგის სახლის ეზოში. ლითონის ოთხ ჭურჭელში ჩაწყობილი ნივთები, როგორც ჩანს ჯაჭვით შეუკრავთ და ქვებს შუა მოუთავსებიათ. ინვენტარი

⁶⁵ Панцхава 1986, გვ. 23-ის მიხედვით ნივთების რაოდენობა 40-ს უდრის.

⁶⁶ ფასანაურის განძის ნივთები დაკარგულია. მასალას ვიცნობ ლ. ფანცხავას ტაბულების მიხედვით. ილუსტრაციების გაცნობისათვის ისტ. მეც. კანდ. ლ. ფანცხავას მადლობას მოვახსენებ.

შედგებოდა 200-მდე ნივთისაგან: ვერცხლის ომფალოსიანი თასი; ოქროს სხივანა საყურე; ბრინჯაო – მათარები, სიტულა, ზარები, მცირე ზომის ქანდაკებები, შტანდარტები, ექვნი, ლაგმები, სამაჯურები, პინცეტები, სარტყლები, ბალთები, საკიდები, ფიბულები; რკინის შუბისპირები [წითლანაძე 1976, გვ. 5-15; 2004, გვ. 4-10; სულავა 1998, გვ. 62; 2003, გვ. 83; მინდორაშვილი 2005, გვ. 5-7]. ყაზბეგის განძი ზოგადად ძვ.წ. VI-IV სს-ით თარიღდება [წითლანაძე 1976, გვ. 107. სულავა 1998, გვ. 62, 63. სულავა 2003, გვ. 84]; თუმცა ფიქრობენ, რომ „ყაზბეგის განძისათვის“ არსებობს უფრო კონკრეტული თარიღიც – არაუადრეს და არაუგვიანეს ძვ.წ. V საუკუნისა [Lordkipanidze 2001, გვ. 184, შენ. 184].*

ყაზბეგის განძში 22 თუ 21 ფიბულაა [Уварова 1900, გვ. 139; წითლანაძე 1976, გვ. 77; 2004, გვ. 38]⁶⁷. ჩვენი ვარაუდით ყაზბეგის განძს უნდა ეკუთვნოდეს შემდეგი სახის ფიბულები: 1. სადარკალიანი; 2. მძივისებურკალიანი განიერი ბუდით; 2ა. მძივისებურკალიანი ბუდეშემკული სვასტიკით; 3. გრეხილრკალიანი; 4. განივი ირგვლივი ღარებითა თუ ნაჭდევებით; 5. თევზიფხური სახეებით რკალშემკული; 6. სამ ჯგუფად განლაგებული სამკუთხედებით რკალშემკული; 6ა. ანალოგიურკალიანი და ბუდეშემკული; 7. სამი სკულპტურული ფიგურით რკალშემკული [Уварова 1900, გვ. 139; წითლანაძე 1976, გვ. 77, 78].

საერთოდ, ყაზბეგიდან ფიბულების საკმაოდ დიდი რაოდენობაა ცნობილი. ჩვენი გამოკვლევების მიხედვით საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და აკად. შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმში) დაცულია 16 ფიბულა, რომლებიც აქ ყაზბეგში ჩატარებული სამუშაოების შედეგად მოხვდა [Уварова, Радде 1902, გვ. 11-19; Уварова 1900, გვ. 139]. როგორც ჩანს, მასალა სამაროვნის კულტურული ფენებიდან მომდინარეობს [Уварова 1900, გვ. 152-155; სულავა 2003, გვ. 83-85].

ფიბულები ყაზბეგიდან ცნობილია ბ. ოლშევსკის კოლექციიდანაც, რომელიც ერმიტაჟში ინახება [წითლანაძე 2004, გვ. 38].

ფიბულები დადასტურებულია 1874 წელს, ალ. ყაზბეგის ეზოსთან, გზაზე მოპოვებულ მასალაშიც, რომელიც მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში ინახება (კოლ. 54746) [წითლანაძე 1976, გვ. 78; 2004, გვ. 30].

კახეთი.

არაშენდა. არაშენდას სამლოცველო აღმოჩნდა 1969 წელს ადგილ „ფევრების ბოლოს“ მახლობლად. ძეგლი დაზიანებული იყო მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის გამო. დამწვარი ქვების ყრილში აღმოჩნდა: კერამიკა – ჭურჭლის ფრაგმენტები; ბრინჯაო – მახვილები, სამაჯურები, ჯაჭვი, ფიბულა. ძეგლი დათარიღებულია ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლო ხანებით, უფრო კი ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისით [ფიცხელაური 1973, გვ. 122; Pizchelauri 1984, გვ. 92]. ძეგლზე აღმოჩენილი ფიბულა დაბალრკალიანია, გრეხილღეროიანი.

ნასახლარები.

ნასახლარებზე აღმოჩენილი ფიბულები მთელ კავკასიაში, ჯერჯერობით მხოლოდ ორი პუნქტიდანაა ცნობილი. ესაა: სერჟენ-იურტი (ჩეჩნეთ-ინგუშეთი, შალინსკის რ-ნი) და რგანი (ჭიათურის რ-ნი).

* ლორთქიფანიძე 2003, გვ. 36 (იქვე, შენ. 42, 44), გვ. 42 (იქვე, შენ. 67).

⁶⁷ განძში შემავალი ფიბულები დაცულია მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში [წითლანაძე 2004, გვ. 38]. რადგან პირადად არ გვქონდა საშუალება გავცნობოდით მუზეუმის მასალას, ვსარგებლობთ პ. უვაროვასა და ლ. წითლანაძის ნაშრომებიდან ამოკრეფილი მონაცემებით.

სერჟენ-იურტის ნასახლარის ძვ.წ. X-VII სს-ის ფენაში აღმოჩნდა ბრინჯაოს სადა, ნახევარწრისებური და წვრილრკალიანი ფიბულა [Козенкова 1964, გვ. 77, სურ. 218; 1982, გვ. 59, ტაბ. XXXVII1].

რგანში III-IV სს-ით დათარიღებული სამაროვნის № 2 სამარხს ჩაჭრილი ქონდა ძვ.წ. I ათასწლეულის I ნახევრის ნამოსახლარის ფენა, სადაც აღმოჩენილი ფიბულა ნახევარწრისებურრკალიანია [ბრაგვაძე 2000, გვ. 107].

ამგვარად, იმ ძეგლების მიმოხილვით, რომლებზეც ფიბულებია აღმოჩენილი, წარმოჩენილია ფიბულათა გავრცელების სივრცე კავკასიაში, აღმოჩენების ვითარება, არქეოლოგიური კონტექსტი და მიღებული დათარიღება.

III თავი. კავკასიის ერთწილადი რკალისებური ფიბულების ქრონოლოგიის საკითხები და ტიპოლოგიის საფუძვლები

§ 1. კავკასიის ერთწილადი რკალისებური ფიბულების ქრონოლოგია და ტიპოლოგია თლიისა და სამთავროს სამაროვნის ფიბულებიანი სამარხების მიხედვით. კავკასიის არქეოლოგიურ ძეგლებში არის რამდენიმე სამაროვანი, რომელთაც აქ მოპოვებული ფიბულათა დიდი რაოდენობისა და მრავალფეროვნების გამო საყრდენის როლის შესრულება შეუძლიათ ფიბულათა დათარიღებისა და ტიპოლოგიის საფუძვლების განსაზღვრის საქმეში.⁶⁸ ასეთებია, უპირველეს ყოვლისა, თლიის სამაროვანი, სადაც დაახლოებით 250 ცალი ფიბულაა მოპოვებული და სამთავროს სამაროვანი, სადაც გამოვლენილია კავკასიაში უძველესად მიჩნეული ფიბულიანი სამარხი.

ერთწილადი რკალისებური ფიბულების რაოდენობითა და მრავალფეროვნებით კავკასიაში ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი და მნიშვნელოვანია თლიის სამაროვანი, სადაც კავკასიაში გავრცელებული ფიბულების ტიპთა უმეტესობაა თავმოყრილი. იქ წარმოდგენილია როგორც ადრეული, ისე გვიანდელი ხანის ფიბულები. ამ მონაცემების გამო თლიის სამაროვნის მასალა (ფიბულები) ყველაზე მეტად იძლევა ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური კვლევის ჩატარების საშუალებას, რაც საერთოდ კავკასიის ფიბულების წარმომავლობისა და ქრონოლოგიის საკითხებში გარკვევაშიც დაგვეხმარება [სულავა 2000a, გვ. 38-45].

თლიის სამაროვანზე⁶⁹, სადაც 333 სამარხია გათხრილი და შესწავლილი, ფიბულები აღმოჩენილია 154 კომპლექსში, სულ 168 ერთეული. აქედან 33 ფიბულა რკინისაა, დანარჩენი – 135 ბრინჯაოსი [Техов 1980, 1981, 1985. სულავა 2006].

თლიის სამაროვნის მასალაზე ჩავატარეთ გარკვეულ მეთოდზე დაფუძნებული სამუშაო, რაც შემდეგში მდგომარეობს: თლიის სამაროვნის ფიბულებიანი სამარხების დაჯგუფების საფუძვლად გამოვიყენეთ კომპლექსებში არსებულ ნივთთა გარკვეული ტიპებისა და მათი მასალის (ბრინჯაო, რკინა) მეტნაკლებობა-მონაცვლეობა. ამ სახის სამუშაოს ჩატარება შესაძლებლობას იძლევა დადგინდეს არა მარტო ფიბულათა ტიპების თანამიმდევრობა, არამედ აბსოლუტური თარიღებიც. სამარხეული კომპლექსების

⁶⁸ კავკასიის ფიბულების ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური კვლევისას შეძლებისდაგვარად უნდა გავითვალისწინოთ ის გამოცდილება, რაც არსებობს სხვა ქვეყნების ერთწილადი რკალისებური ფიბულების ტიპოლოგიურ კვლევებში [იხ. ლიტ.აქვე – "შესავალი"].

⁶⁹ ბ. ტეხოვის ახალ ნაშრომში გამოქვეყნებულია 1983-1986, 1988 წლებში გათხრილი 150 სამარხი. ბრინჯაოს ფიბულათა რაოდენობა ამ სამარხებიდან 68, ხოლო რკინისა – 14 ერთეულია [Техов 2002, გვ. 5, 228, 230]. ე.ი. დღეისათვის, თლიას სამაროვანზე 203 ცალი ბრინჯაოს და 47 რკინის ფიბულაა მოპოვებული.

ამგვარად და თანაც, რაც ყველაზე მთავარია, რეტროსპექტულად დალაგებამ მოგვცა აბსოლუტური ქრონოლოგიის (კარგად დათარიღებულ პარალელურ მასალაზე დაყრდნობით) დადგენის საშუალება. ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე **ოთხი ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური ჯგუფი** (თითოეული მათგანისათვის დამახასიათებელი ნივთთა შემადგენლობით) გამოიყო. ამ ჯგუფების მონაცვლეობის შედეგები ასეთია:

I ჯგუფში (სურ. 28) ერთიანდება თლიას სამაროვნის ის კომპლექსები (№ № 16b, 31, 54, 90, 92, 103, 120, 135, 136, 138, 143, 147, 152, 158/2, 169, 172, 173, 183, 197, 232, 238, 240, 242, 246, 265, 274, 304, 306, 314, 322, 327, 328, 329), სადაც აღარა გვაქვს კოლხური ცული, ხოლო სამარხეული ინვენტარი წარმოდგენილია ძირითადად **რკინის იარაღით**: ცულები – ყუამოკლე სოკოსებრთავიანი (სამ. № № 15⁷⁰, 54, 92, 135, 173, 197, 328, 329), ჩაქუჩისებრთავიანი (სამ. № № 16b, 90, 103, 183, 240), ყუამახვილი (სამ. № № 158, 265, 306), ყუაგრძელი – ჩაქუჩისებრთავიანი (სამ. № № 31, 54, 120, 136, 147, 172, 232, 242, 304, 314), ყუამახვილი (სამ. № 205) [რკინის ცულებთან დაკავშირებით იხ. Квирквелия 1981]; სატევრები: სატარეყუნწიანი (სამ. № № 16b, 120, 136, 306), მთლიანადსხმული, ქუდისებრი სატარე თავით, რომელიც ზოგჯერ ძვლისაა (სამ. № № 147, 246, 328), მთლიანადსხმული T-სებრთავიან ტარზე მანჭვალებით (სამ. № № 31, 103), მთლიანადსხმული, მოკლე მომრგვალებული ტარით (სამ. № 158/2), მთლიანადსხმული, სწორკუთხატარიანი და ვიწროპირიანი (სამ. № 31). მთლიანადსხმული მოხრილი სატევარ-დანები T-სებრი ან ქუდივით მომრგვალებული თავით (სამ. № № 31, 103, 152, 172, 173, 197, 240, 329); მოხრილი დანები ფირფიტისებრი მანჭვლებიანი ტარით (სამ. № № 90, 242, 304, 314); პატარა მოხრილი დანები (სამარხები № № 103, 169, 322); სოკოსებრთავიანი, სატარეხვრელიანი და ქედიანი სატევრის ფორმის ნივთი (სამ. № 143). **ბრინჯაოს ნივთები**: სადა ღრმა ჯამები (სამ. № № 172, 173, 242, 306, 329), აქედან № 242 სამარხის [Техов 1985, ტაბ. 1654] ჯამს ისეთივე დაპირქვავებული ლამბაქისებრი ძირი აქვს, როგორც ბრინჯაოს ქვაბებს და ტოლჩებს, ხოლო № 173 სამარხის [Техов 1985, ტაბ. 1476] ჯამი ფართოძირიანი, ვერტიკალურკედლებიანი და ოდნავ პირგადამოლილია; ე.წ. ენისებურგვერდებიანი (?) (სამ. № № 92, 304. სამწუხაროდ, ნივთის ტიპის განსაზღვრა მხოლოდ პუბლიკაციის მიხედვით მნელია. მითუმეტეს, როცა ტექსტშიც არაა სათანადო აღწერილობა) და სხვა ტიპის ფიალები (სამარხი № 327); ქვაბები (სიტულები), ვერტიკალური ყურებით და შიგ გაყრილი ჩამოსაკიდებელი მავთულით (სამ. № № 31, 158/2); საკისრე რგოლები თუ დიადემები, რომელთაც ბოლოები ფირფიტისებრი და გრავირებული აქვთ (სამ. № № 90, 135, 138, 143, 152, 172, 197, 327); აბზინდები (სამ. № № 16b, 31, 54, 90, 92, 103, 120, 143, 147, 158/2, 172, 173, 197, 232, 240, 242, 304, 329) – მართკუთხა, წელშეზნექილი, სერპანტინისებური. აბზინდები I ჯგუფის თითქმის ყველა სამარხშია აღმოჩენილი. სარტყლები, რომლებიც დაფარულია პუნსონებით შექმნილი ლენტისებური ზოლებით (სამ. № 16b); ზარაკი გვერდშეჭრილი (სამ. № 143); პინცეტები კიდებგრავირებული (სამ. № № 143, 169); სათვალისებური დუგმა (სამ. № 31); ბოლოებგადადებული თავდაბრტყელებული სამაჯური (სამ. № 322); ჯიხვის ფიგურა (სამ. № 143); თავხვია მოკლე საკინძი (სამ. № 304).

გარდა რკინისა და ბრინჯაოს ნივთებისა, **I ჯგუფის** კომპლექსებიდან გვაქვს: რქისებრი ფორმის ძვლის საყბურები, სამი ნახვრეტით (სამ. № 143); ქვის სალესები (სამ. № № 90, 92, 158/2); ერთნახევრიანი მოოქრული სასაფეთქლე ხვია ნავისებური ბოლოებით

⁷⁰ № 15 სამარხში ორი ერთმანეთზე დაკრძალული მიცვალებულია [Техов 1985, ტაბ. 1002, 4, 6-9]. რკინის ცული და რკინის ფიბულა, როგორც ჩანს, ზედა მიცვალებულს ეკუთვნის. ამ კომპლექსს I ჯგუფს მივაკუთვნებთ.

(სამ. № 240); კერამიკული ფრაგმენტები დოქის, ჯამისა და ცალყურა ქოთნისა (სამ. № № 92, 120, 322).

რაც შეეხება თვით **ფიბულებს, I ჯგუფში** გვაქვს 27 ცალი რკინის ფიბულა, რომლებიც სამწუხაროდ, ცუდი დაცულობის გამო ტიპოლოგიურ განსაზღვრას არ ექვემდებარებიან. ხოლო 8 ცალი ბრინჯაოს ფიბულა 5 სახისაა:⁷¹ რომბულგანივკვეთიანი (სამ. № 242, 265), როზეტისებურგანივკვეთიანი (სამ. № 16b) და მართკუთხაგანივკვეთიანი რკალით (სამ. № 169), დისკოსებურ შემსხვილებებიანი (სამ. № № 172, 314), წვრილრკალიანი და განიერფეხიანი (სამ. № № 31, 158/2). № 158/2 სამარხში ერთადაა რკინისა და წვრილრკალიანი, განიერფეხიანი ბრინჯაოს ფიბულა [Техов 1985, ტაბ. 141].


ამგვარად, **I ჯგუფის** მთავარი ნიშანი ისაა, რომ აქ აღარ გვხვდება ბრინჯაოს კოლხური ცული. ხოლო ჩამოთვლილი მასალა პირდაპირ პარალელებს პოულობს ბრილის სამაროვნის (რაჭა) აკინაკებიან სამარხებთან (სამ. № № 26, 29 /1950 წ./, 20 /1952 წ./, 4 /1960 წ./, სემ ფონდი, კოლ. 5-993). თლიას მსგავსად, ბრილის სამარხებშიც გვაქვს სხვადასხვა ტიპის რკინის ცულები, ბრინჯაოს დიადემათა ფირფიტისებური გრავირებული ბოლოებით, ბრინჯაოს ზარაკები, ბრინჯაოს ფიბულები დისკოსებრშემსხვილებებიანი და მართკუთხაგანივკვეთიანი რკალით. ბრილის ამ სამარხების დათარიღებისათვის საყრდენია სხივანა საყურე, რომელიც ოთხივე სამარხშია. განსაკუთრებით აღსანიშნავია № 4 (1960 წ.) სამარხის ოქროს საყურე ხუთი სხივითა და რკალზე ვარდულით. მსგავსი საყურეები დადასტურებულია ვანის № 11 (წარჩინებული კოლხი ქალის) სამარხში. სამარხში აღმოჩენილი იმპორტული ნივთები (ბრინჯაოს პატერა, ატიკური შავლაკიანი კილიკი, ვერცხლის კილიკები) ძვ.წ. V ს-ის პირველ ნახევარს, უფრო მის მეორე მეოთხედს განეკუთვნება. ამიტომ, № 11 სამარხი არაუადრეს ძვ.წ. V ს-ის შუა ხანებით თარიღდება [ჭყონია 1981, გვ. 17-21]. მაგრამ სხივებიანი საყურეების გავრცელება სამეცნიერო ლიტერატურაში ზოგადად ძვ.წ. VI-IV სს-ითაც განისაზღვრება [ჭყონია 1981, იხ. შენ. 57].

ბრილის აღნიშნული სამარხების ქვედა თარიღს მარკირებას უკეთებს აკინაკები,⁷² ხოლო ზედა თარიღს – სხივანა საყურეები (რომლებიც ტიპოლოგიურად უფრო მოგვიანო ეგზემპლარებთანაა წარმოდგენილი ბრილში). ამ მომენტის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, ბრილის აკინაკებიანი სამარხები ძვ.წ. VI ს-ითა და V ს-ის პირველი ნახევრით უნდა დათარიღდეს, ხოლო თლიას **I ჯგუფის სამარხებისათვის ძვ.წ. VI ს-ს ან მის პირველ ნახევარს ვვარაუდობთ.**⁷³

⁷¹ რადგან ფიბულათა დაწვრილებითი ტიპოლოგიური აღწერა შემდეგ იქნება წარმოდგენილი, ამიტომ, ამ შემთხვევაში, ფიბულათა ტიპების აღსანიშნავად ფიბულის ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელ ნიშანს ვიყენებთ.

⁷² სკვითური ინვენტარის დათარიღების შესახებ იხ. მ. ფირცხალავა, ე.წ. სკვითური ელემენტების საქართველოში გავრცელების საკითხისათვის (ახალი მონაცემების შუქზე), არქეოლოგიური კვლევის ცენტრის VI სამეცნიერო სესიაზე – “მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო”, თბილისი, 1999 წ. 27. V. – 2. VI. წაკითხული მოხსენება. აგრეთვე იხ.: ფირცხალავა 2001, გვ. 77-86.

⁷³ ლ. ფანცხავას მიხედვით, თლიას № 16b სამარხი თარიღდება – ძვ.წ. VII-VI სს-ით; № 169 – ძვ.წ. VII-VI სს-ის მიჯნით [ფანცხავა 1988, გვ. 63, 64]; № 15 სამარხი – ძვ.წ. VII-VI სს-ით; № № 90, 232, 242 – ძვ.წ. VI ს [ფანცხავა 1988, გვ. 79].



სურ. 28. თლია, I ჯგუფი.

II ჯგუფში (სურ. 29) გაერთიანებულია თლიას სამაროვნის ის სამარხები (სამ. № № 30, 34, 41, 49, 53, 68, 69, 84, 85, 87, 93, 106, 109, 114, 123, 129, 130, 139, 140, 144, 163, 167, 186, 188, 191, 198, 205, 209, 215a, 216, 223, 226, 233, 239, 248, 252, 255, 257, 267, 269, 271, 275, 277, 297(? – ნ. ს.), 300, 298, 301, 308, 309, 316, 324, 330, 331, 333), სადაც გვაქვს ბრინჯაოს კოლხური ცულები და რკინის სატევრები, რომლებიც რამდენიმე ტიპითაა წარმოდგენილი – აკინაკები (სამ. № № 68, 85, 93, 106, 123, 139, 205, 216, 298), T-სებრთავიანი (სამ. № № 34, 53, 130, 167, 330), ფირფიტისებრვადიანი მომრგვალებული თავით (სამ. № 49), მართკუთხათავიანი ვიწროპირიანი (სამ. № № 41, 191, 209), სატარეყუნწიანი (სამ. № № 30, 41, 84, 87, 109, 114, 140, 144, 163, 186, 188, 198, 215a, 223, 226, 233, 239, 248, 252, 257, 267, 269, 271, 275, 277, 297/?, 300, 301, 308, 309, 324, 331).

აკინაკების შემცველი ფიბულებიანი კომპლექსი ცხრაა. აქედან ექვს კომპლექსში აკინაკები რკინის ცულებთან ერთადაა (სამ. № № 93, 106, 139, 205, 216, 298). სამარხების ეს ჯგუფი ზუსტად იმეორებს I ჯგუფის ინვენტარის შემადგენლობას; განსხვავებაა ის, რომ აქ სატევრების სახეობა მხოლოდ აკინაკითაა წარმოდგენილი. ფიბულების ტიპებიც იგივეა, რაც I ჯგუფში. ფიბულებიანი სამარხების ამ პატარა ჯგუფში ბრინჯაოს ტოლჩები თავის არსებობას ასრულებენ (სამ. № 139).

აკინაკებიანი და რკინის ცულებიანი ეს პატარა ჯგუფი ოდნავ წინ უსწრებს I ჯგუფს. ვფიქრობთ, ის შეიძლება ძვ.წ. VI ს-ის დასაწყისით დათარიღდეს. აკინაკებიანი სამარხებიდან სამი კომპლექსი შეიცავს ბრინჯაოს კოლხურ ცულს (სამ. № № 68, 85, 123). ეს ბრინჯაოს კოლხური ცული თლიას ფიბულებიან სამარხებში არსებობის ბოლო ეტაპი უნდა იყოს (აქვე აღვნიშნავთ, რომ ბრილის სამაროვნის ფიბულებიან სამარხებში არც

ერთი ბრინჯაოს კოლხური ცული არაა დადასტურებული). ასევე ბოლო ეტაპი უნდა იყოს განივი თევზიფხური სახით შემკული მსხვილრკალიანი (სამ. № 68) და როზეტისებურჭრილიანი (სამ. № № 85, 123) ფიბულებისათვის. ამ ტიპის ფიბულები I ჯგუფში უკვე აღარ გვხვდება. სამაგიეროდ, აქ არსებობას იწყებს წვრილრკალიანი და განიერბუდიანი ფიბულა, რომელიც შემდეგ – I ჯგუფშიც განაგრძობს არსებობას.

აკინაკებიან და ბრინჯაოს კოლხურცულებიან ამ ჯგუფში შედის № 85 სამარხიც ბიმეტალური აკინაკით, რომელიც მ. ფირცხალავას მიერ საერთო ტიპოლოგიურ ნიშნებზე დაყრდნობით დათარიღებულია ძვ.წ. VII ს-ის დასასრულითა და VI ს-ით [ფირცხალავა 1978, გვ. 34, 35].⁷⁴

აკინაკებიანი სამარხები შეიძლება ერთგვარ გამმიჯნავადაც აღვიქვათ I და II ჯგუფებს შორის, მაგრამ მკვეთრი ზღვარის გავლება ალბათ მიზანშეწონილი არაა, რადგან აკინაკებიანი ჯგუფი დაკავშირებულია როგორც I, ასევე II ჯგუფთან. შეიძლება ითქვას, რომ რკინის ცულებიანი და აკინაკებიანი სამარხები I ჯგუფისკენ მიილტვიან, ხოლო ბრინჯაოს ცულებიანი და აკინაკებიანი სამარხები II ჯგუფისკენ. აკინაკებიან სამარხებში სხვა ტიპის სატევრები არ გვხვდება.


II ჯგუფის სამარხებში ბრინჯაოს ნივთების თითქმის იგივე შემადგენლობაა, რაც I ჯგუფში; ოღონდ, თუ I ჯგუფის სამარხებში თითო-ოროლა ბრინჯაოს ნივთია, ხოლო დანარჩენი რკინისა, II ჯგუფში პირიქით – თითო ნივთი რკინისაა, დანარჩენი ბრინჯაოსი.

II ჯგუფის სამარხების ბრინჯაოს ინვენტარიდან აღსანიშნავია – სადა ღრმა ჯამები და ე.წ. ენისებურგვერდებიანი ფიალა (სამ. № 130) და სარტყლები – სადა (სამ. № № 41, 93, 106, 130, 140, 163, 252, 271, 301), პუნსონებით შექმნილი ლენტისებური ზოლებით დაფარული (სამ. № № 68, 84, 85, 167, 188, 216, 267, 300), რომელთა ანალოგიურიც I ჯგუფშიც იყო, და ე.წ. ურარტული (სამ. № 215ა). უფრო ხშირად გვხვდება ზოომორფულყოფიანი ტოლჩები, როგორც სადა (სამ. № № 41, 130, 140, 144, 198, 248, 277), ასევე კანელურებიანი (სამ. № № 233, 252, 269, 275, 297/?/). განსაკუთრებით აღსანიშნავია ბრინჯაოს ცილინდრულყელიანი ამფორა (სამ. № № 41, 49). ე.ი. II ჯგუფში ამთავრებენ არსებობას კანელურებიანი ტოლჩები და ცილინდრულყელიანი ამფორები.

თლიას სამაროვანზე ძალიან გავრცელებულია ე.წ. რომბული თხელი ფირფიტები. I ჯგუფის სამარხებში ასეთი ფირფიტა გვაქვს მხოლოდ ერთ სამარხში (№ 306), ხოლო ბრინჯაოს ცულებიან და აკინაკებიან სამარხებში (ანუ მანამდე) თითქმის ყველა სამარხში გვხვდება.

რკინის სატევრებიანი სამარხებიდან არც ერთში არ გვხვდება ბრინჯაოს სატევარი, გარდა ერთი – № 301 სამარხისა, სადაც გვაქვს ბრინჯაოს მკვეთრქედიანი, ალისებურპირიანი სატევარი.

⁷⁴ ბ. ტეხოვი თლიას № 85 სამარხს ათარიღებს ძვ. წ. VIII-VII ს-ის პირველი ნახევრით [Техов 1981, გვ. 28], ხოლო გ. კოსაკი – ძვ.წ. 700 წლით [Kossack 1983, სურ. 41].



სურ. 29. თლით, II კვლევა.

რაც შეეხება **II ჯგუფის ფიბულებს**, რკინის ფიბულა გვაქვს რამდენიმე სამარხში (სამ. № № 34, 106, 163, 333), ხოლო ორ სამარხში (სამ. № 130, 333) გვხვდება ბრინჯაოს ფიბულასთან ერთად. ბრინჯაოს ფიბულები შემდეგი სახისაა – მსხვილრკალიანი, რკალზე თევზიფხური სახით და ზოგჯერ ბუდეშემკული (სამ. № № 87, 140, 144, 188, 239, 248, 252, 269, 271, 301, 324), როზეტისებურგანივკვეთიანი (სამ. № № 30, 41, 84, 85, 129, 130, 144, 167, 186, 191, 277), როზეტისებურგანივკვეთიანი და სეგმენტებად შემკული რკალით (სამ. № 267), დაკეჭნილზურგიანი (სამ. № 308), მართკუთხაგანივკვეთიანი რკალით (სამ. № № 34, 49, 53,⁷⁵ 316, 330), მრავალკუთხაგანივკვეთიანი რკალით (სამ. № № 215a, 275, 309, 331), რომბულგანივკვეთიანი რკალით (სამ. № № 198, 223, 233, 257, 297), დისკოებიანი (სამ. № № 93, 69, 205, 209, 226, 216, 255, 300, 333), წვრილრკალიან-განიერფებიანი (სამ. № № 68, 139). ე.ი. II ჯგუფში თანაარსებობს 9 სახის ფიბულა, რომელთა შორისაც გვაქვს ახალი სახეობებიც – მსხვილრკალიანი და თევზიფხურით შემკული, დაკეჭნილზურგიანი და მრავალკუთხაგანივკვეთიანი.

ამგვარად, ვფიქრობთ, II ჯგუფის დათარიღებისათვის შეგვიძლია საყრდენად გამოვიყენოთ აკინაკების /რკინის ცულების და ბრინჯაოს ცულების/ რკინის სატევრების ერთად არსებობა და ბრინჯაოს სატევრების არ არსებობა და **II ჯგუფი დავათარილოთ ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრითა და VI ს-ის დასაწყისით.**⁷⁶ როგორც ვხედავთ, I და II ჯგუფები უშუალოდ ებმიან ერთმანეთს.

III ჯგუფში (სურ. 30) გაერთიანებულია ის სამარხები (სამ. № № 15,⁷⁷ 16a, 22, 32, 51, 57, 63, 66, 76, 79, 86, 97, 98, 99, 109, 112, 146a, 156, 159, 160, 161, 165, 167a, 190, 209, 221, 228, 229, 231, 234, 249, 254, 259, 262, 264, 266, 273, 278, 282, 287, 293, 302, 310, 317), სადაც თითქმის საერთოდ არაა რკინის ნივთები. მთელი სამარხეული ინვენტარი ბრინჯაოსია (მხოლოდ № 317 სამარხშია რკინის ფიბულა, ხოლო რკინის დანა № 293 სამარხში).


სატევრები რამდენიმე ტიპითაა წარმოდგენილი: ყველაზე მეტია სატარე ყუნწიანი სატევრები, რომლებიც ორგვარია – მკვეთრქედიანი (სამ. № № 15, 22, 57, 63, 76, 79, 86, 98, 99, 112, 159, 167a, 229, 234, 254, 259, 264, 282, 287) და ლინზისებრქედიანი (სამ. № № 37, 48, 156, 278); სამკუთხამხრებიანი და ალისებრპირიანი სატევარი 2 ცალია (სამ. № № 32, 98); სატარეენიანი სრულიად ბრტყელი სატევარი ერთია (სამ. № 98). საინტერესოა, რომ № 98 სამარხში ერთადაა სამივე ტიპის სატევარი – სამკუთხამხრებიანი ალისებურპირიანი, ბრტყელი, სატარეყუნწიანი [Техов 1980, ტაბ. 64]; რელიეფურქედიანი (სამ. № 231) და მრგვალქედიანი (სამ. № 228) სატევრები სწორი მხრებით ორია; მთლიანადსხმული სატევრები რამდენიმე ტიპისაა: დოლისებურთავიანი და ტარდაცვარული (სამ. № 293), მასიურტანიანი, ტარზე თევზიფხური სახით (სამ. № 66), ქუდისებრთავიანი აჟურული ტარით (სამ. № 161), ქუდისებრთავიანი, მასიური ტარით (სამ. № № 16a, 249), ჩარჩოსებრფირფიტისებრტარიანი და თავმომრგვალებული (სამ. № № 51, 97, 266), დისკოსებრი ფირფიტებისაგან თავშედგენილი და ვადაშემკული (წნული, ცვარა) (სამ. № № 165, 190, 273,

⁷⁵ ბ. ტეხოვის მიხედვით ფიბულას აქვს „... четырехгранное сечение в дуге” [Техов 1981, გვ. 31, სურ. 986].

⁷⁶ ლ. ფანცხავას მიხედვით, თლიას № № 84, 144, სამარხები თარიღდებიან – ძვ.წ. VII-VI სს-ით [ფანცხავა 1988, გვ. 56]; № 68 – ძვ.წ. VI ს-ის პირველი ნახევარი [იქვე, გვ. 56]; № № 85, 169, 188 – ძვ.წ. VII-VI სს-ის მიჯნით [იქვე, გვ. 64]; № № 308, 330 – ძვ.წ. VII-VI ს-ის დასაწყისი [იქვე, გვ. 64]; № 87 – ძვ.წ. VII-VI სს-ის მიჯნა [იქვე, გვ. 64]; № 41 – ძვ.წ. VII-VI სს. [იქვე, გვ. 65]; № 215a – ძვ.წ. VII ს. [იქვე, გვ. 67]; № 109 – ძვ.წ. VII ს-ის დასაწყისი – VI ს. [იქვე, გვ. 68]; № № 140, 223 – ძვ.წ. VIII-VII სს. [იქვე, გვ. 69]; № № 49, 252, 130 – ძვ.წ. VII ს. [იქვე, გვ. 69]; № № 233, 271 – ძვ.წ. VIII ს-ის დასასრული – VII ს. [იქვე, გვ. 71]; № 324 – ძვ.წ. VII ს-ის დასაწყისი [იქვე, გვ. 74]; № № 198, 239 – ძვ.წ. VII ს. [იქვე, გვ. 79]; № № 87, 275 – ძვ.წ. VI ს. [იქვე, გვ. 79]. იხ. აგრეთვე – ფანცხავა 2001, გვ. 81].

⁷⁷ ქვედა მიცვალებულის ინვენტარი [Техов 1985, გვ. 8, 9, ტაბ. 1001, 3, 5].

302, 310. აქედან ორ სატევარს _ № № 273, 310 სამარხებიდან, სამთავროს სამაროვნის № 174 (1940 წ. N უბანი) სამარხის მახვილის ქარქაშის მსგავსი ბოლოდაფანჯრული ქარქაში აქვს [აბრამიშვილი 1957, ტაბ. XIII1]; ამართკუთხაჩარჩოსებრტიარიანი და ტრაპეციულვადიანი (სამ. № № 146a, 262, 317. № 262 სამარხის სატევარსაც სამთავროს № 174 სამარხის მახვილის ქარქაშის ანალოგიური ქარქაში აქვს).



სურ. 30. თლია, III ჯგუფი.

როგორც ვხედავთ, II ჯგუფთან შედარებით III ჯგუფში მთლიანად შეიცვალა სატევრების ტიპი.

ზოომორფულყოფიანი ბრინჯაოს ტოლჩები, როგორც სადა, ასევე კანელურებიანი III ჯგუფშიცაა, მაგრამ “ჩნდება” განსხვავებული ტიპიც, რომელსაც მუცლის ქვედა სადა ნაწილი უფრო მეტად მიუგავს ვაზას, ხოლო მუცლის ზედა ნაწილი კანელურებიანია (სამ. № № 51, 231, 254, 266), რითაც გავს II ჯგუფის ცილინდრულყოფიან ბრინჯაოს ამფორას № 49 სამარხიდან [Texov 1981, ტაბ. 976].

გრავირებული აბზინდები მხოლოდ მართკუთხაა, მართო ორ შემთხვევაში (სამ. № № 209, 302) გვაქვს წნულებით შექმნილი მართკუთხა ფორმის აბზინდები.

პუნსონების ზოლებით შემკული სარტყელი III ჯგუფში მხოლოდ ერთია № 310 სამარხში [Texov 1981, ტაბ. 888], სადაც გვაქვს დისკოსებრი ფირფიტებისაგან თავშედგენილი სატევარი ბოლოდაფანჯრული ქარქაშით (იხ. ზემოთ). ანალოგიური ქარქაშები სამთავროდან თარიღდება ძვ.წ. VIII-VII ს-ის პირველი ნახევრით [აბრამიშვილი 1957, ქრონ. ტაბ. № 116].

სადა, უორნამენტო სარტყლები სამარხების უმრავლესობაშია (სამ. № № 32, 63, 79, 161, 165, 190, 228, 229, 231, 234, 254, 264, 282, 287, 302). არის სხვა ტიპის სარტყლებიც _ ერთმანეთის საპირისპიროდ მიმართული “ფოთლების” ზოლებით შემკული (სამ. № № 51,

278), კიდევზე მორბენალი სპირალით, ხოლო სარტყელის შუაში დაკლაკნილი გველის გამოსახულებით (სამ. № № 57, 112, 266). და ერთიც, მთლიანად მორბენალი სპირალით დაფარული (სამ. № 5).

პუნსონების ზოლებით (Punkt-Rippen-Ornament) შემკულ სარტყლებს ურარტულ კულტურულ სივრცეს მიაკუთვნებენ [Essayan 1984, გვ. 107, 108]. აღნიშნული ტიპისა და სპირალურორნამენტის სარტყლები ადანას (თურქეთი) მუზეუმიდანაცაა ცნობილი. მათ დაახლოებით ძვ.წ. 600 წლით ათარიღებენ [Taşvüreck 1975, გვ. 29, სურ. 11, 15, 27].

III ჯგუფის ფიბულები შემდეგი სახისაა: რკინის ნახევაროვალური ფიბულა (სამ. № 317), ოდნავასიმეტრიულრკალიანი სადა ფიბულა (სამ. № 99). მსხვილრკალიანი, რკალზე ირგვლივი თევზიფხური სახით ზოგჯერ ბუდეშემკული (სამ. № № 15, 16a, 22, 32, 51, 57, 63, 66, 76, 79, 86, 98, 112, 146a, 156, 159, 161, 167a, 190, 221, 228, 229, 231, 234, 249, 254, 259, 264, 266, 282, 287, 302, 310), როზეტისებჭრილიანი (სამ. № № 165, 262), მრავალკუთხაგანივკვეთიანი (სამ. № 293), რომბულგანივკვეთიანი (სამ. № № 97, 273, 278).

ამგვარად, სამარხთა III ჯგუფში არსებობას იწყებენ როზეტისებჭრილიანი, მრავალკუთხაგანივკვეთიანი და რომბულგანივკვეთიანი ფიბულები. ხოლო ასიმეტრიულრკალიანი ფიბულა ამ ჯგუფში ამთავრებს არსებობას. რკინის ფიბულების არსებობაც ამ ჯგუფიდან იწყება.

რადგან სამარხთა ჯგუფები ერთმანეთს უწყვეტად მისდევს⁷⁸ ზოგიერთი ტიპის სატევრის ანალოგები კი ცნობილია ძვ.წ. VIII-VII სს-ის ძეგლებიდან (ერგეტა, ურეკი, ნიგვზიანი, პალური, მუხურჩა, ბომბორა, პრიმორსკოე) [პაპუაშვილი 1998, გვ. 29-32]. ზემოთ ჩამოთვლილი სარტყლების ტიპებიც ამ ხანაზე უფრო ძველი არ ჩანს. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ **III ჯგუფისათვის ზედა თარიღი ძვ.წ. VII ს-ის პირველი ნახევარი, ხოლო ქვედა ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევარი უნდა იყოს.**⁷⁹

II და III ჯგუფს შორის ერთგვარ “გარდამავალ” კომპლექსად შეიძლება მივიჩნიოთ № 109 ბიმეტალურსატევრიანი კომპლექსი, სადაც სატევარს პირი რკინისა აქვს, ხოლო ტარი ბრინჯაოსი, რომელიც უხეშად იმეორებს III ჯგუფის სატევრების ტარის ფორმას.

ასევე “გარდამავალ” კომპლექსად შეიძლება ჩავთვალოთ № 209 სამარხი, სადაც ბრინჯაოს სატარეენიანი სატევარი და რკინის ფიბულა ერთდროულად გვაქვს. რკინის ფიბულით კომპლექსი II ჯგუფისაკენ მიიწევს, ხოლო სატევრით III ჯგუფისაკენ.

როგორც ადრეც აღვნიშნეთ, ჯგუფებს შორის მკაცრი ზღვარის გავლება ძნელია, რადგან არის ნივთები, რომლებიც მიილტვიან როგორც აქეთ, ასევე იქით (მაგ. სპირალურბოლოებიანი სამაჯურები. ისინი არიან III ჯგუფშიც და IV-შიც; სამ. № 66 – III, სამ. № 83 – IV ჯგუფი).


IV ჯგუფში (სურ. 31) გაერთიანებულია ის სამარხები (№ № 17, 23a, 37, 48, 52, 64, 83, 115), სადაც გვხვდება ისეთი ტიპის სატევრები, რომლებიც სრულიად არ იყო III ჯგუფის ფიბულებიანი სამარხებში. ესენია განიერქედიანი და პირგამოყვანილი (ალი-

⁷⁸ ეს უწყვეტობა დაკრძალვის წესშიც შეიმჩნევა. სამაროვნის არსებობის მთელ მანძილზე სამარხები ოთხკუთხა ან ოვალური ქვის სამარხებია, რომლებიც შექმნილია ქვის ფილებით ან ნაფლეთი დიდი ქვებით. მიცვალებულები ასვენია მოხრილი; ხშირად ერთ სამარხში რამდენიმე, რაც ზოგ შემთხვევაში შემდგომი დაკრძალვის შედეგი უნდა იყოს [Техов 1980, გვ. 51, 52; 1981, გვ. 50, 51; 1985, გვ. 62-64]. საერთოდ, რამდენიმემიცვალებულიანი სამარხი, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ერთ ოჯახს ეკუთვნოდა. ამასთან, ჩნდება კითხვა, რამდენ ხანს შეიძლება ეარსება ოჯახურ სამარხს? აქედან გამომდინარე, იქნებ რამდენიმე საუკუნით დათარიღებული სამაროვნების თარიღი ერთობ “გაწელილია”?

⁷⁹ ლ. ფანცხავას მიხედვით, თლიას № № 32, 79, 231, 254, 278 სამარხები თარიღდება ძვ.წ. VII-VI სს-ით [ფანცხავა 1988, გვ. 55, 63, 71, 78]; № 51, 98, 161 – ძვ.წ. VII ს-ით [იქვე, გვ. 66, 67, 69, 71]; № № 63, 66, 76, 98 – ძვ.წ. VIII-VII სს-ით [იქვე, გვ. 67, 69, 76, 77].

სებური) სატევრები, რომლებიც სამი სახისაა: სამკუთხამხრებიანი და განიერქედიანი (სამ. № № 23a, 37, 52, 64, 115), სწორმხრებიანი და სატარეყუნწიანი (სამ. № 17), მთლიანადსხმული და თავმომრგვალებული, რომელსაც ბრტყელი ქედი გრავირებული აქვს (სამ. № 52).

ლ. ფანცხავას აზრით, ადრეული ალისებურპირიანი სატევრები (ბეშთაშენი, სამ-თავრო, ქვასათალი) განსხვავდება თლიას, ბრილისა და ჩრდ. კავკასიის სატევრებისაგან ზომებით, ქედის ფორმით, ზოგჯერ შემკულობითაც [ფანცხავა 1988, გვ. 58]. მკვლევარი თლიას ალისებურპირიან სატევრებს ტიპოლოგიურად აკავშირებს ბრილის სატევართან [გობეჯიშვილი 1952, გვ. 99, ტაბ. XLI], რომლის შემცველ კომპლექსსაც ძვ.წ. VIII-VII სს-ით ათარიღებს [ფანცხავა 1988, გვ. 58] და სატევართან კამენომოსტკის (ყაბარდო) № 9 ქვის სამარხიდან, რომელიც ძვ.წ. VII ს-ით თარიღდება [Гриневиц 1951, გვ. 135]. მისივე დაკვირვებით, თლიას სამაროვანზე თანაარსებობენ სხვადასხვა ტიპის ალისებური სატევრები [ფანცხავა 1988, გვ. 58]. ვფიქრობთ, ამ დაკვირვების მართებულობას თლიას ფიბულებიანი სამარხების IV ჯგუფის ინვენტარიც ცხადყოფს.



სურ. 31. თლია, IV ჯგუფი.











IV ჯგუფის ფიბულები შემდეგი ტიპისაა – ნახევაროვალური (სამ. № № 48, 52, 64, 115), ოდნავასიმეტრიული (სამ. № № 23a, 37, 48, 52), ნახევარწრისებური ოდნავ შემსხვილებული რკალით (სამ. № 17). ე.ი. თანაარსებობს ამ სამი ტიპის ფიბულა. ოდნავ უფრო გვიანდელად გამოიყურება № 17 და № 37 სამარხის ფიბულები, რომლებიც თავისი მოყვანილობით უკვე უახლოვდება III ჯგუფის ფიბულებს.

ამგვარად, IV ჯგუფში პირველად ჩნდება ნახევაროვალური ფიბულები, რომლებიც მხოლოდ ამ ჯგუფში არსებობენ და სწორედ ეს ჯგუფი არის ფიბულების დასაწყისი ხანა თლიაში.

როგორც IV ჯგუფის მასალიდან ჩანს, ფიბულების გაჩენის დროისათვის თლიაში გრავირებული კოლხური ცული (სამ. № № 23a, 52) უკვე არსებობდა; არსებობდა ზოომორფულყურებიანი ტოლჩაც (სამ. № 83) და გრავირებული მართკუთხა აბზინდებიც (სამ. № № 23a, 52, 83), სადა (უაონამენტო) ან პატარა “ფოთლისებური” ორნამენტით შემკული სარტყლები (სამ. № № 23a, 52, 83, 115), მალტური ჯვრები (სამ. № 23a), სპირალურბოლოებიანი სასაფეთქლეები (სამ. № № 23a, 83), გრავირებული პინცეტები (სამ. № № 23a, 52, 115), რომბული ფირფიტები (სამ. № № 23a, 52, 115) და თიხის ცალყურა ტოლჩა, რომელსაც მუცელი კანელურებიანი, ხოლო ყურზე გადაჭრილი რქების მაგვარი დანამერწი აქვს (სამ. № 7). მისგავსი კერამიკული ნაწარმი დასავლეთ საქართველოს ძეგლებიდანაა ცნობილი. ყველაზე მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს: ფოთის, ენგურის, ნოსირის მასალებთან [მიქელაძე 1974, გვ. 48, 49, 54, 56, 57, ტაბ. VI, XXIV3; გოგაძე 1982, გვ. 48, 49, 54, 56, 57; Гогодзе 1984, გვ. 52] და ლეჩხუმში, ცხეთის ნამოსახლარზე, იატაკის დონეზე დაფიქსირებულ კერამიკასთან, რომელიც ძვ.წ. VIII-VII სს-ითაა დათარიღებული [სახაროვა 1976, გვ. 102, 103, ტაბ. V].⁸⁰

ვფიქრობთ, IV ჯგუფი ძვ.წ. IX-VIII სს-ის მიჯნით ან VIII ს-ის პირველი ნახევრით უნდა დათარიღდეს.

⁸⁰ლ. ფანცხავას მიხედვით, № 52 სამარხი თარიღდება ძვ.წ. VIII-VII სს-ით [ფანცხავა 1988, გვ. 76-80], ხოლო № № 23a, 115 _ ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევრით – VII ს-ის დასაწყისით [იქვე, გვ. 80].

ტიპები	ფიგურები	IX ს.	VIII ს.	VII ს.	VI ს.
I	 1				
II	 2 3 4				
III ₁	 5 6 7				
III ₂	 8 9 10				
III ₃	 11 12				
III ₄	 13 14				
III ₅	 15				
III ₆	 16 17 18				
III ₇	 19				
III ₈	 20				

სურ. 32. თლიას სამაროვნის ფიგურების ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური ტაბულა

ამგვარად, შესაძლებელი გახდა ფიბულის ამა თუ იმ ტიპისათვის ქრონოლოგიური ჩარჩოების დადგენა, რადგან მოხერხდა თვალის გადევნება თუ როდის იწყება და მთავრდება ამა თუ იმ ტიპის არსებობა. შედეგები (სურ. 32) ასეთი მივიღეთ:

I ტიპი – ნახევაროვალურკალიანი, IV ჯგუფი, ძვ.წ. IX-VIII სს-ის მიჯნა – VIII ს-ის პირველი ნახევარი (სურ. 321).

II ტიპი – ოდნავასიმეტრიულრკალიანი, IV და III ჯგუფი, ძვ.წ. IX-VIII სს-ის მიჯნა – VII ს-ის პირველი ნახევარი (ტაბ. 972-4)

III ტიპი – ნახევარწრისებურკალიანი:⁸¹

III 1 ქვეტიპი – მსხვილრკალიანი, ირგვლივი თევზიფხური სახით შემკული, III და II ჯგუფი, ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევარი – VI ს-ის პირველი ნახევარი (სურ. 325-7).

III 2 ქვეტიპი – როზეტისებურგანივკვეთიანი, III, II და I ჯგუფები, ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევარი – VI ს-ის პირველი ნახევარი (სურ. 328-10).

III 3 ქვეტიპი – მრავალკუთხაგანივკვეთიანი, III და II ჯგუფი, ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევარი – VI ს-ის პირველი ნახევარი (სურ. 3211, 12).

III 4 ქვეტიპი – მართკუთხაგანივკვეთიანი, II და I ჯგუფი, ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევარი – VI ს-ის პირველი ნახევარი (სურ. 3213, 14).

III 5 ქვეტიპი – რომბულგანივკვეთიანი, III, II და I ჯგუფები, ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევარი – VI ს-ის პირველი ნახევარი (სურ. 3215).

III 6 ქვეტიპი – დისკოსებურშემსხვილებებიანი, II და I ჯგუფი, ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევარი – VI ს-ის პირველი ნახევარი (სურ. 3216-18).

III 7 ქვეტიპი – წვრილრკალიანი და განიერფხიანი, II და I ჯგუფი, ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევარი – VI ს-ის პირველი ნახევარი (სურ. 3219).

III 8 ქვეტიპი – დაკეჭნილზურგანი, II ჯგუფი, ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევარი – VI ს-ის პირველი ნახევარი (სურ. 3220).

როგორც ვხედავთ, ჩვენი კვლევის მიხედვით, თლიას სამაროვანზე ფიბულები არსებობდა ძვ.წ. IX-VIII სს-ის მიჯნიდან – ძვ.წ. VI ს-ის პირველი ნახევრის ჩათვლით.⁸² ეს თარიღი ნაწილობრივ ემთხვევა ბ. ტეხოვის თარიღებს, მაგრამ არა თლიას სამაროვანზე ფიბულების არსებობის დასაწყისის მის მიერ შემოთავაზებულ თარიღს – ძვ.წ. XII ს-ის ბოლო [Техов 1973, გვ. 141-148; 1977, გვ. 142-147].

და ბოლოს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამგვარი გამოკვლევის შედეგად, შედარებითი და აბსოლუტური ქრონოლოგიის საფუძველზე გამოიკვეთა ფიბულების ევოლუციური განვითარება და **ტიპოლოგიის საფუძველი** – რკალის კორპუსის მოყვანილობა. გაირკვა, რომ უძველესია **I ტიპი** – ნახევაროვალურკალიანი (ნახევაროვალურთაღიანი) ფიბულები; **II ტიპი** – ოდნავასიმეტრიულრკალიანი (ოდნავასიმეტრიულთაღიანი) ფიბულები ერთგვარად გარდამავალ ტიპად წარმოგვიდგება. ხოლო **III ტიპი** – ნახევარწრისებურკალიანი (ან “ნალისებრი”), რომელიც ყველაზე გვიანდელი, მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია, უკვე ასახავს თლიაში ფიბულების განვითარებული ინდუსტრიის არსებობას.⁸³


როგორც აღვნიშნეთ, თლიას სამაროვანმა მოგვცა იმის საშუალება, რომ თვალი გაგვედევნებინა ფიბულების ევოლუციური განვითარებისათვის. მართალია, **სამთავროს**

⁸¹ III ტიპის ფიბულები ყველაზე მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია. თლიის ფიბულათა ტიპების აღსანიშნავად მხოლოდ ფიბულის ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელ ნიშანს ვიყენებთ.

⁸² თლიას სამაროვნის ქრონოლოგიური ჯგუფები: I – ძვ.წ. VI ს. ან VI ს-ის პირველი ნახ. (ტიპი III2, 4, 5, 6, 7). II – ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახ. – VI დასაწყისი (ტიპი III1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8). III – ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახ. – VII ს-ის პირველი ნახ. (ტიპი II, III1, 2, 3, 4). IV – ძვ.წ. IX-VIII სს-ის მიჯნა – VIII ს-ის პირველი ნახ. (ტიპი I, II).

⁸³ თლიის სამაროვნის ფიბულების ტიპოლოგიური კვლევის შესახებ იხ.: ნ. სულავა 2006.

სამაროვანი ფიბულების თვალსაზრისით ვერ იძლევა ისეთივე სურათს, მაგრამ ეს ის ძეგლია, სადაც აღმოჩენილია კავკასიაში უძველესად მიჩნეული ფიბულა და რომლის სწორ ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიურ განსაზღვრაზე ბევრი მნიშვნელოვანი საკითხია დამოკიდებული.



სურ. 33. სამთავრო (ბრინჯაოს ფიბულეებიანი სამარხები).
 1. სამარხი № 591; 2. სამარხი № 600; 3. სამარხი № 123.

სამთავროს სამაროვანზე, რომელიც კავკასიის არქეოლოგიის ერთ-ერთ საეტაპო ძეგლადაა მიჩნეული, ერთწილადი რკალისებური ფიბულები 9 კომპლექსიდანაა ცნობილი (სურ. 33-35). ესენია: № № 591, 600 (ფრ. ბაიერნის გათხრები), № 17 (1938 წ. უბანი), № 123 (1939 წ. უბანი), № 174 (1940 წ. უბანი), № 186 (1940 წ. უბანი), № 41 (ორმოსამარხის ნაშთი, 1947 წ. უბანი), № 276 (1947 წ. უბანი), № 310 (1948 წ. უბანი). კომპლექსები ორმოსამარხებია. მათგან № № 591, 600 და 123 სამარხის ფიბულები ბრინჯაოსია, დანარჩენები რკინისა.⁸⁴

კავკასიაში ერთ-ერთ უძველეს ფიბულად სწორედ სამთავროს № 591-ე სამარხის ბრინჯაოს გრებილრკალიანი ფიბულაა მიჩნეული (კატ. № 24). კომპლექსისა და თვით ფიბულის დათარიღების შესახებ ორი აზრია გამოთქმული: მას აკუთვნებენ ძვ.წ. II ათასწ. ბოლოს [ნიორაძე 1931, გვ. 202, 203; Nioradze 1932, გვ. 82-97; აბრამიშვილი 1957, გვ. 136], ან ძვ.წ. VIII-VII სს-ს [Куфтин 1941, გვ. 52; Пиотровский 1949, გვ. 62; Воронов 1983, გვ. 31]. № 600 სამარხი (ტაბ. 872) ურარტუს სამეფოს ხანითაა დათარიღებული [Куфтин 1941, გვ. 70, სურ. 746]. № № 123, 174, 41, 276 სამარხები (ტაბ. 873, 89) დათარიღებულია ძვ.წ. VIII-VII სს-ის პირველი ნახევრით [აბრამიშვილი 1957, გვ. 132-134], ხოლო № № 17, 186, 310 სამარხები (ტაბ. 88) – ე.წ. სკვითური ხანით – ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრითა და VI ს-ით [აბრამიშვილი 1957, გვ. 125-132].

№ 591 სამარხის ინვენტარი რომ უფრო ძველია სხვა ფიბულებიანი სამარხების ინვენტარზე – ცხადია, მაგრამ ერთგვარ ექვს იწვევს თვით ამ კომპლექსის “კომპლექსობა”. ამის საფუძველს გვამღვეს გარკვეული შეუსაბამობა კომპლექსის ფრ. ბაიერნისეულ [Bayern 1885, გვ. 38-40] და ვ. ვირუბოვისეულ [Вирубов 1877] აღწერილობაში. მაგალითად: ვ. ვირუბოვს ნახსენებიც კი არა აქვს ბრინჯაოს სარტყელი № 591 სამარხიდან; ბრტყელი, წელზე შვერილებიანი ცული ტაბულაზე წარმოდგენილია [Вирубов 1877, გვ. ტაბ. III5], მაგრამ ის კომპლექსის შემადგენელი ნივთების ჩამონათვალში არ ჩანს [Вирубов 1877, გვ. 29, 30]. ბრინჯაოს სარტყელი არ ფიგურირებს ფრ. ბაიერნის ნაშრომშიც [Bayern 1885, გვ. 38-40]. ფაქტობრივად № 591 სამარხს, როგორც კომპლექსს ვიცნობთ ბ. კუფტინის ნაშრომის ტაბულის მიხედვით [Куфтин 1941, სურ. 23], რომელიც აგრეთვე ექვს იწვევს, რადგან არ ვიცით რა საფუძველზეა იგი შექმნილი, და რატომ აღმოჩნდა ტაბულაზე უფრო მეტი ნივთი (მაგ. სარტყელი, საქამრე მილაკები), ვიდრე ეს ფრ. ბაიერნთან და ვ. ვირუბოვთანაა მოცემული. ამასთან, ბ. კუფტინის ტაბულა კერამიკის გარეშეა გამოქვეყნებული. როგორც ჩანს, ფრ. ბაიერნის გათხრილი სამარხების კერამიკის გარჩევა მაშინაც კი შეუძლებელი იყო. სამარხების კერამიკასთან დაკავშირებული არეულობის გამო ექვს გამოთქვამს კ. ფიცხელაურიც. მისი ვარაუდით, ვ. ვირუბოვს, მასზე დაყრდნობით ფრ. ბაიერნს და შემდეგ ბ. კუფტინს შერეული აქვთ ორი სხვადასხვა (№ № 600 და 601) სამარხის ინვენტარი და ამ გამოცემებზე დაყრდნობით არ შეიძლება ამ კომპლექსთა გამოყენება დათარიღების საფუძველად [ფიცხელაური 1973, გვ. 152, 153].

მიუხედავად ამისა, თუ თვალს გადავავლებთ № 591 სამარხის ინვენტარის (სურ. 33/1) დღეისათვის მიღებულ დათარიღებას, ასეთ სურათს ვღებულობთ:

ბოლოკვეთილი მახვილები ძვ.წ. XII ს-ის მეორე ნახევრითა და IX ს-ითაა დათარიღებული [აბრამიშვილი 1997, ტაბ. II5,13; Pizchelauri 1997, გვ. 20, 21].

⁸⁴ მასალაზე მუშაობისას გაწეული დახმარებისათვის მადლობას მოვახსენებ საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომელს ისტ. მეც. კანდ. ც. დავლიანიძეს.

ბრინჯაოს სატევრები⁸⁵ მაღალი ქუდით ტარზე, სხვადასხვა ზომისა და ერთმანეთისგან მეტ-ნაკლებად განსხვავებულები არიან [სულავა 2000, ტაბ. I 11]. № 591-ე სამარხის გარდა ისინი ცნობილია სამთავროს სხვა სამარხებიდანაც (№ № 39, 51, 208, 211, 279; S უბანი - № № 29, 96, 275). როგორც რ. აბრამიშვილი წერდა “ბრინჯაოს მახვილიან სამარხებზე უფრო გვიანი ხანისაა ბრინჯაოს გრძელი სატევრების შემცველი № № 51, 211 ორმოსამარხები.” ამ სამარხებში რკინის ნივთებიდან გვაქვს: ტარშეურჩენელი მახვილი,⁸⁶ დანის პირები, შუბისპირი, ისრისპირები. აღნიშნული ბრინჯაოს სატევრები ისევეა დათარიღებული, როგორც ბოლოკვეთილი მახვილები [აბრამიშვილი 1957, გვ. 134-136; 1997, ტაბ. II36; აგრეთვე იხ. Pizchelauri 1997, 21, 23, ტაბ. 60922-933]⁸⁷.

ცენტრალურამიერკავკასიური ცულები ზოგადად ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებამდე არსებობენ [აბრამიშვილი 1997, ტაბ. I81, II14; იზცკელაური 1997, გვ. 14]. ასევე ხანგრძლივია გვერდითი შვერილებიანი ბრტყელი ცულების არსებობის ხანაც [აბრამიშვილი 1957, ტაბ. I164; Pizchelauri 1997, გვ. 16].

ბრინჯაოს ქუსლამოღარული ბრტყელი ისრისპირები სკვითურ ხანამდე არიან შემორჩენილი [აბრამიშვილი 1997, ტაბ. I123; გერგოვა 1987, გვ. 30].

რ. აბრამიშვილის აზრით, სამთავროში რკინის შუბისპირები მასრაზე ბრინჯაოს სალტით ჩნდება და დამახასიათებელია მოჭიქულ თიხის ჭურჭელთან ერთად ორი ფენის სამარხებისათვის – ძვ.წ. XI-X და ძვ.წ. IX-VIII სს. [აბრამიშვილი 1957, გვ. 135]. ამ ფენის გამოყოფისას მას სტრატეგრაფიული მონაცემებიც აქვს გათვალისწინებული [აბრამიშვილი 1957, გვ. 135]. სამწუხაროდ, სტრატეგრაფიული მონაცემები არა გვაქვს ფრ. ბაიერნისეული № 591 სამარხისათვის. ამ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ მკვლევარის ის მოსაზრება, რომ რკინის იარაღის მეტ-ნაკლებობაც ერთ-ერთი განმსაზღვრელი ნიშანია [აბრამიშვილი 1957, გვ. 135].

რაც შეეხება მონაცრისფრო-მწვანედ მოჭიქულ ჭურჭელს ქუსლგამოყვანილი ფეხით (საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ვერ მოვიძიეთ – ნ. ს.), რომელიც № 591-ე სამარხში ყოფილა, (ფრ. ბაიერნის მიხედვით “ლაკით” დაფარული) [იხ. Bayern 1885, გვ. 34], ბ. კუფტინის მიხედვით ურარტული ხანისაა [იხ. Куфтин 1941, სურ. 52]. კ. კუმნარიოვას ის ძვ.წ. IX ს-ზე ადრეულად არ მიაჩნია [Кушнарева 1959, გვ. 383-385]. საქართველოში უძველესი მოჭიქული ჭურჭლის გაჩენას ურარტულ ხანაში ვარაუდობს ნ. მამაიაშვილიც [მამაიაშვილი 1976, გვ. 9]. ი. სულთანაშვილი № 591 სამარხის ჭურჭელს ძვ.წ. XI ს-ით ათარიღებს [სულთანაშვილი 1977, გვ. 59].

ბრინჯაოს გრავირებული პინცეტები კავკასიის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კომპლექსებისათვის საკმაოდ დამახასიათებელი ნივთია (კოლხეთის სამაროვნები –

⁸⁵ სამწუხაროდ, ჟურნალში “ძიებანი” (2000, № 5) გამოქვეყნებულ ჩემს სტატიაში – “სამთავროს სამაროვნის ფიბულებიანი სამარხების დათარიღებისათვის,” დაშვებული მაქვს შეცდომა. № 591 სამარხის ბრინჯაოს სატევრის (ტაბ. II1) მაგივრად საუბარი მაქვს “წვერმომრგვალებულ მახვილზე”. წინამდებარე ნაშრომში შეცდომას ვასწორებთ.


⁸⁶ ბოლო ხანებში გამოქვეყნებული მასალებიდან საინტერესოა ნაცარგორას № 435 კომპლექსი, რომელსაც ალ. რამიშვილი ძვ.წ. VIII ს-ით ათარიღებს. ამ კომპლექსში მაღალქუდიანი მახვილი (თუ სატევარი) აღმოჩენილია რკინის ტარშეურჩენელ მახვილთან და რკინის შუბისპირთან ერთად; აგრეთვე, რაც ჩვენთვის ყველაზე ნიშანდობლივია, ბრინჯაოს ოდნავასიმეტრიულრკალიან ფიბულასთან და გრავირებულ დიდ აბზინდასთან ერთად [რამიშვილი 2001, გვ. 158, ტაბ. VIII].

⁸⁷ კ. ფიცხელაურის აღნიშნული ნაშრომის 21-ე გვერდზე ჩვენთვის საინტერესო სატევრები განხილულია როგორც მახვილები და დათარიღებულია ძვ.წ. II-I ათასწლეულების, მიჯნით. ხოლო 23-ე გვერდზე იგივე იარაღი განიხილება სატევრებთან ერთად და ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრითაა დათარიღებული.


ნიგვზიანი, ურეკი, დღვაბა, ერგეტა; ჩრდილო-დასავლეთი კოლხეთის სამაროვნები – წითელი შუქურა, ეშერა, ყულანურხვა; შიდა ქართლი – თლია; ჩრდილოეთ კავკასია – ყობანი).

№ 591 სამარხის **ბრინჯაოს სარტყლის** (თუ ის ნამდვილად ამ სამარხს ეკუთვნის) მსგავსი სარტყელი ცნობილია განთიადის სამაროვნიდან (მაშავერას ხეობა) ძვ.წ. VIII-VII სს-ით დათარიღებული № 61 სამარხიდან რომელშიც სამთავროს № 174 სამარხის მსგავსი რკინის მახვილიცაა აღმოჩენილი [Кахиани, Иремашвили, Иордანიшвили, Цквитиანიძე 1985, გვ. 29, 30, ტაბ. XXX, XXXI].


ამგვარად, № 591-ე სამარხის (ვიმეორებთ, თუ ის ხელოვნურად შექმნილი კომპლექსი არაა) ქრონოლოგიური ჩარჩო ძვ.წ. IX-VIII სს-ის მიჯნით – VIII ს-ით შეიძლება განისაზღვროს. თუ ეს დასკვნა სწორია, რასაც მომავალი კვლევა და ახალი აღმოჩენები გვიჩვენებს, მაშინ სამთავროში ფიბულების არსებობა უწყვეტად ებმის ერთმანეთს და ტიპოლოგიური განვითარების დანახვაც შესაძლებელია. ეს უწყვეტობა არ შეინიშნება მაშინ, თუ № 591 სამარხის თარიღად ძვ.წ. XI-X სს-ს მივიღებთ [აბრამიშვილი 1957, ტაბ. I; შდრ.: აბრამიშვილი 1997, ტაბ. II]. ამ შემთხვევაში სამთავროს სამაროვანზე ფიბულების არსებობაში ლაკუნა ჩნდება.



1





2




3

სურ. 34. სამთავრო.

1. სამარხი № 17; 2. სამარხი № 186; 3. სამარხი № 310.



2



3

სურ. 35. სამთავრო.

1. სამარხი № 174; 2. სამარხი № 41; 3. სამარხი № 276.

და ბოლოს, რაც შეეხება № 591 სამარხის ფიბულას (კატ. № 23), რომელიც არაერთი მკვლევარის მიერ დაკავშირებულია ე.წ. სუბმიკენური ტიპის [Blinkenberg 1926] ფიბულასთან [ნიორაძე 1931, გვ. 202; Куфтин 1944, გვ. 316]. რ. აბრამიშვილიც ამ ფიბულას ე.წ. სუბმიკენურ ტიპს მიაკუთვნებდა და ქრ. ბლინკენბერგის ნაშრომზე დაყრდნობით მიუთითებდა, რომ “ამ მშვილდსაკინძების მსგავსი მშვილდსაკინძები საბერძნეთში, საიდანაც ისინი იღებენ თავის ფორმებს, მხოლოდ ძვ.წ. XII-X სს. გვხვდება” [აბრამიშვილი 1957, გვ. 136]. № 591 სამარხის ფიბულასთან დაკავშირებით, პირველ რიგში, დასაზუსტებელია ერთი რამ: როგორც აღნიშნული აქვთ თავის ნაშრომებში ფრ. ბაიერნსა [Bayern 1885, გვ. 40] და პ. უვაროვას [Уварова, Радде 1902, კატ. 1671], სამთავროს № 591 სამარხის ფიბულა გრეხილრკალიანია (რომელიც ამჯერად, სამწუხაროდ, დაკარგულია – ნ. ს.). იგი გამოქვეყნებულია ბ. კუფტინის ნაშრომებში [Куфтин 1941, სურ. 74ა; 1944, გვ. 333, სურ. 23]. რ. აბრამიშვილის ნაშრომში კი გამოსახულია სამთავროს № 600 სამარხის მრგვალგანვიკვეთიანი თევზიფხურად შემკული ფიბულა [აბრამიშვილი 1957, ტაბ. II58]. იგივე ფიბულაა გამოსახული მკვლევარის ბოლო ნაშრომშიც [აბრამიშვილი 1997, ტაბ. II32].

როგორც თავიდანვე აღვნიშნეთ, სამთავროს ფიბულებიან სამარხებში (№ № 591, 600, 123) ბრინჯაოს სამი ფიბულაა (კატ. 16, 23, 561). ბრინჯაოს ფიბულების ტიპოლოგიური განსაზღვრა შესაძლებელია (რასაც ვერ ვიტყვით რკინის ფიბულებზე მათი ცუდი დაცულობის გამო). ტიპოლოგიური განსაზღვრის, ტიპოლოგიური განვითარების სურათის დანახვის შესაძლებლობას კი სამარხთა ქრონოლოგია იძლევა. სამთავროს უძველესი ფიბულებიც შეიძლება დაჯგუფდეს კორპუსის მოყვანილობის მიხედვით. ამ ნიშნით სამთავროს ბრინჯაოს ფიბულები ორი ტიპისაა: ნახევაროვალურრკალიანი (№ № 591, 600 სამარხების ფიბულები – სურ. 331,2), რომელიც ორი ქვეტიპითაა წარმოდგენილი – გრეხილრკალიანი და თევზიფხური ორნამენტით შემკულრკალიანი ფიბულები; და ნახევარწრისებურრკალიანი (№ 123 სამარხიდან – სურ. 333) ფიბულა, რომელიც გრეხილრკალიანია. ტიპოლოგიისა და ქრონოლოგიის თვალსაზრისით მნიშვნელობა აქვს ფეხისა თუ ბუდის მოყვანილობას, რკალის ღეროს განვიკვეთის სიდიდეს. სამწუხაროდ, № 591 სამარხის გრეხილრკალიან ფიბულას ფეხი მოტეხილი აქვს, ხოლო რკალის ღერო წვრილია; № 123-ისა და № 600 სამარხის ფიბულებს ფეხი რკალის სიმეტრიული აქვს; № 123 სამარხის ფიბულა შედარებით მსხვილრკალიანია. ამგვარად, № 591 და № 123 სამარხების ფიბულები ორივე გრეხილრკალიანია, მაგრამ პირველი ნახევაროვალურრკალიანია, ხოლო მეორე ნახევარწრისებური. კომპლექსთა ქრონოლოგიის მიხედვით № 123 სამარხის ფიბულა უფრო ახალგაზრდაა, ხოლო № 591 სამარხის დაბალთაღიანი ფიბულა უფრო ძველი. დაბალთაღიანი და წვრილრკალიანი ფიბულები რომ უძველესია, ეს უკვე ვნახეთ თლიას სამაროვნის მაგალითზეც.

სამთავროს № 591 სამარხის, და შესაბამისად ფიბულის ზედა ქრონოლოგიური ჩარჩო განვსაზღვრეთ ძვ.წ. IX-VIII სს-ის მიჯნით ან VIII ს-ით. ქვედა ზღვარის გავლება სამთავროს № 591 სამარხის გრეხილრკალიანი ფიბულისათვის და როგორც თვლიდნენ, მისი დაკავშირება მაინცადამაინც სუბმიკენურ ხანასთან [აბრამიშვილი 1957, გვ. 136], მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია.

ამგვარად, იმისათვის, რომ თლიასა და სამთავროს სამაროვანზე ფიბულათა უძველესი (საწყისი) ტიპი და მათი გამოჩენის ხანა დაგვედგინა, ვიხელმძღვანელებთ იგივე მეთოდით, როგორითაც თავის დროზე რ. აბრამიშვილმა სამთავროს სამაროვნის, ხოლო შემდეგ ამიერკავკასიის არქეოლოგიური ძეგლების ქრონოლოგიური ჯგუფების დათარიღებისას [აბრამიშვილი 1957; 1997]. რეტროსპექტულად დავალაგეთ

ქრონოლოგიური ჯგუფები და ამგვარად მივედით ფიბულების გამოჩენამდე [სულავა 2000ა], განსხვავებით გ. კოსაკისა და ალ. პრუსისაგან, რომელთაც ფიბულების გამოჩენით დაიწყეს თლიას სამაროვნის ფიბულების ქრონოლოგიურ ჯგუფებად დაყოფა [Kossack 1983; Pruß 1993; 1994].

ამგვარად, თლიასა და სამთავროს სამაროვნის მაგალითზე დავინახეთ, რომ ტიპოლოგიის მთავარი ნიშანი, საფუძველი კორპუსის მოყვანილობაა, ანუ უძველესია დაბალრკალიანი (I ტიპი) ფიბულები, რომლებიც ძვ.წ. IX-VIII სს-ის მიჯნაზე – ძვ.წ. VIII ს-ის პირველ ნახევარში არსებობენ; I ტიპთან თანაარსებობენ, მაგრამ უფრო გვიანაც განაგრძობენ არსებობას ოდნავასიმეტრიულრკალიანი (II ტიპი) ფიბულები, რომლებიც გვხვდება ძვ.წ. IX-VIII სს-ის მიჯნიდან – ძვ.წ. VII ს-ის პირველი ნახევრის ჩათვლით. ნახევარწრისებურრკალიანი ანუ მაღალრკალიანი (“ნალისებრი”) ფიბულები (III ტიპი), რომლებიც დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდებიან, არსებობენ ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევრიდან დაწყებული VI ს-ის პირველი ნახევრის ჩათვლით [სულავა 2000ა, ტაბ. I; Сулава 2004, გვ. 110-114]. ტიპოლოგიის ეს პრინციპი, ანუ მთავარ საფუძველად კორპუსის მოყვანილობის, კორპუსის ფორმის აღება, ვფიქრობთ, კავკასიის ნებისმიერი სამაროვნის ფიბულებისათვის გამოდგება. მხოლოდ ეს საფუძველი იძლევა კავკასიის ერთწილადი რკალისებური ფიბულების ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური მოწესრიგების საშუალებას. ერთადერთი სამაროვანი ჩრდილოეთ კავკასიის სამაროვნებიდან, რომელზეც დიდი რაოდენობით მოპოვებული ფიბულების გამო, შესაძლებელი იქნებოდა თლიას სამაროვანზე ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაოს ანალოგიური კვლევის ჩატარება – ყობანის სამაროვანია. შამწუხაროდ, ყობანის მასალა ჩვენთვის ხელმისაწვდომი არაა. იმის მიხედვით კი, რაც გამოქვეყნებულია რ. ვირხოვის, ე. შანტრისა და პ. უვაროვას ნაშრომებში, შექმნა ისეთივე ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური ტაბულისა, როგორც გავაკეთეთ თლიას სამაროვნისათვის, შეუძლებელია. ამ სამუშაოს შესრულება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოწესრიგდება, დადგინდება ყობანის კომპლექსები [სულავა 2000გ].

ამავე პრინციპით, კორპუსის მოყვანილობითა და ფორმით, კავკასიის ფიბულებში კიდევ გამოვყავით ორი ტიპი: IV. “ზომორფული” ფიბულები, რომელთა რკალიც ცხოველის ფირფიტისებურ გამოსახულებას წარმოადგენს. ისინი ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევრიდან – VI ს-ის პირველი ნახევრის ჩათვლით არსებობენ; და V. “გველისებური”, რომლებიც კავკასიის მასალებში კომპლექსებიდან არაა ცნობილი. ეს ბოლო ორი ტიპი ა. კალიტინსკისაც აქვს გამოყოფილი [შდრ. Калитинский 1926, გვ. 59-61].

ჩვენს მიერ გამოყოფილი ძირითადი ტიპები (I-V ტიპი) ისეთი ნიშნების მიხედვით, როგორცაა რკალის განივკვეთი და ფორმა, რკალის შემკულობა, ბუდის (ფეხის) ფორმა-შემკულობა, დაყოფილია ქვეტიპებად, ანუ ჩამოთვლილი ნიშნების კომბინაციები ქმნიან ქვეტიპებს. ანალოგიური მეთოდით აქვს მოწესრიგებული თესალიის ფიბულები კ. კილიანს, რომლის ნაშრომიც სახელმძღვანელოდაც კი შეიძლება ჩაითვალოს [Kilian 1975, გვ. 12].

§ 2. ტერმინოლოგია, კონსტრუქცია, ნედლეული, დამზადების ტექნიკა. ფიბულა, რა პერიოდისა და კონსტრუქციისაც არ უნდა იყოს, ერთწილადია, თუ ის დამზადებულია ერთი მავთულისაგან (მაგ. რომაული ხანის ერთწილადი ბუდეაბმული ფიბულები. იხ. Амров 1966, გვ. 48-52; აფხაზავა 1979, გვ. 9). კავკასიაში გავრცელებული უძველესი ერთწილადი რკალისებური ფიბულები შედგება: ნემსის, ზამზარის, რკალის, ბუდისა (ფეხის) და ნამსსაჭერისაგან. გვაქვს ერთადერთი შემთხვევა, როცა ნემსი შემკულია განივი, დამორებული თევზიფხური სახით (თლია, სამარხი № 129) [იხ. Тетов

1985, გვ. 18-20]. კავკასიის რკალისებურ ფიბულებში **ზამზარა** შეიძლება იყოს მოზრდილი ან შედარებით მცირე ზომის, ერთნახვევიანი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, როცა ზამზარა სამნახვევიანია. ფიბულის **რკალი** რომელიც გადაჭიმულია ზამზარიდან ბუდემდე და ნემსთან ერთად ქმნის თაღიან კორპუსს – შეიძლება იყოს დაბალი, ასიმეტრიული ან მაღალი (“ნალისებური”), “გველისებური” ფორმის, “ზოომორფული.” თვითონ რკალი (რკალის ზურგი, რკალის ღერო) სადა ან შემკულია; სხვადასხვაგვარად პროფილირებული და სხვადასხვაგვარგანივკვეთიანია. რკალი ზამზარისა და ბუდისაგან შეიძლება გამოყოფილი იყოს: **ირგვლივი ხაზების ჯგუფებით, ასტრაგალისებური ან დისკოსებური შემსხვილებებით** (გვაქვს ერთი შემთხვევა, როცა დისკოსებური შემსხვილება ვერტიკალურადაა ამოჭრილი რამდენიმე ადგილას – კატ. № 422 – ყობანი). შესაძლებელია, რკალი შემკული იყოს დარჩილული **ფიგურებითა და საკიდებით**. კავკასიის ფიბულების **ბუდე (ფეხი)** შესაძლებელია იყოს რკალის ღეროს სიმეტრიული, ოდნავ ან ძლიერ გაგანიერებული; მაღალი ან დაბალი. კავკასიის ფიბულეების **ბუდეების** უმრავლესობა სადაა, მაგრამ გვხვდება შემკული ეგზემპლარებიც. შემკულობა სხვადასხვაგვარია: ფანტასტიკური ცხოველი, თევზები, სვასტიკები, გეომეტრიული ნაკვეთები, მალტური ჯვარი და სხვ. ბუდის **ნემსსაჭერი** ან მომაღლოა, ენისებური ან დაბალი და მილისებური.

კავკასიის ფიბულები დამზადებულია ბრინჯაოსაგან, რკინისაგან, იშვიათად ოქროსა და ვერცხლისაგან. სამწუხაროდ, ფიბულათა მეტალოგრაფიული ანალიზები თითქმის არა გვაქვს.⁸⁸ გაკეთებულია მხოლოდ შხეთამშეს სამაროვნის № 2 სამარხის 4 ცალი ფიბულის და განთიადის სამაროვნის № 61 სამარხის 1 ცალი ფიბულის სპექტრული ანალიზი, რომელთა მთავარი მალეგირებელი ნივთიერებაა სპილენძი [Georgien 2001, გვ. 372, 377].

ფიქრობენ, რომ ერთწილადი რკალისებური ფიბულები ყალიბში ჩამოისხმებოდა [Boardman 1973, გვ. 84; Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 6; Gergova 1987, გვ. 29, ტაბ. 558A].⁸⁹ ყალიბების აღმოჩენის ფაქტები ძალზე მცირეა (ბერძნული სმირნა, სამოსი, ბაიარიკლი).⁹⁰ კავკასიაში კი არც ერთი ყალიბი არ არის აღმოჩენილი. მიუხედავად

⁸⁸ ე.წ. “კოსნიერსკას” კოლექციის ლითონის ნაწარმის უმრავლესობის მეტალოგრაფიული ანალიზი გაკეთებულია. სამწუხაროდ, არ გვაქვს ფიბულების ანალიზი. არადა, ხელთ გვექნებოდა ფასკაუს, ზემო რუთხას, რახტას, კუმბულთას მასალების ანალიზები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის მასალების შესადარებლად. მიუხედავად ამისა, ი. მოტცენბეკერი ფიბულების ლითონსაც კალიან ბრინჯაოდ თვლის და ასეთ აზრსაც გამოთქვამს, რომ ქვეყნებს, სადაც ფიბულები იყო გავრცელებული (ბალკანეთი, ალპების ქვეყნები, ეგეოსი, იტალია) კავკასიაზე ადრე ჰქონდა კალა გამოყენებული ბრინჯაოს ნაწარმში, და ამიტომ იქნებ ამ უცხო ფორმის ნივთის შემოსვლით შემოვიდა მასიური პროდუქცია კალიანი ბრინჯაოსი [Motzenbäcker 1996, გვ. 104]. ჩვენი აზრით, ამ ვარაუდს მხოლოდ დიდი მასშტაბის ანალიზები დაადასტურებს ან უარყოფს. თუმცა, როდესაც სახეზე გვაქვს ფიბულების ადგილობრივი წარმოება, ამ ფორმით შემოტანილი კალის გამოყენების საკმარისობა ეჭვს იწვევს.

⁸⁹ ჩვენი საკვლევი პერიოდის ფიბულებისაგან განსხვავებით, ჩრდ. შავიზღვისპირეთის ანტიკური ხანის ფიბულების ნაწილი ყალიბშია დამზადებული, ნაწილი კი მავთულის გაწელვით [Кадеев, Солнцев, Фомин 1963, გვ. 45, 46, სურ. 3]. როგორც ა. ამბროზი აღნიშნავდა, პოლონეთში ჩატარებული ანალიზების შედეგად ირკვევა, რომ ყველაზე რთულად პროფილირებული ფიბულებიც კი შეიძლება დამზადებულიყო როგორც ყალიბში, ასევე ჭედვით. აქედან მან გამოიტანა, ჩვენი აზრით, სავსებით სწორი ორი დასკვნა, რომ მხოლოდ გარეგნული სახით არ შეიძლება დავასკვნათ ფიბულა ჩამოსხმულია თუ ნაჭედი; და რომ ყალიბის აღმოჩენა ფიბულის ადგილობრივობის დადგენისათვის გადაწყვეტი არაა, რადგან ფიბულების უმეტესი ნაწილი ნაჭედია [Амброз 1966, გვ. 11].

⁹⁰ რომაულ ხანაში, როცა ათასობით ფიბულა მზადდებოდა, საკუთრივ რომაულ პროვინციებშიც კი მხოლოდ რამდენიმე ყალიბია აღმოჩენილი [Kovrig 1937, ტაბ. XXVI4, XXVII1a; Behrens 1954].

ამისა, მაინც შესაძლებელია ფიზულათა დამზადების ტექნოლოგიის აღდგენა. ორსაგდულიანი ყალიბიდან ნედლეულის ამოღების შემდეგ ხდებოდა მისი დამუშავება ჭედვით. ნემსი და სპირალი გამოიჭედებოდა დაბალ ტემპერატურაზე. მაღალ ტემპერატურას იყენებდნენ რჩილვისას. ხელოსნებს უნდა განესაზღვრათ მავთულის სიგრძე ზამბარისა და ნემსისათვის. ზოგიერთი ფიზულის მიკროსკოპიულმა შესწავლამ აჩვენა, რომ ზამბარის დახვევა ზოგჯერ ცივად, ჭედვის საშუალებით ხდებოდა (პაროსი, ტენოსი). თვლიან, რომ ცივად ჭედვის მეთოდი რკინის ხანას განეკუთვნება. როგორც ე. საპოუნა-საკელარაკისი აღწერს, შემკობა სრულდებოდა ბრტყელი ნაკაწრით, ბრინჯაოსაგან დამზადებული იარაღით ან უფრო ძლიერი გრავირებით, რომელიც ფოლადის წვრილი საკაწრი (პუნსონი) იარაღით ხდებოდა [Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 6, 7]. 3. მერიონი, აგრეთვე სხვებიც, უმთავრესად ექსპერიმენტების შედეგად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ბრინჯაოს ხანაში გრავირებას ბრინჯაოს იარაღით არ აკეთებდნენ. პრეისტორიული გრავირება მესოპოტამიაში, ეგვიპტეში და ეგეოსზე ქვის საკაწრებით ხდებოდა. ბრინჯაოზე გრავირება მხოლოდ ფოლადის იარაღით იყო შესაძლებელი, რაც ევროპაში ძვ.წ. VIII ს-დან ჩანს ცნობილი [Maryon 1949, გვ. 115, 117].⁹¹

IV თავი. კავკასიის ერთწილადი რკალისებური ფიზულების ტიპოლოგიური კლასიფიკაცია

§ 1. კავკასიის ერთწილადი რკალისებური ფიზულების ტიპები (მასალა).⁹²

კავკასიაში გავრცელებული ერთწილადი რკალისებური ფიზულები ხუთ ტიპად⁹² იყოფა: I. ნახევაროვალურრკალიანი ანუ დაბალრკალიანი; II. ოდნავასიმეტრიულრკალიანი; III. ნახევარწრისებრი ანუ მაღალრკალიანი (“ნალისებური”); IV. “ზოომორფული”; V. “გველისებური” (რუკა 1-5).

I ტიპი – ნახევაროვალურრკალიანი ანუ დაბალრკალიანი ფიზულები (რუკა 1, ტაბ. 61/a)

I ტიპის ფიზულათა მთავარი დამახასიათებელი ნიშნებია: შედარებით დაბალი რკალი, რის გამოც ფიზულის კორპუსი ნახევაროვალური ფორმისაა. რკალის ღერო წვრილი და თანაბარი სისქისაა; ბუდე რკალის შესაბამისად ვიწროა; ნემსსაჭერი – პატარა და მომრგვალებული. რკალის რავარობისა და შემკულობის მიხედვით I ტიპის ფიზულებში შეიძლება გამოიყოს 6 ქვეტიპი:

⁹¹ საინტერესოა, რომ დრემერზე და ბილეფელდზე დაყრდნობით ე. საპოუნა-საკელარაკისი აღნიშნავს, რომ დეკორი, რომელიც მიიღებოდა სპირალების დახვევით, მიეკუთვნება პროტოგეომეტრიულ ხანას (ძვ.წ. 1000-900 წწ.), ხოლო გეომეტრიულ ხანას (ძვ.წ. 900-700 წწ.) – ტეხილი ხაზები, ირიბი ნაჭდევები, გადამბული კუთხეები, დუგმისებური ხვები, **მორბენალი ძაღლი** (რაც ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო უნდა იყოს – ნ.ს.) და სხვ. [Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 7].

* ტაბულებზე არსებული რიცხვითი ნომერი შეესაბამება კატალოგის ნომერს, ხოლო ფრჩხილებში მოთავსებული – ტიპს, ქვეტიპს, ვარიანტს.

⁹² შდრ.: სულავა 2006a, გვ. 91, გვ. 164, 165.

I 1 _ სადარკალიანი; I 2 _ ერთმანეთისაგან დამორებული ირგვლივი “თევზიფხური” სახით შემკულრკალიანი; I 3 _ გრებილრკალიანი; I 4 _ ნაჭდევებით შემკულრკალიანი; I 5 _ “დაკეჭნილრკალიანი”. I 6 – „მარყუქისებურზამზარიანი”.

I 1 _ სადარკალიანი

I 1 ქვეტიპის ფიბულების რკალის ღერო წვრილია, მრგვალგანივკვეთიანი და თანაბარი სისქის. რკალის ზედაპირი სადაა. კორპუსი ნახევაროვალურია. ბუდე (ფეხი) ვიწრო და მაღალია, ხოლო ნემსსაჭერი პატარა და მომრგვალებული.

ამგვარი ფიბულები (15 ცალი)⁹³ თითქმის მთელ კავკასიაშია გავრცელებული. ისინი ცნობილია: დიღმის დანგრეული სამარხიდან (კატ. № 1), თრელის № 49 სამარხიდან (კატ. № 2), ურეკის სამაროვნიდან (კატ. № 3), ნიგვზიანის № 1 სამარხი ორმოდან (კატ. № № 4, 5), ფიჭვნარის № 165 სამარხიდან (კატ. № 6), გორაძირის სამაროვნიდან (კატ. № 7), ყობანიდან (კატ. № № 8, 9), აზერბაიჯანიდან (კატ. № 14), ზემო რუთხას № 18 სამარხიდან (კატ. № 10), სომხეთის ძეგლებიდან (კატ. № № 11, 12, 13), ზაიუკოვოს დანგრეული ყორღანიდან (კატ. № 15).

1. დიღმი (თბილისთან). შემთხვევითი აღმოჩენა (როგორც ჩანს, დანგრეული სამარხი). ბრინჯაოს ფიბულა. L. 8,2 სმ (საქართველოს ეროვნული მუზეუმი,⁹³ 6-60, 83). თანმხლები ინვენტარი: კერამიკა – ქილები, კოჭობები, სასმისები, დოქები, ლანგრები; ბრინჯაო – ფიბულა (სემ 6-60. იხ. კატ. № 29), ცულები (ე.წ. “აღმოსავლურ ქართული ტიპის”), მახვილები, შუბისპირები, სამაჯურები, საკინძები, სარტყლის ფრაგმენტები, ბალთები, ღილები, ბეჭდები; რკინა – შუბისპირის ფრაგმენტი, ნატეხები; მძივები – სარდიონის, პასტის. ძვ.წ. XIII-XII სს. [ქორიძე 1965, გვ. 19]. ფიბულები გამოუქვეყნებელია.⁹⁴

2. თრელი (თბილისთან). სამარხი № 49. ბრინჯაოს ფიბულა. L. 10,5 სმ. (თბილისის არქეოლოგიური მუზეუმი,⁹³ 11-1:72-1023). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – პინცეტი, რგოლი, სამაჯურები, ბუნკები, მახვილები, მოხრილი დანა, ისრისპირები, ჯვრისებური საკიდი, გრავირებული სარტყელი. ძვ.წ. XIII-XII სს. [აბრამიშვილი ... 1978, გვ. 129, ნახ. 80]; ადრერკინის ხანა, დაახ. ძვ.წ. 800 წ. [Unterwegs 1995, № 373, გვ. 327; Georgien 2001, გვ. 372, კატ. 298].U

3. ურეკი (ოზურგეთის რ-ნი). აღმოჩნდა სამაროვანზე, სამარხების გარეთ. ბრინჯაოს ფიბულა.⁹⁵ ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. – VI ს. [მიქელაძე 1985, გვ. 47, 88-91, 113, ტაბ. XXVII3(948)].

4. ნიგვზიანი (ლანჩხუთის რ-ნი). სამარხი ორმო № 1. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: კერამიკა – კვირისტაკები; ბრინჯაო – ჰარპუნები, ქინძისთავები, რგოლები; რკინა – დანები, სამაჯურები; მძივები – სარდიონის, იასპის, ოპალის, მინის, ძვლის. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. – VI ს. პირველი ნახ. [მიქელაძე 1985, გვ. 71, 82, 91, 92; ტაბ. XLI1421].

5. ნიგვზიანი. სამარხი ორმო № 1. ბრინჯაოს ფიბულის რკალის ფრაგმენტი [მიქელაძე 1985, ტაბ. XLI1415]. - იხ. კატ. № 4.

⁹³ ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ კავკასიაში არსებული რთული პოლიტიკური ვითარების გამო ჩვენთვის მხოლოდ რამდენიმე მუზეუმის მასალა იყო ხელმისაწვდომი და იძულებული ვიყავით ძირითადად პუბლიკაციებით გვესარგებლა. ამდენად ნაშრომი ვერ იქნება დაზღვეული ზოგიერთი უზუსტობისაგან. მიუხედავად ამისა, თუ წარმოდგენილი ტიპოლოგიური სქემა ძირითად ხაზებში მაინც მისაღებია, ჩვენი თვალსაწიერის მიღმა დარჩენილი ფიბულებიც მასში ადვილად განთავსდება.

** შემდგომში – სემ.

⁹⁴ საკატალოგო ნაწილში მითითებულია ავტორთა თარიღები.

*** შემდგომში – თამ.

⁹⁵ იქ, სადაც არაა აღნიშნული ფიბულის ზომები, სათანადო მონაცემები იხ. მითითებულ ლიტერატურაში.

6. ფიჭვნარი (ქობულეთის რ-ნი). სამარხი № 165. ვერცხლის ფიბულა L. 5 სმ. (ქ. ფ. ელ. 1999, № 41). თანმხლები ინვენტარი: კერამიკა – დოქი; ვერცხლი – კოლხური თეთრი (2 ც.), საკისრე რკალი, საყურეები; მინის მძივები; რკინის ფიბულა (კატ. № 926). ელინისტური ხანა [Кахидзе, Сулава 2005, გვ. 57, 58; ტაბ. II].

7. გორაძირი (საჩხერის რ-ნი). № 2 შურფიდან. ბრინჯაოს ფიბულა. L. 10,5 სმ. (სემ 108-971, № 249). ძვ.წ. VII-VI სს. [გოგაძე, დავლიანიძე 1981, გვ. 16, 17, 56, ტაბ. XVI249, XXIV249].

8. ყობანი (ოსეთი). ა. ს. უვაროვის კოლექცია. ბრინჯაოს ფიბულა. L. 9,8 სმ. ძვ.წ. I ათასწ. დასაწ. [Уварова 1900, ტაბ. XXXI5]. L

9. ყობანი. ა. ს. უვაროვის კოლექცია. ბრინჯაოს ფიბულა. L. 11,2 სმ. ძვ.წ. I ათასწ. დასაწ. [Уварова 1900, ტაბ. XXXIII1].

10. ზემო რუთხა (ოსეთი). სამარხი № 18 (შესადგოა გამარცვლი). ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: კერამიკა – 7 ჭურჭელი; ბრინჯაო – მაღალრკალიანი ფიბულა (იხ. კატ. № 130), 2 საკისრე რკალი, სპირალური ბოლოებით. სამაჯურები, ვერძის თავის ფორმის საკიდები, რომბისებური ბალთა, ექვსნახევრეტიანი ფირფიტა; შემკრები მძივი. ძვ.წ. IX ს-ის ბოლო – VIII ს. [Крупнов 1960, გვ. 226-228, 236, ტაბ. XLIV5].

11. სომხეთი. ვერცხლის ფიბულა (დეფორმირებული უნდა იყოს, რადგან რკალი ისეა მოღუნული, რომ არ ფარავს ნემსს, რაც რკალს ასიმეტრიულ სახეს აძლევს – ნ. ს.). ძვ.წ. VII ს. [Urartu 1991, გვ. 197, № 57].

12. ბენი (სომხეთი). ბრინჯაოს ფიბულა (ერევანი, სომხეთის სახ. მუზეუმი, № 319/8). ძვ.წ. VII ს. [Мартirosян 1964, გვ. 276, 277, სურ. 1091].

13. ლალვარი (სომხეთი). ბრინჯაოს ფიბულა [Morgan 1889, გვ. 116, სურ. 85]. ძვ.წ. VII ს. [Мартirosян 1964, გვ. 276, 277, სურ. 1091].

14. კალაკენტი (აზერბაიჯანი). სამარხი № 29. ბრინჯაოს ფიბულა. L. 12,6 სმ. თანმხლები ინვენტარი: კერამიკა; ობსიდიანის ქუსლამოღებული ისრისპირი; ბრინჯაო – შუბისპირი, რგოლი. ძვ.წ. IX-VIII სს. [Карахмедова 1994, გვ. 92, 93, ტაბ. II; Nagel, Strommenger 1985, გვ. 91, სურ. 58m, გვ. 162, სურ. 571].

15. ზაიუკოვო (ყაზარდო-ბალყარეთი, ბაქსანის რ-ნი). დანგრეული ყორღანი (1935 წ.). ძვ.წ. XI-X სს. [Козенкова 1998, გვ. 73, ტაბ. XXIV15].

დასახელებული ფიბულებიდან რამდენადმე განსხვავებულია აზერბაიჯანის ძეგლებზე აღმოჩენილი ფიბულები (კატ. № 14), რომელთაც ფეხის სიმეტრიულად აკეცილი ბუდე კი არა აქვთ, არამედ ბუდე (თუ ილუსტრაციას დაეჯერება – ნ. ს.) წინაა გამოწეული, რაც შეიძლება ნივთის ლოკალურ თავისებურებად მივიჩნიოთ. თუმცა, არაა გამორიცხული ეს დაკავშირებული იყოს ახლო აღმოსავლეთიდან მომდინარე გარკვეულ იმპულსებთან [შდრ. Stronach 1959, სურ. 22, 61].

კავკასიაში გავრცელებული I 1 ქვეტიპის ფიბულების ანალოგიური ფიბულები ანატოლიის მასალებიდან უცნობია. თუმცა ე. ჩანერს გამოყოფილი აქვს მსგავსი მოყვანილობის, ოღონდ მინიატურული ფიბულები. ის აღნიშნავს, რომ მის მიერ If1 ვარიანტში გაერთიანებული ფიბულები არ აღწევენ იმ სიდიდეს და მასას, რაც აქვთ სუბმიკენურ ხანაში ცნობილ რკალისებურ ფიბულებს. ისინი არსებობენ სუბმიკენური ხანიდან არქაული ხანის ჩათვლით [Caner 1983, გვ. 33, ტაბ. 224B, 3; Firatli 1958, ტაბ. 137]. წინა აზიაში კი ისინი ცნობილია მეგიდოდან, ტელ ელ ფარაჰიდან, ტელ ენ ნასბეჰიდან, ლახიშიდან, ბეს სჰეანიდან, ამანიდან და არსებობენ ძვ.წ. XI ს-დან VIII ს-ის ჩათვლით [Blinkenberg 1926, გვ. 62, ტიპი II2; Stronach 1959, გვ. 186, ტიპი I1; Pedde 2000, გვ. 112-115, კატ. 75-77, 79-84, 86, ტაბ. 7, 8].

საბერძნეთის კუნძულებზე და მატერიკზე მოპოვებული მასალების მიხედვით დაბალრკალიანი (ჩვენი I ტიპი) და მაღალრკალიანი (ჩვენი III ტიპი) ფიბულები გამოჯნული არაა [შდრ. Blinkenberg 1926, ტიპი II1,2; Sapouna-Sakellarakis 1978, ტიპი IIa].

კავკასიის I 1 ქვეტიპის ფიბულებთან ყველაზე მეტ მსგავსებას ამჟღავნებს დაბალრკალიანი ფიბულები: ვროკასტროდან (კრეტა) [Blinkenberg 1926, გვ. 60, სურ. 30, გვ. 61, 63, სურ. 35; Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 43, ტაბ. 358]; კარფიდან (კრეტა), სადაც ის აღმოჩენილია მაღალრკალიან ფიბულასთან ერთად, ხუთმიცვალეზულიან სამარხში [Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 42, ტაბ. 352]; ფორტეტსადან (კრეტა) პროტოგეომეტრიული ხანის ქვევრსამარხებში [Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 43, ტაბ. 359]; ეგინადან, აფაიას სალოცავიდან [Blinkenberg 1926, გვ. 61, II1h; Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 43, ტაბ. 364]; პალეკასტროდან (კრეტა), ზევსის ტაძრიდან [Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 43, ტაბ. 362]; ლინდოსიდან (როდოსი) ერთმანეთზე ასხმული ხუთი მინიატურული ფიბულა [Blinkenberg 1926, გვ. 196, სურ. 217, X1f; Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 44, ტაბ. 488a-e] და სტამბულის მუზეუმში დაცული ერთი ფიბულა, ასევე ლინდოსიდან [Blinkenberg 1926, გვ. 196, სურ. 218, X1g; Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 44, ტაბ. 489]; იოლკოსიდან (ვოლოსი), რომელიც პროტოგეომეტრიული ხანით თარიღდება [Kilian 1975, გვ. 21, ტაბ. 18]; ფიბულა ფერაიდან, რომელიც გვიანგეომეტრიული ხანისაა [Kilian 1975, გვ. 21, ტაბ. 110] და ორი მინიატურული ფიბულა ასევე ფერაიდან, რომლებიც ძვ.წ. VIII ს-ის ბოლოთი და ძვ.წ. VII ს-ის დასაწყისით თარიღდებიან [Kilian 1975, გვ. 21, ტაბ. 111,12; Blinkenberg 1926, გვ. 113, სურ. 128].

ბულგარეთიდან შედარებით დაბალრკალიანი ფიბულა ცნობილია ლაზარ სტანევოდან: კრემაციულ ყორღანულ სამარხში ფიბულას თან ახლავს ბრინჯაოს კნოპი, რგოლი, რკინის დანა, თიხის ჭურჭელი, რომლებიც დამახასიათებელია ბესარაბიული კულტურის ადრერკინის ხანისათვის [Gorgova 1987, გვ. 20, 13].

კავკასიის I 1 ქვეტიპის ანალოგიური დაბალრკალიანი ფიბულები რუმინეთის ტერიტორიიდანაცაა ცნობილი, ფერიგილეს ჰალშტატის ხანის სამაროვნის კრემაციული ყორღანებიდან, რკინის ინვენტართან ერთად [Vulpe 1969, გვ. 163, 170, ტაბ. XXIII^{11,12}; Bader 1983, გვ. 106, ტაბ. 353²⁰, 322].

კავკასიის I 1 ქვეტიპის ფიბულებთან კორპუსის მოყვანილობის მიხედვით ყველაზე ახლოს დგას იუგოსლავიაში, კუნძულ ბრაჩზე (სპლიტთან) ჟაგანიე დოლაკში (Žaganj Dolac) აღმოჩენილი სამარხების ფიბულები, რომლებიც ძვ.წ. VI ს-ის მიწურულითა და V ს-ის დასაწყისით თარიღდებიან [Marović 1963-1965, გვ. 25, 26, ტაბ. 11,5,6, ტაბ. 51,2,3] და იუგოსლავიის ჩრდილო-დასავლეთით, ადრიატიკის გასწვრივ, ლიბურნიის მასალებიდან ცნობილი ფიბულა [Batović 1981, ტაბ. 44]. მხოლოდ, იუგოსლავიის ამ ფიბულების ბუდე დაბალი და განიერია, თითქოს წრერკალი შუაზე გაკეცესო.

დაბალრკალიანი ფიბულები ცნობილია იტალიის ძეგლებიდანაც: პანტალიჩა (სიცილია) [Orsi 1912, გვ. 321, ტაბ. VI²⁰; Sundwall 1943, გვ. 82, № 39], ჩიუზი [Montelius 1895, სურ. 41; Sundwall 1943, გვ. 82, № 31]. შედარებით დაბალრკალიანი ფიბულები ცნობილია იტალიის შემდეგი ძეგლებიდან: პანტალიჩა, ნიემი (სიცილია), ტერნი (უმბრია) [Müller-Karpe 1959, tab. 1,E3,C2; ტაბ. 12,C5; ტაბ. 45,A2,3,4]. კავკასიური ფიბულებისაგან განსხვავებით იტალიური ფიბულებისათვის დამახასიათებელია დაბალი, განიერი ბუდე და ენისებური, მომრგვალებული ნემსსაჭერი.

ჩვენს მიერ I 1 ქვეტიპში გაერთიანებული ზაიუკოვოს ფიბულების ანალოგიურია იუგოსლავიაში, ჩაკოვაციდან, ძვ.წ. 800 წ. დათარიღებული, დანგრეული სამარხიდან მომდინარე ფიბულა [Balen-Letunik 1999-2000, გვ. 38, ტაბ. 134].

I 1 ქვეტიპის ფიბულების მსგავსი ფიბულები ცნობილია მოლდავეთიდან, ბელოზერსკის კულტურის სამაროვან კაზაკლიას № 1 სამარხიდან. სამაროვანი ძვ.წ. XI-X სს-ით თარიღდება [Agulnikov 1996, გვ. 21, 77, 78, ტაბ. 55].

კავკასიური I 1 ქვეტიპის ფიბულების მსგავსი ფიბულა აღმოჩენილია ზაპოროჟიეში, სტეპნოს სამაროვნის № 3 ყორღანის № 1 სამარხში [Отрошенко 1975, გვ. 200-203, სურ. 7]. ამ ფიბულის გარდა სამარხში იყო მცირე ზომის ცილინდრულყელიანი და მრგვალმუცლიანი ქოთანიც. საკუთრივ სამაროვნის კერამიკა ანალოგებს ბელოზერსკის ტიპის სამაროვნებისა და ნასახლარების კერამიკასთან პოულობს. ლითონის ნაწარმი წარმოდგენილია ბიმეტალური სატევრით, ბრინჯაოს ზარისებური საკიდებით, თავხვია საკინძითა და თავებგადასული სამაჯურით. სამაროვანზე არის მინისა და ქარვის მძივებიც. ბელოზერსკის ძეგლებს ძვ.წ. XI-X სს-ით [Тереножкин 1965, გვ. 75] ან ძვ.წ. X-IX სს-ით ათარიღებენ [Шарафутдинова 1968, გვ. 51; Лесков 1971, გვ. 85]. სტეპნოს სამაროვნის მასალის ანალიზისა და ფიბულებისათვის მოტანილი პარალელების საფუძველზე ვ. ოტროშენკო ფიბულასაც და მთლიანად სამაროვანსაც ძვ.წ. XI-X სს-ით ათარიღებს [Отрошенко 1975, გვ. 202, 203].

ამგვარად, კარგად დათარიღებული სანდო კომპლექსების (თრელი, ნიგვზიანი, კალაკენტი) მიხედვით, I ტიპის ფიბულების არსებობა კავკასიაში ძვ.წ. I ათასწლეულის IX-VIII სს-ით უნდა განისაზღვროს. ფიჭვანრის სამაროვანზე დაბალრკალიანი (I ტიპი) ვერცხლის ფიბულის არსებობა ძვ.წ. IV ს-ის სამარხში, ამ ტიპის ფიბულის დიდ “სიცოცხლისუნარიანობაზე” მიგვითითებს.

I 2 _ ერთმანეთისაგან დაშორებული ირგვლივი “თევზიფხური” ორნამენტით რკალშემკული

I 2 ქვეტიპის ფიბულების რკალის ღერო წვრილია, მრგვალგანივკვეთიანი და თანაბარი სისქის. რკალის ზედაპირი შემკულია დაშორებული განივი (რკალის ირგვლივ) თევზიფხური სახით. კორპუსი ნახევაროვალურია. ვხუდე (ფეხი) ვიწრო და მაღალია. ნემსსაჭერი პატარა და მომრგვალებული.

ამგვარი ფიბულები (7 ცალი) ცნობილია: სამთავროს № 600 სამარხიდან (კატ. № 16), ჩითახევიდან (კატ. № № 17, 18), თლიადან (კატ. № № 19-21), ნალჩიკიდან (კატ. № 22).

16. სამთავრო (მცხეთასთან). სამარხი № 600 (ფრ. ბაიერნის გათხრები, კოლ. 12-54, № 1672). ბრინჯაოს ფიბულა. L. 8,3 სმ. თანმხლები ინვენტარი: კერამიკა; ბრინჯაო – ორი შუბისპირი, სადგისი, სპირალური დედალი დუგმა; სარდიონის მძივები. ურარტუს სამეფოს ხანა [Выпущев 1877, გვ. 17, ტაბ. V, სურ. 1; Уварова, Радде 1902, გვ. 62; Кухтин 1941, გვ. 70. სურ. 74ბ; აბრამიშვილი 1957, ტაბ. II60; სულავა 2000, გვ. 65-67, ტაბ. I2].

17. ჩითახევი (ბორჯომის რ-ნი). სამარხი № 26. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: კერამიკა; რკინის ბრინჯაოსტარიანი სატევარი, ბრინჯაო – ყლახაქუჩიანი კოლხური ცული, ე.წ. “ჰიბრიდული” ცული; მძივები: სარდიონის, აქატის. ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედი [ღამბაშიძე, ართილაყვა 1973, გვ. 46].⁹⁶

18. ჩითახევი. სამარხი № 58. - ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ცულები (თუ ცული), ფრთადაშვებული ისრისპირები, კვერთხის თავი, მასიური სამაჯური, მილისებრი ხვიები; რკინის შუბისპირი. მძივი (?). ძვ.წ. I ათასწ. პირველი მეოთხედი [ღამბაშიძე, ართილაყვა 1974, გვ. 30].

⁹⁶ ჩითახევის № № 26, 58 კომპლექსების ტაბულები გამაცნო ისტ. მეცნ. კანდ. ი. ღამბაშიძემ, რისთვისაც მაღლობას მოვახსენებ.

19. თლია (ჯავის რ-ნი). ქვებით შემოსაზღვრული ქვყარილიანი ორმოსამარხი № 115. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – სატევარი განიერი ქედით, რომბული ბალთა, სარტყელი, გრავირებული პინცეტი, ბეჭედი-რგოლი, 7 მილხვია; მძივები – კალციტის, სარდიონის. ძვ.წ. XII-X სს. [Texov 1980, გვ. 29, 51, ტაბ. 722]. ძვ.წ. IX-VIII სს. მიჯნა – VIII ს. პირველი ნახ. [სულავა 2000ა, გვ. 38-42].

20. თლია. ქვებით შემოსაზღვრული ქვყარილიანი ორმოსამარხი № 64. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – განიერქედიანი სატევარი, სასაფეთქლე ხვია, სპირალური მილხვიები. ძვ.წ. XII-X სს. [Texov 1980, გვ. 29, 51, ტაბ. 495]. ძვ.წ. IX-VIII სს. მიჯნა, VIII ს. პირველი ნახ. [სულავა 2000ა, გვ. 38-42].

21. თლია. ქვებით შემოსაზღვრული ქვყარილიანი ორმოსამარხი № 52. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – სატევარი განიერი გრავირებული ქედით, პინცეტი, რგოლი, ფიბულა ასიმეტრიული კორპუსით (იხ. კატ. № 42), ყუამახვილი გრავირებული კოლხური ცული, სატევარი, სარტყელი, აბზინდა; მძივები – კალციტის, სარდიონის. ძვ.წ. XII-X სს. [Texov 1980, გვ. 20, ტაბ. 4612]. ძვ.წ. XII-XI სს. [Texov 1971, გვ. 191]. ძვ.წ. IX-VIII სს. მიჯნა, VIII ს. პირველი ნახ. [სულავა 2000ა, გვ. 38-42].

22. ნალჩიკი (ყაბარდო-ბალყარეთი). დანგრეული სამარხიდან (1952 წ.). ბრინჯაოს ფიბულა [Крупнов 1960, გვ. 79, ტაბ. V8].

ამ ქვეტიპის, რკალის ირგვლივ განლაგებული, დაშორებული განივი თევზიფხური სახით შემკული ფიბულები უცნობია ანატოლიისა და წინა აზიის ქვეყნების მასალებიდან [შდრ. Stronach 1959; Caner 1983; Pedde 2000], საბერძნეთიდან [შდრ. Blinkenberg 1926; Kilian 1975; Sapouna-Sakellarakis 1978], ბულგარეთიდან და რუმინეთიდან [შდრ. Gergova 1987; Bader 1983].

მსგავსებას ვპოულობთ მხოლოდ იტალიის მასალასთან: ძვ.წ. XI თუ X სს-ით დათარიღებულ ფიბულასთან ფონტანელა გრაციოლის (ლომბარდია) კრემაციული სამარხიდან [Eles Masi 1986, გვ. 29, 30, ტაბ. 12229] და ძვ.წ. VIII ს-ით დათარიღებულ ფიბულებთან, ასევე კრემაციული სამარხებიდან, ესტედან (ვენეტო) [Eles Masi 1986, გვ. 60, tab. 32469, 470, 471].⁹⁷ ანალოგიურად შემკული ფიბულა ცნობილია ბადენვიურტენბერგის (სამხრეთ გერმანია) “ვერინგენშტადტიდანაც”. ის იტალიური ან იუგოსლავური წარმოშობის უნდა იყოს. როგორც ჩანს, დაშორებული განივი თევზიფხურით შემკობა გრავირების ერთ-ერთი ყველაზე ადრეული სახეა, რომელსაც ვხედავთ გვიანხემისებურ ფიბულებზე და ადრერკალისებური ფიბულებიდან დაწყებული წურბლისებრ-ნავისებური ფიბულების ჩათვლით [Müller-Karpe 1959, ტაბ. 1,H1]. მაგალითად მოტანილი ფიბულის (სამხრ. გერმანია) ზამბარა ორნახვევიანია, რაც, როგორც თვლიან, მისი გვიანდლობის ნიშანია [Betzler 1974, გვ. 152, 153, ტაბ. 731009]. გრავირების ეს სახე იტალიიდან ცნობილი ნიმუშების მიხედვით რამდენადმე უფრო ძველია (ძვ.წ. X-VIII სს.), ხოლო კავკასიის მასალების მიხედვით ძვ.წ. VIII ს-ში უნდა ყოფილიყო გავრცელებული.

როგორც I 2 ქვეტიპის ფიბულებისათვის მოტანილი პარალელური მასალიდან ჩანს, ამ სახის შემკულობა უძველესია როგორც სხვა რეგიონების ფიბულებზე, ასევე ჩვენთანაც. როგორც ვნახეთ, კავკასიის კომპლექსები (იხ. აქვე, III თავი, § 1), რომლებიც ამ ქვეტიპის ფიბულებს შეიცავენ, ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ მეოთხედს განეკუთვნებიან. ვფიქრობთ, გრავირების ამ არქაული სახით შემკული კავკასიის ფიბულები ძვ.წ. IX-VIII სს-ის მიჯნითა და ძვ.წ. VIII ს-ით უნდა დათარიღდნენ.

⁹⁷ ანალოგები მოეძებნება ალბანეთის მასალებშიც, მაგ. პერლატიდან და ძვ.წ. XI-X სს-ით თარიღდება [Bodinaku 1984, ტაბ. I2].

I 3 – გრეხილრკალიანი

I 3 ქვეტიპის ფიბულების რკალის ღერო წვრილია, გრეხილი, თანაბარი სისქის. კორპუსი ნახევაროვალურია. ბუდე (ფეხი) ვიწროა, ნემსსაჭერი – პატარა და მომრგვალებული.

ამგვარი ფიბულები (6 ცალი) ცნობილია: სამთავროს № 591 სამარხიდან (კატ. № 23), არაშენდადან (კატ. № 24), პეტრეს ნაკარუდან (კატ. № 25), დღვაზადან (კატ. № 26), მუხურჩადან (კატ. № 27), ზაიუკოვოდან (კატ. № 28).

23. სამთავრო. სამარხი № 591 (ფრ. ბაიერნის 1876 წ. გათხრები). ბრინჯაოს ფიბულა (სემ კოლ. 12-54, № 1671. ნივთი დაკარგულია – ნ. ს.). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – მახვილები ბოლოწაკვეთილი და ბოლომახვილი, ე.წ. “აღმოსავლურ-ქართული ტიპის” ცული, ბრტყელი ცული-ეჩო გვერდითი შვერილებით, სათასზე მილაკები, მილისებრი გარსაკრავები სარტყელისათვის, ბრტყელი ისრისპირები, ნახევარსფეროსებური დილი, პინცეტი, ირმის ფიგურები, საქამრე რგოლები, ფურცლოვანი სარტყელი; რკინის გრძელფრთიანი შუბისპირი, ტარზე ბრინჯაოს გარსაკრავით; კერამიკა – ფეხიანი ქუსლგამოყვანილი ქოთანის მონაცრისფრო-მწვანედ მოჭიქული (სამარხიდან ამოღებისას დაიშალა). [Вырунов 1877, გვ. 30. ტაბ. V, სურ. 1; Bayern 1885, გვ. 38-40; Куптин 1944, გვ. 331, სურ. 23; აბრამიშვილი 1957, გვ. 116-121, 136]. ძვ.წ. II ათასწ. ბოლო [Nioradze 1932, გვ. 82-87; ნიორაძე 1931, გვ. 202, 203; აბრამიშვილი 1961, გვ. 329]. ძვ.წ. VIII-VII სს. [Куптин 1941, გვ. 70, სურ. 74; Пиотровский 1949, გვ. 62; Воронов 1983, გვ. 31; სულავა 2000, გვ. 65-67].

24. არაშენდა (გურჯაანის რ-ნი, ადგილი “ფევრების ბოლო”). “არაშენდას სამლოცველო”. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები; ბრინჯაოს მახვილები, სამაჯურები, ჯაჭვი. ძვ.წ. I ათასწ. პირველი ნახევარი [ფიცხელაური 1973, გვ. 122, ტაბ. LI,1; Pizchelauri 1984, გვ. 92, სურ. 63A1, გვ. 113, 114].

25. პეტრეს ნაკარუ (მარტვილის რ-ნი, სოფ. მუხურჩა). შემთხვევითი მონაპოვარი.⁹⁸ თანმხლები ინვენტარი: იქვე აღმოჩნდა ბრინჯაოს სხვა ფიბულა მრგვალგანიკვეთიანი რკალით (იხ. კატ. № 76). ძლიერ ფრაგმენტირებული. ძვ.წ. VIII-VI სს. [ელიავა 1987, გვ. 57, ტაბ. 42118; დავლიანიძე 2003-2004, გვ. 23, ტაბ. II].

26. დღვაზა (ხობის რ-ნი). სამარხი № 2. ბრინჯაოს ფიბულა. ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევარი [მიქელაძე, პაპუაშვილი, ჩუბინიშვილი, კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები (ერგეტის № 3 და დღვაზის სამაროვნები), ტაბ. LXXX16. ხელნაწერი].

27. მუხურჩა (მარტვილის რ-ნი). ბრინჯაოს ფიბულა. L. 8 სმ. (სემ კოლ. 81-976:274). აღმოჩნდა სამაროვანზე, თხრილში. იმავე თხრილში აღმოჩნდა: ბრინჯაო – ბრტყელი სამაჯური, სქელყუნწიანი სატევრები; ვერცხლი (?) – რგოლები, გრეხილღეროიანი სამაჯურები; კერამიკა – ქოცო; მძივები – სარდიონის, მინის. ძვ.წ. VIII-VI სს. [დავლიანიძე 2003-2004, გვ. 23, ტაბ. I2].

28. ზაიუკოვო. დანგრეული ყორღანი (1935 წ.). ბრინჯაოს ფიბულა, L. 7,6 სმ. ძვ.წ. II-I ათასწ. მიჯნა [Козенкова 1998, გვ. 73, ტაბ. XXIV12].

I 3 ქვეტიპის ფიბულა თურქეთიდან მხოლოდ ტროადანაა ცნობილი [Dörpfeld 1902, გვ. 414, სურ. 431]. მას ტროა VIII ფენას მიაკუთვნებენ, თუმცა იმასაც აღნიშნავენ, რომ რადგან ნივთი ნაკლულია (არა აქვს ბუდე) და ტიპოლოგიურ ანალიზს არ ემორჩილება, უფრო ზუსტი დათარიღება შეუძლებელიაო. აღნიშნული ნივთი იქ საბერძნეთიდან უნდა იყოს მოხვედრილი [Caner 1983, გვ. 31, ტაბ. 213A]. ე. ჩანერი კ. ბლეგენზე

⁹⁸ ამ ადგილას შემდგომში გათხრებს აწარმოებდა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია. იხ. Гогадзе Э. М., Панцхава Л. Н., Дариспанашвили М. В. Работы Носири-Мухурчской археологической экспедиции в 1974-1975 гг., სსმაე, ტ. V, 1977, გვ. 60-71.

დაყრდნობით აღნიშნავს, რომ ტროას VII b1 ფენაში (დაახლ. ძვ.წ. 1240-1190 წწ.) ნაპოვნია 6 ცალი ფრაგმენტი გრეხილი ღეროსი [Blegen 1958, გვ. 149, 231], ალბათ ფიბულის ნაწილები. კ. ბლეგენი მათ აიგივებს ჩვენს მიერ დასახელებულ პარალელთან [Caner 1983, გვ. 200]. უახლეს გამოკვლევებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არც ერთი ტიპის გრეხილრკალიანი ფიბულა არ ყოფილა დამახასიათებელი მცირე აზია-წინა აზიის ქვეყნებისათვის [იხ. Stronach 1959; Pedde 2000].

საბერძნეთის კუნძულებზე აღმოჩენილი ფიბულებიდან ჩვენი I 3 ქვეტიპის მსგავსი უნდა იყოს: ფსიხროში (კრეტა) აღმოჩენილი ფიბულა [Blinkenberg 1926, გვ. 65, ტიპი II7e; Boardman 1961, გვ. 36, სურ. 16c; Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 50, ტაბ. 7200]; ფიბულა პეგაიოდაკიადან (კრეტა) [Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 50, ტაბ. 7202]; იალისოში (როდოსი), ათენას ტაძარში აღმოჩენილი ფიბულა, რომელსაც შესაძლოა ისევე განიერი ფეხი ქონდა, როგორც იქვე აღმოჩენილ სხვა ფიბულებს [Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 50, ტაბ. 7204, 219, 214].

საბერძნეთის კუნძულებზე გავრცელებული გრეხილრკალიანი ფიბულები (როგორც მაღალი სიმეტრიული რკალით, ასევე დაბალრკალიანიც და ასიმეტრიულიც) სუბმიკენურ ხანაში იწყებენ არსებობას და ბუდის სხვადასხვანაირი ფორმით გვიანგეომეტრიულ-ადრეარქაულ ხანამდე არსებობენ. სუბმინოსურ ხანას მიეკუთვნებიან ვროკასტროს მაღალრკალიანი ფიბულები [Blinkenberg 1926, გვ. 65, ტიპი II7b; 16a; Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 50, 51, ტაბ. 6195A,B]. პროტოგეომეტრიული ხანისაა ფორტეტასა დაბალრკალიანი და მაღალრკალიანი ფიბულები [Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 50, ტაბ. 7198, 199]. ძვ.წ. X-IX სს-ით თარიღდება თასოსისა და ლეფკანდის (ევბეა) სუბმიკენური ხანის სიმეტრიული და ასიმეტრიული ფორმის ფიბულები [Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 50, 51, ტაბ. 7215, 211]. მოტანილი პარალელებიდან ყველაზე ახალგაზრდა კრეტისა და როდოსის (იალისოს) ეგზემპლარებია [Boardman 1961, გვ. 36, sur. 16c; Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 51, ტაბ. 7204, 213, 214].

საბერძნეთის მატერიკიდან, თესალიიდან დაბალთალიანი და გრეხილრკალიანი ფიბულები ცნობილია ნეოხაირაკიდან (ალმიროსთან), რომელიც როგორც კ. კილიანი თვლის, არ უნდა მიეკუთვნებოდეს პროტოგეომეტრიულ ეგზემპლარებს, პატარა ზომის ზამბარისა და საკმაოდ მასიური ნემსის გამო. ის უფრო ახალგაზრდა ჩანს და თუ საკმარისია დაკვირვება ზამბარასა და ნემსზე, ალბათ, გვიანგეომეტრიულ ხანას უნდა განეკუთვნებოდეს [Kilian 1975, გვ. 22, ტაბ. 114]. სამი ასეთივე ფიბულაა ცნობილი ფერაის სალოცავიდან. კ. კილიანი თვლის, რომ ისინი შეიძლება დათარიღდეს ძვ.წ. VIII ს-ის ბოლოთი და VII ს-ის დასაწყისით. ამ ტიპის ფიბულების კარგი ანალოგებია ცნობილი დელფოდან, სადაც ისინი აღმოჩნდა ძვ.წ. VII-VI სს-ის კერამიკასთან ერთად [Blinkenberg 1926, ტიპი VI4a, VI5a; Kilian 1975, გვ. 22, 23, ტაბ. 115, 16, 17]. ვფიქრობთ, ჩვენი ფიბულებისათვის ყველაზე კარგი პარალელია დაბალთალიანი გრეხილრკალიანი ფიბულა კრეტადან (ფსიხრო), რომელიც გეომეტრიული ხანითაა დათარიღებული [Boardman 1961, გვ. 36, ფიგ. 16c].

ბულგარეთის მასალებიდან დაბალრკალიანი გრეხილი ფიბულები ცნობილია ვარბენიდან და მეზევიდან [Detev 1950, გვ. 333, სურ. 268g; Velkov 1937, გვ. 132, სურ. 12022]. ამ ვარიანტის ფიბულები ბულგარულ სპეციალურ ლიტერატურაში თარიღდება ძვ.წ. VIII-VII სს-ით, მაგრამ ბოლო ხანს, რადგან ანალოგებს ქ. ბლინკენბერგის სუბმიკენურ ფიბულებში ხედავენ, დააძველეს და ძვ.წ. XI ს-ით ათარიღებენ [Gergova 1987, გვ. 21, ტაბ. 15, 6]. თუმცა, ანალოგიური ფიბულა დობრინადან ძვ.წ. X-VIII სს-თაა დათარიღებული [Gergova 1987, გვ. 21, ტაბ. I7].

რუმინეთის ტერიტორიიდან ცნობილი გრეხილრკალიანი ფიბულები ყველა ორსპირალიანია. მათგან დაბალი რკალით გამოირჩევა ფერიგილეს სამაროვანზე აღმოჩენილი ფიბულა, რომელსაც ძვ.წ. VI ს-ით ათარიღებენ [Vulpe 1967, გვ. 143, ტაბ. XXIII6; Bader 1983, № 254].

იუგოსლავიის ტერიტორიიდან ძვ.წ. IX-VIII სს-ით დათარიღებული, დაბალ და გრეხილრკალიანი ფიბულა ცნობილია გრადინედან, ოტიშიჩუსთან [Čović 1970, გვ. 76, სურ. 5].

კავკასიის ამ ქვეტიპის ფიბულების იდენტურია ლიბურნიიდან, ნინის სამაროვნის № № 26, 86 სამარხებიდან მომდინარე, ძვ.წ. VIII ს-ის გრეხილრკალიანი ფიბულები [Glogović 1989, გვ. 61, ტაბ. 175,6,7].

დაბალთალიანი და გრეხილრკალიანი ფიბულები ცნობილია იტალიის ძეგლებიდანაც: ვადენადან, კულტურულ ფენაში ნაპოვნი [Laviosa-Zambotti 1933, გვ. 409, სურ. 5; Sundvall 1943, გვ. 78, ტიპი B I d a 4; Eles Masi 1986, გვ. 16, ტაბ. 477]; მოლინო დელა ბადიადან [Colini 1910, გვ. 189, სურ. 44; Sundvall 1943, გვ. 89, სურ. 92, ტიპი B II a a 3]; მარიკონდადან [Eles Masi 1986, გვ. 16, 18, ტაბ. 5103], რასუნსიდან [Lunz 1937, ტაბ. 508; Eles Masi 1986, გვ. 18, ტაბ. 6106]; ესტედან, ვადენადან [Müller-Karpe 1959, ტაბ. 93, A10; Eles Masi 1986, გვ. 18, ტაბ. 6109, 110]. დასახელებული პარალელური მასალა X-IX სს-ით თარიღდება [Sundvall 1943, გვ. 268; Eles Masi 1986, გვ. 18].

შედარებით დაბალრკალიანი გრეხილი ფიბულები ჰ. მიულერ-კარპეს [Müller-Karpe 1959] მიხედვით ცნობილია იტალიის შემდეგი ძეგლებიდან: ტერნიდან [ტაბ. 42 C2, F1; 43 A4, B11-13; 44 A10,11, B7-9; 46 D4], პიანელოდან [ტაბ. 56 A30], ბოლონიიდან _ სენ-ვიტალედან [ტაბ. 60-62], ბოლონია-სავენადან [ტაბ. 63, 64, 66, 69, 70, 73, 78, 80, 85]. მაგრამ ისინი ჩვენი ფიბულების ზუსტ პარალელებად ვერ გამოდგებიან, რადგან მათ მხოლოდ იტალიის ფიბულებისათვის დამახასიათებელი დაბალი და განიერი ნახევარწრისებური ბუდე აქვთ.

ამგვარად, როგორც საილუსტრაციოდ მოტანილი პარალელური მასალით ირკვევა, გრეხილრკალიანი ფიბულები ყველაზე გავრცელებული ტიპია მთელ ფიბულათა მატარებელ სამყაროში. უცხოური მასალებიდან დაბალრკალიანი, ჩვენი I 3 ქვეტიპის შესაბამისი ფიბულები, გავრცელებულია ზოგადად ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ მეოთხედში. როცა უცხოური პარალელები მოგვყავს, ადვილი შესამჩნევია, რომ უმეტეს შემთხვევაში მაღალრკალიანი და დაბალრკალიანი გრეხილი ფიბულები ქრონოლოგიურად არ იმიჯნებიან. იშვიათად, მაგრამ ისინი შეიძლება თანაარსებობდნენ კიდევაც (კერამიკოსი). ეს ჩვენთვისაა საინტერესო მაღალ და დაბალრკალიანი ფიბულების გამიჯვნა, რადგან ჩვენი ქრონოლოგიურად ადრეული ფიბულები დაბალრკალიანია. სამხრეთ ევროპამ გაიარა დაბალრკალიანი (ვიოლინოს ხემისებური) ფიბულების ეტაპი უფრო ადრე, ვიდრე ჩვენთან ფიბულები შემოვიდოდნენ. სამხრეთ ევროპაში მაღალრკალიან რკალისებურ ფიბულებზე გადავიდნენ ძვ.წ. XI ს-დან და ისინი არსებობენ გვიანგეომეტრიული-ადრეარქაული ხანის ჩათვლით, პერიფერიაში კი უფრო დიდხანსაც [Müller-Karpe 1962, გვ. 67-69; Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 42-51]. ამიტომ, ეს მომენტი გათვალისწინებული უნდა იყოს სამთავროს № 591-ე სამარხის დათარიღებისას, მასში არსებული გრეხილი, დაბალრკალიანი ფიბულისათვის დამათარიღებელი მნიშვნელობის მიცემისას. ეს ის შემთხვევაა, როცა ფიბულას დამათარიღებლად ვერ გამოვიყენებთ. ყოველი შემთხვევისათვის მანამდე, სანამ არ აღმოჩნდება ახალი კომპლექსები, რომლებიც უფრო საიმედოდ იქნება დათარიღებული.

I 4 – ნაჭდევებით შემკულრკალიანი

I 4 ქვეტიპის ფიბულების რკალის ღერო წვრილია, მრგვალგანივკვეთიანი და თანაბარი სისქის. რკალის ზედაპირი შემკულია სიგრძივ მიმართული ირიბი ნაჭდევებით (თევზიფხური სახე) ან განივი ნაჭდევებითა და მოკლე სიგრძივი ხაზებით. კორპუსი ნახევაროვალურია. ბუდე (ფეხი) ვიწრო და მომალლოა. ნემსსაჭერი – პატარა და მომრგვალებული.

ამგვარი ფიბულები (4 ცალი) ცნობილია მხოლოდ საქართველოს ძეგლებიდან: დიღმის დანგრეული სამარხიდან (კატ. № 29), მარალინ-დერესის № 4 ქვის სამარხიდან (კატ. № 30), წითელი შუქურას № 49 ქვევრსამარხიდან (კატ. № 31), მუხურჩის სამაროვნის ტერიტორიიდან (კატ. № 32).

29. დიღმი. შემთხვევითი აღმოჩენა (როგორც ჩანს დანგრეული სამარხი). ბრინჯაოს ფიბულა. L. 11 სმ. (სემ კოლ. 6-60, № 58). თანმხლები ინვენტარი: კერამიკა – ქილები, კოჭობები, სასმისები, დოქები, ლანგრები, ბრინჯაო – ცულები (ე.წ. “აღმოსავლურ ქართული ტიპის”), მახვილები, ფიბულა (სემ კოლ. 6-60:83; იხ. კატ. № 1), შუბისპირები, სამაჯურები, საკინძები, სარტყლის ფრაგმენტები, ბალთები, ღილები, ბეჭდები; რკინა – შუბისპირის ფრაგმენტები, ნატეხები; მძივები – სარდიონის, პასტის. ძვ.წ. XIII-XII სს. [ქორიძე 1965, გვ. 19]. ფიბულები გამოუქვეყნებელია.

30. მარალინ დერესი (წალკის რ-ნი, სოფ. სანთას დას-ით). ქვის სამარხი № 4 (უხეშად ნაგებ სამარხში დაკრძალული ყოფილა პატარა გოგონა). ბრინჯაოს ფიბულა. L. 7 სმ (სემ 31-65:35, კომპლ. 33-43). თანმხლები ინვენტარი: კერამიკა – დოქი მსხლისებრი კორპუსით, ქოთანი ცალყურა, დოქი სფეროსებრი მუცლით; ბრინჯაო – თოხი, სავარცხელი და ორი სამაჯური; რკინის დანა; ქვის აბულეტი; მინის მძივი, სარდიონის მძივები, ნიჟარები კაური. ვანის ეპოქა [Куптин 1941, გვ. 51, 52, სურ. 50, ტაბ. XXIII].

31. წითელი შუქურა (სოხუმთან). ქვევრსამარხი № 49(68) (მეორადი დაკრძალვით). ბრინჯაოს ფიბულა. L. 9,5 სმ. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაოს მძივები – ერთი კასრისებური ფორმის, ხუთი – ბიკონუსური. ძვ.წ. VIII-VI ს.ს., ძვ.წ. VIII-VII სს. [Трапш 1969, გვ. 121-123, 191, ტაბ. XXV6; Квириквелия 1981, გვ. 6].

32. მუხურჩა. აღმოჩნდა მუხურჩის სამაროვანზე, № 7 თხრილის გაფართოებისას. ბრინჯაოს ფიბულა. L. 6,7 სმ. (სემ კოლ. 81-976, № 239). ძვ.წ. VIII-VI სს. [დავლიანიძე 2003-2004, გვ. 23, ტაბ. I3].

ჩვენი I 4 ქვეტიპის ფიბულები ანატოლიისა და წინა აზიის მასალებიდან უცნობია [Stronach 1959; Caner 1983; Pedde 2000]. ევროპაში უცნობია ბულგარეთისა და რუმინეთის მასალებიდან [Gergova 1987; Bader 1983]. ხოლო შვეიცარიის კანტონ ვალაისის სიონსა და ლენსში აღმოჩენილი ფიბულები, რომლებიც ძვ.წ. VIII ს-ით თარიღდებიან, თითქოს ერთგვარ სიახლოვეს იჩენენ ჩვენს ფიბულებთან [Betzler 1974, გვ. 73, ტაბ. 15156,157].

აღნიშნული ქვეტიპის ფიბულების არსებობა ძვ.წ. VIII-VII სს-ით უნდა შემოიფარგლოს.

I 5 – “დაკეჭნილრკალიანი” (თუ გოფრირებულრკალიანი)

I 5 ქვეტიპის ფიბულების რკალის ღერო წვრილია, მრგვალგანივკვეთიანი და თანაბარი სისქის. რკალის ზედაპირი შემკულია განივი ღრმა ნაჭდევებით, რომლებიც უსწორმასწორო ბურცობებს ქმნიან (“გოფრირებული”). კორპუსი ნახევაროვალურია. ბუდე (ფეხი) ვიწროა, ნემსსაჭერი – პატარა და მომრგვალებული.

ამ ქვეტიპის ფიბულები (2 ცალი) ცნობილია: თეთრიწყლების № 5 ორმოსამარხიდან (კატ. № 33) და მაკარაშენის (სომხეთი) ექვსმიცვალეზულიანი ქვის სამარხიდან (კატ. № 34).

33. თეთრიწყლები (თელავის რ-ნი). ორმოსამარხი № 5. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – მახვილი, ჯაჭვი ბოლოებში დუგმებით, ღილები, მასიური ერთნახევრიანი ხვია; ტახის ეშვი; კერამიკა – ორყურა ლანგარი, ჯამი, ქოთნები, კათხები, პატარა ჯამი, კერამიკის ფრაგმენტები. ძვ.წ. II-I ათასწ. მიჯნა, ძვ.წ. 1100-900 წწ. [Пицхелაური 1969, გვ. 101-107, VIII, XI; მისივე 1973, გვ. 65, ტაბ. LXIX260; მისურაძე 1993, ტაბ. XLVII7].

34. მაკარაშენი (სომხეთი, კიროვაკანის რ-ნი). ქვის სამარხი 6 მიცვალეზულით. ბრინჯაოს ფიბულა (ფიბულა ტექსტში არაა მოხსენიებული. იხ. მითითებული ლიტ. გვ. 286, 287, მაგრამ არის რკინის ხანის ძეგლების კრებით-ქრონოლოგიურ ტაბულაზე – XXXVI, I16. შესაძლოა, ნაშრომში შეცდომაა). ძვ.წ. VII-VI სს. [Мартиросян 1964, გვ. 286, 287, ტაბ. XXXVI 116].

მათი ანალოგები ვერსად მოვიძიეთ. თეთრიწყლების ფიბულის რკალის შემკულობა, როგორც თვითონ გამთხრელიც აღნიშნავს, ზუსტად იმეორებს სამთავროს სამაროვნის ძვ.წ. VIII-VII ს-ის პირველი ნახევრით დათარიღებულ სამარხებში აღმოჩენილი სამაჯურების რკალის შემკულობას [ფიცხელაური 1973, გვ. 197], რასაც ჩვენც სავსებით ვეთანხმებით. საინტერესოა, რომ ზუსტად ანალოგიური გოფრირებული (თუ “დაკეჭნილი”) რკალები აქვთ ძვ.წ. 700-500 წწ-ით დათარიღებულ წვრილრკალიან სამაჯურებს, რომლებიც ცნობილია იუგოსლავიიდან, ადგილ ველიჩნა ვაზში (Velična vas) გათხრილი ყორღანიდან [Teržan 1973, გვ. 694, 695, ტაბ. 81,3, 91, 3, 11].

I 6 – მარყუჟისებურზამბარიანი

I 6 ქვეტიპის ფიბულათა რკალის ღერო წვრილი, მრგვალგანიკვეთიანი და თანაბარი სისქისაა. კორპუსი ნახევაროვალურია. მთავარი დამახასიათებელი ნიშანია მარყუჟის ფორმის ზამბარა, რომელიც ფიბულის კორპუსის გარეთაა მოქცეული და მილისებური ბუდე. რკალის რაგვარობისა და შემკულობის მიხედვით I 6 ქვეტიპის ფიბულებში გამოიყო ორი ვარიანტი: I 6 a – სადარკალიანი, I 6 b – გრებილრკალიანი.

I 6 a ვარიანტის ფიბულების რკალის ღერო წვრილია, მრგვალგანიკვეთიანი და თანაბარი სისქის. რკალის ზედაპირი სადაა. კორპუსი ნახევაროვალური. ფეხი (ბუდე) მილისებური ფორმისაა. ზამბარა გატანილია რკალის გარეთ და მარყუჟის ფორმა აქვს.

ამგვარი ფიბულა (2 ცალი) კავკასიაში აზერბაიჯანიდანაა (კატ. № № 35, 36) ცნობილი. ისინი აღმოჩნდა კალაკენტის № 32 და პარადიზის № 170 სამარხში. დათარიღებულია ძვ.წ. XI-VIII [Nagel, Strommenger 1985, გვ. 10, 98, 133, 134, 162, სურ. 5717, 105(2748b)] და ძვ.წ. IX-VIII სს-ით [Карахмедова 1994, გვ. 93, ტაბ. I2,4].

35. კალაკენტი (აზერბაიჯანი). სამარხი № 32. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ფიბულა (კატ. № 37), საჭრისი, სატევრის თავი, სპირალები, მძივები, მინით შემკული დიდი და მცირე ზომის ბალთები; რკინა – ღერო კონუსური თავით, მასრიანი შუბისპირები, ზოდი; გახვრეტილი კბილები; მძივები – მინის, ანტრაციტის (?), ქვის, სარდიონის, ქარვის (?); ობსიდიანის ფრაგმენტები. ძვ.წ. XI-VIII სს. [Nagel, Strommenger 1985, გვ. 10, 98, 162, სურ. 5717]; ძვ.წ. IX-VIII სს. [Карахмедова 1994, გვ. 93, ტაბ. I2].

36. პარადიზი (აზერბაიჯანი). სამარხი № 170. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – კისრის რკალი, 13 ცალი სამაჯური, 3 ცალი თავებგადადებული სამაჯური, თითის რგოლები, ზარისებური საკიდები; რკინა – 10 ცალი მასრიანი შუბისპირი, 2 ცალი დანა; ხელით ნაძერწი კერამიკა.

ძვ.წ. XI-VIII სს. [Nagel, Strommenger 1985, გვ. 10, 133, 134, სურ. 105(2748 b)]; ძვ.წ. IX-VIII სს. [Карахмедова 1994, გვ. 93, ტაბ. 14].

I 6 b ვარიანტის ფიბულების რკალის ღერო წვრილია, გრეხილი, თანაბარი სისქის. კორპუსი ნახევაროვალურია. ფეხი (ბუდე) – მილისებური ფორმის. ზამბარა გატანილია რკალის გარეთ და მარყუჟის ფორმა აქვს.

ამგვარი ფიბულა (1 ცალი) მხოლოდ აზერბაიჯანიდანაა (კატ. № 37) ცნობილი. ის აღმოჩნდა კალაკენტის № 32 სამარხში I 6 b ვარიანტის ფიბულასთან ერთად.

37. კალაკენტი. სამარხი № 32, ბრინჯაოს ფიბულა (კატ. № 35). ძვ.წ. XI-VIII სს. [Nagel, Strommenger 1985, გვ. 10, 98, 162, ტაბ. 621]; ძვ.წ. IX-VIII სს. [Карахмедова 1994, გვ. 93, ტაბ. I3].

ორივე ვარიანტის ფიბულები კავკასიის ტერიტორიის გარდა ჩვენთვის უცნობია.⁹⁹ მათი თარიღი ძვ.წ. VIII ს-ით უნდა განისაზღვროს.

II ტიპი – ოდნავ ასიმეტრიულრკალიანი ფიბულები (რუკა 2, ტაბ. 61/1)

II ტიპის ფიბულათა მთავარი დამახასიათებელი ნიშნებია: ოდნავ წინ, ბუდისაკენ გადახრილი რკალი, რის გამოც ფიბულის კორპუსი ოდნავ ასიმეტრიული მოყვანილობისაა; რკალის ღერო წვრილი და თანაბარი სისქისაა; ბუდე (ფეხი) რკალის ღეროს შესაბამისად ვიწროა; ნემსსაჭერი – პატარა და მომრგვალებული.

II ტიპის ფიბულებში რკალის რაგვარობისა და შემკულობის მიხედვით შეიძლება გამოიყოს 3 ქვეტიპი: II 1 – სადარკალიანი; II 2 – ერთმანეთისაგან დაშორებული ირგვლივი “თევზიფხური” სახით რკალშემკული; II 3 – გრეხილრკალიანი.

II 1 – სადარკალიანი

II 1 ქვეტიპის ფიბულების რკალის ღერო წვრილია, მრგვალგანივკვეთიანი, თანაბარი სისქის. რკალის ზედაპირი სადაა. კორპუსი ოდნავ ასიმეტრიულია. ვიწრო ფეხი (ბუდე) თითქმის ვერტიკალურადაა ჩამოშვებული. ნემსსაჭერი – პატარა და მომრგვალებულია.

ამგვარი ფიბულები (2 ცალი) კავკასიაში ცნობილია თლიისა (კატ. № 38) და კლინ-იარსკის სამაროვნებიდან (კატ. № 39).

38. თლია. ქვებით შემოწყობილი, ოთხკუთხა მოყვანილობის ქვყრილიანი ორმოსამარხი № 99 (ორი მიცვალებულით). ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ცხენის, ირემისა და ჯიხვის ფიგურები; წვივის რგოლები, სატევარი, რომბისებრი ღილები; მძივები – სარდიონის, კალციტის, მინის. ძვ.წ. XII-X სს. [Техов 1980, გვ. 26, 51, ტაბ. 65, სურ. I7].

39. კლინ-იარსკი 2 (სტავროპოლის მხარე, კისლოვოდსკთან). სამარხი № 1. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: რკინის აკინაკი. ძვ.წ. VII ს. [Козенкова 1998, გვ. 73, ტაბ. XXIV5].

⁹⁹ ფიბულები, რკალის გარეთ გატანილი მარყუჟით, ცნობილია კორჩელეტედან (ვაუდის კანტონი), მაგრამ კავკასიის ფიბულებისაგან ისინი განსხვავდებიან იმით, რომ ზამბარა მარყუჟის სახით არ არის დახვეული რკალზე და ბუდეც მარტივი აქვს. ვარაუდობენ, რომ ისინი ჰალშტატის ხანაზე უფრო ადრეულებია [Betzler 1974, გვ. 81, 82, ტაბ. 17185]

ფიბულათა ამ ჯგუფში არ შეგვიტანია ზმეისკოეს (ოსეთი) ნამოსახლარზე აღმოჩენილი ე.წ. ფიბულა [Деопик, Крупнов 1961, გვ. 28, 36, სურ. 84].¹⁰⁰ ნივთი აღმოჩენილია ზმეისკოეს ნამოსახლარის დასავლეთ ნაწილში, № 11 კერის ქვედა ფენაში. ავტორთა აღწერილობის მიხედვით ნივთი ასე გამოიყურება: “**Более сложна булавка** с расплющенным и загнутым, **наподобие** приёмника фибулы, концом и головкой в виде спирали в три оборота с обломанным концом” [Деопик, Крупнов 1961, გვ. 28] (ხაზგასმა ჩვენია – ნ. ს.). ე.ი. ნივთი მათ მიაჩნიათ ქინძისთავად (ბულავკა), რომელსაც ცალი ბოლო გაბრტყელებული და მოხრილი აქვს ფიბულის მიმდების (ბუდის) მსგავსად, ხოლო თავი დახვეული აქვს სამნახვევიანი მარყუჟის სახით. როგორც ტაბულიდან ჩანს, ღერო მრგვალგანივკვეთიანია. ნამოსახლარზე არ დასტურდება არც რკინის ნაწარმი და არც სკვითური კულტურის საგნები, რაც ნიშანდობლივად მიაჩნიათ და იმით ხსნიან, რომ იმ რაიონებში, სადაც მდიდარი ტრადიცია იყო სპილენძ-ბრინჯაოს მაღალგანვითარებული მეტალურგიისა, რკინის წარმოება იგვიანებდა. მაგრამ იმასაც აღნიშნავენ, რომ ეს არგუმენტები მაინც არ გამოდგება ძეგლის თარიღის უფრო დაძველებისათვის ვიდრე ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისია. ისინი ნამოსახლარს ძვ.წ. X-VIII სს-ით ათარიღებენ [Деопик, Крупнов 1961, გვ. 36]. ის, რომ გამთხრელები ნივთს ფიბულად არ მიიჩნევენ, ჩვენი აზრითაც სწორი უნდა იყოს, რადგან, ზმეისკოეს ნამოსახლარი უამრავი პარალელური მასალის საფუძველზე, რომლებიც მოტანილია ჩრდილოეთ კავკასიის სკვითებამდელი ძეგლებიდან, მთიანი ყირიმიდან და ტყესტეპების უკრაინის ძეგლებიდან [Иессен 1951, გვ. 90-92, სურ. 18-20; Граков, Треножкин 1958, გვ. 171, 178, სურ. 7, № № 6, 7; Датеvская 1958, გვ. 197; Козенкова 1996, გვ. 35-39, სურ. 155], ძვ.წ. X-VIII სს-ით თარიღდება, ანუ იმ ხანით, როცა უკვე ხმარებაში აღარაა ის ფიბულები (ასიმეტრიული მუხლისებური), რომელთანაც ავლებენ პარალელებს ის მკვლევარები, რომლებიც ამ ნივთს ფიბულად მიიჩნევენ [Kossack 1983, გვ. 99. ლიტ. იხ. იქვე].

თუ ზმეისკოეს ნივთს ფიბულად (ასიმეტრიული მუხლისებური) ჩავთვლით, ვნახავთ, რომ ამ ტიპის ფიბულებისათვის არაა დამახასიათებელი სამნახვევიანი მარყუჟი და თანაც მცირე დიამეტრისა [შდრ. ფიბულა ვროკასტროდან, კრეტა – Hall 1914, გვ. 99, ტაბ. 19b; კავოუსიდან, კრეტა – Blinkenberg 1926, გვ. 55, ფიგ. 26, ტიპი I11b; Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 78, ტაბ. 243, 44; კასიბილედან (იტალია) – Orsi 1898, გვ. 123, ტაბ. XIII2; Sundwall 1943, გვ. 137, სურ. 192, DI 3aI].

ჩვენი აზრით, როცა ნივთის განსაზღვრა სათუთაა, მასზე დაყრდნობით შორს მიმავალი დასკვნების გაკეთება მართებული არ უნდა იყოს. ვ. კოზენკოვასა და მ. ლესკოვის მიერ ნივთი ფიბულად იქნა გამოცხადებული და შესაბამისად დაკავშირებული ძვ.წ. XI-X სს-ის სამხრეთ და ცენტრალური ევროპის არქეოლოგიურ კომპლექსებთან და მასზე დაყრდნობით ნამოსახლარის თარიღი ძვ.წ. XII-IX სს-ით განისაზღვრა [Козенкова 1975, გვ. 52, 54, სურ. 1, 7; 1975a, გვ. 91, 93, სურ. 1, A1; Leskov 1981, გვ. 69, 76; Козенкова 1996, გვ. 85, სურ. 15]. მათ კვალდაკვალ გ. კოსაკმა კიდევ უფრო შორს მიმავალი დასკვნები გააკეთა და ამ ე.წ. ფიბულიდან წარმოებულად ჩათვალა თლიას სამაროვნის ადრეული ოდნავასიმეტრიულრკალიანი ფიბულები და ისინი ძვ.წ. II-I ათასწლეულების მიჯნით, ხოლო თვით ზმეისკოეს ფიბულა ძვ.წ. XI ს-ით დაათარიღა [Kossack 1983, გვ. 101, სურ. 41].

¹⁰⁰ სამწუხაროდ, ნივთს ვიცნობთ მხოლოდ პუბლიკაციის მიხედვით [Деопик, Крупнов 1961, სურ. 84].

II 1 ქვეტიპის ფიბულა (კატ. № 38) თლიის № 99 სამარხიდან მკვეთრად გამოხატული ასიმეტრიულობით არ ხასიათდება. მისი კორპუსი ოდნავაა წინ გადახრილი, რის გამოც ფეხი (ბუდე) ვერტიკალურადაა ჩამოკიდული.

ფიბულები ანალოგიური მოყვანილობის კორპუსით, ოღონდ სხვა მორფოლოგიური ნიშნებით (მაგ.: გრეხილრკალიანი, ირგვლივი თევზიფხური სახით შემკულრკალიანი), მხოლოდ კავკასიიდანაა ცნობილი.

II 1 ქვეტიპის ფიბულა (კატ. № 39) კლინ-იარსკის მეორე სამაროვნის № 1 სამარხიდან, რომელიც რკინის სკვითურ აკინაკსაც შეიცავს და ძვ.წ. VII ს-ის დასასრულით თარიღდება [Козенкова 1998, გვ. 73], არქაული იერისაა და, შეიძლება იტალიის ძეგლებიდან ცნობილ ფიბულებთან [Sundwall 1943, გვ. 71, სურ. 52, A IIj3] დაგვეკავშირებინა, მაგრამ თვით კომპლექსის თარიღი ამის საშუალებას არ იძლევა. თლიას ფიბულებისათვის შემუშავებული ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური ცხრილის მიხედვით, ეს ფიბულები ძვ.წ. IX-VIII სს-ის მიჯნით და ძვ.წ. VII ს-ის პირველი ნახევრით თარიღდებიან.

II 2 _ ერთმანეთისაგან დაშორებული ირგვლივი “თევზიფხურით” რკალშემკული

II 2 ქვეტიპის ფიბულების რკალის ღერო წვრილია, მრგვალგანივკვეთიანი, თანაბარი სისქის. რკალის ზედაპირი შემკულია ერთმანეთისაგან დაშორებული ირგვლივი თევზიფხური სახეებით, რომლებიც ზოგჯერ სეგმენტურად არიან განლაგებული და რკალის თავსა და ბოლოში შემოისაზღვრებიან ირგვლივი ხაზებით ან სიგრძივი თევზიფხურით. კორპუსი ოდნავ ასიმეტრიულია. ვიწრო ფეხი (ბუდე) თითქმის ვერტიკალურადაა ჩამოშვებული. ნემსსაჭერი _ პატარა და მომრგვალებულია.

ამგვარი ფიბულები (9 ცალი) კავკასიაში ცნობილია თლიის (კატ. № № 40-42), ნაცარგორას (კატ. № 43), ნიგვზიანის (კატ. № № 44, 45, 46), კიზილკალინსკის (კატ. № 47) და ყობანის (კატ. № 47) სამაროვნებიდან.

40. თლია. ქვებით გარშემოწყობილი ქვყრილიანი ორმოსამარხი № 23a (სამი მიცვალებული: ქალი, მამაკაცი, ბავშვი. სამივეს ცალ-ცალკე ინვენტარი ჰქონდა). ბრინჯაოს ფიბულა (ეკუთვნის მამაკაცის ინვენტარს). მამაკაცის ინვენტარი: ბრინჯაო – საკიდი (“თიკანი”), 9 რომბული ბალთა, გრავირებული მრუდეტანიანი კოლხური ცული, სარტყელის ფრაგმენტები, 2 სატევარი, აბზინდა (“ხელი”), პინცეტი, ფირფიტის ფრაგმენტები, მრგვალი ღილი, სწორკუთხა ბალთა. ძვ.წ. XII ს. ბოლო – XI ს. ან ძვ.წ. XII-X სს. [Техов 1960, გვ. 173, 174, სურ. 9-10; მისივე 1971, გვ. 164-166, სურ. 61; მისივე 1980, გვ. 17, ტაბ. 3910].

41. თლია. სამარხი № 37. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ფიბულა (კატ. № 191), 3 სატევარი, ქინძისთავი, ხვია; სარდიონის მძივები. ძვ.წ. XII-X სს. [Техов 1980, გვ. 19, ტაბ. 43, სურ. 15].

42. თლია. ქვებით გარშემოწყობილი, ქვყრილიანი ორმოსამარხი № 52. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ფიბულა (იხ. კატ. № 21), 2 სატევარი, პინცეტი, რგოლი, გრავირებული ყუამახვილი კოლხური ცული, სადა სარტყელი, მართკუთხა აბზინდა; მძივები – კალციტის, სარდიონის. ძვ.წ. XII-X სს. ან ძვ.წ. XII-XI სს. [Техов, 1971, გვ. 191, სურ. 71; მისივე 1980, გვ. 20, ტაბ. 464].

43. ნაცარგორა (ხაშურის რ-ნი). სამარხი № 435. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: კერამიკა – დოქი, ორყურა დიდი ქოთანნი, ლანგარი; ბრინჯაო – მახვილი, მასრაგახსნილი შუბისპირი, კოლხური ცული, კვერთხის თავი, მართკუთხა გრავირებული აბზინდა; რკინა – მასრაგახსნილი შუბისპირი, მახვილი; მძივები. ძვ.წ. VIII ს. [რამიშვილი 2001, გვ. 157, 158, ტაბ. VIII1363].

44. 45. ნიგვზიანი. სამარხი ორმო № 1 (ქვყრილიანი, კოლექტიური). ბრინჯაოს ფიბულები. თანმხლები ინვენტარი: კერამიკა – კვირისტავეები; ბრინჯაო – სატევრები, შუბისპირი, აბზინდები; რკინა – სატევრები,

შუბისპირები; მძივები – სარდიონის, ოპალის, მინის (შავი, ფირუზისფერი, თვლიანი). ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. – VI ს. [მიქელაძე 1985, გვ. 82, 92, ტაბ. XLI2(1417), 3(1416)].

46. ნიგვზიანი. სამარხი ორმო № 6 (ქვაყრილიანი, კოლექტიური). ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: კერამიკა; ბრინჯაოს სატევარი, ქანდაკება, სამაჯური, რგოლები, რკინის შუბისპირი; ქვის სალესი; ვერცხლის რგოლი; მძივები – სარდიონის, იასპის, ოპალის, თიხის, თეთრი მინის, გიშრის, პოლიქრომიული მინის. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. – VI ს. [მიქელაძე 1985, გვ. 82, 92, ტაბ. XLVI18(1557)].

47. კიზილკალინსკი (ყარაჩაევო-ჩერქეზეთი). სამარხი № 2. ბრინჯაოს ფიბულა. აღმოჩნდა სპეციალურ სამალავში. სკვითური პერიოდი. [Козенкова 1998, გვ. 73, ტაბ. XXIV6].

48. ყობანი. 1877 წ. ყობანის სამაროვნის გათხრებში მონაწილეობდა ბ. ანტონოვიჩი. მის მიერ მოპოვებული მასალა ინახება ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (22 ფიბულა). ბრინჯაოს ფიბულა (სემ კოლ. 1-02:42; აგრეთვე იხ. კატ. № № 114-117, 170-172, 345, 346) [Уварова, Радде 1902].

II 2 ქვეტიპის ფიბულების ანალოგები, გარდა კავკასიის მასალებისა, ჩვენთვის უცნობია. მათი თარიღი ძვ.წ. IX-VIII სს-ის მიჯნიდან, ძვ.წ. VII ს-ის პირველი ნახევრით უნდა განისაზღვროს.

II 3 – გრეხილრკალიანი

II 3 ქვეტიპის ფიბულების რკალის ღერო წვრილია, თანაბარი სისქის, გრეხილი. კორპუსი ოდნავ ასიმეტრიულია. ვიწრო ფეხი (ბუდე) თითქმის ვერტიკალურადაა ჩამოშვებული (ნემსსაჭერი მოტეხილი აქვს).

ამგვარი ფიბულა კავკასიის მასალებიდან მხოლოდ ერთი ცალია აღმოჩენილი (კატ. № 49) თლიას სამაროვნზე. მისი ანალოგი ჩვენთვის უცნობია.¹⁰¹ ის ძვ.წ. IX-VIII სს-ის მიჯნითა და ძვ.წ. VII ს-ის პირველი ნახევრით უნდა დათარიღდეს.

49. თლია. ქვებით შემოსაზღვრული ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 48. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – სატევარი; თიხის ქოთანის, სარდიონის მძივები. ძვ.წ. XII-X სს. [Техов, 1980, გვ. 19, 20, 51, ტაბ. 45, სურ. 13].

III ტიპი – ნახევარწრისებრი ანუ მაღალრკალიანი (“ნალისებრი”¹⁰²) ფიბულები (რუკა 3, ტაბ. 61/a,b)

III ტიპის ფიბულათა მთავარი დამახასიათებელი ნიშნებია: მაღალი რკალი, რის გამოც ფიბულის კორპუსი ნახევარწრიულია. რკალის ღერო თანაბრად ან ძლიერ შემსხვილებულია და გაფორმებულია სხვადასხვაგვარად. ბუდე რკალის შესაბამისად სუსტად ან ძლიერ გაგანიერებულია. ნემსსაჭერი პატარაა, მომრგვალებული. III ტიპის

¹⁰¹ საინტერესოა, რომ ტროა VII b (?) ფენაში, წრიულორნამენტთან შედებილ კერამიკასთან ერთად, რომელიც პროტოგეომეტრიული ხანით თარიღდება, აღმოჩნდა გრეხილრკალიანი ბრინჯაოს ფიბულა, რომელსაც ხემისებურად მიიჩნევენ, მაგრამ მისი წინა მხარე აშკარად ზეაწეულია, რის გამოც უკვე ასიმეტრიული მოყვანილობის კორპუსი აქვს [Korfmann 1994, გვ. 26, 27, სურ. 311].

¹⁰² ტერმინი “ნალისებრი” კოლხეთის სამაროვნების ზოგიერთი ტიპის ფიბულების მიმართ გამოიყენა მ. ჭირაქაძემ. იხ. ჭირაქაძე, კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნებიდან მომდინარე მშვილდსაკინძები (კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მონაპოვარი მასალის მიხედვით), კრ. გურია, II, თბ., 1997, გვ. 278.

- III 1 – სადარკალიანი
- III 2 – სიგრძეზე მიმართული “თევზიფხურით” რკალშემკული
- III 3 – ირგვლივი “თევზიფხურით” რკალშემკული
- III 4 – ყვავილისებრგანივკვეთიანი რკალით
- III 5 – მრავალკუთხაგანივკვეთიანი რკალით
- III 6 – მართკუთხაგანივკვეთიანი რკალით
- III 7 – რომბისებრგანივკვეთიანი რკალით
- III 8 – რკალზე დისკოსებური შემსხვილებებით
- III 9 – მძივისებრრკალიანი
- III 10 – ირგვლივი ზოლების სეგმენტებით რკალშემკული
- III 11 – დაკეჭნილზურგიანი რკალით
- III 12 – გრეხილრკალიანი
- III 13 – ფირფიტისებრრკალიანი
- III 14 – რკალზე ეკლისებური შვერილებით
- III 15 – რკალზე ლურსმნისებრი შვერილებით
- III 16 – რკალზე ვერძის თავის პროტომებით
- III 17 – დაფანჯრული ნახევარსფეროსებური რკალით
- III 18 – რკალის თავსა და ბოლოში ზოომორფული გამოსახულებებით

III 1 – სადარკალიანი

III 1 a ვარიანტის ფიბულების რკალის ღერო თანაბრად, შედარებით სუსტად ან ძლიერ შემსხვილებული და მრგვალგანივკვეთიანია. რკალის ზედაპირი სადაა. კორპუსი ნახევარწრისებრი ან ნალისებრია. ფეხი (ბუდე) – რკალის ღეროს სიმეტრიული ან ოდნავ გაგანიერებულია. ნემსსაჭერი – პატარა და მომრგვალებულია.

III 1 a ვარიანტის ფიბულები (82 ცალი) გავრცელებულია თითქმის მთელ კავკასიაში: მუხურჩა (კატ. № 50), ხუცუბანი (კატ. № 56), პეტრეს ნაკარუ (კატ. № 76), ჯანტუხი (კატ. № № 78-105), წეროვანი (კატ. № 106), ბრილი (კატ. № № 51, 57-71),¹⁰⁵ ბანისხევი (კატ. № 54), დბა (კატ. № 55), ბორი (კატ. № 72), ნაცარგორა (კატ. № № 74, 75), თლია (კატ. № 77), ყაზბეგი (კატ. № № 52, 53), განთიადი (კატ. № 73), ყობანი (კატ. № № 107, 114-117), ზემო რუთხა (კატ. № № 108-112, 130), სერჟენ-იურტი (კატ. № 113), ცენტეროი (კატ. № 118), შაროი (კატ. № № 119-123), ყარასი (კატ. № 124), მინერალური წყლები (კატ. № 125), კამენომოსტსკი (კატ. № 126), გიუნდელენი (კატ. № 127), ბაქსანის ხეობა (კატ. № 128), კიჩ-მალკა (კატ. № 129), ვაკო-ჟილე (კატ. № № 131, 132).

¹⁰³ 2006 წელს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაცული ნაშრომისაგან განსხვავებით, რომლის პუბლიკაციასაც წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ იმპორტულად მიჩნეული ფიბულები ცალკე გამოგვეყო (შდრ.: სულაგა 2006, გვ. 108, გვ. 158-164).

¹⁰⁴ ქვეტიპები აღნიშნულია მოკლე სახელწოდებებით ერთი რომელიმე ყველაზე დამახასიათებელი ნიშნის მიხედვით.

¹⁰⁵ ბრილის სამაროვნის მასალის გამოქვეყნების შემდეგ თარიღები დაკონკრეტდება და გასწორდება.

50. მუხურჩა. სამაროვნის მნიშვნელოვანი ნაწილი დანგრეულია. ბრინჯაოს ფიბულა (სემ კოლ. 81-976:991). აღმოჩნდა ე.წ. "ქვედა" მოედანზე, სადაც მეორადი დაკრძალვა ივარაუდება. ძვ.წ. VIII-VII სს. [Гогодзе, Панцхава, Дариспанашвили 1977, ტაბ. VIII8; დავლიანიძე 2003-2004, გვ. 23, ტაბ. I7].

51. ბრილი. დანგრეული კრემაციული სამარხი (1951 წ.). ბრინჯაოს ფიბულა. L. 13 სმ (სემ კოლ. 5-993:284). გამოუქვეყნებელია.¹⁰⁶

52, 53. ყაზბეგი (ყაზბეგის რ-ნი). ბრინჯაოს 2 ცალი ფიბულა (სემ 2-02:229:230). აღმოჩნდა 1879 წ. სოფ. სტეფანწიდაში, ალ. ყაზბეგის სახლის ეზოში წარმოებული სამუშაოებისას, რომლის დროსაც აღმოჩნდა სამაროვანი და გაითხარა სამი სამარხი. 1879 წელს აქ სამუშაოებს აწარმოებდნენ – პ. და ა. უვაროვები, ვ. ანტონოვიჩი, კ. ოლშევსკი, ალ. ყაზბეგი, ფ. ბაიერნი. [Уварова, Радде 1902, გვ. 11, 12]; ძვ.წ. V-IV სს. [სულავა 2003, გვ. 83, ტაბ. I2,3].

54. ბანისხევი (ბორჯომის რ-ნი). ბრინჯაოს ფიბულა [Куфтин 1944, გვ. 316, სურ. 141].

55. დბა¹⁰⁷ (დაბა) (ბორჯომის რ-ნი). ბრინჯაოს ფიბულა [Куфтин 1944, გვ. 316, სურ. 142].

56. ხუცუბანი (ქობულეთის რ-ნი). ბრინჯაოს ფიბულა [Куфтин 1949, გვ. 133].

57. ბრილი (ამბროლაურის რ-ნი). 1951 წ. დანგრეული სამარხიდან. ბრინჯაოს ფიბულა (სემ კოლ. 5-993, № არა აქვს). გამოუქვეყნებელია.

58. ბრილი. № 7 სამარხის ჩრდილო-დასავლეთი კუთხის გარეთ, დანგრეული სამარხების ფენიდან (1952 წ.). ბრინჯაოს ფიბულა (სემ კოლ. 5-993:183). გამოუქვეყნებელია.

59, 60. ბრილი. სამარხი № 26 (1950 წ.). ბრინჯაოს 2 ცალი ფიბულა. L 9,5 სმ (სემ კოლ. 5-993:190), L 8,5 სმ (სემ კოლ. 5-993:191). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ზარი რკინის ენით, 2 ცალი დაფანჯრული ქვეანი, 2 ფიბულა (იხ. კატ. № 336), 3 ცალი გრებილორკალიანი დიადემა (ერთი მათგანი ძეწკვით), რიტონი (დგას ფრინველის ქანდაკებაზე), საკინძი, საკიდი, დუგმისებური ბალთა; რკინა – 19 ცალი მოხრილი ცული ჩაქუჩისებრი და სოკოსებრი ყუით, შუბცული, 7 აკინაკი, 3 მოხრილი დანა; ვერცხლი – 3 ცალი გრებილორკალიანი ფირფიტისებურბოლოანი დიადემა, საყურე ორი სხივით. გამოუქვეყნებელია.

61. ბრილი. დანგრეული კრემაციული სამარხიდან (1951 წ.). ბრინჯაოს ფიბულა (სემ კოლ. 5-993:285). გამოუქვეყნებელია.

62. ბრილი. დანგრეული კრემაციული სამარხიდან (1951 წ.). ბრინჯაოს ფიბულა (სემ კოლ. 5-993:328). გამოუქვეყნებელია.

63. ბრილი. ქვის სამარხი № 21 (1953 წ.). ბრინჯაოს ფიბულა. L. 5,8 სმ (სემ კოლ. 5-993:194/2). თანმხლები ინვენტარი: ვერცხლი – 2 ცალსხივიანი საყურე; ბრინჯაო – სპირალური დუგმა, მართკუთხა ფორმის 2 აბზინდა, 2 ზურგდაკეჭნილი სამაჯური, 2 ფიბულა (სემ კოლ. 5-993:194/1,3; იხ. კატ. № 490), საკიდი (ვერძის თავი); მძივსაკიდი; ლურჯი მინის მძივები. გამოუქვეყნებელია.

64. ბრილი. ორმოსამარხი № 26 (1953 წ.). ბრინჯაოს ფიბულა. (სემ კოლ. 5-993:237). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ფიბულა (სემ კოლ. 5-993:230; იხ. კატ. № 564), სურა, (ფრაგმენტირებული), 6 "მძივი", მილაკისა და ჯაჭვის ფრაგმენტები, 4 ბოლოდაბრტყელებული მანჭვალი, 4 ე.წ. სკვითური ისრისპირი, დაფანჯრული სფერული ქვენები; ელექტრუმის ერთსხივიანი საყურე; რკინა – ცულის ფრაგმენტები, ლაგამი, სატევარი; მინა – პოლიქრომიული სანელსაცხებლე (ლურჯ ფონზე ცისფერი და ყვითელი ზიგზაგისებური ძაფებით); მძივები – ქარვის, ფირფიტისფერი ფაიანსის, ლურჯი მინის. გამოუქვეყნებელია.

¹⁰⁶ მასალაზე მუშაობისას გაწეული დახმარებისათვის მადლობას მოვახსენებ საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდის მცველს, ისტ. მეც. კანდ. ლ. ფანცხავას.

¹⁰⁷ იხ. ბ. კუფტინთან [Куфтин 1944, გვ. 316, სურ. 142] – «Дба».

65. ბრილი. სამარხი № 24 (1950 წ.). ბრინჯაოს ფიბულა. L. 4,5 სმ (სემ კოლ. 5-993:141). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ფიბულა (სემ კოლ. 5-993:139, კატ. № 378), ჯაჭვი დუგმისებური საკიდებით, თხელი ფირფიტის 2 სამაჯური, მთლიანადსხმული საკინძი, ვერცხლის თავგახვრეტილი სასაფეთქლე. მინის ერთფერი და პოლიქრომიული მძივები. გამოუქვეყნებელია.

66. ბრილი. № 13 ქვის სამარხი (1953 წ.). ბრინჯაოს ფიბულა. L. 4,3 სმ (სემ კოლ. 5-993:106). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ფირფიტისებური მძივები, ხვია, ჯვრისებური საკიდი, ბუნიკები (“გრიფონი”), ფიბულა (სემ კოლ. 5-993:105; იხ. კატ. № 381); რკინა – მოხრილი დანა, აკინაკი, ლაგამი, ცული, ვერცხლი – ფირფიტისებური სამაჯური; მინის ერთფერი და პოლიქრომიული მძივები; ხის ნაშთი, ცხვრის კოჭები და კბილები. გამოუქვეყნებელია.

67. ბრილი. № 8 სამარხი (1951 წ.). ბრინჯაოს ფიბულა. L. 7,5 სმ (სემ კოლ. 5-993:250a). თანმხლები ინვენტარი: კერამიკა – ცალყურა სასმისები; ბრინჯაო – ბალთა, საყბურები, რგოლი. გამოუქვეყნებელია.

68. ბრილი. № 8 სამარხი (1948 წ.). ბრინჯაოს ფიბულა. L. 5,7 სმ (სემ კოლ. 5-993:56). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – თავგახვრეტილი სასაფეთქლე რგოლები, სამაჯურები; მძივები – ქარვის, მინის, ერთფერი და პოლიქრომიული. რკინის ფიბულა (კატ. № 911. ვერ მოვიძიეთ – ნ. ს.). გამოუქვეყნებელია.

69. ბრილი. სამარხი № 21 (1952 წ.) ბრინჯაოს ფიბულა. L. 4,5 სმ (სემ კოლ. 5-993:155). თანმხლები ინვენტარი: რკინა – ცული ყუაჩაქუჩიანი, სატევარი; ვერცხლის ფირფიტისებრი სამაჯური; ელექტრუმის ორმტეცნიანი საყურე; მძივები. გამოუქვეყნებელია.

70. ბრილი. № 10 სამარხი (1953 წ.). ბრინჯაოს ფიბულა. L. 3,4 სმ (სემ კოლ. 5-993, № არა აქვს). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – აბზინდა, ფირფიტები, რგოლი, სამაჯურები; ვერცხლის რგოლი; რკინის გაურკვეველი ნივთის ფრაგმენტი. მძივები. გამოუქვეყნებელია.

71. ბრილი. აღმოჩენილია სამაროვნის სხვადასხვა ადგილზე ამოყრილ მიწაში (1960 წ.). ბრინჯაოს ფიბულა. L. 5,5 სმ. (სემ კოლ. 5-993:97). გამოუქვეყნებელია.

72. ბორი (ხარაგაულის რ-ნი). შემთხვევითი აღმოჩენა (1962 წ.). (სემ კოლ. 16-32:66). გამოუქვეყნებელია.

73. განთიადი (დმანისის რ-ნი). სამარხი № 61. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: კერამიკა; რკინა – მახვილები; ბრინჯაო – სარტყელი, მოკლე კონუსური ქინძისთავები, სამაჯურები, ირმის ფიგურები, ბალთები, ღილები. ძვ.წ. VIII-VII სს. [Кахнани . . . 1985, გვ. 29-31, ტაბ. XXX; Georgien 2001, გვ. 377, კატ. 308].

74. ნაცარგორა. სამარხი № 208. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: კერამიკა – ორი ცალყურა ქოთანნი, ქოთანნი, კოჭობი, ლანგარი; ბრინჯაო – შუბისპირი, სარტყელი, ფიბულის ნემსი (კატ. № 852); რკინა – სატევარი (?); მძივები. ძვ.წ. VIII ს. [რამიშვილი 2001, გვ. 158, ტაბ. II378].

75. ნაცარგორა. სამარხი № 315. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: კერამიკა – დოქი, ლანგარი; ბრინჯაო – სარტყელი, დაფარული მორბენალი სპირალებით; რკინა – სატევარი; მძივები. ძვ.წ. VIII ს. [რამიშვილი 2001, გვ. 158, ტაბ. 1952].

76. პეტრეს ნაკარუ. დანგრეული სამარხებიდან. ბრინჯაოს ფიბულა (ძლიერ ფრაგმენტირებული) [ელიავა 1987, გვ. 54, ტაბ. 42118; დავლიანიძე 2003-2004, გვ. 23, ტაბ. 14. იხ. კატ. № 25].

77. ბრილი. ბრინჯაოს ფიბულა (1951 წ.). (სემ კოლ. 5-993:356). აღმოჩნდა “კოლხური დროის დამწვარ კრემაციულ სამარხში, დასავლეთი კედლის ძირში, ცენტრალურ ნაწილში” (საველე დავთრის მიხედვით – ნ. ს.). ფიბულა წამოცმული იყო ბრინჯაოს ვერძის ფიგურაზე. გამოუქვეყნებელია.

78-105. ჯანტუხი (ტყვარჩელი). კოლექტიური სამარხი ინჰუმაციითა და კრემაციით. ბრინჯაოს 28 ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: კერამიკა; ბრინჯაო – ფიბულები (65 ცალი. იხ. კატ. № № 322, 373, 388, 389), სამაჯურები, საკისრე რკალები, პინცეტები, სპირალები, ძეწვები, სიტულის სახელური ზოომორფული ყურით, ზარაკები, ჯვრისებური და სხვა ფორმის, საკიდები, სპირალური დუგმები,

აზინდები, ბალთები, ფიგურები; რკინა _ სატევრები. ქვა _ სალესები, კვირისტავეები; მძივები _ ქვის, სარდიონის, მინის. ძვ.წ. VII ს. [Шамба 1984, გვ. 32, 33, 40, 41, სურ. 2112-14,20-25, სურ. 253-19,35-38].

106. წეროვანი (მცხეთის რ-ნი). სამარხული კომპლექსი. შემთხვევითი აღმოჩენა (1969 წ.). ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო _ ე.წ. “კახური ტიპის” სატევარი, შუბისპირი, საკინძი, დუგმა, სადგისი, სატეხი, პინცეტები, შტანდარტი, მილები, ირმის სარიტუალო ფიგურები (ძლიერ ფრაგმენტირებული); კერამიკა _ სასმისები, ტოლჩები, ქოთნები, ქვაბქოთანა, დერგი, ჯამი. ძვ.წ. X-IX სს. [სონლულაშვილი 1996, გვ. 160, ტაბ. XL17].

107. ყობანი. ბრინჯაოს ფიბულა. აა. ს. უვაროვის კოლექცია [Уварова 1900, ტაბ. XXXI6].

108-112. ზემო რუთხა. ე.წ. “კოსნიერსკას” კოლექცია (ინახება ბერლინში, ძველი ისტორიის მუზეუმში. კოლექციაში შედის სხვადასხვა დროს შეძენილი ბრინჯაოს ნივთები ჩრდილოეთ კავკასიიდან). ბრინჯაოს 5 ცალი ფიბულა. გვიანბრინჯაო-რკინის ხანა [Motzenbäcker 1996, გვ. 104, 163, კატ. 447-451, ტაბ. 62,2, 28,2, 62,1, 28,9, 28,3].

113. სერჟენ-იურტი (ჩეჩნეთ-ინგუშეთი, შალინსკის რ-ნი). ნამოსახლარი. ძვ.წ. X-VII სს. ფენა. ბრინჯაოს ფიბულა [Козенкова, Крупнов 1964, გვ. 77, სურ. 218; Козенкова 1982, გვ. 59, ტაბ. XXXVIII1].

114-117. ყობანი. 1877 წ. ბ. ანტონოვიჩის გათხრები. მასალა ინახება ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (22 ფიბულა). ბრინჯაოს 4 ფიბულა (სემ კოლ. 1-02:40-41, 46, 50; აგრეთვე იხ. კატ. № № 48, 170-172, 345, 363) [Уварова, Радде 1902].

118. ცენტეროი (ჩეჩნეთი). შემთხვევითი აღმოჩენა. ბრინჯაოს ფიბულა. ძვ.წ. VII-VI სს. [Марковин 1966, გვ. 125, სურ. 3; Козенкова 1978, გვ. 163, სურ. 34].

119-123. შაროი (ჩეჩნეთ-ინგუშეთი, არღუნის ხეობა). 1982 წ. აღმოჩენილი სამაროვნის დაახლოებით 3 სამარხის ნივთები. ბრინჯაოს 5 ფიბულა. თანმხლები მასალა: ბრინჯაო _ ყუნწიანი სატევარი, აზინდები ნახევარწრიული და მართკუთხა, სარტყლის ფრაგმენტები, ბრტყელთავიანი თავხვია და გრებილდერიანი თავხვია საკინძები, სპირალურთავიანი სასაფეთქლები და სამაჯურები, საწვივე რგოლები, რომბული ბალთები, სპირალური ხვიები, სარდიონის მძივები. ძვ.წ. II-I ათასწ. მიჯნა, I ათასწ. პირველი საუკუნეები [Козенкова 1978, გვ. 160, სურ. 29-31].

124. ყარასი (სტავროპოლის მხარე). აკლდამა I. ბრინჯაოს ფიბულა. ძვ.წ. VII-VI სს. [Козенкова 1998, გვ. 73, 74, ტაბ. XXIV1].

125. მინერალური წყლები (სტავროპოლის მხარე). ბრინჯაოს ფიბულა. ძვ.წ. V ს. [Афанасьев, Рунич 1976, გვ. 31, ტაბ. IV21; Козенкова 1998, გვ. 73, 74, ტაბ. XXIV2].

126. კამენომოსტსკი (ყაბარდო). კამენომოსტსკის სამაროვანი. სამარხი სკოლასთან 5(1954 წ.). გათხრილია პ. გ. აკრიტასის მიერ. სკვითური ხანა [Козенкова 1998, გვ. 73, ტაბ. XXIV4].

127. გიუნდელენი (ყაბარდო-ბალყარეთი, ბაქსანის რ-ნი). დანგრეული სამარხი. ბრინჯაოს ფიბულა. ძვ.წ. X-VII სს. [Козенкова 1998, გვ. 73, ტაბ. XXIV17].

128. ბაქსანის ხეობა (ყაბარდო-ბალყარეთი). ბრინჯაოს ფიბულა. ე. ზიჩის კოლექცია. ძვ.წ. VII-V სს. [Козенкова 1998, გვ. 73, 74, ტაბ. XXIV8].

129. კიჩ-მალკა (ყაბარდო-ბალყარეთი). დანგრეული სამარხი (1955 წ.). ბრინჯაოს ფიბულა. ძვ.წ. XI-X სს. [Козенкова 1998, გვ. 73, ტაბ. XXIV18].

130. ზემო რუთხა. სამარხი № 18. შესაძლოა გამარცვლი. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: კერამიკა _ 7 ჭურჭელი; ბრინჯაო _ დაბალრკალიანი ფიბულა (იხ. კატ. № 10), 2 გვერგვი სპირალური ბოლოებით, სამაჯურები, ვერძის თავის ფორმის საკიდი, რომბული ბალთა, ექვსნახვრეტაანი ფირფიტა; შემკვრები მძივი. ძვ.წ. IX ს. ბოლო _ VIII ს. [Крупнов 1960, გვ. 226-228, ტაბ. XLIV6].

131. ვაკო-ჟილე (ყარაჩაევო-ჩერქეზეთი, სტავროპოლის მხარე). აკლდამა. ბრინჯაოს ფიბულა. ძვ.წ. VI ს. [Козенкова 1998, გვ. 73, 74, ტაბ. XXIV9].

132. ვაკო-ჟილე. სამაროვანი ქვის სამარხებით. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები მასალა: ბრინჯაო _ ისრისპირი, სამაჯურები, ზომორფული საკიდები; რკინის სატევარი და სხვ. ძვ.წ. VI-V სს. [Алексеева 1971, გვ. 62, ტაბ. 12, 14a. Козенкова 1989, გვ. 54].

III 1 a ვარიანტის ფიბულების ანალოგიური ფიბულები ცნობილია ანატოლიიდან, ბოდრუმის მხარიდან. მხედველობაში გვაქვს ი. ზუნდვალის კლასიფიკაციის B II ac ტიპის, ძვ.წ. IX-VIII სს-ით დათარიღებული ფიბულები [Caner 1983, გვ. 32, ტაბ. 214].¹⁰⁸ ისინი ცნობილია წინა აზიის ქვეყნებიდან (ენკომი, მეგიდო, ლახიში), კვიპროსიდან. მათი არსებობა ძვ.წ. 1200 წლიდან იწყება და ძვ.წ. 650 წლის ჩათვლით არსებობენ [Pedde 2000, გვ. 112, 113, კატ. 71, 72, 74, 89, 90].

ეგეოსის კუნძულებიდან ჩვენი III 1a ვარიანტის ფიბულები ცნობილია კარფიდან (კრეტა), სადაც ისინი აღმოჩენილია 3-5 მიცვალებულიან ინჰუმაციურ სამარხებში; ჰაგიოს იოანესში კნოსოსთან (კრეტა), სადაც კერამიკაზე დაყრდნობით ადრედან შუაპროტოგეომეტრიულ ხანამდე თარიღდება. ე. საპოუნა-საკელარაკის მიხედვით პროტოგეომეტრიული ხანის მერე მათი თვალის გადავენება შეიძლება საბერძნეთისა და დასავლეთ აზიის სხვადასხვა მხარეში. არქაული ეგზემპლარები ცნობილია დელფოდან, კორინთოდან, პროსიმნადან [Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 42-45, ტაბ. 353,54,55,56]. ამ ვარიანტის ფიბულები ცნობილია ლეფკანდის (ეგზეა) პროტოგეომეტრიული ხანის მასალებიდან [Popham 1979, გვ. 237, ტაბ. 2472,3,5].

ოლიმპიაში (პელოპონესი) აღმოჩენილი მაღალრკალიანი ფიბულის ტიპი ერთნახვევიანი სპირალით გვხვდება გვიანელადური (SH III C – ძვ.წ. 1200-1100 წწ.) ხანიდან _ სუბმიკენური ხანის ჩათვლით [Philipp 1981, გვ. 262, ტაბ. 59986].

მაღალრკალიანი ფიბულებია აღმოჩენილი ათენის კერამიკოსის სუბმიკენურ სამარხებში [Müller-Karpe 1962, სურ. 22,4,12,15, სურ. 32,8,11, სურ. 64]. ზოგიერთ ფიბულას ზამბარა ორნახვევიანი აქვს [იქვე, სურ. 212].ü

ანალოგიური ფიბულები ცნობილია ვერგინადან (მაკედონია), ადრერკინის ხანის ყორღანული სამაროვნიდან, სადაც ისინი ძეგლის გამთხრელის მ. ანდრონიკოსის მიხედვით ძვ.წ. XI ს-ით თარიღდებიან [Andronikos 1969]. მთლიანად, ყორღანული სამაროვნის ადრერკინის ხანის სამარხები თარიღდება ძვ.წ. XI-VIII სს-ით [Radt 1974, გვ. 125, 140-144, ტაბ. 3821,22,23].

ბულგარეთიდან სადა, მაღალრკალიანი ფიბულები ცნობილია ალტიმირიდან, დანგრეული ქვაყრილიანი კრემაციული სამარხიდან და საკარჩიდან ორკამერიანი დოლმენის შესასვლელის წინ, ადრერკინის ხანის კერამიკასთან ერთად. დ. გერგოვა ამ ტიპს (ტიპი AI1) ყველაზე ცხოვრებისუნარიანად თვლის; აღნიშნავს, რომ ე. ბლინკენბერგის მიხედვით ისინი მიეკუთვნებიან სუბმიკენურ ტიპებს (II ჯგუფი), რომლებიც სუბმიკენური ხანის მერეც გამოიყენებოდნენ. საკარჩის ფიბულა ძვ.წ. XI ს-ით თარიღდება [Gergova 1987, გვ. 20, ტაბ. I1,2, ტაბ. 382].M

¹⁰⁸ ეს ფიბულები ზომით პატარაა (L 2,4 სმ) და გაერთიანებულია ტიპში (II f, 1), სადაც ერთადაა მრგვალ-განივკვეთიანი, რომბული და სწორკუთხაგანივკვეთიანი ვარიანტები. ისინი გაერთიანებულია რკალის სიმეტრიულობის მიხედვით [Caner 1983, გვ. 31, 32]

ვარნის არქეოლოგიურ მუზეუმში 2 ფიბულაა დაცული. როგორც ავტორი აღნიშნავს, ისინი დ. გერგოვას AI1 და AI2j ტიპს მიეკუთვნებიან და ძვ.წ. VIII-VI სს-ით თარიღდებიან [Георгиева 1993, გვ. 14, კატ. № 1, 3].

რუმინეთიდან III 1 a ტიპის ფიბულა, დათარიღებული ძვ.წ. XI-X სს-ით, ცნობილია ნასახლარ გრადიშტედან [Neagu, Nanu 1968, გვ. 114].

ცენტრალური ევროპიდან (სამხრეთ გერმანია, ავსტრია, შვეიცარია) III 1 a ტიპის ფიბულა ცნობილია ტესინის სამაროვნებიდან. ამ ტიპის ფიბულები უერთდებიან დასავლეთ ბალკანეთის-იტალიის ფორმებს და ასახავენ ხმელთაშუაზღვისპირეთის რკალისებრი ფიბულების გავრცელებას ჩრდილოეთით. ასკონაში (ტესინის კანტონი) აღმოჩენილი მოზრდილი ფიბულა კრემაციული სამაროვნიდანაა. ანალოგიური ფიბულები უფროსი ურნა სამარხების ბოლო პერიოდით – ძვ.წ. XI-X სს-ით თარიღდება [Betzler 1974, გვ. 71, 72, ტაბ. 15146, ტაბ. 90].

იუგოსლავიის ტერიტორიიდან სადა, მაღალრკალიანი ფიბულები ცნობილია ჩაკო-ვაჩიდან, ძვ.წ. 800 წლით დათარიღებული სამარხიდან [Balen-Letunić 1999-2000, გვ. 38, ტაბ. 134]. ამავე ტიპის, ოღონდ ოდნავ გაგანიერებული ბუდის მქონე ფიბულა ცნობილია ლიუბლიანიდან და თარიღდება ძვ.წ. 750 წლით [Teržan 1995, გვ. 121, ტაბ. 36259].

ჩვენს მასალებთან ყველაზე მეტ მსგავსებას ამჟღავნებს ალბანეთში, პერლატში აღმოჩენილი ძვ.წ. XI-X სს-ის ფიბულები [Bodinaku 1984, გვ. 56, ტაბ. I3,5].

იტალიიდან ჩვენი ფიბულების ანალოგები ცნობილია ტიმარიდან (პროვინცია ბასილიკატა), ალუმიერიდან (პოჯიო ლა პოცა) ურნასამრხების სამაროვნებიდან [Sundwall 1943, გვ. 80, 81, სურ. 78 BIdc1]; პონტე სან პიეტროს (ლომბარდია) კრემაციული სამაროვნიდან. ფიბულები თარიღდება ძვ.წ. IX ს-ით [Eles Masi 1986, გვ. 28, 32, ტაბ. 11216,217, ტაბ. 13241,242]. ასეთივე, ოღონდ უფრო მომცრო ფიბულები აღმოჩენილია ნომი-ჩიუსოლეში. მათი ანალოგიურია კიდევ ერთი ფიბულა, რომლის აღმოჩენის ადგილი უცნობია. ესტესა და გაცო ვერონეზეში (ვენეტო) აღმოჩენილი ფიბულები პროტოვილანოვას (ძვ.წ. IX ს-ის წინა ხანა) პერიოდის მასალებთანაა აღმოჩენილი [Eles Masi 1986, გვ. 36, ტაბ. 15278,281A].

კავკასიის III 1 a ვარიანტის ფიბულები ძვ.წ. VIII ს-დან ძვ.წ. IV ს-ის ჩათვლით არსებობენ. ამ ჩარჩოს შორის დათარიღების უფრო დაკონკრეტება კომპლექსის გათვალისწინებით უნდა მოხდეს (მაგ. კატ. 59, 60 – ბრილი, № 26 (1950 წ.) – ძვ.წ. VI ს.; კატ. 52, 53 – ყაზბეგი – ძვ.წ. V-IV სს.; კატ. 74 – ნაცარგორა № 208 – ძვ.წ. VIII ს.).

III 1 b ვარიანტის ფიბულების რკალის ღერო თანაბრად, შედარებით სუსტად ან ძლიერ შემსხვილებული და მრგვალგანივკვეთიანია. რკალის ზედაპირი სადაა. კორპუსი ნახევარწრისებრი. ფეხი (ბუდე) – “რომბისებრი” ფორმის. ნემსსაჭერი – პატარა და მომრგვალებულია.

III 1 b ვარიანტის ფიბულები (4 ცალი) ცნობილია საქართველოს მთისწინა და მთიანი რეგიონებიდან. ისინი აღმოჩენილია სვანეთში (ლარილარი, კატ. № 133) ზემო იმერეთში (გორაძირი, კატ. № 134), და ხევში (ყაზბეგი, კატ. № 135), აგრეთვე, კისლოვოდსკში (კატ. 136).

133. ლარილარი (მესტიის რ-ნი). ბრინჯაოს ფიბულა.¹⁰⁹ აღმოჩნდა სამაროვნის კრემაციულ მოედანზე, ნახშიროვან ფენაში, რომელსაც ათარიღებს ბრინჯაოს მთლიანადსხმული ფარაკიანი ბეჭდები და კოლხური კერამიკა. ძვ.წ. VI-V სს.

¹⁰⁹ მასალის გაცნობისათვის მადლობას მოვახსენებ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს შ. ჩართოლანს.

134. გორაძირი. გორაძირის თხემის ჩრდილოეთ ნაწილში 1997-1998 წწ. წარმოებული სამუშაოების დროს. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები მასალა: კერამიკა – კოლხური ქვევრები, ქოთნები, იმპორტული ამფორები და შავლაკიანი ჭურჭელი, ზოომორფულყოფიანი ტოლჩა. ძვ.წ. V-IV სს. [მეშველიანი, ქორიძე 1999, გვ. 14, ტაბ. 4; Горадзе . . . 2003, ტაბ. III8].

135. ყაზბეგი. ბრინჯაოს ფიბულა (სემ 2-02, № 233). იხ. კატ. 52, 53.

136. კისლოვოდსკი (ყაბარდო). კისლოვოდსკის სამაროვანი. სამარხი № 16 (1933 წ.). ძვ.წ. VI ს. [Козенкова 1998, გვ. 73, 74, ტაბ. XXIV3].

III 1 b ვარიანტის ფიბულები ზოგადად ძვ.წ. VI-IV სს-ით თარიღდება. პარალელური მასალა III 1 b ვარიანტის ფიბულებისათვის ვერ მოვიძიეთ.

III 1 c ვარიანტის ფიბულების რკალის ღერო თანაბრად, შედარებით სუსტად შემსხვილებული და მრგვალგანივკვეთიანია. რკალის ზედაპირი სადაა. კორპუსი ნახევარწრისებრი. ფეხი (ბუდე) – რკალის ღეროსთან შედარებით არასიმეტრიულად განიერი. ნემსსაჭერი – პატარა და ენისებრი ფორმისაა.

III 1 c ვარიანტის ფიბულები (6 ცალი) აღმოჩენილია შიდა ქართლის (თლია, კატ. № № 137-139), ყაბარდო-ბალყარეთის (ბაქსანის ხეობა, კატ. № 141), სტავროპოლის მხარისა (ვოზდევიენსკოე, კატ. № 142) და ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (წითელი შუქურა, კატ. № 140) ძეგლებზე.

137. თლია. სამარხი № 68. ქვებით შემოწყობილი, ქვაყრილიანი. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – სარტყელი, აბზინდა, სპირალური მილაკები, ქინძისთავი, ქვაბი, ფიბულა (იხ. კატ. № 195), ზოდი, ყუამახვილი კოლხური ცული, ლაგამი; რკინა – აკინაკი, შუბისპირი; ძვლის საყბურები. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახევარი – VI ს. [Техов 1985, გვ. 9, 10, ტაბ. 10814].

138. თლია. ქვებით შემოწყობილი ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 139. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – სიტულა, აბზინდა; რკინა – ცული, აკინაკი. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. – VI ს. [Техов 1970, გვ. 105, სურ. 9; მისივე 1980a, გვ. 26, სურ. 5; მისივე 1980b, გვ. 222, სურ. 4; მისივე 1985, გვ. 13, 14, ტაბ. 1354].

139. თლია. ქვის სამარხი № 158 (სამი მიცვალებულით). ბრინჯაოს ფიბულა¹¹⁰ (ეკუთვნის იმ მიცვალებულს, რომლის ჩონჩხიც გამოჩნდა რკინის ფიბულიანი ჩონჩხის ალაგების შემდეგ). თანმხლები ინვენტარი: რკინა – ცული, დანა სქელი ზურგიით; ბრინჯაო – აბზინდა და რგოლი, რომელიც ქვის სალე-ზე იყო მიმაგრებული; რკინა – ფიბულა, ცული. ძვ.წ. I ათასწ. პირველი ნახ. [Техов 1985, გვ. 25, 63, ტაბ. 1419].

140. წითელი შუქურა. ორმოსამარხი № 100(146). ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – რგოლი, 3 სადა სამაჯური. ძვ.წ. VIII-VI სს. [Трапш 1969, გვ. 147, ტაბ. XXV4].

141. ბაქსანის ხეობა. ბრინჯაოს ფიბულა. ე. ზიჩის კოლექცია. ძვ.წ. VII-VI სს. [Козенкова 1998, გვ. 73, 74, ტაბ. XXIV11].

142. ვოზდევიენსკოე (სტავროპოლის მხარე). ციხე-სიმაგრეიდან (1850 წ.). ბრინჯაოს ფიბულა [Крупнов 1960, ტაბ. III8].

¹¹⁰ იხ. Техов 1980, გვ. 32, ტაბ. 81.

ანალოგიური ფიბულა ცნობილია მაგდალენსკა გორადან (სლოვენია), რომელიც ე.წ. Peschiera-ს ტიპის (ძვ.წ. XII-X სს.) ფიბულებზე უფრო ახალგაზრდაა [Starè 1954, გვ. 35, ფიგ. 11].

III 1 c ვარიანტის ფიბულები კავკასიაში ძვ.წ. VII-VI სს-ში არსებობენ.

III 1 d ვარიანტის ფიბულების რკალის ღერო თანაბრად შემსხვილებული და მრგვალგანივკვეთიანია. რკალის ზედაპირი სადაა. კორპუსი ნახევარწრისებრი. ფეხი (ბუდე) – რკალის ღეროსთან შედარებით არასიმეტრიულად განიერი, „ნიჩბისებური“ ფორმის. ნემსსაჭერი – პატარა, მომრგვალებული ან ენისებრი ფორმის.

III 1 d ვარიანტის ფიბულები (4 ცალი) მხოლოდ ყაზბეგის “განძიდან” (კატ. № 143) და ბრილის (კატ. № № 144-146) სამაროვნიდანაა ცნობილი.

143. ყაზბეგი (ყაზბეგის რ-ნი). „ყაზბეგის განძი“. ბრინჯაოს ფიბულა. L 19 სმ. განძი აღმოჩენილია სოფ. სტეფანწმინდაში, მწერალ ალ. ყაზბეგის სახლის ეზოში, 1877 წელს გ. ფილიმონოვის მიერ. „განძის“ 200-მდე სხვადასხვა ნივთი აღმოჩნდა ლითონის ჭურჭლებში, რომლებსაც ჯაჭვი ჰქონდა შემოხვეული. „განძის“ ინვენტარი: ვერცხლის თასი; ბრინჯაო – მათარები, სიტულა, ზარაკები, ფიგურები, შტანდარტები, ევენები, ლაგმები, სამაჯურები, პინცეტები, სარტყლები, ბალთები; რკინის შუბისპირები; ოქრო – სხივანა საყურე, საკიდები და სხვ. „განძში“ 22 ცალი სხვადასხვა ტიპის ბრინჯაოს ფიბულა აღმოჩნდა. „განძის“ ნაწილი დაცულია მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში (კოლ. 75942) და სანკტ-პეტერბურგის ერმიტაჟში; საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (კოლ. 2-02) [Уварова 1900, ტაბ. LXXVIII]; ძვ.წ. VI-V სს [წითლანაძე 1976, გვ. 77-80, 107].

144. ბრილი. აღმოჩენილია № 2 ქვაყრილის თავზე (1960 წ.). ბრინჯაოს ფიბულა. L 7,3 სმ (სემ კოლ. 5-993-15). გამომუქვეყნებულია.

145. ბრილი. № 7 (1952 წ.) სამარხის ჩრდილო-დასავლეთით, კრემაციულ ფენაში. ბრინჯაოს ფიბულა (სემ კოლ. 5-993:206). გამომუქვეყნებულია.

146. ბრილი. სამარხი № 27 (1950 წ.). ბრინჯაოს ფიბულა (სემ კოლ. 5-993:214). თანმხლები ინვენტარი: მძივები – ერთფერი და პოლიქრომიული მინის. გამომუქვეყნებულია.

ისინი ზოგადად ძვ.წ. VI-IV სს-ით თარიღდება.

ყაზბეგის ფიბულას, რომელიც თავისი უზარმაზარი ზომით გამოირჩევა, მისი სიგრძე 19 სმ-ია, ანალოგი არა აქვს.

III 2 _ სიგრძეზე მიმართული “თევზიფხურით” რკალშემკული

III 2 a ვარიანტის ფიბულების რკალის ღერო თანაბრად, შედარებით სუსტად ან ძლიერ შემსხვილებული და მრგვალგანივკვეთიანია. რკალის ზედაპირი დაფარულია სიგრძეზე მიმართული თევზიფხურით. ერთ შემთხვევაში (იხ. ცაიში, კატ. № 155) რკალის ცენტრში სიგანეზე მიმართული თევზიფხურის რამდენიმე რიგია. კორპუსი ნახევარწრისებრი ან ნალისებრია. ფეხი (ბუდე) – რკალის ღეროს სიმეტრიული, ოდნავ ან ძლიერ გაგანიერებული.

ამგვარი ფიბულები (35 ცალი) თითქმის მთელ კავკასიაშია გავრცელებული. ისინი ცნობილია: წითელი შუქურას სამაროვნის № 39(56) სამარხიდან (კატ. № 147), პრიმორსკოედან (კატ. № 148), ვაკიჯვარიდან (კატ. № 149), ფიჭვნარის სამაროვნიდან (კატ. № № 150-154), ცაიშიდან (კატ. № 155), გონადან (კატ. № 156), ყაზბეგის “განძიდან” (კატ. № 157), ოჯოლადან (კატ. № 158), მუხურჩის სამაროვნიდან (კატ. № № 159, 160), სათოვლე-ნაბაღრების № 19 სამარხიდან (კატ. № 161), რკინის კალოს № 27

ორმოსამარხიდან (კატ. № 162), კახეთიდან (კატ. № 163), ყობანიდან (კატ. № № 164-166, 170-172, 176-181), ზემო რუთხადან (№ 168), რუთხადან (კატ. № 167), სერჟენ-იურტიდან (კატ. № 169), სულთანგორსკის I სამაროვნის № 7 სამარხიდან (კატ. № 173), კამუნთადან (კატ. № 174), ძინაგადან და მოზდოკიდან (კატ. № 175).

147. წითელი შუქურა. ორმოსამარხი № 39(56). ბრინჯაოს ფიბულა. L.4,7 სმ. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – მძივები; მძივები – სარდიონის; თიხის ქოთანის. ძვ.წ. VIII-VI სს. [Трапш 1969, გვ. 114, ტაბ. XXV5].

148. პრიმორსკოე (გუდაუთის რ-ნი). შემთხვევითი აღმოჩენა. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ცულები, სატევარი, გვერგვი, ბიკონუსური სპირალები, შუბისპირები, ე.წ. “მუზარადი.” გვიანი ბრინჯაოს ხანა [Отчет . . . 1908, გვ. 103; Стражев 1926, გვ. 106, 107; Кухтин 1949, გვ. 139-147, ტაბ. X4].

149. ვაკიჯვარი (ოზურგეთის რ-ნი). – შემთხვევითი აღმოჩენა (1960 წ.). ბრინჯაოს ფიბულა (ის არ ეკუთვნის ვაკიჯვარის ძვ.წ. XII-XI სს. განძს – ნ. ს. ინახება ოზურგეთის მუზეუმში, № 1500) [რამიშვილი 1974, გვ. 26, 80, 81, ტაბ. XVIII].

150. ფიჭვნარი. სამარხი № 3. ბრინჯაოს ფიბულა (ქ. ფ. კ. V:78, № 17). თანმხლები ინვენტარი: კერამიკა – ყურმილიანი დოქი, სამოსური ლეკითოსი; ბრინჯაო – ნახევარმთვარისებური საყურეები, სამაჯურები სტილიზებული თავებით; მძივები მინის; ფინიკიური მინის ალაბასტრონი; ვერცხლის კოლხური მონეტა. ძვ.წ. V ს. [Кахидзе, Сулава 2005, გვ. 57-63].

151. ფიჭვნარი. სამარხი № 13. ბრინჯაოს ფიბულა (ქ. ფ. კ. V:76, № 368). თანმხლები ინვენტარი: კერამიკა – დოქი ყურზე კოპებით; რკინა – სამაჯური; ბრინჯაო – საყურე შიგნიდან ოქროს ფენით. ძვ.წ. V ს. [Кахидзе, Сулава 2005, გვ. 57-63].

152. ფიჭვნარი. სამარხი № 118. ბრინჯაოს ფიბულა (ქ. ფ. ელ. V:81, № 142). თანმხლები ინვენტარი: კერამიკა – დოქი, კოჭობი; ბრინჯაო – მასიური საყურე რგოლები, გვერდებზაჭრილი ზარაკი, ფარაკიანი ბეჭედი; მინის მძივები. მონეტები – კოლხური თეთრი, სინოპური. ელინისტური ხანა [Кахидзе, Сулава 2005, გვ. 57-63].

153. ფიჭვნარი. სამარხი № 182. ბრინჯაოს ფიბულა (ქ. ფ. კ. V:85, № 124). თანმხლები ინვენტარი: კერამიკა – დოქი, კოჭობი, შავლაკიანი ჭურჭელი II-ს ფორმის ყურით, შავლაკიანი კანელურებიანი ამფორისკი; ბრინჯაო – სამაჯურები; რკინა – ფარაკიანი ბეჭედები; მძივები. ძვ.წ. V ს. [Кахидзе, Сулава 2005, გვ. 57-63].

154. ფიჭვნარი. სამარხი № 264. ბრინჯაოს ფიბულა (ქ. ფ. კ. V:99, № 41). თანმხლები ინვენტარი: რკინა – გაურკვეველი ნივთის ფრაგმენტები, სამაჯური, ფარაკიანი ბეჭედი; ბრინჯაო – სამაჯური; მძივები – ქარვის, მინის. ძვ.წ. V ს. [Кахидзе, Сулава 2005, გვ. 57-63].

155. ცაიში (ზუგდიდის რ-ნი). შემთხვევითი აღმოჩენა (2001 წ.). ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: კერამიკა – ხელადა, სასმისი, ჯამი; ბრინჯაო – სატევრები, აბზინდები, სასაფეთქლე რგოლები, სამაჯურები, ძეწკვი; რკინა – სატევარი; მძივები – სარდიონის, მინის. ძვ.წ. VIII-VII სს. [პაპუაშვილი, ესებუა, 2002, გვ. 49, ტაბ. III3].

156. გონა (ლენხუმი). ბრინჯაოს ფიბულა. შემთხვევითი აღმოჩენა. ცაგერის ისტორიული მუზეუმი.

157. ყაზბეგი. “ყაზბეგის განძი”. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: იხ. კატ. № 143. ძვ.წ. VI-V სს. [წითლანაძე 1976, ტაბ. XXVII]

158. ოჯოლა (წყალტუბოს რ-ნი). ე.წ. “ოჯოლის განძი”. (შემთხვევითი აღმოჩენა 1960 წ.). ბრინჯაოს ფიბულა. ნივთები ეწყო ბრინჯაოს ჭურჭელში: ბრინჯაო – 23 ცალი სწორტანიანი, სეგმენტურპირიანი, წელში მოხრილი თიხის; ხელეჩო, 5 სეგმენტური იარაღი; 2 გრავირებული კოლხური ცული; ბრტყელი ცული; ისრისწვერები; სპირალურად ბოლოებდახვეული, ზედაპირდაკბილული სამაჯურები; ბრტყელ-

ფირფიტოვანი სამაჯური; ბოლოებგახსნილი მასიური რგოლი; ჭურჭლის ნატეხები; ზოდები. ძვ.წ. IX-VIII სს. [ქორიძე 1965, გვ. 38, 39, 119, 120, ტაბ. XXIV8]. ძვ.წ. VIII-VI სს. [ფანცხავა 1988, გვ. 70].

159. მუხურჩა. აღმოჩნდა სამაროვანზე (1974 წ.). ბრინჯაოს ფიბულა. L. 6,5 (სემ კოლ. № 81-976:778, ნივთი გაწმენდისას დაშლილა – ნ. ს.). გამოუქვეყნებელია.

160. მუხურჩა. აღმოჩნდა სამაროვანზე (1974 წ.). ბრინჯაოს ფიბულა. L. 6,5 (სემ კოლ. № 81-976:501). ძვ.წ. VIII-VI სს. [დავლიანიძე 2003-2004, გვ. 23, ტაბ. I7].

161. სათოვლე-ნაზღარები (მცხეთასთან). ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 19. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: კერამიკა; ბრინჯაო – სარტყელი, უმბონები, ტოლჩა, ლანგარი, კვერთხისთავი, საყბურები, მახვილი, მილაკები, პინცეტი, კილიტები, ქინძისთავები, სამაჯურები, ისრისპირი, ბალთები, სასაფეთქლე რგოლი, ირმის ქანდაკებები; რკინა – შუბისპირი მასრაზე ბრინჯაოს მავთულით, ფოთლისებური სატევარი; ოქრო – გარსაკრავი, ფირფიტა; მინის მძივები. ძვ.წ. IX-VIII სს. [აფაქიძე . . . 1982, გვ. 206-208, სურ. 1576].

162. რკინის კალო (თიანეთის რ-ნი). ორმოსამარხი № 27, ორი ინდივიდით. ბრინჯაოს ფიბულა. L. 7 სმ. თანმხლები ინვენტარი: რკინა – მახვილი, სატევარი, შუბისპირი; ბრინჯაო – ისრისპირები, სამაჯურები, ზარაკები, ძეწკვები, საკინძი, პინცეტი, ღილი; კერამიკა; მძივები. ძვ.წ. VIII-VI სს. [კობაიძე 1978, გვ. 56, ტაბ. XLVI413].

163. კახეთი (?). ბრინჯაოს ფიბულა (თსუ არქეოლოგიის კათედრის ექსპოზიცია, კოლ. № 8-48:1). გამოუქვეყნებელია.¹¹¹

164. ყოზანი. ბრინჯაოს ფიბულა [Chantre 1886, ტაბ. XXI3].

165. ყოზანი. ბრინჯაოს ფიბულა [Chantre 1886, ტაბ. XXII3].

166. ყოზანი. ვენისა და სენ-ჟერმენის მუზეუმის კოლექციები. ბრინჯაოს ფიბულა [Уварова 1900, ტაბ. XXXIX9; Chantre 1886, ტაბ. XXI8].

167. რუთხა (ოსეთი). ბრინჯაოს ფიბულა. კ. უვაროვას კოლექცია. [Уварова 1900, ტაბ. CIV2].

168. ზემო რუთხა. ბრინჯაოს ფიბულა. L. 3,5 სმ. იხ. კატ. № 105-109 ე.წ. “ვოსნიერსკას” კოლექცია (ბერლინი, ინვ. III d 3570). გვიანბრინჯაო-რკინის ხანა [Motzenbäcker 1996, გვ. 104, 163, კატ. 452, ტაბ. 62,5].

10

169. სერჟენ-იურტი. შემთხვევითი აღმოჩენა (1971 წ.). დანგრეული სამარხიდან. ბრინჯაოს ფიბულა. ძვ.წ. VIII-VII სს. მიჯნა [Козенкова 1982, გვ. 59, ტაბ. XXXVII2; Kozenkova 1992, გვ. 53, ტაბ. 892].

170-172. ყოზანი. ბრინჯაოს 3 ფიბულა (სემ კოლ. 1-02:37, 49, 55). 1877 წ. ბ. ანტონოვიჩის გათხრები. მასალა ინახება ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (22 ფიბულა). [Уварова, Радде 1902].

173. სულთანგორსკი (სტავროპოლის მხარე). № 1 სამაროვანი. სამარხი № 7. ძვ.წ. VII-VI სს. [Козенкова 1998, გვ. 73, 74, ტაბ. XXIV7].

174. კამუნთა (ოსეთი). სამაროვანი აღმოჩნდა შემთხვევით, 1876 წ. 1879 წ. გათხრებს აწარმოებდა ვ. ბ. ანტონოვიჩი; 1882 წ. – ს. ა. უვაროვი. გაითხარა 7 სამარხი. ბრინჯაოს ფიბულები (რაოდენობა არაა აღნიშნული – ნ. ს.) [Уварова 1900, გვ. 297, 30, ტაბ. CIV2-ის მსგავსი].

175. ძინაგა და მოზდოკი (ოსეთი, ირაფის რ-ნი). 1977 წ. შემთხვევით აღმოჩენილი სამარხი. ბრინჯაოს ფიბულა (3 ფიბულიდან ერთ-ერთი). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – სარტყელი-ჯაჭვი, სამაჯური, ზარაკი,

¹¹¹ მასალის გაცნობისათვის მადლობას მოვახსენებ კათედრის გამგეს. დ. ახვლედიანს და კათედრის თანამშრომელს თ. კეკელიძეს.

რკინის ცულები და შუბისპირი, თიხის ჭურჭელი. ძვ.წ. VII ს. ბოლო – VI ს. [Козенкова 1996, გვ. 25, სურ. 128].

176. ყობანი. № 9 ქვის სამარხი, გათხრილი ე. შანტრის მიერ. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ბალოები, სპირალური ხვიები, ნიჩბისებურთავიანი ქინძისთავები და გრეხილდეროიანი თავხვია საკინძები, სპირალურბოლოებიანი სასაფეთქლეები, სამაჯურები, სარტყლის ფრაგმენტები, ნახევარწრიული აბზინდა რკინის ინკრუსტაციით, ვერძის თავის ფორმის საკიდები, მილაკები; 2 ყურიანი თიხის სასმისი; ცხვრის ძვლები; სარდიონისა და მინის მძივები [Chantre 1886, გვ. 25, 26; Козенкова 1996, გვ. 15, სურ. 310, სურ. 4].

177. ყობანი. ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 12. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – გრეხილდეროიანი თავხვია საკინძები, მილაკები, სპირალური ხვიები, სარტყელის ფრაგმენტები, მართკუთხა აბზინდა, სატევარი, ცული, ძეწკვი, ჯვრისებური საკიდი, ფიგურები – მგელი, ცხვარი, ირემი, ღილეები, ლაგამი; თიხის ჯამი. ძვ.წ. VIII ს. [Chantre 1886, გვ. 28; Козенкова 1996, გვ. 15, სურ. 511].

178, 179. ყობანი. სამარხი № 16. ბრინჯაოს 2 ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – მართკუთხა აბზინდა, სპირალურთავიანი სამაჯურები, სპირალური ხვიები, რომბული ბალოები, სპირალურთავიანი სასაფეთქლეები, ფიგურული საკიდები; სახურავიანი თიხის ჭურჭელი [Chantre 1886, გვ. 28; Козенкова 1996, სურ. 717,18].

180, 181. ყობანი. სამარხი № 17. ბრინჯაოს 2 ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – მართკუთხა აბზინდა, ნიჩბისებური თავხვია საკინძები, რომბული ბალოები, ღილეები, სპირალური ხვიები; სახურავიანი თიხის ჭურჭელი [Chantre 1886, გვ. 28; Козенкова 1996, სურ. 820,21].

კავკასიაში გავრცელებული III 2 a ვარიანტის ფიბულების ანალოგები ანატოლიიდან, მახლობელი აღმოსავლეთიდან და წინა აზიიდან უცნობია [შდრ. Caner 1983; Stronach 1959; Pedde 2000].

კავკასიის III 2 a ვარიანტის ფიბულების სიგრძივი თევზიფხური დეკორი ჩანს ეგეოსური სამყაროს ადრეული ხემისებურ ფიბულებზე [Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 36, ტაბ. I8], მაგრამ სხვა სახის შემკულობასთან კომბინაციაში. ასეთივე კომბინირებული შემკულობისაა გროსმიუგლის (ქვემო ავსტრია) კრემაციული სამარხის ხემისებრი ფიბულა, რომელიც უფროსი ურნასამარხების ხანის დასაწყისით (ძვ.წ. XII ს.) თარიღდება [Müller-Karpe 1959, გვ. 276, ტაბ. 124, B1-8; Betzler 1974, გვ. 13-15, ტაბ. I7, 907]. ამავე რეგიონიდან, ვალამანდ-დესოუსიდან (კანტონი ვაუდი), ნასახლარიდან მომდინარეობს ძვ.წ. X ს-ის მაღალრკალიანი ფიბულა, რომლის რკალიც სეგმენტურადაა შემკული სიგრძივი და განივი თევზიფხურით [Betzler 1974, გვ. 7, ტაბ. 14144].

სიგრძივი და განივი თევზიფხურის კომბინაციებითაა შემკული, ძვ.წ. X ს-ის მეორე ნახევრით დათარიღებული ე.წ. კნოტებიანი (რკალის თავსა და ბოლოში დისკოსებურ შემსხვილებებიანი) ფიბულები ცენტრალური ბალკანეთიდან: დემირ კაპრა (ცენტრალური მაკედონია), “პრილეპის რაიონი”, პრილეპეცი, რაპემ “კარანკა” (სამივე პელაგონია) [Vasić 1999, გვ. 45, 46, ტაბ. 24274,277,278,279].

იტალიის მასალებშიც სიგრძივი თევზიფხური სახე მხოლოდ მცირე სეგმენტის სახით გვხვდება სხვა შემკულობებთან კომბინაციაში. აქაც ადრეული ხანის, ძვ.წ. XII ს-ის ხემისებურ ფიბულებზეა წარმოდგენილი ვერონის მუზეუმიდან. მათი აღმოჩენის ადგილი უცნობია [Eles Masi 1986, გვ. 12, ტაბ. 362,63]. შემკულობის ეს სახე გვხვდება აგრეთვე გარდაში (ვერონის პროვინცია) აღმოჩენილ, ძვ.წ. X ს-ის ე.წ. ამაღლებულთაღიანი ტიპის ფიბულაზე, რომლის რკალის თავი და ბოლო გრეხილია, ხოლო შუა ნაწილი შემკულია ირგვლივი წრეხაზებისა და სიგრძივი თევზიფხურის სეგმენტებით [Eles Masi 1986, გვ. 52, ტაბ. 29427].

როგორც პარალელური მასალის მიმოხილვიდან ჩანს, III 2 a ვარიანტის ფიბულები მხოლოდ კავკასიის კუთვნილებაა; სიგრძივი თევზიფხურით შემკობა მხოლოდ კავკასიის რკალისებრ ფიბულებს ახასიათებთ. III 2 a ვარიანტის ფიბულები ძვ.წ. VIII ს-ში ჩნდება და ძვ.წ. IV ს-ის ჩათვლით არსებობენ.

III 2 b ვარიანტის ფიბულების რკალის ღერო თანაბრად, შედარებით სუსტად ან ძლიერ შემსხვილებული და მრგვალგანივკვეთიანია. რკალის ზედაპირი დაფარულია სიგრძეზე მიმართული თევზიფხურით. კორპუსი ნახევარწრისებრი ან ნალისებრია. ფეხი (ბუდე) – რომბისებური ფორმისაა. ნემსსაჭერი მომრგვალებულია.

ამ ვარიანტის ფიბულები (2 ცალი) მხოლოდ ბრილის სამაროვნიდანაა (კატ. № № 182, 183) ცნობილი.

182. ბრილი. სამარხი № 29 (1950 წ.). ბრინჯაოს ფიბულა. L. 6,5 სმ. (სემ კოლ. 5-993:222). თანმხლები ინვენტარი: რკინა – აკინაკი, მოხრილი დანა, წერაქვი, ცული, შუბ-ცული, ფიბულის ფრაგმენტები, ბრინჯაოს 2 გვერდებზაჭრილი ზარაკი, ფირფიტისებური სამაჯურები, ზარი არწივის გამოსახულებით, ჯვრისებურ-თავიანი საკინძი, ძეწკვი; ვერცხლი – თავგახვრეტილი სასაფეთქლე, ოთხსხივიანი საყურე თავგახვრეტილი რკალით, ოქრო - 2 სასაფეთქლე, მძივები. ძვ.წ. VI ს-ის მეორე ნახევარი [ვირცხალავა 2001, გვ. 80, ტაბ. IV].

183. ბრილი. აღმოჩნდა № 1 ფართობზე (1953 წ.). ბრინჯაოს ფიბულა (სემ კოლ. 5-993:139). ნემსი მოტეხილი აქვს. ზამზარის ზემოთ შერჩენილია რკინის ნახვევი. შესაძლოა ნემსის მოტეხვის შემდეგ, მას რკინის ღეროთი გაუკეთეს ნემსი). გამოუქვეყნებელია.

მათთვის ანალოგები ვერ მოვიძიეთ, როგორც კავკასიაში, ისე სხვაგანაც. ერთ-ერთი ფიბულა (კატ. № 183), რომელსაც ნემსი მოტეხილი აქვს, რეპარირებულია; მას ზამზარის ზემოთ, რკალზე შერჩენილი აქვს რკინის ნემსის ნახვევი. ისინი ძვ.წ. VI ს-ის მეორე ნახევრით თარიღდებიან.

III 2 c ვარიანტის ფიბულების რკალის ღერო შემსხვილებული და მრგვალგანივკვეთიანია. რკალის ზედაპირი დაფარულია სიგრძეზე მიმართული თევზიფხურით. კორპუსი ნახევარწრისებრი ან ნალისებრია. ფეხი (ბუდე) – მნიშვნელოვნად გაგანიერებულია. ნემსსაჭერი მოტეხილია.

ამ ვარიანტის ფიბულა (კატ. № 184) მხოლოდ ერთი ცალია ცნობილი წითელი შუქურას სამაროვნის ძვ.წ. VI-V სს-ით დათარიღებული № 26(35) სამარხიდან.

184. წითელი შუქურა. ორმოსამარხი № 26(35). ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: მოწითალო თიხის დოქი; ვერცხლის საყურე რგოლები; ბრინჯაო – ფიბულა, ძეწკვი, ფიალა, 6 სამაჯური; რკინა – 2 ფიბულა (იხ. კატ. № 889, 890); მძივები – ქარვის, მინისა და სარდიონის. ძვ.წ. VIII-VI სს. [Трапш 1969, გვ. 104-106, ტაბ. VIII3]; ძვ.წ. VI-V სს. [Квирквелия 1981, გვ. 5].

III 2 d ვარიანტის ფიბულების რკალის ღერო თანაბრად შემსხვილებული და მრგვალგანივკვეთიანია. რკალის ზედაპირი დაფარულია სიგრძეზე მიმართული თევზიფხური სახითა და წრეებით შედგენილი სამკუთხედების სეგმენტებით. კორპუსი ნახევარწრისებრი ან ნალისებრია. ფეხი (ბუდე) – მნიშვნელოვნად გაგანიერებულია და შემკულია წრეებით შედგენილი სამკუთხედებით. ნემსსაჭერი დაბალი და მილისებურად მომრგვალებულია.

185. ყაზბეგი. ბრინჯაოს ფიბულა (სემ 2-02, № 227). იხ. კატ. № 52, 53. ძვ.წ. V-IV სს. [სულავა 2003, გვ. 83, ტაბ. I1].

ამ ვარიანტის ფიბულა მხოლოდ ერთი ცალია (კატ. № 185) აღმოჩენილი 1879 წელს ყაზბეგში, ალ. ყაზბეგის სახლის ეზოში წარმოებული გათხრების დროს. როგორც ჩანს, მაშინ სამი სამარხისა და “განძის” ინვენტარის ნაწილი გადაეცა კავკასიის მუზეუმს (სემ კოლ. 2-02). ფიბულა ძვ.წ. V-IV სს-ით თარიღდება.

III 2 e ვარიანტის ფიბულის რკალის ღერო თანაბრად შემსხვილებული და მრგვალგანივკვეთიანია. რკალი შემკულია სიგრძივი თევზიფხური სახისა და ირგვლივი წრეხაზების სეგმენტებით. ფეხი (ბუდე) – მნიშვნელოვნად გაგანიერებულია.

186. ყაზბეგი. ბრინჯაოს ფიბულა (სემ კოლ. 2-02, № 236). თანმხლები ინვენტარი: იხ. კატ. № 52, 53, 185. ძვ.წ. V-IV სს. [სულავა 2003, გვ. 83, ტაბ. 15].

ამ ვარიანტის ფიბულა (კატ. № 186) მხოლოდ ერთი ცალია ცნობილი ყაზბეგიდან და თარიღდება ძვ.წ. V-IV სს-ით.

III 3 – ირგვლივი “თევზიფხურით” რკალშემკული

III 3 a ვარიანტის ფიბულების რკალის ღერო თანაბრად, შედარებით სუსტად ან ძლიერ შემსხვილებული და მრგვალგანივკვეთიანია. რკალის ზედაპირი დაფარულია განივად მიმართული თევზიფხური სახით. ზურგი ბუდისა და ზამბარისაგან გამოყოფილია ირგვლივი ხაზების ან რომბული ბადით შევსებული სეგმენტით. კორპუსი ნახევარწრისებრი ან ნალისებრია. ფეხი (ბუდე) – რკალის ღეროს სიმეტრიული ან გაგანიერებული და სადაა. ნემსსაჭერი პატარა და მომრგვალებულია.

ამ ვარიანტის ფიბულები (65 ცალი) ცნობილია: თლიას სამაროვნიდან (კატ. № № 187-224), ბრილიდან (კატ. № 225), ნიგოზეთიდან (კატ. № 226), ჭიკაანიდან (კატ. № 227), ჭაჭკაანიდან (კატ. № 228), ჩაბარუხიდან (კატ. № № 229-232), ყობანიდან (კატ. № № 233-246), ზაიუკოვოდან (კატ. № 247), ფასკაუდან (კატ. № 248), შაროიდან (კატ. № № 249, 250), მაჭარწყალიდან (კატ. № 251).

187. თლია. სამარხი № 16a (ორი მიცვალებულით). ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – მთლიანადსხმული მახვილი, 2 დილი, 2 გრავირებული ტანმრუდი კოლხური ცული, 2 სამაჯური, სწორკუთხა გრავირებული აბზინდა, ზოომორფულუყურიანი სიტულა. ძვ.წ. XII-X სს. [Texov 1960, გვ. 167-171; მისივე, 1971, გვ. 153-157, სურ. 56; მისივე, 1980, გვ. 15, ტაბ. 345].

188. თლია. ქვებით შემოწყობილი ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 15 (ორი მიცვალებულით). ბრინჯაოს ფიბულა (აღმოჩნდა ქვედა დონეზე დაკრძალულ მამაკაცთან). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – სარტყელი, თასი (თავის ქალებთან), სატევარი ქედზე სპირალური ორნამენტით; რკინა – ცული (თავის ქალებთან), ფიბულა. მძივები – სარდიონის, ფაიანსის. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. – VI ს. [Texov 1960, გვ. 166; მისივე 1971, გვ. 152, სურ. 55; მისივე 1985, გვ. 5, 6, 62, სურ. 1001].

189. თლია. სამარხი № 17 (ორი მიცვალებულით). ბრინჯაოს ფიბულა (აღმოჩნდა მამაკაცის ინვენტართან). თანმხლები ინვენტარი: თიხა – შავად გამომწვარი ქოთანნი; ბრინჯაო – ალისებური სატევარი, განიერი ქელით. ძვ.წ. XII-X სს. [Texov 1971, გვ. 157, 158; მისივე 1980, გვ. 16, ტაბ. 354].

190. თლია. სამარხი № 32. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: თიხა – კათხა; ბრინჯაო – კასრისებური მძივი, სარტყელი, აბზინდა, რომბისებური ბალთა, სატევარი; მძივები – სარდიონის, ობსიდიანის. ძვ.წ. XII-X სს. [Texov 1980, გვ. 18, ტაბ. 422].

191. თლია. სამარხი № 37. ბრინჯაოს ფიბულა (მეორე ფიბულის შესახებ იხ. კატ. № 34). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ფიბულა (კატ. № 41), 3 სატევარი, ქინძისთავი, ხვია; მძივები – სარდიონის. ძვ.წ. XII-X სს. [Texov 1980, გვ. 19, 51, ტაბ. 43, სურ. I4].

Едшф

192. თლია. სამარხი № 57. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ქინძისთავი, ზოდი, კვერთხისთავი, სპირალური ხვია, სატევარი, სარტყელი, აბზინდა, ღილები, მძივები, რომბისებური ბალთა; მძივები – სარდიონის, ფაიანსის. ძვ.წ. XII-X სს. [Texov 1980, გვ. 21, ტაბ. 47, სურ. II2].

193. თლია. სამარხი № 63. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – სატევარი, მძივი, მრუდეტანიანი გრავირებული კოლხური ცული, თასი, სარტყელი, ღილები, ფირფიტის ფრაგმენტები; მძივები – სარდიონის. ძვ.წ. XII-X სს. [Texov 1980, გვ. 21, ტაბ. 48, სურ. II2].

194. თლია. სამარხი № 66. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – სამაჯური სპირალური ბოლოებით, სატევარი, აბზინდა, ზოდი; მძივები – სარდიონის; ცხვრის კოჭები. ძვ.წ. XII-X სს. [Texov 1980, გვ. 22, ტაბ. 51, სურ. II3].

195. თლია. სამარხი № 68. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – სარტყელი, აბზინდა, სპირალური მილაკები, ქინძისთავი, ქვაბი, ფიბულა (იხ. კატ. № 137), ზოდი, ყუამახვილი კოლხური ცული, ლაგამი; რკინა – აკინაკი, შუბისპირი; ძვალი – საყბურები. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. – VI ს. [Texov 1985, გვ. 9, 10, ტაბ. 10814].

196. თლია. სამარხი № 79. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ფირფიტის ფრაგმენტი, სარტყლის ფრაგმენტები, აბზინდა, სატევარი, ღილი; მძივები – სარდიონის, კალციტის. ძვ.წ. XII-X სს. [Texov 1980, გვ. 23, ტაბ. 58, სურ. I4].

197. თლია. სამარხი № 112 (ორი მიცვალებულით). ბრინჯაოს ფიბულა (ნაპოვნია კარგად შემონახულ ჩონჩხთან). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – სატევარი, სარტყლის ფრაგმენტები. ძვ.წ. XII-X სს. [Texov 1980, გვ. 28, ტაბ. 71, სურ. III]. шф

198. თლია. სამარხი № 114. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – თასი, ყუამახვილი კოლხური ცული, სატევარი, აბზინდა, ფიბულა (იხ. კატ. № 288); რკინა – სატევარი, გაურკვეველი ნივთი; მძივები – გიშრის (?). ძვ.წ. X ს. ბოლო – IX ს. [Texov 1981, გვ. 8, 9, ტაბ. 568].

199. თლია. ქვაყრილიანი ქვის სამარხი № 156. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – სატევარი; ობსიდიანის ფრაგმენტი; მძივები – სარდიონის. ძვ.წ. XII-X სს. [Texov 1980, გვ. 31, 32, 52, ტაბ. 80, სურ. II2].

200. თლია. ქვაყრილიანი ქვის სამარხი № 159. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – სატევარი მკვეთრი ქედით. ძვ.წ. XII-X სს. [Texov 1980, გვ. 32, 52, ტაბ. 822].

201, 202. თლია. სამარხი № 161 (ქვის ფილების ქვეშ, ორი მიცვალებული. რომელ მიცვალებულს ეკუთვნოდა ინვენტარი გაურკვეველია). ბრინჯაოს 2 ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ორნამენტირებული და სადა სარტყელი; სატევარი, ჯაჭვები, ვედრო, რგოლი, გრავირებული კოლხური ცული, სამაჯური, აბზინდა, ზარაკი, ბორბლისებრი ფორმის ბალთა. ძვ.წ. IX-VII ს. პირველი ნახ. [Texov 1981, გვ. 38, 39, სურ. 31, ტაბ. 1115,11].

203. თლია. ქვებით შემოწყობილი ქვაყრილიანი კვადრატული მოყვანილობის ორმოსამარხი № 67ა. ორი მიცვალებულით. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი იმ მიცვალებულისა, რომელიც მიხვეტილი იყო ძვლების გროვად ახალი დაკრძალვის გამო: ბრინჯაო – სატევარი. ძვ.წ. XII-X სს. [Texov 1980, გვ. 33, ტაბ. 85, სურ. II].

204. თლია. სამარხი № 190. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – სარტყლის ფრაგმენტები, აბზინდა, სატევარი, კოლხური ცული, სიტულა, აჟურული საკიდის ფრაგმენტები, მინიატურული სასმისი, ღილი; მძივები – თიხის, სფერული, დაფარული ოქროს ფურცლით. ძვ.წ. XII-X სს. [Texov 1980, გვ. 33, 34, ტაბ. 861].

205. თლია. ქვებით შემოწყობილი ორმოსამარხი № 199. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – სამაჯური. ძვ.წ. XII-X სს. [Texov 1980, გვ. 34, ტაბ. 87, სურ. III].

206. თლია. სამარხი № 201 (ქვის ფილაზე დასვენებული იყო ბავშვი). ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – გრავირებული კოლხური ცული, პინცეტი, სარტყელის ფრაგმენტები; მძივები – სარდიონის. ძვ.წ. XI-X სს. [Texov 1980, გვ. 34, ტაბ. 883].

207. თლია. ქვყრილიანი სამარხი № 215ა (ორი მიცვალებულით). ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – გრავირებული კოლხური ცული, 2 თასი; მძივები – სარდიონის. ძვ.წ. XI-X სს. [Texov 1980, გვ. 36, ტაბ. 932].

208. თლია. ქვებით შემოწყობილი ქვყრილიანი ორმოსამარხი № 266. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – სიტულა, გრავირებული კოლხური ცული, 2 სატევარი (ვადაზე რკინის ფირფიტებით), სარტყელის ფრაგმენტები, აბზინდა, 2 ზოდი; ვერცხლი – სასაფეთქლე; მძივები – თიხის, რომელთაც გული სარდიონისა აქვთ. მძივები დაფარულია ოქროს ფურცლით. ძვ.წ. XII-X სს. [Texov 1980, გვ. 45, ტაბ. 1156].

209. თლია. ქვებით შემოწყობილი ქვყრილიანი ორმოსამარხი № 282. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – სატევარი, გრავირებული კოლხური ცული, სარტყელი, აბზინდა; რკინა – გაურკვეველი ნივთი; მძივები – ოქროს ფურცლით დაფარული თიხა; ანთიმონი – საკიდი. ძვ.წ. X ს. ბოლო – IX ს. [Texov 1981, გვ. 19, 20, ტაბ. 823].

210. თლია. ქვებით შემოწყობილი ქვყრილიანი ორმოსამარხი № 310 (ორი მიცვალებულით). ბრინჯაოს ფიბულა (ზედა მიცვალებულთან). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – სარტყელი, თასი, სატევარი ქარქაშით, ჯაჭვი ბალთით, ყუაჩაქუჩიანი გრავირებული კოლხური ცული; რკინის ნივთები, როგორც ჩანს, ეკუთვნოდა მეორე მიცვალებულს. ძვ.წ. X ს. ბოლო – IX ს. [Texov 1981, გვ. 22, 23, ტაბ. 884].

211. თლია. სამარხი № 324. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – აბზინდა, ყუაჩაქუჩიანი კოლხური ცული; რკინის მოხრილი დანა (ეს ნივთი უფრო სატევარი უნდა იყოს – ნ. ს.). ძვ.წ. X ს. ბოლო – IX ს. [Texov 1981, გვ. 23, ტაბ. 894].

212. თლია. ქვის სამარხი № 22 (ბავშვის). ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – სატევარი, პატარა ზოდი, ღილი; სარდიონის მძივები; თიხის ორი ჭურჭელი. ძვ.წ. XII-X სს. [Texov 1960, გვ. 175, 176, სურ. 11, 12; მისივე 1971, გვ. 162, სურ. 59; მისივე 1980, გვ. 16, 17, ტაბ. 384].

213. თლია. ორმოსამარხი № 301 (ორი მიცვალებულით). ბრინჯაოს ფიბულა (პირველ მიცვალებულთან). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – სარტყელი, თასი; რაღაც მინერალის მძივები. ძვ.წ. X ს. ბოლო – IX ს. [Texov 1981, გვ. 20, 21, ტაბ. 858].

214. თლია. სამარხი № 146ა. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – თასი, მთლიანადსხმული სატევარი. ძვ.წ. XII-X სს. [Texov 1970, გვ. 104, სურ. 8; მისივე 1980, გვ. 31, ტაბ. 793].

215, 216. თლია. სამარხი № 140 (რამდენიმე მიცვალებულით). ბრინჯაოს 2 ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – 2 ყუაჩაქუჩიანი გრავირებული კოლხური ცული, სიტულა, სარტყელი, აბზინდა, ჯაჭვი; რკინა – შუბისპირი; მძივები (მასალა აღნიშნული არ არის). ძვ.წ. X ს. ბოლო – IX ს. [Texov 1981, გვ. 9, 10, ტაბ. 598,9].

217. თლია. სამარხი № 83. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – სიტულა, ფირფიტისებური სამაჯურები სპირალური ბოლოებით, ფირფიტისებური ბეჭდები, რომბისებური ბალთები, სარტყელი და აბზინდა, წვივის რგოლები; ვერცხლის სასაფეთქლეები; სარდიონისა და მინის მძივები. ძვ.წ. XII-X სს. [Texov 1980, გვ. 24, ტაბ. 602].

218, 219. თლია. სამარხი № 76 (ორი მიცვალებულით). ბრინჯაოს 2 ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – 2 ყუაჩაქუჩიანი გრავირებული კოლხური ცული, 2 სატევარი, სიტულა, პატარა ზოდი,

სარტყელი და აბზინდა; ოქროს ფურცლით დაფარული მძივები. ძვ.წ. XII-X სს. [Texov 1980, გვ. 23, ტაბ. 55, სურ. II5,6].

220. თლია. სამარხი № 51. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – გვერგვი, ყუაზე სკულპტურული გრავირებული კოლხური ცული, სიტულა, სატევარი, სარტყელი, აბზინდა. ძვ.წ. X ს. ბოლო – IX ს. [Texov 1981, გვ. 7, 8, ტაბ. 537].

221-224. თლია. სამარხი № 302 (ორი მიცვალებულით). ბრინჯაოს 4 ფიბულა. თანმხლები ინვენტარი (ინვენტარის განცალკევება არ ხერხდება): ბრინჯაო – თასები, 2 ყუაჩაქუჩიანი კოლხური ცული, წვივის რგოლები, სატევრის ფრაგმენტი, აბზინდა, სამაჯურები, ქინძისთავი, ბეჭედი, რომბისებური ბალთები, სასაფეთქელები, 3 სიტულა; მძივები – სარდიონის, გიშრის, ოქროს ფურცლით დაფარული. ძვ.წ. X ს. ბოლო – IX ს. [Texov 1981, გვ. 21, 22, ტაბ. 869-12].

225. ბრილი. დანგრეული კრემაციული სამარხი (1951 წ.). ბრინჯაოს ფიბულა. L. 8,4 სმ. (სემ კოლ. 5-993:341). გამოუქვეყნებელია.

226. ნიგოზეთი (ჭიათურის რ-ნი). შემთხვევითი აღმოჩენა. ბრინჯაოს ფიბულა. L. 10,5 სმ. (სემ კოლ. 17-51:3). თანმხლები მასალა: ბრინჯაო – სასაფეთქლე რგოლები, ლაგმის ნაწილები, შუბისპირები, ბალთები, სატევრები; კერამიკის ფრაგმენტები. გამოუქვეყნებელია.

227. ჭიკანნი (დუშეთის რ-ნი). შემთხვევითი აღმოჩენა (1959 წ.). ბრინჯაოს ფიბულა. L. 5 სმ. (სემ კოლ. 38-59:3). თანმხლები მასალა: კერამიკა – ჭურჭლის ყური და ნატეხები; ბრინჯაო – აბზინდა ხელის ფორმის, საკინძი, სპირალი, რგოლები, სამაჯურები, ჯაჭვი, სატევრის პირი, ფიბულა (სემ კოლ. 38-59:3, კატ. № 252). გამოუქვეყნებელია.

228. ჭაჭკანნი (ფასანაურთან, დუშეთის რ-ნი). შემთხვევითი აღმოჩენა (1957 წ.). გადმოცემით ქვის სამარხი უნდა ყოფილიყო. ბრინჯაოს ფიბულა. L. 7,5 სმ. (სემ კოლ. 4-59:2). თანმხლები მასალა: სატევრის პირი, ხვია, შუბისპირი, სამაჯურის ფრაგმენტები; კერამიკის ნატეხები [წითლანაძე 2003, გვ. 99, 100, ტაბ. II3].

229-232. ჩაბარუხი (დუშეთის რ-ნი). ჩაბარუხის განძი. შემთხვევითი აღმოჩენა (1961 წ.). ბრინჯაოს ნივთებს შემოხვეული ჰქონდა ბრინჯაოს სარტყელი. ბრინჯაოს 4 ფიბულა (სემ კოლ. 27-61:20 – L 9,3 სმ, 27-61:21 – L 8,7 სმ, 27-61:22 – L 7,5 სმ, 27-61:23 – L 7,7 სმ). თანმხლები მასალა: ბრინჯაო – სატევრები, კოლხური ცულები, შუბისპირები, ფარი, სამაჯურები, სიტულა, მილები, ჯამები, ფიგურები (ცხვრის, ვერძის, ირმის), საყბურები, ბალთები, ჯაჭვები, სარტყელები, დუგმები, რგოლები, ფიბულა (სემ კოლ. 27-61:19, კატ. № 297), მძივები. ძვ.წ. VIII-VII სს. [კალანდაძე 1965, გვ. 81]; ძვ.წ. VII-VI სს. [Паницхава 1986, გვ. 23-34, ტაბ. I; Unterwegs 1995, გვ. 282, კატ. 224].

233. ყობანი. ბრინჯაოს ფიბულა [Уварова 1900, ტაბ. XXX2].

234. ყობანი. ბრინჯაოს ფიბულა [Chantre 1886, ტაბ. XXI1].

235. ყობანი. ბრინჯაოს ფიბულა [Chantre 1886, ტაბ. XXI2].

236. ყობანი. ბრინჯაოს ფიბულა [Chantre 1886, ტაბ. XXIII1].

237. ყობანი. ბრინჯაოს ფიბულა [Chantre 1886, ტაბ. XXII6].

238-246. ყობანი. ბრინჯაოს 9 ფიბულა (სემ კოლ. 1-02:34, 36, 38, 43-45, 47, 48, 52). 1877 წ. ყობანის სამაროვნის გათხრებში მონაწილეობდა ბ. ანტონოვიჩი. მის მიერ მოპოვებული მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (22 ფიბულა) [Уварова, Радде 1902].

247. ზაიუკოვო. № 1 სამაროვანი (ატაჟუკინ I, სამარხი “Л”, ვ. ი. დოლბეჟევის გათხრები). ბრინჯაოს ფიბულა. ძვ.წ. X-VII სს. [Козенкова 1998, გვ. 73, ტაბ. XXIV21].

248. ფასკაუ (ოსეთი, დიგორია). ბრინჯაოს ფიბულა. *L. 7,2 სმ. ე.წ. "ვოსნიერსკას" კოლექცია (ინვ. IIId 4749). გვიანბრინჯაო-რკინის ხანა [Motzenbäcker 1996, გვ. 104, 149, კატ. 102, ტაბ. 12,2].*

249, 250. შაროი. ბრინჯაოს 2 ფიბულა [Козенкова 1978, გვ. 160, სურ. 2-410,11].

251. მაჭარწყალი (ბორჯომის რ-ნი, წაღვერთან). ბრინჯაოს ფიბულა (სემ კოლ. 16-32:61).

III 3 a ვარიანტის, ანუ შემსხვილებულ რკალზე ირგვლივი თევზიფხური სახით შემკული ფიბულების ანალოგიური მასალა ანატოლიის, მახლობელი აღმოსავლეთისა და წინა აზიის ქვეყნებიდან უცნობია [იხ. Stronach 1959; Caner 1983; Pedde 2000].

ბულგარეთის ძეგლებიდან ანალოგიური ფიბულები უცნობია [იხ. Gergova 1987]. თუმცა, ვარნის მუზეუმში დაცულია ერთი ამგვარად შემკული ფიბულა, რომელთან დაკავშირებითაც მ. გეორგიევა მიუთითებს, რომ ამგვარი ფიბულები გავრცელებული ყოფილა ძვ.წ. IX-VIII სს-ში ხმელთაშუაზღვისპირეთსა და კავკასიაშიო [Георгиева 1993, გვ. 14, კატ. 2].

მსგავსი ფიბულები უცნობია რუმინეთიდანაც [Bader 1983].

III 3 a ვარიანტის ზუსტი ანალოგები უცნობია ცენტრალური ევროპიდან (სამხრ. გერმანია, ავსტრია, შვეიცარია), მაგრამ ზემო ბავარიაში აღმოჩენილი ძვ.წ. IX ს-ით დათარიღებული ფიბულა, რომელიც იტალიური წარმოშობის უნდა იყოს, შემკულია განივი თევზიფხურისა და ირგვლივი ხაზების სეგმენტებით [Betzler 1974, გვ. 152, ტაბ. 731008].

ცენტრალური ბალკანეთის მასალებიდან ანალოგიური ფიბულები უცნობია [იხ. Vasić 1999].

ჩრდილო იტალიის მასალებიდან III 3 a ვარიანტის ანალოგიური ფიბულა ცნობილია ამენოდან (ნოვარას პროვინცია), კრემაციული სამარხიდან, რომელიც მ. პრიმასის მიხედვით დათარიღებულია HaB2-ით ანუ ძვ.წ. IX ს-ით [Primas 1970, ტაბ. I A5; Eles Masi 1986, გვ. 35, ტაბ. 15267]. დანარჩენ შემთხვევებში ირგვლივი თევზიფხური სახე კომბინირებულია სხვა ორნამენტთან – ირგვლივი ხაზები და ღარები, რომლებიც ბადის სეგმენტი, ღეროს გრეხილი ორნამენტი და სხვ. [Müller-Karpe 1959, ტაბ. 518, 16A,B, 17A,B, 19A,C, 21A, 24A, 29A,C, 30A,C, 35, 47, 48, 57, 74E, 77A,C,E,G,H,K, 78A-O, 80A,C,D-G, 81D].

საბერძნეთის მასალებიდან ჩვენი ფიბულების ანალოგები უცნობია [იხ. Blinkenberg 1926; Kilian 1975; Sapouna-Sakellarakis 1978].

ამ ვარიანტის ფიბულების არსებობა ძვ.წ. VIII-VI სს-ით განისაზღვრება.

III 3 b ვარიანტის ფიბულების რკალის ღერო თანაბრად, შედარებით სუსტად ან ძლიერ შემსხვილებული და მრგვალგანივკვეთიანია. რკალის ზედაპირი დაფარულია განივად მიმართული თევზიფხური სახით. ზურგი ბუდისა და ზამზარისაგან გამოყოფილია ირგვლივი ხაზების ან რომლებიც ბადით შევსებული სეგმენტით. კორპუსი ნახევარწრისებრი ან ნალისებრია. ფეხი (ბუდე) – რკალის ღეროს სიმეტრიული და ბუდეშემკულია (თევზიფხური სახით, მეანდრით, ფანტასტიკური ცხოველით, მალტური ჯვრით, გველით). ნემსსაჭერი პატარა და მომრგვალებულია.

ამ ვარიანტის ფიბულები (30 ცალი) ცნობილია: ჭიკაანიდან (კატ. № 252), თლიდან (კატ. № 253-274), მზეთაშედან (კატ. № 275-277, 278-281).

252. ჭიკაანი. შემთხვევითი აღმოჩენა (1959 წ.). ბრინჯაოს ფიბულა. *L. 7,8 სმ. (სემ კოლ. 38-59:2). თანმხლები მასალა: კერამიკა – ჭურჭლის ყური და ნატეხები; ბრინჯაო – აბზინდა ადამიანის ხელის*

ფორმის, საკინძი, სპირალი, რგოლები, სამაჯურები, ჯაჭვი, სატევრის პირი, ფიბულა (სემ კოლ. 38-59:2, კატ. № 227) [წითლანაძე 2003, გვ. 99, 100, ტაბ. 111]

253. თლია. ქვაყრილიანი ქვის სამარხი № 86, ორი მიცვალებულით. ბრინჯაოს ფიბულა (პირველ მიცვალებულთან). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – სატევარი, ბუნჯი. ძვ.წ. XII-X სს. [Texov 1980, გვ. 24, 25, 51, ტაბ. 613].

254. თლია. ქვებით შემოწყობილი ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 87. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – აბზინდა, თასი, ღილი, გრავირებული ტანმრუდი კოლხური ცული; რკინა – სატევარი; მძივები – ოქროს ფურცლით დაფარული ტერაკოტის მძივები. წინასკვეითური პერიოდი [Texov 1985, გვ. 11, ტაბ. 1133].

255. თლია. ქვებით შემოწყობილი ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 98, შვიდი მიცვალებულით. ბრინჯაოს ფიბულა (შუა მიცვალებულთან). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ზოდი, რგოლი, აბზინდა, 2 სატევარი; ქვა – ხუთკოპიანი კვერთხი. ძვ.წ. XII-X სს. [Texov 1980, გვ. 25, 26, ტაბ. 6411].

256. თლია. ქვებით შემოწყობილი ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 160. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – სარტყლის ფრაგმენტები, გრავირებული ტანმრუდი კოლხური ცული, აბზინდა, დისკოსებური ღილები; მოოქრული სასაფეთქლე ხვია; მძივები – სარდიონისა და ოქროს ფურცლით დაფარული. ძვ.წ. XII-X სს. [Texov 1970, გვ. 101, ტაბ. 5; მისივე 1980, გვ. 32, ტაბ. 832].

257. თლია. ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 188 (ორი მიცვალებულით). ბრინჯაოს ფიბულა (კარგად შემონახულ ჩონჩხთან). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ჯამი, ყუამახვილი გრავირებული კოლხური ცული, სარტყელი, აბზინდა; რკინა – სატევარი, მოხრილი დანა, შუბისპირი. ძვ.წ. VIII ს. – VII ს. პირველი ნახ. [Texov 1981, გვ. 42, 43, ტაბ. 1191].

258. თლია. ქვებით შემოსაზღვრული წვრილქვაყრილიანი სამარხი № 202. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – გრავირებული ტანმრუდი კოლხური ცული; მოოქრული სასაფეთქლე ხვიები; მძივები – სარდიონის და ოქროს ფურცლით დაფარული. ძვ.წ. XII-X სს. [Texov 1980, გვ. 34, 52, ტაბ. 89, სურ. 12].

259. თლია. ქვის სამარხი № 221 (მიცვალებული – მოზარდი). ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – გაურკვეველი ნივთი, რომისებრი ბალთები; ძვალი – ცილინდრული საგანი; მძივები – კალციტის, ფიანსის. ძვ.წ. XII-X სს. [Texov 1980, გვ. 38, ტაბ. 95, სურ. III].

260. თლია. ქვაყრილიანი ქვის სამარხი № 225. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: გაურკვეველი დანიშნულების მოოქრული ნივთი, სარდიონის მძივები. ძვ.წ. XII-X სს. [Texov 1980, გვ. 38, 52, ტაბ. 981].

261. თლია. ქვებით შემოსაზღვრული ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 228. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – მძივები, სატევარი, ყუაჩაქუჩიანი კოლხური ცული, ზოდი, სარტყლის ფრაგმენტები, აბზინდა; ოქროს ფურცლით დაფარული რომელიღაც მინერალის მძივი. ძვ.წ. XII-X სს. [Texov 1980, გვ. 39, ტაბ. 1004].

262. თლია. ვერტიკალურად დალაგებული ქვებით შემოსაზღვრული ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 229. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ყუაჩაქუჩიანი კოლხური ცული, აბზინდა, გაურკვეველი ნივთის ფრაგმენტი, ფირფიტისებური სამაჯური, წვრილი მავთულის სამაჯური, სატევარი, საწვივე რგოლები, ზოომორფულურიანი სიტულა. ძვ.წ. XII-X სს. [Texov 1980, გვ. 39, ტაბ. 1018].

263. თლია. ქვებით შემოწყობილი ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 231. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – სიტულა ზოომორფული ყურით, 2 ყუაჩაქუჩიანი გრავირებული კოლხური ცული, სატევარი, რომბულგანიკვეთიანი რგოლი, ბრინჯაოს ბუნჯი (ხარის გამოსახულება), აბზინდა, სარტყელი; ხის კვერთხი; მძივები – ობსიდიანის, სარდიონის, ოქროს ფირფიტებით დაფარული ტერაკოტული მძივები; ანთიმონის საკიდები. ძვ.წ. XII-X სს. [Texov 1980, გვ. 40, 52, ტაბ. 1028].

264. თლია. ორრიგი ქვებით შემოსაზღვრული კვადრატული ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 234. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – სატევარი, ფირფიტის ფრაგმენტი, 2 გრავირებული კოლხური ცული, სიტულა ზოომორფული ყურით, სარტყელი, აბზინდა; ოქროს ფირფიტებით დაფარული მძივები. ძვ.წ. XII-X სს. [Texov 1980, გვ. 40, ტაბ. 1037].

265. თლია. ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 239. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ძეწკვი, აბზინდა, ღილებით შედგენილი სამაჯური, თასი; რკინა – სატევარი. ძვ.წ. X ს. ბოლო – IX ს. [Texov 1981, გვ. 13, ტაბ. 684].

266. თლია. ქვებით შემოსაზღვრული ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 248. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – სიტულა ზოომორფული ყურით, ღილები, ყუაჩაქუჩიანი კოლხური ცული, ძეწკვი, დისკოსებური ღილი, ურმისთვალისებური საკიდი; რკინა – სატევარი; ქვა – სალესი, ობსიდიანის 2 ნატეხი. ძვ.წ. X ს. ბოლო – IX ს. [Texov 1981, გვ. 14, ტაბ. 702].

267. თლია. ქვებით შემოსაზღვრული ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 249. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – აბზინდა, სატევრის ვადა, ძეწკვი, რგოლი, ყუაჩაქუჩიანი კოლხური ცული, პატარა ზოდი. ძვ.წ. XII-X სს. [Texov 1980, გვ. 41, ტაბ. 1063].

268. თლია. ქვებით შემოსაზღვრული ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 252. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ყუაჩაქუჩიანი გრავირებული კოლხური ცული, სიტულა, გაურკვეველი ნივთი, სარტყელი; რკინა – სატევარი; ვერცხლი – სასაფეთქლე; ოქრო – გაურკვეველი ფრაგმენტები; ანთიმონი (?) – სამკუთხა აყურული საკიდები; მძივები – სარდიონის, ოქროს ფირფიტებით დაფარული ტერაკოტული მძივები. ძვ.წ. X ს. ბოლო – IX ს. [Texov 1981, გვ. 14, 15, 24, ტაბ. 725].

269. თლია. ქვებით შემოსაზღვრული ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 254. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – სიტულა ზოომორფული ყურით, აბზინდა, ზოდი, სარტყლის ფრაგმენტები, ყუაჩაქუჩიანი გრავირებული კოლხური ცული, გრავირებული კვერთხი, ფირფიტა ლურსმნებით, სატევარი; ელექტრუმის სასაფეთქლე ხვია; მძივები – სარდიონის, ოქროს ფირფიტებით დაფარული ტერაკოტის, მინის, ფაიანსის. ძვ.წ. XII-X სს. [Texov 1980, გვ. 42, ტაბ. 1081].

270. თლია. ქვის სამარხი № 259. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – აბზინდა, ყუაჩაქუჩიანი გრავირებული კოლხური ცული, ძეწკვი, სატევარი, სიტულა ზოომორფული ყურით; მძივები – ოქროს ფირფიტებით დაფარული ტერაკოტები. ძვ.წ. XII-X სს. [Texov 1980, გვ. 43, ტაბ. 1103].

271. თლია. ქვებით შემოსაზღვრული ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 264. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – აყურული საკიდები, ღილები, ყუაჩაქუჩიანი გრავირებული კოლხური ცული, სარტყელი, აბზინდა, სატევარი, ზოომორფულყურიანი კათხა; მძივები – თიხისა და კირქვის. ზოგიერთი ოქროს ფირფიტებითაა დაფარული. ძვ.წ. XII-X სს. [Texov 1980, გვ. 44, ტაბ. 1144].

272. თლია. ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 269. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – სიტულა, რომელშიც ელაგა 2 აბზინდა, გაურკვეველი ნივთის ფრაგმენტი, ყუაჩაქუჩიანი კოლხური ცული, რკინის სატევრის ფრაგმენტები. ძვ.წ. X ს. ბოლო – IX ს. [Texov 1981, გვ. 17, ტაბ. 763].

273. თლია. ქვებით გარშემოწობილი ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 271. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – გრავირებული კოლხური ცული, ღილი, ჯამი, სარტყელი, აბზინდა; რკინა – სატევარი; მძივები – სარდიონის, ოქროს ფირფიტით დაფარული. ძვ.წ. X ს. ბოლო – IX ს. [Texov 1981, გვ. 17, 18, 24, ტაბ. 775].

274. თლია. ქვებით შემოსაზღვრული ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 287. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ზოომორფულყურიანი სიტულა, ყუაჩაქუჩიანი გრავირებული კოლხური ცული, სატევარი, სარტყელის ფრაგმენტები, ზოდის ნატეხი, ძეწკვი; მძივები – სარდიონის. ძვ.წ. XII-X სს. [Texov 1980, გვ. 46, 47, ტაბ. 1175].

275-277. მზეთამზე. სამაროვანი. ბრინჯაოს 3 ფიბულა [ნასიძე 1990, ტაბ. V 1, 3, 4].

278-281. მზეთამზე. № 2 სამარხი-კენოტაფი. ბრინჯაოს 4 ფიბულა. ინვენტარი: ბრინჯაო _ 5 საყურე რგოლი, 2 სამაჯური, 2 საკინძი, სასაფეთქლისა და ბალთის ფრაგმენტები; რკინა _ დანისა და საკინძის ფრაგმენტები. ძვ.წ. VIII-VII სს. [Georgien 2001, გვ. 372, კატ. № 299].

ბუდეშემკული ფიბულები ყოზანიდანაც ყოფილა ცნობილი: 4 ცალი თევზის, ხოლო 2 ცალი მალტური ჯვრის გამოსახულებით; აგრეთვე, ფიბულები ფანტასტიკური ძაღლის გამოსახულებითაც, რომელთა რაოდენობა, სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია [ფანცხავა 1988, გვ. 35]. პ. უვაროვას მიხედვით კი ყოზანის სამაროვანზე არცერთი ბუდეშემკული ფიბულა არ აღმოჩენილა [Уварова 1900, გვ. 54-56].

III 3 b ვარიანტის ფიბულებს ანალოგები არ ეძებნებათ. ისინი მხოლოდ კავკასიის საკუთრებაა.

ისინი ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევრიდან ძვ.წ. VI ს-ის პირველი ნახევრის ჩათვლით არსებობენ.

III 3 b 1 ვარიანტის ფიბულების რკალის ღერო თანაბრად შემსხვილებული და მრგვალგანივკვეთიანია. რკალის ზედაპირი დაფარულია განივად და სიგრძეზე ან სიგრძეზე მიმართული თევზიფხური სახით. ზურგი ბუდისა და ზამბარისაგან გამოყოფილია ირგვლივი ხაზებით. კორპუსი ნალისებრია. ფეხი (ბუდე) _ რკალის ღეროს სიმეტრიულია და შემკულია თევზის სქემატური გამოსახულებით. ნემსსაჭერი პატარა და მომრგვალებულია.

282. მზეთამზე (ბორჯომის რ-ნი, დაბა წაღვერთან). ორმოსამარხი № 26. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: თიხა _ ლეგა-მოშავო ფერის 2 ჭურჭელი, ჯამი; ბრინჯაო – 2 კოლხური ცული, ბალთა, 11 სკვითური ტიპის ისრისპირი, 2 თავებაკეცილი ხატისუღელი; რკინა – შუბისპირი; მძივები _ სარდიონის. ძვ.წ. VII-VI სს. [ნასიძე 1990, ტაბ. III5; Насидзе 1991, გვ. 87-89, ტაბ. 2181].

283. მზეთამზე. სამაროვანი. ბრინჯაოს ფიბულა [ნასიძე 1990, ტაბ. V2].

ამ ვარიანტის ფიბულები (კატ. № 282, 283), მხოლოდ მზეთამზის სამაროვნიდანაა ცნობილი და ძვ.წ. VII-VI სს-ით თარიღდება.

III 3 b 2 ვარიანტის ფიბულების რკალის ღერო თანაბრად შემსხვილებული და მრგვალგანივკვეთიანია. რკალის ზედაპირი დაფარულია განივად მიმართული თევზიფხური სახით. კორპუსი ნალისებრია. ფეხი (ბუდე) _ რკალის ღეროს სიმეტრიულია და შემკულია სამი ირიბად დაშტრიხული ლენტით. ნემსსაჭერი პატარა და მომრგვალებულია.

ამ ვარიანტის ფიბულები (კატ. № № 284, 285) მხოლოდ წონიარისიდანაა ცნობილი.

284, 285. წონიარისი (ქედის რ-ნი). შემთხვევითი მონაპოვარი (2003 წ.). ბრინჯაოს 2 ფიბულა. L. 10 სმ; L. 9,5 სმ. (ინახება ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმში)¹¹².

მიუხედავად იმისა, რომ ისინი კონტექსტის გარეშე აღმოჩენილი, ისევე უნდა დათარიღდეს როგორც ბუდეშემკული ფიბულები, ზოგადად ძვ.წ. VII-VI სს-ით.

ბუდეშემკული ფიბულები (III 3 b, 4 b; აგრეთვე, III 8 i 1) კავკასიის გარდა საბერძნეთიდანაცაა ცნობილი. ქრ. ბლინკენბერგის მიხედვით გრავირებულბუდიანი ფიბულები ე.წ. ელადური ტიპია (VII ტიპი), რომელიც ცნობილია ელათეიდან,

¹¹² მასალის გაცნობისათვის მადლობას მოვახსენებ პროფ. ა. კახიძეს.

ოლიმპიიდან, თეგადან, როდოსიდან [Blinkenberg 1926, გვ. 128, ფიგ. 161, 162, 163, 168, 174]. ბუდის გრავირება

გვხვდება ატიკურ-ბეოტიური ტიპის (VIII ტიპი) ფიბულებზეც: კრეტადან, თებედან [Blinkenberg 1926, გვ. 129, ფიგ. 196, 197, 205, 206, 207, 208]. ამ ფიბულების დიდ, თითქმის კვადრატულ ბუდეზე გამოსახულია: სვასტიკები, მეანდრი, სამკუთხედები, თევზები, ცხენები, ფრინველები, ბრძოლის სცენები. კ. კილიანმა ამგვარი ფიბულები გააერთიანა ჯგუფში – “ჩარჩოსები ფიბულები დიდი ფირფიტისებრი ფეხით (ანუ ფირფიტისებრი).” “ფირფიტისებრი ფიბულების” მცნება რ.ჰამპემ შემოიტანა და ის ქ. ბლინკენბერგის “ატიკურ-ბეოტიურ” ტიპს მოიცავდა [Hampe 1936, გვ. 3]. კ. კილიანის ფირფიტისებრი ფიბულების ტიპში სხვადასხვაგვარი (ნავისებური, ბალიშისებური, ბურთულისებური) რკალის მქონე ფიბულებია გაერთიანებული [Kilian 1975, გვ. 105]. ზოგადად ძვ.წ. VIII-VII სს-ით დათარიღებული ამ ტიპის ფიბულები აღმოჩენილია ფერაიში, ფილიაში (ორივე თესალია) [Kilian 1975, გვ. 110-135].

ე. საპოუნა-საკელარაკისი გრავირებულბუდიან ფიბულებს, რომელთაც მატერიკული საბერძნეთის ნაწარმად თვლის, თავის IX ჯგუფში აერთიანებს. რ. ჰამპეს დამოწმებით ის აღნიშნავს, რომ ამგვარი ფიბულების სიცოცხლისუნარიანობა ძვ.წ. IX ს-დან ძვ.წ. VII ს-მდე გრძელდება [Hampe 1936, გვ. 10]. კ. კილიანის მიერ განხილული თესალიური ფიბულების მსგავსად, კუნძულების IX ტიპის ფიბულებისათვის დამახასიათებელია ბუდის ფირფიტაზე ნაკაწრი დეკორი. ბეოტიაში ეს ნაკაწრი დეკორი ჩნდება გეომეტრიული ხანის ბოლოდან, ხოლო ატიკაში უფრო ადრე. ბეოტიური ფიბულების შესწავლა ისე შორს წავიდა, რომ ოსტატების გამოყოფაც კი ხერხდება [Hampe 1936, გვ. 11; De Vries 1974, გვ. 157]. როგორც თვლიან, სწორედ ბეოტია უნდა იყოს ამ ტიპის ფიბულების წარმოშობის ადგილი [Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 105]. კუნძულებიდან გეომეტრიული ხანის ბოლოთი და არქაული ხანის დასაწყისით დათარიღებული აღნიშნული ტიპის ფიბულები ცნობილია კრეტადან და სკიროსიდან [Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 107, კატ. 1496-1499].

გეომეტრიული ორნამენტით ბუდეშემკული ფიბულები (როგორც შემდეგ ვნახავთ – III 8 i 1) ცნობილია „გოლინიევოს“ ტიპის (რკალის თავსა და ბოლოში დისკოსებურშემსხვილებებიანი – ნ. ს.) ფიბულებშიც (იუგოსლავია) [Čović 1970, სურ. 4; Praistorija. . . 1983, ტაბ. XLVIII₂, სურ. 31₁].

III 3 c ვარიანტის ფიბულების რკალის ღერო თანაბრად შემსხვილებული და მრგვალგანივკვეთიანია. რკალის ზედაპირი დაფარულია განივად მიმართული, ირგვლივ წრეებს შორის მოქცეული თევზიფხური და რომბულად დაშტრიხული ზოლების სახით. ზურგი ბუდისა და ზამბარისაგან გამოყოფილია ირგვლივი ხაზებით. კორპუსი ნალისებრია. ფეხი (ბუდე) – ოდნავ გაგანიერებულია. ნემსსაჭერი ენისებრი ფორმისაა.

ამ ვარიანტის ფიბულები მხოლოდ ფასკაუდან, ე.წ. “კოსნიერსკას კოლექციიდანაა” ცნობილი (კატ. № 283).

286. ფასკაუ. ბრინჯაოს ფიბულა. ე.წ. “კოსნიერსკაის კოლექციიდან” (იხ. III d 4749). გვიანი ბრინჯაოს ხანა [Motzenbäcker 1996, გვ. 104, 149, კატ. 102, ტაბ. 122].

ანალოგიურად რკალშემკული ფიბულები მრავლად მოიპოვება იტალიის მასალებში: მოლინო დელა ბადიადან, კუმაედან, ტარკვინიიდან, ბოლონია სავენადან და სხვ. (იხ. ზემოთ). მაგრამ ამ სახის იტალიური ფიბულებისათვის, რომლებიც ძვ.წ. IX ს-ით

თარიღებიან, დამახასიათებელია დაბალი და განიერი, შუაზე გაკეცილი წრის ფორმის ბუდე.

ფსკაუს ფიბულა ძვ.წ. VIII-VII სს-ით შეიძლება დათარიღდეს.

III 4 _ ყვავილისებურგანივკვეთიანი რკალით

III 4 a ვარიანტის ფიბულების რკალის ღერო თანაბრად შემსხვილებულია. ზედაპირი შემკულია სიგრძივი რელიეფური წნულებით. რკალი ყვავილისებურგანივკვეთიანია. ზურგი ბუდისა და ზამბარისაგან გამოყოფილია ირგვლივი ხაზებით ან ამგვარ ხაზებს შორის მოქცეული ირიბი ხაზებითა და რომბული ბადით. ფეხი (ბუდე) – რკალის ღეროს სიმეტრიული ან ოდნავ გაგანიერებულია. ნემსსაჭერი პატარა და მომრგვალებულია.

ამ ვარიანტის ფიბულები (22 ცალი) ცნობილია: თლიას სამაროვნიდან (კატ. № № 287-296), ჩაბარუხის განძიდან (კატ. № 297), წალვერიდან (კატ. № 298), ჭუბერიდან (კატ. № № 299, 300), ყობანიდან (კატ. № № 301-303), ჩეგემიდან (კატ. № 304), ბაქსანის ხეობიდან (კატ. № 305), კამენომოსტსკის დანგრეული სამარხიდან (კატ. № № 306, 307), ლერმონტოვის კლდის № 3 სამაროვნის № 1 სამარხიდან (კატ. № 308).

287. თლია. ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 30. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ჯამი, გრავირებული ცული, პინცეტი, ოთხკუთხა აბზინდა, პატარა ზოდი; რკინა – სატევარი. ძვ.წ. X ს. ბოლო – IX ს. [Texov 1981, გვ. 17, 24, ტაბ. 522].

288. თლია. ქვებით შემოსაზღვრული ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 41 (ბრინჯაოს სარტყელშემოკრული 2 მიცვალებულით). ბრინჯაოს ფიბულა (მამაკაცის ინვენტართან). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – გრავირებული კოლხური ცული ყუაზე ორპროტომიანი სკულპტურით, სიტულა, ჯამი, ვაზა, აბზინდა; რკინა – სატევრის ფრაგმენტები; კაყის ჩასართის ფრაგმენტი. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. – VI ს. [Texov 1971, გვ. 189, სურ. 69, 18, გვ. 201, სურ. 73; მისივე 1985, გვ. 7, 8, ტაბ. 1043].

289. თლია. სამარხი № 84. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – თასი, ყუამახვილი კოლხური ცული, სარტყელი, აბზინდა, სათასზე გორგოლაჭი, დუგმა. ძვ.წ. VIII-VII ს. პირველი ნახ. [Texov 1981, გვ. 32, ტაბ. 1003].

290. თლია. ქვებით შემოსაზღვრული ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 85 (ორი მიცვალებულით). ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – რგოლი, ყუაჩაქუჩიანი გრავირებული კოლხური ცული, ქვაბი, გრეხილრკალიანი საყელური, სარტყელი, აბზინდა, სპირალურთავებიანი მავთული, რომბისებური ბალთები, კვერთხის ღეროს გარსაკრავები; ბიმეტალური აკინაკი; რკინა – დანა; ქვა – სალესის ფრაგმენტი; მძივები – სარდიონის. ძვ.წ. VIII-VII ს. პირველი ნახ. [Texov 1981, გვ. 32-34, ტაბ. 10118], ძვ.წ. VII ს. დასასრული – VI ს. [ფირცხალავა 1978, გვ. 34, 35], ძვ.წ. 700 წ. [Kossack 1983, სურ. 41], ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. – VI ს. დასაწყისი [სულავა 2000a, გვ. 40].

291. თლია. ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 114. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ყუაჩაქუჩიანი გრავირებული კოლხური ცული, სატევარი, აბზინდა, ფიბულა (იხ. კატ. № 195); რკინა – სატევარი, გაურკვეველი ნივთი; მძივები. ძვ.წ. X ს. ბოლო – IX ს. [Texov 1981, გვ. 8, 9, ტაბ. 567].

292. თლია. სამარხი № 129. კვადრატული ორმო ქვის სამარხის მსგავსად გარშემოწყობილი იყო დიდი ქვებით, რომელთა შიდა კედლები ამოგებული ყოფილა ხის ფიცრებით (ორი მიცვალებული). ბრინჯაოს ფიბულა (ქალის ინვენტართან). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – თასი, თავხვია საკინძები, რომბული ბალთები, ფრჩხილსაწმენდი ფრინველის ფიგურით, რგოლები, ძეწკვი; მოოქრული და ვერცხლის სასაფეთქლეები; მძივები – სარდიონის, ქარვის, ეგვიპტური ფაიანსის, ბრინჯაოსი, გიშრის; სალესი ქვა. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. – VI ს. [Texov 1970, გვ. 99, სურ. 4; მისივე 1980a, გვ. 29, სურ. 9; მისივე 1980b, გვ. 228, 229, სურ. 10, 11; მისივე 1985, გვ. 18-20, ტაბ. 1314].

293. თლია. ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 130 (ორი მიცვალებულით; ძვლები ცალ-ცალკე გროვებად ეწყო). ბრინჯაოს ფიბულა (მეორე გროვასთან). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – სიტულა, თევში, სარტყელის ფრაგმენტები, 3 მართკუთხა აბზინდა, ყუაჩაქუჩიანი გრავირებული კოლხური ცული, სატეხი, ირმის ქანდაკება, 2 მასიური საკანჭური, 10 რომბული ბალთა, მოკლე სატევარი; რკინა – შუბისპირი, ფიბულა (იხ. კატ. № 862), სატევარი, დანის ტარის ფრაგმენტები, მძივები – სარდიონის, ფაიანსის (?) 2 მძივი, ოქროს ფირფიტებით დაფარული მძივები; ძვალი – რგოლი, ცხვრის კოჭი. ძვ.წ. VIII ს. – VII ს. პირველი ნახ. [Texov 1981, გვ. 35, 36, 50, ტაბ. 10618; მისივე 1970, გვ. 108].

294. თლია. ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 144. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ყუაჩაქუჩიანი გრავირებული კოლხური ცული, აბზინდა, სიტულა; რკინა – სატევარი. ძვ.წ. VIII ს. – VII ს. პირველი ნახ. [Texov 1981, გვ. 36, 37, ტაბ. 1075].

295. თლია. ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 186. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ჯამი, ყუაჩაქუჩიანი გრავირებული კოლხური ცული, ფირფიტისებური საყელური, 6 სამაჯური, ზოდის ფრაგმენტი, ჯაჭვი, რომბული ბალთები; რკინა – მახვილი, ტარზე სარდიონის თვლებით შემკული; ძვალი – სათამაშო კოჭები. ძვ.წ. VIII ს. – VII ს. პირველი ნახ. [Texov 1981, გვ. 42, ტაბ. 1189].

296. თლია. ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 191. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ყუაჩაქუჩიანი გრავირებული კოლხური ცული, ჯამი; რკინა – სატევარი, გაურკვეველი ნივთი. ძვ.წ. VIII ს. – VII ს. პირველი ნახ. [Texov 1981, გვ. 44, ტაბ. 1214].

297. ჩაბარუხი. ჩაბარუხის განძი. ბრინჯაოს ფიბულა. L. 10,3 სმ. (სემ კოლ. 27-61:19). თანმხლები მასალა: იხ. კატ. № 229-232.

298. წაღვერი (ბორჯომის რ-ნი). შემთხვევითი აღმოჩენა (1923 წ.). ბრინჯაოს ფიბულა. L. 9,5 სმ. (სემ კოლ. 16-32:63). გამოუქვეყნებელია.

299, 300. ჭუბერი (ლარილარი). განათხარი მასალიდან. ბრინჯაოს 2 ფიბულა [ჩართოლანი 1977, სურ. 1301, 131].

301. ყობანი. ბრინჯაოს ფიბულა. ა. ს. უვაროვის კოლექცია [Уварова 1900, ტაბ. XXXI3].

302. ყობანი. ბრინჯაოს ფიბულა. გ. დ. ფილიმონოვის აღმოჩენებიდან [Уварова 1900, ტაბ. LXIV18].

303. ყობანი. ბრინჯაოს ფიბულა [Chantre 1886, ტაბ. XXII2].

304. ჩეგემი (ყაბარდო-ბალყარეთი). ბრინჯაოს ფიბულა. ი. ურუსბიევის კოლექცია [Уварова 1900, ტაბ. XXIV, სურ. 7; Калитинский 1926, ტაბ. II6].

305. ბაქსანის ხეობა. ბრინჯაოს ფიბულა. ე. ზიჩის კოლექცია. ძვ.წ. VII-VI სს. [Козенкова 1998, გვ. 73, 74, ტაბ. XXIV19].

306, 307. კამენომოსტსკი. დანგრეული სამარხი (ნაღიკის მუზეუმში, ინვ. № 2504). ბრინჯაოს 2 ფიბულა. ძვ.წ. XI-X სს. [Козенкова 1998, გვ. 73, ტაბ. XXIV14,20].

308. ლერმონტოვის კლდე (სტავროპოლის მხარე). № 3 სამაროვანი. სამარხი № 1. ბრინჯაოს ფიბულა. ძვ.წ. VII-VI სს. [Козенкова 1998, გვ. 73, 74, ტაბ. XXIV13].

III 4 a ვარიანტის ფიბულები ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევრითა და ძვ.წ. VI ს-ის პირველი ნახევრით თარიღდებიან.

ანალოგიური ფიბულები, ჩამოთვლილი პუნქტების გარდა, სხვაგან უცნობია.

III 4 b ვარიანტის ფიბულების რკალის ღერო თანაბრად შემსხვილებულია. ზედაპირი შემკულია სიგრძივი რელიეფური წნულებით. რკალი ყვავილისებურგანივკვეთიანია. ზურგი ბუდისა და ზამბარისაგან გამოყოფილია ირგვლივი ხაზებით ან ამგვარ ხაზებს შორის მოქცეული ირიბი ხაზებითა და რომბული ბადით. ფეხი (ბუდე) – რკალის ღეროს სიმეტრიული ან ოდნავ გაგანიერებული და შემკულია (ფანტასტიკური ცხოველი, თევზი). ნემსსაჭერი პატარა და მომრგვალებულია.

ამ ვარიანტის ფიბულები (8 ცალი) ცნობილია: თლიას სამაროვნიდან (კატ. № № 309-312), ფასანაურის განძიდან (კატ. № 313), ფასანაურიდან (კატ. № 314), უცნობი პუნქტიდან (კატ. № 315), კუმბულთადაც (კატ. № 316).

309. თლია. ქვებით შემოსაზღვრული ორმოსამარხი № 167. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ყუამახვილი გრავირებული კოლხური ცული, სარტყლის ფრაგმენტები, თასი; რკინა – სატევარი. ძვ.წ. VIII ს. – VII ს. პირველი ნახ. [Texov 1981, გვ. 40, 41, 50, ტაბ. 1152].

310. თლია. ქვებით შემოსაზღვრული ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 165. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – სარტყელი, აბზინდა, ყუაჩაქუჩიანი გრავირებული კოლხური ცული, სამაჯურები, ძეწკვი, სატევრის ფრაგმენტები, თოხის ფრაგმენტი; მძივები – ოქროს ფურცლით დაფარული ტერაკოტები. ძვ.წ. XII-X სს. [Texov 1980, გვ. 32, 33, ტაბ. 843].

311. თლია. ქვებით შემოსაზღვრული ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 262. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – სატევარი ქარქაშით, ძეწკვი, სიტულა, ყუაჩაქუჩიანი გრავირებული კოლხური ცული, აბზინდა, ზოდი; რქის მილაკი; მძივები – ორგანიტის (?), კალციტის. ძვ.წ. XII-X სს. [Texov 1980, გვ. 44, ტაბ. 1138].

312. თლია. ქვებით შემოსაზღვრული ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 277. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ზოდის ფრაგმენტი, სიტულა, ყუამახვილი კოლხური ცული, რგოლი, აბზინდა; რკინა – სატევარი, დანა; თიხა – შავპრიალა კერამიკის ფრაგმენტი. ძვ.წ. X ს. ბოლო – IX ს. [Texov 1981, გვ. 18, 19, ტაბ. 804].

313. ფასანაური (დუშეთის რ-ნი). ფასანაურის განძი. შემთხვევითი აღმოჩენა. ბრინჯაოს ფიბულა (დუშეთის მუზეუმი № 2398). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ფარის უმბონი, ყუამახვილი გრავირებული კოლხური ცული, ბრტყელი ისრისპირები, ე.წ. “მანუეტი” (სამაჯე), სიტულა, კაპარჭის ფრაგმენტები, ბიკონუსური ნივთი, სპირალი, სასაფეთქლე ხვია, ირმის ქანდაკება, ჯაჭვი, ბალთა, რომბული და ნახევარსფერული კილიტები; მძივები – სარდიონის. ძვ.წ. IX-VIII სს. [კალანდაძე 1965, გვ. 18]; ძვ.წ. VII-VI სს. [Панцхава 1986, გვ. 28-31].

314. ფასანაური. შემთხვევითი აღმოჩენა (1909 წ.). ბრინჯაოს ფიბულა (სემ კოლ. 7-09:7). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – 3 კოლხური ცული, 2 ფიბულა (იხ. კატ. № 345), ჯაჭვი, ფიგურები – ირემი, ფრინველი, გაურკვეველი ნივთი. გამოუქვეყნებელია.

315. აღმოჩენის ადგილი უცნობია. ბრინჯაოს ფიბულა (თსუ არქეოლოგიის კათედრა, № 29). გამოუქვეყნებელია.

316. კუმბულთა (ოსეთი). ბრინჯაოს ფიბულა. პ. უვაროვას კოლექცია [Уварова 1900, ტაბ. LXXXVIIIa].

III 4 b ვარიანტის ფიბულები ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევრითა და VI ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება.

ანალოგიური ფიბულები სხვაგან უცნობია.

III 4 c ვარიანტის ფიბულების რკალის ღერო თანაბრად შემსხვილებული და ყვავილისებურგანივკვეთიანია. ზედაპირი სიგრძივ დაღარულია. ღარებს შორის სივრცე

სადაა, ან დაფარულია განივი ნაჭდევეებით. ორ შემთხვევაში (თლია, სამ. № № 275, 215a) ზურგი ბუდისა და ზამბარისაგან გამოყოფილია ირგვლივი ხაზებს შორის მოქცეული ირიბი ხაზებით შექმნილი სეგმენტებით. ორ შემთხვევაში კი (თლია, სამ. № № 16b, 267) ზურგის დაღარული მონაკვეთი ბუდისა და ზამბარისაგან გამოყოფილია მცირე რკალებისა და წიწვისებრი ორნამენტის კომბინირებით შედგენილი სეგმენტებით. ფეხი (ბუდე) – რკალის ღეროს სიმეტრიული ან ოდნავ გაგანიერებულია. ნემსსაჭერი პატარა და მომრგვალებულია.

ამ ვარიანტის ფიბულები (6 ცალი) ცნობილია: თლიას სამაროვნიდან (კატ. № № 317-320), მუხურჩიდან (კატ. № 321), ჯანტუხიდან (კატ. № 322).

317. თლია. ქვებით შემოწყობილი სამარხი № 16b. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – სარტყელი, აბზინდა, რგოლის ფრაგმენტი, ღილი; რკინა – მასიური სატევარი, პატარა დანა, ყუაჩაქუჩიანი ცული. ძვ.წ. VIII ს. – VII ს. I ნახ. [Texov 1971, გვ. 156, 157, სურ. 569-15; მისივე 1981, გვ. 28, 29, ტაბ. 912].

318. თლია. სამარხი № 215b (ქვებით შემოსაზღვრული ქვაყრილიანი ორმო, რომელშიც ორი სამარხი გამოვლინდა: არეული და მთელი. შდრ. Texov 1980, გვ. 36). ბრინჯაოს ფიბულა (ეკუთვნის არეულ სამარხს). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ყუამახვილი გრავირებული კოლხური ცული, აბზინდა, სარტყლის ფრაგმენტი, სიტულის ყური, ურარტული სარტყელი; რკინა – დანა; თიხა – ჭურჭელი. ძვ.წ. VIII ს. – VII ს. პირველი ნახ. [Texov 1981, გვ. 46, ტაბ. 1262].

319. თლია. ქვებით შემოწყობილი ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 267. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ჯამი, ყუამახვილი გრავირებული კოლხური ცული, სარტყელი, აბზინდა; რკინა – გაურკვეველი ნივთის მასრის ფრაგმენტები, შუბისპირი, სატევარი, დანა; მძივები – სარდიონის, ქარვის. ძვ.წ. VIII ს. – VII ს. პირველი ნახ. [Texov 1981, გვ. 47, 48, 50, ტაბ. 1323].

320. თლია. ქვებით შემოწყობილი ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 275. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ღილები, საკანჭური-რგოლები, ისრისპირი, აბზინდა, რომბისებური ღილები; რკინა – სატევარი; ოქროს ფრაგმენტი. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. – VI ს. [Texov 1985, გვ. 41, ტაბ. 1773].

321. მუხურჩა. აღმოჩნდა სამაროვანზე, S ნაწილში, W-O არხიდან ამონათხარ მიწაში. ბრინჯაოს ფიბულა. L. 5,9 სმ (სემ კოლ. 81-976:993). ძვ.წ. VIII-VI სს. [დავლიანიძე 2003-2004, გვ. 23, ტაბ. 15].

322. ჯანტუხი. კოლექტიური სამაროვანი ინჰუმაციითა და კრემაციით. ბრინჯაოს ფიბულა. ძვ.წ. VII ს. [Шамба 1984, გვ. 4, სურ. 2119].

III 4 c ვარიანტის ფიბულები ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევრითა და VI ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება.

ანალოგიური ფიბულები სხვაგან უცნობია.

III 4 d ვარიანტის ფიბულების რკალის ღერო მნიშვნელოვნად შემსხვილებულია. ზედაპირი შემკულია ჰორიზონტული რელიეფური წნულებით. ბუდე, ზამბარა და ნემსი აკლია.

ამ ვარიანტის ფიბულა ერთადერთია (კატ. № 323) ცნობილი ჯანტუხის სამაროვნიდან.

ფიბულა ძვ.წ. VII ს-ით თარიღდება.

323. ჯანტუხი. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: იხ. ტიპი III 1 a, კატ. № 78-105, 373, 388, 389. ძვ.წ. VIII ს. [Шамба 1984, გვ. 40, სურ. 213].

III 5 _ მრავალკუთხაგანივკვეთიანი რკალით

III 5 a ვარიანტის ფიბულების რკალის ღერო თანაბრად შემსხვილებული და მრავალკუთხაგანივკვეთიანია. ზედაპირი სადაა. ერთ შემთხვევაში (თლია, სამარხი № 293) რკალი ბუდისა და ზამბარისაგან გამოყოფილია ირგვლივი ხაზებით. ფეხი (ბუდე) _ მნიშვნელოვნად გაგანიერებულია. ნემსსაჭერი პატარა და მომრგვალებულია.

ამ ვარიანტის ფიბულები (3 ცალი) ცნობილია: თლიას სამაროვნიდან (კატ. № № 324, 325) და ურეკიდან (კატ. № 326).

324. თლია. ხის ფიცრებით გარშემოწყობილი ოთხკუთხა ორმოსამარხი № 293. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო _ ყუამახვილი კოლხური ცული, ქვაბისებური ჭურჭელი, სატევარი, აბზინდა; რკინა _ დანა; ბატუნის ძვლები. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. _ VI ს. [Texov 1985, გვ. 45, 63, ტაბ. 1865].

325. თლია. სამარხი № 309 (დანგრეული). ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო _ ზოდი, ღერო, რომბისებური ბალთა, რგოლი; რკინა _ ოდნავ მოხრილი დანა-სატევარი; მძივები _ სარდიონის. ძვ.წ. VII ს. პირველი ნახ. [Texov 1985, გვ. 49, 50, ტაბ. 1965].

326. ურეკი. აღმოჩნდა სამაროვანზე, სამარხებს გარეთ. ბრინჯაოს ფიბულა. ძვ.წ. VII-VI სს. [მიქელაძე 1985, გვ. 47, 113, ტაბ. XXVII(949)].

III 5 a ვარიანტის ფიბულები ძვ.წ. VII-VI სს-ით თარიღდებიან.

ანალოგიური ფიბულა ცნობილია რუმინეთიდან. ტ. ბადერის აზრით, ამ ტიპის ფიბულები გავრცელებულია საბერძნეთსა და იტალიაში ადრეკალშტატის ხანიდან გვიანკალშტატის ხანამდე [Bader 1983, გვ. 103, ტაბ. 34303].

III 5 b ვარიანტის ფიბულის რკალის ღერო თანაბრად შემსხვილებული და მრავალკუთხაგანივკვეთიანია. ზედაპირი შემკულია სიგრძივი რელიეფური წნულებით. რკალი ბუდისა და ზამბარისაგან გამოყოფილია ირგვლივ ხაზებს შორის მოქცეული რომბულბადიანი სეგმენტით. ფეხი (ბუდე) _ სიმეტრიული და ოდნავ გაგანიერებულია. ნემსსაჭერი პატარა და მომრგვალებულია.

ამ ვარიანტის ფიბულა (კატ. № 327) ერთადერთია ცნობილი თლიას სამაროვნის ძვ.წ. VII-VI სს-ით დათარიღებული № 331 სამარხიდან.

327. თლია. ქვყრილიანი ორმოსამარხი № 331. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: რკინა _ სატევარი, რაღაც ნივთი; ოქრისა და ნახშირის ფრაგმენტები. ძვ.წ. X ს. ბოლო _ IX ს. [Texov 1981, გვ. 23, 25, ტაბ. 903].

III 5 c ვარიანტის ფიბულის რკალის ღერო თანაბრად შემსხვილებული და მრავალკუთხაგანივკვეთიანია. ზედაპირი შემკულია ერთმანეთის მიმართ საპირისპიროდ დაშტრიხული სამკუთხედებით. რკალი ბუდისა და ზამბარისაგან გამოყოფილია ირგვლივი ღრმა ღარებით. ფეხი (ბუდე) _ მნიშვნელოვნად გაგანიერებულია. ნემსსაჭერი პატარა და მომრგვალებულია.

ამ ვარიანტის ფიბულა (კატ. № 328) კავკასიის მასალებიდან მხოლოდ ერთი ნიმუშია ცნობილი _ ძვ.წ. VI-IV სს-ით დათარიღებული ლარილარის საკრემაციო მოედნიდან.

328. ლარილარი (ჭუბერი). აღმოჩნდა საკრემაციო მოედანზე. ბრინჯაოს ფიბულა. საკრემაციო მოედნის ინვენტარი: კერამიკა – ადგილობრივი და იმპორტული (შვლაკიანი); რკინა – ცულები, სწორი და მოხრილი დანები, შუბისპირები, ლავგები, სამთითა, ქარქაში; ბრინჯაო – სამაჯურები, მძივები, ფიბულები¹¹³ (კატ. № 329), საკიდები, ზარაკები, ბეჭდები, თვალისა და ტუჩის ფირფიტები; მძივები – მინის ერთფერი და პოლიქრომიული, სხვადასხვა ჯიშის ქვების. ძვ.წ. VI-IV სს. [გობეჯიშვილი, ჩართოლანი 1965, გვ. 31-38; ჩართოლანი 1968, ტაბ. III7; მისივე 1977, სურ. 1302].

ზუსტი ანალოგები მას არ ეძებნება. მრავალკუთხაგანივკვეთიანი ფიბულები ამგვარი შემკულობით არსად გვხვდება. მხოლოდ ჩრდილოეთ იტალიის მასალებშია ამგვარად შემკული ე.ი. ერთმანეთის მიმართ საპირისპიროდ დაშტრიხული სამკუთხედებით შემკული, ოღონდ, მრგვალგანივკვეთიანი რკალის მქონე ფიბულები: ოპენოს (ვერონას პროვინცია), ესტეს (პადოვას პროვინცია), ანგარანოს (ვიჩენცას პროვინცია), ძვ.წ. X ს-ის ბოლოთი და ძვ.წ. IX ს-ით დათარიღებული კრემაციული სამარხებიდან [Eles Masi 1986, გვ. 35-37, ტაბ. 14261, 15273, 275, 276, 282, 283].

III 5 d ვარიანტის ფიბულის რკალის ღერო თანაბრად შემსხვილებული და მრავალკუთხაგანივკვეთიანია. რკალის ზედაპირი დაფარულია სიგრძივი თევზიფხური სახით. რკალს ზემოდან გასდევს “ზიბილოსებრი” ნახვრეტებიანი ქედი. ნახვრეტებში გაყრილია საკიდები – ფრინველები. რკალი ბუდისა და ზამბარისაგან გამოყოფილია ირგვლივი ხაზების სეგმენტით. ფეხი (ბუდე) – გაგანიერებულია. ნემსსაჭერი პატარა და მომრგვალებულია.

ამ ვარიანტის ფიბულა (კატ. № 329) მხოლოდ ლარილარიდან არის ცნობილი.

329. ლარილარი. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: იხ. კატ. № 328 [ჩართოლანი 1968, გვ. 307. ტაბ. III8].

ამ ვარიანტის ანალოგიური ფიბულა კავკასიის მასალებიდან უცნობია. თუმცა, საკიდებით შემკობა სხვა ტიპის ფიბულებზეც გვხვდება. საკიდები აქვს რკალზე დისკოსებურშემსხვილებებიან ფიბულას (ტიპი III 8, კატ. № 462), რომელიც 1920 წელს უნდა იყოს აღმოჩენილი გუდაუთაში [ჩართოლანი 1968, გვ. 307. ტაბ. III8].

საკიდებით რკალშემკული ფიბულები მხოლოდ იტალიის მასალებიდანაა ცნობილი (ე.წ. “ზიბილოიანი” და “ნეუნისებური”). მათზე სხვადასხვა სახის საკიდებია – ძეწკვებზე სამკუთხა ფირფიტები, ან სათვალისებრი ღუგმები და სხვ. ისინი ძვ.წ. VII-VI სს-ით თარიღდებიან [Sundwall 1943, გვ. 104, 106, 107, 270, სურ. 117, 124]. “ზიბილოიანი” ფიბულების (პარე, ლომბარდია) ეგზემპლარები, რომლებიც მდიდრულადაა შემკული გრავირებით, თარიღდებიან ძვ.წ. VI-V სს-ით [Eles Masi 1986, გვ. 71, 214, კატ. 620, 2171, ტაბ. 41620].

ლარილარის ფიბულის მსგავსი მრავალწახნაგა ღერო არა აქვთ, მაგრამ ფიბულები რომბულგანივკვეთიანი ღეროთი, რომელიც თავზიფხურადაა შემკული და დიდი ზომის ნახევარმთვარისებრი ნახვრეტებიანი ბიბილო ადგას, ცნობილია უნგრეთიდან, ბაიერნიდან. ისინი ჰალშტატის ხანით თარიღდებიან. მათი ძეწკვიანი საკიდები მრგვალი ან ტრაპეციული ფორმის ფირფიტებია. ერთ შემთხვევაში (უნგრეთი) ნახევარმთვარისებრი ფირფიტა ბოლოებში ვოლუტებითაა შემკული; მეორე შემთხვევაში (ბაიერნი) – თვითონ ფიბულის რკალზე მუცლის მხრიდან დარჩილია ფრინველის ორი ფიგურა [Sundwall 1943, გვ. 31, 37, სურ. 17e, სურ. 20b].

¹¹³ თუ რამდენი ფიბულაა, კონკრეტულად აღნიშნული არაა.

ლარილარში აღმოჩენილ ფიბულას იმპორტულად ვერ მივიჩნევთ, რადგან მას მხოლოდ კავკასიის ფიბულებისათვის დამახასიათებელი ტიპოლოგიური ნიშნები აქვს (ბუდის ფორმა, რკალის დაფარვა სიგრძივი თევზიფხური ორნამენტით, რომელიც ზამბარისა და ბუდისაგან გამოყოფილია ირგვლივი ხაზებით შექმნილი სეგმენტებით), მაგრამ მისი ბიბილოსებრი ქედი საკიდებით, გარკვეულ კავშირებზე მაინც მიგვითითებს. მითუმეტეს, რომ აფხაზეთის სანაპიროზე ამ ტიპის – ბიბილოსებურქედიანი იმპორტული ფიბულის (კატ. № 697) აღმოჩენის ფაქტიც გვაქვს.

III 6 _ მართკუთხაგანიკვეთიანი რკალით

III 6 a ვარიანტის ფიბულების რკალის ღერო თანაბრად შემსხვილებულია. განიკვეთი მართკუთხაა. რკალის ზედაპირი სადაა ან დაფარულია სიგრძეზე მიმართული თევზიფხური სახით. ფეხი (ბუდე) – სიმეტრიული ან გაგანიერებულია. ნემსსაჭერი პატარა და მომრგვალებულია.

ამ ვარიანტის ფიბულები (6 ცალი) ცნობილია თლიასა (კატ. № № 330-335) და ბრილის სამაროვნებიდან (კატ. № 336).

330. თლია. ქვებით შემოწყობილი ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 31. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – სასაფეთქლე ხვია, ვედრო, აბზინდა, რგოლები, დუგმა; რკინა – ცული, მახვილი, მოხრილი დანა, ვიწროპირიანი მახვილი, პატარა დანა; მძივები – სარდიონის. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. – VI ს. [Texov 1985, გვ. 6, 7, ტაბ. 10210].

331. თლია. ქვებით შემოწყობილი ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 34 (ორი მიცვალებულით). ბრინჯაოს ფიბულა (კარგად შემონახულ ჩონჩხთან). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – აბზინდა, გრებილი საკისრე რკალი, ორყურა ქვაბი, ყუამახვილი კოლხური ცული; რკინა – სამაჯური, სატევარი. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. – VI ს. [Texov 1985, გვ. 7, ტაბ. 1033].

332. თლია. ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 150. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – გრავირებული ყუაჩაქუჩიანი კოლხური ცული, რომბისებური ბალთები, ფირფიტისებრი სამაჯურები, წვრილი მავთულის სამაჯური, ფირფიტისებური საყელური; ძვალი – ცხვრი კოჭები. ძვ.წ. VIII ს. – VII ს. პირველი ნახ. [Texov 1981, გვ. 37, 38, ტაბ. 1093].

333. თლია. ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 247. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – რომბისებური ფირფიტები, თავხვია ქინძისთავები, სასაფეთქლე ხვიების ფრაგმენტები, ვედრო, ფრჩხილსაწმენდის ფრაგმენტი; მძივები – სარდიონის, ქარვის. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. – VI ს. [Texov 1980a, გვ. 38, სურ. 18; მისივე 1980b, გვ. 237, სურ. 18; მისივე 1985, გვ. 37, ტაბ. 1692].

334. თლია. ქვებით შემოწყობილი ორმოსამარხი № 298. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – საყელური, აბზინდა; რკინა – ცული, აკინაკი. ძვ.წ. VII ს. პირველი ნახ. – VI ს. [Texov 1980a, გვ. 41, სურ. 20; მისივე 1980b, გვ. 239, სურ. 20; მისივე 1985, გვ. 46, ტაბ. 1871].

335. თლია. ქვებით შემოწყობილი ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 243. ბრინჯაოს ფიბულა. Lის სამარხის ერთადერთი ნივთი იყო. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. – VI ს. [Texov 1985, გვ. 36, 37, ტაბ. 166].

336. ბრილი. სამარხი № 26 (1950 წ.). ბრინჯაოს ფიბულა (სემ კოლ. 5-993:197). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – დაფანჯრული ქვევები, ფიბულები (კატ. № № 59, 60, 400), გრებილრკალიანი დიადემა, რიტონი, დუგმისებური ბალთა, ზარი რკინის ენით; რკინა – 19 ცული ჩაქუჩისებრი და სოკოსებური ყუით, 7 აკინაკი, 3 დანა; ვერცხლის გრებილრკალიანი დიადემა, საყურე ორი სხვიით, საკიდი, საკინძი. გამოუქვეყნებელია.

III 6 a ვარიანტის ფიბულები ძვ.წ. VII-VI სს-ში არსებობენ.

ანალოგიური ფიბულები ანატოლიიდან მინიატურული ეგზემპლარებითაა ცნობილი. ისინი აღმოჩენილია: იზმირთან [Firatli 1958, გვ. 31, სურ. 135,6,7], ბოდრუმთან [Caner 1983, გვ. 32, ტაბ. 220]. თარიღდებიან ძვ.წ. VII ს-ით [იქვე, გვ. 22].

წინა აზიის მასალებიდან ფიბულა მართკუთხაგანიკვეთიანი რკალით ცნობილია ტელ ელ ფარაჰიდან. ჩვენი ფიბულებისაგან განსხვავებით მას ორმაგნახვევიანი ზამბარა აქვს და თარიღდება ძვ.წ. X ს-ით [Padde 2000, გვ. 114, ტაბ. 778]. ფ. პედეს აზრით, ამ ჯგუფის ფიბულები არსებობენ ძვ.წ. X ს-დან ძვ.წ. VIII ს-ის ჩათვლით და შესაძლოა ძვ.წ. VII ს-ის დასაწყისამდეც აღწევდნენ [Pedde 2000, გვ. 113].

მართკუთხაგანიკვეთიანი ფიბულები ცნობილია თესალიის (საბერძნეთი) მასალებიდან. ესენია გრძელფეხიანი ფიბულები, რომელთაც ჩვენს ფიბულებთან საერთო მხოლოდ მართკუთხა რკალი აქვთ. ისინი აღმოჩენილია ფერაიში და ძვ.წ. VIII-VII სს-ით თარიღდებიან [Kilian 1975, გვ. 72, 73, 76, 77, ტაბ. 29783-795, 30807-817].

საბერძნეთის კუნძულებზე გავრცელებული ფიბულები მართკუთხაგანიკვეთიანი რკალით უფრო მეტ სიახლოვეს იჩენს ჩვენი III 6a ვარიანტის ფიბულებთან, ვიდრე ზემოთ დასახელებული ანატოლიისა და თესალიის ფიბულები. ე. საპოუნა-საკელარაკისის მიხედვით მართკუთხაჭრილიანი ფიბულები სუბმიკენური ხანიდან მოყოლებული ძვ.წ. VIII ს-მდე არსებობენ. ისინი აღმოჩენილია ფორტეტსაში ადრე-გეომეტრიული ხანის სამარხში და თასოსზე თეოლოგოსის ნეკროპოლზე (ძვ.წ. IX-X სს). შედარებით ახალგაზრდა ეგზემპლარებია ცნობილი როდოსიდან და იკარიიდან. მართკუთხაჭრილიანი ფიბულები აგრეთვე აღმოჩენილია: ვროკასტროში, ლეფკანდიში, კავოუსიში [Blinkenberg 1926, გვ. 62-II3ბ, II4; Hall 1914, გვ. 116, ტაბ. 19E,F; Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 47-49, კატ. 145-149, 168, 190].

იტალიიდან ფიბულები მართკუთხაჭრილიანი რკალით ცნობილია: მოლინო დელა ბადიას ქვაყუთსამარხებიდან. ისინი პანტალიკა III ფაზით (დაახლ. ძვ.წ. VIII ს) თარიღდებიან [Orsi 1905, გვ. 96; Müller-Karpe 1959, ტაბ. 5,6].

III 6 b ვარიანტის ფიბულების რკალის ღერო თანაბრად შემსხვილებულია. განიკვეთი მართკუთხაა. რკალის ზედაპირი სადაა ან სიგრძივ დაღარული. ღარებს შორის სივრცე შევსებულია ირიბი და ჯვარედინი ნაჭდევებით, პატარა წრეხაზებით, რომბული ბადით. ზოგჯერ რკალი ბუდისა და ზამბარისაგან გამოყოფილია ირგვლივი ხაზების სეგმენტით. ფეხი (ბუდე) – სიმეტრიული ან გაგანიერებულია. ნემსსაჭერი პატარა და მომრგვალებულია.

ამ ვარიანტის ფიბულები (10 ცალი) ცნობილია: თლიას სამაროვნიდან (კატ. № № 337-342) და ყობანიდან (კატ. № № 343-346).

337. თლია. ქვებით შემოსაზღვრული ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 49. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – მართკუთხა აბზინდა, ყუაჩაქუჩიანი გრავირებული ცული, ორყურა ვაზა; რკინა – სატევარი; მძივები – სარდიონის; თხის ჩონჩხი. ძვ.წ. VIII-VII ს. პირველი ნახ. [Texov 1981, გვ. 30, 31, 50, ტაბ. 973].

338. თლია. ქვაყრილიანი სამარხი № 95. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – გრეხილრკალიანი საყელური, სამაჯურები, ზარაკები, ძეწკვი, ბრტყელი თათისებრი საკიდი, სასაფეთქლე ხვია, რომბისებური ბალთა; რკინა – დანა; ძვალი – 4 კოჭი, მძივი. ძვ.წ. VIII-VII ს. პირველი ნახ. [Texov 1981, გვ. 34, ტაბ. 10215].

339. თლია. ქვებით შემოსაზღვრული ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 253. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ფირფიტისებური ბეჭდები, ჯამი, აბზინდა, სარტყელი, რომბისებური ფირფიტები,

ზარაკი, გრეხილი სამაჯურები, ღილები; ელექტრუმი – სასაფეთქლე ხვია; ნიჟარა კაური; მძივები – სარდიონის, ეგვიპტური ფაიანსის. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. – VI ს. [Texov 1985, გვ. 38, 39, ტაბ. 1722].

340. თლია. ქვებით შემოსაზღვრული, ზემოდან ბრტყელი ქვებით გადახურული ორმოსამარხი № 305. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – თავხვია საკინძები; მძივები – სარდიონის, ქარვის, ფაიანსის. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. – VI ს. [Texov 1985, გვ. 48, 49, ტაბ. 1931].

341. თლია. ორმოსამარხი № 330, ოთხკუთხა მოყვანილობის. ორი მიცვალებულის ძვლები ერთმანეთში იყო არეული. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ქინძისთავი, ჯამი, ყუამახვილი გრავირებული კოლხური ცული, რკალისებური მავთული, სასაფეთქლე, აბზინდა; რკინა – სატევარი; მძივები – ეგვიპტური ფაიანსის. ძვ.წ. VIII ს. – VII ს. პირველი ნახ. [Texov 1981, გვ. 49, 51, ტაბ. 1364].

342. თლია. ქვებით შემოწყობილი ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 169. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – პინცეტი; რკინა – მოხრილი დანა. ძვ.წ. VIII ს. – VII ს. პირველი ნახ. [Texov 1981, გვ. 41, 50, ტაბ. 1163].

343. ყობანი. ბრინჯაოს ფიბულა [Chantre 1886, ტაბ. XXIIbis3].

344. ყობანი. ბრინჯაოს ფიბულა [Chantre 1886, ტაბ. XXII5].

345, 346. ყობანი. ბრინჯაოს 2 ცალი ფიბულა (სემ კოლ. 1-02:53, 54). 1877 წ. ბ. ანტონოვიჩის გათხრები. მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (22 ფიბულა) [Уварова, Радде 1902].

III 6 ხ ვარიანტის ფიბულები თარიღდება ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრითა და ძვ.წ. VI ს-ით. მათი ანალოგები ვერსად ვერ მოვიძიეთ.

III 6 ც ვარიანტის ფიბულების რკალის ღერო თანაბრად შემსხვილებულია. განივკვეთი მართკუთხაა. რკალის ზედაპირი სადაა ან სიგრძივ დაღარული. ღარებს შორის სივრცე შევსებულია ირიბი და ჯვარედინა ნაჭდევებით ან სვასტიკებით. ზოგჯერ რკალი ბუდისა და ზამბარისგან გამოყოფილია ირგვლივი ხაზების სეგმენტით. ფეხი (ბუდე) – ოდნავ გაგანიერებულია და შემკულია თევზის გამოსახულებით. ნემსსაჭერი პატარა და მომრგვალებულია.

ამ ვარიანტის ფიბულები (3 ცალი) ცნობილია: თლიას სამაროვნიდან (კატ. № 347), ფასანაურიდან (კატ. № 348), კინჩხადან (კატ. № 349).

347. თლია. სამარხი № 316. დაზიანებული. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ჯამი, ყუაჩაქუჩიანი გრავირებული კოლხური ცული, აბზინდა. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. – VI ს. [Texov 1985, გვ. 51, 64, ტაბ. 2003].

348. ფასანაური. შემთხვევითი აღმოჩენა (1909 წ.). ბრინჯაოს ფიბულა L. 7,5 სმ. (სემ კოლ. 7-09:5). თანმხლები ინვენტარი: იხ. კატ. № 314.

349. კინჩხა (გორდის მახლობლად). შემთხვევითი აღმოჩენა (1926 წ.). ბრინჯაოს ფიბულა. L. 7,3 სმ. (ქუთაისის ისტორიული მუზეუმი, ინვ. № 1575) [Иващенко 1941, გვ. 37, სურ. 18d].

III 6 ც ვარიანტის ფიბულები თლიას № 316 კომპლექსის მიხედვით დათარიღებულია ძვ.წ. VIII-VI სს-ით [Texov გვ. 51, 64, ტაბ. 2003]. ჩვენ ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრითა და VI ს-ით ვათარიღებთ.

III 7 _ რომისებრგანივკვეთიანი რკალით

III 7 a ვარიანტის ფიბულების რკალის ღერო თანაბრად შემსხვილებულია. განივკვეთი რომბულია. რკალის ზედაპირი სადაა. ფეხი (ბუდე) _ სიმეტრიულია ან გაგანიერებული. ნემსსაჭერი პატარა და მომრგვალებულია.

ამ ვარიანტის ფიბულები (25 ცალი) ცნობილია ურეკის № 3 სამარხი ორმოდან (კატ. № 350), თლიას სამაროვნიდან (კატ. № № 351-363), წითელი შუქურას № 4 და № 13(14) სამარხებიდან (კატ. № № 364, 365), გუადიხუს № 25(72) სამარხიდან (კატ. № 366), ლარილარის სამაროვნიდან (კატ. № 367), ბრილის № 19 (1951 წ.) სამარხიდან და № 2 (1953 წ.) ფართობიდან (კატ. № № 368-370), გურჯაანიდან (კატ. № 371), მუხურჩის სამაროვნიდან (კატ. № 372), ჯანტუხიდან (კატ. № 373), ანცუხიდან (კატ. № 374).

350. ურეკი. სამარხი ორმო № 3 (მეორადი დაკრძალვა კრემაციით, კოლექტიური). ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: კერამიკა _ კვირისტავები; ბრინჯაო _ 2 ფიბულა (იხ. კატ. № № 449, 698), სეგმენტები, უმბონები, კოლხური ცულები, სატევრები, ისრისპირები, ლურსმნები, ხატისუღელები, სამაჯურები, ბეჭდები, აბზინდები, დუგმები; ფიგურები – ხარი, შველი, ქალი ბავშვით, ხვიები, ღილები, საკინძი, ჰარპუნები, თოხი, ლაგმის საყბური; რკინა – სატევარი, შუბისპირი, ისრისპირები, ბრტყელი ცული, ფიბულები (იხ. კატ. № № 892-894). კერცხლის რგოლები; მძივები – სარდიონის, იასპის, გიშრის, ქალცედონის, ძვლის, მინის, ქარვის; სარდიონის თვლები. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. – VI ს. [მიქელაძე 1985, გვ. 47, 102, ტაბ. XIII27(675)].

351. თლია. ქვებით შემოსაზღვრული ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 406 (ორი თუ სამი მიცვალებულით). ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო _ ჯამი, ყუაჩაქუჩიანი გრავირებული კოლხური ცული, სატევარი, ქინძისთავი, ჯაჭვის ფრაგმენტები, აბზინდა, გრავირებული სარტყელი; რკინა – სატევარი, დანა; ძვალი _ ცხვრის კოჭები. ძვ.წ. VIII ს. – VII ს. პირველი ნახ. [Texov 1981, გვ. 29, 30, ტაბ. 92-96, ტაბ. 934].

352. თლია. ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 97. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო _ ჯამი, თავგადასული სამაჯურები, ძეწკვი, საკიდი (ცხვრის თავი), სატევარი, მსხვილღეროიანი სამაჯურები; მძივები _ სარდიონის, ოქროს ფირფიტებით დაფარული; ძვალი _ ცხვრის კოჭები. ძვ.წ. X ს. ბოლო _ IX ს. [Texov 1981, გვ. 8, ტაბ. 541].

353. თლია. ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 109 (ორი მიცვალებულით). ბრინჯაოს ფიბულა (მეორე მიცვალებულთან). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო _ დისკოსებური ბალთა, სპირალური მილხვია, ყუაჩაქუჩიანი გრავირებული კოლხური ცული, სარტყლის ფრაგმენტები, აბზინდა, რკინის სატევარი ბრინჯაოს ტარით. ძვ.წ. X ს. ბოლო _ IX ს. [Texov 1981, გვ. 8, ტაბ. 553].

354. თლია. ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 198. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო _ სიტულა, ყუაჩაქუჩიანი გრავირებული კოლხური ცული, ფირფიტისებური რკალიანი ბეჭედი; რკინა _ ხელშუბი, გაურკვეველი დანიშნულების ნივთი. ძვ.წ. X ს. ბოლო _ IX ს. [Texov 1981, გვ. 11, 12, ტაბ. 643].

355. თლია. ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 223. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო _ ყუაჩაქუჩიანი ტანმრუდი გრავირებული კოლხური ცული, აბზინდა, ღილი, ჯამი, პატარა ზოდი; რკინა _ სატევარი. ძვ.წ. X ს. ბოლო _ IX ს. [Texov 1981, გვ. 12, 13, ტაბ. 667].

356. თლია. ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 233. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო _ სიტულა, ყუაჩაქუჩიანი ტანმრუდი გრავირებული კოლხური ცული, აბზინდა, ზოდი; რკინა _ სატევარი; მძივები _ სარდიონის, ოქროს ფურცელგადაკრული ტერაკოტული მძივები. ძვ.წ. X ს. ბოლო _ IX ს. [Texov 1981, გვ. 13, ტაბ. 675].

357. თლია. ქვებით შემოწყობილი ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 242. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ჯამი, აბზინდა; რკინა – ცული, მუჯირი, დანა; თიკნის ძვლები. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. – VI ს. [Техов 1985, გვ. 36, ტაბ. 1655].

358. თლია. ქვებით შემოწყობილი ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 257. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – აბზინდა ყუაჩაქუჩიანი ტანმრუდი გრავირებული კოლხური ცული; რკინა – სატევარი; მძივები. ძვ.წ. X ს. ბოლო – IX ს. [Техов 1981, გვ. 15, 16, ტაბ. 734].

359. თლია. ქვებით შემოწყობილი ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 265. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: რკინა – ცული, სატევარი, აბზინდა; მძივები – სარდიონის. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. – VI ს. [Техов 1985, გვ. 40, ტაბ. 1763].

360. თლია. ქვებით შემოწყობილი ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 273 (ორი მიცვალებული). ბრინჯაოს ფიბულა (კარგად შემონახულ ჩონჩხთან). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – სასაფეთქლე ხვია, ღილი-ბალთა, ძეწვევი, სატევარი ქარქაშით, ფირფიტები, ქუდისებრი ბალთები, ფირფიტისებრი რგოლი; მძივები – კალციტის, სარდიონის, ოქროს ფურცლით დაფარული ტერაკოტის მძივები. ძვ.წ. X ს. ბოლო – IX ს. [Техов 1981, გვ. 18, ტაბ. 781].

361. თლია. ქვებით შემოწყობილი ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 278. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ჯამი, ყუაჩაქუჩიანი ტანსწორი გრავირებული კოლხური ცული, სატევარი, აბზინდა, სარტყელი; მძივები – კალციტის, ოქროს ფურცლით დაფარული ტერაკოტის მძივები. ძვ.წ. X ს. ბოლო – IX ს. [Техов 1981, გვ. 19, ტაბ. 812].

362, 363. თლია. ფიბულები, რომლებიც ტაბულის მიხედვით № 297 სამარხიდან მომდინარეობს, ტექსტში არც ერთი სამარხის ნივთების აღწერილობას არ ემთხვევა [Техов 1981, ტაბ. 1335,9].

364. წითელი შუქურა. ორმოსამარხი № 4. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ფიბულა (იხ. კატ. № 641), რომლის რკალი რომბისებური ფირფიტაა, სამაჯური, სპირალებით შემკული სამაჯური; რკინა – 3 დანა, 2 შუბისპირი, ცული, მძივები – 1 ქარვის, 1 სარდიონის. ძვ.წ. VIII-VI სს. [Трапш 1969, გვ. 85-87, ტაბ. VI4]; ძვ.წ. VI-V სს. [Квирквелия 1981, გვ. 5].

365. წითელი შუქურა. ორმოსამარხი № 13(14). ბრინჯაოს ფიბულა. L. 4 სმ. (ილუსტრაციები არა აქვს. – ნ. ს.) თანმხლები ინვენტარი: კერამიკა – ქოთანი, დოქი; ბრინჯაო – ფირფიტა; რკინა – შუბისპირის ფრაგმენტი. ძვ.წ. VIII-VI სს. [Трапш 1969, გვ. 93, 94].

366. გუადიხუ (სოხუმთან). ორმოსამარხი № 25(72) ნაწილობრივი კრემაციით. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ვერცხლი – ბოლოებდაწვრილებული საყურეები; ბრინჯაო – 2 ფიბულა (იხ. კატ. № 638, 647), სამაჯური, ბოლოებგახსნილი ბეჭედი; კერამიკა – კვირისტავი, ქოთანი; მძივები და ქარვის საკიდი. ძვ.წ. VIII-VI სს. [Трапш 1969, გვ. 41, ტაბ. V10]; ძვ.წ. VI-V სს. [Квирквелия 1981, გვ. 7].

367. ლარილარი. სამაროვნის კრემაციულ მოედანზე. ბრინჯაოს ფიბულა (შ. ჩართოლანის ცნობა).¹¹⁴

368. ბრილი. 1953 წ. ბრინჯაოს ფიბულა (სემ კოლ. 5-993, უნომრო). გამოუქვეყნებელია.

369. ბრილი. სამარხი № 19 (1951 წ.). ბავშვის. ბრინჯაოს ფიბულა. L. 4,8 სმ. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – 2 ხვია, საკიდი-ფიგურა ცხვრის გამოსახულებით, 7 ნაჭდევებით შემკული სამაჯური, ზარაკი; რკინა – გაურკვეველი ნივთის ფრაგმენტი; ვერცხლი – 2 ცალსხვიანი საყურე; მძივები (სემ კოლ. 5-993:563). გამოუქვეყნებელია.

370. ბრილი. 1953 წ. № 2 ფართობის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში. ბრინჯაოს ფიბულა. L. 9,5 სმ. (სემ კოლ. 5-993:55). გამოუქვეყნებელია.

¹¹⁴ ცნობის მოწოდებისთვის მადლობას მოვახსენებ ისტ. მეც. დოქტორს შ. ჩართოლანს.

371 გურჯანი. შემთხვევითი აღმოჩენა 1912 წ. ბრინჯაოს ფიბულა L. 9 სმ. (სემ კოლ. 16-32:18). გამოუქვეყნებელია.

372. მუხურა. სამაროვანზე (1974 წ.). ბრინჯაოს ფიბულა (ფრაგმენტები) (სემ კოლ. № 81-976:145). გამოუქვეყნებელია.

373. ჯანტუხი. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: იხ. კატ. № № 78-105, 323, 388, 389. ძვ.წ. VII ს. [Шамба 1984, გვ. 41, სურ. 219].

374. ანცუხი (დალესტანი). ბრინჯაოს ფიბულა. შემთხვევითი მონაპოვარი 1922 წ. [Козенкова 1978, გვ. 164, სურ. 513].¹¹⁵

რომბულრკალიანი ფიბულები ყველაზე გავრცელებული ტიპია არამარტო კავკასიაში, არამედ ყველა იმ რეგიონშიც, სადაც ფიბულებია აღმოჩენილი.

როგორც ჩანს, რომბისებრგანივკვეთიანი ფიბულები კავკასიაში, სამხრეთ კავკასიის პრიორიტეტია. ისინი ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევრითა და ძვ.წ. VI ს-ის პირველი ნახევრით თარიღდებიან.

ანალოგიური ფიბულები ანატოლიის მასალებიდან, მინიატურული ზომების მიხედვით გაერთიანებულია ე. ჩანერის II,1 ვარიანტში სხვადასხვა განივკვეთიან ფიბულებთან ერთად. ჩვენთვის საინტერესო ეგზემპლარები ყველა ბოდრუმის მხარიდანაა და ძვ.წ. IX-VIII სს-ით თარიღდება [Caner 1983, გვ. 32, ტაბ. 215,18,19,21].

წინა აზიის მასალებიდან ანალოგიური ფიბულები, რომლებიც უფრო ახლოა ჩვენს ფიბულებთან ზომითაც და ფეხის მოყვანილობითაც, ცნობილია ენკომიდან (კვიპროსი) და, როგორც ფ. პედე აღნიშნავს, თავის არსებობას იწყებენ კვიპროსში ძვ.წ. 1200 წლიდან (ენკომის მაგალითების მიხედვით ძვ.წ. 1200-1075 წწ.) და მატერიკზე ასი წლით გვიან ჩნდებიან. მათი არსებობის ხანა ძვ.წ. XII-VIII სს-ია [Pedde 2000, გვ. 112-114, ტაბ. 767,68,69,70, რუკა 6].

ეგეოსის კუნძულებზე ფიბულები რომბულგანივკვეთიანი რკალით სუბმიკენურ ხანაში იწყებენ არსებობას და ძვ.წ. VIII ს-ის ჩათვლით არსებობენ. ისინი აღმოჩენილია: კრეტაზე (ვროკასტრო, კავოუსი, პალეოკასტრო, არკადესი, ფსიხრო, ასტიპადესი), ევბეაში (ლეფკანდი), ქიოსში (სალამისი, ფანა) [Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 47, ტაბ. 5144-152, 6155-160]. როგორც ე. საპუნა-საკელარაკის აღნიშნავს, პ. იაკობსტალის მიხედვით ღეროს განივკვეთს ქრონოლოგიური მნიშვნელობა აქვს ქინძისთავებისათვის [Jacobstal 1956], მაგრამ იგივე არ ვრცელდება ფიბულებზე, რადგან ფიბულები სალამისიდან მიეკუთვნებიან სუბმიკენურ ხანას, ხოლო ლეფკანდის ფიბულები ყოველთვის ადრეულ ხანაში თავსდებიან. ანალოგიური ფიბულები ფორტეტსადან (კრეტა) პროტოგეომეტრიულ, ხოლო ეგზემპლარები კავოუსიდან და ვროკასტროდან სუბმიკენურ-პროტოგეომეტრიულ ხანას მიეკუთვნებიან. ქიოსზე მათ პოულობენ ძვ.წ. VIII ს-ის კომპლექსებში. სუბმიკენური ხანით კარგად დათარიღებული ეგზემპლარები წარმოდგენილია კერამიკოსის № 20 სამარხიდან, მიკენიდან და კვიპროსიდან [Müller-Karpe 1962, გვ. 83, სურ. 13-6; Desborough 1973, გვ. 95; Gjerstad 1948, გვ. 143-145, სურ. 25, ტიპი 1b; Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 48].

ქ. ბლინკენბერგს რომბულგანივკვეთიანი რკალისებრი ფიბულები თავის II3 ტიპში აქვს გაერთიანებული და ძირითადად მოაქვს სუბმიკენური ხანის ეგზემპლარები სალამისიდან, კავოუსიდან, კვიპროსიდან [Blinkenberg 1926, სურ. 32, 33].

¹¹⁵ როგორც ვ. კოზენკოვა აღნიშნავს, სულ 6 ცალი ფიბულა აღმოჩენილა, ზოგადად “ყოზანის ტიპისა” [Исахов 1966, გვ. 63, სურ. 1635].

თესალიის მასალებიდან ჩვენი III 7 a ვარიანტის ფიბულებთან ყველაზე ახლოა თეოტოკუმში აღმოჩენილი ფიბულა, რომელიც ბავშვის ჩონჩხს ახლდა ქვის სამარხში. ატიკურ კერამიკაზე დაყრდნობით სამარხი სუბმიკენურიდან პროტოგეომეტრიულ ხანაში გარდამავალი პერიოდით თარიღდება [Desborough 1952, გვ. 150; Kilian 1975, გვ. 69, ტაბ. 28748]. რომბულგანივკვეთიანი ფიბულები, ოღონდ გრძელფეხიანი, ცნობილია ფერაიდან და ისინი ძვ.წ. VIII ს-ის დასასრულითა და VII ს-ით თარიღდებიან [Kilian 1975, გვ. 70, ტაბ. 28749-756].

ფიბულები რომბულგანივკვეთიანი რკალით, მაგრამ ჩვენი ფიბულებისაგან განსხვავებით სამკუთხა ფეხით (ბუდით), ბულგარეთიდანაცაა ცნობილი. ისინი აღმოჩენილია: კოჩანში (ბლაგოევგრადის მხარე), დუვანლიში (პლოვდივის მხარე), კიროვოში (ბურგასის მხარე) და პარალელურ მასალებზე დაყრდნობით ძვ.წ. IX ს-ის ბოლოსა და VI ს-ის დასაწყისით თარიღდებიან [Urleb 1974, გვ. 32; Gergova 1987, გვ. 22, ტაბ. 110,11,11A,12,13] (ე.ი. ფაქტობრივად ძვ.წ. VIII-VII სს – ნ.ს.). დუვანლის ფიბულა ძვ.წ. VI ს-ის ბოლოთია დათარიღებული. როგორც დ. გერგოვა აღნიშნავს, ამ ვარიანტის სამკუთხაფეხიანი ფიბულები გავრცელებული ყოფილა იტალიისა და აღმოსავლეთ ალპების ჰალშტატურ სივრცეში [Gergova 1987, გვ. 22]. ბულგარეთში აღმოჩენილი ფიბულებიდან რომბულგანივკვეთიანი რკალი აქვთ ორშლიეფიან (ორზამზარაიან) ფიბულებსაც, რომლებიც ძვ.წ. VII-VI სს-ით თარიღდება [Gergova 1987, გვ. 39-41, ტაბ. 9122-126, 10127-134A].

რუმინეთის ტერიტორიიდან რომბულგანივკვეთიანი რკალი მხოლოდ ე.წ. ორშლიეფიან (ორმარყუჩიან) სამკუთხაფეხიან ფიბულებზეა ცნობილი. ისინი თარიღდება ძვ.წ. VII-V ს-ის პირველი ნახევრით [Bader 1983, გვ. 71, ტაბ. 25147-151].

რუმინეთის ანალოგიური ფიბულებია აღმოჩენილი ცენტრალური ბალკანეთის ძეგლებზე – დედელი, მილჩი (სამხრეთ მაკედონია). ისინი ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევრითა და VII ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება; თუმცა, ნაწილობრივ VI ს-შიც განაგრძობენ არსებობას [Vasić 1999, გვ. 49, 50, ტაბ. 25286-289, 293].

ამ ვარიანტის ფიბულა შოლდანეშტიდან (უნგრეთი) ძვ.წ. VIII ს-ით თარიღდება [Мелюкова 1958, გვ. 70, სურ. 22].

ამ ტიპის ფიბულები აპენინის ნახევარკუნძულზეცაა გავრცელებული. ისინი ყველაზე სამხრეთით სიცილიიდანაა ცნობილი [Sundvall 1943, გვ. 101, ტიპი BII a, d; Müller-Karpe 1959, ტაბ. 519,20,23,24,26]. მონტე დესუერის (სიცილია) ფიბულები ძვ.წ. VIII ს-ით თარიღდება [Orsi 1912, გვ. 336, 360, 387, ტაბ. 1829,30]. ანალოგიური ფიბულები ცნობილია ანასტასიადან (სარდინია) [Taramell გვ. 66, 102, ტაბ. 653], მოლინო დელა ბადიადან (კატანია) [Orsi 1905, გვ. 114, სურ. 139]. ი. ზუნდვალის მიხედვით, ამ ტიპის (BII a) ფიბულათა წარმოშობა თავსდება ძვ.წ. IX ს-ში და ისინი ძვ.წ. VIII ს-ის პირველ ნახევარშიც კი გამოიყენება [Sundvall 1943, გვ. 36].

ჩრდილოეთ იტალიის ძეგლებიდან ფიბულები რომბულგანივკვეთიანი რკალით ფრატესინადან (პროვინცია როვიგო) და მონტე როვალორადან (პროვინცია პადოვა) ბრინჯაოს ხანის ფინალით თარიღდება. ამაღლებულთაღიანი ფიბულები განიერი და დაბალი ფეხით მელიდან (პროვინცია ბელუნი), ბალდარიადან, გარდადან, ესტედან (სამივე - პროვინცია ვერონა) ძვ.წ. VIII-VII სს-ით თარიღდება [Eles Masi 1986, გვ. 51-56, ტაბ. 13239,240, 30437-446].

III 7 b ვარიანტის ფიბულების რკალის ღერო თანაბრად შემსხვილებულია. განივკვეთი რომბულია. რკალის ზედაპირი შემკულია სიგრძივი თევზიფხური სახით.

ფეხი (ბუდე) – სიმეტრიული ან ოდნავ გაგანიერებულია. ნემსსაჭერი პატარა და მომრგვალებულია.

ამ ვარიანტის ფიბულები (18 ცალი) ცნობილია: წითელი შუქურას № 29(38) სამარხიდან (კატ. № 375), ბრილის სამაროვნიდან (კატ. № № 376-387), ჯანტუხიდან (კატ. № № 388, 389), გიჟიდიდან (კატ. № 390), ულუბაგანლიდან (კატ. № 391) და ერგეტადან (კატ. № 392).

375. წითელი შუქურა. ორმოსამარხი № 29(38). სამარხის იატაკი მოკირწყლოლი იყო ზღვის კენჭებით (ზონჩხი არ შემორჩენილა). ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – გრებილრკალიანი საკისრე რგოლის ფრაგმენტები; ვერცხლი – საყურეები ბოლოებზე ცხოველის თავის გამოსახულებით; მძივები – ქარვის. ძვ.წ. VIII-VI სს. [Трапиз 1969, გვ. 106, 107, ტაბ. XXV1]; ძვ.წ. VI-V სს. [Квирквелия 1981, გვ. 5].

376. ბრილი. ორმოსამარხი № 11 (1940 წ.). ბრინჯაოს ფიბულა. L. 4,7 სმ. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – გრებილრკალიანი დიადემა, აბზინდა, მასიური სამაჯური, ზარი, სარტყლის ფრაგმენტები, სასაფეთქლები, “აგრაფები”; ელექტრუმისა და ვერცხლის თითოსხვიანი საყურეები, ვერცხლის სასაფეთქლე რგოლები და “აგრაფები”; მძივები – ერთფერი და პოლიქრომიული (სემ კოლ. 5-993:386). გამოუქვეყნებელია.

377. ბრილი. ქვაყრილიანი, მოფილაქნებულიატაკიანი ორმოსამარხი № 13 (1940 წ.). ბრინჯაოს ფიბულა. L. 3,7 სმ. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – 2 თხელი ფირფიტის სამაჯური, აბზინდა; ვერცხლი – 2 თავგახვრეტილი რგოლი (სემ კოლ. 5-993:381). გამოუქვეყნებელია.

378. ბრილი. სამარხი № 24 (1950 წ.). ბრინჯაოს ფიბულა (სემ კოლ. 5-993:139). L. 4 სმ. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – მრგვალგანიკვეთიანი ფიბულა (სემ კოლ. 5-993:141. კატ. № 65), ჯაჭვი დუგმისებრი საკიდებით, 2 თხელფირფიტოვანი სამაჯური, მთლიანადსხმული საკინძი; ვერცხლი – თავგახვრეტილი სასაფეთქლე; მძივები – ერთფერი და პოლიქრომიული. გამოუქვეყნებელია.

379, 380. ბრილი. ორმოსამარხი № 16ა (1952 წ.). ბრინჯაოს 2 ფიბულა. L. 1-4,5 სმ, L. 2-4,5 სმ. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ქინძისთავი, ფიგურა-საკიდი “ფრინველი”, საკიდი “ცხვრის თავი”, დოლისებრი საკიდები; ვერცხლი – თავგახვრეტილი სასაფეთქლე; მძივები – ერთფერი და პოლიქრომიული (სემ კოლ. 5-993:95).¹¹⁶ გამოუქვეყნებელია.

381. ბრილი. № 13 ქვის სამარხი (1953 წ.). ბრინჯაოს ფიბულა. L. 4,3 სმ. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ფირფიტისებური მძივები, ხვია, საკიდი, ბუნკები (“გრიფონი”), მრგვალგანიკვეთიანი ფიბულა (იხ. კატ. № 66); რკინა – მოხრილი დანა, აკინაკი, ლაგამი, ცული, მძივები – ერთფერი და პოლიქრომიული; ვერცხლი – ფირფიტისებური სამაჯური; ხის ნაშთი, ცხვრის კოჭები და კბილები (სემ კოლ. 5-993:105). გამოუქვეყნებელია.

382. ბრილი. სამარხი № 8 (1960 წ.). ბრინჯაოს ფიბულა. L. 4 სმ. (სემ კოლ. 5-993:104). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – საკიდი-ფრინველი, საკინძები, ცილინდრული მძივები, მძივისებრი ფიბულა (სემ კოლ. 5-993:105) (იხ. კატ. № 473), ჯაჭვი დუგმებით, ჭურჭელი; ვერცხლი – სასაფეთქლე რგოლები; ოქრო – მძივი; ვერცხლი – 2 სამაჯური, ელექტრუმი – საყურე-რგოლი; თიხა – ამფორისკი; მძივები გამოუქვეყნებელია.

383. ბრილი. ქვის სამარხი № 3 (1960 წ.). ბრინჯაოს ფიბულა. L. 4,4 სმ. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ჯამი, ხვები, ბრტყელი სამაჯური, მასიური რგოლი; რკინა – მოხრილი დანა; მძივები – ერთფერი მინის (სემ კოლ. 5-993:25). გამოუქვეყნებელია.

384. ბრილი. ქვაყრილიანი ქვის სამარხი № 7 (1961 წ.). ბრინჯაოს ფიბულა L. 4,3 სმ. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – დიადემა, ელექტრუმი – ერთმტევენიანი საყურე; რკინა – ცული და დანის ფრაგმენტი; მძივები – ერთფერი მინის. (სემ კოლ. 5-993:54). გამოუქვეყნებელია.

¹¹⁶ ორივე ფიბულა ერთი ნომრითაა გატარებული – ნ. ს.

385. ბრილი. ქვის სამარხი № 2 (1940 წ.).¹¹⁷ ბრინჯაოს ფიბულა. L. 4,5 სმ. (სემ კოლ. 5-993:333). გამოუქვეყნებელია.

386. ბრილი. ქვაყრილიანი ქვის სამარხი № 11 (1952 წ.). ბრინჯაოს ფიბულა L. 3,7 სმ. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – სურა, თხელი ფირფიტის სამაჯურები, ყუაჩაქუჩიანი ტანსწორი კოლხური ცული,¹¹⁸ რკინა – ცული; ვერცხლი – რგოლები; მძივები – სკარაბეები, მინის ერთფერი და პოლიქრომიული (სემ კოლ. 5-993:51). გამოუქვეყნებელია.

387. ბრილი. ნაყარიდან (1950 წ.). ნომერი არა აქვს (სემ კოლ. 5-993).

388, 389. ჯანტუხი. ბრინჯაოს ფიბულები. თანმხლები ინვენტარი: იხ. III 1 ა, კატ. № № 78-105, 323, 373. ძვ.წ. VII ს. [Шамба 1984, გვ. 41, სურ. 217,15].

390. გიფიდი (ყაბარდო. მდ. ბაქსანის ხეობა). აკლდამა (1928 წ.). ბრინჯაოს ფიბულა. ძვ.წ. X-VII სს. [Козенкова 1998, გვ. 73, ტაბ. XXIV16].

391. ულუბაგანლი (ყარაჩაევო-ჩერქეზეთი). № 2 სამაროვანი. სამარხი № 4. ბრინჯაოს ფიბულა. ძვ.წ. VII-VI სს. [Козенкова 1998, გვ. 73, ტაბ. XXIV10].

392. ერგეტა. III სამაროვნის № 1 სამარხი ორმო. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: კერამიკა – ყურმილიანი დოქები, სასმისები, კოჭბები; ბრინჯაო – საკისრე რკალები, სამაჯურები, პინცეტები, საკიდები, რგოლები, დუგმები, ჯაჭვები; რკინა – სატევრები, აკინაკები, ცულები, სეგმენტები, თოხები, დანები, ფიბულა (კატ. № 935); მძივები. დრერკინის ხანა [Микеладзе, Мигдисова, Папуашвили 1984, გვ. 24, ტაბ. XXVII. Mikeladse 1995, გვ. 1-22].

III 7 b ვარიანტის ფიბულები ძირითადად ძვ.წ. VII-VI სს-შია გავრცელებული. თუმცა ყველაზე დიდი რაოდენობით ისინი ბრილის ძვ.წ. VI სს-ით დათარიღებულ სამარხებშია აღმოჩენილი.

ამ ვარიანტის ფიბულების ანალოგები ახლო აღმოსავლეთ-წინა აზიის ტერიტორიიდან უცნობია [იხ. Stronach 1959; Caner 1983; Pedde 2000]. უცნობია ისინი ეგეოსური სამყაროდანაც [იხ. Blinkenberg 1926; Kilian 1975; Sapouna-Sakellarakis 1978].

ბულგარეთიდან თევზიფხურით შემკული ფიბულები უცნობია, მაგრამ ცნობილია ზიგზაგისებური ნაჭდევებით რკალშემკული და სამკუთხაფეხიანი ფიბულები კოჩანიდან (ბლაგოევგრადის რ-ნი), რომლებიც ძვ.წ. IX ს-ის ბოლოთი და ძვ.წ. VIII ს-ით დასაწყისით თარიღდება [Gergova 1987, გვ. 22, ტაბ. 18,9, 388].

რუმინეთის არქეოლოგიური მასლებიდან ზიგზაგისებურად რკალშემკული ორშლიეფიანი (როგორც უწოდებენ ორზამბარიან ფიბულებს – მაგ.: Bader 1983) ფიბულა აღმოჩენილია ალექსანდრიაში (ტელეორმანის რ-ნი) ნასახლარზე, რომელიც ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრითა და ძვ.წ. VI ს-ის დასაწყისითაა დათარიღებული [Bader 1983, გვ. 77, ტაბ. 24144].

იტალიის მასალებიდან კოჩანის (ბულგარეთი) ფიბულის მსგავსი ზიგზაგისებური ორნამენტი აქვს ფიბულას ბოლონია-სავენადან. ის ძვ.წ. IX ს-ის ბოლოთი თარიღდება [Müller-Karpe 1959, ტაბ. 73, B3].

ასევე თარიღდება ფიბულა ესტეს კრემაციული სამარხიდან, რომელიც ჯვარედინა ნაჭდევებითაა შემკული. ძვ.წ. VIII-VII სს-ით თარიღდება ბალდარიას (პროვინცია ვერონა) და პადოვას კრემაციული სამარხების ამალღებულრკალიანი ფიბულები,

¹¹⁷ სამარხის ინვენტარის აღწერილობას არ ვიძლევი, რადგან ეს ფიბულა ამ სამარხს არ უნდა ეკუთვნოდეს. საველე დავთარში სულ სხვაგვარი ფიბულის აღწერილობაა.

¹¹⁸ საველე დღიურში კოლხური ცული ნახსენები არ არის.

რომელთაც რკალი თევზიფხურის სეგმენტებით აქვთ შემკული [Eles Masi 1986, გვ. 56, ტაბ. 30447, 447A, 448, 31448A].

III 7 c ვარიანტის ფიბულის რკალის ღერო თანაბრად შემსხვილებულია. გგანივკვეთი რომბულია. რკალი შემკულია “წნულეებით”. ფეხი (ბუდე) _ სიმეტრიულია¹¹⁹.

ამ ვარიანტის ფიბულა მხოლოდ თლიას სამაროვნის № 53 სამარხშია აღმოჩენილი (კატ. № 393). თარიღდება ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრითა და ძვ.წ. VI ს-ის პირველი ნახევრით.

393. თლია. ქვის სამარხი № 53. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო _ ჯამი, სარტყელი, სატევარი; რკინა – სატევარი; მძივები _ სარდიონის ლინზის ფორმის. VIII ს. _ VII ს. პირველი ნახ. [Texov 1981, გვ. 31, 50, ტაბ. 986].

III 8 _ რკალზე დისკოსებრი შემსხვილებებით

III 8 a ვარიანტის ფიბულების რკალის ღერო თანაბარი, სუსტად ან ძლიერ შემსხვილებული და მრგვალგანივკვეთიანია. რკალის ზედაპირი სადაა. რკალის თავსა და ბოლოში დისკოსებრი შემსხვილებებია. კორპუსი ნახევარწრისებრი ან ნალისებრია. ფეხი (ბუდე) გაგანიერებული და ნიჩბისებრია. ნემსსაჭერი პატარა და მომრგვალებულია.

ამ ვარიანტის ფიბულები (28 ცალი) ცნობილია: თლიას (კატ. № № 394-396), მუხურჩის (კატ. № 397), რუსთავის (კატ. № 398), პალურის № 24 სამარხიდან (კატ. № 399), ბრილისა (კატ. № № 400-406) და ჯანტუხის (კატ. № № 408-413) სამაროვნებიდან, ეშერადან (კატ. № 4057), ზემო რუთხადან (კატ. № № 414, 415), ყობანიდან (კატ. № № 416-419), ზაიუკოვოდან (კატ. № 420), არხონიდან (კატ. № 421).

394. თლია. ქვებით შემოწყობილი, ოთხკუთხა მოყვანილობის ქვყარილიანი ორმოსამარხი № 93. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო _ ჯამი, აბზინდა, რგოლი, სარტყელის ფრაგმენტები; რკინა _ ცული, შუბისპირი, აკინაკი, დანის ფრაგმენტები; ქვის გახვრეტილი სალესი ბრინჯაოს ძეწკვით; მძივები _ სარდიონის. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. _ VI ს. [Texov 1980a, გვ. 26, სურ. 5; მისივე 1980b, გვ. 222, სურ. 4; მისივე 1985, გვ. 13, 14, ტაბ. 1178].

395. თლია. სამარხი № 146b.¹²⁰ ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო _ ფირფიტისებური და მავთლისებური სამაჯურები, თასი, გრეხილი საყელური, ძეწკვის ფრაგმენტები, რომბისებური ფირფიტა; კერამიკა _ ბიკონუსური ჭურჭელი; მძივები _ სარდიონის, ქარვის, ვაიანსის, მინის ბისერი, ოქროს ფურცლით დაფარული, ნიჟარა კაური. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. _ VI ს. [Texov 1970, გვ. 104, სურ. 8; მისივე 1985, გვ. 23, 24, სურ. 1388].

396. თლია. ქვებით შემწყობილი ქვყარილიანი ორმოსამარხი № 205. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო _ ჭურჭელი (ორყურა ქვაბი), აბზინდა, სარტყელის ფრაგმენტები, რგოლი; რკინა _ ცული, სატევარი; ქვა _ სალესი; მძივები _ სარდიონის. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. _ VI ს. [Texov 1980a, გვ. 34, სურ. 13; მისივე 1980b, გვ. 234, სურ. 16; მისივე 1985, გვ. 31, 32, ტაბ. 1579].

397. მუხურჩა. მუხურჩის სამაროვანი (კვ. DC-21(NW)). ბრინჯაოს ფიბულა. L. 5,7 სმ (სემ კოლ. 81-976:915). იმავე კვადრატებში აღმოჩენილი თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – საკინძი, საკისრე რგოლის ფრაგმენტები, სამაჯური, საკიდი; რკინა _ თოხი; კერამიკა; მძივები _ სარდიონის. ძვ.წ. VIII-VI სს. [დავლიანიძე 2003-2004, გვ. 23, ტაბ. 16].

¹¹⁹ იხ.: აქვე, გვ. 83.

¹²⁰ სამარხი №146a გამოქვეყნებულია - Texov 1980, გვ. 31, ტაბ. 79.

398. რუსთავი. შემთხვევითი აღმოჩენა. ბრინჯაოს ფიბულა [ლომთათიძე 1955, გვ. 178, ტაბ. XV6].

399. პალური (წალენჯიხის რ-ნი). სამარხი № 24. ეკუთვნის ორ ინდივიდს, მაგრამ თითოეულის კომპლექსის ცალკე გამოყოფა არ ხერხდება. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: კერამიკა – ირიბკანელურებიანი ცალყურა კათხა, ყურმილიანი ჭურჭელი; ბრინჯაო – ფიბულა (კატ. № 699), სატევრები, ბალთა, ვეფხვის (?) სკულპტურული გამოსახულება, სპირალურად თავჩახვეული საკისრე რკალი, ბრტყელფირფიტოვანი და მრგვალგანივკვეთიანი 2 სამაჯური; რკინა – ყუნწიანი დანა; ელექტრუმის და ვერცხლის წყვილი საყურე; მძივები – სარდიონის, გიშრის, მინის. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. – VI ს. დასაწყისი [ბარამიძე 1977, გვ. 29-30, ტაბ. VIII].

400. ბრილი. სამარხი № 26 (1950 წ.). ბრინჯაოს ფიბულა. L. 5 სმ (სემ კოლ. 5-993:204). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ზარი რკინის ენით, 2 დაფანჯრული ეფვანი, 3 ფიბულა (იხ. კატ. № № 59, 60, 336), 3 გრებილ-რკალიანი დიადემა (მათგან ერთი ძეწკვით), რიტონი (დგას ფრინველის ქანდაკებაზე), საკინძი, საკიდი, დუგმისებრი ბალთა; რკინა – 19 ცული მოხრილი ჩაქუჩისებური და სოკოსებური ყლით, 7 შუბცული და აკინაკები, 3 მოხრილი დანა; ვერცხლი – 3 გრებილრკალიანი და ფირფიტისებურბოლოანი დიადემა, საყურე 2 სხივით. გამოუქვეყნებელია.

401. ბრილი. ნაყარი მიწიდან (1951 წ.). ბრინჯაოს ფიბულა. L. 5,3 სმ. (სემ კოლ. 5-993:199). გამოუქვეყნებელია.

402. ბრილი. საველე დავთრიდან: “აღმოჩენილია კოლხური პერიოდის სამარხის ჩრდილოეთით სკვითური ხანის დამწვარ ფენაში” (1951 წ.). ბრინჯაოს ფიბულა. L. 8 სმ. (სემ კოლ. 5-993:428). გამოუქვეყნებელია.

403. ბრილი. საველე დავთრიდან: “აღმოჩენილია კოლხური პერიოდის სამარხის ჩრდილოეთით სკვითური ხანის დამწვარ ფენაში” (1951 წ.). ბრინჯაოს ფიბულა. L. 5,7 სმ. (სემ კოლ. 5-993:429). გამოუქვეყნებელია.

404. ბრილი. ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 1 (1952 წ.). ბრინჯაოს ფიბულა. L. 4 სმ. (სემ კოლ. 5-993:3). თანმხლები ინვენტარი: კერამიკა – ცალყურა შავი ქოთანის; ბრინჯაო – ცხოველის ქანდაკება (დაკარგულია), ღერო; ცხვრის გახვრეტილი კოჭი. გამოუქვეყნებელია.

405. ბრილი. სამარხი № 20 (1952 წ.). ბრინჯაოს ფიბულა. L. 10,5 სმ. (სემ კოლ. 5-993:136). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ჭურჭელი (დაკარგულია), მილაკები, პინცეტი, ზარი, როზეტი; რკინა – 2 ცული, რგოლი, მოხრილი დანა, საყბურები, ლაგამი, მახვილი, სატევარი; ოქრო – საყურეები; ვერცხლი – დიადემა; მინა – ლურჯი ფერის ამფორისკი ყვითელი ხაზებით (დაკარგულია); მძივები. გამოუქვეყნებელია.

406. ბრილი. ქვაყრილიანი სამარხი № 13 (1952 წ.). ბრინჯაოს ფიბულა L. 8,2 სმ. (სემ კოლ. 5-993:64). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – პინცეტი, ფიბულა (სემ კოლ. 5-993:71. დაკარგულია), ჭურჭლის სახელური (?); რკინა – სამაჯურის ფრაგმენტები, ცული, მოხრილი დანა; ელექტრუმი – ერთმტევნიანი საყურე; მძივები – ცისფერი მინის, გიშრის. გამოუქვეყნებელია.

407. ეშერა (სოხუმთან). ბრინჯაოს ფიბულა [Куфтин 1950, გვ. 224, 225, სურ. 143].

408-413. ჯანტუხი. ბრინჯაოს 6 ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: იხ. კატ. № № 78-105, 323, 373, 388, 389. ძვ.წ. VII ს. [Шамра 1984, გვ. 41, სურ. 21,6,8, სურ. 251,2,21,23].

414. ზემო რუთხა. ბრინჯაოს ფიბულა. L. 8,2 სმ. იხ. კატ. № № 108-112, ე.წ. “ვოსნიერსკას” კოლექცია (ბერლინი, ინვ. IIIId 3248). გვიანბრინჯაო-რკინის ხანა [Motzenbäcker 1996, გვ. 104, 163, ტაბ. 623, კატ. 457].

415. ზემო რუთხა. ბრინჯაოს ფიბულა. იხ. კატ. № № 105-109, ე.წ. “ვოსნიერსკას” კოლექცია (ინვ. IIIId 3248). გვიანბრინჯაო-რკინის ხანა [Motzenbäcker 1996, გვ. 105, 163, ტაბ. 287].

416, 417. ყოზანი. ბრინჯაოს ფიბულები. ა. ს. უვაროვის კოლექცია [Уварова 1900, ტაბ. XXXII,5,6].

418. ყობანი. ბრინჯაოს ფიბულა [Chantre 1886, ტაბ. XXI7].

419. ყობანი. ბრინჯაოს ფიბულა (სემ კოლ. 1-02:35). 1877 წ. ყობანის სამაროვნის გათხრებში მონაწილეობდა ბ. ანტონოვიჩი. მის მიერ მოპოვებული მასალა (მათ შორის 22 ფიბულა) ინახება ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (სემ). [Уварова, Раде 1902].

420. ზაიუკოვო. სკოლის სახალხო მუზეუმი. დანგრეული სამარხიდან. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – მასიური გვერგვი, სპირალურბოლოებიანი სამაჯურები, “ყურებიანი” ფრინველები (საკიდები), სპირალური სამაჯური. ძვ.წ. XI-X სს. [Козенкова 1998, გვ. 75, ტაბ. XXV6].

421. არხონი. ბრინჯაოს ფიბულა [Уварова 1900, ტაბ. CXXXI1].

III 8 a ვარიანტის ფიბულები კავკასიაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ტიპია.

ფიბულები რკალზე “ღილისებური შემსხვილებებით”, როგორც ქრ. ბლინკენბერგი უწოდებდა, ცნობილია ასარლიკიდან (კარია, თურქეთი). მას მსუბუქად შემსხვილებული ღილებით შემოსაზღვრული რკალი და დიდი ზამბარა აქვს. მსგავსი ფიბულა ოსტროვოშიც (მაკედონია) ყოფილა აღმოჩენილი, რომელიც სტამბულის მუზეუმშია დაცული [Montelius 1903, ფიგ. 174; Montelius 1912, ფიგ. 365, 735; Blinkenberg 1926, გვ. 49, 67, ფიგ. 43-II a].

III 8 a ვარიანტის ფიბულების თითქოს მსგავსი ფიბულები ანატოლიის მასალებიდან ალიშარ ჰუიუკიდანაა ცნობილი [Caner 1983, ტაბ. 701208D, ლიტ. იხ. იქვე]. ფ. პედეს მიხედვით ძვ.წ. XII-VII სს-ში არიან გავრცელებული [Pedde 2000, რუკა 4].

ფ. პედეს იგივე მაგალითები მოჰყავს და მათ აერთიანებს ასიმეტრიული, ორ ადგილას მძივისებურად შემკულრკალიანი ფიბულების A2.2 ჯგუფში. შემსხვილებებს ის აიგივებს “მძივებთან”, რომლებიც ხშირად ფლანკირებულია ბრტყელი საყელურებით. ამ ფიბულების ძვ.წ. IX-VIII სს-ის ეგზემპლარებისათვის დამახასიათებელია შემსხვილებების განლაგება უფრო ზამბარისა და ნემსსაჭერის სიახლოვეს და რკალის სწორად მორკალვა [Pedde 2000, გვ. 106, 108, ტაბ. 547,48]. ამგვარი ფიბულები ალიშარის გარდა ცნობილია სირია-პალესტინისა და კვიპროსის ძეგლებიდან [Pedde 2000, რუკა 4]. მსგავსი ფიბულა ცნობილია გორდიონიდან (დაცულია ანკარის მუზეუმში) [Licheli 1997, სურ. 4. 4:3].

დისკოსებური შემსხვილებები, იშვიათად რკალის თავსა და ბოლოში, უფრო ხშირად კი რკალის შუაში, კვიპროსზე და მიმდებარე აზიურ მატერიკზე აღმოჩენილ ფიბულებზე გვხვდება [Gjerstad . . . 1935, ტაბ. CLIIA.5,16, A.14.65, A.7.192; Stronach 1959, გვ. 184, 185].

ქრ. ბლინკენბერგი მახლობელი აღმოსავლეთის მთელ სივრცეში აღმოჩენილ ფიბულებს თავის XIII, “კვიპროსულ” ტიპში აერთიანებდა. ჩვენთვის საინტერესო ორშემსხვილებიანი ფიბულის მაგალითი მოჰყავს ამათოუსის სამაროვნიდან (კვიპროსი) [Blinkenberg 1926, გვ. 236, სურ. 271, XIII 2 a].

ეგეოსის კუნძულებზე და საბერძნეთში მსგავსი ფიბულები უცნობია [იხ. Kilian 1975; Sapouna-Sakellarakis 1978].

სადარკალიანი დისკოსებურშემსხვილებებიანი ფიბულა აღმოჩენილია მაკედონიაში, ვერგინას სამაროვანზე, რომელიც ძვ.წ. X ს-ის დასაწყისითაა დათარიღებული. მას ამ

ტიპის ადრეული ფიბულებისათვის დამახასიათებელი წვრილი ღერო, დიდი ზომის ზამბარა და ნიჩბისებრი ფორმის ფეხი (ბუდე) აქვს [Radt 1974, გვ. 140-144, ტაბ. 3816]¹²¹.

ანალოგიური ფიბულები უცნობია რუმინეთ-ბულგარეთის მასალებიდანაც, თუ არ ჩავთვლით ბულგარეთში აღმოჩენილ ბუდესთან ერთშემსხვილებიან ფიბულებს, რომლებიც ძვ.წ. VII-VI სს-ით თარიღდება [იხ. Bader 1983; Gergova 1987, გვ. 23, ტაბ. 220,21,22].

სადარკალიანი ფიბულა დისკოსებური შემსხვილებებით ცნობილია ცენტრალური ბალკანეთიდან, რაპეშიდან (პელაგონია, მაკედონია). ის აღმოჩენილია ანალოგიურ, ოლონდ, თევზიფხურით მდიდრულად შემკულ ფიბულასთან ერთად. ეს ეგზემპლარები ძვ.წ. X ს-ის მეორე ნახევარს განეკუთვნებიან [Vasić 1999, გვ. 45, 46, ტაბ. 25280].

ჩვენი ფიბულების თითქმის სრული ანალოგია ვრანჟიკაში (იუგოსლავია) გვიან-ბრინჯაოს ხანის დალმაციის კულტურული ჯგუფის ძეგლებიდან მომდინარე ფიბულა [Praistorija . . . 1983, ტაბ. XLVIII20].

სამხრეთ გერმანიის, ავსტრიის, შვეიცარიისა და იტალიის ტერიტორიიდან ამ ტიპის ფიბულები (ზოგჯერ რკალზე რამდენიმე დისკოთი) მხოლოდ თევზიფხურით რკალშემკულია ცნობილი [Betzler 1974, გვ. 69, 70, ტაბ. 14143; Sundwall 1943, გვ. 83, სურ. 81 B I a d3; Eles Masi 1986, გვ. 12, კატ. 62, 63, გვ. 29, 30, ტაბ. 12231,232, ტაბ. 13233,234,235,236].

III 8 a ვარიანტის ფიბულები კავკასიის მასალების მიხედვით, ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრით და VI ს-ით თარიღდება.

III 8 a 1 ვარიანტის ფიბულის რკალის ღერო თანაბრად შემსხვილებული და მრგვალგანივკვეთიანია. რკალის ზედაპირი სადაა. რკალის თავსა და ბოლოში დისკოსებრი შემსხვილებებია, რომლებიც ღრმადაა ამოჭრილი ვერტიკალურად (ქმნის ოთხ გამობურცულ ვერტიკალურ ფირფიტას). კორპუსი ნახევარწრისებრია. ფეხი (ბუდე) გაგანიერებული და მომადლოა. ნემსსაჭერი ენისებურია, მომრგვალებული.

ამ ვარიანტის ფიბულა კავკასიიდან მხოლოდ ყობანიდანაა (კატ. № 422) ცნობილი. მას ანალოგები არ მოეპოვება. უნდა დათარიღდეს ძვ.წ. VII-VI სს-ით.

422. ყობანი. ბრინჯაოს ფიბულა [Chantre 1886, ტაბ. XXIIbis5; Калитинский 1926, ტაბ. II4].

III 8 a 2 ვარიანტის ფიბულის რკალის ღერო თანაბრად შემსხვილებული და მრგვალგანივკვეთიანია. რკალის ზედაპირი სადაა. რკალის თავსა და ბოლოში აქვს ორ-ორი დისკოსებრი შემსხვილება. კორპუსი ნალისებრია. ფეხი (ბუდე) გაგანიერებული და დაბალია. ნემსსაჭერი პატარა.

ამ ვარიანტის ფიბულაც კავკასიიდან მხოლოდ ყობანიდანაა (კატ. № 423) ცნობილი. მასაც არ მოეპოვება ანალოგები და ისიც ძვ.წ. VII-VI სს-ით უნდა დათარიღდეს.

423. ყობანი. ბრინჯაოს ფიბულა [Chantre 1886, ტაბ. XXIIbis6].

III 8 b ვარიანტის ფიბულების რკალის ღერო თანაბარია, სუსტად შემსხვილებული და მრგვალგანივკვეთიანი; რკალის ზედაპირი სადაა ან ირგვლივი წრეზაზების სეგმენტებით შემკული. რკალის თავსა და ბოლოში დისკოსებრი შემსხვილებებია.

¹²¹ საინტერესოა, რომ აღნიშნულ ფიბულებთან ერთად აღმოჩენილია ე.წ. “კვიპროსული” ტიპის ფიბულა (ქრ. ბლინკენბერგის XIII ტიპი, ხოლო ფ. პედეს მიხედვით “ასიმეტრიული ფიბულა ორი მძივით”, რომელიც უახლესი გამოკვლევების მიხედვით ძვ.წ. X-IX სს-ში არსებობს) [Pedde 2000, გვ. 106-109].

კორპუსი ნახევარწრისებრია. ფეხი (ბუდე) გაგანიერებული და ნიჩბისებურია. ბუდე შემკულია (თევზი, ფანტასტიკური ცხოველი). ნემსსაჭერი პატარა და მომრგვალებულია.

ამ ვარიანტის ფიბულა (2 ცალი) ცნობილია მხოლოდ საქართველოდან. ერთი თლიას სამაროვნის № 226 სამარხიდან (კატ. № 424), მეორე ფიბულის აღმოჩენის ადგილი უცნობია (კატ. № 425).

424. თლია. ქვებით შემოსაზღვრული ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 226. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – კვერთხი დახვეული ბრინჯაოს ლენტით, აბზინდა, ორყურა ვედრო, ყუამახვილი კოლხური ცული; რკინა – სატევარი, შუბისპირი, ცული, მოხრილი დანა; თიკნის ჩონჩხი. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. VI ს. [Техов 1981a, გვ. 59, სურ. 8; მისივე 1985, გვ. 33, 34, ტაბ. 1617].

425. აღმოჩენის ადგილი უცნობია. ბრინჯაოს ფიბულა (თსუ არქეოლოგიის კათედრა. № არა აქვს). გამოუქვეყნებელია.

ანალოგიური ფიბულები ჩვენთვის უცნობია.

III 8 b ვარიანტის ფიბულა თლიას № 226 სამარხიდან ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევართა და VI ს-ით თარიღდება [Техов 1981a, გვ. 59; 1985, გვ. 33, 34].

III 8 c ვარიანტის ფიბულების რკალის ღერო შემსხვილებული და მრგვალგანივკვეთიანია. რკალის ზედაპირი დაფარულია განივი თევზიფხური სახით ან ერთმანეთის საპირისპიროდ მიმართული დაშტრიხული სამკუთხედებით. რკალის თავსა და ბოლოში დისკოსებრი შემსხვილებებია. ფეხი (ბუდე) გაგანიერებული და ნიჩბისებურია. ბუდე შემკულია (თევზი, ფანტასტიკური ცხოველი). ნემსსაჭერი მომრგვალებული ან ენისებური ფორმისაა.

ამ ვარიანტის ფიბულები (16 ცალი) ცნობილია სამურზაყანოდან (კატ. № 428), თლიას № № 69, 172 სამარხებიდან (კატ. № № 429, 430), ჯანტუხის სამაროვნიდან (კატ. № № 431-435), წითელი შუქურას № 62(92) სამარხიდან (კატ. № 436), ყობანიდან (კატ. № № 427, 437, 438), გოჭგიდიდან (კატ. № 439), ზაიუკოვოს დანგრეული ყორღანიდან და № 1 სამაროვნის № 2 სამარხიდან (კატ. № № 440, 441).

426. აღმოჩენის ადგილი უცნობია. ბრინჯაოს ფიბულა. L.8,2 სმ. (სემ კოლ. 1-36:24). გამოუქვეყნებელია.

427. ყობანი. ბრინჯაოს ფიბულა [Chantre 1886, ტაბ. XXII7].

428. სამურზაყანო (დღევანდელი გალის რ-ნი). კოლექცია შეაგროვა და მუზეუმს გადასცა პოლკ. ტატიაჩენკომ. ბრინჯაოს ფიბულა L. 10 სმ. (სემ კოლ. 3-21:1). კოლექციაში შედის: ბრინჯაო – კოლხური ცული და მასიური სამაჯური. გვიანი ბრინჯაოს ხანა [Куфтин 1949, გვ. 139].

429. თლია. სამარხი № 69. სავარაუდოდ ოთხი მიცვალებულით. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ვედრო, გრავირებული ყუამახვილი კოლხური ცული; მძივები – 20 (ც.) სარდიონის ბიკონუსური, ხუთწახნაგა, სამკუთხა და სხვ. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. – VI ს. [Техов 1985, გვ. 10, ტაბ. 1093].

430. თლია. ქვაყრილიანი ქვის სამარხი № 172 (ორი მიცვალებულით). ბრინჯაოს ფიბულა (ინვენტარიან მიცვალებულთან). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – გრეხილრკალიანი საყელური, ჯამი, აბზინდა; რკინა – ცული, დანა. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. – VI ს. [Техов 1985, გვ. 27, ტაბ. 1464].

431-435. ჯანტუხი. კოლექტიური სამაროვანი, ინჰუმაციითა და კრემაციით. ბრინჯაოს 5 ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: კერამიკა; ბრინჯაო – ფიბულები (იხ. კატ. № № 78-105, 323, 373, 388, 389, 408-413) სამაჯურები, საკისრე რკალები, პინცეტები, სპირალები, ძეწკვები, სიტულის სახელური ზოომორფული ყურით, ზარაკები, ჯაჭვისებრი და სხვა ფორმის საკიდები, სპირალური დუგმები, აბზინდები, ბალოები,

ფიგურები; რკინა – სატევრები; ქვა – სალესები, კვირისტავეები; მძივები – ქვის, სარდიონის, მინის; ძვ.წ. VII ს. [Шамба 1984, გვ. 40, 41, სურ.პ211,4,10,11,17].

436. წითელი შუქურა. ორმოსამარხი № 62(92). ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – სპირალური მილი, 2 მასიური სამაჯური, ლენტისებური სარტყელი აბზინდით. ძვ.წ. VIII-VI სს. [Трапш 1969, გვ. 130, ტაბ. XII, XXV7]; ძვ.წ. VIII-VII ს.ს. [Квирквелия 1981, გვ. 6].

437. ყობანი. ა. ს. უვაროვის კოლექცია. ბრინჯაოს ფიბულა [Уварова 1900, ტაბ. XXXII7].

438. ყობანი. 1877 წ. ყობანის სამაროვნის გათხრებში მონაწილეობდა ბ. ანტონოვიჩი. მის მიერ მოპოვებული მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (22 ფიბულა). (სემ კოლ. 1-02:51) [Уварова, Радде 1902].

439. გიფიდი. აკლდამა (1928 წ.). ბრინჯაოს ფიბულა. აღმოჩნდა კოლხურ ცულოთან ერთად. ძვ.წ. I ათასწ. დასაწ. [Козенкова 1998, გვ. 75, ტაბ. XXV2].

440. ზაიუკოვო. დანგრეული ყორღანი (1935 წ.). ბრინჯაოს ფიბულა [Козенкова 1998, გვ. 75, ტაბ. XXV3].

441. ზაიუკოვო. № 1 სამაროვანი. სამარხი № 2 (1949 წ.). ბრინჯაოს ფიბულა. ძვ.წ. VIII ს. [Крупнов 1957, გვ. 100, სურ. 231; Козенкова 1998, გვ. 75, ტაბ. XXV4].*ფიშღლიშვი*

ამგვარად შემკული დისკოსებრშემსხვილებებიანი რკალისებრი ფიბულები ანატოლიის, წინა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებიდან უცნობია. არც ეგეოსური სივრციდანაა ისინი ცნობილი. ანალოგიური ფიბულები უცნობია ბულგარეთიდან და რუმინეთიდანაც.

ამგვარად შემკული ფიბულები ცნობილია: მაკედონიიდან, ვერგინას სამაროვნიდან, სადაც ისინი ძვ.წ. X ს-ის დასაწყისით თარიღდებიან და აღმოჩენილი არიან, როგორც ადრე უკვე აღვნიშნეთ, ე.წ. “რკალზე ორმძივიან ასიმეტრიულ” ფიბულასთან ერთად [Radt 1974, გვ. 140-144, ტაბ. 3814,15,25]. უკანასკნელს ძვ.წ. X-IX სს-ით ათარიღებენ [Pedde 2000, გვ. 106-109].

რკალისებრი ფიბულა დისკოსებური შემსხვილებებითა და რკალით, რომელიც შემკულია დაშტრიხული სამკუთხედებით, ცნობილია ესტავაიერ-ლე-ლაკიდან (შვეიცარია, კანტონი ფრიბურგი) [Vogt 1949-1950, გვ. 226, ტაბ. XXVIII4; Betzler 1974, გვ. 69, ტაბ. 14143].

ს. ბატოვიჩი ამ ფორმის წარმოშობას უკავშირებს დალმაცია-კროატის (იუგოსლავია) მთავარ არეალს, საიდანაც ხორციელდებოდა კულტურული კავშირები იტალიასთან და სიცილიასთან. ისინი მას ძვ.წ. X ს-ზე ადრეულად არ მიაჩნია [Batović 1959, გვ. 53; მისივე 1965, გვ. 55, 60]. პ. ბეტცლერს კი მიაჩნია, რომ რადგან ამ ტიპის ფიბულები თანაარსებობენ (პიანელოსა და პანტალიჩას სამაროვნები) იმ ხემისებურ ფიბულებთან, რომელთა რკალიც ასევე შემკულია დისკოსებური შემსხვილებებით, ისინი უფრო ადრეული ხანით – ძვ.წ. XI ს-ით უნდა დათარიღდნენ [Betzler 1974, გვ. 69].

იტალიიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანალოგიური ფიბულები ცნობილია პიანელოდან, პანტალიჩადან და ლიმონედან [Orsi 1899, გვ. 53, ტაბ. 810; მისივე 1912, გვ. 312, ტაბ. 626; Montelius 1895, II B, გვ. 121, ტაბ. 10; Sundwall 1943, გვ. 83, 84].

ჩვენს ფიბულებთან განსაკუთრებით ახლოსაა იუგოსლავიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ფიბულები: სალი ნა დუგომიდან, კრკოვიჩიდან, ვრსიდან, გალოვაცადან, პოლია ნა კრკუდან და სესტრუნიადან, რომლებიც ლიბურნიის კულტურულ ჯგუფს განეკუთვნებიან [Praistorija . . . 1983, ტაბ. XLIII1,12, XLIV7,8, XLV1,7]. აქედან ჩვენი ფიბულების სრულ ანალოგად უნდა ჩაითვალოს კრკოვიჩას ფიბულა [იქვე, ტაბ. XLIII12],

რომელსაც აქვს შემსხვილებული ზურგი, დაფარული განივი თევზიფხურით და ღეროს სიმეტრიული ბუდე, რომელიც ძალიან გავს კავკასიური ფიბულების ბუდეს. დალმაციურ კულტურულ ჯგუფს ეკუთვნის ტიშკოვცაში აღმოჩენილი ფიბულა [იქვე, ტაბ. XLVII6]. ისინი ყველა განეკუთვნება გვიანი ბრინჯაოს ხანას (დაახლ. ძვ.წ. 1200-800 წწ.).¹²²

ასევე ახლოსაა ჩვენს ფიბულებთან ტრეზენიშტეს კულტურის არეალში (მაკედონია, ჩრდ. საბერძნეთი, დას. ბულგარეთი, ალბანეთი), მის I ფაზაში (ძვ.წ. 1150-800 წწ.) გავრცელებული დისკოსებურშემსხვილებებიანი ფიბულები [Lahtov 1965, გვ. 181, 200-205, ტაბ. I7].

დისკოსებურშემსხვილებებიანი ფიბულები თევზიფხურით შემკული რკალით დალმაციის (იუგოსლავია) აღმოჩენების ყველაზე მნიშვნელოვანი ნივთია, რომლის დისკოების ფორმა, შემკულობა არ იცვლება; იცვლება მხოლოდ ფეხის (ბუდის) ფორმა – პატარა ფეხიანი, დიდი ნახევარწრიული ფეხით, დიდი სამკუთხა ფორმის ფეხით. ისინი ცნობილია ზეელინედან, კრკოვიედან [Buttler 1933, გვ. 285-290, სურ. 3, 4, 7, 8].

III 8 c ვარიანტის ფიბულები ძვ.წ. VII-VI სს-ით თარიღდებიან.

III 8 c 1 ვარიანტის ფიბულების რკალის ღერო შემსხვილებული და მრგვალგანივკვეთიანია. რკალის ზედაპირი დაფარულია განივად მიმართული თევზიფხური სახით. რკალის თავსა და ბოლოში დისკოსებრი შემსხვილებებია. დისკოსებურ შემსხვილებებზე და რკალის ცენტრში დარჩილულია ვერძის თავები. ფეხი (ბუდე) გაგანიერებული და ნიჩბისებურია.

ამ ვარიანტის ფიბულა კავკასიის მასალებიდან მხოლოდ ორია ცნობილი – ყაზბეგის განძიდან (კატ. № 442) და ყობანის სამაროვნიდან (კატ. № 443).

442. ყაზბეგი. *“ყაზბეგის განძი”. ბრინჯაოს ფიბულა. იხ. კატ. № 143. ძვ.წ. VI-V სს. [წითლანაძე 1976, გვ. 78. ნივთი მხოლოდ ტექსტშია ნახსენები – ნ.ს.].*

443. ყობანი. *სამაროვანი. ბრინჯაოს ფიბულა. ერმიტაჟის კოლექცია. ძვ.წ. I ათასწ. მეორე მეოთხედი [Chantre 1886, ტაბ. XXII4; Уварова 1900, სურ. 53; Доманский 1984, სურ. 56, 1731/46,36].*

ფიგურებით (წყლის ფრინველები) რკალის შემკობა ახასიათებს ეგეოსის კუნძულების ფიბულათა ერთ ტიპს [Blinkenberg 1926, IV ტიპი; Sapouna-Sakellarakis 1978, 7 b ტიპი], რომელიც დამახასიათებელია გეომეტრიული ხანის ბოლოსა და ადრეარქაული ხანისათვის. კუნძულთა ფიბულების ეს ტიპი საბერძნეთის მატერიკზეც გვხვდება (არტემიდეს სამლოცველო, არგოსის ჰერაიონი), სადაც ისინი ძვ.წ. 850-700 წწ-ით თარიღდება [Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 97-99].

ჩვენს ფიბულებს მათთან არც ტიპოლოგიურად და არც ქრონოლოგიურად არანაირი კავშირი არა აქვთ.

III 8 c 1 ვარიანტის ფიბულები შეიძლება ზოგადად ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე მეოთხედით დავათარილოთ.

III 8 c 2 ვარიანტის ფიბულების რკალის ღერო მნიშვნელოვნად შემსხვილებული და მრგვალგანივკვეთიანია. რკალის ზედაპირი დაფარულია დამტრიხული ან წერტილებით შევსებული სამკუთხედებით. რკალის თავსა და ბოლოში დისკოსებრი შემსხვილებებია. ფეხი (ბუდე) გაგანიერებული და ნიჩბისებურია.

¹²² დალმაციური კულტურული ჯგუფის ქრონოლოგიური ფაზების შესახებ იხ.: Archeološki leksikon Bosne i Hercegovine, I, Sarajevo, 1988, გვ. 164, 165.

ამ ვარიანტის ფიბულები აღმოჩენილია ყობანის სამაროვანზე (კატ. № 444) და ლაშკუტაში (კატ. № 445).

444. ყობანი. სამაროვანი. სანკტ-პეტერბურგის ერმიტაჟის კოლექცია _ 1731/36. ბრინჯაოს ფიბულა. I. 9,9 სმ. ძვ.წ. I ათასწ. მეორე მეოთხედი [Доманский 1984, კატ. 58].

445. ლაშკუტა (ყაბარდო-ბალყარეთი, ბაქსანის ხეობა). დანგრეული სამარხი. ბრინჯაოს ფიბულა. ძვ.წ. II ათასწ. ბოლო _ I ათასწ. დასაწყისი [Батчаев 1985, გვ. 12, ტაბ. 41]. ძვ.წ. IX-VIII სს. [Козенкова 1998, გვ. 75, ტაბ. XXV5].

კავკასიის გარეთ გავრცელებული დისკოსებურშემსხვილებებიანი ფიბულებისათვის არსად ასეთი მსხვილი რკალები არაა დამახასიათებელი. ეს ტიპოლოგიური ნიშანი მხოლოდ კავკასიის ფიბულებისთვისაა დამახასიათებელი. რაც შეეხება ამ ვარიანტის ფიბულების რკალის შემკულობას, მსგავსი მხოლოდ იტალიის ძვ.წ. VIII-VII სს-ის წურბლისებრ ფიბულებზე გვხვდება [Eles Masi 1996, გვ. 76-79, ტაბ. 44, 45, 46].

III 8 c 2 ვარიანტის ფიბულები ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე მეოთხედით თარიღდებიან.

III 8 d ვარიანტის ფიბულის რკალის ღერო შემსხვილებული და მრგვალგანივკვეთიანია. რკალის ზედაპირი დაფარულია სიგრძივი თევზიფხური სახით. რკალის თავსა და ბოლოში დისკოსებრი შემსხვილებებია. ფეხი (ბუდე) გაგანიერებული და ნიჩბისებურია.

ამ ვარიანტის ფიბულა ერთი ცალია (კატ. № 446) აღმოჩენილი თლიას სამაროვნის ძვ.წ. VII-VI სს-ის № 314 სამარხში [შდრ.: Техов 1985, გვ. 51; სულავა 2000a, ტაბ. I16; 2006, გვ. 76-78].

446. თლია. ქვებით შემოწყობილი ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 314. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: რკინა _ ცული, დანა; გაურკვეველი მეტალის რგოლი. თხის ჩონჩხი. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. VI ს. [Техов 1985, გვ. 51, ტაბ. 1992].

III 8 e ვარიანტის ფიბულის რკალის ღერო შემსხვილებული და მრგვალგანივკვეთიანია. რკალის ზედაპირი შემკულია ზიგზაგისებური სახით. რკალის თავსა და ბოლოში დისკოსებრი შემსხვილებებია. ფეხი (ბუდე) გაგანიერებული და ნიჩბისებურია.

ამ ვარიანტის ფიბულა ერთი ცალია (კატ. № 447) აღმოჩენილი ჯვარში. მას ანალოგები არ ეძებნება. ის შეიძლება ძვ.წ. VII-VI სს-ს მივაკუთვნოთ.

447. ჯვარი (წალენჯიხის რ-ნი). ჯვარის განძიდან (ნაპოვნია 1903 წ. განძის ბრინჯაოს ნივთების ერთი ნაწილი 1905 წ. შეიძინა ერმიტაჟმა). ბრინჯაოს ფიბულა. კოლექციაში შედის: კოლხური ცული, თოხი, ხატისუღელი, თავებგახსნილი რგოლი, სპირალური მილისებრი ხვია. ძვ.წ. X-VIII სს., ძვ.წ. VIII-VII სს. [Отчет . . . 1908, გვ. 103; Куфтин 1949, გვ. 139; Иессен 1953, გვ. 64, სურ. 8; ქორიძე 1965, გვ. 40, 119, სურ. 33; Апакидзе 1991, გვ. 78].

III 8 f ვარიანტის ფიბულის რკალის ღერო შემსხვილებული და გრებილია. რკალის თავსა და ბოლოში დისკოსებრი შემსხვილებებია. ფეხი (ბუდე) რკალის სიმეტრიულია. ნემსსაჭერი პატარაა, მილისებური.

ამ ვარიანტის ფიბულა კავკასიის მასალებიდან მხოლოდ ყობანიდანაა (კატ. № 448) ცნობილი. ძვ.წ. VII-VI სს-ით უნდა დათარიღდეს.

448. ყობანი. ბრინჯაოს ფიბულა [Chantre 1886, ტაბ. XXIIbis4].

ანალოგიური ფიბულები მხოლოდ იტალიის მასალებში გვხვდება. ი. ზუნდვალის მიხედვით ესაა B I a b ტიპი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ორი ან მეტი დისკოსებრი შემსხვილება. ისინი აღმოჩენილია ვილა კაპელაში [Montelius 1895, IA, ტაბ. 539; Angelo Colini 1910, გვ. 182, ტაბ. 133; Sundwall 1943, გვ. 80, სურ. 77; Eles Masi 1986, გვ. 14, ტაბ. 367], ესტეში [Montelius 1895, IB, ტაბ. 503; Sundwall 1943, გვ. 80, B I a b3], მონტე პრიმოში [Montelius 1895, IIB, ტაბ. 12020; Sundwall 1943, გვ. 80, B I a b4]. ამ ფიბულებს ი. ზუნდვალი ძვ.წ. XI-IX სს-ს მიაკუთვნებს [იქვე, გვ. 268]. ანალოგიური ფიბულა ცნობილია ჩრდ. იტალიიდან, ფრატესინადან [Eles Masi 1986, გვ. 14, ტაბ. 366].

III 8 g ვარიანტის ფიბულის რკალის ღერო შემსხვილებული და მრგვალგანივკვეთიანია. რკალის ზედაპირი თითქოს “დანაოჭებულია”. რკალის თავსა და ბოლოში დისკოსებრი შემსხვილებებია. ფეხი (ბუდე) გაგანიერებულია. ნემსსაჭერი მომრგვალებულია.

ამ ვარიანტის ფიბულა ერთი ცალია (კატ. № 449) აღმოჩენილი ურეკის სამაროვნის № 3 სამარხ ორმოში, ბრინჯაოსა და რკინის სხვა ტიპის ფიბულებთან ერთად. ის ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრითაა დათარიღებული [მიქელაძე 1985, გვ. 47].

449. ურეკი. სამარხი ორმო № 3. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: კერამიკა; ბრინჯაო – სატევრები, სეგმენტები, კოლხური ცულები, სამაჯურები, ფიგურები (ხარი, შველი, ქალი ბავშვით), ფიბულები (კატ. № № 350, 698); რკინა – სატევრები, ცულები, ფიბულები (იხ. კატ. № № 892-894); მძივები. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. [მიქელაძე 1985, გვ. 47, ტაბ. XIII40(676), გვ. 102-104, ტაბ. IX-XVIII].

ანალოგიური ფიბულები ჩვენთვის უცნობია.

III 8 h ვარიანტის ფიბულის რკალის ღერო შემსხვილებული და ყვავილისებრგანივკვეთიანია. რკალის ზედაპირი შემკულია სიგრძივი რელიეფური წნულებით. რკალის თავსა და ბოლოში დისკოსებრი შემსხვილებებია. ფეხი (ბუდე) გაგანიერებულია. ნემსსაჭერი პატარაა.

ამ ვარიანტის ფიბულები ცნობილია თლიასა (კატ. № 450) და ჯანტუხის (კატ. № № 451, 452) სამაროვნებიდან. თლიას ფიბულა თარიღდება ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრითა და VI ს-ით, ხოლო ჯანტუხის VII ს-ით [Texov 1985, გვ. 39; Шамба 1984, გვ. 40, 41; სულავა 2000a, ტაბ. 16-18].

450. თლია. ქვებით შემოწყობილი ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 255. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ჯამი, ყუაჩაქუჩიანი კოლხური ცული, აბზინდა. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. VI ს. [Texov 1985, გვ. 39, ტაბ. 1734].

451, 452. ჯანტუხი. ბრინჯაოს 2 ფიბულა. იხ. კატ. № № 78-105, 323, 373, 388, 389, 408-413, 431-435. ძვ.წ. VII ს. [Шамба 1984, გვ. 40, 41, სურ. II212,5].

ანალოგიური ფიბულები იუგოსლავიის მასალებიდანაა ცნობილი, დალმაციის კულტურის არეალიდან [Praistorija . . . 1983, ტაბ. 213,4]. მათ “Golinjevo”-ს ტიპის ფიბულებში აერთიანებენ, რომელთათვისაც დამახასიათებელია: დისკოსებური შემსხვილებები, დიდი ზამბარა და დიდი სამკუთხა ფეხი. ბ. ჩოვიჩი მათ ძვ.წ. IX ს-ის ბოლოთი და VIII ს-ის შუა ხანებით ათარიღებს [Čović 1970, გვ. 74, 75, სურ. 2], ხოლო ქ. ვინსკი-გასპარინი კი დაახლოებით ძვ.წ. 1000 წლით [Vinski-Gasparini, 1968, გვ. 11-13].

რკალზე წნულებიანი¹²³ ფიბულები ცნობილია: ლიუბუშკიდან, იაჟცედან, დებელო ბრდოდან, გრკოვაჩკო ვრელოდან [Čović 1971, გვ. 313- 21, ტაბ. I2,4, II1,2, III].

III 8 i ვარიანტის ფიბულის რკალის ღერო შემსხვილებული და მრავალწახნაგა-განიკვეთიანია, სადა. რკალის თავსა და ბოლოში დისკოსებრი შემსხვილებებია. ფეხი (ბუდე) გაგანიერებული და ნიჩბისებურია. ნემსსაჭერი პატარა და ენისებური ფორმისაა.

ამ ვარიანტის ფიბულები (6 ცალი) ცნობილია თლიას სამაროვნის № № 300, 333 (კატ. № № 453, 454) სამარხებიდან, ბრილის სამაროვიდან (კატ. № № 455, 456), კუმბულთაიდან (კატ. № 457), და ზემო რუთხადან (კატ. № 458).

453. თლია. ქვებით და, სავარაუდოდ ფიცრებით გარშემოწყობილი ორმოსამარხი № 300. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ჭურჭელი, გრავირებული ცული, სარტყელი, ძეწკვები, სასაფეთქლე ხვია; რკინა – სატევარი; მძივები – სარდიონის (26 ც.), ნიჟარა კაური. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. VI ს. დასაწ. [Texov 1985, გვ. 46, 47, ტაბ. 1892].

454. თლია. ქვებით შემოწყობილი ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 333. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – აბზინდა, ყუაჩაქუჩიანი გრავირებული კოლხური ცული, ვედრო რკინის სახელურითა და ძირით, ზარაკი რკინის ენით; რკინა – ფიბულა, პინცეტი, სატევარი, დანა; სარდიონის გაურკვეველი ნივთი; მძივები – სარდიონის. ძვ.წ. VI ს. ბოლო – VI ს. დასაწ. [Texov 1985, გვ. 56, ტაბ. 2113,10].

455. ბრილი. ბრინჯაოს ფიბულა L. 0,5 სმ. სველე დღიურიდან: “აღმოჩენილია კოლხური პერიოდის კრემაციული მოედნის ჩრდილოეთით, სკვითური ხანის დამწვარ ფენაში” (1951 წ.) (სემ კოლ. 5-993:409). გამოუქვეყნებელია.

456. ბრილი. № 19 სამარხის ზედა ფენის ნაყარი მიწიდან (1952 წ.). ბრინჯაოს ფიბულა L. 4,7 სმ. (სემ კოლ. 5-993:264). გამოუქვეყნებელია.

457. კუმბულთა. ბრინჯაოს ფიბულა. პ. უვაროვას კოლექცია [Уварова 1900, ტაბ. LXXXVIII7].

458. ზემო რუთხა. ბრინჯაოს ფიბულა. L.5 სმ. (იხ. კატ. № № 108-112), ე.წ. “კოსნიერსკას” კოლექცია (ინვ. III3 3915). რკინის ხანა [Motzenbäcker 1996, გვ. 104, 163, კატ. 456, ტაბ. 627].

ანალოგიური ფიბულები ცნობილია მხოლოდ იუგოსლავიიდან – შუაბოსნიური ჯგუფიდან [Čović 1971, ტაბ. I3; Praistorija . . . 1983, ტაბ. 312], დალმაციიდან – ოტოკა [Čović 1970, გვ. 76, სურ. 4; Praistorija . . . 1983, ტაბ. XLVIII2], რომლებიც ძვ.წ. 900-800 წწ-ით თარიღდებიან.

III 8 i ვარიანტის ფიბულები ძვ.წ. VII-VI სს-ს განეკუთვნებიან.

III 8 i 1 ვარიანტის ფიბულის რკალის ღერო შემსხვილებული და მრავალწახნაგა-განიკვეთიანია. რკალის მუცელი (ქვედა მხარე) შემკულია ერთმანეთის საპირისპიროდ მიმართული შტრიხებითა და ნახევარწრიული, რკალისირგვლივი ხაზებით. რკალის თავსა და ბოლოში დისკოსებრი შემსხვილებებია. ფეხი (ბუდე) ნიჩბისებურია და შემკულია ფანტასტიკური ცხოველის გამოსახულებით.

459. ზემო რუთხა. ბრინჯაოს ფიბულა. L. 10,2 სმ. (იხ. კატ. № № 108-112, 458), ე.წ. “კოსნიერსკას” კოლექცია (ინვ. III3 3916). რკინის ხანა [Motzenbäcker 1996, გვ. 104, 163, კატ. 459, ტაბ. 28,5].

¹²³ ბ. ჩოვიჩი რკალის ამგვარი განიკვეთის აღსანიშნავად ხმარობს შემდეგ ტერმინებს – “მკვეთრი პროფილირება”, “ფაცეტირება” [Čović 1971, გვ. 319].

ამ ვარიანტის ფიბულა მხოლოდ ზემო რუთხადანაა (კატ. № 459) ცნობილი და მას ანალოგები არა აქვს. მართალია, იუგოსლავიის “გოლინიევოს” ტიპის ფიბულებში არის ბუდეგრავირებული ფიბულები, მაგრამ მხოლოდ გეომეტრიული ორნამენტით შემკული [Čović 1970, სურ. 4; Praistorija . . . 1983, ტაბ. XLVIII2, სურ. 311].

III 8 j ვარიანტის ფიბულის რკალის ღერო შემსხვილებული და რომბულგანივკვეთიანია. რკალის თავსა და ბოლოში დისკოსებრი შემსხვილებებია. ფეხი (ბუდე) გაგანიერებული და ნიჩბისებურია. ნემსსაჭერი პატარაა, ენისებური ფორმის.

ამ ვარიანტის ფიბულა მხოლოდ თლიას სამაროვნის № 216 სამარხიდანაა ცნობილი (კატ. № 460). ის ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახ. და VI ს-ის დასაწყისით თარიღდება.

460. თლია. ირგვლივ ქვებით გარშემოწობილი, ქვაყრილიანი სამარხი № 216, რომელსაც სამხრეთის და აღმოსავლეთის მხრიდან ქვის ფილები აკრავს. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – საყელური, ჯამი, ცხენის აღკაზმულობის ნაწილები, სარტყელი, პინცეტი, აბზინდა; რკინა – შუბისპირი, ლაგმის ფრაგმენტები, ცული, აკინაკი, დანა; თიხა – თეფში. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. – VI ს. [Техов 1980a, გვ. 35, სურ. 14; მისივე 1980b, გვ. 236, სურ. 17; მისივე 1985, გვ. 32, 33, 63, ტაბ. 15910].

მსგავსი ფიბულა ჩვენთვის უცნობია.

III 8 k ვარიანტის ფიბულის რკალის ღერო შემსხვილებული და მართკუთხაგანივკვეთიანია. რკალი დაფარულია გრავირებული სამკუთხედების ოთხი რიგით. რკალის თავსა და ბოლოში დისკოსებრი შემსხვილებებია. ფეხი (ბუდე) გაგანიერებული და ნიჩბისებურია, შემკულია რკალის ანალოგიური გრავირებული სამკუთხედების ორი რიგით. ნემსსაჭერი პატარაა.

ამ ვარიანტის ფიბულა (კატ. № 461) მხოლოდ ერთი ცალია ცნობილი სუკოს ველის დაზიანებული სამაროვნიდან, რომელიც ნივთების კოლექციის მიხედვით გამთხრელის მიერ ძვ.წ. IX ს-ის ბოლოთი და VI ს-ის დასაწყისითაა დათარიღებული.

461. სუკო (კრასნოდარის მხარე, ანაპასთან). შემთხვევითი მონაპოვარი გადახნული სამაროვნიდან. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – შუბისპირები, ბალთები, ბუნიკი, სამაჯურები, ცხენის მოსართავის ბალთები, სპირალური ხვიები, ქინძისთავები; რკინა – შუბისპირი. ძვ.წ. IX ს. ბოლო – VI ს. დასაწყისი [Новичихин 1995, გვ. 65, სურ. 21].

ანალოგიური ფიბულები ჩვენთვის უცნობია. ფიბულა ძვ.წ. VII-VI სს-ით უნდა დათარიღდეს.

III 8 L ვარიანტის ფიბულის რკალის ღერო შემსხვილებულია, ზედა მხრიდან ქედი დაუყვება. განივკვეთი ნახევაროვალურია. რკალი ქედის აქეთ-იქით შემკულია თევზიფხური ორნამენტით. რკალის თავსა და ბოლოში დისკოსებრი შემსხვილებებია. ფეხი (ბუდე) აკლია.

ამ ვარიანტის ფიბულა (კატ. № 462), დათარიღებული ძვ.წ. VII ს-ით, ცნობილია ჯანტუხიდან.

463. ჯანტუხი. ბრინჯაოს ფიბულა. იხ. კატ. № № 78-105, 323, 373, 388, 389, 408-413, 431-435, 450, 452. ძვ.წ. VII სს. [Шамба 1984, გვ. 40, 41, სურ. π2116].

III 8 m ვარიანტის ფიბულის რკალის ღერო შემსხვილებული და მრგვალგანივ-კვეთიანია. რკალის ზედაპირი შემკულია ზენური ხვიებით. რკალს ზემოდან გასდევს ბიბილოსებრი, ნახვრეტებიანი ორი ქედი. ნახვრეტებში გაყრილი და ჩამოკიდულია ზარაკისებრი ფორმის მასიური საკიდები. რკალის თავსა და ბოლოში დისკოსებრი შემსხვილებებია. ფეხი (ბუდე) გაგანიერებულია.

ამ ვარიანტის ფიბულა (კატ. № 463), სავარაუდოდ გუდაუთიდან უნდა იყოს [ჩართოლანი 1968, გვ. 307].

463. გუდაუთა. ბრინჯაოს ფიბულა (თსუ არქეოლოგიის კათედრა, № 7-48:2). გამოუქვეყნებელია.

მისი ანალოგები ჩვენთვის უცნობია.

III 8 n ვარიანტის ფიბულის რკალის ღერო შემსხვილებული და მრგვალგანივ-კვეთიანია. რკალის ზედაპირი შემკულია დაშტრიხული გეომეტრიული სახეებით ან ფრინველის (?) სკულპტურით. რკალის თავსა და ბოლოში მკვეთრად გამოხატული დისკოსებრი შემსხვილებებია. ფეხი (ბუდე) ძლიერ გაგანიერებული და გეომეტრიული სახეებით (ირიბად დაშტრიხული ლენტისებური სარტყლები და სამკუთხედები)¹²⁴ შემკული ან სადა აქვს.

ამ ვარიანტის ფიბულები (კატ. № № 464, 465, 466). მხოლოდ სომხეთიდანაა ცნობილი. ისინი ძვ.წ. VIII-VII სს-თაა დათარიღებული.

464, 465. ერებუნი (სომხეთი, ქ. ერევანთან). ურნასამარხი № 1. ბრინჯაოს 2 ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: კერამიკა: 2 ჭურჭელი; ბრინჯაო – 12 სამაჯური, პექტორალი, პინცეტი, ზომორფულთავიანი ქინძისთავი, ჩაქუჩისებური საგნები, შედუღებული ფირფიტები, გრეხილი რკალი; რკინის ოთხფრთიანი ისრისპირი; ურარტული საბეჭდავები; მძივები – გიშრის, სარდიონის, მინის. ძვ.წ. VIII ს. პირველი ნახ. [Мартиросян 1964, გვ. 242, 243, ტაბ. XXIV^{1,2}].

466. სომხეთი. ბრინჯაოს ფიბულა. ზომები: სიმაღლე 8 სმ, სიგრძე 10 სმ. ძვ.წ. VII ს. [Urartu... 1991, გვ. 197, კატ. 56].

ანალოგიური ფიბულები ფ. პედეს გაერთიანებული აქვს ურარტული ზამზარაიანი ფიბულების A5 ჯგუფში. ერთი ფიბულა აღმოჩენილია ნორ არეშში (№ 106), მეორე – კაიალიდერეში (№ 108), ხოლო მესამეს აღმოჩენის ადგილი უცნობია. სამივე ფიბულა ისტორიული ურარტუს ტერიტორიიდანაა და ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრით თარიღდება. როგორც ფ. პედე აღნიშნავს, ეს ფიბულები, განსხვავებით შარნირიანი ურარტული ფიბულებისაგან, ურარტული ფიბულების განსაკუთრებულ სახეობას წარმოადგენს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ზამზარა წინააზიური გავლენაა. საკვირველია ამ ფიბულების განსხვავება ზომებში: უდიდესი 11 სმ სიგრძისაა, ხოლო უმცირესი 2,8 სმ სიგრძის [Pedde 2000, გვ. 120, 121, რუკა 8, ტაბ. 9106,107,108].

III 8 o ვარიანტის ფიბულის რკალის ღერო შემსხვილებული და მრგვალგანივ-კვეთიანია. რკალი შემკულია ლურსმნისთავისებრი მსხვილი შვერილებით. რკალის თავსა და ბოლოში დისკოსებრი შემსხვილებებია. ფეხი (ბუდე) არა აქვს.

¹²⁴ ანალოგიური ლენტისებური სარტყლებით აქვს შემკული ბუდე წონიარისში აღმოჩენილ ფიბულებსაც (კატ. № 284, 285).

467. ყულანურხვა (გუდაუთის რ-ნი). შემთხვევითი აღმოჩენა (1941 წ.). ბრინჯაოს ფიბულა. L. 6,5 სმ. (სოხუმის მუზეუმი 10-66:65; ა. ლ. ლუკინის კოლ. № 98) [Воронов 1969, გვ. 32, 576, ტაბ. XXXVII41].

ამ ვარიანტის ფიბულა (კატ. № 467) მხოლოდ ერთი ცალია ცნობილი ყულანურხვადან. ანალოგიური ფიბულა არ გვეგულება, მაგრამ მისი ქრონოლოგიის დასადგენად, ალბათ საინტერესო იქნება მისი შემკულობის – ლურსმნისთავისებრი შვერილებისათვის პარალელების მოძიება.

ანალოგიური, ლურსმნისებრი შემკულობა აქვს აფხაზეთშივე, ექნეპლიში შემთხვევით აღმოჩენილ ფიბულას (ტიპი III 15, კატ. № 654). ლურსმნისებრი არა, მაგრამ ეკლისებური შვერილები აქვს რკალზე გუადიხუს № 13(25) კრემაციულ სამარხში აღმოჩენილ ფიბულას. სამარხი ბერძნული იმპორტული კერამიკის მიხედვით მ. თრაფმის მიერ დათარიღებულია ძვ.წ. V-II სს-ით [Трапш 1969, გვ. 256, 257], ხოლო გ. კვირკველია ძვ.წ. V ს-ის ბოლოთი და IV ს-ის პირველი ნახევრით ათარიღებს [Квирквелия 1981, გვ. 7].

ანალოგიური, ლურსმნისებრი შვერილებითაა შემკული საკიდები ფერაიდან (თესალია). საკიდებს აქვს ღერაკისმაგვარი ფორმა, რომელზეც ლურსმნისებრი შვერილების ასხმაა. ძეგლი გვიან გეომეტრიული და არქაული ხანის დასაწყისით თარიღდება [Kilian 1975, გვ. 186, ტაბ. 8729-32, 881-3]. ამგვარადვე შემკული ქინძისთავი ცნობილია არარევა გრომილადან ძვ.წ. V-III სს-ის სამარხში [Benac, Čović 1957, გვ. 111, ტაბ. XXXI7]. მსგავსი საკიდი ცნობილია ოქრიდადანაც და ძვ.წ. VII-VI სს-ს განეკუთვნება [Bouzek 1974, გვ. 83; Bykmanoviĥ, Pajojruĥ 1995, კატ. 118].

ანალოგიური შვერილებითაა შემკული ფიბულის რკალის ფრაგმენტი ლინდოსიდან (კ. როდოსი) [Blinkenberg 1926, გვ. 200, ტიპი XI 4f]. ის მსგავსია იტალიური ნიმუშებისა, რომელთაც ი. ზუნდვალი “დრაკონისებრ” ფიბულებს უწოდებს, და რომლებიც ძვ.წ. VII-VI სს-ით თარიღდებიან [Sundwall 1943, გვ. 59; Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 102, 103, ტაბ. 421465]. მათთვის დამახასიათებელია დაკლავნილი რკალი, რომელიც გრძელ, მილისებურ ბუდეში გადადის. ლურსმნისებური შვერილები თითქოს დრაკონის თვალების იმიტაციას წარმოადგენენ. ჩრდ. იტალიის მასალებში ისინი ძვ.წ. VI ს-ით თარიღდებიან [Eles masi 1986, გვ. 240, ტაბ. 1862502, 2502].

ანალოგიური შვერილებითაა შემკული ძვ.წ. VI-IV სს-ის ბრინჯაოს სამაჯური დონია დოლინადან (ბოსნია) [Arheologški leksikon . . . 1988, ტაბ. 88]. მას კიდებზე და შუაში, ქედისებურად აქვს ზუსტად ისეთი ლურსმნისებური შვერილები (Nagelartigewölbung) როგორც ყულანურხვას შემთხვევით მოპოვებულ ფიბულას.

ამგვარადვეა შემკული ერთწილადი რკალისებური ფიბულა განიერი ფეხით და რკალზე დარჩილული ლურსმნისებრი შვერილების ქედით ილიაკიდან და აბზინდა (ტიპი Kalottenschliesse) ბოროვსკოდან, რომლებიც გლაზინაკის (ბოსნია) IV C ფაზას ანუ ძვ.წ. 625-500 წწ-ს განეკუთვნებიან [Benac, Čović 1957, გვ. 104, 105, ტაბ. XXXIV6, XXXV16].

როგორც ვხედავთ, ჩვენთვის საინტერესო შემკულობა – “Nagelartigewölbung, Kalottenschliesse”, გავრცელებული შემკულობაა ძვ.წ. VI-V სს-ის ეგეოსურ და სამხრეთ-ევროპულ მასალებში.

III 9 – მძივისებრრკალიანი ფიბულები

III 9 a ვარიანტის ფიბულების რკალის ღერო მძივისებურია (“მძივების ასხმის იმიტაცია”, ე.წ. Perlenschnur) ანუ დისკოებს შორის მოქცეულია სადა ან დაღარული სფეროები. ცენტრალური “მძივი” ყველაზე მსხვილია. ფეხი (ბუდე) რკალის სიმეტრიულია. ნემსსაჭერი – პატარა და მომრგვალებულია.

ამ ვარიანტის ფიბულები (5 ცალი) ცნობილია ვანიდან (კატ. № 468), ბრილიდან (კატ. № 469) და ფიჭვნარიდან (კატ. № № 470-472).

468. ვანი (ვანის რ-ნი). სამარხი № 11 (ე.წ. “წარჩინებული კოლხი ქალის სამარხი”, ოთხი მიცვალებულით). ოქროს ფიბულა (სემ 10-975:68). თანმხლები ინვენტარი: ოქრო _ დიადემა, თავსამკაული, სასაფეთქლეები, საყურეები, ყელსაბამები, მძივები, სამაჯურები, ბეჭდები, გარსაკრავები, ღილაკები, მილაკები, საკიდები; ვერცხლი _ მძივები, მილაკები, საკიდები, დიადემები, სამაჯურები; ატიკური კილიკები, არიბალოსი, კოვზი; ბრინჯაო _ პატერა, სიტულები, ენობოია, არიბალოსი, სარწყული, სასმისი; კერამიკა _ ატიკური შავლაკიანი კილიკი, სანელსაცხებლე, ლარნაკები, დოქები, ჯამები, ორყურა ჭურჭლები; მინის - ე.წ. ფინიკური თასები. ძვ.წ. V ს. შუა ხანები [ლორთქიფანიძე, ფუთურიძე, თოლორდავა, ჭყონია . . . 1972, გვ. 225; ჭყონია 1981, გვ. 46, 109, სურ. 36; სულავა 1998, გვ. 58, ტაბ. I2].

469. ბრილი. ქვის სამარხი № 9 (1960 წ.) (ჩონჩხი თითქმის არ შემორჩენილა). ვერცხლის ფიბულა. L. 3 სმ. (სემ კოლ. 5-993:121). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო _ გრებილრკალიანი ფიბულა (სემ კოლ. 5-993, № 122, რეპარირებული: მოტეხილი ბრინჯაოს ნემსის მაგივრად ზამზარაზე დახვეულია რკინის ნემსი, რომლის მხოლოდ ფრაგმენტია შემორჩენილი. იხ. კატ. № 562), 2 სასაფეთქლე ხვია, დუგმა, მასიური სამაჯურები (დაკარგულია); რკინა _ საკინძი, თავზე ბრინჯაოს მძივით; ვერცხლი _ 2 სასაფეთქლე რგოლი; მძივები _ მინის, ერთფერი და პოლიქრომიული. ძვ.წ. V-IV სს. [სულავა 1998, გვ. 58, ტაბ. I1, II4].

470. ფიჭვნარი. სამარხი № 82 (ქ. ფ. ბ. IV : 02, № 24). ვერცხლის ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: კერამიკა _ ლეკითოსი, დოქი, ქიოსური ამფორის ფრაგმენტები; ვერცხლი _ ზურგშეზნექილი სამაჯური, მონეტები; რკინა _ სამაჯურის ფრაგმენტები; ოქრო _ მძივები. ძვ.წ. IV ს. [Кахидзе, Сулава 2005, გვ. 57-63].

471. ფიჭვნარი. სამარხი № 49 (ქ. ფ. ბ. IV : 98, № 67). ვერცხლის ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: კერამიკა _ დოქი მხარზე გრაფიტოთი - EI, ლეკითოსი - ატიკური, არიბალოსისებრი, წითელფიგურული დიდი პალმეტით; ვერცხლი _ მონეტა; რკინა _ ფარაკიანი ბეჭედი, გაურკვეველი ნივთის ფრაგმენტი; მძივები _ მინის, გაუმჭვირვალე, ერთფერი. ძვ.წ. IV ს. [კახიძე, ვიკერსი 2002, გვ. 57, სურ. 8; Vickers, Kakhidze 2001; Кахидзе, Сулава 2005, გვ. 57-63].

472. ფიჭვნარი. სამარხი № 129 (ქ. ფ. კ. ელ.: 81, № 190). ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: კერამიკა _ დოქი; ბრინჯაო _ გვერდებზაჭრილი ზარაკი და საკიდი ფირფიტები; რკინა _ სამაჯურის ფრაგმენტები; ვერცხლი _ მონეტა (კოლხური თეთრი). ძვ.წ. IV ს. [Кахидзе, Сулава 2005, გვ. 57-63].

III 9 a ვარიანტის ფიბულებს ჩვენ მხოლოდ კავკასიიდან ვიცნობთ.

ანალოგიურად რკალშემკული, ოღონდ ორწილადი¹²⁵ ფიბულები ცნობილია ვანის № 6 სამარხიდან [სულავა 1998, გვ. 58, ტაბ. I3,4].

ანალოგიური შემკულობა _ “მძივების” იმიტაცია, საქართველოში აღმოჩენილ სხვა სამკაულებზეცაა გამოყენებული კერძოდ, დიადემებზე, გვერგვებზე (კისრის რკალებზე), სამაჯურებზე და ქინძისთავებზე [გოგიბერიძე 1986, გვ. 32; Гогиберидзе 2003, ტაბ. XXXII-XXXVI. სულავა 1998, გვ. 62, 63, ტაბ. III].

ამგვარად დეკორირებული დიადემები ცნობილია ვანიდან [ლორთქიფანიძე . . . 1972, გვ. 215; ჭყონია 1981, გვ. 11-16; ხოშტარია . . . 1971, გვ. 13]. საკისრე რგოლები ცნობილია: მოდინახედან [ნადირაძე 1975, გვ. 29], შრომის უბნიდან (სემ ოქროს ფონდი, ინვ. № 129-975), ითხვისიდან (სემ მცირე ექსპედიციების ფონდი № 2, ინვ. № 26-65:1802), ვანიდან [კაჭარავა 1979, გვ. 25], ახალგორიდან [Смирнов 1934, ტაბ. I], სამადლოდან [Гагошидзе 1981, გვ. 46]. სამაჯურები ცნობილია: შრომისუბნის № 2 (სემ ოქროს ფონდი, ინვ. № 125-975:5) და ითხვისის № 2 (სემ მცირე ექსპედიციების ფონდი № 2, ინვ. № 26-65:1803, 1804) სამარხებიდან, ვანის № 3 [Из архива Н. В. Хоштария 1979, სურ. 192] და № 9

¹²⁵ ორწილადი რკალისებრი ფიბულების შესახებ იხ. აქვე – ნაწილი II.

სამარხებიდან [ლორთქიფანიძე . . . 1972, სურ. 170ა], წინწყაროს მდიდრული სამარხიდან [დავლიანიძე 1976, ტაბ. XI2]. აღნიშნული სამკაულები დასახელებულ გამოკვლევებზე დაყრდნობით ზოგადად ძვ.წ. V-III სს-ით თარიღდება.

რკალის შემკობა მსხვილი და დისკოსებური მძივების სიმეტრიული მონაცვლეობა-განლაგებით განსაკუთრებით დამახასიათებელი ჩანს მცირე და წინა აზიის ქვეყნებისათვის (კვიპროსი, სირია-პალესტინა, იორდანია, დას. სპარსეთი, თურქეთი). ამ დეკორითაა შემკული ე.წ. “მუხლისებრი” (სამკუთხა) რკალიანი ფიბულები, რომლებიც დ. სტრონახის აზრით, სტანდარტული ფორმისა იყო დასავლეთ სპარსეთიდან პალესტინამდე მთელ აქემენიდურ პერიოდში [Stronach 1959, გვ. 188, 193, 194]. ქრონოლოგიის თვალსაზრისით საინტერესოა, რომ ვანის ოქროს ფიბულები განიხილება იმ სამკაულთან, რომლებიც აქემენიდური ხანის (ძვ.წ. VI-IV სს) ეგვიპტიზირებული ხელოვნების ნიმუშად მიაჩნიათ [ჭყონია 1981, გვ. 40-46].

ჩვენი ფიბულების ქრონოლოგიის დასაზუსტებლად საყურადღებოა ფიჭვნარის № 49 სამარხის ფიბულა, რომელიც დიდპალმეტებიან წითელფიგურულ ატიკურ არიბალოსისებრ ლეკითოსთანაა აღმოჩენილი. ანალოგიური იმპორტული კერამიკა ძვ.წ. V ს-ის ბოლო მეოთხედითა და ძვ.წ. IV ს-ის პირველი მეოთხედით თარიღდება [სიხარულიძე 1987, გვ. 86]. ფიჭვნარის № 49 სამარხიც ამ ხანით უნდა დათარიღდეს [Кахидзе, Сулава 2005, გვ. 61].

ბრილის სამაროვანზე აღმოჩენილი ვერცხლის ფიბულა, რომელიც სრულიად უცხოდ გამოიყურება ბრილის დანარჩენი ფიბულების ფონზე, ვფიქრობთ, აქ მოხვედრილი უნდა იყოს ვანის სახელოსნოდან (შესაძლოა ფიჭვნარის იგივე ტიპის ფიბულებიც ფიჭვნარში ვანიდანვეა მოხვედრილი), სადაც სრულიად ანალოგიური ოქროს ფიბულებია აღმოჩენილი და სახელოსნოს არსებობაც არის დადასტურებული [ჭყონია 1981, გვ. 93].

ვფიქრობთ, III 9 a ვარიანტის ფიბულები ძვ.წ. V ს-ის შუა ხანებსა და IV ს-ის დასაწყისს უნდა განეკუთვნებოდეს.

III 9 a 1 ვარიანტის ფიბულის რკალის ღერო თანაბრად შემსხვილებული და მრგვალგანივკვეთიანია. რკალი შემკულია მძივისებრი ან სიგრძეზე მიმართული წერტილ-ხაზოვანი სეგმენტებით. რკალის თავსა და ბოლოში დისკოსებრი შემსხვილებებია. ფეხი (ბუდე) – გაგანიერებული და ნიჩბისებრია. ნემსსაჭერი პატარა და ენისებური ფორმის.

ამ ვარიანტის ფიბულა (კატ. № 473) მხოლოდ ერთი ცალია ცნობილი ბრილის სამაროვნიდან და თარიღდება ძვ.წ. VI-IV სს-ით. ანალოგიური ფიბულები ჩვენთვის სხვა ადგილიდან უცნობია.

473. ბრილი. სამარხი № 8 (1960 წ. გათხრები). ბრინჯაოს ფიბულა. L. 4 სმ. (სემ კოლ. 5-993:105). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – საკიდი ფრინველი, საკინძები, ცილინდრული მძივები, ფიბულა (რომბისებრგანივკვეთიანი, კატ. № 382), ჯაჭვი დუგმებით, ჭურჭელი; ვერცხლი – სასაფეთქლე რგოლები, 2 სამაჯური; ოქრო – მძივი; ელექტრუმი – საყურე რგოლი; თიხა – მოწითალო ამფორისკი; მძივები – ქარვის, ქალცედონის, ერთფერი და პოლიქრომიული მინის. გამოუქვეყნებელი.

III 9 b ვარიანტის ფიბულების რკალი მძივისებრია ანუ წარმოადგენს დისკოებს შორის მოქცეულ სადა ან სიგრძივ დაღარული “მძივების” ასხმას. ზოგჯერ რკალი მძივების ასხმის უკანა მხრიდან დაბრტყელებულია. ფეხი (ბუდე) განიერი და ნიჩბისებრია.

III 9 b ვარიანტის ფიბულები (10 ცალი) ცნობილია ყაზბეგის განძიდან (?) (კატ. № 474), ყაზბეგის სამაროვნიდან (კატ. № № 475-480), ჩმიდან (კატ. № 481), ნიკიტინის ველიდან (კატ. № 482), ზაიუკოვოდან (კატ. № 483).

474. ყაზბეგი. “ყაზბეგის განძი” (?). 1879 წ. სტეფანწმინდაში გათხრები აწარმოეს ვ. ანტონოვიჩმა, კ. ოლშევსკიმ, პ. უვაროვამ, ალ. ყაზბეგმა. წააწყდნენ ერთი სახურავის ქვეშ მოქცეულ სამი ქვის სამარხს. I სამარხის ბრინჯაოს ფიბულა [Уварова 1900, სურ. 145]. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ძეწკვი ზარაკებით, ფიბულა [Уварова 1900, ტაბ. LXVIII], ორი სამაჯური; რკინის საბეჭდავიანი ბეჭედი [Уварова 1900, გვ. 153].

475-480. ყაზბეგი. სამაროვნის კულტურული ფენებიდან. ბრინჯაოს 6 ფიბულა (სემ კოლ. 2-02:234, 238-242). ძვ.წ. V-IV სს. [სულავა 1998, გვ. 62, ტაბ. I6; მისივე, 2003, გვ. 83, ტაბ. I6-11].

481. ჩმი (ოსეთი). ბრინჯაოს ფიბულა. პ. უვაროვას კოლექციიდან [Уварова 1900, ტაბ. LV13].

482. ნიკიტინის ველი (ყუბანისპირეთი, მდ. მაღაია ლაბა). ბრინჯაოს ფიბულა. ძვ.წ. VIII-VII სს. [Иессен 1951, გვ. 94, სურ. 231; Алексеева 1971, ტაბ. 43].

483. ზაიუკოვო. ქვაყრილიანი ორმოსამარხია № 2. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – თავგახსნილი რგოლები, მილაკები, რომბული და ნახევარსფერული ღილები, ლაგმები, ბალთები, ცულები; რკინის მოხრილი დანა. მძივები. ძვ.წ. VIII-VII სს. [Гриневич 1951, გვ. 136, 137, სურ. 142]. шглшм

კავკასიის გარდა ანალოგიური ფიბულები უცნობია. ისინი თარიღდება ძვ.წ. V-IV სს-ით.

III 9 c ვარიანტის ფიბულების რკალი მძივისებრია ანუ წარმოადგენს ირგვლივ ღარებს შორის მოქცეული სიგრძივ დაღარული “მძივების” ასხმას. ფეხი (ბუდე) განიერი და ნიჩბისებრია.

III 9 c ვარიანტის ფიბულები (4 ცალი) მხოლოდ ყაზბეგის სამაროვნის კულტურული ფენებიდანაა ცნობილი (კატ. № № 484-487). ისინი თარიღდებიან ძვ.წ. V-IV სს-ით.

484-487. ყაზბეგი. სამაროვნის კულტურული ფენებიდან. ბრინჯაოს 4 ცალი ფიბულა (სემ კოლ. 2-02:228, 231, 232, 235). ძვ.წ. V-IV სს. [სულავა 1998, გვ. 62, ტაბ. I5; მისივე, 2003, გვ. 84, ტაბ. I12-15].

ანალოგიური ფიბულები სხვაგან არ გვევლეება.

III 9 d ვარიანტის ფიბულების რკალი მძივისებრია ანუ წარმოადგენს სადა, სფერული “მძივების” ასხმას. ფეხი (ბუდე), რომელიც ნაკლულია განიერი და ნიჩბისებრი უნდა ყოფილიყო.

ეს ფიბულა (კატ. № 488) ყაზბეგის სამაროვნის კულტურული ფენებიდანაა.

488. ყაზბეგი. სამაროვნის კულტურული ფენებიდან. ბრინჯაოს ფიბულა (სემ კოლ. 2-02:243). ძვ.წ. V-IV სს. [სულავა 2003, გვ. 84, ტაბ. I16].

III 9 d ვარიანტის ფიბულებისათვის ევროპის მასალებიდან ერთადერთი ანალოგია გვევლეება. ბოსნია-ჰერცეგოვინის ტერიტორიაზე, მდ. უნას ხეობაში, გოლუბიჩის სამაროვნიდან ცნობილია მძივისებურრკალიანი ფიბულა, რომელიც ძვ.წ. 500-360 წწ-ით განსაზღვრულ ფაზაში ექცევა [Marić 1971, გვ. 22, ტაბ. I18].

III 10 _ ირგვლივი ზოლების სეგმენტებით რკალშემკული

III 10 a ვარიანტის ფიბულების რკალის ღერო თანაბრად შემსხვილებული და მრგვალგანივკვეთიანია. რკალის ზედაპირი შემკულია ერთმანეთისაგან დაშორებული თანაბარი ირგვლივი ღარებისა თუ წრეხაზების ჯგუფებით, რომელთა შორის სივრცე ზოგჯერ სადაა, ზოგჯერ სიგრძეზე ან ირიბად დაშტრიხული. ფეხი (ბუდე) – რკალის სიმეტრიული ან ოდნავ გაგანიერებულია. ნემსსაჭერი მომადლოა, ენისებური ფორმის.

III 10 a ვარიანტის ფიბულები (6 ცალი) ცნობილია ბრილის სამაროვნიდან (კატ. № № 489, 490), ყობანიდან (კატ. № № 491, 492, 494), ზემო რუთხადან (კატ. № 493).

489. ბრილი. ქვის სამარხი № 18 (1953 წ.). ბრინჯაოს ფიბულა. L. 5,8 სმ. (სემ კოლ. 5-993:165). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – დილი, სასაფეთქლე რგოლი (?), 6 წვრილი, ზურგდაკეჭნილი სამაჯური, რკინა – სამაჯური; ვერცხლი – ხუთსხვიანი საყურე; მძივები – ქარვის, ერთფერი და პოლიქრომიული მინის. გამოუქვეყნებელი.

490. ბრილი. ქვის სამარხი № 21 (1953 წ.). ბრინჯაოს ფიბულა. L. 5,5 სმ. (სემ კოლ. 5-993:194/3). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – სპირალურთავებიანი დუგმა, საკიდი (ვერძის ფიგურა), გრეხილი და სადარკალიანი ფიბულები (სემ კოლ. 5-993:194/1,2. იხ. კატ. № 63), აბზინდები, მძივსაკიდი, 2 წვრილი, ზურგდაკეჭნილი სამაჯური; მძივები. გამოუქვეყნებელია.

491. ყობანი. ბრინჯაოს ფიბულა [Chantre 1886, ტაბ. XXI4].

492. ყობანი. ბრინჯაოს ფიბულა. ვენისა და სენ-ჟერმენის მუზეუმების კოლექცია [Уварова 1900, ტაბ. XXXIX8; Chantre 1886, ტაბ. XXI5].

493. ზემო რუთხა. ბრინჯაოს ფიბულა. L.6,2 სმ. (იხ. კატ. № 108-112), ე.წ. “კოსნიერსკას” კოლექცია (ინვ. IIIდ 3921). რკინის ხანა [Motzenbacher 1996, გვ. 104, 163, კატ. 453, ტაბ. 284].

494. ყობანი. ბრინჯაოს ფიბულა (სემ კოლ. 1-02:39). გამოუქვეყნებელია.

ირგვლივი ღარებითა თუ წრეხაზებით ფიბულის რკალის შემკობა დეკორირების საკმაოდ არქაული ხერხია და ის მთელ ევრაზიულ სივრცეშია გავრცელებული.

ი. ზუნდვალის მიხედვით, დაშორებული ირგვლივი ხაზებით შემკული ფიბულა ცნობილია რომიდან [Sundwall 1943, გვ. 91, სურ. 101 IIab49].

პ. ფონ ელეს მაზის მიხედვით, ირგვლივი ნაჭდევები, მსუბუქი თუ ღრმა, ძალიან დამახასიათებელი შემკულობაა იტალიის უძველესი რკალისებური ფიბულებისათვის. ხშირად ფიბულები შემკულია სხვადასხვანაირი ორნამენტის სეგმენტებით (გრეხილი, განივი წიწვები) და ირგვლივი ნაჭდევებით [Eles Masi 1986, გვ. 19, ტაბ. 7, 8]. ჩვენი მასალებისათვის პარალელებად განსაკუთრებით საინტერესოა ფიბულა ფონტანელა გრაციოლის (ლომბარდია) კრემაციული სამარხიდან და სამი ფიბულა, რომელთა აღმოჩენის ადგილი უცნობია. ყველა ისინი ჩვენს ფიბულებთან შედარებით საკმაოდ არქაულია და ძვ.წ. XI-X სს-ით თარიღდება [Eles Masi 1986, გვ. 23, 24, ტაბ. 8156, 157, 160, 161].

ჩვენს ფიბულებთან განსაკუთრებით ახლოა ესტეში აღმოჩენილი რკალდადაბლებული ფიბულების შემკულობა. ისინი ძვ.წ. VIII ს-ით თარიღდებიან [Eles Masi 1986, გვ. 57, ტაბ. 31455, 456, 457, 457A, 458, 459, 460].

ჩვენთვის საინტერესო ორნამენტი სხვა ქვეყნებიდან, სადაც ერთწილადი რკალისებური ფიბულებია გავრცელებული, არ ჩანს. ბრილის სამაროვნის კომპლექსებში აღმოჩენილი ფიბულები ძვ.წ. VI-IV სს-ით თარიღდებიან.

III 10 a 1 ვარიანტის ფიბულების რკალის ღერო თანაბრად შემსხვილებული და მრგვალგანივკვეთიანია. რკალის მთელი ზედაპირი შემკულია ირგვლივი ღარებით, ერთი შემთხვევის გარდა, როცა რკალის შუა ნაწილში ირგვლივი ღარების სეგმენტი სიგრძივადაა დაღარული. ფეხი (ბუდე) – რკალის სიმეტრიული ან ოდნავ გაგანიერებულია. ნემსსაჭერი მომადლოა, ენისებური ფორმის.

III 10 a 1 ვარიანტის ფიბულები ცნობილია მხოლოდ ბრილიდან (კატ. № № 495, 497, 498) და ყობანიდან (კატ. № 496).

495. ბრილი. ქვის სამარხი № 22 (1953 წ.). ბრინჯაოს ფიბულა. L. 5,6 სმ. (სემ კოლ. 5-993:202). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ძაბრისებური საკიდები, საკისრე რგოლები თუ დიადემები; რკინა – ფიბულა (სემ კოლ. 5-993:204,910), ცული, მოხრილი დანა; მძივები. გამოუქვეყნებელი.

496. ყობანი. ბრინჯაოს ფიბულა [Chantre 1886, ტაბ. XXIbis1].

497. ბრილი. ბრინჯაოს ფიბულა. L.9,5 სმ (სემ კოლ. 5-993:283). დანგრეული კრემაციული სამარხიდან (1951 წ.). გამოუქვეყნებელია.

498. ბრილი. ბრინჯაოს ფიბულა. L.9,3 სმ (სემ კოლ. 5-993:342). დანგრეული კრემაციული სამარხიდან (1951 წ.). გამოუქვეყნებელია.

ბრილის კომპლექსის მიხედვით ისინი ძვ.წ. VI-IV სს-ით უნდა დათარიღდეს.

ბრილისა და ყობანის ფიბულების მსგავსად შემკული ელექტრუმის მცირე ზომის ფიბულა ცნობილია ეფესოდან (იზმირის ოლქი), არტემიდეს ტაძრიდან და ძვ.წ. VII ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება [Caner 1983, გვ. 160, 161, კატ. 1111; იგივე ფიბულა იხ.: Blinkenberg 1926, გვ. 209, სურ. 229].

ანალოგიურად შემკული ფიბულები ქ. ბლინკენბერგს გაერთიანებული აქვს წინა აზიის ტიპებში (XII). ეფესოში აღმოჩენილი ფიბულის გარდა, მას მოტანილი აქვს მიკენში აღმოჩენილი ფიბულა [Blinkenberg 1926, გვ. 209, ფიგ. 228, XII 1a; იგივე ფიბულა იხ.: Montelius 1912, გვ. 158, სურ. 361].

ყობანში აღმოჩენილი ფიბულების ანალოგიურადაა შემკული (ღინგრილენ) რკალისებური ფიბულები, რომელთაც კ. კილიანი გრძელფეხიანი ფიბულების ჯგუფში აერთიანებს. ისინი აღმოჩენილია ფერაიში (თესალია) და ძვ.წ. VIII ს-ის ბოლოთი და VII ს-ის დასაწყისით თარიღდება [Kilain 1975, გვ. 24, 27, 29, ტაბ. 237, 392,93].

ყობანის ფიბულის (კატ. № 496) ანალოგიური ფიბულები მრავლადაა ცნობილი იტალიის მასალებიდან. ისინი აღმოჩენილია პოპულონიასა და მონტე დესუერიში [Minto 1921, გვ. 205, სურ. 9a; Orsi 1912, გვ. 384, ტაბ. 1831; Sundwall 1943, გვ. 91, სურ. 96, 103].

ყობანის ფიბულის (კატ. № 496) ანალოგიურ ღრმა ირგვლივ ნაჭდევებს პ. ფონ ელეს მაზი “ცრუ გრეხილს” (fasto tortiglione) უწოდებს. ამ ჯგუფიდან განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენთვის ლომბარდიაში (ბისონე პავესე), კრემაციულ სამარხებში აღმოჩენილი ფიბულები [Marinis 1917-72, ტაბ. 1811, 12; Eles Masi 1986, გვ. 19, 20, ტაბ. 6114, 115].

ანალოგიური ფიბულები ცენტრალურ ევროპაშიცაა გავრცელებული. პ. ბეტცლერის თანახმად, ამგვარი ფიბულები დაკავშირებულია დასავლეთბალკანურ-იტალიურ

ფორმებთან და ასახვევ მათ ჩრდილოეთით გავრცელებას. ისინი ცნობილია შვეიცარიიდან და ტიროლიდან [Vogt 1949-50, გვ. 226, ტაბ. XXVIII7; Beltc 1913, გვ. 809, № 165; Betzler 1974, გვ. 71-72, ტაბ. 15149, 151]. თვლიან, რომ ამგვარი ფიბულები რკალისებური ფიბულების ადრეულ ჰორიზონტს განეკუთვნებიან - მაგ. ესტე I-ის საფეხურის სამარხებში (ძვ.წ. IX ს) [Müller-Karpe 1959, ტაბ. 525-28], მაგრამ გვხვდებიან შემდგომაც, მაგ. ბოსნიაში, სადაც ჰალშტატის გვიან ხანას განეკუთვნებიან [Badimsky 1897, გვ. 42, ტაბ. 1925-27].

III 10 a 2 ვარიანტის ფიბულების რკალის ღერო თანაბრად შემსხვილებული და მრგვალგანივკვეთიანია. რკალის ზედაპირი შემკულია ერთმანეთისაგან დაშორებული თანაბარი ირგვლივი ღარებისა თუ წრეხაზების ჯგუფებით, რომელთა შორის სივრცე ზოგჯერ სადაა, ზოგჯერ ჯვარედინად ან ირიბად დაშტრიხული. ფეხი (ბუდე) – ძლიერ გაგანიერებულია. ნემსსაჭერი დაბალია.

III 10 a 2 ვარიანტის ფიბულები (35 ცალი) ცნობილია შორაპნიდან (კატ. № 501) და ჩრდ. კავკასიის ძეგლებიდან: ურუპა (კატ. № № 499, 500), თერის ოლქი (კატ. № 502), ლუგოვოი (კატ. № № 503-505, 507-522), ჩეჩნეთი (კატ. № 506), ვოზდვიჟენსკოე (კატ. № 523), მუჟიჩი (კატ. № 524), ალდი (კატ. № 525), გროზნო (კატ. № № 526, 527), “სადღაც ჩეჩნეთი” (კატ. № 528), შალი (კატ. № 529), ისტი-სუ (კატ. № № 530-532), კურენ-ბენოი (კატ. № 533).

499, 500. ურუპა (ყარაჩაევო-ჩერქეზეთი, სტავროპოლის რ-ნი). ბრინჯაოს 2 ფიბულა (სემ კოლ. № № 1026, 1027).

501. შორაპნი (ზესტაფონის რ-ნი). შემთხვევითი აღმოჩენა. ბრინჯაოს ფიბულა. L. 10 სმ. (სემ კოლ. 16-32:9). გამოუქვეყნებელია.

502. თერის ოლქი. შემთხვევითი აღმოჩენა 1893 წ. ბრინჯაოს ფიბულა [Артамонова-Полтавцева 1950, გვ. 56, სურ. 252].

503. ლუგოვოი (გროზნოს ოლქი). ქვაყრილიანი ორმოსამარხები (1952, 1955 წწ. გათხრების მიხედვით 70 სამარხი). ბრინჯაოს ფიბულა (სამარხი № 61). თანმხლები ინვენტარი: რკინისა და ბრინჯაოს იარაღი და სამკაული; კერამიკა; მძივები. ძვ.წ. VI-V სს. [Крупнов 1957ა, გვ. 159, სურ. 34,8; მისივე 1960, ტაბ. LXVIII; Козенкова 1982, გვ. 59, ტაბ. XXXVII9].

504. ლუგოვოი. ქვაყრილიანი ორმოსამარხები (1952 წ. გათხრების მიხედვით 29 სამარხი). ბრინჯაოს ფიბულა. ძვ.წ. VI-IV სს. [Крупнов 1954, გვ. 95, სურ. 396; აგრეთვე იხ. Уварова 1900, გვ. 87, ტაბ. XXVI; ტაბ. XXVIII7,8].

505. ლუგოვოი. სამაროვანი. ბრინჯაოს ფიბულა [Крупнов 1960, ტაბ. LXX3; Козенкова 1982, ტაბ. XXXVIII1].

506. ჩეჩნეთი (კონკრეტული გეოგრაფიული პუნქტი აღნიშნული არ არის). ბრინჯაოს ფიბულა [Крупнов 1960, ტაბ. II2].

507-522. ლუგოვოი. № № 9, 29, 30, 32, 49, 71, 91, 96, 103 (2 ცალი), 106, 107, 114, 122, 147, 152 სამარხებში. ბრინჯაოს 16 ფიბულა [Крупнов 1960, ტაბ. LXVIII; Козенкова 1978, ტაბ. XXII2; მისივე 1982, გვ. 59, ტაბ. XXXVII7].

523. ვოზდვიჟენსკოე. ნ. ნ. მურავიოვ-კარსკის კოლეჯიიდან. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: გვერგვი, აბზინდა. ძვ.წ. VII-IV სს. [Козенкова 1982, გვ. 59, ტაბ. XXXVII7].

524. სოფ. მუჟიჩი (ჩეჩნეთი). (1948, 1961 წწ.). ბრინჯაოს ფიბულა. შემთხვევითი აღმოჩენა [Козенкова 1982, გვ. 59, ტაბ. XXXVII7].

525 სოფ. ალდი (ჩეჩნეთი). (1960 წ.). ბრინჯაოს ფიბულა. შემთხვევითი აღმოჩენა [Козенкова 1982, გვ. 59, ტაბ. XXXVII7].

526, 527. ქ. გროზნო (ჩეჩნეთი). ბრინჯაოს 2 ფიბულა. შემთხვევითი აღმოჩენა [Козенкова 1982, გვ. 59, ტაბ. XXXVII7].

528. "სადღაც ჩეჩნეთში". ბრინჯაოს ფიბულა. შემთხვევითი აღმოჩენა [Козенкова 1982, გვ. 59, ტაბ. XXXVII7].

529. სოფ. შალი (ჩეჩნეთი). ბრინჯაოს 2 ფიბულა. შემთხვევითი აღმოჩენა [Козенкова 1982, გვ. 59, ტაბ. XXXVII7].

530-532. ისტი-სუ (ჩეჩნეთი, ქ. გუდერმესთან). სამაროვანი აღმოჩნდა შემთხვევით 1937 წ. 1937-1938 წწ. შესწავლილ იქნა 19 სამარხი. ბრინჯაოს ფიბულები. აღმოჩნდა № № 11 (1 ცალი) და 20 (2 ცალი) სამარხებში. № 11 სამარხის ინვენტარი: ბრინჯაო – გვერგვი, საყურე რგოლი, სამაჯურები, რგოლი; მძივები – მინისა და გიშრის; კერამიკა – 2 ქოთანის, ჯამი. № 20 სამარხის ინვენტარი: ბრინჯაო – აბზიბდები, სამაჯურები, პირამიდისებური საკიდები, ქინძისთავები, ხვიები, რგოლები, ძეწკვი; მძივები – სარდიონის, მინის ერთფერი და პოლიქრომიული; თიხის ჯამი და კვირისტავი. ძვ.წ. VI-V სს. [Артамонова-Полтавцева 1950, გვ. 32-34, 42-46, 98, სურ. 92, 173; Козенкова 1982, გვ. 59, ტაბ. XXXVII6].

533. კურენ-ბენოი (ჩეჩნეთი). ბრინჯაოს ფიბულა (ქვაყუთი, ნ. ს. სიმონოვის გათხრები) [Козенкова 1982, გვ. 59, ტაბ. XXXII9].

ანალოგიური ფიბულები კავკასიის ფარგლებს გარეთ ჩვენთვის უცნობია. ისინი თარიღდება ძვ.წ. VI-IV სს-ით.

N DA

III 10 a 3 ვარიანტის ფიბულების რკალის ღერო თანაბრად შემსხვილებული, მრგვალგანივკვეთიანი ან უკანა მხრიდან დაბრტყელებულია. რკალის ზედაპირი შემკულია ერთმანეთისაგან დაშორებული ირგვლივი ღარებისა თუ წრეხაზების ჯგუფებით, რომელთა შორის სივრცე ამობურცულია. ფეხი (ბუდე) – ძლიერ გაგანიერებულია, ნემსსაჭერი – დაბალი.

III 10 a 3 ვარიანტის ფიბულები (3 ცალი) მხოლოდ ჩრდ. კავკასიის ძეგლებიდანაა ცნობილი: ლუგოვოი (კატ. № 534), ცა-ვედენო (კატ. № 535), შალი (კატ. № 536).

534. ლუგოვოი. ბრინჯაოს ფიბულები № № 112, 118 სამარხებიდან [Козенкова 1982, გვ. 59, ტაბ. XXXVII8].

535. ცა-ვედენო (ჩეჩნეთი). ბრინჯაოს ფიბულა [Козенкова 1982, გვ. 59, ტაბ. XXXVII8].

536. შალი (ჩეჩნეთ-ინგუშეთი). ბრინჯაოს ფიბულა [Козенкова 1982, გვ. 59, ტაბ. XXXVII8].

ანალოგიური ფიბულები კავკასიის ფარგლებს გარეთ ჩვენთვის უცნობია. ისინი თარიღდება ძვ.წ. VI-IV სს-ით.

III 10 a 4 ვარიანტის ფიბულების რკალის ღერო თანაბრად შემსხვილებული და მრგვალგანივკვეთიანია. რკალის ზედაპირი შემკულია ერთმანეთისაგან დაშორებული თანაბარი ირგვლივი წრეხაზების ჯგუფებით. რკალის თავში, ბოლოში და შუაში მირჩილულია ცხვრის თავის ფიგურები. ფეხი (ბუდე) ძლიერ გაგანიერებული უნდა ყოფილიყო.

537. კავკასია. აღმოჩენის ადგილი უცნობია. რუმინელების მუზეუმის კოლექცია [Калитинский 1926, ტაბ. III20].

III 10 a 4 ვარიანტის ფიბულა (კატ. № 537) მხოლოდ ერთი ცალია და მისი აღმოჩენის ადგილი უცნობია. მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ კავკასიიდან მომდინარეობს. ანალოგიური ვერძის თავებია დაძველებული დისკოსებურშემსხვილებიანი ფიბულების რკალზე (III 8 c 1 ვარიანტი) ყაზბეგიდან და ყობანიდან (კატ. № № 442, 443), რომლებიც ძვ.წ. VI-IV სს-ით თარიღდებიან. ასეთივე ვერძის თავია დარჩილული ორწილადი ფიბულის რკალზე ე.წ. სამხრეთ ოსეთიდან [Куфтин 1949a, გვ. 23, ტაბ. I4, სურ. 22; სულავა 2001a, გვ. 57, ტაბ. I6].

ანალოგიური ფიბულები კავკასიის ფარგლებს გარეთ ჩვენთვის უცნობია.

III 10 b ვარიანტის ფიბულების რკალის ღერო თანაბრად შემსხვილებული და მრგვალგანივკვეთიანია. რკალის ზედაპირი შემკულია მიჯრილი თანაბარი ირგვლივი რელიეფური ზოლებით (დახვეული თოკის იმიტაცია) ან რკალის შუაში, რომელიც განივკვეთში მრავალკუთხაა, ჩასმულია გეომეტრიულსახეებიანი სეგმენტი (კატ. № 544). ზოგჯერ რკალზე საკიდებია (კატ. № № 545, 547). ფეხი (ბუდე) გაგანიერებულია, ნიჩბისებური. ნემსსაჭერი – დაბალი, მილისებური ფორმის.

III 10 b ვარიანტის ფიბულები (21 ცალი) მხოლოდ კავკასიის მასალებიდანაა ცნობილი: ყაზბეგის განძიდან (კატ. № № 540-542), ქსნის ხეობიდან (კატ. № № 544, 545), ახალგორიდან (კატ. № 546), ყობანიდან (კატ. № № 538, 539), კორცადან (კატ. № 543), ჩმიდან (კატ. № 547), ლუგოვოიდან (კატ. № 548), კურენ-ბენოიდან (კატ. № 549), გარდალიდან (კატ. № 550), შალიდან (კატ. № 551), ყულარიდან (კატ. № 552), ბოისი-ირზოდან (კატ. № № 553-557), ურუს-მარტანიდან (კატ. № 558).

538, 539. ყობანი. ბრინჯაოს 2 ფიბულა “მეომრის სამარხიდან” [Артаманова-Полтавцева 1950, სურ. 473, 6].

540-542. ყაზბეგი. “ყაზბეგის განძი”. ბრინჯაოს 3 ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: იხ. კატ. № № 143, 157, 474, 594. ძვ.წ. VI-V სს. [წითლანაძე 1976, გვ. 77-80, ტაბ. XXVI2, XXVIII12].

543. კორცა (ოსეთი). ბრინჯაოს ფიბულა [Уварова 1900, ტაბ. LXXVII7].

544. ქსნის ხეობა. სანკტ-პეტერბურგი. ერმიტაჟის კოლექცია – 84/4. ბრინჯაოს ფიბულა. L. 22 სმ. ძვ.წ. I ათასწ. მეორე მეოთხედი [Доманский 1984, გვ. 41, ტაბ. XII].

545. ქსნის ხეობა. სანკტ-პეტერბურგი. ერმიტაჟის კოლექცია – 84/5. ბრინჯაოს ფიბულა. L. 22 სმ. ბრინჯაოს ფიბულა. ძვ.წ. I ათასწ. შუა ხანები [Доманский 1984, კატ. 161].

546. ახალგორი. შემთხვევითი აღმოჩენა (1910 წ.). ბრინჯაოს ფიბულა. L. 11 სმ. (სემ კოლ. 6-49:5). გამოუქვეყნებელია.

547. ჩმი. ბრინჯაოს ფიბულა. მოსკოვის ისტორიული მუზეუმის კოლექცია [Уварова 1900, ტაბ. LVIII7].

548. ლუგოვოი. სამარხები № № 46, 113, 131, 132, 143, 154. ბრინჯაოს ფიბულები [Крупнов 1960, ტაბ. LXXI; Козенкова 1982, გვ. 59, ტაბ. XXXVII6].

549. კურენ-ბენოი. ქვის სამარხიდან. ბრინჯაოს ფიბულა [Козенкова 1982, გვ. 59, ტაბ. XXXVII6].

550. გარდალი (ჩეჩენეთი). ბრინჯაოს ფიბულა. ნ. ს. სემიონოვის გათხრები [Козенкова 1982, გვ. 59, ტაბ. XXXVII6].

551. შალი. აღმოჩენილია აგურის ქარხანასთან (1969 წ.). ბრინჯაოს ფიბულა. ძვ.წ. VI ს. კომპლექსში [Козенкова 1982, გვ. 59, ტაბ. XXXVII6].

552. ყულარი (დალესტანი). ბრინჯაოს ფიბულა. ა. ა. ბობრინსკის კოლექციიდან [Козенкова 1982, გვ. 59, ტაბ. XXXVII6].

553-557. ბოისი-ირზო (ჩეჩნეთი). № 1 დიდ ყორღანსა და № № 7, 8 ყორღანებში. № 1 ყორღანში ბრინჯაოს 2 ფიბულაა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – სამაჯურები, სპირალურთავიანი რგოლები, რგოლები; რკინა – შუბისპირები, დანა; მძივები და საკიდები; თიხის კვირისტავი. № 7, 8 ყორღანებში ბრინჯაოს 3 ფიბულაა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – “ნიჩაბი”, უმბონი [Артамонова-Полтавцева 1950, გვ. 52-54, სურ. 243,4; Козенкова 1982, გვ. 59, ტაბ. XXXVII7].

558. ურუს-მარტანი (ჩეჩნეთი). ბრინჯაოს ფიბულა. ა. ა. ბობრინსკის შენაძენი 1888 წ. [OAK 1891, გვ. CCXXI; Крупнов 1939, გვ. 27, 28, სურ. 5; მისივე 1948, გვ. 31; Артамонова-Полтавцева 1950, გვ. 32-34, 42-49, 54, სურ. 245; Козенкова 1982, გვ. 59, ტაბ. XXXVII7].

ისინი თარიღდება ძვ.წ. VI-IV სს-ით.

ძალზე საინტერესო პარალელია კორცას ფიბულისათვის იალისოსში (როდოსი), ათენას სალოცავში აღმოჩენილი ფიბულა, რომელიც თითქმის 7 სმ-ის სიგრძისაა. ე. საპოუნა-საკელარაკის მიხედვით, ეს ფიბულა გაერთიანებულია XII აღმოსავლურ ფიბულათა ტიპების აღმოსავლურბერძნულ ფორმებში (ტიპი XII Be) (ე. ბლინკენბერგის მიხედვით – მცირეაზიული ტიპები) [Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 133, ტაბ. 551720]. კავკასიური ფიბულებისაგან განსხვავებით მას სამკუთხა ფორმის ბუდე და ორმარყუჟიანი ზამბარა აქვს.

III 10 b ვარიანტის ფიბულები კავკასიური მოვლენაა.

III 11 – დაკეჭნილზურგიანი რკალით

III 11 ქვეტიპის ფიბულის რკალის ღერო წვრილი და მრგვალგანივკვეთიანია. რკალის ზედაპირი შემკულია ღრმა ნაჭდევებით (“დაკეჭნილია”). ფეხი (ბუდე) – რკალის სიმეტრიულია. ნემსსაჭერი – პატარა და მომრგვალებულია.

559. თლია. ზემოდან ბრტყელი ქვებით შემოწყობილი ორმოსამარხი № 308. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ტანმრუდი გრავირებული კოლხური ცული, რკალგახსნილი რგოლი; რკინა – სატევარი. ძვ.წ. X ს. ბოლო – IX ს. [Техов 1981 გვ. 22, ტაბ. 873].

III 11 ქვეტიპის ფიბულა (კატ. № 559) კავკასიის მასალებიდან მხოლოდ ერთია ცნობილი, თლიას სამაროვნის № 308 სამარხიდან, რომელსაც ბ. ტეხოვი ძვ.წ. X ს-ის ბოლოსა და IX ს-ეს მიაკუთვნებს [Техов 1981, გვ. 22]. ჩვენი აზრით, ეს სამარხი ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრითა და ძვ.წ. VI ს-ის დასაწყისით უნდა დათარიღდეს [სულავა 2000a, გვ. 39, 40, ტაბ. I20].

ანალოგიური ფიბულები სხვა ქვეყნების მასალებიდან უცნობია.

ყაზბეგის განძის რკალზე ბურცობებიან ფიბულებთან დაკავშირებით ი. ზუნდვალის პარალელს ავლებდა ლუჩიას ფიბულებთან [Sundwall 1943, გვ. 106, ტიპი – B II a i], რომელთაც ღრმა ღარებით “დაკეჭნილი” ზურგი და განიერი სამკუთხა ფეხი აქვთ. ამ ქვეტიპის ფიბულები ძვ.წ. VII ს-ის დასასრულითა და VI ს-ით თარიღდებიან [Sundwall

1943, გვ. 106]. ვფიქრობთ, ლუჩიას ტიპის ფიბულები ჩვენი III 11 ქვეტიპის ფიბულებთან უფრო მეტ მსგავსებას რკალის მიხედვით ამაყვანებენ.

III 12 – გრეხილრკალიანი

III 12 a ვარიანტის ფიბულების რკალის ღერო თანაბარია ან სუსტად შემსხვილებული; გრეხილი. კორპუსი – ნალისებური. ფეხი (ბუდე) – რკალის სიმეტრიული ან ოდნავ გაგანიერებულია. ნემსსაჭერი – პატარა და მომრგვალებულია.

III 12 a ვარიანტის ფიბულები (25 ცალი) აღმოჩენილია ფიჭვნარის კოლხურ სამაროვანზე (კატ. № 560), სამთავროსა (კატ. № 561) და ბრილის სამაროვანზე (კატ. № № 562-565), ვედიდკარში (კატ. № № 566-583), ოშაკანში (კატ. № 584).

560. ფიჭვნარი. სამარხი № 21. ბრინჯაოს ფიბულა (ქ. ფ. კ. V:76, № 392). თანმხლები ინვენტარი: მძივები – სარდიონის, ქარვის, მინის. ძვ.წ. V ს. [Кахидзе, Сулава 2005, გვ. 60, ტაბ. I5(21)].

561. სამთავრო. ორმოსამარხი № 123 (1939 წ.). ბრინჯაოს ფიბულა. L. 8,7 სმ. (სემ კოლ. 12-54:2510). თანმხლები ინვენტარი: კერამიკა – დოქები ქილები, ქოთანნი, ჯამი; ბრინჯაო – წვრილი, ზურგდაკეპნილი სამაჯურები (5 ც.), ხვია; რკინა – სატევარი, მახვილი, შუბისპირის ფრაგმენტები, დანა, სამაჯური. ძვ.წ. VIII-VII ს. პირველი ნახ. [აბრამიშვილი 1957, გვ. 132; მისივე 1961, გვ. 368, ტაბ. VII; სულავა 2000, გვ. 65-67, ტაბ. I314].

Бл

562. ბრილი. ქვის სამარხი № 9 (1960 წ.). ბრინჯაოს ფიბულა. L. 5 სმ. (სემ კოლ. 5-993:121). ჩანს, დაზიანების შემდეგ რკინის ნემსი გაუკეთეს, რომლის ფრაგმენტებიც შერჩენილია ზამზარასთან. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – დუგმა, მილაკები, ხვია, სასაფეთქლეები; რკინა – ღერაკი, საკინძი ბრინჯაოს მძივით; ვერცხლი – ფიბულა (სემ კოლ. 5-993:122, კატ. № 469), თავგახვრეტელი სასაფეთქლეები; მძივები – პოლიქრომიული და ლურჯი, ცისფერი, მწვანე, შავი, ყვითელი მინის. გამოუქვეყნებელია.

563. ბრილი. ორმოსამარხი № 23 (1952 წ.). ბრინჯაოს ფიბულა. L. 4,5 სმ. (სემ კოლ. 5-993:165). თანმხლები ინვენტარი: კერამიკა – ტუჩიანი ჯამი; ბრინჯაო – ფიბულა ირგვლივლარებიანი რკალით (სემ კოლ. 5-993:165). ვერცხლისა და ელექტრუმის ერთმტევნიანი საყურეები (დაკარგულია); მძივები – ქარვის, ფირუზისფერი ფაიანსის, ვერცხლის, ლურჯი მინის, პოლიქრომიული. გამოუქვეყნებელია.

564 ბრილი. ორმოსამარხი № 26 (1953 წ.). ბრინჯაოს ფიბულა (ნაკლული) (სემ კოლ. 5-993:230). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ფიბულა (სემ კოლ. 5-993:237; კატ. № 64), სურა (ფრაგმენტირებული), 6 “მძივი”, მილაკისა და ჯაჭვის ფრაგმენტები, 4 ბოლოდაბრტყელებული მანჭვალი, 4 ე.წ. სკვითური ისრისპირი, დაფანჯრული სფერული ეჟენები; ელექტრუმის ერთსხივიანი საყურე; რკინა – ცულის ფრაგმენტები, ლაგამი, სატევარი; მინა – პოლიქრომიული სანელსაცხებლე; მძივები – ქარვის, ფირუზისფერი ფაიანსის, ლურჯი მინის. გამოუქვეყნებელია.

565. ბრილი. ქვის სამარხი № 12 (1953 წ.). ბრინჯაოს ფიბულა. L. 4 სმ. (სემ კოლ. 5-993:115). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ჯაჭვი; მძივები – სარდიონის, ცისფერი, ლურჯი, შავი და ყვითელი მინის. გამოუქვეყნებელია.

566-583. ვედიდკარი-მახათა (მარტვილის რ-ნი). შემთხვევითი მონაპოვარი. დანგრეული სამარხი. 18 ცალი ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – კოლხური ცული, დანის ფრაგმენტი, ფოთლისებური შუბისპირი, 3 ნამგალი, “წურბლისებურ ფიბულა”,¹²⁶ სპირალურბოლოებიანი საკისრე რკალი, რგოლი, 55 სხვადასხვა ზომის ზოდი; მძივები. ძვ.წ. VIII-VII სს [Апакидзе 1991, გვ. 19, 32, 90, ტაბ. XCVIII9].

¹²⁶ რომელი ტიპის ფიბულა იგულისხმება ვედიდკარის “წურბლისებურ ფიბულაში” ზუსტად არ ვიცით, ამიტომ კატალოგში ეს ფიბულა არ შევიტანეთ.

584. თშაკანი (სომხეთი). სამარხი № 62. ბრინჯაოს ფიბულა. კრომლები აკლდამით (10-12 მიცვალებული). ინვენტარი: კერამიკა; მძივები – სარდიონის, პასტის, ოქროსი; კაური; ოქრო – საყურე. ძვ.წ. VI ს. [Есаян, Калантарян 1988, გვ. 80, 81, ტაბ. LXV1].

ევრაზიული სივრცის რკალისებური ფიბულებიდან გრეხილრკალიანი ფიბულები ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ტიპია, მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, უახლოეს გამოკვლევებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ არც ერთი ტიპის გრეხილრკალიანი ფიბულა არ ყოფილა დამახასიათებელი მცირე და წინა აზიის ქვეყნებისათვის (იხ.: აქვე, I 3 ქვეტიპი).

III 12 a ვარიანტის ფიბულები (ჩვენი კლასიფიკაციის მიხედვით I 3 ქვეტიპის ფიბულებთან ერთად) ცნობილია ქრ. ბლინკენბერგის სუბმიკენური ტიპიდან [Blinkenberg, ტიპი XII]. მაღალრკალიანი ფიბულა (ჩვენი III 12 a ვარიანტი) აღმოჩენილია კრეტაზე – ფესტოსში [Blinkenberg 1926, სურ. 39 (II 7 a); Sapouna-Sakellarakis 1976, გვ. 50, ტაბ. 6194], ვროკასტროში [Blinkenberg 1926, გვ. 65, II 7 b, II 16 a (სურ. 55)]¹²⁷, კავოუსიში [Blinkenberg 1926, სურ. 42, (II 9 a); Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 50, ტაბ. 7203], ფორტეტსაში, კამერიან სამარხში, რომელიც არქაული ხანის შემდგომ მასალას ქონდა დარღვეული. დათარიღებულია პროტოგეომეტრიული ხანით [Brock 1957, გვ. 29, № 263a; Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 50, ტაბ. 7198, 199]; ფიბულა მაღალი, გრეხილი რკალით ცნობილია სკლავოიდან, სავარაუდოდ ფარმაკოკეფალოს ნეკროპოლიდან [Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 50, ტაბ. 7201]; ფიბულა, ძლიერ დეფორმირებული გრეხილი რკალით აღმოჩენილია ეგინაზე, სავარაუდოდ აპოლონის სამლოცველოში [Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 50, ტაბ. 7207].

ბუდის მოყვანილობით, ჩვენს ფიბულებთან განსაკუთრებულ სიახლოვეს ამჟღავნებს თერაზე აღმოჩენილი ფიბულა, რომელსაც სხვა, მრავალრიცხოვან თანმხლებ მასალასთან ერთად ახლავს 17 ფიბულა. სამარხს ათარიღებს გეომეტრიული ხანისა და ადრეორიენტალიზირებული სტილის კერამიკა [Blinkenberg 1926, გვ. 66, სურ. 41, (II 8 a); Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 37, 38, 50, ტაბ. 7210].

კარგად დათარიღებული სუბმიკენური ფიბულები ცნობილია ატიკიდან, კერამეიკოსის სამარხიდან [Müller-Karpe 1962, გვ. 85, 86, 87, სურ. 37,9, 48, 58,10,13,17]. ისინი თანაარსებობენ ასიმეტრიულრკალიან და ფოთლისებურრკალიან ხემისებურ ფიბულებთან, ძვ.წ. XI-IX სს-ში [Müller-Karpe 1962, სურ. 332, 3, 4, 5, 6].

გრეხილი რკალი გვხვდება თესალიურ (ფერაის სალოცავი) ფიბულებშიც, რომლებიც ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევრითა და ძვ.წ. VII ს-ის ადრეული ხანით თარიღდება. მათი ანალოგები ცნობილია კნოსოსიდან და დელფოსიდან. ისინი აღმოჩენილია ძვ.წ. VII-VI სს-ის კერამიკასთან ერთად [Blinkenberg 1926, ტიპი VI4a, VI5a; Kilian 1975, გვ. 23, ტაბ. 115, 16, 17].

ჩვენი III 12 a ვარიანტის მსგავსი გრეხილრკალიანი ფიბულა დაცულია აშმოლის მუზეუმში და თებეშია აღმოჩენილი [Blinkenberg 1926, გვ. 66, სურ. 40 (II 7f)]. გრეხილრკალიანი ფიბულები ქრ. ბლინკენბერგის ნაშრომის ე.წ. შუალედურ (III ტიპი) ტიპებშიც არის. ისინი ცნობილია ათენიდან, არგოსის ჰერაიონიდან, ლუსოიდან (არკადია), ბეოტიიდან [Blinkenberg 1926, გვ. 79, 80, სურ. 66(III 1a), 67(III 2a), 68(III 3a), 69(III 3c)]. გრეხილრკალიანი ფიბულები, რომლებიც ეგინაზეა აღმოჩენილი, მისივე კლასიფიკაციის წინააზიურ ტიპებშიცაა (ტიპი XII) [Blinkenberg 1926, გვ. 210, სურ. 231(XI 1g)].G

¹²⁷ ქრ. ბლინკენბერგის ნაშრომში სურ. 55 (II 16 a)-ზე გამოსახული ფიბულა ასიმეტრიული მოყვანილობისაა. ე. საპუნა-საკელარაკის ნაშრომში კი იგივე ფიბულას მომრგვალებული რკალი აქვს [Sapouna-Sakellarakis 1978, ტაბ. 6195b]. იხ. ქვემოთ, ტიპი - I 3.

გრეხილრკალიანი ფიბულა მაღალი რკალით, ბულგარეთის ძეგლებიდან ცნობილია პაველსკოდან, ქვის სამარხიდან ხის გადახურვით [Mikov 1940-41, გვ. 26, სურ. 2t]. ფიბულა ბულგარულ სპეციალურ ლიტერატურაში თარიღდებოდა ძვ.წ. VIII-VII სს-ით, მაგრამ ანალოგიებზე დაყრდნობით, რომლებიც დ. გერგოვას გავლებული აქვს ქრ. ბლინკენბერგის სუბმიკენური ტიპის ფიბულებთან, კერამიკოსის № 108 სამარხის ფიბულასთან, ვერგინას (მაკედონია) ფიბულასთან, შესაძლებლად მიიჩნევს მისი ადრერკინის ხანის I პერიოდით დათარიღებას (ძვ.წ. XII-IX სს) [Blinkenberg 1926, გვ. 58, 65, II 7a, II 7f, II 8a; Snodgrass 1971, გვ. 225, სურ. 80; Radt 1974, ტაბ. 3818-20; Gergowa 1987, გვ. 20, ტაბ. I4].

ბულგარეთის მასალებიდან ძვ.წ. VII ს-ით დათარიღებული ორზამბარიანი ფიბულებიც გრეხილი რკალითაა შემკული [Gergowa 1987, გვ. 40, კატ. № № 114-121]. ძვ.წ. VII ს-ის დასაწყისითა და ძვ.წ. V ს-ის პირველი ნახევრით დათარიღებული რუმინეთის გრეხილრკალიანი ფიბულებიც ორზამბარიანია [Bader 1983, გვ. 77].

იუგოსლავიის ტერიტორიიდან გრეხილრკალიანი ფიბულა ცნობილია გლაზინაცის კულტურის III C ფაზიდან (გვიანი ბრინჯაოს ფინალური საფეხური, ძვ.წ. 1000-800 წწ.). სწორედ ამ ფიბულიდან იწყება მაღალრკალიანი, სამკუთხა მაღალფეხიანი, დიდზამბარიანი ფიბულების არსებობა ამ რეგიონში [Arheologški leksikon . . . 1988, გვ. 76; Praistorija . . . 1983, სურ. 2914; Benac, Čović 1956, გვ. 75, 76].

მაღალრკალიანი გრეხილფეროიანი ფიბულა ცნობილია სლოვენიიდან (Brinjevi qori), ურნათა ველის ხანის სამაროვნიდან [Panič 1988-1989, გვ. 200, ტაბ. 15].

მაღალრკალიანი ფიბულა გრეხილი ღეროთი ცნობილია დალმაციიდან (Gradine Otišiču-სთან), თარიღდება ძვ.წ. IX-VIII სს-ით. ამგვარი ფიბულა აღმოჩენილი ყოფილა Lišnjaka kod Drniša-სთან [Čović 1970, გვ. 76, სურ. 5].

მაღალრკალიანი ფიბულები გრეხილი ღეროთი ცნობილია ალბანეთიდანაც (Perlat), სადაც მათ ძვ.წ. XI-X სს-ით ათარიღებენ [Bodinaku 1984, გვ. 56, ტაბ. I6,7].

ანალოგიური ფიბულები ცნობილია ვერგინას სამაროვნიდანაც (მაკედონია), რომელიც შესწავლილ და გამოქვეყნებულ იქნა მ. ანდრონიკოსისა და პ. პეტასის მიერ. ვერგინაში გამოვლინდა სამარხები, რომლებიც მხოლოდ ადრერკინის ხანას ეკუთვნიან; სამარხები, რომლებიც მეორედაც იყვნენ გამოყენებული ელინისტურ ხანაში და საკუთრივ ელინისტური ხანის სამარხები. უძველესი აღმოჩენები ეკუთვნის ძვ.წ. XI ს-ეს C ყორღანიდან და ძვ.წ. VII ს-ეს I ყორღანიდან. მ. ანდრონიკოსმა აღმოაჩინა 23 ბრინჯაოს და 2 რკინის ფიბულა. ვერგინას ფიბულები 4 სახეობით იყო წარმოდგენილი: 1. დისკოსებური შემსხვილებებით; 2. გრეხილრკალიანი; 3. მარტივი რკალისებური; 4. ბრტყელფირფიტაანი რკალით. მისი აზრით, დროის თვალსაზრისით, ვერგინაში ფიბულების შემოსვლა უნდა მომხდარიყო სამხრეთ საბერძნეთში მათი გაჩენის შემდეგ, და ალბათ, პირდაპირი გზით – იტალიით და ადრიატიკით. ვერგინას გრეხილრკალიანი ფიბულები თარიღდება ძვ.წ. X ს-ის ბოლოთი და ძვ.წ. IX ს-ის დასაწყისით [Radt 1974, გვ. 98, 125, 140-144, ტაბ. 3818, 19, 20].

გრეხილრკალიანი ფიბულები ცნობილია ნინიდან (ილირია), პროზორიდან, ლიკადან და დას. ხორვატიიდან. ისინი ადრეულ რკალისებურ ფიბულებზე (ძვ.წ. XI-X სს) ახალგაზრდა უნდა იყვნენ [Batović 1965, გვ. 55, ტაბ. 5, სურ. 116; Sundwall 1955, გვ. 10, სურ. 1].

ცენტრალური იუგოსლავიის მასალებიდან გრეხილრკალიანი ფიბულები არის ორშლექიფიანი (ორზამბარიანი) ფიბულების ჯგუფიდან. მათი არსებობა ძირითადად ძვ.წ. VII ს-ზე ვრცელდება [Vasič 1999, გვ. 51, 52, ტაბ. 27 და სხვ.].

ამგვარი ფიბულები ცნობილია სამხრეთ გერმანიის, ავსტრიის და შვეიცარიის რეგიონიდანაც. ისინი აღმოჩენილია: ესტავაიერ-ლე-ლაკში, ცუგში, ტესინის კანტონში (კლარო, ასკონა), ალბულას რ-ნში. იტალიაში აღმოჩენილ ანალოგებზე დაყრდნობით ისინი ძვ.წ. XII-X სს-ით თარიღდება [Betzler 1974, გვ. 65-67, ტაბ. 14135-141].

იტალიის ძეგლებიდან ამგვარი ფიბულები ცნობილია: კავედინედან (?), ვადენადან, მონკუკოდან, კაპრიანადან, ანგარანოდან, გაცო ვერონეზედან, ფრატესინადან, ვალ დი ვიკოდან, გარდადან, ბისონე პავეზედან, კა მორტადან, ბიანდრონოდან. ისინი თარიღდება ძვ.წ. XI ს-ის ბოლოთი [Eles Masi 1986, გვ. 14-18, ტაბ. 368, 471-75, 75ა, 76, 78-85, ტაბ. 586-102].

ი. ზუნდვალი გრეხილრკალიან ფიბულებს რკალისებური ფიბულების ჯგუფში (B I1a) აერთიანებს. ისინი ზემოთ დასახელებული ძეგლების გარდა გვხვდება: ბისმანტოვაში, პრიმიტიულ ურნასამარხში; კავერნა დი პერტოზაში, ტიმარიში, პიანელოში, ტერნიში, სიცილიაზე პანტალიჩაში, ესტეში, მოლინო დელა ბადიაში, ჩუიზიში, პოპულონიაში, პიედილუკოში, ტარკვინიაში, ამენოში, ბოლონიაში, ვერუჩიოში [Sundwall 1943, გვ. 7879, 89, 90, სურ. 72-76, 92].

ამგვარად, მაღალთაღიანი გრეხილრკალიანი ფიბულები, როგორც მასალის მიმოხილვისას გამოჩნდა, ერთ-ერთი ყველაზე ძველი სახეობაა. ჯერჯერობით მათი უძველესი ეგზემპლარები საბერძნეთისა და იტალიის ძეგლებიდანაა ცნობილი.

იტალიელი არქეოლოგის ჩიერიჩის აზრით, გრეხილრკალიანი ფიბულა, შესაძლოა გრეხილდეროიანი საკინძის მოხვევითაც წარმოშობილიყო [Blinkenberg 1926, გვ. 40, სურ. 5].

ჩვენი III 12 a ვარიანტის ფიბულები კავკასიაში ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევრიდან ძვ.წ. IV ს-ის ჩათვლით არსებობენ.

III 12 b ვარიანტის ფიბულების რკალის ღერო თანაბარი, შემსხვილებული და გრეხილია. ფეხი (ბუდე) – მნიშვნელოვნად გაგანიერებული. ნემსსაჭერი მომრგვალებული.

ამ ვარიანტის ფიბულები (33 ცალი) აღმოჩენილია: წითელი შუქურას № 64 ორმოსამარხში (კატ. № 585), ბრილში (კატ. № № 586-592), ყაზბეგში (კატ. № 594), ყოზანში (კატ. № № 595-597, 606-608), რუთხაში (კატ. № 598), ზემო რუთხაში (კატ. № № 599, 600, 603, 604), არხონში (კატ. № 601), კუმბულთაში (კატ. № 602), ვედენოში (კატ. № 605), სოჭში (კატ. № 609), გიჟგიდში (კატ. № 610-612), ძინაგაში (კატ. № № 613, 614), ლუგოვოიში (კატ. № 615), ტალიკში (კატ. № 616), ურცევას სამაროვანზე (კატ. № 617).

585. წითელი შუქურა. ორმოსამარხი № 64(94). ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – სარტყელი, პინცეტი, 3 ფიგურა-საკიდი. ძვ.წ. VIII-VI სს. [Трапш 1969, გვ. 131, ტაბ. XXV8], ძვ.წ. VIII-VII სს. [Квирквелия 1981, გვ. 6].

586. ბრილი. ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 4 (1960 წ.). სამი მიცვალებულით. ბრინჯაოს ფიბულა. L. 6,8 სმ. (სემ კოლ. 5-993:81). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ე.წ. სკვითური ისრისპირები, ჯვრისებური საკიდი, ბრტყელი, ბოლოებგახვრეტილი სამაჯური, სპირალური ხვიები, მილაკები, სფერული მძივები, სათასზე ბალთები; რკინა – ცული, ხელკვერი, აკინაკი, მოხრილი დანები; ქვა – თავგახვრეტილი საღესი; ოქრო – ხუთსხვიანი, ვარდულიანი საყურე; ელექტრუმი – ცალსხვიანი საყურე; მძივები – პოლიქრომიული და თავლისფერი, ცისფერი, ყვითელი, ნარინჯისფერი მინის. გამოუქვეყნებელია.

587. ბრილი. “დანგრეული სამარხების ინვენტარი, შეკრებილი სხვადასხვა ფენაში” (მასალის ეტიკეტის მიხედვით სემ-ის არქეოლოგიური განყოფილების “შვირე ექსპედიციების” I ფონდში). 1950 თუ 1951 წ.წ. გათხრები. ბრინჯაოს ფიბულა (სემ კოლ. 5-993, № არა აქვს). გამოუქვეყნებელია.

588. ბრილი. ორმოსამარხი № 21 (1953 წ.). ბრინჯაოს ფიბულა. L. 7 სმ. (სემ კოლ. 5-993:194/1). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – სპირალური დუგმა, 2 აბზინდა, ზურგდაკეჭნილი სამაჯურები; ვერცხლი – 2 ცალმტევნიანი საყურე; მძივები – ლურჯი მინის. გამოუქვეყნებელია.

589. ბრილი. ორმოსამარხი № 23 (1950 წ.). ბრინჯაოს ფიბულა. L. 5,5 სმ. (სემ კოლ. 5-993:131). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – 2 ფირფიტისებური, განიერი, ბოლოებჩაჩხვლეტილი სამაჯური, ფრინველის ღრუმულცილიანი ქანდაკება, ზარი; ვერცხლი – 3 თავგახვრეტილი სასაფეთქლე; მძივები – ქარვის, ლურჯი მინის, ფირუზისფერი ფაიანსის. გამოუქვეყნებელია.

590. ბრილი. სამარხი № 7 (1952 წ.). ბრინჯაოს ფიბულა (სემ კოლ. 5-993:40). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაოს სამაჯური; მძივები; ცხვრის გახვრეტილი კოჭი და ცხოველის კბილი. გამოუქვეყნებელია.

591. ბრილი. № 19 სამარხის (1952 წ.) ზედა ფენიდან. ბრინჯაოს ფიბულა. L. 6,3 სმ. (სემ კოლ. 5-993:265). გამოუქვეყნებელია.

592. ბრილი. ორმოსამარხი № 14 (1952 წ.). ბრინჯაოს ფიბულა. L. 11,5 სმ. (სემ კოლ. 5-993:78). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – გრავირებული სარტყელი, წნულყურებიანი ქვაბი, ზარი; ელექტრუმის ერთმტევნიანი საყურე; ვერცხლი – სამსხვიანი საყურე, გრეხილურკალიანი და ბოლოებმოკაუჭებული დიადემა; რკინა – მოხრილი დანა, ცული, შუბისპირი, აკინაკი; მძივები – პოლიქრომიული და ყვითელი, ყავისფერი, ცისფერი მინის. გამოუქვეყნებელია.

593. აღმოჩენის ადგილი უცნობია. ბრინჯაოს ფიბულა (თსუ არქეოლოგიის კათედრა, № არა აქვს). გამოუქვეყნებელია.

594. ყაზბეგი. “ყაზბეგის განძი”. ბრინჯაოს ფიბულა. L. 12 სმ. თანმხლები ინვენტარი: იხ. კატ. № № 143, 157, 474, 540-542. ძვ.წ. VI-V სს. [Филимонов 1878, გვ. 26-33; Bayern 1885, XVII, გვ. 41-45; Уварова 1900, გვ. 139, ტაბ. LXVIII2; Уварова, Радде 1902, კოლ. 2-02, გვ. 11, 12; წითლანაძე 1976, გვ. 77-80].

595. ყობანი. ბრინჯაოს ფიბულა. სენ-ჟერმენის მუზეუმის კოლექცია [Chantre 1886, ტაბ. XXI6].

596. ყობანი. ბრინჯაოს ფიბულა. ა. ს. უვაროვის კოლექცია [Уварова 1900, ტაბ. XXXI8].

597. ყობანი. ბრინჯაოს ფიბულა [Chantre 1886, ტაბ. XXIbis2].

598. რუთხა. ბრინჯაოს ფიბულა პ. უვაროვას კოლექცია. [Уварова 1900, ტაბ. CIV1].

599, 600. ზემო რუთხა. ბრინჯაოს ფიბულა. L. 8,6 სმ. იხ. კატ. № № 108-112, ე.წ. “ვოსნიერსკას” კოლექცია (ინგ. III d 3915). გვიანბრინჯაო-რკინის ხანა [Motzenbäcker 1996, გვ. 104, 163, კატ. 454, 455, ტაბ. 288, ტაბ. 624].

601 არხონი. ბრინჯაოს ფიბულა [Уварова 1900, ტაბ. CIXXXI2].

602. კუმბულთა. ბრინჯაოს ფიბულა. პ. უვაროვას კოლექცია [Уварова 1900, ტაბ. LXXXVIII6].

603, 604. ზემო რუთხა. სამარხი № 17. ბრინჯაოს 2 ფიბულა (მაღალი, გრეხილი რკალეებით). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – სარტყელის ფრაგმენტები, ქედიანი მასიური სამაჯური; ვერცხლის სასაფეთქლე რგოლი; ქარვის მძივი; ცხვრის 2 კოჭი. ძვ.წ. IX ს. ბოლო – VIII ს. [Крупнов 1960, გვ. 226, ტაბ. XLII9,10].

605. ვედენო (ჩენეთი). ბრინჯაოს ფიბულა. ნ. ვ. ორიოლის კოლექციიდან [Козенкова 1982, გვ. 59, ტაბ. XXXVII4].

606-608. ყობანი. “მეომრის სამარხი.” ბრინჯაოს 3 ფიბულა [Артаманова-Полтавцева 1950, სურ. 473,5,6].

609 სოჭი (ქალაქის გარეუბნიდან). ბრინჯაოს ფიბულა. გვიანი ბრინჯაოს ხანა [Воронов 1979, გვ. 58, სურ. 2617].

610. გიუგოდი. სავარაუდოდ ყორღანული ტიპის სამარხი ნაგებობის ქვეშ მოწყობილი აკლდამები. 1928 წ. ერთ-ერთ აკლდამაში აღმოჩენილია კომპლექსი. ბრინჯაოს ფიბულა (ინახება ნალჩიკის მუზეუმში, № 2568/1965). თანმხლები მასალა: ბრინჯაო – უმბონის მსგავსი ბალთა, ღილი სოლარული ნიშნით, აბზინდა, გვერგვის ფრაგმენტები, სამაჯურების ფრაგმენტები, ზარაკი ძვ.წ. VIII-VII სს. [Козенкова 1989, გვ. 22].

611, 612. გიუგოდი. ბრინჯაოს 2 ფიბულა და კოლხური ცული. ძვ.წ. X-VII სს. [Иесен 1941, პგვ.მ19, სურ. 3, ტაბ. III2-4, გვ. 16, ნტაბ. I]. ძვ.წ. VII-VI სს. [Чеченов 1969, გვ. 35, 36, № 78; Виноградов 1972, გვ. 208].

613 614. ძინაგა (ოსეთი, ირაფის რ-ნი). ქვის სამარხი. ბრინჯაოს 2 ფიბულა. ძვ.წ. VII-VI სს. [Тменов 1980, გვ. 27-31; Козенкова 1996, გვ. 25, სურ. 124,7].

615. ლუგოვოი. სამარხი № 140 (ქვაყრილიანი ორმოსამარხები, ნაწილი კრომლებებით, 1957 წ. 47 სამარხი). ბრინჯაოს ფიბულა, სამკუთხა საკიდითა და ძეწკვებით. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ბალთები, საყურეები, საკიდები, სამაჯურები, აბზინდები; რკინა – აკინაკი, მოხრილი დანები, ცულები, მასრიანი შუბისპირები, ლაგმები; კერამიკა; მძივები. ძვ.წ. VI-V სს. [Крупнов 1960ა, ტაბ. 406; Козенкова 1982, ტაბ. XXXVIII10].

616. ტალიკი (ყარაჩაევო-ჩერქეზეთი, სტავროპოლის მხარე). დანგრეული ყორღანი (1959 წ.). ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები მასალა: კერამიკა; ბრინჯაო – ისრისპირები, უმბონისებური ბალთა, ჯაჭვები; რკინა – მახვილის ფრაგმენტები, სატევარი, ისრისპირები; “სკვითური ტიპის” ცხენის აღკაზმულობა. ძვ.წ. VII-IV სს. [Алексеева 1971, 58, 59; Козенкова 1989, გვ. 52].

617. ურცეკას სამაროვანი (დადესტანი). ბრინჯაოს ფიბულა. ძვ.წ. I ათასწ. შუა ხანები [Маммаев 1989, გვ. 24, სურ. 111; Багаев 2004, გვ. 138, სურ. 112].

III 12 b ვარიანტის ფიბულები ზოგადად ძვ.წ. VIII-IV სს-ით თარიღდება. ტიპოლოგიური ნიშნების მიხედვით ისინი კავკასიის საკუთრებაა.

III 12 c ვარიანტის ფიბულების რკალის ღერო თანაბარი და შემსხვილებულია. გრეხილია მხოლოდ რკალის თავში, ბოლოში და შუაში. რკალის დანარჩენი ნაწილი მრგვალგანივკვეთიანი და სადაა. ფეხი (ბუდე) – ნიჩბისებურად გაგანიერებულია. ნემსსაჭერი – აკლია.

ამ ვარიანტის ფიბულა (კატ. № 618) მხოლოდ ერთი ცალია ცნობილი კავკასიის მასალებიდან, სავარაუდოდ ყაზბეგის სამაროვნიდან.

618. ყაზბეგის სამაროვანი (?). ბრინჯაოს ფიბულა. მოსკოვის ისტორიული მუზეუმის კოლექცია [Калитинский 1926, ტაბ. III17].

საინტერესოა, რომ ფიბულები ამგვარად შემკული რკალით მხოლოდ იტალიის მასალებიდანაა ცნობილი. ისინი ზოგადად ძვ.წ. XI-X სს-ს განეკუთვნებიან [Eles Masi 1986, გვ. 20, ტაბ. 6120]. თუ ჩვენი ფიბულა მართლაც ყაზბეგის მასალებიდან მომდინარეობს, მაშინ მას ვერანაირად ვერ დავუკავშირებთ იტალიურ ფიბულებს და მითუმეტეს მათი მიხედვით ვერ დავათარილებთ. ჩვენი ფიბულა უფრო ყაზბეგის ძეგლების თანადროული უნდა იყოს. ამაზე მიგვითითებს მისი განიერი, ნიჩბისებური ბუდეც, რომელიც კავკასიის მთიანეთის ძვ.წ. VI-IV სს-ის ფიბულებისთვისაა დამახასიათებელი.

III 13 _ ფირფიტისებრკალიანი

III 13 a ვარიანტის ფიბულის რკალი ფირფიტისებრია¹²⁸ ოვალური ფორმის, რომლის ზედაპირიც კიდევებსა და დიაგონალზე შემკულია წერტილოვანი ორნამენტით. რკალის მონაკვეთი ზამზარის მხარეს ოთხკუთხაგანივკვეთიანია. ფეხი (ბუდე) _ აკლია.

ამ ვარიანტის ფიბულა (კატ. № 619) ერთი ცალია ცნობილი გუადიხუს სამაროვნის № 3 სამარხიდან, რომელიც ძვ.წ. VIII-VI სს-ით არის დათარიღებული [Трапш 1969, გვ. 21-24, 71-73]. ამ სამარხს გ. ლორთქიფანიძე ძვ.წ. VII-VI სს-ით ათარიღებს, ხოლო გ. კვირკველია – ძვ.წ. VI-IV სს-ით [Лордкипанидзе 1978, გვ. 55, 56; Квирквелия 1981, გვ. 7]. ანალოგიური ფიბულა კავკასიის მასალებიდან უცნობია.

619. გუადიხუ. ორმოსამარხი № 3(6), დამწვარი ძვლებით. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ქინძისთავი, ზარაკი, ძეწვეის ფრაგმენტები; კერამიკის ფრაგმენტები. ძვ.წ. VIII-VI სს. [Трапш 1969, გვ. 21-24, 71-73, ტაბ. V6]; ძვ.წ. VII-VI სს. [Лордкипанидзе 1978, გვ. 55, 56]; ძვ.წ. VI-IV სს. [Квирквелия 1981, გვ. 7].

გუადიხუს სამაროვნის ფიბულას ძალიან წააგავს იტალიაში, ვილანოვას ხანის (ძვ.წ. IX ს.) სან ვიტალეს სამაროვნის № 17 სამარხის ფიბულა. მასაც აქვს ოვალური ფირფიტისებრი რკალი, რომელიც კიდევებსა და სიგრძეზე შემკულია წერტილოვანი ორნამენტით. ჩვენი ფიბულისაგან განსხვავებით, მას ორმაგი ზამზარა და დაბალი, ნახევარწრისებური ფორმის ფეხი (ბუდე) აქვს [Pincelli, Morigi Govi 1975, გვ. 571, სურ. 764]. ზუსტად ამგვარად შემკული რკალი აქვს სერპანტინისებურ ორზამზარიან ფიბულას ტერადი ლავოროდან [Montelius 1895, გვ. VI, ტაბ. XIV, სურ. 196; Sundwall 1943, გვ. 144, სურ. 214; Åberg 1930, გვ. 31, 78].

ოვალურფირფიტისებრი რკალი აქვთ ქრ. ბლინკენბერგის IX ტიპის ე.წ. ბეოტიურ ფიბულებს, რომელთა კედლებიც პუნსონით გამოყვანილი წერტილებით, ხოლო შუა ნაწილი გორგონას გამოსახულებითაა შემკული [Blinkenberg 1926, გვ. 193, სურ. 214, 215, 216].

გუადიხუს სამარხისა და ფიბულის თარიღად ძვ.წ. VI-IV სს-ი ვიზიარებთ.

III 13 b ვარიანტის ფიბულის რკალი, ფირფიტისებრია, ოვალური ფორმის, რომლის ზედაპირიც კიდევებზე შემკულია თევზიფხური სახით. რკალის მონაკვეთი ზამზარის მხარეს ოთხკუთხაგანივკვეთიანია. ფეხი (ბუდე) _ აკლია.

620. გუადიხუ. ორმოსამარხი № 24(71), ნაწილობრივი კრემაციით. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: კერამიკა – დოქი; ბრინჯაო – ქინძისთავი, ზარაკი, ძეწვეი, სამაჯური; რკინა – სამაჯურის ფრაგმენტები; მძივები – გომრის, ქარვის, ლურჯი მინის პირამიდული საკიდი. ძვ.წ. VIII-VI სს. [Трапш 1969, გვ. 39-41, ტაბ. V6-ის ტიპის]; ძვ.წ. VII-VI სს. [Лордкипанидзе 1978, გვ. 55, 56]; ძვ.წ. VI-IV სს. [Квирквелия 1981, გვ. 7].

ამ ვარიანტის ფიბულა (კატ. № 620) ერთი ცალია ცნობილი გუადიხუს № 24(71) სამარხიდან, რომელიც ძვ.წ. VI-IV სს-ს განეკუთვნება. ის III 13 a ვარიანტის ფიბუ-

¹²⁸ ფირფიტისებრკალიანი 2 ფიბულა ცნობილია ყულანურხვას სამაროვნიდანაც. ტაბულის და ტექსტის აღწერილობის მიხედვით მისი რომელიმე ვარიანტისადმი მიკუთვნება გვიჭირს – იხ.: Трапш 1970, გვ. 150, ტაბ. IV3,4.

ლისაგან მხოლოდ შემკულობით განსხვავდება. ანალოგიური ფიბულა კავკასიის მასალებიდან უცნობია.

III 13 b 1 ვარიანტის ფიბულების რკალი ფირფიტისებრი და ოვალური ფორმისაა, ვერტიკალურად მდგომი. მისი ზედაპირი სადაა, ხოლო კიდევები შემკულია ირიბი ნაჭდევებით ან შუა ნაწილში გატიხრულია ხაზით, რომლის აქეთ-იქით ტეხილი ხაზებით შედგენილია სამკუთხედები. ფეხი (ბუდე) – აკლია.

621. კავკასია. ბრინჯაოს ფიბულა. აღმოჩენის ადგილი უცნობია. რუმინელების მუზეუმის კოლექცია [Калитинский 1926, ტაბ. III16].

622. კარატა ან სოგრატლია (დაღესტანი). ბრინჯაოს ფიბულა. ძვ.წ. I ათასწ. შუა ხანები [Давудов 1974, ტაბ. XVIII11; Багаев 2004, გვ. 138, სურ. 113].¹²⁹

623. ხაზადა (დაღესტანი). ბრინჯაოს ფიბულა. ძვ.წ. I ათასწ. შუა ხანები [Маммаев 1989, გვ. 24; Багаев 2004, გვ. 138, სურ. 113].

ამ ვარიანტის ფიბულა 3 ცალია ცნობილი: ერთი ზოგადად „კავკასიიდან“ (კატ. № 621), ორიც დაღესტნიდან (კატ. № № 622, 623). მათი ქრონოლოგია ძვ.წ. I ათასწ. შუა ხანებით განისაზღვრება. ანალოგიური ფიბულები კავკასიის სხვა მასალებიდან უცნობია. პარალელები არც სხვაგან მოეძებნებათ.

III 13 c ვარიანტის ფიბულების რკალი ფირფიტისებრი და წაგრძელებული ოვალის ფორმისაა, რომლის ზედაპირიც სადაა ან კიდევებშემკულია გადაბმული ტეხილი ხაზებით, ხოლო დიაგონალზე – ხაზით. ფეხი (ბუდე) სიმეტრიულია.

624. წითელი შუქურა. ორმოსამარხი № 3(26). ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ფირფიტა; რკინა – მახვილი; მძივები – მინის. ძვ.წ. V ს. მეორე ნახ. [Трапш 1969, გვ. 270-272, ტაბ. XXXVII12].

625. აღმოჩენის ადგილი უცნობია. ბრინჯაოს ფიბულა (თსუ არქეოლოგიის კათედრა. № არა აქვს). გამოუქვეყნებელია.

ამ ვარიანტის ფიბულებიდან ერთი (კატ. № 624) მომდინარეობს წითელი შუქურას № 3 ორმოსამარხიდან, რომელიც ძვ.წ. V ს-ის მეორე ნახევრით თარიღდება; მეორე ფიბულის (კატ. № 625) აღმოჩენის ადგილი კი უცნობია. კავკასიაში ანალოგიური ფიბულები სხვაგან არ გვხვდება.

III 13 c ვარიანტის ფიბულის მსგავსია იტალიის ძეგლებიდან გარგანოს ერთწილადი რკალისებური ფიბულა, რომლის წაგრძელებული ოვალური ფორმის ფირფიტის კიდევები შემკულია ტეხილი ხაზებით შექმნილი სამკუთხედებით. ო. მონტელიუსი ამ ფიბულას ბრინჯაოს ხანის III პერიოდს მიაკუთვნებს [Montelius 1895, გვ. IV, ტაბ. V, სურ. 42]. ამგვარად შემკული ფირფიტისებრრკალიანი ფიბულა, დათარიღებული ძვ.წ. X-VIII სს-ით, ცნობილია კარაკუპადანაც [Savignoni, Mengarelli 1903, გვ. 310, ფიგ. 24; Sundwall 1943, გვ. 120, CIαa10].

¹²⁹ შდრ. Давудов 1974, ტაბ. XVIII10-ის ფიბულა არის კარატადან, ხოლო ტაბ. XVIII11-ის ფიბულა სოგრატლიდანაა. ეს უკანასკნელი მ. მამაევთან და შემდეგ მ. ბაგაევთან ფიგურირებს როგორც ხაზადაში აღმოჩენილი ფიბულა – ნ. ს.

აფხაზეთში აღმოჩენილი III 13 c ვარიანტის ამ ორი ფიბულის მსგავსია, ვილანოვას ხანის სან ვიტალეს სამაროვნის № A სამარხის ფიბულა, რომელსაც უფრო განიერი ფირფიტისებრი რკალი აქვს, მაგრამ მისი კიდეებიც შემკულია გადაბმული ტეხილი ხაზებით შექმნილი სამკუთხედებით, რომლებიც ამ იტალიური ფიბულის შემთხვევაში, დაშტრიხულია. როგორც მედიტერანული სამყაროს უმეტესი ფიბულებისთვისაა დამახასიათებელი, სან ვიტალეს ფიბულასაც ორმაგი ზამზარა და იტალიური ფიბულებისათვის დამახასიათებელი ნახევარწრის ფორმის ბუდე აქვს [Pincelli, Morigi Govi, 1975, გვ. 571, ფიგ. 765].

ამგვარი რკალის მქონე ფიბულა ცნობილია ალბანეთიდანაც (Perlat). ოლონდ, უფრო ადრეული ხანისა, ძვ.წ. XI-X სს-ის, რაზედაც მეტყველებს გაგანიერებული ნახევარწრიული ბუდე და რკალის ნაწილზე განივწიწვისებური ორნამენტი [Bodinaku 1984, გვ. 56, ტაბ. II3].

III 13 d ვარიანტის ფიბულების რკალი ფირფიტისებრი და რომბული ფორმისაა. კიდეებზე შემკულია ირიბი ნაჭდევებით. ფირფიტა სიგრძეზე გატიხრულია თევზიფხური ორნამენტის ზოლით, რომლის აქეთ-იქით განლაგებულია სამ-სამი წრე. ფეხი (ბუდე) – სიმეტრიულია.

ამ ვარიანტის ფიბულები (13 ცალი) ცნობილია: წითელი შუქურას № № 12, 19, 103 სამარხებიდან (კატ. № № 626, 627, 630, 631), აფსტადან (№ 628), ენეპლიდან (კატ. № 629), იაშთხვას № 1 სამარხიდან (კატ. № № 632, 633), სოხუმის მთის № № 1, 2 სამარხებიდან (კატ. № № 634-637), გუადიხუს № 25 სამარხიდან (კატ. № 638).

626, 627. წითელი შუქურა. ორმოსამარხი № 12(42). ბრინჯაოსა და ვერცხლის ფიბულები. თანმხლები ინვენტარი: თიხა – დოქი, ქოთანის, შავლაკიანი ჯამი; რკინა – დანა; ოქრო – სასაფეთქელები, ღრუ მძივები, საკიდები; მძივები – მინის; ვერცხლი – ფარაკიანი ბეჭედი; ბრინჯაო – 2 სამაჯური, ქინძისთავი. ძვ.წ. VIII-VI სს. [Трапш 1969, გვ. 274-279, ტაბ. XXXIX7,8]; ძვ.წ. VI-IV სს. [Квирквелия 1981, გვ. 5].

628. აფსტა (ბაკლანოვკა, აფხაზეთი). 1927 წ. აღმოჩენა. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები მასალა: ბრინჯაო – შუბისპირი, ჯვრისებრი საკიდი. ძვ.წ. VII-VI სს. [Лукин 1941, გვ. 59; Воронов 1969, გვ. 46, A48, ტაბ. XL27].

629. ენეპლი. შემთხვევითი აღმოჩენა (1937 წ.). ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები მასალა: ბრინჯაო – გვერგვის ფრაგმენტები, შუბისპირი, სამაჯურები, ისრისმაგვარი ნივთი, მძივები. ძვ.წ. VII-VI სს. (სოხუმის მუზეუმი; ა. ლ. ლუკინის კოლ. № 63) [Воронов 1969, გვ. 47, A59, ტაბ. XL31].

630. წითელი შუქურა. ორმოსამარხი № 19(21). სამარხში მხოლოდ ბრინჯაოს ფიბულა იყო. ძვ.წ. VIII-VI სს. [Трапш 1969, გვ. 97].

631. წითელი შუქურა. ორმოსამარხი № 103(151). ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: მოწითალო-მონაცრისფრო ქოთანი. ძვ.წ. VIII-VI სს. [Трапш 1969, გვ. 148].

632, 633. იაშთხვა (სოხუმთან). ორმოსამარხი № 1. ბრინჯაოს 2 ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ზარაკები, ბრტყელი და მრგვალგანვიკვეთიანი სამაჯურების ფრაგმენტები, სარტყელი; რკინა – სამაჯურის ფრაგმენტი, შუბისპირი. ძვ.წ. V-IV სს. [Воронов 1969, გვ. 32, B191, ტაბ. XL32; კვირკველია 1978, გვ. 75, 76, ტაბ. 285,6].

634, 635. სოხუმის მთა (სოხუმთან). კრემაციული ორმოსამარხი № 1. ვერცხლისა და ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – სამაჯურები; კერამიკის ფრაგმენტები. ძვ.წ. VI ს. [კალანდაძე 1954, გვ. 54, 55, სურ. 25, ტაბ. VII4,15].

636, 637. სოხუმის მთა. კრემაციული ორმოსამარხი № 2. ვერცხლის 2 ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – მსხვილბურთულაკებიანი სამაჯური; 2 გაურკვეველი ნივთის ფრაგმენტი; კერამიკის ფრაგმენტები. კაჟის ანატკეცი. ძვ.წ. VI ს. [კალანდაძე 1954, გვ. 55, ტაბ. VI,2].

638. გუადიხუ. ორმოსამარხი № 25(72), ნაწილობრივი კრემაციით. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – 2 ფიბულა (იხ. კატ. № № 366, 647); სამაჯური, რგოლი; ვერცხლი – საყურე რგოლები; თიხა – კვირისტავი, ქოთანის ძვ.წ. VIII-VI სს. [Трапш 1969, გვ. 41. ტაბ. V5]; ძვ.წ. VI-V სს. [Квирквелия 1981, გვ. 7].

ამ ვარიანტის ფიბულები კავკასიის მასალებიდან მხოლოდ აფხაზეთისთვისაა დამახასიათებელი და ადგილობრივ სახელოსნოზე უნდა მიუთითებდეს.

ამგვარად რკალშემკული, ოღონდ ორწილადი ფიბულები ცნობილია პუშტი-ქუდან (ლურისტანი), სადაც ისინი რკინის ხანის III პერიოდს მიეკუთვნებიან და თარიღდებიან ძვ.წ. VIII ს-ის ბოლოთი და ძვ.წ. VII-VI სს-ის ჩათვლით [Vanden Berghe 1978, გვ. 49, 60, 61, 67, სურ. 1116-19].

აფხაზეთში, სამარხეულ კომპლექსებში (წითელი შუქურა, გუადიხუ) აღმოჩენილი ეს ფიბულები, მ. თრაფშის მიერ დათარიღებულია ძვ.წ. VIII-VI სს-ით [Трапш 1969, გვ. 41, 97, 148]. ძვ.წ. VI და V-IV სს-ით თარიღდება სოხუმის მთისა და იაშთხვის სამარხეულ კომპლექსებში გამოვლენილი ამგვარი ფიბულები [კალანდაძე 1954, გვ. 54, 55; კვირკველია 1978, გვ. 75, 76]. ვფიქრობთ, ამ ტიპის ფიბულების არსებობის ქრონოლოგიური ჩარჩოები ძვ.წ. VI-IV სს-ით უნდა შემოისაზღვროს. ამგვარი დათარიღების საფუძველს გვაძლევს ოთხსპირალიანი ბალთები იაშთხვას სამაროვნიდან, რომელსაც პარალელები ლუგოვოს (ჩეჩნეთი) სამაროვანზე ეძებნება და ძვ.წ. VI-IV სს-ით თარიღდება და აგრეთვე ბურთულებიანი სამაჯურები. ანალოგიური, თუმცა, რამდენადმე განსხვავებული სამაჯურები ცნობილია ბომბორის განძიდან და აბგარხუკიდან [Крупнов 1960, გვ. 79, ტაბ. II3, XXI1; Куфтин 1949, გვ. 240, 241, ნახ. 54; კვირკველია 1978, გვ. 77, ტაბ. 2958]. სამაჯურებისა და ბალთების შემკობა ბურთულისებრი შვერილებით, დამახასიათებელი ყოფილა ბოსნია-ჰერცეგოვინაში ე.წ. შუადალმატიური კულტურული ჯგუფის IV ფაზისათვის, რომელიც ძვ.წ. 550-375 წწ. თარიღდება [Arheologski leksikon . . . 1988, გვ. 164, 165, ტაბ. 4626]. გვიანი რკინის ხანით (ძვ.წ. VI-IV სს.) თარიღდება სამაჯური დონია დილინადან, რომელიც შემკულია ბურთულისებრი თუ ლურსმნისებური შვერილებით არამარტო კიდეებზე, არამედ შუა ნაწილშიც [Arheologski leksikon . . . 1988, ტაბ. 88]. ბურთულების რიგებით შემკული სამაჯურები ცნობილია სერჟენ-იურტის სამაროვნიდან, სოფ. შალიდან, ზანდაკის სამაროვნიდან [Козенкова 1982, გვ. 47, ტაბ. XXVII12,13]. ვ. კოზენკოვა თვლის, რომ აღნიშნული სამაჯურები ძვ.წ. VIII ს-ში და უფრო ადრეც უნდა ყოფილიყო ხმარებაში. ის არ ეთანხმება ვ. ვინოგრადოვს, სოფ. მაირტუპთან აღმოჩენილი ამგვარი სამაჯურების ძვ.წ. VIII-VII სს-ით დათარიღებაში და მათ უფრო ადრეულად მიიჩნევს [Виноградов 1979, გვ. 118, 119; Козенкова 1982, გვ. 47, სქ. 103]. კავკასიის მასალების მიხედვით, III 13 d ვარიანტის ფიბულების ქრონოლოგია ძვ.წ. VI-IV სს-ით უნდა განისაზღვროს.

III 13 e ვარიანტის ფიბულების რკალი ფირფიტისებრია, ოვალური ფორმის. ფირფიტა სიგრძეზე გატიხრულია თევზიფხური ორნამენტით. ფეხი (ბუდე) აკლია.

639. ექნეპლი (ბზიფის აფხაზეთი, მიცართან). შემთხვევითი აღმოჩენა (1937 წ.). ბრინჯაოს ფიბულა. *ლ. 3,5 სმ.* (სოხუმის მუზეუმი 10-66:13; ა. ლ. ლუკინის კოლ. 637/3, № 5). გამოუქვეყნებელია.¹³⁰

ამ ვარიანტის ფიბულა (კატ. № 639) მხოლოდ ერთი ცალია ცნობილი ექნეპლიდან. ანალოგიური ფიბულები კავკასიისათვის უცნობია.

შორეულ პარალელად შეიძლება გამოვიყენოთ ალბანეთში (Perlat), ძვ.წ. XI-X სს-ით დათარიღებული ძეგლიდან მომდინარე ფიბულა, რომლის რკალიც ფირფიტისებური ზურგის აქეთ-იქით შემკულია განივი წიწვისებური ორნამენტით. ფიბულას ბუდე აკლია, მაგრამ სავარაუდოდ, ის უნდა ყოფილიყო ნახევარწრისებური ანუ ისეთივე ფორმის, როგორც დამახასიათებელი იყო ამ ტიპისა და ამ ხანის ჩრდ. იტალია-ბალკანეთის სივრცეში გავრცელებული ფიბულებისათვის [Bodinaku 1984, გვ. 56, ტაბ. II4].

III 13 f ვარიანტის ფიბულების რკალი ფირფიტისებურია, ოვალური ფორმის, შუაში ოვალური “მინდვრით”, კიდებზე ირიბი ნაჭდევებით. ზოგჯერ ამ ნაჭდევებსა და ოვალურ “მინდვრს” შორის მოთავსებულია თითო ან რამდენიმე წრე. ფეხი (ბუდე) სიმეტრიულია. ნემსსაჭერი – პატარა, ენისებური.

ამ ვარიანტის ფიბულები (11 ცალი) მხოლოდ აფხაზეთის ტერიტორიიდანაა ცნობილი: გუდაუთა (კატ. № 640), წითელი შუქურა № 4 სამარხი (კატ. № 641), გუადიხუს სამაროვნის № № 6, 10, 11, 12, 25, 26, სამარხები (კატ. № № 642-649), აბგარხუკი (კატ. № 650).¹³¹

640. გუდაუთა. აღმოჩენილია 1915 წ. გუდაუთის მახლობლად ა. ლ. ლუკინის მიერ. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – 3 ლენტისებური სამაჯური; მინა – მძივები [Лукин 1941, გვ. 62-66, 75].

641. წითელი შუქურა. ორმოსამარხი № 4. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაოს ფიბულა (კატ. № 364), სამაჯური, სპირალური ბოლოებით შემკული სამაჯური; რკინა – 3 დანა, 2 შუბისპირი, ცული; მძივები – 1 ქარვის, 1 სარდიონის. ძვ.წ. VIII-VI სს. [Трапш 1969, გვ. 85-87, ტაბ. VI4]; ძვ.წ. VI ს. [Лордкипанидзе 1978, გვ. 46]; ძვ.წ. VI-V სს. [Квирквелия 1981, გვ. 5].

642. გუადიხუ. ორმოსამარხი № 6(9), დამწვარი ძვლებით. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – 2 სამაჯური ფირფიტისებური ბოლოებით. ძვ.წ. VIII-VI სს. [Трапш 1969, გვ. 24, ტაბ. V5]; ძვ.წ. VI-V სს. [Квирквелия 1981, გვ. 7].

643. გუადიხუ. ორმოსამარხი № 10(22), დამწვარი ძვლებით. ვერცხლის ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: რკინა – დეფორმირებული დანა. ძვ.წ. VI-II სს. [Трапш 1969, გვ. 255, 256, ტაბ. XXXV14]. *табл*

644. გუადიხუ. ორმოსამარხი № 11(23), კრემაციული. ვერცხლის ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – სამაჯური; რკინა – დეფორმირებული დანა; კერამიკა – შვლაკიანი კანთაროსი. ძვ.წ. V-II სს. [Трапш 1969, გვ. 256, ტაბ. XXXV14]. *табл*

645, 646. გუადიხუ. ორმოსამარხი № 12(24), კრემაციული. 2 ვერცხლის ფიბულა. სამარხში მხოლოდ ეს ორი ფიბულა იყო. ძვ.წ. V-II სს. [Трапш 1969, გვ. 256, ტაბ. XXXV14]. *Т
აბл*

¹³⁰ მაღლობას მოვახსენებ ისტ. მეც. კანდ. ნ. დოლიძეს, რომელმაც გადმომცა რ. აბრამიშვილის მიერ შესრულებული ბარათები ჩანახატებით, სოხუმის მუზეუმში დაცული 4 ფიბულისა.

¹³¹ ფირფიტისებურ-ოვალურ-რკალიანი რკინის 3 ფიბულა აღმოჩენილია ჯანტუხის სამაროვანზე. ითვლება, რომ ისინი ბრინჯაოს ამავე ტიპის (III 13) ფიბულების მოყვანილობას იმეორებენ [Шамба 1984, გვ. 40, სურ. 25 (32, 34, 36)].

647. გუადიხუ. ორმოსამარხი № 25(72), ნაწილობრივი კრემაციით. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ვერცხლი – ბოლოებდაწვრილებული საყურეები; ბრინჯაო – 2 ფიბულა (კატ. № № 366, 638), სამაჯური, ბოლოებგახსნილი ბეჭედი; კერამიკა – კვირისტავი, ნაცრისფერი ქოთანნი; მძივები და საკიდი – ქარვის. ძვ.წ. VIII-VI სს. [Трапш 1969, გვ. 41, ტაბ. V5]; ძვ.წ. VI-V სს. [Квирквелия 1981, გვ. 7]. табл

648, 649. გუადიხუ. ორმოსამარხი № 26(39), კრემაციული. ვერცხლის 2 ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ეგვიპტური ფაიანსის საკიდები. ძვ.წ. V-II სს. [Трапш 1969, გვ. 258, ტაბ. XXXV14]. табл

650. აზგარბუკი (ავხაზეთი). შემთხვევითი აღმოჩენა. ბრინჯაოს ფიბულა. გვიანი ბრინჯაოს ხანა [Куфтин 1949, გვ. 160, სურ. 291].

ანალოგიური ფიბულები სხვაგან კავკასიაში არ გვხვდება. ისინი ძვ.წ. VI-V სს-ით თარიღდება.

III 13 g ვარიანტის ფიბულების რკალის ღერო ბრტყელი და მართკუთხაა. მისი “მინდორი” შემკულია შუა ნაწილში წრეების ან ჯვარედინი ნაჭდევების რიგით, ხოლო ერთ შემთხვევაში (კატ. № 651) კიდებზე წრეების ორ-ორი რიგით. ფეხი (ბუდე) – ვიწროა. ნემსსაჭერი – მომრგვალებული. ზამზარა და ნემსი აკლია.

ფიბულები აღმოჩენილია მუხურჩაში (კატ. № 651) და ერგეტაში (კატ. № 652).

651. მუხურჩა. 1974 წ. აღმოჩენა. ბრინჯაოს ფიბულა (სემ კოლ. 81-976:498) [დავლიანიძე 2003-2004, გვ. 23, 24, ტაბ. I8].

652. ერგეტა. I სამაროვნის № 5 სამარხი. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: კერამიკა – ყურმილიანი დოქები, კოჭბები, სასმისები; ბრინჯაო – კოლხური ცულები, სატევრები, ისრისპირები, თოხები, აზინდები, სამაჯურები, რგოლები, ფიგურები, პინცეტები, ჯაჭვები; მძივები – ქვის, მინის. აადრერკინის ხანა [Mikeladse 1995, გვ. 1-22]; ძვ.წ. VII ს-ის ბოლო – VI ს-ის დასაწყისი [პაპუაშვილი 1998, ტაბ. XXIV97,98].

ანალოგიური ფიბულები არსად გვეგულება. ისინი ზოგადად ძვ.წ. VII-VI სს-ს განეკუთვნებიან.

III 14 – რკალზე “ეკლისმაგვარი” შვერილებით

III 14 ქვეტიპის ფიბულების რკალის ღერო მრგვალგანივკვეთიანია. მსხვილი ღერო დაფარულია “ეკლისმაგვარი” შვერილებით. ფეხი (ბუდე) და ნემსსაჭერი აკლია.

653. გუადიხუ. ორმოსამარხი № 13(25), კრემაციული. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: კერამიკა – კანთაროსი; ბრინჯაო – საბეჭდავი ბეჭედი. ძვ.წ. V-II სს. [Трапш 1969, გვ. 256, 257, ტაბ. V8]; ძვ.წ. V ს-ის ბოლო – IV ს-ის პირველი ნახ. [Квирквелия 1981, გვ. 7].

ფიბულა (კატ. № 653) აღმოჩენილია გუადიხუს № 13(25) კრემაციულ სამარხში და თანმხლები ინვენტარის მიხედვით (შავლაკიანი კანთაროსი, ბრინჯაოს საბეჭდავი ბეჭედი) ძვ.წ. V-II სს-ით არის დათარიღებული [Трапш 1969, გვ. 256, 257.]; გ. კვირკველია ძვ.წ. V ს-ის ბოლოთი და IV ს-ის პირველი ნახევრით ათარიღებს [Квирквелия 1981, გვ. 7]. სამარხში მოპოვებულის ანალოგიური საბეჭდავი ბეჭდები ძვ.წ. IV-III სს-ით თარიღდება [ლორთქიფანიძე 1975, გვ. 48]. ამ სამარხისათვის ჩვენც ამ თარიღს ვიზიარებთ.

ანალოგიური ფიბულა კავკასიის მასალებიდან უცნობია.

ამ ფიბულებისათვის საინტერესო პარალელად შეიძლება მოვიტანოთ ფიბულა ვაჩეს სამაროვნიდან (ლუბლიანასთან), მისი IIa საფეხურის (ძვ.წ. 600-450 წწ.) ინჰუმაციური სამარხიდან. ფიბულას რკალზე წამოცმული აქვს ზუსტად გუადიხუს ფიბულის მსგავსი “ეკლისმაგვარი შვერილებიანი” მინის “ზურგი” [Stare 1955, ტაბ. XXX1,2]. ანალოგიური ფიბულა აღმოჩენილია ისევ იუგოსლავიაში, ლიბნას № 5 სამარხში (ძვ.წ. 600-550 წწ.) [Knez 1968, გვ. 261, ტაბ. 43].

III 15 _ რკალზე ლურსმნისებრი შვერილებით

III 15 ქვეტიპის ფიბულის რკალი მრგვალგანივკვეთიანი და შემსხვილებულია. რკალის ცენტრალურ ნაწილში ლურსმნისებრი შვერილებით. რკალის შემსხვილებული ნაწილი დანარჩენი რკალისაგან გამოყოფილია ღრმა ნაჭდევებით. ბუდე (ფეხი), რომლის მხოლოდ ნაწილია შემორჩენილი, მაღალი და განიერი უნდა ყოფილიყო.

654. ექნეპლი. შემთხვევითი აღმოჩენა. ბრინჯაოს ფიბულა. L. 6,7 სმ. (სოხუმის მუზეუმი 10-66:18; ა. ლ. ლუკინის კოლ. № 64,6/1).

ამ ქვეტიპის ფიბულა შემთხვევითაა აღმოჩენილი ექნეპლიში (კატ. № 654).

ანალოგიური ფიბულები უცნობია როგორც კავკასიის, ისე სხვა რეგიონების მასალებიდანაც.

შემკულობის მთავარი ნიშნის _ ლურსმნისებრი შვერილების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს დეკორი („Nagelartigewölbung“) გავრცელებული იყო ეგეოსურ და სამხრეთევროპულ მასალებში ძვ.წ. VI-IV სს-ში [იხ. ააქვე, III 8 ო].

მაღალი ფეხის მიხედვით ფიბულა აშკარად ეგეოსური სამყაროს მაღალფეხიანი ფიბულების გავლენას უნდა განიცდიდეს. მაგ. ფიბულას ვროკასტროდან (კრეტა), შემსხვილებული ზურგი და მისგან ასტრაგალებით გამოყოფილი მაღალი ფეხი აქვს [Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 69, ტაბ. 19604].

III 16 _ რკალზე ვერძის თავის პროტომებით

III 16 ქვეტიპის ფიბულის რკალის ღერო ზურგზე ამოჭრილია ოვალურად; რკალის კიდეები შემკულია ირიბი ღრმა ნაჭდევებით. რკალის თავსა და ბოლოში ცხვრის თავის ფიგურებია. ფეხი (ბუდე) განიერია, გარეთა ზედა მხარე მოკუთხული. ნემსსაჭერი _ მომრგვალებული, დაბალი.

ამ ქვეტიპის ფიბულა შემთხვევით აღმოჩნდა მიცარში (კატ. № 653).

655. მიცარი (ბზიფის აფხაზეთი). შემთხვევითი აღმოჩენა. ბრინჯაოს ფიბულა. გვიანი ბრინჯაოს ხანა [Куртин 1949, გვ. 160, 161, სურ. 548; შდრ. Воронов 1969, გვ. 46, 57A, ტაბ. XL29].

ანალოგიური ფიბულა ჩვენთვის უცნობია კავკასიისა თუ სხვა რეგიონების მასალებიდან.

ბ. კუფტინს ჰქონდა მცდელობა ამ ფიბულებისთვის პარალელები მოემებნა ტ. არ-ნეზე დაყრდნობით ლურისტანის, სირიის, მესოპოტამიის, ეგვიპტის რკალამოჭრილ (თუ რკალგაყოფილ) ფიბულებში, რომლებსაც ტ. არნე კვიპროსიდან იმპორტირებულად თვლიდა [Arne 1934, გვ. 277-280, ფიგ. 3a,b]. მაგრამ თვით ბ. კუფტინი აღნიშნავდა, რომ ეს ფიბულები მკვეთრად განსხვავდებიან ჩვენი ფიბულისაგან როგორც

კონსტრუქციულად (ზამბარის მოყვანილობა, ბუდის ფორმა – ნ. ს.), ასევე რკალის მოყვანილობით [Куфтин 1949, გვ. 243].

ვერძის თავებით ბრინჯაოს ნივთების შემკობა დამახასიათებელია კავკასიის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ბრინჯაოს ნაწარმისათვის. ამავე რეგიონიდან, ჯანტუხის (ტყვარჩელი) სამაროვნიდან ცნობილია ვერძის თავებით შემკული მცირე ზომის საკიდები [Шамба 1984, გვ. 44, სურ. 22]. ვერძის თავებითაა შემკული ბრინჯაოს ნახევარწრისებური აბზინდები და საკიდები ფასკაუდან და კუმბულთადან [Motzenbäcker 1996, ტაბ. 131, 364], აბზინდები აფხაზეთიდან – კშპპ ბოგოპოშტას განძიდან, ააციდან [Воронов 1969, გვ. 25, № 118, ტაბ. XXXIX22, გვ. 36, № 233, ტაბ. XXXIX20], მარაოსებური ქინძისთავები ფასკაუდან, ზემო რუთხადან [Motzenbäcker 1996, ტაბ. 101, 253,5, 601,3,4,6] და სხვ.

ჩვენი ფიბულის ანალოგიური შემკულობა აქვს ერგეტის II სამაროვნიდან № 4 სამარხ-ორმოში აღმოჩენილ მცირე პლასტიკის ნიმუშს (საკიდი?). სამარხი ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევრით თარიღდება [პაპუაშვილი 1999, გვ. 8, 9, ტაბ. IV67]. როგორც ჩანს, ამგვარი ფიბულის არსებობა ძვ.წ. VIII-VII სს-ზე უფრო წინ არ უნდა მიდიოდეს.

III 17 – დაფანჯრული ნახევარსფეროსებრი რკალით

III 17 ქვეტიპის ფიბულების რკალის ზურგი ნახევაროვალური ქრილებით დაფანჯრული ნახევარსფეროს (როზეტს) წარმოადგენს. რკალის გარეთა კიდეებზე მსხვილი ბურთულებია მირჩილული. ფეხი (ბუდე) – განიერი და გარეთა ზედა მხარეს მოკუთხულია. ნემსსაჭერი – მომრგვალებულია, დაბალი.

ამ ქვეტიპის ფიბულები (8 ცალი) ცნობილია ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ტერიტორიიდან: მიცარიდან (კატ. № № 656, 657), გუდაუთიდან (კატ. № 658), წითელი შუქურას № 35 სამარხიდან (კატ. № № 659, 660), გუადიხუს № 25 სამარხიდან (კატ. № 661), სობოლეკადან (კატ. № № 662, 663).

656. მიცარი. შემთხვევითი აღმოჩენა. ბრინჯაოს ფიბულა. გვიანი ბრინჯაოს ხანა [Куфтин 1949, გვ. 160, 161, სურ. 546. შდრ. Воронов 1969, გვ. 46, 57A, ტაბ. XL30].

657. მიცარი. შემთხვევითი აღმოჩენა. ბრინჯაოს ფიბულა. გვიანი ბრინჯაოს ხანა [Куфтин 1949, გვ. 160, 161, სურ. 547].

658. გუდაუთა. შემთხვევითი აღმოჩენა. გვიანი ბრინჯაოს ხანა [Куфтин 1949, გვ. 160, 161, სურ. 545].

659, 660. წითელი შუქურა. ორმოსამარხი № 38(55). ბრინჯაოს 2 ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ვერცხლი – 2 სასაფეთქლე; ბრინჯაო – 2 სამაჯური; რკინა – ცული, დანის ფრაგმენტი; მძივები და საკიდები – ქარვის, გიშრის; კერამიკა – 4 ჭურჭელი. ძვ.წ. VIII-VI სს. [Трапш 1969, გვ. 110-113, ტაბ. IX5,7]; ძვ.წ. VI ს. [Лордкипанидзе 1978, გვ. 46; Квирквелия 1981, გვ. 5].

661. გუადიხუ. ორმოსამარხი № 25(72). ბრინჯაოს ფიბულა (რეპარირებულია). თანმხლები ინვენტარი: იხ. კატ. № 366, 638 [Трапш 1969, გვ. 41, ტაბ. V7].

662, 663. სობოლეკა (სოჭთან). ბრინჯაოს 2 ფიბულა. ბერძნული კოლონიზაციის ეპოქის სამარხული ინვენტარი [Воронов 1979, გვ. 69, სურ. 3310,11].

დაფანჯრული ნახევარსფეროსებური რკალები მხოლოდ იტალიის მასალებიდანაა ცნობილი (ი. ზუნდვალის G II βa ტიპი). ისინი გვხვდება გრძელფეხიან ფიბულებზე როკასეკადან [Montelius 1895, ტაბ. IX99; Sundwall 1943, სურ. 353], სუესულადან [Sundwall

1943, სურ. 354], კარაკუპადან [Savignoni, Mengareli 1903, გვ. 308, სურ. 22; Sundwall 1943, G II № 56], ნოვილარადან [Brizio 1895, ტაბ. XIV23]. საინტერესო ეგზემპლარია ცნობილი ბოლონიიდან. ამ ფიბულას დაფანჯრულ რკალზე სამი ბურთულა აქვს დარჩილული [Montelius 1895, ტაბ. IX100].

ბ. კუფტინი ამ ვარიანტის ფიბულებს ნაჭუჭისებურ რკალიანს უწოდებდა და თვლიდა, რომ ისინი წარმოიშვნენ ძვ.წ. X-IX სს-ის გეომეტრიული სტილის ეპოქის a navicella ფიბულებისაგან, რომლის ანალოგიურიც აღმოჩნდა ახალ ათონში [Куптин 1949, გვ. 160, 161, სურ. 293, 545,6,7; Sulava 2003, გვ. 273-275].

III 17 ქვეტიპის ფიბულები ძვ.წ. VI ს-ით უნდა დათარიღდეს.

III 18 _ რკალის თავსა და ბოლოში ზომორფული გამოსახულებებით

III 18 ქვეტიპის ფიბულის რკალის ღერო შემსხვილებულია, მრგვალგანივკვეთიანი. რკალის თავსა და ბოლოში ზომორფული რელიეფური გამოსახულებებია. კორპუსი ნახევარწრისებური (ნალისებური). ფეხი (ბუდე) რკალის ზომორფული გამოსახულების გაგრძელებას წარმოადგენს.

ამ ქვეტიპის ფიბულა (კატ. № 664) მხოლოდ კავკასიიდანაა ცნობილი.

664. ჩეგემი (ყაბარდო-ბალყარეთი). ბრინჯაოს ფიბულა [Калитинский 1926, ტაბ. III21].

ი. ზუნდვალი ამ ფიბულის შესახებ წერდა, რომ ამ ეგზემპლარზე თვალშისაცემია მცირეაზიული ფიბულების ფეხის მოყვანილობა და პარალელს ავლებდა ქ. ბლინკენბერგის ძვ.წ. VI-V სს-ით დათარიღებულ XII ტიპთან (მცირეაზიული ფიბულები) [Sundwall 1943, გვ. 22, სურ. 13d]. არც ქ. ბლინკენბერგის და არც სხვა თანამედროვე გამოცემების საილუსტრაციო მასალებში ანალოგიური ფიბულა ვერ მოვიძიეთ [შდრ. Blinkenberg 1926, Stronach 1959, Caner 1983, Pedde 2000]. ვფიქრობთ, ეს ფიბულა კავკასიის ხელოსნური ნაწარმია. ამაზე რკალის თავსა და ბოლოში ვერძისა თუ რაღაც სხვა ცხოველის თავის გამოსახულებებიც მიგვითითებს.¹³² ფიბულა ძვ.წ. VII-VI სს-ით უნდა დათარიღდეს.

§ 2. იმპორტული ფიბულები (რუკა 8). იმპორტულ ნაწარმად მიჩნეული ერთწილადი რკალისებური ფიბულები¹³³ გაერთიანებული გვაქვს ჩვენს III ტიპში, რადგან ისინიც ტიპოლოგიურად ერთწილად ნახევარწრისებურრკალიან ფიბულებს განეკუთვნებიან. ასეთია 26 ეგზემპლარი ჩრდილო კავკასიიდან, რომლებიც უფრო იმპორტული ფიბულების ადგილობრივი მოდიფიკაცია გვგონია (III 19, 20), 7 ფიბულა - აფხაზეთის ტერიტორიიდან (III 21-24) და 1 ფიბულა ურეკიდან (III 25).

BIII 19 _ პალმეტებით ბუდეშემკული

III 19 ქვეტიპის ფიბულების რკალის ღერო მრგვალგანივკვეთიანია, სიმეტრიულად შემსხვილებული (ზოგჯერ უკანა მხარე დაბრტყელებულია). რკალი შემკულია მძივისებრი და ირგვლივი ღარების მონაცვლეობით შექმნილი სეგმენტებით. კორპუსი

¹³² თუ რკალის თავსა და ბოლოში გამოსახულ ვერძის თავის გამოსახულებებს დისკოსებური შემსხვილებების იმიტაციად მივიჩნევთ, მაშინ შეიძლება ეს ფიბულაც III 8 ქვეტიპში განვათავსოდ და თარიღიც (ძვ.წ. VII-VI სს) კიდევ უფრო გამყარდება.

¹³³ იმპორტული ორწილადი რკალისებური ფიბულები _ ურარტული, განხილულია ცალკე (აქვე, ნაწილი II).

ნახევარწრისებრია. ფეხი (ბუდე) – მომრგვალებულკუთხეებიანი ნიჩბისებური ფორმისაა და შემკულია პალმეტისებური გრავირებული სახეებით.

ამ ქვეტიპის ფიბულები (13 ცალი) მხოლოდ დასავლეთ ჩრდ. კავკასიის ძეგლებიდანაა ცნობილი: ბაიზარისი (კატ. № № 665, 666), ილიჩი (კატ. № № 667, 668), ოტრადნაია (კატ. № № 669-672), პანტელიემონსკოე (კატ. № № 673, 674), რედკოდუბიე (კატ. № № 675, 676), კურჯინოვო (კატ. № 677).

665, 666. ბაიზარისი (კრასნოდარის მხარე). სამარხი. ბრინჯაოს 2 ფიბულა. ძვ.წ. VI-V სს. [Козенкова 1998, გვ. 74, ტაბ. XXV7,8].

667, 668. ილიჩი (კრასნოდარის მხარე). სამარხი. ბრინჯაოს 2 ფიბულა. ძვ.წ. VI-V სს. [Козенкова 1998, გვ. 74, ტაბ. XXV9,10].

669, 670. ოტრადნაია (კრასნოდარის მხარე). კოლექტიური ორმოსამარხი ცხენით. შემთხვევით აღმოჩნდა 1964 წ. ბრინჯაოს 2 ფიბულა. თანმხლები მასალა – რკინის საყბურები; ბრინჯაოს სამაჯურები; მინის მძივები. ძვ.წ. VI-V სს. [Козенкова, Ложкин 1981, გვ. 201, 202, სურ. 456, 512; Козенкова 1989, გვ. 54, 203].

671, 672. ოტრადნაია (ხუტორი ილიჩი). შემთხვევითი აღმოჩენა 1964 წ. ბრინჯაოს 2 ფიბულა. ძვ.წ. VI-V სს. [Козенкова, Ложкин 1981, გვ. 202, 203, სურ. 53,4; Козенкова 1989, გვ. 54, 202/2].

673, 674. პანტელიემონსკოე (ყარაჩაევო-ჩერქეზეთი, ურუპის რ-ნი, სტავროპოლის მხარე). შემთხვევითი აღმოჩენა. ქვის სამარხი ყორღანის ქვეშ (1956 წ.). ბრინჯაოს 2 ფიბულა. თანმხლები მასალა: ბრინჯაო – სამაჯურები, მძივსაკიდი; ქარვის, სარდიონის, გიშრისა და მინის მძივები. ძვ.წ. VI-V სს. [Крупнов 1960, გვ. 181; Козенкова, Ложкин 1981, გვ. 200, 201, სურ. 356; Козенкова 1989, გვ. 53; მისივე 1998, გვ. 74, ტაბ. XXV11,12].

675, 676. რედკოდუბიე (კრასნოდარის მხარე). ბრინჯაოს 2 ფიბულა [Козенкова 1998, გვ. 74].

677. კურჯინოვო (ყარაჩაევო-ჩერქეზეთი). ბრინჯაოს ფიბულა [Козенкова 1998, გვ. 74].

III 19 ქვეტიპის ფიბულები თანმხლები მასალების გათვალისწინებით დათარიღებულია ძვ.წ. VI-V სს-ით [Козенкова 1998, გვ. 74]. თუმცა, ჩვენი აზრით, III 19 ქვეტიპის ფიბულები, შესაძლოა, ადგილობრივ მოდიფიკაციას წარმოადგენდეს იმ ფიბულებისა, რომლებიც გავრცელებულია ძვ.წ. V-IV სს-ში ჩრდ. საბერძნეთში, მაკედონიაში, ცენტრალურ ბალკანეთში. არის აღმოჩენილი რუმინეთშიც. მათი დამახასიათებელი ნიშნებია ძირითადად მძივისებურად შემკული რკალი და ბუდე, რომელიც შემკულია პალმეტებით. კავკასიური ფიბულებისაგან ისინი განსხვავდებიან იმით, რომ ზამბარა აქვთ შარნირიანი. თვლიან, რომ მაკედონიაში ისინი ფრიგიული გავლენით წარმოიშვნენ [Kilian 1975, გვ. 155, ტაბ. 591738; Bader 1983, გვ. 118, ტაბ. 62381; Visić 1999, გვ. 102-117, ტაბ. 50-57; Williams, Ogden 1994, გვ. 52, № 6, 33].

III 19 ქვეტიპის ფიბულები გენეტიკურად კავკასიის ფიბულებთან არ არიან დაკავშირებული.

III 20 – ბუდეჭკინტიანი

III 20 ქვეტიპის ფიბულების რკალის ღერო მრგვალგანივკვეთიანია, სიმეტრიულად შემსხვილებული. რკალი შემკულია მძივისებრი სეგმენტებით, რომლებიც ირგვლივი ღარებით ან ზოგჯერ ნაჭდევებითაა შემკული. კორპუსი ნახევარწრისებრია. ფეხი

(ბუდე) – გაგრძელებაა რკალისა, რომელიც აპრეხილია და მთავრდება ჭვინტიანი ბოლოთი. ნემსსაჭერი – პატარა და დაბალია. ზამზარა – სამნახვევიანია.

ამ ქვეტიპის ფიბულები (13 ცალი) აღმოჩენილია ტებერდაში (კატ. № № 678, 679) და დომზაისა (კატ. № № 680-685) და ტალიკში (კატ. № № 686-690).¹³⁴

678, 679. ტებერდა (ყარაჩაევო-ჩერქეზეთი). შემთხვევითი აღმოჩენა ნაკრძალის ტერიტორიაზე (1955 წ.). ბრინჯაოს 2 ფიბულა. თანმხლები მასალა: ბრინჯაო – გვერგვები, სპირალური სამაჯურები, სასაფეთქლო რგოლი, საქამრე ჯაჭვი, პინცეტი; ვერცხლის გვერგვის ფრაგმენტები; რკინის ცული; კერამიკის ფრაგმენტები; მინის მძივები. ძვ.წ. V-IV სს. [Козенкова, Ложкин 1981, გვ. 196-198, სურ. 267; Козенкова 1989, გვ. 51].

680, 681. დომზაი, დომზაის ველი (ყარაჩაევო-ჩერქეზეთი, სტავროპოლის მხარე). ქვის ყორღანების სამაროვანი. შემთხვევითი აღმოჩენა (1954 წ.). ბრინჯაოს 3 ფიბულა. თანმხლები მასალა: ბრინჯაო – საქამრე ჯაჭვები, გვერგვები, ატიკური მუზარადი, სპირალური სამაჯურები; რკინა – შუბისპირები, სატევარი, ცული. ძვ.წ. V-IV სს. [Алексеева 1971, ტაბ. 1517; Козенкова 1989, გვ. 50].

682. დომზაი, დომზაის ველი. სამარხის კომპლექსი. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები მასალა: ბრინჯაო – ჯაჭვი სათვალისებური დუგმით, სასაფეთქლეები, ზარაკი, სამაჯური, სპირალური ხვია; რკინა – შუბისპირი, მოხრილი დანა; ვერცხლის ნავისებურბოლოებიანი სასაფეთქლე; მინის მძივები; კერამიკის ფრაგმენტები. ძვ.წ. V-IV სს. [Алексеева 1971, გვ. 61, ტაბ. 157].

683. დომზაი-ულგენი (ყუბანი, მდ. ტებერდის სათავე). დანგრეული ქვის სამარხი. ბრინჯაოს ფიბულა. ძვ.წ. VI-V სს. [Нечитайло 1986, გვ. 125, 130, 133, სურ. 12; Козенкова 1989, ტაბ. 106, Б 9; 1998, გვ. 74, ტაბ. XXV13].

684, 685. დომზაი (ყუბანი, მდ. ალიბეკი, “შზიური ველი”). ბრინჯაოს ფიბულები. ძვ.წ. VI-V სს. [Нечитайло 1986, გვ. 128, 130, 133, სურ. 212; Козенкова 1998, გვ. 74, ტაბ. XXV14,15].

686-690. ტალიკი (ყარაჩაევო-ჩერქეზეთი). ყორღანი. ბრინჯაოს 5 ცალი (?)¹³⁵ ფიბულა. თანმხლები მასალა:¹³⁶ კერამიკა, ოქროს საყურეები, სამაჯურები, ძეწკვები, სპირალური ხვები, მძივები, რკინის მოხრილი დანა, საყბურები, მახვილი, სატევარი, ბრინჯაოსა და რკინის სკვითური ტიპის ისრისპირები. ძვ.წ. VI-V სს. [Алексеева 1971, გვ. 58; Козенкова 1989, გვ. 52, № 185; 1998, გვ. 74].

ისინი ყარაჩაევო-ჩერქეზეთის ტერიტორიიდან არიან ცნობილი და ძვ.წ. V-IV სს-ით თარიღდებიან.

III 20 ქვეტიპის ფიბულები, ისევე, როგორც III 19 ქვეტიპის ფიბულები კავკასიის ფიბულებთან გენეტიკურად არ უნდა იყვნენ დაკავშირებული. უპირველეს ყოვლისა ბუდის ფორმის მიხედვით. ჭვინტიანი, მაღალი ან დაბალი მართკუთხა ფორმის ბუდეები აქვთ ბულგარეთში ძვ.წ. VI-V სს-ის ფიბულებს [Gergova 1987, ტაბ. 3896], რუმინეთში აღმოჩენილ ამგვარივე ფიბულებს [Bader 1983, ტაბ. 62262]. ჰორიზონტულად წაგრძელებული, მართკუთხა ჭვინტიან ბუდიანი ფიბულები ყველაზე მეტად გავრცელებულია ცენტრალური ბალკანეთის ტერიტორიაზე [Vasič 1999, გვ. 74-85, ტაბ. 41-43]. რკალის შემკულობის მიხედვით კავკასიის ფიბულებთან ყველაზე ახლოა პილატოვიჩიდან და ვიშესავადან (დას. სერბია), რომლებიც ძვ.წ. VI ს-ის მეორე ნახევრით თარიღდებიან [Vasič 1999, გვ. 82, 83, ტაბ. 43644, 645, 646, 647]. ანალოგიური ფიბულები აღმოჩენილია ფერაიშიც (თესალია), მაგრამ მათ ჩრდილოეთიდან გავრცელებულად მიიჩნევენ [Kilian 1975, გვ. 73-75, ტაბ. 29799, 800].

¹³⁴ ვ. კოზენკოვა აღნიშნავს, რომ ამ ტიპის 20 ფიბულაა აღმოჩენილი ტებერდისა და ტალიკის მიდამოებში [Козенкова 1998, გვ. 74].

¹³⁵ ზუსტი რაოდენობა აღნიშნული არაა.

¹³⁶ ყველა ნივთზე არ არის აღნიშნული თუ რა მასალისგანაა დამზადებული.

სრულიად სამართლიანად აღნიშნავს ვ. კოზენკოვა, რომ ამ ფიბულებს ანალოგები არა აქვთ ყობანისა და კოლხურ კულტურაში; ბუდის მიხედვით, ეს ფიბულები მოგვაგონებენ თრაკიული ტიპის ფიბულებს, რომლებიც დამახასიათებელი იყო ბალკანეთისათვის ძვ.წ. VI და უფრო მეტად ძვ.წ. V-IV სს-ში [Козенкова 1998, გვ. 74, 75; Златковская, Шелов 1971, გვ. 51-55].

III 21 – ბალიშისებურზურგიანი რკალით

III 21 ქვეტიპის ფიბულების რკალის ღერო მკვეთრად შემსხვილებულია, ზურგი რომბული, ბალიშისებური ფორმისაა; ბუდისა და ზამბარისაგან გამოყოფილია ღრმა ნაჭდევებით (ასტრაგალების იმიტაცია). ფეხი (ბუდე) სამკუთხა ფორმის, მაღალი და განიერია (მაგრამ ნემსი მაინც საკმაოდ გადაცილებულია ბუდეს, რაც იწვევს ეჭვს, რომ ბუდე თავის დროზე კიდევ უფრო განიერი უნდა ყოფილიყო – ნ. ს.),¹³⁷ ნემსსაჭერი – დაბალი, მომრგვალებული.

III 21 ქვეტიპის ფიბულები (3 ცალი),¹³⁸ რომლებიც მხოლოდ ზომით განსხვავდებიან, ცნობილია წითელი შუქურას სამაროვნიდან: № № 6 (კატ. № 693), 12 (კატ. № 692) და 21 სამარხებიდან (კატ. № 691).

691. წითელი შუქურა. ორმოსამარხი № 21(23). ბრინჯაოს ფიბულა. L. 4 სმ. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – გვერგვი თუ დიადემა, 2 სამაჯური, ძეწვევი, ზარაკები, საკიდები (ჯვრისებური, “მტრედები”, “ცული”); რკინა – 2 დანა; მძივები – ქარვის, სარდიონის; კერამიკა – დოქი. ძვ.წ. VIII-VI სს. [Трапш 1969, გვ. 98-101, ტაბ. VII2]; ძვ.წ. VI ს. [Лордкипанидзе 1978, გვ. 46]; ძვ.წ. VI-V სს. [Квирквелия 1981, გვ. 5].

692. წითელი შუქურა. ორმოსამარხი № 12(13). ბრინჯაოს ფიბულა. L. 7 სმ. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – თავხვია ქინძისთავი; რკინა – ფიბულის ფრაგმენტები; ბრტყელი ქვა, ზედ ადამიანის თავის სქემატური გამოსახულებით, მძივები – ქარვის (20 ც), ოქროფენილი (?), სარდიონის; ძვალი – ტახის გახვრეტილი კბილი; კერამიკა – ქოთნის ფრაგმენტები. ძვ.წ. VIII-VI სს. [Трапш 1969, გვ. 93, სურ. 311, ტაბ. XXXVIII]; ძვ.წ. VI ს. [Лордкипанидзе 1978, გვ. 46]; ძვ.წ. VI-V სს. [Квирквелия 1981, გვ. 5].

693. წითელი შუქურა. ორმოსამარხი № 6. ბრინჯაოს ფიბულა. L. 4,8 სმ. თანმხლები ინვენტარი: მძივები – გიშრისა და ქარვის (2 ც). ძვ.წ. VIII-VI სს. [Трапш 1969, გვ. 87, 88, ტაბ. XXV9]; ძვ.წ. VI ს. [Лордкипанидзе 1978, გვ. 46].


სამარხები, მისი გამთხრელის მ. თრაფშის მიერ დათარიღებულია ძვ.წ. VIII-VI სს-ით [Трапш 1969, გვ. 82]. მ. ბარამიძე № 21 სამარხს ათარიღებს ძვ.წ. VI ს-ით [ბარამიძე 1977, გვ. 49, 50], გ. ლორთქიფანიძე – ძვ.წ. VI ს-ით [Лордкипанидзе 1978, გვ. 46]. გ. კვირკველია და შემდგომ ნ. დოლიძეც ამ სამარხებს ძვ.წ. VI-V სს-ით ათარიღებენ [Квирквелия 1981, გვ. 5; დოლიძე 1999, გვ. 42].

III 21 ქვეტიპის ფიბულებს კავკასიის მასალებში პარალელები არ ეძებნებათ. ამგვარი ტიპოლოგიური ნიშნების მქონე ფიბულები ცნობილია საბერძნეთიდან. თესალიაში (ფერაი) მსგავსი ფიბულა გვიანგეომეტრიული ხანის ტრადიციებს აგრძელებს. მსგავსი ფიბულები ცნობილია – დელფოდან, ელატეიადან, ხაირონეადან, ამიკლაიდან, მალიიდან, მირაბელოდან. ამ ძეგლებზე მოპოვებული ფიბულები გეომეტრიულ ხანას უკავშირდებიან [Blinkenberg 1926, გვ. 72, სურ. 53; Kilian 1975, გვ. 75, 76, ტაბ. 30805]. ატიკაში ამ ტიპის

¹³⁷ სამწუხაროდ, ნივთს მხოლოდ პუბლიკაციის მიხედვით ვიცნობ.

¹³⁸ ბალიშისებურზურგიანი ფიბულის ადგილობრივი მინაბადი გვგონია ფიბულა კისტრიკის კომპლექსიდან (აქვე, სურ. 492), რომელიც ძვ.წ. VII-VI სს-ითაა დათარიღებული.

ფიბულები ე. საპოუნა-საკელარაკისის მიხედვით (მისი IV ხ ტიპი) ცნობილია სუბმიკენურ და პროტოგეომეტრიულ ხანაში [Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 72].




სურ. 36. ბალიშისებურზურგიანი (III 21) ფიბულების შემცველი კომპლექსები წითელი შუქურას (Tsiteli Shukura) სამაროვნიდან. 1. სამარხი № 6; 2. სამარხი № 12; 3. სამარხი № 21.

ე. საპოუნა-საკელარაკისის აზრით, კრეტაზე ეს ფიბულები სუბმიკენურ-პროტოგეომეტრიული ხანიდან არქაული ხანის ჩათვლით უწყვეტად არსებობენ [Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 72, 73, ტაბ. 19604]. მას ჰ. მიულერ-კარპეზე დაყრდნობით პარალელად მოჰყავს ის ფიბულები, რომლებიც აღმოჩენილია კერამიკოსის სუბმიკენურ სამარხებში ვიოლინოს ხემისებურ და ასიმეტრიულ ფიბულებთან ერთად [Müller-Karpe 1962, გვ. 85, 87, სურ. 310, 512].¹³⁹

¹³⁹ ჩვენი აზრით, ასიმეტრიულკალიანი ფიბულები, უფრო მეტ საერთოს პოულობენ კვიპროსზე აღმოჩენილ ფიბულებთან [Gjerstad 1948, გვ. 382, სურ. 252a,b].

წითელი შუქურას ბალიშისებურზურგიანი ფიბულები ჩვენი აზრით, ყველაზე მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს როდოსის ფიბულებთან, რომლებიც ათენას სალოცავზეა აღმოჩენილი. ამგვარი ფიბულები კერამიკოსის სამარხებიდან, სადაც ისინი ნახევარმთვარისებურ ოთხ ფიბულასთან ერთად არიან აღმოჩენილი, თარიღდება ძვ.წ. 850 წლით [Müller-Karpe 1962, გვ. 106, სურ. 242,3; Snodgrass 1971, გვ. 262, სურ. 91a].



სურ. 37. ბალიშისებურზურგიანი (III 21) ფიბულა წითელი შუქურას (Tsiteli Shukura) № 6 სამარხიდან. პარალელები წითელი შუქურას ბალიშისებურზურგიანი ფიბულისათვის (კატ. № 693): ფერაი (თესალია) [Kilian 1975, ტაბ. 30805]; 3-5. ვროკასტრო (კრეტა) [Sapouna-Sakellarakis 1978, ტაბ. 19604, 605, 612]; 6-10. იალისოსი (როდოსი) [Sapouna-Sakellarakis 1978, ტაბ. 451506, 1509, 1510, 1511, 1512]; 11-13. გევგელია, მილჩი (ცენტრ. ბალკანეთი) [Vasić 1999, ტაბ. 38536, 537, 538].

საინტერესოა სამხრეთ მაკედონიაში აღმოჩენილი ფიბულების ერთი ტიპი, რომელსაც მკვლევარი რ. ვასიჩი ცალკე გამოყოფს და რადანიეს (ნეკროპოლის სახელის მიხედვით, სადაც პირველად აღმოჩნდა ამგვარი ფიბულები) ტიპს უწოდებს. ეს ჯგუფი რკინის ხანის ადრეულ ფაზას მიეკუთვნება და ძვ.წ. VIII-VI სს-ით თარიღდება [Vasić 1999, გვ. 72, 73, ტაბ. 38536-538].

როგორც ჩანს, ჩვენთან ეს ფიბულები ძვ.წ. VII ს-ის ბოლოს ან VI ს-ის დასაწყისში უნდა მოხვედრილიყვნენ.

III 22 ქვეტიპის ფიბულების რკალის დერო ზამბარის მხარეს რომბულგანიკვე-თიანია. ზურგი, რომელიც რომბულ თუ ოვალურ შესქელებულ ფირფიტას წარმოადგენს, ოდნავ შეღრმავებულია ნავისებურად (a navicella). ზურგი ბუდისა და დეროსაგან გამოყოფილია ასტრაგალებით ან ღრმა ღარებით (რაც აგრეთვე ასტრეგალების იმიტაცია უნდა იყოს). ფეხი (ბუდე) მაღალია, განიერი, ნემსსაჭერი – პატარა, დაბალი.

ამგვარი ფიბულები 2 ცალია ცნობილი. ისინი აღმოჩენილია ახალ ათონსა (კატ. № 694) და ფსირცხაში (კატ. № 695).

694. ახალი ათონი (გუდაუთის რ-ნი). შემთხვევითი აღმოჩენა (ა. ლ. ლუკინის კოლექციიდან). ბრინჯაოს ფიბულა. კოლექციაში შედის: ბრინჯაო – 2 კოლხური ცული შემკული “მაღლისებური დრაკონის” გამოსახულებით, შუბისპირები (ერთი თხრილიდანაა). ძვ.წ. X-IX სს. [Куртин 1949, გვ. 160, 161, სურ. 293; Лукин 1941, გვ. 43-45; Трапш 1969, გვ. 150. შდრ. Воронов 1969, გვ. 26, 27, B135, ტაბ. XL26]. ძვ.წ. VIII ს. ბოლო – VII ს. დასაწყისი [Sulava 2003, გვ. 273-275].

695. ფსირცხა (გუდაუთის რ-ნი). შემთხვევითი აღმოჩენა (ა. ლ. ლუკინის კოლექციიდან). ბრინჯაოს ფიბულა (ერმიტაჟი, კოლ. № 1291, 152) [Лукин 1941, გვ. 43-45; შდრ. Воронов 1969, გვ. 26, 27, B135, ტაბ. XL26]; ძვ.წ. VIII ს. ბოლო – VII ს. დასაწყისი [სულავა 2001, გვ. 74, ტაბ. II,2].

მსგავსი ტიპოლოგიური ნიშნები (ნავისებური ზურგი, შემოსაზღვრული ასტრაგალებით; განიერი, მაღალი ფეხი) მხოლოდ საბერძნეთის მასალებიდანაა ცნობილი სხვადასხვა ეპოქისა (სუბმიკენური ხანიდან დაწყებული ადრეარქაული ხანით დამთავრებული) და სხვადასხვა ტიპის ფიბულებზე [Sulava 2003, გვ. 273-275], მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი და ჩვენი ფიბულებისათვის დამახასიათებელი ყველა ტიპოლოგიური ნიშანი თავს იყრის გეომეტრიულ ხანაში, ე.წ. ნავისებურრკალიან და ფირფიტისებურფეხიან ფიბულებში [Blinkenberg 1926, სურ. 189; Kilian 1975, გვ. 105-137, ტაბ. 45-55; Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 107, ტაბ. 431495]. ანალოგიური ფიბულები უცნობია მცირე აზიისათვის, სირია-ასურეთ-პალესტინისათვის, კვიპროსისათვის [Blinkenberg 1926, გვ. 284, 285].

ახალი ათონისა და ფსირცხას ფიბულის ტიპოლოგიური ანალიზისა და პარალელურ მასალასთან შედარების საფუძველზე დადგენილია და ეჭვს არ იწვევს მათი იმპორტული წარმოშობა [სულავა 2001, გვ. 74-76; Sulava 2003, გვ. 273-275].


ჩვენი ფიბულების ანალოგიურად მიგვაჩნია სამხრეთ მაკედონიაში (მილჩი) აღმოჩენილი ფიბულებიც, რომლებიც გაერთიანებულია დიდ ჯგუფში – რკალისებური ფიბულები ფირფიტისებური ბუდით, სადაც გამოყოფილია ქვეტიპი, ე.წ. ასიმეტრიულბუდიანი ფიბულები ფოთლისებური რკალით (რადანიეს ტიპი). ეს ჯგუფი ძვ.წ. VIII-VI სს-ით თარიღდება. მილჩის ფიბულები ყველაზე ახლოს დგანან თესალიისა და ბეოტიის ფიბულებთან, რომლებიც საერთო წყარო უნდა იყოს როგორც ჩვენი, ასევე მილჩის ფიბულებისათვის, და რომლებიც ძვ.წ. IX-VIII სს-ით, ხოლო მილჩის ეგზემპლარები ძვ.წ. VIII ს-ის ბოლოთი ან VII ს-ის დასაწყისით თარიღდებიან [Blinkenberg 1926, გვ. 128, 147; Jacobstal 1956, გვ. 4; Kilian 1975, გვ. 105, ტაბ. 441272; Vasič 1999, გვ. 72, 73, ტაბ. 38539-542].

ნავისებური ფიბულები იტალიის მასალებიდანაცაა ცნობილი, მაგრამ ისინი სრულიად განსხვავდებიან ბერძნულისაგან. მათ ახასიათებთ მდიდრულად გრავირებული რკალი და დაბალი, წაგრძელებული ბუდე. ისინიც ძვ.წ. VIII-VII სს-ით თარიღდებიან [Sundwall 1943, გვ. 55, 177; Eles Masi 1986, გვ. 85 და შემდ.].

ყურადღებას იქცევს ორი მომენტი. ახალი ათონის ფიბულა მნიშვნელოვნადაა გადახრილი წინა მხარეს; ხოლო ფსირცხას ფიბულის ნემსი ძლიერაა ბუდის ნემსსაჭერისაგან გადაცილებული. პირველ შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ, რომ საქმე გვაქვს ფიბულის შეკეთებასთან. კერძოდ, შესაძლებელია დაზიანებული იყო ფეხი (ბუდე), რომლის შეკეთების შემდეგ ის დამოკლდა და დავიწროვდა. ამან გამოიწვია კორპუსის დაქანება. მეორე შემთხვევაში კი ნემსი მნიშვნელოვნად სცილდება ბუდეს (ფეხს), რადგან ბუდეს საკმაოდ დიდი ნაწილი ჩამოტეხილი უნდა ქონდეს.¹⁴⁰

ამ ქვეტიპის ფიბულების ჩვენში გაჩენა ძვ.წ. VIII ს-ის ბოლოსა და VII ს-ის დასაწყისში უნდა მომხდარიყო.

¹⁴⁰ ეს ვარაუდები გერმანელმა მკვლევარმა ი. კილიანმა გაიზიარა და თავის მხრივ ჩვენი ფიბულების ჩემთვის უცნობი პარალელების ლიტერატურაც მომაწოდა, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვახსენებ.




სურ. 38. 1,2. ნავისებური ფიბულები (III 22) ახალი ათონიდან (კატ. 694 (Akhali Athoni)) და ფსირცხადან (კატ. 695 (Psirtskha)) და მათი პარალებლები: 3. ვროკასტრო [Blinkenberg 1926, სურ. 189; Sapouna-Sakellarakis 1978, ტაბ. 431495]; 4,5, 6. მილჩი, რადანე [Vasič 1999, ტაბ. 38539-542].

III 23 _ ღრუმუცლიანი რკალით

III 23 ქვეტიპის ფიბულის რკალი ძლიერ შემსხვილებულია, ქვედა მხრიდან კი ღრუა (ღრუმუცლიანი, ან ნავისებურმუცლიანია). ზურგი დაღარულია. ფეხი (ბუდე) – მაღალი და განიერია, სამკუთხა მოყვანილობის.

ამგვარი ფიბულა ერთი ცალია და შემთხვევითაა აღმოჩენილი ყულანურხვაში (კატ. № 696). ღრუ მუცელი სრულიად არადამახასიათებელია, უცნობია კავკასიის ფიბულებისათვის.



სურ. 39. 1. ღრუმუცლიანი ფიბულა (III 23) ყულანურხვადან (Kulanurkhva, კატ. 696). ღრუმუცლიანი ფიბულები იტალიიდან: 2, 3. აღმოჩენის ადგილი უცნობია; 4, 5. ჩიავარი; 6, 7. სან-პიეტრო; 8. ალბატე; 9. კამორტა; 10. გრანდეტე [Eles Masi 1986, ტაბ. 53744, 748A, 745-748, ტაბ. 70943, ტაბ. 73964, ტაბ. 811030]. 11-14. ფიბულები ცენტრ. ბალკანეთიდან: 11, 12. ბიჩკა; 13. დოროსლოვო; 14. ბანოშტორი [Vasic 1999, ტაბ. 43657-659, ტაბ.

44665]; 15, 16. ფერაი (თესალია) [Kilian 1975, ტაბ. 31839, ტაბ. 32845]; 17. ეგინა [Sapouna-Sakellarakis 1978, ტაბ. 491589]; 18, 19. კონსტანცა (რუმინეთი) [Bader 1983, ტაბ. 36346, 347]; 20. გრებენი (უკრაინა, ლვოვი) [Sulimirski 1936, ტაბ. XII2].

696. ყულანურხვა. შემთხვევითი აღმოჩენა. ბრინჯაოს ფიბულა. L. 5 სმ. (სოხუმის მუზეუმი 10-66:55, ა. ლ. ლუკინის კოლ. № 86). გამოუქვეყნებელია.

ღრუმეცლიანი ფიბულები, ნაჭდევი ორნამენტით მდიდრულად ზურგშემკული, უამრავი ვარიანტებით, დიდი რაოდენობითაა ცნობილი იტალიის მასალებიდან. ისინი ძვ.წ. VIII-VI სს-ით თარიღდებიან [Eles Masi 1986, გვ. 85-143, ტაბ. 53744, 745, 748, 748a, 70943, 73964, 811030].

საბერძნეთში გავრცელებული ეგზემპლარები აპენინის ნახევარკუნძულთან არიან დაკავშირებული და ძვ.წ. VIII ს-ის ბოლოთი და VII ს-ით თარიღდებიან [Kilian 1975, გვ. 80-85, ტაბ. 31893-844, 32845-869]. ვაჭრობითა თუ სხვა გზებით ისინი საბერძნეთის კუნძულებზეც არიან მოხვედრილი და ისინიც ძვ.წ. VIII-VII სს-ით თარიღდებიან [Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 118-120, ტაბ. 491586-1589]. საბერძნეთის ნავისებური ღრუმეცლიანი ფიბულები ყულანურხვას ფიბულასთან უფრო ახლოს დგას.

ცენტრალური ბალკანეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ნავისებურღრუმეცლიანი ფიბულები აგრეთვე იტალიის გავლენით წარმოშობილად ითვლება. თარიღდებიან ძვ.წ. VII-VI სს-ით [Vasič 1999, გვ. 87-89, ტაბ. 43657-659, 44660-663].

ნაჭდევი ორნამენტით შემკული ნავისებურღრუმეცლიანი ფიბულები დასავლეთ შავიზღვისპირეთიდან, რუმინეთიდანაცაა ცნობილი. ისინი ძვ.წ. 650-550 წწ-ით თარიღდებიან [Bader 1984, გვ. 109-110, ტაბ. 36346, 347].

ამგვარი ფიბულა აღმოჩენილია უკრაინაშიც, სოფ. გრებენიში (ინახება ლვოვის მუზეუმში). ტ. სულიმირსკიმ ის წინასკვითურ ხანას მიაკუთვნა [Sulimirski 1936, გვ. 46, ტაბ. XII2]. ხოლო ა. შლანკოვნამ ადრეიტალიურ იმპორტად მიიჩნია და ძვ.წ. 850-700 წწ-ით დაათარიღა [Szlanowna 1938, გვ. 299, 300].

ვფიქრობთ, ყულანურხვას შემთხვევით აღმოჩენილი ფიბულაც ისევე, როგორც ცენტრალური ბალკანეთის და დასავლეთ შავიზღვისპირეთის ფიბულები ერთიდაიგივე წარმოშობისაა და ძვ.წ. VII-VI სს-ს უნდა განეკუთვნებოდეს.

III 24 _ ბიბილოსებური რკალით

III 24 ქვეტიპის რკალის ღერო ნახევარმთვარისებურია, თანაბრად შემსხვილებული მუცლით. განიკვეთში მსხლისებური ფორმისაა, სადა. რკალს ზემოდან გასდევს ბიბილოსებური ქედი (რომელიც შესაძლოა ნახვრეტებიანი იყო და ამჟამად ზედა ნაწილი მომტვრეული აქვს). რკალის ბუდის წინ ორი ღრმა ირგვლივი ნაჭდევი აქვს. ფეხი (ბუდე) _ ნაკლულია.

697. კისტრიკი (გუდაუთის რ-ნი). ორმოსამარხი. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ფიბულა (იხ.: სურ.492), სამაჯურები, კისრის რკალი, ანკესი (?); რკინა _ სატევარი, თოხი. ძვ.წ. VII-VI სს. [Бжания., Кобахия., Хибна 1982, გვ. 12, 13, ტაბ. 113; დოლიძე 1999, გვ. 36, 67].


III 24 ქვეტიპის ფიბულა (კატ. № 697) ერთი ცალია. აღმოჩენილია კისტრიკის ნამოსახლარის ტერიტორიაზე გათხრილ, ძვ.წ. VII-VI სს-ის ერთადერთ დაცულ

ორმოსამარხში [Бжания, Кобахия, Хинба 1982, გვ. 12, 13]. ნ. დოლიძის აზრით, სამარხი ძვ.წ. VI-V სს-ს უნდა განეკუთვნებოდეს [დოლიძე 1999, გვ. 36, 67].

ამგვარი ნახევარმთვარისებური ბიბილოიანი ფიბულები ცნობილია იტალიის მასალებიდან (ესტე, პადოვა, პარე, მერანო, მონტებელუნა) და ძვ.წ. VIII-VII სს-ით თარიღდებიან [Eles Masi 1986, გვ. 70-72, ტაბ. 41613-620, 42622-625]. ი. ზუნდვალის იტალიაში ამგვარი ფიბულების გავრცელებას ბერძნულ კოლონიზაციას უკავშირებდა და ძვ.წ. 725-675 წლებით ათარიღებდა [Sundwall 1943, გვ. 41].

ე. საპოუნა-საკელარაკისის აზრით, რომელიც ლეფკანდის (ევბეა) ნახევარმთვარისებურ ფიბულას ძვ.წ. 800 წლით ათარიღებს, ცხადი უნდა იყოს, რომ ორივე რეგიონში მათი წარმოშობა დამოუკიდებლად, ლოკალური ფორმებიდან მოხდა [Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 109, ტაბ. 461527].

ჩვენი აზრით, ნახევარმთვარისებური ბერძნული ეგზემპლარები იმდენად განსხვავდება იტალიურისაგან მთელი რიგი ტიპოლოგიური ნიშნების (ნახევარმთვარისებური ბრტყელი რკალი ცალ მხარეს შემოსაზღვრულია ასტრაგალებით, ხოლო მეორე მხარეს ვარსკვლავისებური შვერილებით) მიხედვით, რომ ალბათ მაინც დამოუკიდებელი წარმოშობა უნდა გავიზიაროთ. თუმცა, იდეის ადგილობრივი გადამუშავებაც არაა გამორიცხული.



სურ. 40. 1. ბიბილოსებური ფიბულა (III 24) კისტრიკიდან (Kistrik, კატ. 697). 1-11. პარალელები იტალიიდან: 1-5. ესტე; 6. პადოვა; 7. პარე; 8. მონტებელუნა; 9. ეგნა; 10. ესტე; 11. აღმოჩენის ადგილი უცნობია [Eles Masi 1986, ტაბ. 41613-617, 617A, 620; ტაბ.42622-625]; 12. მთვარისებური ფიბულა ევბეიდან [Sapouna-Sakellarakis 1978, ტაბ. 461527]; 13. რაჟანა (ცენტრ. ბალკანეთი) [Vasic 1999, ტაბ. 43653]; 14. ლარილარი (III 5 d).


კისტრიკის ფიბულასთან საინტერესო მსგავსებას ამჟღავნებს ფიბულა დასავლეთ სერბიიდან (რაჟანა), რომელიც ძვ.წ. VI ს-ის მეორე ნახევრით თარიღდება. მას კისტრიკისა და იტალიური ფიბულების ანალოგიური ზურგი აქვს, ხოლო ბუდე – მართკუთხა და ჭვინტიანი, რაც ბალკანეთის სივრცეში ბერძნული გავლენით აიხსნება [Vasič 1999, გვ. 85, 86, ტაბ. 43653]. ე.ი. სერბიის მაგალითზე ორი რეგიონის იდეის შერწყმასთან გვაქვს საქმე.

ბიბილოსებურკალიანი ფიბულის გამოჩენა აფხაზეთის სანაპიროზე ძვ.წ. VII-VI სს-ში, ალბათ მაინც ბერძნულ კონტაქტებს უნდა მივაწეროთ.

ჩვენი მასალებიდან ბიბილოსებური ქედი და იტალიის ფიბულებისათვის დამახასიათებელი საკიდები გამოყენებულია, როგორც ადრე ვნახეთ, ლარილარის სამაროვნის ფიბულაზეც (კატ. № 329). ჩვენი აზრით, ლარილარის ფიბულა ნიმუში უნდა იყოს კავკასიური, უკვე ჩამოყალიბებული ფიბულის ერთ-ერთი ტიპის (მრავალწახნაგა რკალიანი) და უცხო ელემენტის თუ მოდის (ბიბილოსებური ქედი საკიდებით) შერწყმისა კავკასიაში.

III 25 – ბრტყელკალიანი

III 25 ქვეტიპის ფიბულის რკალის ღერო წარმოადგენს შესქელებულ, ნახევარწრისებურ ფირფიტას, რომელიც განივკვეთში ვერტიკალურად მიმართული ნახევაროვალაა. რკალი ზამზარისა და ბუდისაგან გამოყოფილია შემსხვილებებით. ფეხი (ბუდე) – მაღალი და განიერია. ნემსსაჭერი – დაბალი და მომრგვალებული. ნემსზე, ზამზარასთან ახლოს, აქვს რგოლისებური შემსხვილებები.



სურ. 42. 1. ურეკი (Ureki, III 25, კატ. 698). პარალელები თურქეთიდან: 2. ჩომლეკჩი [Caner 1983, ტაბ. 17]; 3, 4. ასარლიკი, სამარხი C [Caner 1983, ტაბ. 18,8A]. პარალელები ბულგარეთიდან: 5, 6. კაზანლაკი, კოჩანი [Gergova 1987, ტაბ. 562, 63, 64]

698. ურეკი. სამარხი ორმო № 3 (მეორადი დაკრძალვა კრემაციით, კოლექტიური). ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: კერამიკა – კვირისტავეები; ბრინჯაო – სეგმენტები, უმბონები, ცული, სატევარი, ისრისპირები, ლურსმნები, ხატისუღელები, სამაჯურები, ბეჭედი, აბზინდები, დუგმები, ფიგურები (ხარი, შველი, ქალი ბავშვით), ხვიები, ღილები, საკინძი, ჰარპუნები, თოხი, ლაგმის საყბეური, ფიბულები (კატ. № 350, 449); რკინა – სატევარი, შუბისპირი, ისრისპირები, ბრტყელი ცული, ფიბულები (კატ. № 892-894); ვერცხლი – რგოლები; მძივები – სარდიონის, იასპის, გიშრის, ქალცედონის, ძვლის, მინის, ქარვის, სარდიონის თვლები. ძვ.წ. VII ს. II ნახ. [მიქელაძე 1985, გვ. 47, 103, ტაბ. XIII49(677); სულავა 2003a, გვ. 71, 72, ტაბ. 16].

ამგვარი ფიბულა (კატ. № 698) ერთი ცალია ცნობილი ურეკის სამაროვნის ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრით დათარიღებული № 3 სამარხიდან. კავკასიის ფიბულების ფონზე ის სრულიად უცხოდ გამოიყურება. მისი იმპორტულობა ჩვენში ეჭვს არ იწვევს, მაგრამ სრული ანალოგის მონახვა ჯერჯერობით ვერ მოვახერხეთ. ამ ფიბულის დაკავშირება შესაძლებლად მიგვაჩნია მხოლოდ კარიის (სამხრეთ-დასავლეთ თურქეთი, ბოდრუმის მხარე) სახელოსნოდან მომდინარე ასიმეტრიულ, რკალზე შემსხვილებებიან და რაც

მთავარია, ნემსზე “ნახვევიან” ფიბულებთან [Caner 1983, გვ. 30, 31, ტაბ. 17,8A, 8]. მაგრამ მათგან განსხვავებით, ურეკის ფიბულას რკალი ბრტყელი აქვს და ასიმეტრიულობაც არ ახასიათებს. თუმცა, აქვს ნემსზე შემსხვილება („ნახვევი“), რაც მხოლოდ კარიის სახელოსნოს ფიბულებისთვისაა დამახასიათებელი. როგორც თვლიან, ეს უკანასკნელნი კვიპროსული მოდელებიდან უნდა წარმოშობილიყვნენ და ძვ.წ. 1125-950 წლებს შორის ათავსებენ [Birmingham 1963, გვ. 89; Caner 1983, გვ. 31].¹⁴¹ ნემსზე შემსხვილების თვალსაზრისით საინტერესოა ლეფკანდიში აღმოჩენილი ასტრაგალებით შემოსაზღვრული მსხვილრკალიანი და ფირფიტისებურბუდიანი ფიბულა. ამ ტიპის ფიბულები ე. საპოუნა-საკელარაკისის მიხედვით, ძვ.წ. 850 წლით თარიღდებიან და მატერიკიდან გავრცელებულ ტიპად ითვლება. ლეფკანდის მასალების მიხედვით ძვ.წ. 850-750 წლებით თარიღდებიან [Popham, Sackett, Themelis 1980, გვ. 243, ტაბ. 2494]. საინტერესოა ისიც, რომ ამგვარი ფიბულების ბუდეები მდიდრულადაა შემკული გრაფირებით. ასევე საინტერესოა ლეფკანდიში აღმოჩენილი ფიბულა, რომელსაც ასევე ნახევარმთვარისებრი, ასტრაგალებით შემოსაზღვრული ბრტყელი რკალი აქვს, ბუდე კი ვიწრო [Popham, Sackett, Themelis 1979, ტაბ. 11315].

ასტრაგალებით შემოსაზღვრული ბრტყელი, ნახევარმთვარისებური რკალი (ურეკის ფიბულის მსგავსი) და დიდი, თითქმის მართკუთხა ბუდე აქვს ფიბულებს ათენის კერამიკოსის სამაროვნიდან. რკალი შემკულია გრაფირებით გამოყვანილი სვასტიკებისა და თევზების გამოსახულებებით. ფიბულები გეომეტრიული ხანით თარიღდებიან [Müller-Karpe 1962, სურ. 24].

გარკვეული სიახლოვის დანახვა შეიძლება ბულგარეთში აღმოჩენილ ფიბულებთან, რომელთაც ურეკის ფიბულის მსგავსად ბრტყელი, წინა მხრიდან ოდნავ ამობურცული რკალი აქვთ, ხოლო განიერი და მაღალი ბუდე რკალისაგან გამოყოფილია ღრმა ნაჭდევებით. ისინი ძვ.წ. VII ს-ით თარიღდება [Gergova 1987, ტაბ. 3869].

ურეკის ფიბულის ტიპოლოგიური ნიშნების მედიტერანული სამყაროსადმი მიკუთვნება სავსებით შესაძლებელია, ფიბულა კი ძვ.წ. VII ს-ით უნდა დათარიღდეს.

IV ტიპი _ “ზომორფული” ფიბულები

(რუკა 4)

ამ ტიპის ფიბულათა მთავარი დამახასიათებელი ნიშანია ბრტყელი, ფირფიტისებური რკალი, რომელიც ცხოველის გამოსახულებას წარმოადგენს. გამოსახულება შემკულია გრაფირებული თევზიფხური სახით და გადაბმული ზენური ხვიებით. ფიბულის ბუდე ცხოველის წინა ფეხის გაგრძელებას წარმოადგენს და მისი სიმეტრიულია. ნემსსაჭერი _ პატარა, მომრგვალებული.

რკალის შემკულობის მიხედვით გამოიყო ორი ქვეტიპი: IV 1 _ “ცხვარი”, IV 2 _ “ფანტასტიკური ცხოველი”.

IV 1 ქვეტიპის („ცხვარი“) ფიბულის რკალი ბრტყელია. წარმოადგენს ცხოველის (ცხვრის?) გამოსახულებას, რომელიც დაფარულია სიგრძეზე მიმართული თევზიფხური

¹⁴¹ კარიელების მიერ შავიზღვისპირეთის ათვისების შესახებ ჯერ კიდევ ბერძნულ კოლონიზაციამდე იხ.: Откупщиков 1980, გვ. 65-78. წყაროები და ლიტერატურა იხ. იქვე.

სახით. ფეხი (ბუდე) – „ცხოველის“ ფეხის სიმეტრიულია. ნემსსაჭერი – პატარა, მომრგვალებული.

699. პალური. სამარხი № 24 (კუთვნის ორ ინდივიდს, მაგრამ თითოეულის კომპლექსის ცალკე გამოყოფა არ ხერხდება). ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: კერამიკა – ირიბკანელურებიანი ცალყურა კათხა, ჰორიზონტული ყურმილიანი ჭურჭელი; ბრინჯაო – ფიბულა (კატ. № 399), სატევრები, ბალთა, ვეფხვის (?) სკულპტურული გამოსახულება, სპირალურად თავჩახვეული საკისრე რკალი, ბრტყელ-ფირფიტოვანი და მრგვალგანივკვეთიანი 2 სამაჯური; რკინა – ყუნწიანი დანა; ელექტრუმის და ვერცხლის წყვილი საყურე; მძივები – სარდიონის, გიშრის, მინის. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. – VI ს. დასაწყისი [ზარამიძე 1977, გვ. 29-30, ტაბ. VIII].

ამგვარი ფიბულა (კატ. № 699) ერთი ცალია აღმოჩენილი პალურის სამაროვანზე სხვა ტიპის ფიბულებთან ერთად (კატ. № 399). სამაროვანი ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრითა და VI ს-ის დასაწყისით თარიღდება [ზარამიძე 1977, გვ. 29, 30, ტაბ. VIII]; ანუ ფიბულაც ამ ხანისაა. კავკასიის მასალებიდან ანალოგიური ფიბულები უცნობია. ზუსტი პარალელები არც სხვა რეგიონებში მოეპოვება.

IV 2 ქვეტიპის („ფანტასტიკური ცხოველი“) ფიბულის რკალი ბრტყელია. წარმოადგენს ფანტასტიკური ცხოველის გამოსახულებას, რომლის ზედაპირიც დაფარულია ორნამენტით – კიდებზე ნაჭდევებითა და თევზიფხური სახეებით, ხოლო ტანის ცენტრალურ ნაწილში ზენური ხვებით. ფეხი (ბუდე) რკალის სიმეტრიულია, ოდნავ განიერი, ნემსსაჭერი – პატარა, მომრგვალებული.

700. სვანეთი. ბრინჯაოს ფიბულა. შემთხვევითი აღმოჩენა (ვ. ვირუბოვის კოლექცია. ერმიტაჟი). ძვ.წ. I ათასწ. პირველი ნახ. [Chantre, 1886, ტაბ. XIIIbis4; Уварова 1900, გვ. 355, სურ. 282; Калитинский 1926, გვ. 59, ტაბ. VIII31; Sundvall 1943, გვ. 62, სურ. 32c; Доманский 1984, 165, გვ. 235, № 165; Козенкова 1989, ტაბ. 100 A12].

ამგვარი ფიბულა (კატ. № 700) მხოლოდ ერთი ცალია ცნობილი კავკასიიდან. ა. კალიტინსკი ამ ფიბულას, რომელიც ერმიტაჟში ინახება, მიაკუთვნებდა ყობანის სამაროვნის ქვედა ფენას და ათარიღებდა ძვ.წ. VI-V სს-ით. იგი აღნიშნავდა, რომ მართალია ფიბულა გატარებულია როგორც სვანეთიდან მომდინარე ნივთი, მაგრამ სინამდვილეში მისი აღმოჩენის ზუსტი ადგილი უცნობიაო [Уварова 1900, გვ. 355; Калитинский 1926, გვ. 59-61, ტაბ. IV31]. ი. დომანსკი ამ ფიბულას სვანეთში აღმოჩენილად თვლის და ძვ.წ. I ათასწ. პირველი ნახევრით ათარიღებს [Доманский 1984, გვ. 235, № 165].

როგორც V 1, ასევე V 2 ვარიანტის ფიბულები ბერძნული სამყაროსათვის უცნობია [იხ. Blinkenberg 1926; Kilian 1975; Sapouna-Sakellarakis 1978]. ამგვარი ფიბულები არ გვხვდება კავკასიის სამხრეთითაც [Stronach 1959, Caner 1983, Pedde 2000].

ზოომორფული ფიბულების (Tierfibeln) წარმოშობის ადგილად ი. ზუნდვალს იტალია, განსაკუთრებით ჩრდ. იტალია მიაჩნდა. მათ წარმოშობას ის ძვ.წ. VII ს-ით განსაზღვრავდა. უძველეს ეგზემპლარად თვლიდა მოკლეფეხიან ფიბულა – ფრინველს (დაახლ. ძვ.წ. 725 წ.), რომელიც საკმაოდ გავრცელებული იყო ჩრდ. ვილანოვას მხარეში. როგორც მკვლევარი მიუთითებდა, ესტეში უფრო მეტად უპირატესობას ანიჭებდნენ ცხენის ფიგურას. როგორც ის აღნიშნავს, ჰალშტატის კულტურულ სივრცეში ფიბულები “ცხენის” რკალით კავკასიამდეც კი იყო გავრცელებული [Sundvall 1943, გვ. 62, სურ. 32c]. მას პარალელად მოჰყავდა ჩვენი ფიბულა (კატ. № 700).

ფიბულა – ფრინველი ცნობილია ბოლონიიდან [Montelius, Civ. IA, გვ. 7, სურ. 74].
ფიბულა – ცხენი ცნობილია: ესტედან [Montelius, Civ. IA, გვ. 51, სურ. 3; Sundvall 1943, გვ. 253, სურ. 422], ნოვილარადან [Brizio 1895, გვ. 248, ტაბ. XIV26], ვეტულონიადან [Montelius, Civ. IIB, გვ. 51, სურ. 1964; Åberg 1930, გვ. 108, სურ. 328]. ცხენი – ფიბულები გამოქვეყნებული აქვს პ. ფონ ელეს მაზისაც. ცხენი – ფიბულები აღმოჩენილია ესტეს № 12, 23 კრემაციულ სამარხებში, რომლებიც ძვ.წ. VIII ს-ით თარიღდებიან [Eles Masi 1986, გვ. 243, ტაბ. 1882528, 2532]. ძვ.წ. VII ს-ის ფინალური ეტაპითაა დათარიღებული ფიბულა – ცხენები, ძაღლები, ვერძი [Eles Masi 1986, გვ. 244, ტაბ. 1892536-2541]. ფიბულა – ძაღლი აღმოჩენილია სუესულაში [Montelius, Civ. IA, ტაბ. VII72], ვოლტერაში, ძვ.წ. VI ს-ით დათარიღებულ სამაროვანზე [Minto 1897-1899, გვ. 24, 68, ფიგ. 11b].

ზოომორფულრკალიანი (ცხენი ?) ფიბულა ცნობილია რუმინეთიდანაც. იგი ლატენის D ხანითაა დათარიღებული [Popescu 1938, გვ. 240, ფიგ. 13].

როგორც ვნახეთ, ზოომორფულრკალიანი ფიბულების ტრადიცია საკმაოდ დიდია და ამ ფიბულების სამშობლოდ, ალბათ, იტალია უნდა ჩაითვალოს. მოტანილი პარალელები ჩვენი ფიბულებისაგან განსხვავდება იმით, რომ გამოსახულება რელიეფურია. ჩვენი ფიბულები კი ბრტყელია. ასეთივე ბრტყელი ზოომორფული ფიბულები – ცხენი ან მხედარი, ცნობილია კელტიბერების კულტურიდან [The Celts 1991, გვ. 401].

სვანეთში აღმოჩენილი ზოომორფული ფიბულის რკალი, ანუ ცხოველის გამოსახულება, ზუსტად იმეორებს კოლხურ ცულებზე გრავირებით შესრულებულ გამოსახულებას – ძაღლს თუ ფანტასტიკურ ცხოველს. უაღრესად საინტერესოა ის ფაქტი, რომ ანალოგიური გამოსახულებები ბოლონიაში აღმოჩენილია წურბლისებურ განიერფეხიან ფიბულაზე [Montelius 1895a, ტაბ. VI50]. ანალოგიური ფიბულები, ძლიერ შემსხვილებული ზურგითა და გრძელი ფეხით, ჩრდ. იტალიის ძეგლებიდან (ესტე, ბალდარია, პარე, მადონა დი ვია სეჩა) ძვ.წ. VII ს-ით თარიღდებიან [Eles Masi 1986, გვ. 250-253, ტაბ. 1161416-1422].

ფანტასტიკური ცხოველის ანალოგიური გამოსახულებითაა შემკული ჯავშნის მრგვალი ფირფიტები და ფარები იტალიიდან, რომლებიც ძვ.წ. VII ს-ით თარიღდებიან [Tomedi 2000, გვ. 39, 40, 42, ტაბ. 17-21, 100, 149, 153]. საინტერესოა, რომ მსგავსგამოსახულებიანი ფარის უმბონები ცნობილია პარადიზის № 49 სამარხიდანაც [Nagel, Strommenger 1985, გვ. 77-79, ტაბ. 24].¹⁴²

ცხოველის ანალოგიურ გამოსახულებას წარმოადგენს ოქროს ფიბულა დალიდან (Dalj). როგორც რ. ვასიჩი აღნიშნავს, სტილისტურად ცხოველი, რომელიც ყობანის “ბესტიას” გავს, ბერძნული არქაული ხელოვნებიდან უნდა იყოს წარმომობილი [Vasić 1973, გვ. 2, ტაბ. II13].

V ტიპი – “გველისებური” ფიბულები

(რუკა 5)

ამ ტიპის ფიბულების მთავარი დამახასიათებელი ნიშანია დაკლავნილი გველის ფორმის რკალი, რომელიც მრგვალგანივკვეთიანი მავთულისაა. ფეხი (ბუდე) – რკალის

¹⁴² საინტერესოა პარადიზის №49 სამარხის ინვენტარი: ცენტრალურამიერკავკასიური ცული, რკინის მახვილი ბრინჯაოს ტარიოთა და ვადით, ბრინჯაოს გრძელმასრიანი შუბისპირი, ბრინჯაოს რაღაც ნივთი ფანტასტიკური ცხოველის ფიგურით, ბრინჯაოს კვერთხი და სარტყლის ფრაგმენტები, სწორღეროიანი საყბურები, სარდიონის მძივები [Nagel, Strommenger 1985, გვ. 78, ტაბ. 23-26]

მავთულის სიმეტრიული ან გაგანიერებულია, ნემსსაჭერი – პატარა და მომრგვალებულია.

ამ ტიპის ფიბულები (6 ცალი)¹⁴³ მხოლოდ ჩრდ. კავკასიის ძეგლებიდანაა ცნობილი: ყობანი (კატ. № № 701, 702), კუმბულთა (კატ. № 703), ჩმი (კატ. № 704), ურუპა (კატ. № 705), “სადღაც კავკასიიდან” (კატ. № 706).

701. ყობანი. ბრინჯაოს ფიბულა. L. 7,6 სმ. ძვ.წ. I ათასწ. შუა ხანები [Chantre, 1886, ტაბ. XXIIbis7; Калитинский 1926, გვ. 59, ტაბ. IV32; Доманский 1984, კატ. 57].

702. ყობანი. ბრინჯაოს ფიბულა (შებმული აქვს ბრინჯაოს ძეწკვები). [Уварова 1990, ტაბ. XXVII; Калитинский 1926, ტაბ. IV34].

703. კუმბულთა. ვ. დოლბეჟევის მიერ გათხრილი 3 ინჰუმაციური (ქალთა) სამარხიდან. ბრინჯაოს ფიბულა. L. 4,8 სმ. [Dolbeschew 1891, გვ. 68, სურ. 98].

704. ჩმი. ბრინჯაოს ფიბულა [Козенкова 1989, ტაბ. 10735].

705. ურუპა. ბრინჯაოს ფიბულა (სემ კოლ. № 1031). გამოუქვეყნებელია.

706. კავკასია. ბრინჯაოს ფიბულა [Калитинский 1926, ტაბ. IV33].

გველისებური ფიბულები დადასტურებულია როგორც მატერიკულ, ისე კუნძულების საბერძნეთში. ი. ბოუზეკის აზრით, კრეტადან ცნობილი გველისებრი ფიბულები ყველა მონაცემით იტალიური წარმომავლობისაა. ისინი ადასტურებენ, რომ კრეტას იტალიასთან უფრო მჭიდრო კონტაქტი ქონდა, ვიდრე მატერიკულ საბერძნეთთან [Bouzek 1985, გვ. 159]. ისინი ცნობილია როდოსიდან, კრეტადან (ფესტოსი). ფესტოსის ფიბულას ქრ. ბლინკენბერგი სუბმიკენური პერიოდის შემდეგი ხანით ათარიღებდა. ხოლო ვ. მილოშჩიჩის აზრით ისინი სუბმიკენურიდან პროტოგეომეტრიულ ხანაშიც იყვნენ და მათ შუა ევროპიდან შემოსულად თვლიდა. ი. ზუნდვალის აზრით, მათი წარმოშობა ბალკანურ ტომებთან უნდა იყოს დაკავშირებული და პარალელურად კავკასიის მასალასაც ასახელებდა. კავკასიის ფიბულები მას იტალიის გველისებურ ფიბულებზე უფრო ძველად მიაჩნდა. იტალიურზე უფრო ძველი ეგონა ეგეოსური ეგზემპლარებიც. მისი აზრით, გველისებური ფიბულები შეესაბამებოდა დრაკონისებური ფიბულების ტიპს, რომლებიც ძვ.წ. VII-VI სს-ით თარიღდებიან [Blinkenberg 1926, გვ. 56, ფიგ. 28; Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 114, 115, ტაბ. 471550-1555; Sundvall 1943, გვ. 33, 52, 59, სურ. 18b; Milošič 1955, გვ. 163].

ჩრდ. იტალიის მასალებიდან (ესტე, მონტე ბელუნა, ანდრეანე, მეცლო) ცნობილი ანალოგიური ფიბულები ძვ.წ. VI ს-ით თარიღდებიან [Eles Masi 1986, გვ. 214, ტაბ. 116].

ანალოგიური ფიბულა, ოღონდ გრძელი ფეხით, ცნობილია იუგოსლავიის ძეგლებიდან. აღმოჩენილია ჰალშტატის ხანის სამაროვანზე – კრიშნა გორა, სადაც ამ ტიპის ფიბულა ძვ.წ. VII ს-ში ჩნდება [Urleb 1974, გვ. 82, ტაბ. 3012].

გველისებურკალიანი ფიბულა, ორი ზამზარით, ცნობილია დოროსლოვოს (ცენტრ. ბალკანეთი) სამაროვნიდან და ძვ.წ. VII ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება [Vasić 1999, გვ. 53, ტაბ. 27331]. ანალოგიური ფიბულები ცნობილი ყოფილა ქვემო იტალიიდანაც (კუმაე) [Müller-Karpe 1959, სურ. 442,3, 464, 4810,11; Batović 1965, სურ. 126].

¹⁴³ შ ჩართოლანის ცნობით ამგვარი ფიბულა სვანეთში, ლარილარის სამაროვანზეც ყოფილა აღმოჩენილი.

გველისებურკალიანი ფიბულა ცნობილია ქვემო ავსტრიიდან (“პეტრონელი”). ფიბულა ადრეული ურნათა ხანის შუადუნაის ქვეყნების ტალღისებურ ქინძისთავებთანაა დაკავშირებული [Müller-Karpe 1959, გვ. 144, ტაბ. 153c3, 180b3; Patek 1968, ტაბ. 552; Kemenczei 1966, გვ. 95, სურ. 96].

სამწუხაროდ, კავკასიური ეგზემპლარები კომპლექსებში არაა აღმოჩენილი. ი. დომანსკი მათ ძვ.წ. I ათასწ. შუა ხანებით ათარილებს [Доманский 1984, გვ. 233].

• ბრინჯაოს ერთწილადი რკალისებური ფიბულები, რომელთა განსაზღვრა არ ხერხდება

ამ ჯგუფში გაერთიანებულია ის ფიბულები, რომელთა ტიპოლოგიური განსაზღვრა არ ხერხდება სხვადასხვა მიზეზის გამო – როცა ფიბულა ძლიერ დაზიანებულია, არადაძაქმაცოფილებელია ტაბულაზე გამოსახული ფიბულის ფოტო თუ ნახატი, როცა არ ხერხდება თვითონ ფიბულის ნახვა და სხვ.

707. ნატახტარი (მცხეთის რ-ნი, მუხრანის ველი). IV სამაროვანი. ორმოსამარხი № 1, ქვყრილიანი, მოტკეპნილი თიხნარი იატაკით. დაკრძალვა – ინჰუმაციური, კიდურებმოხრილი. ბრინჯაოს ფიბულა (ძლიერ დაზიანებული). თანმხლები ინვენტარი: კერამიკა (12 ერთეული), ბრინჯაო – მახვილი, მთლიანადსხმული და ბოლომომრგვალებული, შუბისპირი მასრაშეკრული, გრავირებული (?) სარტყელი, მილაკები, პინცეტი. ძვ.წ. XI ს. პირველი ნახევარი [Апакидзе . . . 1986, გვ. 34-36, ტაბ. LXIII8].

708. ბრილი. ქვის სამარხი № 25 (1940 წ.). ბრინჯაოს ფიბულის რკალის ერთი ბოლო ზამბართა და ნემსით (სემ კოლ. 5-993:436). (ნივთი ვერ მოვიძიეთ – ნ. ს.) თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაოს ღეროს ფრაგმენტი; მძივები. გამოუქვეყნებელია.

709. ბრილი. ორმოსამარხი № 27 (1940 წ.). “ბრინჯაოს რკალდაწახნაგებული მცირე ზომის ფიბულა” (აღწერილობას ვიძლევი საველე დავთრის მიხედვით. საკუთრივ ნივთი ვერ მოვიძიეთ – ნ. ს.) (სემ კოლ. 5-993:451). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – გაურკვეველი ნივთი, დოლისმაგვარი საკიდი, დასაკერებელი ბალთა (?), თხელი ფირფიტის სამაჯურები, ქინძისთავები, ფიგურები; ვერცხლი – რგოლი, სასაფეთქლე; მძივები. გამოუქვეყნებელია.

710. ბრილი. ორმოსამარხი № 27 (1950 წ.). ბრინჯაოს ძლიერ ფრაგმენტირებული მსხვილრკალიანი ფიბულა (სემ კოლ. 5-993:214). თანმხლები ინვენტარი: ნიჟარა კაური, მძივები – თეთრი ქვის, მინის – ერთფერი, პოლიქრომიული. გამოუქვეყნებელია.

711. ბრილი. ორმოსამარხი № 34 (1950 წ.). ბრინჯაოს ფიბულა შემკული თევზიფხური ორნამენტით (აღწერილობას ვიძლევი საველე დავთრის მიხედვით. საკუთრივ ნივთი ვერ მოვიძიეთ – ნ. ს.) (სემ კოლ. 5-993:292). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – საკიდი (ვერძის თავი), სამაჯური, აბზინდა, რომბული ფირფიტები, სატევარი; სარდიო ნის მძივები. გამოუქვეყნებელია.

712. თლია. ქვყრილიანი ორმოსამარხი № 188 (ორი მიცვალებულით). ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი იმ მიცვალებულისა, რომელსაც ფიბულა ახლდა: ბრინჯაო – ჯამი, ყუამახვილი გრავირებული კოლხური ცული, სარტყელი, აბზინდა; რკინა – სატევარი, მოხრილი დანა, შუბისპირი. ძვ.წ. VIII ს. – VII ს. პირველი ნახ. [Техов 1981, გვ. 42,43, ტაბ. 1191]. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. – VI ს. დასაწყისი [სულავა 2000ა, გვ. 40].

713 ბრილი. ბრინჯაოს ფიბულა (1951 წ.). (სემ კოლ. 5-993:408). “რკალი შემკულია დაღარული ორნამენტით. ბუდისა და ზამბარის ძირში მშვილდს გარშემოუყვება მკვეთრად შესამჩნევი სარტყელები. აღმოჩნდა კოლხური პერიოდის კრემაციული მოედნის ჩრდილოეთით, სკვითური ხანის დანგრეულ ფენაში” (იხ. საველე დავთარი – ნ. ს.). გამოუქვეყნებელია.

714. ბრილი. ქვის სამარხი № 19ა (1952 წ.). ბრინჯაოს ფიბულა (სემ კოლ. 5-993:120) (საველე დავთრის მიხედვით. ადგილზე ვერ მოვიძიეთ – ნ. ს.). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ჭურჭელი ძლიერ ფრაგმენტირებული, ყურიანი სასმისი, ფარის (?) ფრაგმენტები, კისრის რკალი, ე.წ. ცულ-მახვილი, პინცეტი, საყბურები, ზარი; რკინა – მახვილი, ქარქაშის ფრაგმენტები, მოხრილი დანა, ლაგამი; სალესი ქვა; ვერცხლის გრებილი დიადემა. გამოუქვეყნებელია.

715. ბრილი. ბრინჯაოს ფიბულა (1952 წ.) (სემ კოლ. 5-993:185). “რკალისებური, გაბრტყელებული ბუდე ორნამენტირებულია. L 6,5 სმ, H 4,7 სმ. კრემაციული სამარხების ფენიდან. № 7 სამარხის ჩრდილო-დასავლეთით 5,6 მ-ის დაშორებით” (საველე დავთრის მიხედვით. არის მინაწერიც – “გადაცემულია ონის მუზეუმში” – ნ. ს.). გამოუქვეყნებელია.

716. ბრილი. ქვის სამარხი № 19 (1953 წ.). ბრინჯაოს ფიბულა (სემ კოლ. 5-993:174 – ფიბულა ადგილზე ვერ მოვიძიეთ – ნ. ს.). გრებილი L 9,3 სმ, H 7,3 სმ. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაოს ჭურჭელი; რკინა – მოხრილი დანა, აკინაკი, ცული; ვერცხლის საყურის ფრაგმენტები; მძივები – ქარვის, ეგვიპტური ფაიანსის, ცისფერი მინის. გამოუქვეყნებელია.

717. ბრილი. 1951 წ. ბრინჯაოს ფიბულა L 7,5 სმ. (სემ კოლ. 5-993:285). დანგრეული კრემაციული სამარხიდან. გამოუქვეყნებელია.

718. ბრილი. 1951 წ. ბრინჯაოს ფიბულა L 9,3 სმ. (სემ კოლ. 5-993:328). დანგრეული კრემაციული სამარხიდან. გამოუქვეყნებელია.

719. წითელი შუქურა. ორმოსამარხი № 13(14). ბრინჯაოს ფიბულა (მ. თრაფშის აღწერილობით რომბულგანიკვეთიანი). თანმხლები ინვენტარი: კერამიკა – ქოთნები, ბრინჯაოს ფირფიტა; რკინის შუბისპირი. ძვ.წ. VIII-VI სს. [Трапш 1969, გვ. 93, 94].

720. წითელი შუქურა. ორმოსამარხი № 4(7). ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – სამაჯური, ქინძისთავი, ძეწკვი. ძვ.წ. VIII-VI სს. [Трапш 1969, გვ. 24].

721, 722. ყულანურხვა. ორმოსამარხი № 3. ბრინჯაოს ორი და რკინის ერთი ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – მძივები, ქინძისთავი ძეწკვით, სკულპტურული საკიდები, სპირალი, სამაჯური; კერამიკის ფრაგმენტები; ვერცხლის საყურები; რკინის ბეჭედი. ძვ.წ. VIII-VI სს. [Трапш 1970, გვ. 106-108, ტაბ. IV2,3,4].

723. გუდაუთა. აღმოჩენილია 1915 წ. გუდაუთის მახლობლად ა. ლ. ლუკინის მიერ. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – 3 ლენტისებრი სამაჯური; მინის მძივები [Лукин 1941, გვ. 62-66, 75].

724. ახალი ოსები (დუშეთის რ-ნი). შემთხვევითი აღმოჩენა (1983 წ.). ბრინჯაოს ფიბულა (დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი № № 993-998, № 2). თანმხლები მასალა: ბრინჯაო – 2 ბეჭედი, ხელის მტევნის ფორმის აბზინდა, ქინძისთავი. გამოუქვეყნებელია.

725, 726. ზემო ილეში (ზესტაფონის რ-ნი). შემთხვევითი აღმოჩენა (1950 წ.). ვერცხლის ფიბულები (სემ კოლ. 49-970:1,2). თანმხლები მასალა: ბრინჯაო – კასრისებური ნივთი, საკიდი, ბალთა; ვერცხლის ბეჭდები; სარდიონის თვლები; მძივები; ნიჟარა. გამოუქვეყნებელია.

727. პეტრეს ნაკარუ. მიწის სამუშაოების დროს დაზიანებული სამარხებიდან. ბრინჯაოს ფიბულა (ძლიერ ფრაგმენტირებული, მრგვალგანიკვეთიანი მავთულისა). მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი – ა. 11 523/1 : გ. 734 [ელიავა, 1987, გვ. 54, ტაბ. 42118].

728. ყობანი. ბრინჯაოს ფიბულა. ა. ს. უვაროვის კოლექცია (მართკუთხაგანიკვეთიანი რკალი ?) [Уварова 1900, ტაბ. XXXIII3].

729. ყობანი. ბრინჯაოს ფიბულა. ა. ს. უვაროვის კოლექცია (რომბულგანიკვეთიანი რკალი ?) [Уварова 1900, ტაბ. XXXII4].

730-732. ყობანი. ბრინჯაოს ფიბულები. ა. ს. უვაროვის კოლექცია (რომბულგანივკვეთიანი რკალი ?) [Уварова 1900, ტაბ. XXXII2,8,9].

733. ყობანი. ბრინჯაოს ფიბულა. გ. დ. ვილიმონოვის აღმოჩენებიდან [Уварова 1900, ტაბ. LX17].

734-799. ყობანი. ბრინჯაოს 56 ფიბულა. ერმიტაჟი (კოლექცია 1360, № № 65-137).

800-821. ყობანი. ბრინჯაოს 22 ფიბულა. ი. კ. ოლშევსკის კოლექცია. ერმიტაჟი (კოლექცია 1731, № № 31-53) [იხ. აგრეთვე Уварова 1900, ტაბ. XXXII2,8,9].

822. ზაიუკოვო. სამაროვანი. ბრინჯაოს ფიბულები. თანმხლები მასალა: ბრინჯაო – ქინძისთავები ზოომორფული თავით, საკიდი (ფრინველები), სამაჯურები, აბზინდა, სატევრები, ჭურჭლის ფრაგმენტები, ნამგალი, ლაგმები; ბიმეტალური სატევარი (ინახება ერმიტაჟში, მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში, ნალჩიკში და ზაიუკოვოს მუზეუმში). ძვ.წ. XII-VIII სს. [Козенкова 1989, გვ. 23/13; Гриневич 1950, გვ. 209].

823. მარუხი (ზელენჩუკის რ-ნი). ქვის სამარხი. ბრინჯაოს ფიბულა აღმოჩნდა სამშენებლო სამუშაოების დროს. იქვეა გამოვლენილი მძივები (ჩანახატები არ არის) [Крупнов 1960, გვ. 181; Козенкова 1989, გვ. 52, 189].

824. არხონი. სამაროვანი ორმოსამარხებით. ბრინჯაოს ფიბულები (ჩანახატები არ არის). თანმხლები მასალა: “გვიანყობანური ტიპის სამაჯურები და სხვა სამკაული”. შეგროვებულია XX ს-ის 30-იან წლებში [Крупнов 1960, გვ. 213].

825. დომზაი. დომზაის ველი. ქვის სამარხი. დაინგრა 1967 წ. მშენებლობის დროს. ბრინჯაოს ფიბულები. თანმხლები ინვენტარი: ოქროს ორნახევრიანი სასაფეთქლეები; ვერცხლის გვერგვი; ბრინჯაო – ბალთები, სპირალური ხვიები, კონუსისებრი ფორმის ზარაკები, სამაჯურის ფრაგმენტები, მძივები, საქამრე ჯაჭვი, პინცეტი; რკინის მოხრილი დანა; მინის მძივები. ძვ.წ. V-III სს. [Алексеева 1971, გვ. 61, 62; Нечитайло 1968, გვ. 76, 77; Козенкова 1989, გვ. 50].

826. დომზაი. მზიური ველი. სამარხი. შემთხვევით აღმოჩენდა 1964 წელს. ბრინჯაოს ფიბულები. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ზარაკები, სამაჯურები, სასაფეთქლეები, სპირალური ხვიები; რკინა – შუბისპირები, მოხრილი დანა; კერამიკის ფრაგმენტები; მინის ყვითელი და ლურჯი მძივები. ძვ.წ. V-IV სს. [Алексеева 1971, გვ. 62; Козенкова 1989, გვ. 50].

827. დომზაი. მზიური ველი. სამარხი. შემთხვევით აღმოჩენდა 1967 წელს. ბრინჯაოს 4 ცალი ფიბულა. თანმხლები მასალა: ბრინჯაო – 7 ცალი სამაჯური, სასაფეთქლეები, სპირალური ხვიები, მრგვალი აბზინდა, ზარი რკინის ენით; ვერცხლის სამაჯური. ძვ.წ. V-IV სს. [Нечитайло 1968, გვ. 76, 77; Козенкова 1989, გვ. 50].

828. ტებერდა. მდ. ტებერდის მარჯვენა ნაპირზე, სამარხიდან (1965 წ.). ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები მასალა: ბრინჯაო – გვერგვის ფრაგმენტები, აბზინდა, სპირალური ხვია, ჯაჭვების ფრაგმენტები; მინის საკიდი და მძივები. ძვ.წ. V-IV სს. [Козенкова 1989, გვ. 51].

829, 830. ტებერდა. ბრინჯაოს 2 ფიბულა [Козенкова, Ложкин 1981, სურ. 267].

831. კიზილკალინსკი. სამაროვანი. აღმოჩნდა 1960 წელს. კოლექტიური ორმოსამარხები. თითქმის ყველა გაძარცვულია. ბრინჯაოს ფიბულის ფრაგმენტი. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ქინძისთავები, საკიდები, ისრისპირები; რკინა – მოხრილი დანები, ისრისპირები, ლაგმები და საყბურები; მძივები; კაური; კერამიკის ფრაგმენტები. ძვ.წ. VI ს. [Алексеева 1971, გვ. 60, 61; Козенкова 1989, გვ. 51, 52].

832. იაღბუზის მთა, აღმოსავლეთი ფერდობი (მდ. მუშტის ხეობა). ბრინჯაოს ნივთების განძი. აღმოჩნდა 1936 წ. ბრინჯაოს ფიბულა (ნაკლული). განძის შემადგენლობა: ბრინჯაო – 4 ცული ადრეყობანური ტიპისა, 2 ყური ლითონის ჭურჭლისა, ბელოზერსკის ტიპის მასრიანი შუბისპირი, საკიდი (ფრინველები), 2 სადგისი, ქინძისთავი ჩაქუჩისებრი თავით, შუბისპირის ფრაგმენტები, დანებისა თუ სატევრების

ფრაგმენტები, კვადრატული ფირფიტა; სპილენძის 20 ნაჭერი (ინახება ნალჩიკის მუზეუმში, № № 1934, 2556). ძვ.წ. XII-X სს. [Иессен 1951, გვ. 82, 83].

833. გიუნდელენი. 1925 წ. აღმოჩენილი კომპლექსი. ბრინჯაოს ფიბულა (ნაჭდევებიანი, ვიწრო ფეხით). თანმხლები მასალა: ბრინჯაო – ექვსწახნაგაიანი მასიური სამაჯურები, ქინძისთავი რვაფურცლიანი როზეტისებრი თავით (ინახება ნალჩიკის მუზეუმში, № 2883). ძვ.წ. II ათასწ. ბოლო – I ათასწ. პირველი საუკუნეები [Козенкова 1989, გვ. 22].

834. ინოზემცევი (სტავროპოლის მხარე). სამაროვანი ჩესნოკ-მთაზე. აღმოჩნდა XIX ს-ის 70-იან წლებში. 1881-1882 წწ. დ. ი. სამოკვასოვმა გათხარა 11 სამარხი (ქვადრატულიანი ორმოსამარხები, ქვის სამარხები; ინდივიდუალური და წყვილადი; ერთი – კოლექტიური). ბრინჯაოს ფიბულები. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ისრისპირები, გვერგვები, სამაჯურები, საკიდები, სარკეები; რკინა – სატევრები, ცულები, შუბისპირები; ძვლის ისრისპირები; კური; მძივები. ძვ.წ. VI-IV სს. [Козенкова 1989, გვ. 45].

835. ტალივი (ყარაჩაევო-ჩერქეზეთი). დანგრეული ყორღანი (1959 წ.). ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები მასალა: კერამიკა; ბრინჯაო – უმბონისებრი ბალთა, ჯაჭვები, ისრისპირები; რკინა – მახვილის ფრაგმენტები, სატევარი, ისრისპირები; “სკვითური ტიპის” ცხენის აღკაზმულობა. ძვ.წ. VII-IV სს. [Алексеева 1971, გვ. 58, 59; Козенкова 1989, გვ. 52].

• ფიბულების ნემსები, ზამზარები

836. თლია. ქვებით შემოსაზღვრული ქვადრატულიანი ორმოსამარხი № 219. ბრინჯაოს ფიბულის ნემსი, რომელიც ერთმანეთისაგან დაშორებული განივი თევზიფხური ორნამენტითაა შექმნილი. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – სატევარი, ძაბრისებრი ნივთი; თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. ძვ.წ. XII-X სს. [Техов 1980, გვ. 37, ტაბ. 95, სურ. 13].

837. ბრილი. ორმოსამარხი № 29 (1939 წ.). ბრინჯაოს ფიბულის ნემსი და ზამზარა (სსმ კოლ. 5-993:181). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ქინძისთავი თავზე მინიატურული კოლხური ცულით, სპირალური ხვიები, სამაჯური ბრტყელი ფირფიტისა, დუგმა; ვერცხლის რგოლი (დაკარგულია); მძივები – ბრინჯაოსი, ქარვის, მინის – ერთფერი, ოქროფენილი, პოლიქრომიული. გამოუქვეყნებელია.

838. მატანი (ახმეტის რ-ნი). შემთხვევითი აღმოჩენა (1952 წ.). ბრინჯაოს ფიბულის ზამზარა (სემ კოლ. 18-32:13). გამოუქვეყნებელია.

839. წითელი შუქურა. ორმოსამარხი № 16(17). ბრინჯაოს ფიბულის ნემსი. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ძეწკვი, აბზინდა, ფირფიტა; სალესი ქვა; რკინის შუბისპირი. ძვ.წ. VIII-VI სს. [Трапш 1969, გვ. 95].

840-850. ჯანტუხი. ბრინჯაოს ფიბულების 11 ზამზარა. იხ. კატ. № № 78-105 [Шамба 1984, გვ. 40, სურ. 2520, 22-31].

851. ჯანტუხი. ბრინჯაოს ფიბულის ფეხი (ბუდე). იხ. კატ. № № 78-105 [Шамба 1984, გვ. 40, სურ. 2118].

852. ნაცარგორა. სამარხი № 208. ბრინჯაოს ფიბულის ნემსი ზამზარით. თანმხლები ინვენტარი: კერამიკა – ორი ცალყურა ქოთანა; ბრინჯაო – შუბისპირი, სარტყელი, ფიბულა (იხ. კატ. № 74); რკინა – სატევრისპირი (?); მძივები. ძვ.წ. VIII ს. [რამიშვილი 2001, გვ. 158, ტაბ. II379].

• რკინის ფიბულები¹⁴⁴

853. ჩითახვი. სამაროვანი. რკინის ფიბულები (რაოდენობა არ არის მითითებული). ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევარი [ღამბაშიძე, ართილაყვა 1973, გვ. 46].

¹⁴⁴ რკინის ყველა ფიბულას, რომლებიც აღმოჩენილია როგორც კომპლექსებში, ასევე შემთხვევით, ერთად განვიხილავთ, რადგან ცუდი დაცულობის გამო მათი რომელიმე ტიპოლოგიური ნიშნით დალაგება შეუძლებელია.

854. ჩითახევი. სამარხი № 20 (მამაკაცის). რკინის ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – სამაჯურები 2 ცალი, რგოლი, მართკუთხაგანივეკვეთიანი საკინძი; რკინა – შუბისპირი 2 ცალი, მასრაგახსნილი რგოლი; კერამიკა – დოქი 3 ცალი, სასმისი. ძვ.წ. VIII-VII სს. [Georgien 2001, გვ. 372, კატ. № 297].

855. თლია. ქვებით შემოწყობილი ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 15, ორი მიცვალებულით. რკინის ფიბულა (ახლდა ზედა მიცვალებულს). თანმხლები ინვენტარი: რკინის ცული, გაურკვეველი ლითონის რგოლისებრი საყურეები; მძივები – სარდიონის, ფაიანსის, 3 ნიჟარა კაური. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. – VI ს. [Texov 1960, გვ. 166, სურ. 34; 1971, გვ. 152, სურ. 55; 1985, გვ. 5, 6, ტაბ. 1004].

856. თლია. ქვებით შემოწყობილი ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 54. რკინის ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – გრეხილდეროიანი საკისრე რკალი, ჯამი, აბზინდა, 2 სპირალური მილხვია, ღილი, 2 რგოლი, მძივი; რკინა – 2 ცული. ძვ.წ. VII-VI ს.ს. [Texov 1985, გვ. 8, 9, ტაბ. 1065].

857. თლია. ქვებით შემოწყობილი ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 90 (ორი მიცვალებულით – ჩვილი და მოზრდილი). რკინის ფიბულა (მოზრდილის ინვენტართან). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – გრეხილდეროიანი საკისრე რკალი, პინცეტი, აბზინდა; სალესი ქვა ნახვრეტში ბრინჯაოს რგოლით; რკინა – დანა ძვლის ტარით, ცული, რგოლი. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. – VI ს. [Texov 1985, გვ. 12, ტაბ. 1145].

858. თლია. ქვებით შემოწყობილი ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 92. რკინის ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – აბზინდა, ჯამი; სალესი ქვა ნახვრეტში ბრინჯაოს რგოლით; რკინა – პატარა დანა, ცული; მძივები – სარდიონის, ქარვის, ნიჟარა კაური. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. – VI ს. [Texov 1985, გვ. 12, 13, ტაბ. 11615].

859. თლია. ქვებით შემოწყობილი ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 103. რკინის ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ჯამი, აბზინდა, რგოლი; რკინა – ცული, სატევარი, დანა; მძივები – სარდიონის, მინის. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. – VI ს. [Texov 1965, გვ. 147, სურ. 7; მისივე 1971, გვ. 212, სურ. 76; მისივე 1985, გვ. 14, 15, ტაბ. 1202].

860. თლია. ქვებით შემოწყობილი ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 106. რკინის ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ჯამი, აბზინდა, სარტყელის ფრაგმენტები; რკინა – ცული, აკინაკი, სატევარი (ტაბულაზე არ არის). ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. – VI ს. [Texov 1980a, გვ. 27, სურ. 7; მისივე 1980b, გვ. 226; მისივე 1985, გვ. 15, ტაბ. 1235].

861. თლია. ქვებით შემოწყობილი ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 120. რკინის ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ჯამი, სატევარი, რგოლი; რკინა – ცული, სატევარი; თიხის ჭურჭელი. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. – VI ს. [Texov 1965, გვ. 150, სურ. 8; მისივე 1985, გვ. 17, ტაბ. 1253].

862. თლია. ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 130 (ორი მიცვალებულით. ძვლები ცალ-ცალკე გროვებად ეწყობ). რკინის ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ფიბულა (კატ. № 293), სიტულა, თევში, სარტყელის ფრაგმენტები, 3 მართკუთხა აბზინდა, ყუაჩაქუჩიანი გრავირებული კოლხური ცული, სატეხი, ირმის ქანდაკება, 2 მასიური საკანჭური, 10 რომბული ბალთა, მოკლე სატევარი; რკინა – შუბისპირი, სატევარი, დანის ტარის ფრაგმენტები; მძივები – სარდიონის, ფაიანსის (?) (2 ც.), ოქროს ფირფიტებით დაფარული მძივები; ძვალი – რგოლი, ცხვრის კოჭი. ძვ.წ. VIII-VII ს. პირველი ნახ. [Texov 1970, გვ. 108; მისივე 1981, გვ. 35, 36, 50, ტაბ. 10616].

863. თლია. ქვებით შემოწყობილი ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 135. რკინის ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – გრეხილი საკისრე რკალი; რკინა – ცული. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. – VI ს. [Texov 1985, გვ. 20, 21, ტაბ. 1322].

864. თლია. ქვებით შემოწყობილი ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 136. რკინის ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: რკინა – ცული, სატევარი. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. – VI ს. [Texov 1985, გვ. 21, ტაბ. 1333].

865. თლია. სამარხი № 138ნ(სამი მიცვალებული). რკინის ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო _ გრებილი საკისრე რკალი; რკინა _ მახვილი; მთის ბროლის ფრაგმენტი. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. _ VI ს. [Texov 1985, გვ. 21, ტაბ. 1342].

866. თლია. ქვებით შემოწყობილი ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 143. რკინის ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო _ კვერთხის თავი (ხარის ფიგურა), გრებილი საკისრე რკალი, პინცეტი, აბზინდა, თასი, ზარაკი; რკინა _ სატევარი, ლაგმის ფრაგმენტი, ჩაქურჩისებურთავიანი სატევარი; რქის 2 საყბეური. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. _ VI ს. [Texov 1970, გვ. 106, სურ. 10; მისივე 1985, გვ. 22, ტაბ. 1368].

867. თლია. ქვებით შემოწყობილი ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 147. რკინის ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო _ ჯამი, აბზინდა; რკინა _ 2 ცული, სატევარი. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. _ VI ს. [Texov 1985, გვ. 24, ტაბ. 1371].

868. თლია. სამარხი № 152. რკინის ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო _ საკისრე რკალი, ჯამი; რკინა _ დანა. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. _ VI ს. [Texov 1985, გვ. 24, ტაბ. 1402].

869. თლია. ქვის სამარხი № 158ნ(სამი მიცვალებულით).¹⁴⁵ რკინის ფიბულა (ეკუთვნის იმ მიცვალებულს, რომლის ჩონჩხი უკეთაა დაცული). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო _ ქვაბი, აბზინდა; რკინა _ ცული, ფართოპირიანი სატევარი. ძვ.წ. I ათასწ. პირველი ნახ. [Texov 1985, გვ. 25, ტაბ. 14110].

870. თლია. ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 163. რკინის ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო _ ყუაჩაქურჩიანი კოლხური ცული, ღილი, ძეწკვი, რგოლები, სარტყლის ფრაგმენტები, სამკუთხა ვირფიტები. ძვ.წ. VIII ს. _ VII ს. პირველი ნახ. [Texov 1981, გვ. 40, ტაბ. 1143].

871. თლია. ქვებით შემოწყობილი ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 173. რკინის ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო _ ჯამი, აბზინდა; რკინა _ ცული, მოხრილი დანა. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. _ VI ს. [Texov 1985, გვ. 27, ტაბ. 1473].

872. თლია. ქვებით შემოწყობილი ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 183. რკინის ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: რკინა _ ცული, მოხრილი დანა. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. _ VI ს. [Texov 1985, გვ. 29, ტაბ. 1501].

873. თლია. ქვებით შემოწყობილი ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 197. რკინის ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო _ ჯამი, საკისრე რკალი, აბზინდა; რკინა _ სატევარი, ცული. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. _ VI ს. [Texov 1985, გვ. 31, ტაბ. 1565].

874. თლია. ქვებით შემოწყობილი ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 209. რკინის ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო _ ტანმრუდი გრავირებული კოლხური ცული, სატევარი, აბზინდა, ღილი, რგოლები, საკიდი. ძვ.წ. VIII ს. _ VII ს. პირველი ნახ. [Texov 1981, გვ. 45, 46, ტაბ. 1259].

875. თლია. ქვებით შემოწყობილი ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 232. რკინის ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო _ აბზინდა; რკინა _ ცული, დანა. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. _ VI ს. [Texov 1985, გვ. 35, ტაბ. 1622].

876. თლია. ქვებით შემოწყობილი ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 238. რკინის ფიბულა. სამარხის ინვენტარს მხოლოდ ფიბულა შეადგენდა. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. _ VI ს. [Texov 1985, გვ. 35, ტაბ. 170].

877. თლია. ქვებით შემოწყობილი ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 240. რკინის ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო _ აბზინდა; რკინა _ ცული, დანა; მოოქრული სასაფეთქლე ხვია. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. _ VI ს. [Texov 1985, გვ. 35, 36, ტაბ. 1644].

878. თლია. ქვებით შემოწყობილი ქვაყრილიანი ორმო, რომელშიც “ქვის სამარხი” იყო № 246. რკინის ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: რკინა _ სატევარი ხის ქარქაშითა და მის ბოლოზე ძვლის ბუნკით გრიფონის სახით, მუჯირი. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. _ VI ს. [Texov 1985, გვ. 37, ტაბ. 1681].

¹⁴⁵ იხ. Texov 1980, გვ. 32, ტაბ. 81.

879. თლია. სამარხი № 274. რკინის ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – თხელი ფირფიტები; ცხვრის ჩონჩხი. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. – VI ს. [Техов 1985, გვ. 40, 41, ტაბ. 178].

880. თლია. ქვებით შემოწყობილი ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 304. რკინის ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – თასი, აბზინდა, თავხვია საკინძები, ღილი-საკიდი; რკინა – პინცეტი, დანა; კალციტის მძივი. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. – VI ს. [Техов 1985, გვ. 48, ტაბ. 1927].

881. თლია. ქვებით შემოწყობილი ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 306. რკინის ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – რომბისებური ბალთა, ჯამი; რკინა – ცული, სატევარი. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. – VI ს. [Техов 1985, გვ. 49, ტაბ. 1944].

882. თლია. ქვებით შემოწყობილი ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 317. რკინის ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ყუამახვილი კოლხური ცული, მთლიანადსხმული სატევარი, აბზინდა, აყურული ბალთის ფრაგმენტი, კვერთხი ბრინჯაოს ფირფიტის გარსაკრავით და ბუნკით (პირღია ცხოველის გამოსახულება); მძივები – სარდიონის. ძვ.წ. VIII ს. – VII ს. პირველი ნახ. [Техов 1981, გვ. 49, ტაბ. 1357].

883. თლია. ქვებით შემოწყობილი ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 322 (ორი მიცვალებულით, ზრდასრული და ბავშვი). რკინის ფიბულა (ზრდასრულ მიცვალებულთან). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – 2 რგოლი; რკინა – მოხრილი დანა; თიხის ჭურჭელი. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. – VI ს. [Техов 1985, გვ. 52, 53, ტაბ. 2047].

884. თლია. ქვებით შემოწყობილი ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 327 (ორი ბავშვის ჩონჩხით). რკინის ფიბულა (იღო თავის ქალებს შორის). თანმხლები ინვენტარი (ორივე მიცვალებულის): ბრინჯაო – თასი, სამაჯური, საკისრე რკალი. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. – VI ს. [Техов 1985, გვ. 54, ტაბ. 2084].

885. თლია. ქვებით შემოწყობილი ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 328. რკინის ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ღილი-საკიდი; რკინა – სატევარი, ცული. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. – VI ს. [Техов 1985, გვ. 54, 55, ტაბ. 2093].

886. თლია. ქვებით შემოწყობილი ქვაყრილიანი ორმოსამარხი № 329. რკინის ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ჯამი, აბზინდა; რკინა – ცული, სატევარი, დანა. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. – VI ს. [Техов 1985, გვ. 55, ტაბ. 2103].

887. ნაცარგორა. სამარხი № 227. რკინის ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: კერამიკა – ორი დოქი, ქოთანი, ლანგარი, ცალყურა ტოლჩა; ბრინჯაო – სარტყელი, სატევარი; რკინის შუბისპირი; მძივები. ძვ.წ. VIII ს. [რამიშვილი 2001, გვ. 158, ტაბ. V588].

888. პალური. საძვლე I, აღმოჩნდა ქვაყრილში (1965 წ.). რკინის ფიბულა. L, 7,5 სმ. ინახება არმაზის არქეოლოგიურ ბაზაზე. ინვ. S. № 1225. გამოუქვეყნებელია.

889, 890. წითელი შუქურა. რკინის 2 ფიბულა № 26(35). იხ. კატ. № 184.

891. წითელი შუქურა. ორმოსამარხი № 1. რკინის ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ირმის ფიგურა, ღერო; თიხის ქოთანი; მინისა და სარდიონის მძივები. ძვ.წ. VIII-VI სს. [Трапш 1969, გვ. 82].

892-894. ურევი. № 3 სამარხი ორმოსა (იხ. კატ. № № 350, 449, 698) და სამარხებს გარეთ მოპოვებული. რკინის 3 ფიბულა. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. [მიქელაძე 1985, გვ. 48, ტაბ. XIII48,50,51, ტაბ. XXVIII8].

895.იერგეტა (ზუგდიდის რ-ნი). ერგეტის IV სამაროვნის № 2 სამარხი ორმო კოლექტიური სარიტუალო მოედნით. რკინის ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: კერამიკა; ბრინჯაო – სეგმენტები, ყუნწიანი სატევრები, კოლხური გრავირებული ცულები, პინცეტები, საკისრე რგოლები და სამაჯურები, ფიგურები; ოქრო – საყურე; რკინა – სწორი დანები, პინცეტები; მძივები – სარდიონის, მინის. ძვ.წ. VII ს. ბოლო [Микеладзе, Папуашвили, Чубинишвили 1991, გვ. 62, 63, ტაბ. 14824].

896. ერგეტა. ერგეტის II სამაროვნის № 2 სამარხი ორმო. რკინის ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: კერამიკა – ყურმილიანი ხელალები, ტოლჩები, სასმისები, კოჭობი, ჯამები; თიხის კვირისტავეები; ქვის სალესები; სპილენძის სეგმენტისებური იარაღი; ბრინჯაო – თოხები, ცულები, ისრისპირები, სატევრები; ბიმეტალური სატევარი, ზარაკები, ძეწვეები, აზინდები, დუგმები, ღილები, გვერგვი, გრავირებული სარტყლის ფრაგმენტები, პინცეტები, საკისრე რგოლები, სამაჯურები, ფიგურები, საკიდები; ვერცხლის რგოლები ოქროს გარსაკრავით; მძივები – სარდიონის, გიშრის, ქარვის, კალის, ვერცხლის, ოქროს, მინის. ძვ.წ. VIII ს. მეორე ნახ. – VII ს. პირველი ნახ. [პაპუაშვილი 1999, გვ. 8, ტაბ. IV58].

იოი

897. ყულანურხვა. ორმოსამარხი № 3. რკინის ფიბულა [Трапш 1970, ტაბ. IV].

898. ყულანურხვა. ორმოსამარხი № 5. რკინის ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ე.წ. სკვითური ისრისპირები; რკინა – სკვითური ისრისპირები, ცულები, სატევარი, დანა; ვერცხლის ფიგურის ფრაგმენტი; კერამიკის ნატეხები. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. – VI ს. პირველი ნახ. [Трапш 1970, გვ. 109, 110, ტაბ. V4].

899. ბრილი. რკინის ფიბულა. თხრილიდან. სემ. კოლ. 5-993, № არა აქვს. გამოუქვეყნებელია.

900. ბრილი. ქვის სამარხი № 23 (1939 წ.). რკინის ფიბულა (სემ კოლ. 5-993:142). ძლიერ ფრაგმენტირებული L. 4,8 სმ. თანმხლები ინვენტარი: მძივები – ანთიმონის, ცისფერი გაუმჭვირვალე მინის; თიხის ჭურჭელი. გამოუქვეყნებელია.

901. ბრილი. ქვის სამარხი № 35 (1939 წ.). რკინის ფიბულა (სემ კოლ. 5-993:244). სამარხში მხოლოდ ეს ერთი ნივთი იყო. გამოუქვეყნებელია.

902. ბრილი. ორმოსამარხი № 14 (1940 წ.). რკინის ფიბულა (სემ კოლ. 5-993:386). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – სქელი ფირფიტის სამაჯური, ხვიები; ვერცხლის რგოლის ფრაგმენტი (დაკარგულია); მძივები – გიშრის, კირქვის; მინის – ერთფერი, ოქროფენილი. გამოუქვეყნებელია.

903. ბრილი. ქვის სამარხი № 7 (1940 წ.). რკინის ფიბულა (სემ კოლ. 5-993:350). თანმხლები ინვენტარი: რკინის რგოლი; მძივები – პოლიქრომიული. გამოუქვეყნებელია.

904. ბრილი. ქვის სამარხი № 15 ოთხი მიცვალებულის ჩონჩხით (1940 წ.). რკინის ფიბულა (სემ კოლ. 5-993:390). თანმხლები ინვენტარი: მინის პოლიქრომიული მძივი. გამოუქვეყნებელია.

905. ბრილი. ქვის სამარხი № 21 ორი მიცვალებულის თავის ქალით (1940 წ.). რკინის ფიბულა (სემ კოლ. 5-993:422). თანმხლები ინვენტარი: მძივები. გამოუქვეყნებელია.

906. ბრილი. სამარხი № 6 (1951 წ.). რკინის ფიბულა (სემ კოლ. 5-993:160). ძლიერ დაზიანებული. თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – სამაჯურები, სპირალური ხვია; ვერცხლის სასაფეთქლე რგოლები; მძივები – ქარვის, მინის ერთფერი და პოლიქრომიული. გამოუქვეყნებელია.

907. ბრილი. რკინის ფიბულა (სემ კოლ. 5-993:400). ძლიერ დაზიანებული. საველე დავთრის მიხედვით, აღმოჩნდა “კოლხური პერიოდის კრემაციული მოედნის ჩრდილოეთით, სკვითური ხანის დამწვარ ფენაში”. გამოუქვეყნებელია.

908. ბრილი. რკინის ფიბულა (სემ კოლ. 5-993:411). ტლანქი და მასიური. საველე დავთრის მიხედვით, აღმოჩნდა “კოლხური პერიოდის კრემაციული მოედნის ჩრდილოეთით, სკვითური ხანის დამწვარ ფენაში”. გამოუქვეყნებელია.

909. ბრილი. რკინის ფიბულა (სემ კოლ. 5-993:343). ძლიერ დაზიანებული. საველე დავთრის მიხედვით, აღმოჩნდა “კოლხური პერიოდის კრემაციული მოედნის ჩრდილოეთით, სკვითური ხანის დამწვარ ფენაში”. გამოუქვეყნებელია.

910. ბრილი. ქვის სამარხი № 22 (1953 წ.). რკინის ფიბულა (სემ კოლ. 5-993:204). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ძაბრისებური საკიდები, საკისრე რგოლები თუ დიადემები, ფიბულა (სემ კოლ. 5-993:202. კატ. № 495); რკინა – ცული, მოხრილი დანა; მძივები. გამოუქვეყნებელია.

911. ბრილი. სამარხი № 8 (1948 წ.). რკინის ფიბულა (სემ კოლ. 5-993, № არა აქვს, ვერ მოვიძიეთ – ნ. ს.). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ფიბულა (სემ კოლ. 5-993:56. კატ. № 68), თავგახვრეტილი სასაფეთქლე რგოლები, სამაჯურები; მძივები – ქარვის, მინის ერთფერი, პოლიქრომიული. გამოუქვეყნებელია.

912. სამთავრო. ორმოსამარხი № 17 (1938 წ. N უბანი). რკინის ფიბულა. ნაკლული. L. 8 სმ. (სემ კოლ. 12-54:44). თანმხლები ინვენტარი: კერამიკა – ქილა, ბადია, ფრაგმენტები; ბრინჯაო – ისრისპირი ფირფიტისებური, ბეჭდები, რგოლი, პინცეტი; რკინა – დანისპირი მოხრილი, სატევარი, შუბისპირის მასრა, ისრისპირები; ძვლის ისრისპირი; სარდიონის და მინის მძივები. ძვ.წ. XI-VI სს. [კალანდაძე 1982, გვ. 103-104, სურ. 458, 478]. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. – VI ს. [აბრამიშვილი 1957, გვ. 125-132; სულავა 2000, გვ. 65, ტაბ. III1].

913. სამთავრო. ორმოსამარხი № 310 (1948 წ. N უბანი). რკინის ფიბულა. ნაკლული. (სემ კოლ. 12-54:8290). თანმხლები ინვენტარი: კერამიკა – ქილა, ლანგარი, დოქი, ყურიანი ქოთან; ბრინჯაო – სამაჯურები, ბეჭდები, საყურეები, პინცეტი, კილიტები, ჯაჭვის რგოლები; რკინა – მახვილი ბრინჯაოს ქარქაშით, შუბისპირი, დანები, სამაჯური; მძივები სარდიონის და მინის. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. – VI ს. [აბრამიშვილი 1957, გვ. 125-132; სულავა 2000, გვ. 65, ტაბ. III3].

914. სამთავრო. ორმოსამარხი № 186 (1940 წ. N უბანი). რკინის ფიბულა. L. 10,5 სმ. ნაკლული. (სემ კოლ. 12-54:4969). თანმხლები ინვენტარი: კერამიკა – დოქები, ქოთნები; ბრინჯაო – ორფრთიანი ისრისპირი, მამა, მავთულის ფრაგმენტი, რგოლი, სამაჯურები; რკინა – დანები; ძვლის ისრისპირების ფრაგმენტები; მინის თეთრი მძივები; ცხვრის კოჭი. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. – VI ს. [აბრამიშვილი 1957, გვ. 125-132; სულავა 2000, გვ. 65, ტაბ. III2].

915. სამთავრო. ორმოსამარხის ნაშთი № 41 (1947 წ. N უბანი). რკინის ფიბულა. ფრაგმენტირებული L. 8 სმ. (სემ კოლ. 12-54:7650). თანმხლები ინვენტარი: კერამიკა – ლანგარი ქილა, ტოლჩა, ხელადა, ჭურჭლის ფრაგმენტები; ბრინჯაო – საკინძი, სამაჯურები; რკინა – მახვილი ბრინჯაოს ნაწილებით, შუბისპირის მასრა; სარდიონისა და ქარვის მძივები. ძვ.წ. VIII-VII ს. პირველი ნახ. [აბრამიშვილი 1957, გვ. 132-134; სულავა 2000, გვ. 65, ტაბ. II2].

916. სამთავრო. ორმოსამარხი № 174 (1940 წ. N უბანი). რკინის ფიბულა. ნაკლული. L. 7 სმ. (სემ კოლ. 12-54:4790). თანმხლები ინვენტარი: კერამიკა – ლანგარი, ქოთანი, ხელადა, კათხა, ქილა; ბრინჯაო – ლურსმნისთავი, საკინძი, სამაჯურები, პინცეტი; რკინა – მახვილი ბრინჯაოს ქარქაშით, შუბისპირი, ისრისპირები, დანები დუგმა; ღორის ეშვი; სარდიონისა და ქარვის მძივები. ძვ.წ. VIII-VII ს. პირველი ნახ. [აბრამიშვილი 1957, გვ. 132-134; სულავა 2000, გვ. 65, ტაბ. III1].

917. სამთავრო. ორმოსამარხი № 276 (1947 წ. N უბანი). რკინის ფიბულა. ფრაგმენტირებული. L. 8 სმ. (სემ კოლ. 12-54:7394). თანმხლები ინვენტარი: კერამიკა – ჯამი, სასმისი, დოქი, ფიალა, ლანგარი, ქილები, დოქი, დერგი; ბრინჯაო – სარტყელი, ბუნიკები, შუბისპირი, ისრისპირები, სამაჯურები; რკინა – მახვილი, სატევარი, ძვლის ისრისპირები, ძვლის სადგამი; ნიჟარა კაური; მძივები – სარდიონის, მინის. ძვ.წ. VIII-VII ს. პირველი ნახ. [აბრამიშვილი 1957, გვ. 132-134; სულავა 2000, გვ. 65, ტაბ. II3].

918. თრელი. სამარხი № 71. რკინის ფიბულა.¹⁴⁶ გამოუქვეყნებელია.

919-924. ჯანტუხი. კოლექტიური კრემაციულ-ინჰუმაციური სამაროვანი. რკინის 6 ფიბულა. ძვ.წ. VII ს. [Шамда 1984, გვ. 40, სურ. 2532-34, 36-38].

925. ეშერის კრომლები. რომელი კრომლებიდანაა ტექსტის მიხედვით არ ჩანს. რკინის ფიბულა, რომელსაც რკალზე თხელი მავთული (რა მასალის არ წერია – ნ. ს.) აქვს შემოხვეული. ძვ.წ. II ათასწ. პირველი ნახ. – I ათასწ. პირველი ნახ. [Шамда 1974, გვ. 29, 43, 44, ტაბ. XXVIII5].

¹⁴⁶ ცნობის მოწოდებისათვის მადლობას მოვახსენებ ისტ. მმეც. კანდიდატს ნ. ახვლედიანს.

926. ფიჭვნარი. სამარხი № 165 (ქ. ფ. *El.* 1999). რკინის ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: დოქი; “კოლხური თეთრი” (2 ც.); ვერცხლი – საკისრე რკალი, საყურეები, ფიბულა (კატ. № 6); მინის მძივები. ელინისტური ხანა [Кахидзе, Сулава 2005, გვ. 57].

927. ფიჭვნარი. სამარხი № 162. რკინის ფიბულა (ქ. ფ. *ელ.* 1999, № 32). თანმხლები ინვენტარი: კერამიკა – დოქები; კოლხური თეთრი; ვერცხლი – რგოლსაკიდები, ნახევარმთვარისებური საკიდი, ოვალურფარაკიანი ბეჭდები; ბრინჯაო – მრგვალფარაკიანი ბეჭედი; მძივები – ოქროსი (2 ც.), მინის. ელინისტური ხანა [Кахидзе, Сулава 2005, გვ. 62].

928. ფიჭვნარი. სამარხი № 86. რკინის ფიბულა (ქ. ფ. ბ. *IV. 02*, № 48). თანმხლები ინვენტარი: კერამიკა – დოქი, ლეკითოსი არიზალოსისებრი, სადა ლეკითოსი; ბრინჯაო – ბეჭდის ფარაკი, სამაჯურის ფრაგმენტები; მძივები – მინის. ძვ.წ. *IV* ს. [Кахидзе, Сулава 2005, გვ. 62].

929. გორაძირი. ორფენიანი საკულტო ძეგლი (*II* კულტურული ფენა). რკინის ფიბულა. თანმხლები მასალა: კერამიკა – პირმოყრილი ჯამ-ფიალები, დიდი და საშუალო ზომის დერგები, ქოთან-კოჭბები, ლანგრები, ყურმილიანი და ზომორფულყურიანი ჭურჭლები, სამარილები, სარქველები; ბრინჯაო – ვერძის თავის სტილიზებულ გამოსახულებიანი სამაჯურის ფრაგმენტი, ჯაჭვი, ე.წ. სკვითური ტიპის ისრისპირი; რკინისა და ობსიდიანის ისრისპირი. ძვ.წ. *VII-VI* სს. [მეშველიანი, ქორიძე 1999, გვ. 13, ტაბ. 3; Гогадзе . . . 2003, გვ. 121, ტაბ. III2].

930. ნაცარგორა. ორმოსამარხი № 7. რკინის ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: კერამიკა – ოთხი თიხის ჭურჭელი; ბრინჯაო – თასი; რკინა – სატევარი, შუბისპირი, დანა, კვერთხის თავი. ძვ.წ. *I* ათასწ. პირველი ნახ. [Рамишвили 1995, გვ. 70, 71, ტაბ. 109/259].

931. ნაცარგორა. ორმოსამარხი № 319. რკინის ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: კერამიკა – დოქი, ქოთანი, ლანგარი; ბრინჯაო – 2 ცალი ტანმრუდი და სწორტანიანი გრავირებული კოლხური ცული, ნახევარფერული “ქუდები”, ნაღვენთები; რკინა – სატევარი, შუბისპირი, დანა; მძივები – სარდიონის, მინის. სხვადასხვა ფორმის. ძვ.წ. *VIII-VII* სს. პირველი ნახ. [რამიშვილი 2001, გვ. 157, 158, ტაბ. VII966; 2003, გვ. 43, ტაბ. I966].

932. აღმოჩენის ადგილი უცნობია. რკინის ფიბულა (თსუ არქეოლოგიის კათედრა, № 62/2). გამოუქვეყნებელია.

933. ბედიკი (მდ. ბაქსანის ხეობა). დანგრეული სამარხი. რკინის ფიბულა. ძვ.წ. *VI-V* სს. [Батчаев 1985, გვ. 10, 11, ტაბ. 315; Козенкова 1998, გვ. 75, ტაბ. XXV1].

934. სერეენ-იურტი. სამარხი № 4/II. რკინის ფიბულა. ძვ.წ. *VII* ს. პირველი ნახ. [Kozenkova 1992, გვ. 53, ტაბ. 8210].

935. ერგეტა. III სამაროვნის № 1 სამარხი. რკინის ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: კერამიკა – ყურმილიანი დოქები, სასმისები, კოჭბები; ბრინჯაო – ფიბულა (კატ. № 392), საკისრე რკალები, სამაჯურები, პინცეტები, საკიდები, რგოლები, დუგმები, ჯაჭვები; რკინა – სატევრები, აკინაკები, ცულები, სეგმენტები, თოხები, დანები; მძივები. ძვ.წ. *VI* ს. [Микеладзе, Мингдисова, Папуашвили 1984, გვ. 24, ტაბ. XXVII]; ადრერკინის ხანა [Mikeladse 1995, გვ. 1-22].

ამრიგად, ჩვენს მიერ კავკასიის მასალებიდან თავმოყრილ იქნა 935 ცალი ერთწილადი რკალისებური ფიბულა (კატ. № № 1-935). აქედან ბრინჯაოსია 841 ცალი, რკინის – 83 ცალი, მხოლოდ ერთია ოქროსაგან დამზადებული (ვანი, კატ. № 468), ვერცხლისაგან – 10 ცალი (ბრილი – კატ. № 469; ფიჭვნარი – კატ. № № 471, 472; წითელი შუქურა – კატ. № 625; სოხუმის მთა – კატ. № № 633, 635, 636; გუადიხუ – კატ. № № 643, 644, 645, 646). რა თქმა უნდა, ამ ციფრებს სიზუსტის პრეტენზია არა აქვთ. მათი რაოდენობა გაცილებით მეტი უნდა იყოს. კვლევის ამ ეტაპზე ჩვენთვის მთავარია კავკასიის ფიბულების ერთ სისტემაში, ერთ ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიურ სქემაში

მოქცევა. ვფიქრობთ, იმ ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიურ სქემაში, რომელიც თლიას სამაროვნის ფიბულებისათვის შევიმუშავეთ, თავისუფლად შეიძლება განთავსდეს, როგორც თლიას ახლად გამოქვეყნებული ფიბულები, ასევე მთელი კავკასიის მასალაც.

ამგვარად, კავკასიის ფიბულების ჩვენეული ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური კვლევის შედეგია ის, რომ კავკასიაში ერთწილადი რკალისებური ფიბულები

წარმოდგენილია 5 ტიპით (თავისი ქვეტიპებითა და ვარიანტებით) და ისინი ძვ.წ. IX-VIII სს-ის მიჯნიდან – ძვ.წ. IV ს-ის ჩათვლით არსებობენ (ტაბ. 61/1,2).

მიუხედავად იმისა, რომ რკინის ფიბულების (კატ. № № 853-935) ტიპოლოგიური ნიშნების განსაზღვრა შეუძლებელია მათი ცუდი დაცულობის გამო, ისინი მაინც გვაძლევენ გარკვეულ ინფორმაციას ქრონოლოგიური თვალსაზრისით. რკინის ფიბულები ძეგლებზე თანაარსებობენ ბრინჯაოს ფიბულების შემცველ სამარხებში ან იმ სამარხებში, რომლებიც ბრინჯაოს ფიბულებიანი სამარხების თანადროულია. ისინი აღმოჩენილია ერგეტის, ურეკის, ჩითახევის, ბრილის, თლიას, სამთავროს ძვ.წ. VIII-VII სს-ის პირველი ნახევრით დათარიღებულ სამარხებში.

§ 3. ლოკალური ვარიანტები და სახელოსნოები. კავკასიაში ერთწილადი რკალისებური ფიბულების წარმოების რამდენიმე სახელოსნო ცენტრი შეიძლება ვივარაუდოთ. ფიბულთა კონცენტრაცია საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე ემთხვევა მეტალურგიული წარმოების ისეთ აღიარებულ ცენტრებს,¹⁴⁷ როგორცაა: აფხაზეთი, რაჭა, ხევი, მზეთამზე-თლია-ყობანი.

ჩამოთვლილი რეგიონებიდან განსაკუთრებული ლოკალურობით ხასიათდება **ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის სამაროვნების მასალა** (რუკა 6). აქ კავკასიისათვის ტრადიციულ ფიბულათა ტიპების (სიგრძივი თევზიფხურით შემკული მსხვილრკალიანი ფიბულები, დისკოსებურშემსხვილებიანი რკალით, რომბულგანივკვეთიანი რკალით) გარდა, გვაქვს სრულიად განსხვავებული ტიპებიც, რომლებიც კავკასიაში სხვაგან არ გვხვდება: III 13 ქვეტიპი – ოვალურფირფიტისებურრკალიანი, III 14 ქვეტიპი – რკალზე ეკლისებური შვერილებით, III 16 ქვეტიპი – რკალზე ვერძის თავის პროტომებით, III 17 ქვეტიპი – დაფანჯრული ნახევარსფეროსებური რკალით.

III 13 ქვეტიპის ფიბულები აღმოჩენილია წითელი შუქურას, გუადიხუს, ჯანტუხის, ყულანურხვას, იაშთხვას სამაროვნებზე, აზგარხუკში, ეწნეპლიში. კავკასიაში ამ ტიპის ფიბულები სხვაგან არსად გვევლება. შორეული პარალელების მოძიება თითქოს შეიძლება, მაგრამ ყველა ნიშნის მიხედვით (ოდნავ გაგანიერებული ბუდე, ერთნახევრიანი ზამბარა, ორნამენტი, რომელიც სხვა სამკაულზეც მეორდება – ირიბი ნაჭდევების ლენტები, შუაში წერტილიანი წრეხაზები), ისინი ადგილობრივ სახელოსნოს ეკუთვნის და ლოკალურ ვარიანტს ქმნიან. ამ აზრს ადასტურებს მათი არა მხოლოდ ერთ ძეგლზე, არამედ ერთ რეგიონში არსებული რამდენიმე სამაროვნის მასალაში აღმოჩენაც.

რაჭაში, ბრილის სამაროვანთან დამოუკიდებელი სახელოსნოს არსებობას გვაპარაუდებინებს ის ტიპოლოგიური ნიუანსები, რითაც ბრილის ფიბულები ხასიათდება და ამავე დროს განსხვავდება სხვა ძეგლებზე აღმოჩენილი ფიბულებისაგან. ბრილის სამაროვანზე ფიბულები 7 სახეობითაა წარმოდგენილი. უმეტესობა ბრინჯაოსია, ერთი ვერცხლისაა (№ 9, 1960 წ.), ხოლო რამდენიმე – რკინის. ბრილის ფიბულები რკალის მოყვანილობის მიხედვით, ყველა მაღალრკალიანია ანუ III ტიპისაა. ესენია:

¹⁴⁷ ჩვენი ვარაუდით, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეც ასეთივე სიტუაცია დაფიქსირდებოდა, იქ ძვ.წ. VIII-VII სს-ის სამაროვნები რომ იყოს აღმოჩენილი.

მრგვალგანივკვეთიანი რკალით, სადა ან შემკული (III 1, III 2), გრეხილრკალიანი (III 12), რომბულგანივკვეთიანი რკალით (III 7), რკალის თავსა და ბოლოში შემსხვილებებით (III 8), რკალზე ირგვლივი ღარებით (III 10), მძივისებური რკალით (III 9), მართკუთხაგანივკვეთიანი რკალით (III 6).

ბრილის ფიბულებისათვის დამახასიათებელია სიმეტრიულად გაგანიერებული ბუდე, მომრგვალებული ნემსსაჭერით ან ნიჩბისებური ფორმის მხრებმომრგვალებული ბუდე, ენისებური ნემსსაჭერით. სამაროვანზე ყველაზე მეტი გრეხილრკალიანი ფიბულაა აღმოჩენილი. ამ ტიპის ყველაზე გვიანდელი ეგზემპლარებიც აქედანაა ცნობილი. ბრილის სამაროვნისათვის ყველაზე მეტად დამახასიათებელია სიგრძეზე მიმართული თევზიფხურით შემკული რომბულრკალიანი და აგრეთვე სხვადასხვა რაოდენობის ღარების სეგმენტებით რკალშემკული ფიბულები. ამ ტიპის ფიბულები სამხრეთ კავკასიის სამაროვნებზე თითქმის არ გვხვდება. ძალიან საინტერესოა რკალის თავსა და ბოლოში დისკოსებური თუ უბრალო შემსხვილებებიანი ფიბულები. ისინი ყველაზე ახლო ანალოგებს თლიას გვიანდელ, ძვ.წ. VI ს-ის ფიბულებთან პოულობენ, მაგრამ სრულიად განსხვავდებიან ბუდის ანუ ფეხის ფორმის მიხედვით. აღნიშნული დამახასიათებელი ნიშნები ფიბულათა კონცენტრაციის სხვა რეგიონებში ან საერთოდ არ გვხვდება ან მხოლოდ ერთეული ეგზემპლარებით გვხვდება.

ამგვარად, ბრილში ფიბულათა წარმოების ერთ-ერთი სახელოსნოს არსებობის დამადასტურებლად, პირველ რიგში მიგვაჩნია ტიპოლოგიური ნიშნების ერთობლიობა, რითაც ერთი სტილი იქმნება და თავისთავად რა თქმა უნდა ფიბულათა რაოდენობრივი კონცენტრაცია.

მზეთამზე-თლია-ყოზანის სივრცის ცალკე ლოკალურ ვარიანტად გამოყოფის საფუძველია ამ ძეგლებზე ფიბულათა ისეთი ტიპების არსებობა, რომლებიც მხოლოდ მათთვისაა დამახასიათებელი (რუკა 7).

მზეთამზეს სამაროვნის გამოქვეყნებული მასალიდან ფიბულები, რომელთა რკალიც შემკულია სიგრძეზე მიმართული რელიეფური თევზიფხური ორნამენტით (ანუ “წნულებით”, რომლებიც რკალის განივკვეთს როზეტისებურ ფორმას აძლევენ), ხოლო ბუდეები კი გრავირებული აქვთ, პირდაპირ პარალელებს თლიას მასალაში პოულობენ (იხ. III 4).

თლიას სამაროვნის ფიბულების ტიპოლოგიური კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ტიპოლოგიურ ნიშანთა ერთობლიობა ქმნის გარკვეულ სტილს, რაც გვაპარაუდებინებს თლიაში ადგილობრივი სახელოსნოს არსებობას. ეს განსაკუთრებით III ტიპის ფიბულებს ეხება. მაგალითად: III 1 ქვეტიპის ფიბულების რკალი შემკულია მხოლოდ და მხოლოდ ირგვლივი თევზიფხური ორნამენტით. სიგრძეზე მიმართული თევზიფხური შემკულობა თლიას ფიბულებს არ ახასიათებთ. ანალოგები არა აქვს თლიას ფიბულებიდან შემდეგ ფიბულებს – III 2a, III 2 b, III 2 c, III 3 b, III 4 b, III 4 c, III 6 e, III 6 f, III 7, III 8 [სულავა 2006, გვ. 92-106].

მზეთამზე-თლიას ფიბულების გაგრძელებას წარმოადგენს **ყოზანის** სამაროვნის ფიბულები. ყოზანი ერთადერთი სამაროვანია ჩრდ. კავკასიაში, სადაც ყველაზე მეტი ფიბულაა (დაახლ. 200-მდე) აღმოჩენილი. ყოზანის ფიბულებშიც გვაქვს: ნახევარ-ოვალური (I ტიპი), ოდნავასიმეტრიულრკალიანი (II ტიპი), ნახევარწრისებურრკალიანი (III ტიპი) ფიბულები. ყველაზე მეტია III ტიპის მსხვილრკალიანი, განივი თავზიფხურით შემკული ფიბულები (მათ შორის 6 ცალი ფიბულა ბუდეშემკულია). თლიასა და ყოზანის ამ ტიპებს შორის არანაირი ტიპოლოგიური სხვაობა არაა. ისინი ერთ სახელოსნოში დამზადებულს გვანან. როგორც თლიას სამაროვანზე (11 ცალი), ყოზანის სამაროვანზეც დისკოსებურშემსხვილებებიანი ფიბულები ცოტაა. ყოზანიდან ამ

ტიპის ფიბულები ჩვენთვის 6 ცალია ცნობილი. ე.ი. ეს ტიპი მზეთამზე-თლია-ყობანისათვის არაა დამახასიათებელი. ყობანსა და თლიაში თითო ცალითაა წარმოდგენილი გრეხილრკალიანი ფიბულები [Уварова 1900, ტაბ. XXXI8; Тихов 2002, ტაბ. 1525].

თლიასა და ყობანის სამაროვნის ფიბულებს საერთო აქვთ I, II და III ტიპის ფიბულების მიხედვით. რაოდენობრივად ორივე სამაროვანზე ყველაზე მეტია განივი თევზიფხურით შემკული ფიბულები, რომლებიც ზუსტად იმეორებენ ბუდის ფორმას, რკალის მოყვანილობას, განივკვეთის სისქეს. ყოველივე ეს, თლიასა და ყობანში ამ ტიპის ფიბულების შემცველი სამარხების თანადროულობაზეც უნდა მიგვითითებდეს. ამ ტიპის ფიბულების სხვა ძეგლებზე აღმოჩენის ფაქტები უნდა ჩავთვალოთ მზეთამზე-თლია-ყობანის სახელოსნოებიდან გავრცელებულად.

ხევში, კერძოდ ყაზბეგში აღმოჩენილი ფიბულების ცალკე ლოკალურ ვარიანტად გამოყოფის საფუძველია ისეთი სახის ფიბულების აღმოჩენა, რომელიც კავკასიაში სხვაგან არ გვხვდება. მხედველობაში გვაქვს მძივისებურრკალიანი ფიბულები (III 9). იქ აღმოჩენილი მძიმე, მასიური, დიდბუდიანი ფიბულები უხეში გადამუშავებაა ჩვენს მიერ ამავე ტიპში გაერთიანებული ოქროსა და ვერცხლის დახვეწილი მძივისებურრკალიანი ფიბულებისა (იხ. III 9). უფრო სწორად, ვანში და ბრილში აღმოჩენილი ფიბულები ყაზბეგში აღმოჩენილი ფიბულების პროტოტიპად მიგვაჩნია. უფრო სწორად, ვანის საიუველირო სახელოსნოში შექმნილი ნიმუშების მიხედვით დამზადებულად მიგვაჩნია.

ზოგადად ჩრდილო კავკასიის პროდუქტი უნდა იყოს ფიბულები (III 10), რომელსაც აქვს სხვადასხვაგვარად გაფორმებული რკალი (სხვადასხვა სახის ირგვლივი ღარების სეგმენტები), მაგრამ ყველას ახასიათებს ერთნაირად განიერი, თითქმის ოთხკუთხა ფეხი, რომელსაც ფასადის მხრიდან, რკალიდან ბუდეში გადასვლის ადგილას, ოდნავ შესამჩნევი ნაწიბური დაუყვება ვერტიკალურად. ისინი აღმოჩენილია: ლუგოვოიში, ისტი-სუში, ბოისი-ირზოში და ძვ.წ. VI-IV სს-ით თარიღდებიან. ამ ტიპის ფიბულები მხოლოდ ჩრდილო კავკასიიდანაა ცნობილი (კატ. № № 499-533).

III 8 n ვარიანტის სახით გამოყოფილი მკვეთრად გამოხატული დისკოსებურშემსხვილებებიანი ფიბულები, რომლებიც მხოლოდ სომხეთიდანაა ცნობილი, მართალია ფ. პედეს მიერ მიჩნეულია ურარტული ფიბულების სახეობად (იხ. აქვე). მაგრამ, ჩვენი აზრით, ისინი როგორც კონსტრუქციულად, ასევე შემკულობის თვალსაზრისით შეიძლება კავკასიური ფიბულების ლოკალურ ვარიანტად მივიჩნიოთ.¹⁴⁸ ამის საფუძველს გვაძლევს რკალის შემკულობა (კავკასიური ფიბულებისათვის დამახასიათებელი დაშტრიხული გეომეტრიული სახეები), ბუდის მოყვანილობა (ჩვენი III 10 ქვეტიპის ანალოგიური, თითქმის ოთხკუთხა ფეხითა და რკალიდან ბუდეში გადასვლის ადგილას ვერტიკალური ნაწიბურით) და ბუდის შემკულობა (დაშტრიხული ლენტისებური ზოლები და სამკუთხედები).

როგორც ვნახეთ, ფიბულათა ადგილობრივი წარმოების, სახელოსნოს შესახებ ვმსჯელობთ მხოლოდ ტიპოლოგიური ნიშნების ანალიზის საფუძველზე და რაოდენობრივი მონაცემის მიხედვით. ამგვარი კვლევისათვის ესაა ერთადერთი საყრდენი, რადგან ფიბულათა ყალიბების აღმოჩენის ფაქტები ძალიან მცირეა. ისინი სულ რამდენიმე ცალია ცნობილი, მაშინ, როცა სივრცე იმ ქვეყნებისა, სადაც ფიბულები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი, უზარმაზარია.

¹⁴⁸ შდრ. Мартиросян 1964, გვ. 243. მკვლევარს ეს ფიბულები ურარტული ხელოსნების მიერ ყობანური ნიმუშის მიხედვით დამზადებულად მიაჩნდა.

ამგვარად, კავკასიის ერთწილადი რკალისებური ფიბულების წარმოების რამდენიმე ლოკალური ცენტრი შეიძლება ვივარაუდოთ. ესენია: აფხაზეთი, რაჭა, მზეთამზე-თლია-ყოზანის სივრცე, ხევი (ყაზბეგი), ჩრდილო კავკასია (III 10 ქვეტიპი), აზერბაიჯანი (I 6 ქვეტიპი), სომხეთი (III 8 n ვარიანტი).

V თავი. კავკასიის ერთწილადი რკალისებური ფიბულების ქრონოლოგია, გენეზისი, გავრცელების გზები

§ 1. ქრონოლოგია. ნებისმიერი არქეოლოგიური არტეფაქტის ტიპოლოგიის, ქრონოლოგიისა და გენეზისის საკითხები ერთმანეთზე დამოკიდებული და გადაჯაჭვული საკითხებია. ჩვენი ტიპოლოგიის საფუძველი, როგორც ვნახეთ, შედარებით ქრონოლოგიაზეა დამყარებული. არტეფაქტის გენეზისისა და გავრცელების გზების საკითხებსაც ქრონოლოგიასთან მივყავართ. კავკასიის არქეოლოგიური კულტურების პერიოდიზაციის დღეისათვის მიღებული ქრონოლოგიური შკალების შესახებ დაწვრილებით აღარ შევჩერდებით, მით უმეტეს, რომ ამ საკითხების შესახებ უამრავი ლიტერატურა არსებობს და ყველასათვის ხელმისაწვდომია. ამასთანავე, ქრონოლოგიისადმი თავისი დამოკიდებულების გამოხატვას თავის ვალდებულებად თვლის ყველა მკვლევარი, ვინც კი კავკასიის მასალებს იკვლევს. ჩვენი მხრიდან კიდევ ერთხელ ამ საკითხების ფუნდამენტურად მიმოხილვა, რაც, როგორც აღვნიშნეთ, მკვლევართა უმრავლესობას აქვს გაკეთებული, ვფიქრობთ, მხოლოდ ნაშრომის მოცულობის გაზრდას გამოიწვევდა. უფრო მართებული იქნება, ჩვენი დამოკიდებულება გავამჟღავნოთ კონკრეტული მასალის დათარიღებასთან დაკავშირებით. ეს კი საბოლოო ჯამში მიგვიყვანს კავკასიაში ფიბულის (I-II ტიპები) გამოჩენისა და არსებობის ჩარჩოების განსაზღვრამდე. კავკასიაში აღმოჩენილი უადრესი ფიბულების თარიღის დადგენა კი დაგვეხმარება ამ ნივთის გენეზისთან დაკავშირებული მოსაზრებების შემავრებაში.

ამგვარად, ჩვენს მიერ შემუშავებული ტიპოლოგიური სქემის თანახმად, კავკასიაში ადრეული ხანის ფიბულები დაბალრკალიანი (I ტიპი) და ოდნავასიმეტრიულ-რკალიანია (II ტიპი).¹⁴⁹ როგორც ვნახეთ, კავკასიის ფიბულები გენეტიკურად დაკავშირებულია სუბმიკენური ტიპის ფიბულებთან, რომლებიც ბოლო დროის გამოკვლევების მიხედვით არსებობდნენ სუბმიკენური ხანიდან დაწყებული გვიან-გეომეტრიულ-ადრეარქაულ ხანამდე [Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 49, 50]. ე.ი. ამ საკმაოდ დიდ ქრონოლოგიურ მონაკვეთში უნდა მოიძებნოს ჩვენი დაბალრკალიანი ფიბულის (სამთავროს № 591-ე სამარხის გრეხილრკალიანი, დაბალთალიანი ფიბულის ანალოგი, რადგან ეს ფიბულა უძველესადაა მიჩნეული კავკასიის მასალებში) პარალელი.

საბერძნეთის იმ მასალებიდან, რომლებიც კომპლექსების სახითაა გამოქვეყნებული, საინტერესოა რამდენიმე ძეგლი.

ათენის კერამიკოსის სამაროვნიდან სუბმიკენური ხანის სამარხებში მოპოვებული ფიბულები, როგორც გრეხილი, ასევე მრგვალ და რომბულგანიკვეთიანი, ყველა მაღალრკალიანია [Müller-Karpe, 1962, სურ. 1-6].

¹⁴⁹ II ტიპის ფიბულების განსაზღვრისას “ასიმეტრიულრკალიანის” წინ აუცილებლად უნდა ვიხმაროთ სიტყვა – “ოდნავ”, რადგან ამ ფიბულებს არავითარი კავშირი არა აქვთ სხვა ქვეყნებში გავრცელებულ ასიმეტრიულრკალიან ფიბულებთან

ლეგვანდის (კ. ევბეა) № 22 სამარხში, რომელიც სუბმიკენური (ძვ.წ. 1100-1050 წწ.) ხანითაა დათარიღებული, დაბალრკალიანი 1 ცალი გრეხილი ფიბულაა აღმოჩენილი, მაღალრკალიან რომბულგანიკვეთიან ფიბულასთან ერთად [Gotling, Gotling, 1980, გვ. 236, ტაბ. 99, 24715]. ამავე სამაროვანზე მოპოვებული ფიბულების ძირითადი მასა მაღალრკალიანია [Gotling, Gotling, 1980, გვ. 233-244, ტაბ. 247, 248].

ფერაის (თესალია) სამლოცველოზე აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი ფიბულებიდან დაბალი, გრეხილრკალიანი ფიბულები კ. კილიანის მიერ დათარიღებულია ძვ.წ. VIII ს-ის ბოლოთი და VII ს-ის დასაწყისით. მასვე მოჰყავს ანალოგები დელფოსიდან, სადაც ამგვარი ფიბულები ძვ.წ. VII-VI სს-ის კერამიკასთან ერთადაა აღმოჩენილი [Kilian 1975, გვ. 22, 23].

შიეძლება ითქვას, რომ ჩვენი დაბალრკალიანი გრეხილლეროიანი ფიბულის ზუსტი ანალოგია კრეტაზე (ფსიხრო) აღმოჩენილი ფიბულა, რომელიც გეომეტრიული ხანითაა დათარიღებული [Boardman 1962, გვ. 136, სურ. 16c].

ბულგარეთის, რუმინეთის, იუგოსლავიის, იტალიის ძეგლებიდან ცნობილი დაბალთალიანი გრეხილრკალიანი ფიბულების დიდი ნაწილიც ძვ.წ. IX-VIII სს-ით თარიღდება (იხ.: III 12).

ამგვარად, დაბალთალიანი გრეხილრკალიანი ფიბულების არსებობა ზოგადად ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ მეოთხედზე მოდის. ამიტომ, კავკასიაში აღმოჩენილ ადრეულ ფიბულებს სუბმიკენურ ხანას ვერ დავუკავშირებთ.

კავკასიაში გავრცელებული ამ ტიპის ფიბულების (პეტრეს ნაკარუ, დღვაბა, მუხურჩა, არაშენდა, ზაიუკოვო) ქრონოლოგიაც ამ ხანას – ძვ.წ. I ათასწლეულის I მეოთხედს ემთხვევა, გარდა სამთავროს № 591-ე სამარხისა, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, და რომელიც, კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, არ მიეკუთვნება სანდო კომპლექსების რიცხვს. მით უმეტეს ველარ დავეყრდნობით ამ სამარხში მოპოვებულ ფიბულას, როგორც სუბმიკენურს, რადგან სუბმიკენური ხანის ფიბულები, როგორც პარალელური მასალიდან ჩანს, მაღალრკალიანია¹⁵⁰ და, რაც მთავარია, მეტროპოლიაშიც (საბერძნეთი, იტალია) ისინი ძვ.წ. XI ს-ში იწყებენ არსებობას [Müller-Karpe 1962, გვ. 67-69; Betzler 1974, გვ. 66; Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 42].

სამთავროს სამაროვნის № 591-ე სამარხი ფიბულის შემცველ უძველეს სამარხად იყო მიჩნეული კავკასიაში. მაგრამ რადგან კომპლექსის დახურულობა ოდნავ მაინც ეჭვის ქვეშ დადგა, ალბათ, უპრიანი იქნება მოვძებნოთ ისეთი კომპლექსი ან კომპლექსები, რომლებზე დაყრდნობაც არანაირ ეჭვს არ გამოიწვევს. იმ მიზეზით, თითქოსდა № 591-ე სამარხის თარიღის შეცვლით “ჩვენ ვცვლით არა სამარხის თარიღს, არამედ მთლიანად ეპოქის დათარიღებას” [ახვლედიანი 1999, გვ. 16-18], იგნორირებულია ის ფაქტი, რომ № 591-ე სათუო კომპლექსია. ამგვარი სახის იგნორირებით ზმეისკაია სტანიცას ე.წ. ფიბულაც საყრდენად გახადეს და შორს მიმავალი მოსაზრებებიც გამოთქვეს [Kossack 1983, გვ. 99-102].

აქ ბუნებრივად გვებადება კითხვა, რომ არ არსებულებო სამთავროს № 591-ე კომპლექსი, მაშინ რა იქნებოდა ეპოქის დათარიღების საყრდენი? როგორც ნ. ახვლედიანი სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, “იმისათვის, რომ სუბმიკენური

¹⁵⁰ ქრ. ბლინკენბერგის ნაშრომი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში სამაგიდო ნაშრომი იყო მკვლევართათვის, რადგან მან ფიბულათა უზარმაზარი მასა მოაწესრიგა ტიპოლოგიურად, გარკვეული თვალსაზრისით დღესაც ინარჩუნებს მნიშვნელობას. მაგრამ ახალმა გამოკვლევებმა (რომლებიც თითქმის სრულადაა გათვალისწინებული ჩვენს ნაშრომში), ბევრი რამ დააზუსტა და შეცვალა. ამიტომ, ქრ. ბლინკენბერგის ნაშრომზე დაყრდნობით სამთავროს №591-ე სამარხის ფიბულის სუბმიკენური ხანით განსაზღვრა, ალბათ, უნდა შეიცვალოს.

ფიზიკისათვის ქვედა ქრონოლოგიური საზღვარი – ძვ.წ. IX ს. დამაჯერებელი გახდეს, მთლიანად უნდა გადაისინჯოს ქრონოლოგიური ცხრილი (როგორც პერიოდულად ხდება ხოლმე არქეოლოგიაში – ნ. ს.). შეიცვალოს რკინის ხანის პერიოდი ისე, რომ სკვითური ნივთების შემცველი ფენა ძვ.წ. VI ს-ს არ ჩამოსცდეს და ამ მოკლე ქრონოლოგიურ ჩარჩოში, ძვ.წ. IX-VI სს განთავსდეს რკინის ხანის ყველა საფეხური. ეს თავის მხრივ, გამოიწვევს თითოეული ფენის ქრონოლოგიური დიაპაზონის ხელოვნურ შეკვეცას. ყოველ შემთხვევაში, სადღეისოდ არსებული მასალების საფუძველზე ასეთი სამუშაო არ არის ჩატარებული” [ახვლედიანი 1999, გვ. 17, 18]¹⁵¹.

როგორც ნ. ახვლედიანი აღნიშნავს, ის შორსაა იმ აზრისაგან, “. . . რომ აღნიშნული ქრონოლოგიური ცხრილი (რ. აბრამიშვილის მიერ შემუშავებული – ნ. ს.) არ ექვემდებარება დაზუსტებას ან თუნდაც შეცვლას”, მაგრამ მიაჩნია, „რომ საამისოდ მოცემული თარიღები უარყოფილ უნდა იქნეს ისევე არგუმენტირებულად, როგორც ეს თავის დროზე მისმა ავტორმა დაასაბუთა” [ახვლედიანი 1999, გვ. 5]. ნ. ახვლედიანი აქაც მართალია, რადგან არქეოლოგიური კვლევისას ყველაფერი ყოველთვის არგუმენტირებული უნდა იყოს, და ჩვენის მხრიდან დავუმატებთ, რომ – **გადამოწმებულიც**. ვფიქრობთ, ზუსტად ასე მოვიქცით ჩვენც. პირველ რიგში გადავამოწმეთ № 591-ე კომპლექსი. მოვიტანეთ საყრდენი არტეფაქტის, ფიზიკის, უახლეს ლიტერატურაში მოცემული პარალელები და კომპლექსში შემავალი თითოეული ნივთი განვიხილეთ ასევე სათანადო სპეციალურ კვლევებზე (ლიტერატურაზე) დაყრდნობით. სწორედ ამის შემდეგ მივიღეთ ე.წ. გაახალგაზრდავებული თარიღი. ამგვარი სამუშაო (ანუ ის რაც გავაკეთეთ თლიას სამაროვნის მიმართ) სამთავროს მთელი სამაროვნის მიმართ, ბუნებრივია, არ გავციკეთებია. რადგან, ჯერ ერთი, სამთავრო არ არის ის კულტურა, და აქედან გამომდინარე ის სამაროვანი, რომელიც ფიზიკის მატარებელ ხალხს ეკუთვნის; მეორეც, ეს სამუშაო უნდა შესრულდეს პირველ რიგში იმ სახით, როგორც ეს გააკეთეს ვ. ნაგელმა და ე. შტრომენგერმა კალაკენტისა და პარადიზის სამაროვნების [Nagel, Strommenger 1985] მიმართ, ანუ გათხრების და კოლექციის შესახებ არსებული მთელი დოკუმენტაცია უნდა იქნეს გამოქვეყნებული. ყოველივე ეს ჩვენი ნაშრომის მოცულობას ცილდება და თანაც ამ საქმეს მკვლევართა უფრო დიდი კოლექტივის ძალისხმევა ესაჭიროება. ჩვენთვის კი სრულიად ცხადია, რომ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს კულტურათა ქრონოლოგია გარკვეულ სინქრონულობაშია მოსაყვანი. ეს კი ჩრდილოეთ კავკასიის კულტურათა თარიღებშიც ბევრ რამეს თავის ადგილზე დააყენებს [სულავა, კალანდაძე 2004, გვ. 31].

ამ სახის სამუშაოები ჩავატარეთ თლიას სამაროვანთან დაკავშირებით (როგორც უკვე იხილეთ) და ვფიქრობთ, არა მარტო ფიზიკისათვის, არამედ თითქმის ყველა არტეფაქტისათვის დავადგინეთ ქრონოლოგიური ჩარჩოები. ჩატარებული სამუშაოს შედეგად, ვფიქრობთ, კოლხეთის და ჩრდილოეთ კავკასიის მასალების ანალოგიური არტეფაქტების ქრონოლოგიური დიაპაზონიც დადგინდა. სრულიად ცხადი გახდა, რომ ერთი და იგივე ტიპის, თითქოს ერთ ყალიბში დამზადებული ფიზიკა, შეუძლებელია თლიას მასალების მიხედვით (თუნდაც ბ. ტეხოვის დამკველბული თარიღებიც რომ მივიღოთ) სხვანაირად თარიღდებოდეს და ყობანის მასალების მიხედვით სხვანაირად (შდრ. Техов 1981: ძვ.წ. X ს-ის ბოლო – IX ს. კომპლექსები – № № 51, 114, 140, 301, 302, 310, 324; Козенкова 1996: ძვ.წ. XI-X სს. (ყობანი) – № № 9, 12, 16, 17). თლიასა და ყობანის


¹⁵¹ თუ იმ სამუშაოს ჩავატარებთ, რასაც ნ. ახვლედიანი გვთავაზობს, იქნებ ხელოვნური კი არა, ბუნებრივი მოწესრიგება მივიღოთ.

მასალების დაძველება იწვევს იმას, რომ ან იგნორირებული უნდა იყოს კოლხეთის მასალები ან აბსოლუტური ქრონოლოგიისათვის გამოუსადეგარად უნდა გამოცხადდეს, როგორც ეს გააკეთა ჯ. აფაქიძემ, რომელსაც მიაჩნია, რომ სწორედ ამ მიზეზით “ცენტრალური კოლხეთის სამაროვნები . . . აბსოლუტური ქრონოლოგიისათვის არ შეიძლება მყარ საყრდენად გამოდგეს” [აფაქიძე 2002]. რ. პაპუაშვილმა თავის ნაშრომში ცენტრალური კოლხეთის სამაროვნების მხოლოდ ფარდობითი ქრონოლოგიის შემუშავება შეძლო. მაგრამ ასეთი დიდი მნიშვნელოვანი ძეგლებისათვის ფარდობითი ქრონოლოგიის შექმნა, არქეოლოგიის იმ უპირველესი საფუძვლის შექმნაა, რასაც შემდეგ აბსოლუტური ქრონოლოგია უნდა დაემყაროს. კოლხეთის სამაროვნების აბსოლუტური ქრონოლოგიის თვალსაზრისითაც პირველი საფეხური უკვე შექმნილია ისევ რ. პაპუაშვილის მიერ, როცა მან ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევრით დაათარიღა ერგეტის II სამაროვნის № 4 სამარხი ორმო [პაპუაშვილი 1999]. კოლხეთის სამაროვნებთან დაკავშირებით შეუსაბამობაშია ჯ. აფაქიძის სადოქტორო დისერტაციის კიდევ ერთი მომენტი. ის კოლხეთში ფიბულების გაჩენას ვარაუდობს ძვ.წ. XI ს-დან და გულისხმობს თლიას სამაროვანს (გ. კოსაკიც თლიას სამაროვანზე ფიბულების გამოჩენას ძვ.წ. XI ს-ით ათარიღებს). როგორც ვიცით, კოლხეთის ის სამაროვნები, სადაც თლიას ანალოგიური ადრეული ფიბულებია აღმოჩენილი, მასალიდან გამომდინარე ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევარზე უფრო ადრეული ხანით ვერ თარიღდება, რა პრეტენზიებიც არ უნდა ჰქონდეთ ძეგლის შესწავლის მეთოდის მიმართ (იხ. აფაქიძე 2002ა, გვ. 49). ამ შეუსაბამობას თავი რომ დააღწიოს, ავტორი ვარაუდობს, რომ მომავალში, ალბათ, შესაძლებელი იქნება ამ ძეგლების თარიღების დაძველება და ამ მიმართულებით პერსპექტიულად მიაჩნია წითელი შუქურას სამაროვანი [აფაქიძე 2002ა, გვ. 49].

წითელი შუქურას სამაროვნისათვის ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედი, როგორც უძველესი ფენა, მრგვალ და ნახევარწრიულ აბზინდებსა და ბალთებზე დაყრდნობით, გამოყოფილი აქვს გ. კვირკველიას. ხოლო წითელი შუქურას № 49(68) სამარხი, რომელშიც აღმოჩენილია უძველესი ფიბულა (ჩვენი ტიპოლოგიით – I ტიპი. იხ კატ. № 32), მიეკუთვნება ძვ.წ. VIII-VII სს-ით დათარიღებულ სამარხთა ჯგუფს [Квирквелия 1981, გვ. 6]. სამაროვანზე მოპოვებული მასალა არ იძლევა ძეგლის უფრო დაძველების საშუალებას. ის შესაძლებლობაც არაა გამორიცხული, რომ ახალი გამოკვლევების ფონზე ნახევარწრიულ აბზინდებზე დაყრდნობით გამოყოფილი უძველესი ფენის თარიღიც გადაისინჯოს გაახალგაზრდავებისკენ.

წითელი შუქურას სამაროვანზე № 75(112), № 98(144) სამარხებში მოპოვებული ნახევარწრიული აბზინდები ინკრუსტირებულია მინით, ხოლო № 42(60), № 44(63) და № 70(107) სამარხების ნახევარწრიული აბზინდები მუქი ნაცრისფერი ლითონით [Трапш 1969, ტაბ. XXVI5,10,12,13]. აბზინდების სასურათო სიბრტყე შემკულია სოლისებური ნაჭდევებით ან “დაკლავნილი გველებით”; ეს უკანასკნელი, ფაქტიურად, ლენტისებური სამკუთხედების იმიტაციაა. ტექნოლოგიურად, გამოსახულების შესრულების ხერხებით (კვეთა – სოლისებური ნაჭდევები, უფრო მოზრდილი სამკუთხედები, ლენტისებური სამკუთხედები; გრავირება – სხვადასხვა სახის ნაკვეთები) და დეკორირების თვალსაზრისით აფხაზეთის ნახევარწრიული აბზინდები მსგავსია სამთავროს (ნახევარწრიული აბზინდები), ბრილის (ყუამილიანი ცულები თუ შტანდარტები, სკიდები), ყობანის (ნახევარწრიული აბზინდები, საკიდები) ანალოგიური შემკულობის მქონე ნივთებისა, რომლებზეც მინით ინკრუსტაცია დადასტურდა [სულავა, კალანდაძე 2004, გვ. 28, 29; სულავა, კალანდაძე 2006, გვ. 13-16. Sulava, Kalandadze 2008, გვ. 289-298] (სურ. 42). ა. იესენის მიხედვით, ამოჭრილი ან გრავირებული ორნამენტი უკვე ჩამოსხმულ

საგანზე და ფერადი მასით ინკრუსტაცია (მვლით, რკინით, ხით, მინანქრით) დამახასიათებელია ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოსა და I ათასწლეულის დასაწყისის კავკასიაში აღმოჩენილი ნივთებისათვის [Иессен 1935, გვ. 188, 189]. მ. ტენიშევას აზრით, ასეთი ნივთები კავკასიაში აღმოჩენილი აბზინდები იყო [Тенишева 1930, გვ. 55, 56, 64]. ამგვარად, აქამდე ცნობილ მინით ინკრუსტირებულ ნივთებს სამთავროსა და ბრილის მასალაც დაემატა და ისინი ერთობლიობაში უნდა იყოს განხილული.



სურ. 42. 1-5. ბრილის სამაროვანი; 6,7. სამთავროს სამაროვანი.

ნახევარწრიული აბზინდები კავკასიის ქრონოლოგიის ერთ-ერთი საყრდენი არტეფაქტია. მათზე შესრულებული გამოსახულებების (საინკრუსტაციო მასალასთან ერთად) ანალიზმა გარკვეული ეპოქის კუთვნილებამდე და არეალის განსაზღვრამდე უნდა მიგვიყვანოს.

სამთავროს სამაროვნის სოლისებურნაჭდევეებიანი და თრისკელე-გამოსახულებიანი ნახევარწრიული აბზინდები სამთავროს ბრინჯაოს სხვა ნაწარმის ფონზე უცხოდ გამოიყურება. პირველ რიგში, ეს შეიმჩნევა შემკულობაში. მხედველობაში გვაქვს

სოლისებური ნაჭდევეები და ერთმანეთზე გადაბმული სამი სპირალი (თრისკელე). ბრინჯაოს ნაწარმზე სოლისებური ნაჭდევეები (უფრო მოზრდილი სამკუთხედები, ლენტისებური სამკუთხედები) და მზრუნავი სპირალები კავკასიის არტეფაქტებიდან ჩვენთვის ცნობილია იმ მასალებიდან, რომლებიც დაკავშირებულია კოლხურ-ყოზანურ ბრინჯაოს ნაწარმთან:

1. **სამბოლოანი** (Triskele) მზრუნავი გამოსახულებები ცნობილია თლიასა და წითელი შუქურას სამაროვნებიდან [Техов 1980, გვ. 42, ტაბ. 1088; Трапш 1969, გვ. 118, ტაბ. XXVII10]. ფიქრობენ, რომ ოთხბოლოანი მზრუნავ გამოსახულებებთან ერთად ისინი დაკავშირებულია სვასტიკის მაგვარ ნიშნებთან, რომლებიც ბრუნვის, მარადი მოძრაობის კონცეფციას გამოხატავენ. სვასტიკისმაგვარი სიმბოლოები ევრაზიის მომთაბარეთათვის ჩანს დამახასიათებელი [Коралькова 1999, გვ. 289-292, სურ. 19-11, 23,8,12].¹⁵² ვფიქრობთ, სამთავროს აბზინდებზე გამოსახული Triskele-ც ამ რიგის სიმბოლო უნდა იყოს.

2. ნივთი, რომელიც შემკულია გადაბმული სპირალების რიგით და ინკრუსტირებული სამკუთხედებით, აღმოჩნდა აფხაზეთში, სოფ. კოლხიდაში (გაგრის რ-ნი). ესაა რკინის აკინაკი ბრინჯაოს ქარქაშით. აღნიშნული სახით სწორედ ეს უკანასკნელია შემკული. ქარქაში დათარიღებულია ძვ.წ. VII ს-ის ბოლოთი ან VI ს-ის დასაწყისით [Трапш 1970, გვ. 193-197, სურ. 20]. მ. თრაფშის აზრით, ქარქაშის ორნამენტაცია გვხვდება კოლხურ-ყოზანურ ბრინჯაოს ნაწარმზე [Трапш 1970, გვ. 195]. ანალოგიური ნივთი, ბრინჯაოს აკინაკი ბრინჯაოსავე ქარქაშით, რომელიც შემკულია ლენტისებური სამკუთხედებით, ცნობილია რუმინეთიდან (ფირმინიში) დანგრეული სამარხიდან, რომელიც ძვ.წ. VI ს-ის დასაწყისითაა დათარიღებული [Matei 1978, სურ. 3].

3. **სოლისებური ორნამენტი ლენტისებურ სამკუთხედებთან** ერთად ცნობილია ჭვირულმინდვრიან ნახევარწრიულ აბზინდებზე ყოზანიდან [Уварова 1900, ტაბ. XXIII3, XXV5; Chantre 1886, ტაბ. XIII bis1, XI12],¹⁵³ ფასკაუს ცულებზე [Motzenbäcker 1996, ტაბ. 2], ბორბლისებურ აბზინდაზე სამთავროს № 44 (1938 შ უბანი) სამარხიდან [Пицхелაური 1969, ტაბ. III], ბრილის № 12 სამარხის ნახევარწრიულ საკიდზე ვერძის 4 თავით [ფანცხავა, მაისურაძე, გობეჯიშვილი 2001, ტაბ. III38], ფასკაუს ნახევარწრიულ საკიდზე ვერძის თავებით [Motzenbäcker 1996, ტაბ. 131].

4. **ლენტისებური სამკუთხედებით**, გარდა ზემოთ აღნიშნული ყოზანის აბზინდებისა [Уварова 1900, ტაბ. XXIII3; Chantre 1886, ტაბ. XIII bis1, XI12] შემკულია: ბრილის № 12 სამარხის № 86 საკიდიც [ფანცხავა, მაისურაძე, გობეჯიშვილი 2001, ტაბ. III24], სატევრის ქარქაში ჩითახევის სამაროვნიდან [Georgien 2001, გვ. 15], განთიადის სამაროვნის № 61 სამარხის მახვილის ქარქაში [Кахиანი, Иремашвили, Иорданишвили, Цквитინიძე 1985, ტაბ. XXX].¹⁵⁴

¹⁵² ე.წ. “вихревые розетки” საქართველოს მასალებიდან გვევლება მხოლოდ “წარჩინებული მეომრის” სამარხში სოფ. ალაიანიდან. სამარხი ძვ.წ. XI-X სს-ით არის დათარიღებული [ბარამიძე 1974, გვ. 133]. მაგრამ თვლიან, რომ ამგვარი ნივთები სამხრეთ კავკასიაში ძვ.წ. VII ს-ზე უგვიანეს არ უნდა მოხვედრილიყო [Коралькова 1999, გვ. 291, სურ. 1].

¹⁵³ სოლისებური და ლენტისებური სამკუთხედებითაა შემკული თლიას სამაროვნის №378 სამარხის ნახევარწრიული აბზინდა, რომელიც აღმოჩენილია რკინის აკინაკთან და ცულთან ერთად და ძვ.წ. VI ს-ით თარიღდება [Техов 2002, გვ. 29, 30, ტაბ. 545]. სამარხში ფიბულაცაა დადასტურებული, რაც ამ ორი ნივთის ერთად აღმოჩენის პირველი შემთხვევაა თლიაში.


¹⁵⁴ ლენტისებური სამკუთხედებით და ინკრუსტაციითაა შემკული 3 მოზრდილი (d-5,2 სმ) მრგვალი ბალთა პარადიზის №9 სამარხიდან. ბალთები ინკრუსტირებულია – ალაბასტრით, არაგონიტით, წითელი და ლურჯი მინის პასტით [Nagel, Strommenger 1985, გვ. 60, ტაბ. 13]. ანალოგიური ბალთები კალაკენტის №32 სამარხიდანაც არის ცნობილი [იქვე, გვ. 98, 99, ტაბ. 62].

5. ამოკვეთილი სამკუთხედებით შემკული ნივთებია: ყუამილიანი ცული ბრილის № 12 სამარხიდან [Georgien 2001, გვ. 113], ყუამილიანი ცული ფასკაუდან [Motzenbäcker 1996, ტაბ. 3], ზემო რუთხას მთლიანადსხმული სატევარი [Motzenbäcker 1996, ტაბ. 22], ორმაგცულისებრი საკიდები [Motzenbäcker 1996, ტაბ. 30, 37], ზემო რუთხას სატევარი [Крупнов 1960, სურ. 216], აბზინდა [Chantre 1886, ტაბ. XII2].


6. ლენტისებური სამკუთხედების მოტივი გამოყენებულია ურარტულ ძეგლებზე: ქვის ბაზაზე [Urartu 1991, გვ. 314, 315, ფიგ. 3 a, b], ბრინჯაოს მოდელის დეკორატიულ კარნიზზე [იქვე გვ. 307, ფიგ. 3, 4], ბრინჯაოს სტატუეტის თავსაბურავზე კარმირ-ბლურიდან [იქვე, გვ. 275, ფიგ. 2]. ყველა ეს ძეგლი ძვ.წ. VIII-VII სს-ით თარიღდება.

მოტანილი საილუსტრაციო მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენთვის საინტერესო შემკულობა – სოლისებური ნაჭდევები, სამკუთხედები, ლენტისებური სამკუთხედები (როგორც დახშული, ასევე გამჭოლი), რომლებიც საინკრუსტაციოდ იყო განკუთვნილი და თვით ნივთებიც, გარკვეული ეპოქის მხატვრული გემოვნების ამსახველია. ვფიქრობთ, ეს მასალა ყველა ნიშნით მიეკუთვნება ბ. კუფტინის ტერმინის მიხედვით კოლხურ-ყობანურ ბრინჯაოს [Куптин 1949, სურ. 23] და საზღვრავს როგორც კულტურულ, ასევე ქრონოლოგიურ არეალსაც [სულავა, კალანდაძე 2004, გვ. 31].

თუ არ გავითვალისწინებთ სამხრეთ კავკასიის ნახევარწრიული აბზინდების კულტურულ კუთვნილებას და მათ სხვა კულტურული კონტექსტის მიხედვით დავათარიღებთ, აგრეთვე, თუ არ გავითვალისწინებთ კოლხეთის ნახევარწრიული ინკრუსტირებული აბზინდების თარიღებს (წითელი შუქურას სამაროვანი), მივიღებთ ჯერჯერობით ისეთ ტრადიციულ დათარიღებას, როგორც გვაქვს ნახევარწრიული აბზინდებისათვის: ტ. ჩუბინიშვილი – ძვ.წ. XV-XIV სს. [ჩუბინიშვილი 1957, გვ. 23, 24, 30, 90, 103], კ. ფიცხელაური – ძვ.წ. XIV ს. [Пицхелаური 1969a, გვ. 175, ტაბ. II], რ. აბრამიშვილი – ძვ.წ. XV ს-ის მეორე ნახევარი – XIV ს. [აბრამიშვილი 1997, ტაბ. III43], რომელიც ქრონოლოგიურ საყრდენადაა გამოყენებული ჩრდილოეთ კავკასიის არქეოლოგიის მკვლევართა მიერ [Козенкова 1982, გვ. 52, ტაბ. XXX2; 1989, გვ. 13, 14; 1990, გვ. 75, 76, სურ. 1; 1996, გვ. 116, სურ. 441,2; 1998, გვ. 59, ტაბ. XIX7].



სურ. 43. იჭალაია (ბოლონია).



სურ. 44. ყობანური „ბესტია“

თუ ფიბულების გამოჩენას კავკასიაში ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედით დავათარიღებთ, რის მართებულობასაც შემდგომი აღმოჩენები და ახალი კვლევები გვიჩვენებენ, მაშინ მივიღებთ, რომ კავკასიაში ფიბულების გამოჩენა ზემისკაია სტანიცას

ე.წ. მუხლისებური ფიბულიდან კი არ იწყება, არამედ კოლხეთის სანაპიროს ფიბულებიდან. სწორედ აქ გვხვდება გრავირების ადრეული სახეობა – დაშორებული, ირგვლივი თევზიფხური ორნამენტი დაბალრკალიან და ოდნავასიმეტრიულრკალიან ფიბულებზე (ნიგვზიანი, კატ. № 47). ანალოგიური შემკულობის ფიბულები ჩრდ. იტალიის მასალებიდან ძვ.წ. VIII-VII სს-ის ძეგლებიდან არის ცნობილი [Eles Masi 1996, გვ. 60, ტაბ. 32469-471]; დაბალრკალიანი გრეხილდეროიანი ფიბულები (კატ. № № 26, 27, 28); იმპორტული ნავისებური ფიბულები,¹⁵⁵ მაღალი განიერი ფეხით (ახალი ათონი, ფსირცხა). საინტერესოა, რომ ეს ფიბულა მიეკუთვნება ე.წ. ფირფიტისებურფეხიანი ფიბულების ტიპს, რომელთა შორისაც ცნობილია, როგორც სადაბუდიანი, ისე მდიდრულად ბუდეშემკული ნიმუშები. ისინი თარიღდებიან ძვ.წ. VIII-VII სს-ით [Kilian 1975, გვ. 110. 111].

ამავე ხანაში ჩნდებიან ჩვენშიც მდიდრულად გრავირებული ნივთები (ცულები, ფიბულები, შუბისპირები, აბზინდები, პინცეტები, კვერთხისთავები, სატევრები, საკისრე რკალები) [ფანცხავა 1988]. საინტერესოა თემატიკის დამთხვევა – თევზები, სვასტიკა, მეანდრი, გველი, მალტური ჯვრები კავკასიის მასალებიდან და იგივე გამოსახულებები, მაგალითად, თესალიის ფიბულების ბუდეებზე [Kilian 1975, ტაბ. 461312, 1325, ტაბ. 621884; Donder 1994, გვ. 16-31, ტაბ. 26; Sens 2002, გვ. 49-93, ტაბ. 13, 14].


¹⁵⁵ აფხაზეთის ნავისებური ფიბულის შესახებ ჩვენი ნაშრომის გაცნობის შემდეგ, გერმანელმა არქეოლოგმა, ქ-ნმა იმა კილიანმა დამატებითი პარალელური მასალა წერილობით მომაწოდა: ნავისებური ფიბულა აკრაიპიდან (ბეოტია), რომელიც გეომეტრიული ხანით (ძვ.წ. 750-700 წწ.) თარიღდება. ამგვარი ყურადღებისათვის ქ-ნ კილიანს დიდ მადლობას მოვახსენებ.



სურ. 45. ბრინჯაოს ფარები იტალიიდან.

კავკასიის ბუდეშემკული ფიბულების დიდი უმრავლესობის ბუდეზე გამოსახულია ფანტასტიკური ცხოველი. ერთი შეხედვით მოულოდნელ პარალელებს ვპოულობთ იტალიაში (ბოლონია) აღმოჩენილი ე.წ. “წურბლისებური” ფიბულების გამოსახულებებში. მათი ზურგი შემკულია ერთმანეთის საპირისპიროდ მიმართული “კავკასიური” ფანტასტიკური ცხოველების გამოსახულებებით [Montelius 1895, გვ. II, ტაბ. VI50]. ი. ზუნდვალის მიხედვით, ეს ფიბულა ოქროსია და ფანტასტიკური “ძაღლების” გამოსახულება შესრულებულია გრანულაციის ხერხით (სურ. 43) [Sundvwall 1943, გვ. 178, სურ. 286, გვ. 188, 189, სურ. 303].


ამგვარი ფიბულები ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევრით თარიღდება [Sundvwall 1943, გვ. 55]. ანალოგიური გამოსახულებები ევროპის სხვა არტეფაქტებზეც დასტურდება. ჩვენი აზრით, ძალიან საინტერესოა ფიბულა იუგოსლავიიდან (დალიდან - Dalj), რომელიც რ. ვასიჩს მიაჩნია “ყობანური ბესტიას” მსგავსად [Vasić 1973, გვ. 2, ტაბ. II13] (სურ. 44). ანალოგიური გამოსახულებითაა შემკული ბრინჯაოს ფარები იტალიიდან. ისინი ორი სახისაა: ფარების ერთ ჯგუფზე გამოსახულებები ორთავიანია ან ერთთავიანი; ფარების მეორე ჯგუფზე გამოსახულებები მოქცეულია გეომეტრიული ორნამენტით შევსებულ წრიულ ფრიზებს შორის; ცხოველის გამოსახულებები მონაცვლეობენ სვასტიკებთან (სურ. 45).



სურ. 46. პარადიზი. სამარხი № 49.

ამ ნივთების კონცენტრაცია ცენტრალურ იტალიაში ხდება. თითო-ოროლა სამხრეთ და ჩრდილო იტალიაშიცაა აღმოჩენილი. მათი ქრონოლოგია ძვ.წ. VII ს-ის დასაწყისითა და VI ს-ის შუა ხანებით განისაზღვრება [Tomedi 2000, გვ. 39-42, 72-80, ტაბ. 17-21, 100, 149, 153]. ანალოგიური გამოსახულებებით შემკული ბრინჯაოს ფარები პარადიზის სამაროვნის № 49 სამარხიდანაცაა ცნობილი. აქაც, როგორც იტალიურ ფარებზე, წრიულ ფრიზზე ხუთი ცხოველის გამოსახულებაა. ისინი, სვასტიკების მაგივრად, ოთხ-ოთხი ვერტიკალური ლენტითაა განცალკევებული. პარადიზის № 49 სამარხის ინვენტარი, გარდა ბრინჯაოს ფარებისა (სურ. 45), შედგება ბრინჯაოს – ლაგმისაგან, რომელიც ანალოგიურია მინგეჩაურის № 1 ყორღანის ლაგმისა [აბრამიშვილი 1997, ტაბ. I123]; ე.წ. აღმოსავლეთამიერკავკასიური ცულისაგან, რომელიც ანალოგიურია სამთავროს № 591-ე სამარხის ცულისა; შუბისპირისაგან, მაღალი პირითა და გრძელი, გახსნილი მასრით, რომელიც პირის მოყვანილობით სამთავროს № 55 სამარხის მახვილს წააგავს [აბრამიშვილი 1997, ტაბ. I101], მაგრამ მასრა უფრო გრძელი აქვს; ბიმეტალური მახვილისაგან – ბრინჯაოს ვადითა და რკინის პირით; ანალოგიური მახვილები ბ. პიოტროვსკის აზრით, ურარტული წარმოშობისაა, ხოლო რ. აბრამიშვილი მათ

ადგილობრივად მიიჩნევა [Пиотровский 1955, გვ. 42; 1959, გვ. 177; აბრამიშვილი 1961, გვ. 370, 371, ტაბ. XI2, XIII,123, XIV, XVI; ახვლედიანი 1999, გვ. 13-15]; სარტყლისაგან, რომელიც ანალოგიურია განთიადის № 61-ე სამარხში აღმოჩენილი სარტყლისა (ამავე სამარხში ზემოთ აღწერილი მახვილის ანალოგიური მახვილი და ერთწილადი რკალისებური ფიბულაცაა. იხ. კატ. № 73); მილაკისებური ნივთისაგან, რომელზეც კავკასიური “ფანტასტიური ცხოველის” ანალოგიური ფიგურაა დაძვერწილი; ბუნიკისაგან ორი რგოლით; კვერთხისთავით, რომელიც ანალოგიურია სამთავროს № 276 სამარხის კვერთხისთავისა [აბრამიშვილი 1957, გვ. 132-134; სულავა 2000, ტაბ. II3]; რკინის – სატევრებისაგან ბრინჯაოს ქარქაშით და შუბისპირებისაგან; სარდიონის სხვადასხვა ზომის სფერული მძივებისა და კერამიკისაგან [Nagel, Strommenger 1985, გვ. 77-79, ტაბ. 23-26].¹⁵⁶ კომპლექსი ძვ.წ. VIII-VII ს-ის პირველი ნახევრით უნდა დათარიღდეს [აბრამიშვილი 1997, ტაბ. I]. ამ თარიღს მხარს უჭერს აქვე, პარადიზის № 112 სამარხში ე.წ. აღმოსავლეთამიერკავკასიური ცულისა და ორწილადი რკალისებური ფიბულის ერთად აღმოჩენა (სურ. 47) [Nagel, Strommenger 1985, გვ. 118, ტაბ. 46].



სურ. 47. პარადიზი. № 112 სამარხი.

მოტანილ პირდაპირ და ირიბ პარალელებს თუ დავეყრდნობით, კავკასიაში ფიბულები კოლხეთის სამაროვნების არსებობის ადრეულ საფეხურზე – ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევარში უკვე დასტურდებიან. იმავე თარიღისა უნდა იყოს წითელი შუქურას სამაროვანზე, № 49(68) სამარხში აღმოჩენილი ადრეული ტიპის ფიბულაც. ვარაუდს ამგვარი დათარიღების შესახებ ამაგრებს აქვე, ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში დადასტურებული იმპორტული ნაწარმის (ტაბ. 57, 571-6) თარიღებიც: III 21 ქვეტიპი – ბალიშისებურზურგიანი ფიბულები წითელი შუქურადან (ძვ.წ. VI-V სს. – Квирквелия 1981, გვ. 5); III 22 ქვეტიპი – ნავისებური ფიბულები ახალი ათონიდან და ფსირცხადან (ძვ.წ. VIII-VII სს. – სულავა 2001, გვ. 74-76; 2003, გვ. 70; Sulava 2003, გვ. 273-275); III 23 ქვეტიპი – ღრუმუცლიანი რკალით (ძვ.წ. VII-VI სს. – სულავა 2003, გვ. 71); III 24 ქვეტიპი

¹⁵⁶ ზოგადი დათარიღებით ძეგლის ქრონოლოგიას ავტორები ძვ.წ. XI-VIII სს-ით განსაზღვრავენ და განჯაყარაბაღულ კულტურას მიაკუთვნებენ [Nagel, Strommenger 1985, გვ. 10].

– ბიბლიოსებური რკალით (ძვ.წ. VII-VI სს. – სულავა 2003, გვ. 71); III 25 ქვეტიპი – ბრტყელრკალიანი (ძვ.წ. VII ს. – სულავა 2003, გვ. 71, 72). იმპორტული ნაწარმიდან ყველაზე ადრე ნავისებური ფიბულები უნდა გამოჩენილიყო. შესაძლოა სწორედ მათ მოიტანეს ბრინჯაოს ნაწარმის გრავირებული სახეებით შემკობა. იმპორტულ ფიბულებს არ განუცდიათ ადგილობრივ შემდგომი განვითარება და ტრანსფორმაცია (თუმცა, ბ. კუფტინის აზრით, მათ ხელი შეუწევს ადგილობრივი ლოკალური ჯგუფის წარმოშობას, ბზიფის აფხაზეთში ნაჭუჭისებურრკალიანი ფიბულის სახით – იხ. Куптин 1949, გვ. 161). ამ მოვლენის ახსნა იმით შეიძლება, რომ კოლხეთში უკვე არსებობდა ფიბულები, მაგრამ კავკასიაში ფიბულების გაჩენის ხანა არავითარ შემთხვევაში არ ემთხვევა ძვ.წ. XI ს-ს ანუ იმ ხანას, როცა, როგორც უკვე მოგახსენეთ, რკალისებური ფიბულები გაჩნდნენ მეტროპოლიაში. მათი გავრცელება კავკასიაში უფრო გვიან მოხდა და ეს ლოგიკურია. დოკუმენტირებულად კი ფიბულების გამოჩენა კავკასიაში ძვ.წ. IX-VIII სს-ის მიჯნაზე, უფრო კი VIII ს-ზე მოდის.

კავკასიის აღმოჩენებიდან ჯერ-ჯერობით არა გვაქვს ფიბულის შემცველი არც ერთი ისეთი კომპლექსი, რომელიც საიმედო იქნება ძვ.წ. XI, X, IX საუკუნეების დასათარიღებლად. მხოლოდ ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევრიდან შეგვიძლია ფიბულები (კოლხეთი, ნაცარგორა, თლია) დამათარიღებელ ნივთად გამოვიყენოთ.

§ 2. გენეზისი. კავკასიის ერთწილადი რკალისებური ფიბულების გენეზისი მკვლევართა დიდი ნაწილის (გ. ნიორაძე, ბ. კუფტინი, ე. კრუპნოვი, რ. აბრამიშვილი, ო. ლორთქიფანიძე, თ. მიქელაძე, რ. გორდუზიანი, ი. უნდესტი, ა. კალიტინსკი, ს. პრუევორსკი, კ. შეფერი, გ. კოსაკი, ი. ბოუზევი და სხვ.) აზრით, ეგეოსურ სამყაროსთან უნდა იყოს დაკავშირებული. ხოლო პროტოტიპად მიიჩნევენ ქრ. ბლინკენბერგის მიერ ცალკე ჯგუფად (II ტიპი) გამოყოფილ სახეობას, რომელსაც ის სუბმიკენური ხანით – ძვ.წ. XII-X სს-ით ათარიღებდა [Blinkenberg 1926, გვ. 58, 59]. მკვლევართა მეორე ნაწილი კავკასიურ ფიბულებს იტალიურ ან ერთდროულად ბერძნულ-იტალიურ მასალებთან აკავშირებდა (ე. შანტრი, რ. ვირხოვი, დ. ვილკე, ი. ზუნდვალი, ი. ვორონოვი, ვ. კოზენკოვა და სხვ.). მართლაც მორფოლოგიურ ნიშანთა აშკარა მსგავსება ეგეოსურ სამყაროში და სამხრეთ ევროპის ქვეყნებში დადასტურებულ ფიბულებთან მოტანილი პარალელური მასალის ფონზეც ნამდვილად თვალშისაცემია, ხოლო ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის სანაპიროზე იმპორტული ფიბულების ჯგუფის (III 21-25)¹⁵⁷ გამოყოფის საფუძველზე, ეს მსგავსება სრულიად აშკარაა.

როგორც აღნიშნული გვქონდა, კავკასია ევრაზიის სივრცეში მიეკუთვნება ერთ-ერთ იმ რეგიონთა რიცხვს, სადაც ერთწილადი რკალისებური ფიბულებია დადასტურებული. ეს სივრცე მოიცავს მთელ მედიტერანულ სამყაროს, აპენინის ნახევარკუნძულიდან კავკასიის ჩათვლით, შუა ევროპას, წინა და მცირე აზიას. კავკასიას უშუალო მეზობლობა მხოლოდ წინა და მცირე აზიასთან აქვს, ხოლო არაპირდაპირი – შავიზღვისპირეთის ქვეყნებთან.

ჩვენი აზრით, კავკასია ნაწილი იყო იმ უზარმაზარი სივრცისა, რომელშიც ფიბულის იდეა ტრიალებდა. ამიტომ, კავკასიის ფიბულების გენეტიკური კავშირის მოძიება და გამოვლენა მთელ ამ სამყაროშია შესაძლებელი.

მარტივი რკალისებური ფიბულა (ჩვენი ტიპოლოგიით I-II ტიპი) არ განეკუთვნება ფიბულათა ისეთ ტიპს, სადაც მკაცრად დადგენილი ნორმები მოქმედებს. ეს ტიპი ყველაზე სიცოცხლისუნარიანია. როგორც ვნახეთ, ეგეოსური მასალების მიხედვით, ისინი სუბმიკენური ხანიდან მოყოლებული ადრეარქაული ხანის ჩათვლით არსებობენ [Sapouna-

¹⁵⁷ კვლევის ამ ნაწილში იმპორტული ფიბულების ჯგუფს აღარ შევხებით.

Sakellarakis 1978, გვ. 41, 51], ხოლო კავკასიის მასალების მიხედვით, ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი საუკუნეებიდან ძვ.წ. IV ს-ის ჩათვლით (კოლხეთი, ნაცარგორა, ჩითახევი, თლია, ბრილი, ყაზბეგი, ვანი, ფიჭვნარი). კ. კილიანმა საბერძნეთის ფიბულების მიხედვით, შესანიშნავად აჩვენა, რომ ტიპოლოგიურ ნიშანთა ე.წ. გაცვლა შესაძლებელია. მაგალითად: ფირფიტისებურფეხიან ფიბულებს შეიძლება ბუდეზე გაუჩნდეთ კნოპი, რომელიც სხვა ტიპის ფიბულების რკალს ამკობს [Kilian 1975, გვ. 162, სურ. 5]. ეს მომენტი არ აისახება მარტივ რკალისებურ ფიბულაზე. რკალისებური ფიბულის თადის მოცულობა ან სივრცის გაზრდა ნემსსა და რკალს შორის, იცვლება იმისდა მიხედვით, თუ როგორი ტანსაცმლის, როგორი ქსოვილის შესაკრავად გამოიყენებენ მას. როგორც თვლიან, უადრესი ერთწილადი ფიბულების – ვიოლინოს ხემისებური ფიბულების შეცვლა გამოიწვია იმან, რომ საჭირო გახდა უფრო მეტი ქსოვილის შეკრება, თავმოყრა ფიბულაში [Betzler 1974, გვ. 70]. როგორც ჩანს, ეს მოდის ცვლილებასთან იყო დაკავშირებული.¹⁵⁸

ის ტიპოლოგიური ნიშნები, რაც კავკასიის უადრეს ფიბულებს ეგეოსურ სამყაროსთან აკავშირებს, არის რკალის სიმეტრიული პატარა ზომის ბუდე, ენისებური ნემსსაჭერი, გრებილი რკალი (რაც ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ნიშანი იყო ყველგან და ყოველთვის) და დაშორებული ირგვლივი თევზიფხურით რკალის შემკობა (იხ. I-II ტიპი). შემკულობის ეს სახე დამახასიათებელი ჩანს გვიან ხემისებურ ფიბულებზე და იტალიის რკალისებურ ფიბულებზე.

კავკასიის ფიბულების ჩვენს მიერ ჩატარებული ტიპოლოგიური კვლევის სურათს თუ გადავავლებთ თვალს, დავინახავთ, რომ II ტიპის ანუ ოდნავასიმეტრიულრკალიან ფიბულებს პარალელები არა აქვთ. ამ მოყვანილობის კორპუსის მქონე ფიბულები არსად გვხვდება. ჩვენი აზრით, ეს კავკასიური მოვლენაა და აქედან იწყება კავკასიური ფიბულების წარმოება. I და II ტიპის ფიბულების შემკულობაზე აისახა გარე სამყაროსთან კავშირი; მაგრამ II ტიპის ფიბულების კორპუსის მოყვანილობის მიხედვით ჩანს, რომ ეს ფიბულები, რომლებმაც I ტიპის ფიბულებზე უფრო დიდხანს იარსებეს გამოიყენებოდა ბევრი ქსოვილის ერთად თავმოსაყრელად, და ეს ქსოვილი მაინცადამაინც ნაზი არ უნდა ყოფილიყო.

როგორც ადრეც აღვნიშნეთ, ნამდვილი კავკასიური ფიბულები, ეს III ტიპის ფიბულებია თავისი უამრავი ვარიანტით. მაგრამ როგორც მოტანილი პარალელური მასალებიდან ჩანს, კავკასიური ფიბულები თავისი არსებობის მთელ მანძილზე ინარჩუნებენ კონტაქტებს გარე სამყაროსთან, რაც აისახა არა მარტო იმპორტული ფიბულების გამოჩენაში კოლხეთის სანაპიროზე (ხოლო ურარტული ფიბულებისა ქვეყნის შიგნით), არამედ მთელი რიგი ტიპოლოგიური ნიშნების შეთვისებაში, რაც ძირითადად ორ მიმართულებას მიუთითებს – ეგეოსი-ბალკანეთი და იტალია (იხ. პარალელური მასალა: I1,2,3; III 3 a, 3 c, 5 d, 6 a, 7 a, 8 a, 8 c, 8 f, 8 h, 8 i, 8 n, 8 p, 10 a, 12, 12 c, 13 a, b1, c, d, e, 14, 15, 17, 19, 20, ტიპი IV, V). ამავე დროს, პარალელურად, კავკასიაში ჩამოყალიბდა ფიბულათა ის ტიპები, რომლებიც მხოლოდ კავკასიისათვის იყო დამახასიათებელი (იხ. პარალელური მასალა: I4,5,6; II1,2,3; III 1 b, 1 c, 2 a-e, 3 b, 4 a-d, 5 a-c, 6 b, c, 7 b, c, 8 a 1, 2, 8 b, 8 c 1, 2, 8 d, e, g, j, k, l, m, n, 9 a, b, c, 10 a 2, a 3, a 4, 11, 12 b, 13, f, g, 18). როგორც ვხედავთ, კავკასიის ფიბულების უმეტესობა ჩამოყალიბდა ცალკე კავკასიურ, დამოუკიდებელ ტიპად, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ტიპოლოგიური ნიშნებითა და ნიუანსებით. ეს კი, როგორც ვნახეთ, ქმნის არა მარტო ფიბულათა ინდუსტრიას, არამედ იმ ლოკალურ ტიპებსა და ვარიანტებს, რომლებზეც უკვე გვქონდა საუბარი.

¹⁵⁸ თუ რამ გამოიწვია მოდის ცვლილება, ამას შეიძლება სხვადასხვაგვარი ახსნა მოეძებნოს. ვფიქრობთ, ამ საკითხში ჩაღრმავება ჩვენი კვლევის ფარგლებს სცილდება.

§ 3. გავრცელების გზები. ცალკეულ ქვეყნებს შორის უძველესი კონტაქტების დადასტურების ერთ-ერთი საშუალებაა ამ კონტაქტების ამსახველი არქეოლოგიური არტეფაქტების (ჩვენ შემთხვევაში ფიბულების) გამოვლენა.

რადგან კავკასია უშუალოდ არ ესაზღვრება არც ეგეოსურ სამყაროს და არც სამხრეთ ევროპას, გასარკვევია ადგილი ქონდა პირდაპირ ანუ საზღვაო ურთიერთობას თუ ეს კონტაქტები შუამავალი (შავიზღვისპირეთის ქვეყნები - თურქეთი, რუმინეთ-ბულგარეთი, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის რეგიონი) ქვეყნების საშუალებითაც შეიძლებოდა განხორციელებულიყო. ამისათვის საჭიროა შავიზღვისპირეთის ყველა ქვეყნის უძველესი რკალისებრი ფიბულების მიმოხილვა ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური თვალსაზრისით და გამოვლენა იმ ტიპებისა, რომლებიც საერთოა შავიზღვისპირეთის ყველა ქვეყნისათვის. ხოლო მსგავსი ტიპების ქრონოლოგიური ადგილის განსაზღვრა საშუალებას მოგვცემს თვალი გავადევნოთ ამა თუ იმ ტიპის ფიბულების გავრცელების გზებს, მიმართულებებსა და დროს. აგრეთვე, საინტერესოა კოლხეთის ზღვისპირეთის დემოგრაფიული სიტუაციის შედარება შავიზღვისპირეთის სხვა ქვეყნების თანადროულ დემოგრაფიულ სიტუაციასთან.

საქართველოს შავიზღვისპირეთის მასალა. საქართველოს შავიზღვისპირეთში, ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე ფიბულების მნიშვნელოვანი ნაწილი აღმოჩენილია: ჩრდილო-დასავლეთ და ცენტრალური კოლხეთის სამაროვნებზე; მცირე რაოდენობით სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთის ძეგლებზე; ერთეული ეგზემპლარებია ცნობილი შიდა კოლხეთის ტერიტორიიდანაც.

ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთი (აფხაზეთი). აფხაზეთის მასალებიდან დაახლოებით 117 ფიბულაა ცნობილი. ისინი აღმოჩენილია სამაროვნებზე: წითელი შუქურა, გუადიხუ, ყულანურხვა, იაშთხვა, სოხუმის მთა, კისტრიკი, ჯანტუხი.

შემთხვევითი აღმოჩენები ცნობილია: აზგარხუკიდან, ახალი ათონიდან, ფსირცხადან, მიცარიდან, გუდაუთადან, პრიმორსკოედას, ეშერადან.

წითელი შუქურა (სურ. 14, 15). აღმოჩენილია 21 ბრინჯაოსა და 3 რკინის ფიბულა. ფიბულები აღმოჩენილია 19 სამარხში (აქედან 18 ინჰუმაციური ორმოსამარხია [Трапш 1969, გვ. 78-109, 191-194, ტაბ. XXV1-9]. ერთი ქვევრსამარხია (№ 49) მეორადი დაკრძალვით [Трапш 1969, გვ. 121-123]). ფიბულები წარმოდგენილია შემდეგი ტიპებით:¹⁵⁹

I ტიპი. დაბალრკალიანი

1. მრგვალგანივკვეთიანი ღერო, თევზიფხურით შემკული, ბუდე სიმეტრიული. წითელი შუქურა სამ. № 49(68) [Трапш 1969, გვ. 121-123, ტაბ. XXV6] (კატ. 31 - ტიპი I4).

III ტიპი. მაღალრკალიანი

2. მრგვალგანივკვეთიანი ღერო, ბუდე გაგანიერებული. წითელი შუქურა სამ. № 100(146) [Трапш 1969, გვ. 147, ტაბ. XXV4] (კატ. 140 (ტიპი III 1c)).

3. მრგვალგანივკვეთიანი ღერო, თევზიფხურით შემკული, ბუდე არა აქვს. წითელი შუქურა სამ. № 39(56) [Трапш 1969, გვ. 114, ტაბ. XXV5] (კატ. 147 - III 2a).

4. მრგვალგანივკვეთიანი მსხვილი ღერო, თევზიფხურით შემკული, ბუდე გაგანიერებული. წითელი შუქურა სამ. № 26(35) [Трапш 1969, გვ. 104-106, ტაბ. VIII3, XXV2] (კატ. 184 - ტიპი III 2c).

5. მრგვალგანივკვეთიანი ღერო, თევზიფხურით შემკული, რკალის თავსა და ბოლოში დისკოებით. ბუდე გაგანიერებული. წითელი შუქურა სამ. № 62(92) [Трапш 1969, გვ. 130, ტაბ. XXV7] (კატ. 436 - ტიპი III 8c).

¹⁵⁹ ტიპების გამოყოფისას ვიყენებ ჩვენს მიერ უკვე შემუშავებულ ტიპოლოგიას.

6 - 8. გრეხილრკალიანი, ბუდე გაგანიერებული. წითელი შუქურა სამ. № 64(94) [Трапш 1969, გვ. 131, ტაბ. XXV8] (კატ. 585 - III 12b). წითელი შუქურა სამ. № 29(38) [Трапш 1969, გვ. 106, 107, ტაბ. XXV1]. წითელი შუქურა სამ. № 13(14) [Трапш 1969, გვ. 93, 94, ნაშრომში ილუსტრაცია არ არის].

9. რკალი რომბულგანივკვეთიანია. წითელი შუქურა სამ. № 4 [Трапш 1969, გვ. 85-87, ტაბ. VI4].

10 - 12.¹⁶⁰ მსხვილი, ბალიშისებური რკალი, რომელიც ბუდისა და ზამზარისაგან გამოყოფილია ასტრაგალისებრი ღრმა ნაჭდევებით. ბუდე განიერი. წითელი შუქურა სამ. № 6 [Трапш 1969, გვ. 87, 88, ტაბ. XXV3] (კატ. 693 - ტიპი III 21). წითელი შუქურა სამ. № 12(13) [Трапш 1969, გვ. 93, ტაბ. XXVII1] (კატ. 690 (III 21)). წითელი შუქურა სამ. № 21(23) [Трапш 1969, გვ. 98-101, ტაბ. VII] (კატ. 691 - ტიპი III 21).

13 - 18. ფიბულას რომბულფირფიტისებური რკალი აქვს. ბუდენაკლული. წითელი შუქურა სამ. № 4 [Трапш 1969, გვ. 85-87, ტაბ. VI2] (კატ. 641 - III 13f). წითელი შუქურა სამ. № 12(42) [Трапш 1969, გვ. 274-279, ტაბ. XXXIX7]. წითელი შუქურა სამ. № 12(42) [Трапш 1969, გვ. 274-279, ტაბ. XXXIX8] (კატ. 6256 627 - III 13d). წითელი შუქურა სამ. № 19(21) [Трапш 1969, გვ. 97, ილუსტრაცია არ არის] (კატ. 630 - III 13d). წითელი შუქურა სამ. № 103(151) [Трапш 1969, გვ. 148, ილუსტრაცია არ არის] (კატ. 631 - III 13d). წითელი შუქურა სამ. № 3(26) [Трапш 1969, გვ. 270-272, ტაბ. XXXVII12] (კატ. 624 - III 13c).

19 - 20. როზეტისებრი რკალი. ბუდენაკლული. წითელი შუქურა სამ. № 38(55) [Трапш 1969, გვ. 110-113, ტაბ. IX5]. წითელი შუქურა სამ. № 38(55) [Трапш 1969, გვ. 110-113, ტაბ. IX7] (კატ. 659, 660 - III 17).

რკინის ფიბულები (22-24): წითელი შუქურა სამ. № 1 [Трапш 1969, გვ. 85]. წითელი შუქურა სამ. № 26(35) [Трапш 1969, გვ. 104-106, ტაბ. VIII5]. წითელი შუქურა სამ. № 26(35) [Трапш 1969, გვ. 104-106, ტაბ. VIII9].

წითელი შუქურას სამაროვნის _ № № 49(68), 100(146), 26(35), 64(94), 62(92), 29(38), 13(14), 6, 12(13), 21(23), 4, 19(21), 103(151), 38(55), 16(17), 1 სამარხები _ გამთხრელის, მ. თრაფმის მიერ დათარიღებულია ძვ.წ. VIII-VI სს-ით [Трапш 1969, გვ. 82, ტაბ. VIII9], ხოლო სამარხები _ № № 12(42), 3(26) _ ძვ.წ. V-II სს-ით [Трапш 1969, გვ. 268].

გ. კვირკველია ძვ.წ. VIII-VII სს-ით ათარიღებს სამარხებს _ № № 49(68), 62(92), 64(94); ძვ.წ. VI-V სს-ით _ № № 4, 12(13), 21(23), 26(35), 29(38) სამარხებს; ძვ.წ. VII-VI სს-ით _ № 16(17) სამარხს; ხოლო № № 3(16), 19(21) სამარხებს _ ძვ.წ. V-IV სს-ით [Квирквелия 1981 გვ. 5, 6].

მეტნაკლებად იგივე თარიღებს იზიარებს ნ. დოლიძეც [დოლიძე 1999, გვ. 63-72].

გ. შამბა წითელი შუქურას № № 49, 62 სამარხებს ძვ.წ. VII ს-ით ათარიღებს და აღნიშნავს, რომ ამ სამარხების ფირფიტისებური სარტყლები ზოომორფული აბზინდებით უფრო ადრეულ კომპლექსებში არ გვევლება [Шамба 1984, გვ. 41].

გუადიხუ (სურ. 12, 13). სამაროვანზე აღმოჩენილია 12 ფიბულა. 10 ფიბულა აღმოჩნდა კრემაციულ და ნაწილობრივკრემაციულ სამარხში [Трапш 1969, გვ. 45-52, 242]. აქ არ გამოვლენილა I (დაბალრკალიანი) და II (ოდნავ ასიმეტრიულრკალიანი) ტიპის ფიბულები. გუადიხუში ფიბულები წარმოდგენილია შემდეგი ტიპებით:

III ტიპი. მაღალრკალიანი.

1. რკალი რომბისებურგანივკვეთიანია, ბუდე გაგანიერებული. გუადიხუ სამ. № 25(72) [Трапш 1969, გვ. 41, ტაბ. V10] (კატ. 366 - III 7a). 2. რკალი როზეტისებურ-აჟურული, ბუდე განიერი. ფიბულა რეპარირებულია. გუადიხუ სამ. № 25(72) [Трапш 1969, გვ. 41, ტაბ. V7] (კატ. 661 - III 17). 3 - 8. რკალი რომბისებური ფირფიტაა ჭდეული ორნამენტით.

¹⁶⁰ აღნიშნული ფიბულების შესახებ იხ. აქვე, ტიპი III 21.

გუადიხუ სამ. № 6(9) [Трапш 1969, გვ. 24, ტაბ. V5] (კატ. 642 - ტიპი III 13f). გუადიხუ სამ. № 10(22) [Трапш 1969, გვ. 255, 256, ტაბ. XXXV14] (კატ. 643 - III 13f). გუადიხუ სამ. № 25(72) [Трапш 1969, გვ. 41, ტაბ. V5] (კატ. 638 - III 13 d). გუადიხუ სამ. № 26(39) [Трапш 1969, გვ. 258, ტაბ. XXXV14] (კატ. 648, 649 - III 13f). გუადიხუ სამ. № 11(23) [Трапш 1969, გვ. 256, ტაბ. XXXV14] (კატ. 644 - III 13f); გუადიხუ სამ. № 12(24) [Трапш 1969, გვ. 256, ტაბ. XXXV14]. (კატ. 645, 646 - III 13f). 9, 10. რკალი ოვალური ფირფიტაა პუნსონით დატანილი ორნამენტით. გუადიხუ სამ. № 3(6) [Трапш 1969, გვ. 21-24, ტაბ. V6] (კატ. 619 - III 13a); გუადიხუ სამ. № 24(71) [Трапш 1969, გვ. 39-41, ტაბ. V6] (კატ. 620 - III 13a). 11. რკალი მრგვალგანივკვეთიანია, შემსხვილებული, დაფარულია “ზორკლებით”. გუადიხუ სამ. № 13(25) [Трапш 1969, გვ. 256, 257, ტაბ. V8] (კატ. 653 - III 14).

გუადიხუს სამაროვნის სამარხები _ № № 3(6), 4(7), 6(9), 24(71), 25(72) _ გამოხრე-ლის, მ. თრაფშის მიერ დათარიღებულია ძვ.წ. VIII-VI სს-ით [Трапш 1969, გვ. 17], სამარხები _ № № 10(22), 11(23), 12(24), 13(25), 26(39) _ ძვ.წ. V-II სს-ით [Трапш 1969, გვ. 242]. იმავე სამარხებს გ. კვირკველია ძვ.წ. VI-V სს-ით ათარიღებს [Квирквелия 1981 გვ. 5, 6]. დაახლოებით იგივე თარიღებს იზიარებს ნ. დოლიძეც [დოლიძე 1999, გვ. 63-72].

ყულანურხვა (სურ. 10). სამაროვანზე აღმოჩენილია 4 ფიბულა, № № 3, 5, ინჰუმაციურ სამარხებში. ორი ბრინჯაოსია, ორი – რკინის. ისინი წარმოდგენილია შემდეგი ტიპით:

III ტიპი. მაღალრკალიანი.

1, 2. რკალი მრგვალგანივკვეთიანია. რკინის, ბრინჯაოს ძეწკვით ყულანურხვა სამ. № 3 [Трапш 1970, გვ. 107, 257, ტაბ. IV2]. ყულანურხვა სამ. № 5 [Трапш 1970, გვ. 109-110, ტაბ. V4]. 3, 4. ფირფიტისებრი რკალით. ბუდე ოდნავ გაგანიერებულია. ბრინჯაოსი. ყულანურხვა სამ. № 3 [Трапш 1970, გვ. 107, ტაბ IV3, IV4].

ყულანურხვას № 3 სამარხი მ. თრაფშის მიერ დათარიღებულია ძვ.წ. VIII-VII ს-ის მეორე ნახევრით [Трапш 1970, გვ. 106-108],¹⁶¹ ხოლო № 5 (მამაკაცის) სამარხი _ ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრითა და VI ს-ის პირველი ნახევრით [Трапш 1970, გვ. 109, 110].

ყულანურხვადან¹⁶² აფხაზეთის მუზეუმში კიდევ ორი ფიბულაა დაცული; 1. ფიბულა ზურგდაღარული და ღრუმუცლიანია. ბუდე გაგანიერებულია (ა. ლუკინის კოლექცია _ 10-66:55, № 86). მისი ანალოგი, როგორც უკვე აღვნიშნეთ (იხ. აქვე, ტიპი III 23, კატ. 696), საქართველოს მასალებში არ მოიპოვება. ღრუმუცლიანი ანუ ნავისებური ფიბულები, შემკული ღრმა ნაჭდევი ან გრავირებული ორნამენტით, ცნობილია იტალიის, საბერძნეთის, ცენტრალური ბალკანეთის, რუმინეთის მასალებიდან [Eles Masi 1986, გვ. 85-143; Kilian 1975, გვ. 80-85; Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 118-120; Vasić 1999, გვ. 87-89; Bader 1983, გვ. 109, 110]. ამგვარი ფიბულა უკრაინაში სოფ. გრებენიშიცაა (ლვოვის მუზეუმი) აღმოჩენილი [Sulimirski 1936, გვ. 46, ტაბ. XII2]. ის მიჩნეულია ადრეიტალიურ იმპორტად და დათარიღებულია ძვ.წ. 850-700 წწ-ით [Szłankowna 1938, გვ. 299, 300]. 2. ფიბულას შემსხვილებულ რკალზე ლურსმნის თავის მაგვარი შვერილები აქვს. რკალის თავსა და ბოლოში დისკოსებური შემსხვილებით. ბუდე და ზამზარა აკლია¹⁶³ (აფხაზეთის მუზეუმი. ა. ლუკინის კოლექცია _ 10-66:55, № 98. კატ. 467 - III 8 o). სამეცნიერო ლიტერატურაში ანალოგიური ფიბულა არ გვევლინება. ეს უკანასკნელი ფიბულა ი. ვო-

¹⁶¹ თუ №3 სამარხის ფიბულები ანალოგიურია აფხაზეთის სხვა ფირფიტისებურრკალიანი ფიბულებისა, მაშინ ეს სამარხი ძვ.წ. VI-V სს-ით უნდა დათარიღდეს [შდრ. კვირკველია 1978, გვ. 76].

¹⁶² რ. აბრამიშვილის მიერ შესრულებული ფიბულის ჩანახატი გამაცნო ისტ. მმეც. კანდიდატმა ნ. დოლიძემ, რისთვისაც მადლობას მოვასხენებ.

¹⁶³ ფიბულის ჩანახატი გამაცნო ნ. დოლიძემ. ბარათზე რ. აბრამიშვილის მინაწერია, რომ მსგავსი ფიბულა აღმოჩენილია სოფ. მიცარშიც.

რონოს თავის ნაშრომში - “Археологическая карта Абхазии”, შეტანილი აქვს, როგორც ლურსმნისებური შვერილებით შემკული “ღერაკი” [Воронов 1969, გვ. 22, Б76].

იაშთხვა (სურ. 16). გაითხარა ორი ინჰუმაციური ორმოსამარხი. № 1 სამარხში დადასტურდა ბრინჯაოს ორი ფიბულა (კატ. 632, 633 – III 13 d). ფიბულის რკალი წარმოადგენს ნაჭდევი ორნამენტით შემკულ რომბისებურ ფირფიტას. სამარხები თარიღდება ძვ.წ. V ს-ით [კვირკველია 1978, გვ. 75, 76, ტაბ. 285,6].

სოხუმის მთა (სურ. 11). აღმოჩნდა სამარხეული ინვენტარის კომპლექსები № № 11, 12, კრემაციული სამარხები № № 1, 2 და ლითონის გამოდნობა-ჩამოსხმასთან დაკავშირებული ნაშთები. მიწის სამუშაოებისას შემთხვევით გამოვლინდა განძი, სამარხი № 1 და სამარხეული ინვენტარის კომპლექსები № № 2-10. ორი ფიბულა, ვერცხლისა და ბრინჯაოსი, რომელთა რკალი წარმოადგენს ნაჭდევი ორნამენტით შემკულ რომბისებურ ფირფიტას, აღმოჩნდა ძვ.წ. VI ს-ით დათარიღებულ № 1 კრემაციულ სამარხში, ხოლო ასეთივე 2 ცალი ვერცხლის ფიბულა № 2 კრემაციულ სამარხში [კალანდაძე 1954, გვ. 54, 55, სურ. 25, ტაბ. VI1, 2, 15.] (კატ. 634-637 - III 13d).

ჯანტუხი (ტყვარჩელი) (სურ. 17, 18). სამაროვნის საზღვრები ვერ დაფიქსირდა. სავარაუდოა, რომ კოლექტიური სამარხი იყო. გამოიყენებოდა როგორც ინჰუმაცია, ასევე კრემაცია. ინჰუმაციის შემთხვევაში შესაძლოა მეორად დაკრძალვასაც ჰქონდა ადგილი. აღმოჩენილია 58 ბრინჯაოსა და 7 რკინის ფიბულა [Шамна 1984, გვ. 32, 33, 40]. ისინი შემდეგი ტიპისაა:

III ტიპი. მაღალრკალიანი.


1-28. რკალი მრგვალგანივკვეთიანია, სადა [Шамна 1984, სურ. 211,13,14,20-25, 253-19,35] (კატ. 78-105 - III 1 a). 29-35. რკალი მრგვალგანივკვეთიანია, სადა. რკალის თავსა და ბოლოში დისკოებით [Шамна 1984, სურ. 216,8, 251,2,21,23]¹⁶⁴ (კატ. 408-413 - III 8).

36-43. რკალი მრგვალგანივკვეთიანია. თევზიფხურით შემკული. რკალის თავსა და ბოლოში დისკოებით [Шамна 1984, სურ. 211,4,10,11,17] (კატ. 431-435 - III 8 c). 44. ჯანტუხი. ნახევარწრიული განივკვეთით (მ. შამბას მიხედვით - “თევზისებური რკალით”) [Шамна 1984, გვ. 41, სურ. 2116] (კატ. 462 - III 8 e). 45. რკალი რომბულგანივკვეთიანი, სადა [Шамна 1984, სურ. 219] (კატ. 373 - III 7 a). 46. რკალი რომბულგანივკვეთიანი, თევზიფხურით შემკული [Шамна 1984, სურ. 21 7, 15] (კატ. 388, 389 - III 7 b). 47. რკალი სიგრძივ დაღარული, განივი ჭდეებით. [Шамна 1984, სურ. 2119] (კატ. 322 - III 4 c). 48. რკალზე სიგრძივი წნულებით (?) [Шамна 1984, სურ. 213] (კატ. 323 - III 4 d). 49. რკალი ოვალური ფირფიტა [Шамна 1984, სურ. 2532, 37]. 50-61. მხოლოდ ფიბულის ზამბარები [Шамна 1984, სურ. 25]. 62. ბუდე [Шамна 1984, სურ. 2118]. 63-65. რკინის ფიბულები [Шамна 1984, სურ. 2533,34,36].

ძეგლის გამთხრელი გ. შამბა ჯანტუხის სამაროვნის ფიბულებს ძვ.წ. VII ს-ს მიაკუთვნებს [Шамна 1984, გვ. 41, სურ. 2116].

¹⁶⁴ სამწუხაროდ, რადგან მასალას მხოლოდ ლიტერატურის მიხედვით, ავტორისეულ ტაბულაზე დაყრდნობით ვიცნობთ, შესაძლებელია, მოცემულ ფიბულათა რაოდენობა არ დაემთხვას ჩვენს მიერ გამოყოფილ ტიპებს.

ემერის კრომლები (სურ. 48). ფიბულა (კატ. 925) რკინისაა და რკალზე შემოხვეული აქვს თხელი მავთული (ბრინჯაოსი?). თუ რომელი კრომლებიდანაა გ. შამბას ტექსტის მიხედვით, არ ჩანს. ძეგლი დათარიღებულია ძვ.წ. II ათასწ. პირველი ნახევრითა და ძვ.წ. I ათასწ. პირველი ნახევრით [Шамба 1974, გვ. 43, 44 ტაბ. XXVII15].



ნახევარმთვარისებრი ფორმისაა, ოდნავ შესქელებული მუცლით, ზურგზე ბიბილოსებრი ქედით.¹⁶⁵


კისტრიკი (სურ. 49). ნამოსახლარის ტერიტორიაზე გაითხარა ერთადერთი ორმოსამარხი, რომელიც ძვ.წ. VII-VI სს-ით თარიღდება [Бжания, Кобахия, Хибна გვ. 12, 13]. ამავე სამარხს ნ. დოლიძე ძვ.წ. VI-V სს-ით ათარიღებს [დოლიძე 1999, გვ. 36, 67]. სამარხში სამაჯურებთან, საკისრე რკალთან და იარაღთან ერთად აღმოჩნდა ორი სხვადასხვა სახის ფიბულაც. ორივე III ტიპისაა: 1. რკალი მრგვალგანიკვეთიანია, შემსხვილებული, შემოსაზღვრული ღრმა ნაჭდევებით. ბუდე გაგანიერებული. 2. რკალი

სურ. 48. ემერის კრომლების ინვენტარი და ფიბულა (კატ. 925)

შემთხვევითი აღმოჩენები:

პრიმორსკოე (გუდაუთის რ-ნი) (სურ.50). მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით აღმოჩნდა სამარხი კომპლექსი. ვ. სტრაჟოვის აღწერით აღმოჩენის ადგილას დაფიქსირდა ქვიშაქვის ფილებზე ჩონჩხის ნაშთები, ბრინჯაოს ნივთის რამდენიმე ფრაგმენტი და ნატეხები ორი დიდი თიხის ურნისა, რომელშიც ეწყო ნივთები: ბრინჯაოს ორი ცული, მახვილი, ფიბულა (კატ. 148 - III 2 a), საყელური სპირალური ბოლოებით (გვერგვი), ბიკონუსური სპირალური საკიდები, სამი შუბისპირი, კონუსურწვერიანი და ფურცლოვანი ბრინჯაოსაგან შედგენილი ნივთი (ბ. კუფტინის მიხედვით მუზარადის ფრაგმენტი), ქვის სალესი [Стражев 1926, გვ. 106, 107; Куфтин 1949, გვ. 139-147, ტაბ. XI-5, 7-9].

¹⁶⁵ აღნიშნული ფიბულის შესახებ იხ. აქვე, III 24 ტიპი (კატ. 697).



სურ. 49. კისტრიკის სამარხის ინვენტარი და ფიბულები
(1 – კატ. 697; 2 – აქვე, შენ. 138)


პრიმორსკოეს კოლექცია ბ. კუფტინს ზოგადად გვიანი ბრინჯაოთი დათარიღებული ძეგლების რიგში აქვს მოქცეული [Куфтин 1949, გვ. 139, 140], თუმცა, “მუზარადისათვის” მოტანილი პუბლიკაციებით, როგორც ჩანს, არ გამოორიცხავდა ძვ.წ. VI, და VI-V სს-საც კი [Куфтин 1949, გვ. 141, 146]. ეს “მუზარადი” გ. შამბას კოლექციის დამათარიღებლად მიაჩნია. ბ. პიოტროვსკიზე დაყრდნობით მას ურარტულ-ასურულ ტიპად მიიჩნევს და ძვ.წ. VIII-VII სს-ით განსაზღვრავს [Пиотровский 1959, გვ. 166, 167; Шамба 1984, გვ. 62, 63].¹⁶⁶

აქვე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ერთ-ერთი ცული გრავირებულია [Куфтин 1949, გვ. 140]. კოლექციის ადრეულობას გამორიცხავს აგრეთვე შუბისპირის მასრები [Куфтин 1949, გვ. 140; ფანცხავა 1988]. პრიმორსკოეს მსგავსი ფიბულები თლიას სამაროვნისათვის შემუშავებული ქრონოლოგიურ-ტიპოლოგიური შკალის მიხედვით ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევრითა და VI ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება [სულავა 2000a, ტაბ. I5,6,7].

ახალი ათონი (სურ. 51/1. კატ. 694 - III 22). ფიბულა ინახება ა. ლუკინის კოლექციაში სანკტ-პეტერბურგის ერმიტაჟში [Лукин 1941, გვ. 43-45; Куфтин 1949, გვ. 160, 161]. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ანალოგიური ტიპოლოგიური ნიშნების მქონე ფიბულები [Куфтин 1949, სურ. 293], მხოლოდ ეგეოსურ სამყაროშია გავრცელებული. ბ. კუფტინის განსაზღვრით ფიბულა ნავისებურია (a navicella) და ქრ. ბლინკენბერგის მიხედვით გეომეტრიული ეპოქის სტილის ძვ.წ. X-IX სს-ის ატიკურ ფიბულებს

¹⁶⁶ შდრ. Воронов 1980, გვ. 208, 208 _ ძვ.წ. VIII ს-ის ბოლო – VII ს-ის პირველი ნახევარი; Иванчик 2000, გვ. 207 _ ძვ.წ. X ს-ის მეორე ნახევარი – IX ს-ის დასაწყისი.

განეკუთვნება [Blinkenberg 1926, სურ. 189; Куптин 1949, გვ. 161]. უკანასკნელი ხანის გამოკვლევებით მისი პირდაპირი ანალოგია, ფიბულა ვროკასტროდან (კრეტა) თარიღდება გეომეტრიული ეპოქის ბოლოთი და არქაული ხანის დასაწყისით [Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 107, ტაბ. 431495]. ახალი ათონის ნავისებური ფიბულა ამ ტიპის ერთადერთ იმპორტულ ფიბულად ითვლებოდა შავიზღვისპირეთში და ის ასახავდა კოლხეთის კოლონიზაციამდელ კონტაქტებს ეგეოსურ სამყაროსთან, რაც საფიქრებელია, საზღვაო გზით ხორციელდებოდა [სულავა 1999, გვ. 31, 63; შდრ. სულავა 2001, გვ. 74-76; Sulava 2003, გვ. 273-275] (იხ. აქვე, ტიპი III 22).




სურ. 50. პრიმორსკოეს სამარხეული კომპლექსი.

1 – ფიბულა (კატ. 148).

ფსირცხა (გუდაუთის რ-ნი) (სურ. 51/2. კატ. 695). ინახება ა. ლუკინის კოლექციაში სანკტ-პეტერბურგის ერმიტაჟში (Эрмитаж, ОИПК, კოლ. 1291, 152). იმეორებს ახალი ათონის ფიბულის ტიპოლოგიურ ნიშნებს, ე.ი. აფხაზეთის სანაპიროზე ორი იმპორტული ნავისებური ფიბულაა დადასტურებული [სულავა 2001, გვ. 74-76] (იხ. აქვე, ტიპი III 22).

გუდაუთა (სურ. 51/4. კატ. 658 - III 17). დანგრეული სამარხებიდან [Куфтин 1949, გვ. 241, სურ. 545]. ფიბულის ზურგს ჭრილა როზეტის ფორმა აქვს, რომლის კიდეებიც შემკულია მსხვილი ბურთულებით. ანალოგიური ფიბულები ცნობილია წითელი შუქურას სამაროვნიდან (წმ № 38(55), 2 ცალი ფიბულა).

აბგარხუკი (სურ. 51/10. კატ. 650 -III 13f). ბრინჯაოს ფირფიტისებური ფიბულა, რომლის ფორმის ზურგით, რომელიც შემკულია ირიბი ნაჭდევებითა და რგოლებით. ბუდე ოდნავ გაგანიერებულია [Куфтин 1949, გვ. 160, სურ. 291]. ანალოგიური ფიბულები აღმოჩენილია: სოხუმის მთაზე, იაშთხვაზე, გუადიხუზე, წითელ შუქურაზე.



სურ. 51. 1 – ახალი ათონი (კატ. 694); 2 – ფსირცხა (კატ. 695); 3 – ეშერა (კატ. 407);
4 – გუდაუთა (კატ. 658); 5-7 – მიცარი (კატ. 656, 657, 655);
8,9 – ეუნეპლი (კატ. 654, 639); 10 – აბგარხუკი (კატ. 650).

მიცარი (გუდაუთის რ-ნი) (სურ. 51/5-7). სამი ფიბულაა აღმოჩენილი:

1. რკალი ჭრილა (დაფანჯრული) როზეტია, რომელიც აქეთ-იქიდან შემოსაზღვრულია ღრმა ნაჭდევებით [Куфтин 1949, გვ. 241, 242, სურ. 547] (კატ. 657 -III 17). ანალოგები არ მოეძებნება. 2. რკალი ჭრილა როზეტია, რომლის კიდეებიც შემკულია მსხვილი ბურთულებით [Куфтин 1949, გვ. 241, 242, სურ. 546] (კატ. 656 -III 17). ანალოგიური ფიბულები ცნობილია გუდაუთიდან [Куфтин 1949, გვ. 241, სურ. 545] და წითელი შუქურას სამაროვნიდან (იხ.: აქვე, III 17). 3. რკალი სიგრძივ შუაზე გაყოფილი ღეროა, რომელიც გარეთა მხრიდან შემკულია ღრმა ირიბი ნაჭდევებით. აქეთ-იქიდან შემოსაზღვრულია ცხვრის სკულპტურული თავებით (კატ. 655 - III 16). ანალოგები არ მოეძებნება.

ეუნეპლი (სურ. 51/8,9). 2 ცალი ფიბულა. მიცარის სოფ. საბჭო, ბზიფის აფხაზეთი. აფხაზეთის მუზეუმი. ა. ლუკინის კოლექცია (10-66:13, № 637/3, (10-66:18, № 646/1).¹⁶⁷

¹⁶⁷ ორივე ფიბულას ვიცნობ რ. აბრამიშვილის ჩანახატის მიხედვით.

აღმოჩენილია 1937 წ. ესენია: 1. რკალი ოვალური ფირფიტაა, შუაში სიგრძეზე წნული ორნამენტით (კატ. 639 - III 13 e). ზუსტად ანალოგიური ფიბულა უცნობია. 2. რკალის შუა ნაწილი შემსხვილებულია, რომელზეც ლურსმნისებური შვერილებია. შემოსაზღვრულია ღრმა, განივი ნაჭდევებით. ბუდე განიერია (ნაკლული) (კატ. 654 - III 15). ანალოგები უცნობია.

ეშერა (სურ. 51/3). ფიბულა რკალშემსხვილებულია. რკალის თავსა და ბოლოში დისკოსებური შვერილებით. ბუდე განიერი [Куфтин 1944, გვ. 316, სურ. 143] (კატ. 407 - III 8 a).

ცენტრალური კოლხეთი. ცენტრალურ კოლხეთში ფიბულები აღმოჩენილია სამეგრელოსა და გურიის სამაროვნებზე. სამეგრელოდან ფიბულები ცნობილია: ერგეტის, დღვაბის, პალურის, მუხურჩის სამაროვნებიდან, კინჩხადან, სამურზაყანოდან, ჯვარიდან, სულ 23 ცალი.

ერგეტა (სურ. 4, 5). სამაროვანზე სულ 7 ფიბულაა აღმოჩენილი: I სამაროვნის № 5 სამარხ ორმოში აღმოჩნდა 1 ბრინჯაოს და 2 რკინის ფიბულა [პაპუაშვილი 1998, ტაბ. XXXIV97,98]. II სამაროვნის № 4 სამარხ ორმოში აღმოჩნდა რკინის ფიბულა. სამაროვანი დათარიღებულია ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევრითა და VII ს-ის პირველი ნახევრით [პაპუაშვილი 1999, გვ. 9, ტაბ. IV58]. III სამაროვნის № 1 სამარხ ორმოში აღმოჩნდა 1 ბრინჯაოსა და 1 რკინის ფიბულა [პაპუაშვილი 1998, ტაბ. XL40,42].

ერგეტის სამაროვნის ბრინჯაოს ფიბულები, რომლებიც ტიპოლოგიურ განსაზღვრას ექვემდებარებიან, ორი სახისაა: 1. ბრტყელრკალიანი, რკალზე ჭდეული წრეებით, ბუდე გაგანიერებული (ერგეტა I 5; კატ. 652 -III 13 გ); 2. რომბულგანივკვეთიანი რკალით, რომელიც დაფარულია წნული ორნამენტით. ბუდე ნაკლულია (კატ. 392 - III 7 b).

დღვაბა (სურ. 6). ფიბულა აღმოჩენილია № 2 სამარხ ორმოში.¹⁶⁸ ფიბულა ბრინჯაოსია, დაბალრკალიანი, გრეხილღეროიანი, ოდნავ გაგანიერებული ბუდით (კატ. 27 - I 3).

პალური (სურ. 7). სამი ფიბულადან ორი აღმოჩენილია № 24 სამარხში: III ტიპი: 1. მაღალრკალიანი, რკალის თავსა და ბოლოში შემსხვილებებით (კატ. 399 - III 8 a); IV ტიპი: 2. ბრტყელი რკალი წარმოადგენს ცხოველის გამოსახულებას და დაფარულია თევზიფხური ნაჭდევებით (კატ. 699 - IV 1). ქვაყრილიდან მომდინარე მესამე ფიბულა რკინისაა. ძველი დათარიღებულია ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრითა და VI ს-ის დასაწყისით [ბარამიძე 1977, გვ. 29, 30, ტაბ. VII1].

მუხურჩა (სურ. 8). მუხურჩის სამაროვანზე 11 ფიბულაა აღმოჩენილი.

I ტიპი _ დაბალრკალიანი:

1. გრეხილღეროიანი. ადგილი “პეტრეს ნაკარუ” [ელიავა 1987, გვ. 32, ტაბ. 23] (კატ. 25 - I 3). 2. მრგვალგანივკვეთიანი დაბალი რკალით. რკალზე ირგვლივი ღრმა ღარებით. ბუდე აკლია (სემ კოლ. 81-976/239). გამოუქვეყნებელი¹⁶⁹ (კატ. 160 - III 2a).

III ტიპი _ მაღალრკალიანი:

3. გრეხილრკალიანი. მხოლოდ ნემსისა და რკალის ფრაგმენტია (სემ კოლ. 81-976/274; კატ. 27 - I 3). გამოუქვეყნებელი. 4. რკალი მრგვალგანივკვეთიანი, სადა. ბუდე ნაკლული (სემ კოლ. 81-976/991) (კატ. 50 - III 1a). 5. რკალი მრგვალგანივკვეთიანი. ეტყობა თევზიფხურის კვალი. ბუდე რკალის სიმეტრიულია (სემ კოლ. 81-976/501).


¹⁶⁸ ფიბულა გამაცნო ისტ. მმეც. კანდ. რ. პაპუაშვილმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ.

¹⁶⁹ მუხურჩის მასალის გაცნობისათვის მადლობას მოვახსენებ აწ განსვენებულ ისტ. მმეც. კანდ. ე. გოგამეს.

გამოუქვეყნებელი (კატ. 160 - III 2 a). 6. მრგვალგანივკვეთიანი რკალით. ძლიერ ფრაგმენტირებული [ელიავა 1987, გვ. 54, ტაბ. 42]. 7. ყვავილისებურგანივკვეთიანი რკალით, რომელიც დაფარულია სიგრძივი ღარებითა და განივი ნაჭდევებით. ბუდე ოდნავ გაგანიერებული (სემ 81-976). გამოუქვეყნებელი (კატ. 324 - III 4 c). 8. რომბულგანივკვეთიანი რკალით. ძლიერ ფრაგმენტირებული (სემ კოლ. 81-976/145). გამოუქვეყნებელი. 9. მრგვალგანივკვეთიანი რკალით. თავსა და ბოლოში შემსხვილებით. ბუდენაკლული (სემ კოლ. 81-976/915; კატ. 397 - III 8 a). 10. რკალი ბრტყელი, შემკული ჭდეული რგოლებით, ირიბი და ჯვადინა ნაჭდევებით. ბუდე ოდნავ გაგანიერებული (სემ კოლ. 81-976/498). გამოუქვეყნებელი (კატ. 651 - III 13 გ). 11. რკალი ბრტყელი, ფირფიტისებრი. შემკულია თევზიფხური ზოლებით (სემ კოლ. 81-976/992). გამოუქვეყნებელი (სურ. 810).

მუხურჩის ფიბულები სამაროვნის ადრეულ საფეხურს განეკუთვნება და ძვ.წ. VIII-VII ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება [Гогодзе, Панцхава, Дариспанашვილი 1977, გვ. 63, 64].

სამეგრელოდან შემთხვევითი მონაპოვრის სახით ფიბულები ცნობილია – კინჩხადან, სამურზაყანოდან და ჯვარიდან (ტაბ. 52): 1. ბრტყელგანივკვეთიანი, რკალზე გრავირებული სვასტიკებით. კინჩხა (გორდის მახლობლად) (კატ. 349 -III 6 c). ინახება ქუთაისის მუზეუმში - № 1575 [Иващенко 1941, გვ. 37, სურ. 18d]. 2. რკალი მრგვალგანივკვეთიანი. თავსა და ბოლოში შემსხვილებით. დაფარულია განივი წიწვებით. ბუდე გაგანიერებული. სამურზაყანო (სემ კოლ. 3-21/1) [Куфтин 1949, გვ. 139] (კატ. 428 - III 8 c). 3. რკალი მრგვალგანივკვეთიანი. თავსა და ბოლოში შემსხვილებით. რკალს სიგრძეზე დაუყვება კლავნილი ორნამენტი. ბუდე ნიჩბისებრი (კატ. 447 - III 8 e). ფიბულა ჯვარის განძიდანაა, რომელშიც ფიბულის გარდა შედის: კოლხური ცული, თოხი, გვერგვი, რგოლი, სპირალური მილისებრი ხვია [ОАК 1908, გვ. 103; Куфтин 1949, გვ. 139; Иессен 1953, გვ. 64, სურ. 8; ქორიძე 1965, გვ. 40, სურ. 33].



სურ. 52. 1 – ჯვარი (კატ. 447);
2 – სამურზაყანო (კატ. 428);
3 – კინჩხა (კატ. 349).

გურიიდან ფიბულები ცნობილია ურეკისა და ნიგვზიანის სამაროვნებიდან.

ურეკი (სურ. 1). სამაროვანზე 9 ფიბულაა აღმოჩენილი (აქედან 3 ბრინჯაოსა და 3 რკინის ფიბულა № 3 სამარხ-ორმოსეკუთვნის): 1, 2. მრგვალგანივკვეთიანი და დაწახნაგებული რკალით. ნაკლული. ბრინჯაოსი. აღმოჩენილია სამარხებს გარეთ [მიქელაძე 1985, ტაბ. XXVII948,949] (კატ. 3 - I 1, 326 - III 5a). 3. რომბულგანივკვეთიანი რკალით. ნაკლული. ბრინჯაოსი. № 3 სამარხი ორმო [მიქელაძე 1985, ტაბ. XIII675] (კატ. 350 - III 7a). 4. მრგვალგანივკვეთიანი რკალით, რომლის თავსა და ბოლოში დისკოსებური შემსხვილებებია. ბუდე გაგანიერებულია. ბრინჯაოსი [მიქელაძე 1985, ტაბ. XIII676] (კატ. 449 - III 8 გ). 5. ფირფიტისებურრკალიანი, რკალის თავსა და ბოლოში ასტრაგალისებრი შემსხვილებებით. მაღალი, განიერი ფეხით. ნემსზე დისკოსებრი შემსხვილებით. ბრინჯაოსი [მიქელაძე 1985, ტაბ. XIII677] (კატ. 698 - III 25). 6. მრგვალგანივკვეთიანი რკალით. აღმოჩენილია სამარხებს გარეთ [მიქელაძე 1985, გვ. 113, ტაბ. XXVIII(950)]. 7-9. რკინის. № 3 სამარხი ორმო [მიქელაძე 1985, ტაბ. XIII678,679,680]. ურეკის სამაროვანი ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევარი - VI ს. თარიღდება [მიქელაძე 1985, გვ. 88-91].

ნიგვზიანი (სურ. 2, 3). სამაროვანზე ბრინჯაოს 5 ფიბულაა აღმოჩენილი:

1, 2. მრგვალგანივკვეთიანი რკალით. სადა. № 1 სამარხი ორმო [მიქელაძე 1985, ტაბ. XLI1414,1415] (კატ. 4, 5 - I 1). 3, 4. მრგვალგანივკვეთიანი რკალით. შემკულია დაშორებული თევზიფხური ზოლებით. № 1 სამარხი ორმო [მიქელაძე 1985, ტაბ. XLI1416,1417] (კატ. 44, 45 - II 2). 5. მრგვალგანივკვეთიანი რკალით. შემკულია დაშორებული თევზიფხური ზოლებით. № 6 სამარხი ორმო [მიქელაძე 1985, ტაბ. XLVI1557] (კატ. 46 - II 2).

ნიგვზიანის ბრინჯაოს ფიბულები, როგორც ვნახეთ, თავისი ტიპოლოგიური ნიშნებით ერთ-ერთი ყველაზე ადრეულია კავკასიაში. № 1 სამარხი ორმოს ფიბულები ტიპოლოგიურად ოდნავასიმეტრიულრკალიან ფიბულებს (II ტიპი) განეკუთვნებიან. თლიას სამაროვანზე ანალოგიური ფიბულები IX-VIII სს-ის მიჯნიდან უნდა ვრცელდებოდნენ და ძვ.წ. VII ს-ის პირველ ნახევრამდე აღწევდნენ [სულავა 2000a, ტაბ. I2,3,4]. ნიგვზიანის № 6 სამარხი-ორმოს ფიბულაც ასევე ადრეული იერის მატარებელია თავისი დაბალი რკალითა და დაშორებული თევზიფხური ორნამენტით [შდრ. სულავა 2000a, ტაბ. I1]. ვფიქრობთ, თუ გავიზიარებთ ერგეტის II სამაროვნის № 4 სამარხი ორმოს დათარიღებას ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევრითა და VII ს-ის პირველი ნახევრით [პაპუაშვილი 1999, გვ. 9], შესაძლებლად მივიჩნევთ ნიგვზიანის № 1 და № 6 სამარხი ორმოების იგივე ხანით დათარიღებასაც.

სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთი. ბ. კუფტინის მიხედვით ფიბულები აღმოჩენილია ქობულეთსა და ხუცუბანს შორის [Куптин 1949, გვ. 133; რამიშვილი 1974, გვ. 17, 18] (კატ. 56 -III 1 a).


შემთხვევითი მონაპოვრის სახით ერთი ფიბულა ცნობილია ვაკიჯვარიდანაც (კატ. 149 - III 2 a), რომელსაც ვაკიჯვარის განძთან კავშირი არა აქვს [რამიშვილი 1974, გვ. 26, ტაბ. XVII1].

ფიქვნარის (ქობულეთის რ-ნი) (სურ. 9/1-8) სამაროვანზე ფიბულები აღმოჩენილია როგორც კოლხურ, ისე ბერძნულ ნეკროპოლზე. ისინი ნახევარწრეზე ოდნავ დაბალი მოყვანილობისაა¹⁷⁰ და წარმოდგენილია ოთხი სახეობით: 1. სადარკალიანი (კატ. 6 - I 1), 2. ნაჭდევებით შემკული რკალით (კატ. 150-154 - III 2 a), 3. გრებილრკალიანი (კატ. 560 - III

¹⁷⁰ კორპუსის დაბალთაღიანობა (დაბალრკალიანობა), რა თქმა უნდა ტიპოლოგიური ნიშანია, მაგრამ ამ შემთხვევაში, ქრონოლოგიის გათვალისწინებით, უფრო ლოკალურობის მაჩვენებელი უნდა იყოს და ამ ტიპის ფიბულის დიდი სიცოცხლისუნარიანობის.

12 a), 4. მძივისებურკალიანი (კატ. 470-472 - III 9a). ისინი ძვ.წ. V-IV სს-ს განეკუთვნებიან [Кахидзе, Сулава 2005, გვ. 57-66].


ბერძნულ სამაროვანზე № 49 და № 82 სამარხში აღმოჩენილი ფიბულები (კატ. № 470, 471) ვერცხლისაა და ანალოგიურია ვანში № 6 და № 11 სამარხებში აღმოჩენილი ოქროს ფიბულებისა [სულავა 1998, გვ. 58, ტაბ. I2,3,4], ტაბ. XXIII). დიდპალმეტებიანი კერამიკის მიხედვით ფიჭვნარის № 49 სამარხი ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება [სიხარულიძე 1987, გვ. 95].



სურ. 53. კრასნოდარის მხარე.

- 1 – სოჭი, ინვენტარი ფიბულით. (კატ. 608); 2 – ორი ფიბულა სობოლევიდან (კატ. 662, 663);
3 – ფიბულებიანი კომპლექსი სობოლევიდან.


წონიარისში აღმოჩენილი ფიბულები (სურ. 9/9,10) (კატ. 284, 285 - III 3 b 1) თავისი მასიურობით უფრო მთიანი რეგიონისთვის უნდა იყოს დამახასიათებელი. განივი წიწვებით შემკული რკალით ისინი უფრო თლია, მზეთამზე, ყობანის ფიბულებს გვანან და ქრონოლოგიურადაც იმავე პერიოდით უნდა დათარიღდნენ.



სურ. 54. სუკოს ველის ფიბულა (კატ. 461) და კომპლექსი.

ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის მასალა. კრასნოდარის მხარე (სურ. 53). კრასნოდარის მხარიდან ფიბულები ცნობილია სოჭის მიდამოებიდან – მაღალრკალიანი, გრეხილეროიანი, გაგანიერებული ფეხით (1 ცალი) (კატ. 608 - III 12 b) [Воронов 1979,

გვ. 58, სურ. 2617]¹⁷¹ და სობოლევიდან (სამარხეული კომპლექსი) – “აჭურულრკალიანი”, 2 ცალი (კატ. 662, 663 – III 17) (ანალოგიური აფხაზეთისა – ნ.ს.), რომელიც ი. ვორონოვის აზრით, ბერძნული კოლონიზაციის დროინდელია [Воронов 1979, გვ. 69, სურ. 3310,11]. ჩვენი აზრით, სობოლევიკას ეს კომპლექსი ძვ.წ. VI-IV სს-ით უნდა დათარიღდეს, რადგან აქ ზედა თარიღს მარკირებას უკეთებს სამაჯური, რომლის შემკულობაც დამახასიათებელია აქემენიდური ხანის სამკაულისათვის [სულავა 1998, გვ. 63], ხოლო ქვედა თარიღს რკინის ცული [Квирквелия 1981, გვ. 5].



სურ. 55. 1 – ქერჩი; 2 – ოლბია; 3 – ლუკიანოვკა; 4 – შიროკოე; 5 – ლუკაშევკა; 6 – სტეპნოსის სამაროვნის № 3 ყორღანის № 1 სამარხის ფიბულა; 7 – გრებენი.

ერთი ფიბულა ცნობილია სუკოს ველიდან (ანაპასთან) (სურ. 54). ესაა რკალზე დისკოსებურშემსხვილებებიანი, გრავირებულზურგიანი და განიერფეხიანი ფიბულა. რკალი მსხვილი და ორივე მხრიდან დაბრტყელებულია (კატ. 461 – III 8 k). სუკოს ველის კოლექცია ძვ.წ. IX ს-ის ბოლოთი და VI ს-ის დასაწყისითაა დათარიღებული [Новоцихин 1995, გვ. 65, 66]. ფიბულას მკვეთრად გაგანიერებული ფეხი ნივთის გვიანდებლობაზე მიუთითებს და ის ძვ.წ. VII-VI სს-ზე ადრეული არ უნდა იყოს [სულავა 2000a, გვ. 45, ტაბ. I16-18].

ყირიმი, სამხრეთ უკრაინა, მოლდავეთი (10 ცალი ფიბულა) (სურ. 55).

¹⁷¹ როგორც ჩანს, ი. ვორონოვს სოჭის მიდამოების მასალა ერთ ტაბულაზე აქვს გაერთიანებული, სადაც წარმოდგენილია კოლხური ცულიცა და აკინაკიც. მთელ მასალას ის ძვ.წ. X-VII სს-ით ათარიღებს. ჩვენი აზრით, ფიბულა ძვ.წ. VII-VI სს-ით უნდა დათარიღდეს.

1. ყირიმი. ქერჩიდან ცნობილია ორზამბარიანი სერპანტინისებური ფიბულა, რომელსაც უკანა ზამბარა დიდი ზომისა აქვს. ბუდე ნაკლულია [Мелюкова 1979, გვ. 62, სურ. 195]. ფიბულა უნდა შეესაბამებოდეს ი. ზუნდვალის D II a b e ტიპს და ძვ.წ. X ს-ის ბოლოთი და VIII ს-ით თარიღდება [Sundwal 1943, გვ. 47]. ის ზედმიწევნით უნდა იმეორებდეს ლომბარდიაში (ზანცკა) აღმოჩენილ ე.წ. დისკოსებურბუდიან ფიბულას, რომელიც რკინის ხანის პირველი ფაზით თარიღდება [Eles Masi 1986, გვ. 210, ტაბ. 1622127]. ანალოგიური ფიბულები ერმიტაჟის იტალიურ კოლექციაშიცაა [Мавлеев 1997, 7. В. 1351].

2, 3. ლუკიანოვსკის ყორღანიდან და შიროკოეს სამაროვნიდან (ქერსონესი) ცნობილია ორი ორზამბარიანი ხემისებური ფიბულა [Tallgren 1931, გვ. 176; Треножкин 1965, გვ. 75, სურ. 41; Шарафутдинова 1968, გვ. 31, სურ. 368; Мелюкова 1979, გვ. 60-62, სურ. 132, 191; Лесков 1971, გვ. 84, სურ. 231].

ორმლევანი¹⁷² ხემისებური ფიბულები აღმოსავლეთ სერბიიდან, სიცილიიდან, ალბანეთიდან, ზოგადად ძვ.წ. XI-X სს-ით თარიღდება [Vasić 1999, გვ. 15, 16, ტაბ. 218-21; Müller-Karpe 1959, ტაბ. 4, H3, სურ. 327].

ა. ტერენოჟკინი ლუკიანოვსკის ყორღანის ფიბულას იტალიის ხემისებურ ფიბულასთან აკავშირებს, ანალოგები მოჰყავს სიცილიიდან და ჰ. მიულერ-კარპეს მიხედვით ძვ.წ. XI-IX სს-ით თარიღებს [Müller-Karpe 1959, გვ. 23-25, სურ. 327 ტაბ. 4, П2, ტაბ. 69; Треножкин 1965, გვ. 75]. ი. შარაფუტდინოვაც სიცილიის ანალოგებსა და ჰ. მიულერ-კარპეს თარიღს იშველიებს [Шарафутдинова 1968, გვ. 31]. ამასთან, რ. პიტონიზე და ი. შეფერზე დაყრდნობით მოჰყავს პარალელები წინა აღმოსავლეთის მასალებიდან (ჰამა, აბუხავამი) და ავსტრიიდან [Шарафутдинова 1968, გვ. 31; Pitioni 1954, გვ. 420; Schaeffer 1948, გვ. 113].

თითქმის ყველა ავტორთან ეს ორივე ფიბულა ერთადაა განხილული, და გარკვეულწილად ეს ასეც უნდა იყოს, რადგან ისინი ერთი ტიპისაა, მაგრამ მათ შორის არის განსხვავებაც: ლუკიანოვსკის ფიბულა ტიპიური ხემისებური ფიბულაა ორი მარყუჭით, ანუ ის მართლაც ადრეულია ტიპოლოგიური თვალსაზრისითაც. ხოლო შიროკოეს ფიბულა არაა ხემისებური. მართალია, მასაც ორი მარყუჭი აქვს, მაგრამ რკალი მომრგვალებულია. ვფიქრობთ, ის ლუკიანოვსკის ფიბულასთან შედარებით რამდენადმე ახალგაზრდაა და ამდენად, ამ ორი ფიბულის ერთად განხილვა მართებული არ უნდა იყოს.

4. ოლბიიდან ცნობილია ორზამბარიანი (მცირე ზომის ზამბარებით) სერპანტინისებური ფიბულა [Мелюкова 1979, გვ. 62, სურ. 194]. ანალოგიური, ოღონდ ჩვენი აზრით რეპარირებული, ცნობილია ცენტრალური ბალკანეთიდან (ზემუნი). ისინი საყოველთაოდაა დამახასიათებელი ძვ.წ. IX ს-თვის, მაგრამ გამოყენებაში ძვ.წ. VIII ს-შიც ყოფილა [Vasić 1999, გვ. 48, ტაბ. 25285]. ამ ტიპის ფიბულები (ი. ზუნდვალის მიხედვით D II f b) ერმიტაჟის იტალიურ კოლექციაშიცაა [Мавлеев 1997, გვ. 78, 79]. ერთ-ერთი მათგანი (B. 1536) ანალოგიურია სალა კონსილინაში (იტალია, პროვინცია სალერნო) აღმოჩენილი ფიბულისა, რომელიც თარიღდება ძვ.წ. VII ს-ით [Jäkenhövel 1971, გვ. 67, 79, ტაბ. 14].

5. ლუკაშევკაში (მოლდავეთი) აღმოჩენილია ორზამბარიანი წელშეზნექილი ხემისებური ფიბულა, რომლის ქრონოლოგიურ საზღვრებს ა. ლესკოვი ძვ.წ. XI-IX სს-ით განსაზღვრავს [Лесков 1967, გვ. 153].

¹⁷² ამ ტერმინით აღინიშნება უცხოურ სპეციალურ ლიტერატურაში ორზამბარიანი ფიბულები (იხ.: Gergova 1987. Bader 1983).

ლუკაშევკას ფიბულის სრული ანალოგი უნდა იყოს კრეტაზე (კიდონია) აღმოჩენილი მიკენური ხანის ფიბულა [Blinkenberg 1926, I 12a, ფიგ. 27; Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 40, ტაბ. 246]. ი. ზუნდვალის მსგავს ფიბულებს ძვ.წ. IX-VIII სს-ით ათარილებს [Sundwal 1943, ტიპი AIII,j, გვ. 16, 71]. მისი აზრით, ამ ტიპის ფიბულები იტალიურია და მათგან განვითარდნენ გველისებური ფიბულები [Sundwal 1943, გვ. 16].

როგორც ზემოთაც ვახსენეთ, ორშლიეფიანი ხემისებური ფიბულები აღმოსავლეთ სერბიიდანაცაა ცნობილი და დათარილებულია ძვ.წ. XI-X სს-ით [Vasić 1999, გვ. 15, 16, ტაბ. 218-21]. ორზამბარიანი ხემისებური ფიბულები სიცილიიდან და ალბანეთიდან დათარილებულია ძვ.წ. XI ს-ის მეორე ნახევრითა და X ს-ით [Vasić 1999, გვ. 16; Müller-Karpe 1959, ტაბ. 4, H3, სურ. 327].

ლუკაშევკას ფიბულას ბუდე და ნემსი აკლია, რაც გარკვეულწილად გვზღუდავს მსჯელობაში და ზუსტი პარალელების მოძიებაში. დასავლეთ სერბიიდან, სტაპარიდან ცნობილია სამკუთხა ბუდიანი გველისებური, გრეხილრკალიანი ფიბულა, რომელიც, შეიძლება ითქვას, რომ ზუსტად იმეორებს ლუკაშევკას ფიბულის კორპუსს [Vasić 1999, გვ. 53, ტაბ. 27332]. ანალოგიური ფიბულები იტალიიდან და ჩრდილო-დასავლეთ ბალკანეთიდან თარიღდება ძვ.წ. IX-VIII სს-ით [Batović 1960, გვ. 63; Vasić 1999, გვ. 53].

ამგვარად, შესაძლებელი რომ იყოს ფიბულის უფრო ზუსტი ტიპოლოგიური განსაზღვრა, მისი თარიღი უფრო დაზუსტდებოდა (თუმცა, ამ ფიბულის თარიღი აქამდე თითქოს ეჭვს არ იწვევდა). მის გაანალიზებას მხარს უჭერს თანმხლები კერამიკაც (კანელურებიანი ორნამენტით), რომელიც დამახასიათებელია ძვ.წ. X-VIII სს-თვის [Мелюкова 1979, გვ. 62, სურ. 34].

აქ, ალბათ, საინტერესო იქნება ა. მელიუკოვას მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ბულგარეთის ტერიტორიაზე ხემისებური ფიბულები, რომელთა თარიღაც მიღებულია ძვ.წ. XI-X ან X-VIII სს, გვხვდება იმ კომპლექსშიც, რომლებიც ძვ.წ. VII-VI სს-ით თარიღდება [იხ. ა. მელიუკოვასთან – Николов 1965, გვ. 164, სურ. 2].

ლუკაშევკას ტიპის იტალიური წარმოშობის ფიბულა, ერმიტაჟის კოლექციიდანაცაა ცნობილი [Мавлеев 1997, გვ. 78, 4. В. 709].

ადრეული ფიბულების გავრცელების სურათის წარმოსადგენად ალბათ საინტერესო იქნება:

6. სტეპნოსის სამაროვნის (ზაპოროჟიე) № 3 ყორდანის № 1 სამარხში აღმოჩენილი ასიმეტრიული დაბალთადიანი ვიწრობუდიანი ფიბულა [Отрошенко 1975, გვ. 200-203, სურ. 7]. ფიბულის გარდა, სამარხში გამოვლინდა მცირე ზომის ცილინდრულყელიანი და მრგვალმუცლიანი ქოთანიც. საკუთრივ სამაროვნის კერამიკა ანალოგებს ბელოზერსკის ტიპის სამაროვნებისა და ნასახლარების კერამიკასთან პოულობს. ლითონის ნაწარმი წარმოდგენილია ბიმეტალური სატევრით, ბრინჯაოს ზარისებური საკიდებით, თავხვია საკინძითა და თავებგადასული სამაჯურით. სამაროვანზე აღმოჩენილია მინისა და ქარვის მძივებიც. ლუკიანოვსკისა და შიროკოვს ფიბულებზე დაყრდნობით, ბელოზერსკის ძეგლებს ათარიღებენ ძვ.წ. XI-IX სს-ით [Тереножкин 1965, გვ. 75] ან ძვ.წ. X-IX სს-ით [Шарафутдинова 1968, გვ. 51].

სამაროვნის მასალებისა და ფიბულების პარალელების საფუძველზე ვ. ოტროშენკო ფიბულასაც და, საერთოდ, მთლიანად სტეპნოსის სამაროვანსაც ძვ.წ. XI-X სს-ით ათარიღებს [Отрошенко 1975, გვ. 202, 203].

7. გრებენიში (უკრაინა) აღმოჩენილი ფიბულა (ლვოვის მუზეუმი), რომელსაც ისეთივე ღრუ მუცელი აქვს, როგორც ყულანურხვაში აღმოჩენილ ფიბულას (იხ. ქვემოთ). გრებენის ფიბულას ტ. სულიმირსკი წინასკვითურ ხანას მიაკუთვნებს [Sulimirski

1936, გვ. 46, ტაბ. XII2]. ა. შლანკოვნა მას ადრეიტალიურ იმპორტად მიიჩნევს და ძვ.წ. 850-700 წწ-ით ათარიღებს [Szlankovna 1938, გვ. 299, 300].


8-10. მოლდოვეთიდან ძვ.წ. XI-X სს-ით დათარიღებული კაზაკლიას სამაროვნიდან ცნობილია სამი ტიპის ფიბულა: ბრინჯაოსი – დაბალრკალიანი, ორზამბარიანი ხემისებური და რკინის – ასიმეტრიული ხემისებური ჩამომკვებული ფეხით [Agulnikov 1996, გვ. 72, 73, ფიგ. 55, 87, 194].

ამგვარად, როგორც მასალა გვიჩვენებს, დღეისათვის ჩრდ. შავიზღვისპირეთში ადრეული ფიბულების გავრცელება ერთეული (10 ცალი) იმპულსების სახით მოხდა. მათ გადამცემად თრაკიულ ტომებს მიიჩნევენ [Мелюкова 1979, გვ. 62]. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ადრეული ფიბულების უკიდურესი საზღვარი აღმოსავლეთით, სტეპნოია. რაც შეეხება ჩრდ. კავკასიაში ე.წ. “ასიმეტრიული ხემისებური ფიბულის” აღმოჩენის ფაქტს, ზმეისკოეში, უნდა გავიხსენოთ ამ ნივთის განსაზღვრება თავად ძეგლის გამთხრელების მიერ, რომლებიც მას ფიბულად არ მიიჩნევდნენ [Деолик, Крупнов 1961, გვ. 28, სურ. 84]. ალბათ ის ფაქტორიც ყურადსაღებია, რომ სტეპნიდან ზმეისკოემდე უზარმაზარ სივრცეზე არც ერთი ფიბულა არ გვხვდება.

რუმინეთი, ბულგარეთი, თურქეთი. შავიზღვისპირეთის სხვა ქვეყნებიდან (რუმინეთი, ბულგარეთი, თურქეთი), სადაც ფიბულებია გავრცელებული, ჩვენთვის საინტერესოა ის ფიბულები, რომლებიც შეიძლება ტიპოლოგიური ან პირდაპირი ანალოგების სახით ჩვენი მასალის მსგავსად ჩავთვალოთ.

რუმინეთი (სურ. 56/19,20). რუმინეთის მასალებიდან აფხაზეთის ფირფიტისებრ-რკალიანი (რომბული ფორმის, ნაჭდევი ორნამენტით შემკული) ფიბულების მსგავსი უნდა იყოს ფიბულა გოგომუდან [Bader 1983, გვ. 103, 104, ტაბ. 34304]. ანალოგიური, ოღონდ ორმაგმარყუჟიანი ფიბულები აღმოჩენილია დონია დოლინაშიც, სადაც ისინი ძვ.წ. 600-500 წწ-ით თარიღდებიან. ფირფიტისებრკალიანი ფიბულები სამხრ. რუმინეთსა და ჩრდ. იუგოსლავიაშიცაა აღმოჩენილი [Bader 1983, გვ. 104].

თარიღი



სურ. 56. ბულგარეთი: 1. ალტამირი, 2. საკარჩი, 3. ლაზარ სტანევი, 4. პაველსკო, 5. ვარბენი, 6. მეხევი, 7. დობრინა, 8. 11A, 12. დუვანლი, 13. კიროვი, 14. პროგლედი, 15, 16. ვარნის მუზეუმი, 17. კოჩანი, 18. კაზანლაკი. რუმინეთი: 19. გოგომუ, 20. კონსტანცა.

აფხაზეთში (ყულანურხვა) აღმოჩენილი ნავისებური - ღრუმუცლიანი ტიპის ფიბულების მსგავსი, ოღონდ განსხვავებული ბუდით, აღმოჩენილია კონსტანცაში (დობრუჯა) და დასავლეთ ბანატში [Bader 1983, ტაბ. 34346, 347, 348]. ტ. ზადერის მიერ მოყვანილი პარალელებით ისინი გავრცელებულია ჩრდილოეთ იტალიიდან შავი ზღვის

სანაპირომდე. იტალიაში ისინი ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრითა და VI ს-ის პირველი ნახევრით თარიღდებიან; სლოვენიაში – 650-550 წწ-ით. ცალკეული ეგზემპლარები ცნობილია ავსტრიიდან, ზემო ბაიერნიდან, სლოვაკიიდან, უნგრეთიდან, რუმინეთიდან [Bader 1983, გვ. 110]. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლვოვის მუზეუმში დაცული ერთი ფიბულა გრებენიდანაცაა ცნობილი [Sulimirski 1936, ტაბ. XII2].

ბულგარეთი (სურ. 56/1-18). ბულგარეთის მასალებიდან ჩვენი ფიბულების მსგავსი ცნობილია:


– მრგვალგანივკვეთიანი რკალით (ალტიმირი, საკარჩი, ლაზარ სტანევი). როგორც დ. გერგოვა აღნიშნავს, **სამივე ფიბულა**, რომლებიც თავისი ფორმით ერთგვაროვანია, დათარიღებულია ადრერკინის ხანით (ძვ.წ. XI ს.) [Gergova 1987, გვ. 20, ტაბ. 11,2,3, 382], თუმცა ისინი დიდხანს არსებობდნენ. ქრ. ბლინკენბერგის მიხედვით ფიბულები მიეკუთვნებიან II ჯგუფის სუბმიკენურ ტიპებს, რომლებიც სუბმიკენური ხანის შემდეგაც განაგრძობენ არსებობას [Blinkenberg 1926, გვ. 60]. იტალიაში ამ ვარიანტის ფიბულები ვილანოვასა და ესტეს კულტურების II ფაზაშია გავრცელებული და ძვ.წ. IX-VIII სს-ით თარიღდებიან [Müller-Karpe 1959, ტაბ. 90, B6].

– გრებილი რკალით (პაველისკო, ვრბენი). დ. გერგოვა მათ ქრ. ბლინკენბერგის სუბმიკენური ტიპის პროტოგეომეტრიულ ხანაში გავრცელებულ ფიბულებს ამსგავსებს [Blinkenberg 1926, გვ. 58]. მსგავსი ფიბულები ცნობილია კერამიკოსიდან [Schaeffer 1948, გვ. 225, სურ. 80], ვერგინადან, რომელიც პროტოგეომეტრიული ხანის კერამიკის მიხედვით ძვ.წ. X ს-ით თარიღდება [Radt 1948, გვ. 18-20, ტაბ. 18], კრეტადან და თერადან [Blinkenberg 1926, გვ. 65, სურ. 39-41, ტიპი II 7a, 7f; II 8a]. აქამდე აღნიშნული ვარიანტი ბულგარულ სპეციალურ ლიტერატურაში თარიღდებოდა ძვ.წ. VIII-VII სს-ით. ანალოგიებზე დაყრდნობით დ. გერგოვას შესაძლებლად მიაჩნია მათი ადრერკინის ხანის I პერიოდით დათარიღება (ძვ.წ. XI ს.) [Gergova 1987, გვ. 21, ტაბ. 14-7]. რომბულგანივკვეთიანი დათარიღებულია ძვ.წ. IX ს-ის ბოლოთი, ვიდრე VI ს-ის ბოლომდე [Gergova 1987, გვ. 22, ტაბ. 18-13].

– ბრტყელრკალიანი, ჭრილში სიგრძეზე ნახევაროვალური რკალით (კაზანლაკი-დან და კოჩანიდან) [Gergova 1987, ტაბ. 5, ტიპი A II3]. თუ შევადარებთ ერთმანეთს, ურეკის ფიბულა (კატ. № 693) მსგავსია მხოლოდ რკალის მიხედვით ბულგარეთის A II3 ტიპის ფიბულებისა, რომლებიც ძვ.წ. VII ს-ით თარიღდება [Gergova 1987, ტაბ. 3869, ტაბ. 5].

– რომბულგანივკვეთიანი რკალით (კოჩანი, დუვანლი, კიროვო). ისინი დათარიღებულია ძვ.წ. IX ს-ის ბოლო - VI ს-ით [Gergova 1987, გვ. 22, ტაბ. 18-13].

საინტერესოა ვარნის მუზეუმში დაცული ორი ფიბულა [Георгиева 1993, გვ. 14, კატ. № № 1, 2]. ისინი მრგვალგანივკვეთიანია; ერთი სადაა, მეორე თევზიფხურად შემკული. ორივე ფიბულას მკვლევარი უახლოეს პარალელებს თესალიის (ფერაი) ძვ.წ. VIII-VII სს-ისა და თურქეთის (ბოდრუმი) ძვ.წ. IX-VIII სს-ით დათარიღებულ მასალებში უძებნის. თევზიფხურად შემკული ფიბულების გავრცელების არედა ხმელთაშუაზღვისპირეთის (საბერძნეთი, სიცილია, იტალია) გარდა, კავკასიასაც ასახელებს და ი. ვორონოვის ნაშრომზე დაყრდნობით ამ რეგიონში მსგავსი ფიბულების გავრცელებას ძვ.წ. IX-VIII სს-ით განსაზღვრავს [Gergova 1987, გვ. 20, ტაბ. 11-3; Kilian 1975, გვ. 21, ტაბ. 112; Caner 1983, გვ. 32, ტაბ. 214-21; Воронов 1976, გვ. 30, სურ. 1].



სურ. 57. თურქეთი: 1 – ჩიომლეკჩი, 2 – ტროა, 3,4,6-9 – ბოდრუმის მხარე, 5,10-14 – იზმირის მხარე.

თურქეთი (სურ. 57). თურქეთის მასალებიდან საქართველოში აღმოჩენილ ფიბულეთან ყველაზე მეტ სიახლოვეს სიმეტრიულრკალიანი მცირე ზომის ფიბულები იჩენენ. მათი წარმოშობის ადგილი მცირე აზიის დასავლეთ სანაპირო უნდა იყოს. ჩვენს მასალასთან, თითქოს განსაკუთრებით ახლოსაა ბოდრუმის რაიონში, ასარლიკში აღმოჩენილი ფიბულები [Caner 1983, გვ. 32, 33]. თუმცა, თვალმისაცემია მათი ლოკალური თავისებურებები – უმრავლესობის რკალი მართკუთხაგანივკვეთიანია (მცირე რაოდენობით არის მრგვალ-ოვალურ-რომბულგანივკვეთიანიც – ნ. ს.), ხოლო ბუდის ფორმით უფრო ეგეოსური სამყაროს ფიბულებისაკენ მიილტვიან. ისინი ძვ.წ. VIII-VII სს-ით თარიღდებიან [Caner 1983, გვ. 32, 33, ტაბ. 2, 3].

თურქეთის მასალებიდან აღსანიშნავია ურეკის ფიბულის და კარიის ნიმუშების შესაძლო კავშირი ზამზარის სიახლოვეს ნემსზე არსებული ირგვლივი შემსხვილების მიხედვით. ეს უკანასკნელი ნიშანი მხოლოდ კარიის სახელოსნოს ნაწარმისათვისაა დამახასიათებელი. ისინი ძვ.წ. 1125-950 წწ-ით თარიღდებიან [Caner 1983, გვ. 30, 31, ტაბ. I7,8A,8; Birmingham 1963, გვ. 99].

თურქეთის მთელი მასალიდან მხოლოდ ერთადერთი გრეხილრკალიანი ფიბულაა ცნობილი ტროადან [Caner 1983, ტიპი IIe, ტაბ. 213A]. ის მხოლოდ რკალის ფრაგმენტითაა და ზამზარითაა წარმოდგენილი. ის ტროა VIII-ეს წინა ფენაშია (ძვ.წ. 900 წ.) აღმოჩენილი და ა. გიოტცეს მიხედვით იმავე ხანისაა [Dörpfeld 1902, გვ. 414]. ბუდის უქონლობის გამო ფიბულის უფრო ზუსტი დათარიღება არ ხერხდება [Caner 1983, გვ. 31].

ძალზე საინტერესოა ანკარის მუზეუმში დაცული გორდიონის რამდენიმე ფიბულა, რომლებიც მიჩნეულია ზუსტ ანალოგებად საქართველოს, სომხეთისა და ჩრდ. კავკასიის დისკოსებურშემსხვილებებიანი ფიბულებისა [Licheli 1997, გვ. 38, ფიგ. 4. 4:1,2,3]. ჩვენი აზრით, ამ სამი ფიბულიდან პირველი და მეორე, ყველა ნიშნის მიხედვით (უპირველეს ყოვლისა ფრიგიული ფიბულებისათვის დამახასიათებელი კონსტრუქციით) ფრიგიულია; ხოლო მესამე – კავკასიური წარმოშობის უნდა იყოს. სამივე ფიბულა ავტორის მიერ გაერთიანებულია თითქოსდა “მორფოლოგიური მსგავსების” საფუძველზე და აქედან გამომდინარე დაშვებულია ფიბულების კავკასიაში მცირე აზიიდან, ფრიგიიდან შემოტანა. ისინი მიჩნეულია ფრიგიული ფიბულების კოლხურ რეინტერპრეტაციად [Licheli 1997, გვ. 37, 41; შდრ. Куптин 1944, გვ. 317]. ჩვენი აზრით, მორფოლოგიური ნიშნებით ეს კავშირი არ ჩანს, რადგან ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ - “დისკოსებური შემსხვილებები” (რაც კავკასიური ფიბულებისთვისაა დამახასიათებელი) და “ასტრაგალისებრი შემსხვილებები” (რაც დამახასიათებელია კვიპროსული, ფრიგიული და ზოგიერთი ბერძნული ტიპისათვის).

ასტრაგალებით და დისკოებით შემკობა დამახასიათებელია კვიპროსული ფიბულებისთვისაც, რომელთაც **ასიმეტრიული** რკალი და ხშირ შემთხვევაში სამნახვევიანი ზამბარა აქვთ. ამ ფიბულებში გამოყოფენ რკალზე ორშემსხვილებიან და სამშემსხვილებიან ფიბულებს. ფიბულათა ჯგუფი (A2.2), რომელსაც რკალზე ორ ადგილას აქვს ასტრაგალისებრი შემსხვილება ძვ.წ. XI-VII სს-ით თარიღდება (ისინი აღმოჩენილია შემდეგ პუნქტებში: პაფოსი, დევე-ჰუიუკი, ლაპითოსი, კოუკლია, იდალიონი). ამ ჯგუფიდან მხოლოდ ერთ ფიბულას აქვს სამი ასტრაგალისებრი შემსხვილება რკალზე (აღმ. ამათუსი) [Pedde 2000, გვ. 106-109, ტაბ. 534, 36, 37, 39, 41, 46, ტაბ. 653]. ფიბულათა ჯგუფი (A2.3), რომელსაც რკალზე სამ ადგილას აქვს დისკოსებური შემსხვილება ძვ.წ. IX-VIII სს-ით თარიღდება (ისინი აღმოჩენილია შემდეგ პუნქტებში: ჰამა, ალიშარი, ბეთ შემეში, კოურიონი, ტამასოსი, კტიმა, ამათუსი) [Pedde 2000, გვ. 109-112, ტაბ. 535, 47-49, ტაბ. 652, 54, 56-58, 60, 62]. როგორც აღვნიშნეთ, კვიპროსული ფიბულების ეს ტიპი, რომელიც ქრ. ბლინკენბერგის XIII ტიპს შეესაბამება, ასიმეტრიულრკალიანია. ამ ტიპის ფიბულებიდან, სიმეტრიული რკალით, ქრ. ბლინკენბერგის პუბლიკაციით ვიცნობთ მხოლოდ ერთ ფიბულას, რომელიც კვიპროსზე ამათუსშია აღმოჩენილი. ფიბულა ვერცხლისაა. დისკოსებრი შემსხვილებები საზღვრავს სიმეტრიულ რკალს, რომელიც ბრტყელ ნახევარწრეს წარმოადგენს; ბუდე ვიწროა (განსხვავებით კავკასიური ფიბულებისაგან, ჩვენი III 8 ქვეტიპი, რომელთაც განიერი, ნიჩბისებრი ბუდეები აქვთ და უმეტეს შემთხვევაში რკალი მდიდრულადაა შემკული – ნ. ს.) [Blinkenberg 1926, გვ. 236, სურ. 271]. რაც მთავარია, კავკასიური და ფრიგიული ფიბულების ბუდე (ფეხი) სრულიად განსხვავდება ერთმანეთისაგან. სწორედ ბუდეა ფრიგიული ფიბულების მთავარი ნიშანი, რაც განასხვავებს მათ დანარჩენი აღმოსავლური ფიბულებისაგან [Sapouna-Sakellarakis 1978, გვ. 121; Caner 1983, სურ. 3]. არცერთი კავკასიური ფიბულა ბუდის მიხედვით არანაირ მსგავსებას არ ამჟღავნებს ფრიგიულ ფიბულებთან. ძალზე დიდი განსხვავებაა ფრიგიულ და კავკასიურ ფიბულებს შორის კონსტრუქციული თვალსაზრისითაც. ფრიგიული ფიბულებისათვის დამახასიათებელია – ორმაგი ან შარნირისანი ზამბარა და გართულებული შესაკრავი მოწყობილობა [Caner 1983, ტაბ. 38]. ფრიგიული ფიბულებისათვის დამახასიათებელი არც ერთი ნიშანი ანკარის ფიბულას [Licheli 1997, ფიგ. 4. 4:1,2,3] არა აქვს.

ფიბულის რკალის დისკოებით შემკობას, რასაც ალბათ კონსტრუქციული დატვირთვაც ჰქონდა, დიდი ტრადიცია აქვს (მაგ. ხემისებური ფიბულები დისკოსებური

შემსხვილებებით – იხ. Blinkenberg 1926, გვ. 49, 50, ფიგ. 13, 14, 15). იმ ქვეყნებიდან, სადაც ფიბულებია გავრცელებული, და სადაც დისკოებიანი ფიბულებია აღმოჩენილი, უახლესი გამოკვლევების მიხედვით პრიორიტეტს იუგოსლავიის ტერიტორიას ანიჭებენ [Batović 1960, რუკა 5; 1965, გვ. 59, 60]. კავკასიის დისკოებიან ფიბულებსაც ყველაზე მეტი მსგავსება იუგოსლავიის მასალებთან აქვთ. მხოლოდ იუგოსლავიის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი დისკოებიანი ფიბულები (ე.წ. გოლინიევოს ტიპი), რომელთაც მრავალწახნაგა და ყვავილისებრი განივკვეთი აქვთ, როგორც სადა, ასევე სიგრძეზე მიმართული წიწვისებური სახით შემკული [Ćović 1971, ტაბ. I-III] (შდრ. თლიას, ჯანტუხის ფიბულებს). ამ ფიბულების არსებობა ძვ.წ. XI ს-ის ბოლოდან იწყება და VII ს-მდე გრძელდება [Ćović 1971, გვ. 316, 321 (იხ. დასახ. ლიტ. იქვე)]. ჩვენი ფიბულებისაგან ისინი მხოლოდ ბუდის (ფეხის) ფორმით განსხვავდებიან. მათ სამკუთხა ფეხი აქვთ.

ჩვენთან დისკოსებურშემსხვილებებიანი ფიბულების ყველაზე დიდი რაოდენობა აღმოჩენილია ჯანტუხის სამაროვანზე, სადაც ისინი ძვ.წ. VII ს-ით თარიღდება [Шамра 1984, გვ. 41]; აღმოჩენილია წითელი შუქურას სამაროვანზე [Трапш 1969, ტაბ. XII3, XXV7]; ისინი აგრეთვე ცნობილია: ეშერადან [Куртин 1944, სურ. 143]; ჯვარის განძიდან [ქორიძე 1965, გვ. 19, 40, ტაბ. 33]; პალურიდან [ბარამიძე 1977, ტაბ. VII1] – ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევარი – VI ს.; ურეკის № 3 სამარხი ორმოდან, რომელიც თ. მიქელაძის მიერ დათარიღებულია ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრითა და VI ს-ით [მიქელაძე 1985, ტაბ. XIII40(676)]; სამურზაყანოდან (შემთხვევითი აღმოჩენა) [Куртин 1949, გვ. 139]; ბრილის სამაროვნიდან [სულავა 2001] – ძვ.წ. VI-IV სს.; თლიას სამაროვნიდან [სულავა 2000a, ტაბ. I16,17,18] – ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევარი – VI ს-ის პირველი ნახევარი და სხვ. ცნობილია ისინი სომხეთიდან [Мартirosян 1964, ტაბ. XXIV1,2; Urartu 1991, გვ. 187, № 56]. საქართველოსთან შედარებით ნაკლებია ჩრდ. კავკასიის მასალებიდან (დაახლ. 21 ცალი) [Уварова 1900, ტაბ. XXXII5,6; Chantre 1886, ტაბ. XXI7; Козенкова 1998, ტაბ. XXV2-5].

ევროპის დისკოსებურშემსხვილებებიან ფიბულებთან აშკარა კავშირის გარდა, ძალიან დიდი სიფრთხილით კიდევ ერთი ვარაუდი შეიძლება გამოვთქვათ. მდიდრულად გრავირებული მსხვილი რკალები (ზურგები), როგორც აქვთ კავკასიის ფიბულებს, ოღონდ ღრუ, დამახასიათებელია მხოლოდ იტალიის ფიბულებისათვის [Eles Masi 1986]. ამ ორი ნიშნის (ოღონდ, არა ღრუ მუცლით. თუმცა, აფხაზეთიდან, როგორც ქვემოთ ვნახეთ, ჩვენთვის ცნობილია ღრუმუცლიანი ფიბულაც) სრულიად მოულოდნელი შერწყმა ხდება კავკასიაში და ვლენბულობთ მხოლოდ კავკასიისათვის დამახასიათებელ ახალ ტიპს – ფიბულას, რომელსაც აქვს გრავირებული მსხვილი ზურგი, დისკოსებრი შემსხვილებები რკალის თავსა და ბოლოში და განიერი, ნიჩბისებური ბუდე, რაც კავკასიაში ფიბულის გვიანდელი ნიშანია. ამ ტიპის ფიბულები ზოგადად ძვ.წ. VII-VI სს-ის ფარგლებში ექცევა.

ამგვარად, იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ მიუხედავად ტერიტორიული სიახლოვისა და მეზობლობისა, კავკასიაში თურქეთის ტერიტორიიდან არ მოხდა ისეთი ფართოდ გავრცელებული ტიპის ფიბულების შემოსვლა, როგორც იყო ფრიგიული ან თუნდაც კვიპროსული. ხოლო კავკასიაში აღმოჩენილი ურარტული ფიბულები, რომელთაც პირდაპირი ანალოგებიც კი ეძებნებათ, მხოლოდ ორი ათეულით თუ იქნება წარმოდგენილი [სულავა 2001a].

ყოველივე ამის ახსნა, ვფიქრობთ, იმით შეიძლება, რომ კავკასიაში ფრიგიულ და ურარტულ ფიბულებზე უფრო ადრეული ფიბულები (დაბალრკალიანი) უკვე არსებობდა. მაგ.: სამთავროს № № 591, 600 სამარხებიდან [სულავა 2000, გვ. 65-67, ტაბ. I1,2], თლიას № № 52, 64, 115 სამარხებიდან [სულავა 2000a, გვ. 2], ჩითახევის № № 26, 58

სამარხებიდან [დამბაშიძე, ართილაყვა 1974, გვ. 28-31], ნიგვზიანის № № 1, 6 სამარხი ორმოებიდან [მიქელაძე 1985, გვ. 82, 92, ტაბ. XLI3, XLVI18], ჩრდ. კავკასიიდან (ყოზანი, ზაიუკოვო, კიჩ-მალკა) [Уварова 1900, ტაბ. XXXI5, XXXII1; Козенкова 1998, გვ. 73, ტაბ. XXXIV15,18], აზერბაიჯანიდან, კალაკენტის № 29 სამარხიდან [Nagel, Strommenger 1985, გვ. 162, სურ. 57]. ბ. კუფტინის აზრით, ადრეული კონტაქტები ბერძნულ სამყაროსთან მცირე აზიის გვერდის ავლით, საზღვაო გზებით ხორციელდებოდა [Куфтин 1944, გვ. 316]. ვფიქრობთ, ამ მოსაზრებას ჩვენი გამოკვლევაც ნათლად ადასტურებს.

ამრიგად, კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ კავკასიაში გავრცელებული უძველესი რკალისებრი ფიბულების გენეზისი ეგეოსურ სამყაროს უკავშირდება. ტროას VIII-ე ფენაში აღმოჩენილი გრეხილრკალიანი ფიბულაც, რომლის ანალოგიურიც დანარჩენი თურქეთის ტერიტორიაზე დადასტურებული არაა, ხოლო კოლხეთის ტერიტორიაზე კი გვხვდება (მუხურჩა, ადგილი “პეტრეს ნაკარუ”). იგივეს უნდა გვიდასტურებდეს, და თანაც, საზღვაო გზაზე მიუთითებდეს.

ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ტერიტორიაზე (აფხაზეთი – ახალი ათონი, ფსირცხა) აღმოჩენილი იმპორტული ფიბულებიც (a navicella) და ამავე ტიპის ფიბულების არარსებობა დანარჩენ შავიზღვისპირეთში, საზღვაო, პირდაპირი კონტაქტის მაჩვენებელი უნდა იყოს. ბ. კუფტინის აზრით, ახალი ათონის ნავისებური ფიბულის იდეის ადგილობრივი გადამუშავებით მივიღეთ აფხაზეთის “ნაჭუჭისებურრკალიანი” ფიბულები (გულისხმობდა დაფანჯრულ ნახევარსფერულრკალიან ფიბულებს, რომლის რკალის კიდეებიც შემკულია მსხვილი ბურთულებით – ნ. ს.) [Куфтин 1949, გვ. 161]. რადგან აფხაზეთის მასალას მხოლოდ პუბლიკაციების მეშვეობით ვიცნობთ, ძნელია ამ მოსაზრების უარყოფა ან დადასტურება. თუმცა, არ უნდა იყოს გამორიცხული ბ. კუფტინის ამ მოსაზრების სანდოობაც, რადგან ზოგიერთი ფიბულის რკალის ის ნაწილი, რომელიც ზამბარის მხარესაა, მართკუთხაგანიკვეთიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. ხოლო ბუდე, რომელიც სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში არაა წარმოდგენილი, თეორიულად საკმაოდ განიერი უნდა იყოს, რომ ნემსი დაფაროს [Воронов 1979, გვ. 69, სურ. 3310,11]. ეს ნიშნები კი მხოლოდ ეგეოსურ ფიბულებს ახასიათებთ.

წითელი შუქურას სამაროვნის № № 6, 12, 21 სამარხების ბალიშისებურზურგიანი ფიბულებიც პირდაპირ პარალელებს მხოლოდ ეგეოსურ სამყაროსთან პოულობენ [Sapouna-Sakellarakis 1978, ტაბ. 19604].

რაც შეეხება შავი ზღვის აუზის ქვეყნების როლს, როგორც შუამავლისა, ეგეოსურ სამყაროსა და კავკასიას შორის, წარმოდგენილ მასალაზე დაყრდნობით, ჯერჯერობით არ დასტურდება.

ა. კალიტინსკის მოსაზრებით, კავკასიაში ფიბულების გავრცელება ბერძნულ კოლონიზაციასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. როცა ა. კალიტინსკი ამ აზრს ავითარებდა, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის, კოლხეთის არქეოლოგიური მასალები ჯერ არ იყო ცნობილი. ჩრდ. შავიზღვისპირეთის ბერძნულ სამოსახლოებსა და ნეკროპოლებზე კი ფიბულები არ არის დაფიქსირებული. როგორც ვნახეთ, ჩრდ. შავიზღვისპირეთში გავრცელებული ფიბულები ყველა ადრეულია. ფიბულათა ამ ადრეულ იმპულსებს ჩრდ. შავიზღვისპირეთში, სადაც შემდეგ ბერძნული კოლონიზაცია დაიწყო, ფიბულათა ინდუსტრია არ მოჰყოლია. ამ რეგიონში ფიბულათა საქიროება არ იყო.

სხვა სიტუაციაა კოლხეთში. აქ გვაქვს ადრეული ფიბულები ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევრისა (ნიგვზიანი, წითელი შუქურა, მუხურჩა); გვაქვს იმპორტი ძვ.წ. VIII ს-ის ბოლო – VII ს-ის დასაწყისის (ახალი ათონი, ფსირცხა, წითელი შუქურა, ყულანურხვა, კისტრიკი, ურეკი) და გვაქვს ფიბულათა ინდუსტრია კოლხური კულტურის არეალში.

როგორც გამოკვლევამ გვიჩვენა, შავი ზღვის ოთხივე სანაპიროდან ფიბულათა კონცენტრაციით ხასიათდება დასავლეთ და აღმოსავლეთ სანაპირო. ჩრდილო შავიზღვისპირეთიდან მხოლოდ 10 ცალი ფიბულაა ცნობილი (შიდა რაიონების ჩათვლით). თურქეთის სანაპიროდან ტროას გამოკვლევით არც ერთი ფიბულა არაა ცნობილი.

ჩვენი აზრით, ფიბულების გავრცელებაზე შავიზღვისპირეთის ქვეყნებში ძვ.წ. VIII-VII სს-ში არსებული დემოგრაფიული სიტუაციაც აისახა. როგორც არქეოლოგიური მასალები მოწმობენ, ბერძნული კოლონიზაციის წინ ანუ ძვ.წ. VIII-VII სს-ში, შავი ზღვის დასავლეთი და ჩრდილოეთი სანაპიროები მთლიანად დაუსახლებელია. მხოლოდ კოლხური სანაპიროა მჭიდროდ დასახლებული [Демографическая ситуация . . . 1981; ლორთქიფანიძე 2002, გვ. 185, სურ. 155].

როგორც დავინახეთ, ეგეოსური სამყაროს გარდა, ფიბულებზე დაყრდნობით, კონტაქტები გამოიკვეთა ჩრდ. იტალია – ბალკანეთის მასალების მიხედვითაც (დისკოსებური შემსხვილებები, მდიდრულად გრავირებული მსხვილი რკალები, საკიდებიანი ბიბილოსებრი ქედები და სხვ.) თუ სხვა მასალებსაც გადავაკლებთ თვალს, რაც ჩვენი ამჟამინდელი კვლევის სფეროს ცილდება, დავინახავთ, რომ ეს კონტაქტები სხვა არტეფაქტების მიხედვითაც ვლინდება. მხედველობაში გვქვს – ზომორფულყურაანი კერამიკა, სათვალისებრი დუგმები, სპირალურბოლოებიანი სამაჯურები და საკისრე რკალები, ბრინჯაოს ვაზები, გრავირების მეთოდი.

ამ სამუშაოს ჩატარების შემდეგ თავისთავად გამოიკვეთა სურათი – ფიბულები კავკასიაში არ გავრცელებულა ჩრდილო შავიზღვისპირეთიდან და სამხრეთ სანაპიროდან ანუ სახმელეთო გზით. კონტაქტი, როგორც ეგეოსურ სამყაროსთან ასევე ჩრდ. იტალია – ბალკანეთის ქვეყნებთან, საზღვაო გზით უნდა განხორციელებულიყო. ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში დადასტურებული იმპორტული ფიბულები (ახალი ათონი, ფსირცხა, წითელი შუქურა, ყულანურხვა, კისტრიკი, ურეკი), რომლებიც ავლენენ კავშირებს როგორც ეგეოსურ სამყაროსთან (ახალი ათონი – III 22, ფსირცხა – III 22, წითელი შუქურა – III 21, ურეკი – III 25), ასევე იტალია-ბალკანეთის მასალებთან (ყულანურხვა – III 23, კისტრიკი – III 24), ამ საზღვაო გზის მიმართულებასაც გვიჩვენებენ. რაოდენ დიდი არეულობა და გაუგებრობაც არ უნდა იყოს არგონავტების მოგზაურობის მარშრუტებში,¹⁷³ ის სივრცე რომელსაც მოიცავს მათი მოგზაურობა, ემთხვევა ფიბულათა არეალს; ანუ კავკასია შედიოდა იმ სივრცეში, რომელშიც ფიბულის “იდეა” ტრიალებდა. როგორც ფიქრობენ, სტრაბონის “გეოგრაფიაში” დაცული ცნობა, სადაც შავი ზღვის ის მონაკვეთი, რომელიც კოლხეთის სანაპიროს აკრავს, იწოდებოდა “კოლხეთის ზღვად,” უნდა მიუთითებდეს კოლხეთზე, როგორც საზღვაო ქვეყანაზე [გამყრელიძე 1993, გვ. 34-დან]. ხოლო ვაჭრობა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ძირითადად საზღვაო-სამდინარო გზებით უნდა განხორციელებულიყო [გამყრელიძე 2005, გვ. 181, სურ. 7]¹⁷⁴. დოკუმენტურად დადასტურება იმისა, რომ საზღვაო კონტაქტები არ იყო ცალმხრივი და მას ორმხრივი ხასიათიც შეიძლება ქონებოდა, ძნელია. მაგრამ ფაქტია, რომ როგორც ავღნიშნეთ, ბულგარეთიდან ცნობილია კავკასიურის ანალოგიური თევზიფხურით რკალშემკული ფიბულა [Георгиева 1993, გვ. 14, კატ. 2], ხოლო კუნძულ სამოსზე დადასტურებულია კავკასიური წარმოშობის ნივთების (აბზინდები, ზარაკები, ქანდაკებები) აღმოჩენა

¹⁷³ იხ. აპოლონიოს როდოსელი 1975, გვ. 16, გვ. 156-204, გვ. 216, შენ. 13; Dräger 1996, გვ. 1068, 1069.

¹⁷⁴ ნაშრომი ეძღვნება ანტიკური ხანის ნაოსნობის ისტორიას აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, მაგრამ ვფიქრობთ, იგივე მონაცემები შეიძლება უფრო ძველ ეპოქაზეც გავრცელდეს.

[Jantzen 1972, გვ. 80-85, ტაბ. 79-82; Микеладзе 1990, გვ. 65, ტაბ. XXXI6; ლორთქიფანიძე 2002, გვ. 189, 190, სურ. 165].

კავკასიაში არა გვაქვს ის ადრეული ტიპები (როგორც შუა ევროპაში – ორწილადი ხემისებური, მედიტერანულ სივრცეში – ერთწილადი ხემისებური ფიბულები), რომლებიც გავრცელებული იყო რკალისებური ფიბულების არეალში. კავკასიაში ფიბულები ერთბაშად გაჩნდნენ. უფრო სწორედ, შემოვიდა თუ არა კავკასიაში ერთწილადი რკალისებური ფიბულების იდეა, ძალიან მალევე დაიწყო მათი მასობრივი ადგილობრივი წარმოება.

ნაწილი II

კავკასიის ორწილადი რკალისებური ფიბულები (ტიპოლოგია, ქრონოლოგია, გენეზისი, გავრცელების გზები)

რკალისებური ფიბულა ორწილადია, თუ რკალი და ნემსი ცალცალკე ღეროსაგანაა დამზადებული. კავკასიაში გავრცელებული ორწილადი რკალისებური ფიბულები ორი ტიპითაა წარმოდგენილი: I. მარტივი რკალისებური და II ე.წ. “მცირეაზიული” ტიპების მსგავსი ანუ ურარტული (U)¹⁷⁵ ფიბულებით (რუკა 9).

I ტიპი – მარტივი რკალისებური ფიბულები (ტაბ. 62, 63)

I ტიპის ფიბულათა მთავარი დამახასიათებელი ნიშნებია: რკალის ერთი ბოლო ლურსმნისებური მოყვანილობისაა, რომელზეც ნემსის ერთი ბოლოა დახვეული, ხოლო რკალის მეორე ბოლო ნემსის ჩასადები ბუდეა, რომელსაც ენისებური ფორმა აქვს. I ტიპის ფიბულათა რკალის მორფოლოგიური ნიშნებისა და შემკულობის (რკალი სადა – a, ან შემკულია – b) მიხედვით შეიძლება გამოიყოს 6 ქვეტიპი: I 1 – რკალის ღერო მრგვალგანივკვეთიანი; I 2 – რკალის ღერო რომბულგანივკვეთიანი; I 3 – გრებილრკალიანი; I 4 – რვაწახნაგარკალიანი; I 5 – მძვირისებურრკალიანი; I 6 – ნახევარმთავარისებური.

I 1 a ვარიანტის ფიბულების რკალი მრგვალგანივკვეთიანია, სადა. რკალის ერთ ბოლოზე ლურსმნისებური დაბოლოებაა, მეორეზე – ბუდე. ბუდე რკალის სიმეტრიულია, ნემსსაჭერი – ენისებური.

I 1 a – ვარიანტის ფიბულები (დაახლ. 20 ცალი) ცნობილია კომპლექსებიდან: არგვეთი (კატ. № 5), ბრილის № 30 (1939 წ.) და № 27 (1939 წ.) სამარხებიდან (კატ. № № 6, 7), პატკნეთიდან (კატ. № 11), იცქისიდან (კატ. № 12), რგანიდან (კატ. № 13), ჩხარიდან (კატ. № 14), კამარახევიდან (კატ. № 16), ციხია გორას № № 6 და 9 ქვევრსამარხებიდან (კატ. № № 17, 18); შემთხვევით თუ სამარხებს გარეთ მოპოვებული მასალიდან – წინანდალი (კატ. № 1), ბორი (კატ. № 2), ქორეთი (კატ. № 8), სტირფაზი (კატ. № 9), ძრია (კატ. № 10), მურის ციხე (კატ. № 15), ქუთაისი (კატ. № 19), აღმოჩენის ადგილი უცნობია (კატ. № 20).

1. წინანდალი (თელავის რ-ნი). აღმოჩენილია შემთხვევით შარავზის პირას. ბრინჯაოს ფიბულა. კოლექციაში შედის: ბრინჯაო – სამაჯურები, შუბისპირები, ბეჭდები, ქინძისთავები; რკინა – დანები; მძივები; კერამიკა (სემ კოლ. № 11-25:56). ძვ.წ. VII-VI სს. გამოუქვეყნებელი.

2-4. სოფ. ბორი (ხარაგოულის რ-ნი). ბრინჯაოს 2 და ვერცხლის ერთი ცალი ფიბულა. ინახება ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახ. სახელმწიფო მუზეუმში, ინვ. № 2545. დათარიღებულია რომაული ხანით [Иващенко 1941, გვ. 38, 39, სურ. 18 a,c].

5. არგვეთი (საჩხერის რ-ნი). ქვის სამარხი. ბრინჯაოს ფიბულა. თანმხლები ინვენტარი: თიხა – დოქი, კათხა; ბრინჯაო – 2 ცალი მართკუთხაფარაკიანი მრგვალი აბზინდა, 2 რგოლი; ოქრო – რგოლი. ელინისტური ხანა [Пхакадзе, Габидзашвили 1995, გვ. 19-21, ტაბ. 20].¹⁷⁶

¹⁷⁵ ურარტულ ფიბულებს, ისევე, როგორც ბ. იოლუნი აღვნიშნავთ U ასოთი [Ögün 1979].

¹⁷⁶ სამარხში აღმოჩენილი მოგრძო, მართკუთხაფარაკიანი მრგვალი აბზინდები ახ.წ. II-III სს. განეკუთვნება. ჩვენი აზრით, არგვეთის სამარხიც ამ ხანით უნდა დათარიღდეს [იხ. აფხაზავა 1979, ტაბ. XLIV].

6. ბრილი. ბრინჯაოს ფიბულა. აღმოჩნდა № 30 ქვის სამარხში (1939 წ.). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – მასიური რგოლი წახნაგიანი ზურგით, რომბული ფირფიტა; რკინა – ნივთის ფრაგმენტები; მძივები; თიხა – მინიატურული საბალზამე, 2 ჭურჭელი (სემ, კოლ. № 5-993:188). ახ. წ. I ს. გამოუქვეყნებელი.

7. ბრილი. ბრინჯაოს ფიბულა. აღმოჩნდა № 27 ქვის სამარხში (1939 წ.). თანმხლები ინვენტარი: ბრინჯაო – ჭვირული და ნახევარსფეროსებური ბალთა, სამაჯურის ფრაგმენტი, ზურგზე წახნაგით, დაფანჯრული ზარაკი; მძივები (სემ კოლ. № 5-993:172). ახ.წ. I ს. გამოუქვეყნებელი.

8. სოფ. ქორეთი (საჩხერის რ-ნი). შემთხვევითი აღმოჩენა. ბრინჯაოს ფიბულა. ინახება სოფ. ქორეთის საშუალო სკოლის მუზეუმში [ქორიძე 1961, გვ. 115, ტაბ. XVII6].

9. სტირფაზი (ჯავის რ-ნი). ბრინჯაოს ფიბულა. აღმოჩნდა სამარხის გარეთ (1977 წ.). სამაროვანი თარიღდება IV-VII სს-ით [Texov 1980c, გვ. 103, 104, ტაბ. LIII3].

10. სოფ. ძრია (სამაჩაბლო). ბრინჯაოს ფიბულა. 1965 წ. შემთხვევით აღმოჩნდა ქალის სამარხი. თანმხლები ინვენტარი: თიხა – მომცრო დოქი; ვერცხლი – მედალიონი წითელი ქვით; მძივები – სარდიონის; მოოქრული ბეჭედი გემით. ძვ.წ. II-I სს. [Texov 1971, გვ. 229, 230, სურ. 833].

11. სოფ. პატკნეთი (ზნაურის რ-ნი). ბრინჯაოს ფიბულა. სამარხი № 3. მიცვალებული ესვენა მარჯვენა გვერდზე, თავით დასავლეთით. ინვენტარი: ბრინჯაო – ჭვირული ბალთა; თიხა – 2 ქოთანი სფერულ მუცელზე ბურცობებით. ცილინდრული ფორმის პასტის მძივები. ძვ.წ. II-I სს. [Texov 1971, გვ. 234, სურ. 862].

12. იცქისი (საჩხერის რ-ნი). ბრინჯაოს ფიბულა რკინის ნემსით. სამარხი № 4. მიცვალებული ესვენა მოკრუნჩხული, მარჯვენა გვერდზე, თავით დასავლეთით. ინვენტარი: ბრინჯაო - ზარაკი, რგოლი სპირალური ბოლოებით, 4 საკიდი, საკისრე რგოლის ფრაგმენტები, ფოთლისებური საკიდები, მართკუთხა აბზინდა; თიხა – სამტუჩა დოქი. ახ. წ. II-III სს. [ჩიგოგიძე 1997, გვ. 77, სურ. IV].

13. რგანი (ჭიათურის რ-ნი). ვერცხლის ფიბულა. სამარხი № 2. მიცვალებული ესვენა ნახევრადმოკრუნჩხული, მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთით. ინვენტარი: ვერცხლი – საყურე ღერაკზე ასხმული ვერცხლისავე ვარდულითა და სარდიონის მძივით, ბეჭედი ქარვის თვალით; ბრინჯაოს ფიბულა;¹⁷⁷ რკინა - შუბისპირი, სატევარი; მძივები - გიშრის, პასტისა და კირქვის; თიხა - დოქი და ჩაფი. ინახება საქ. ხელოვნების მუზეუმში (სემ). III ს-ის მიწურული - IV ს-ის პირველი ნახევარი [ბრაგვაძე 2000, გვ. 108, 118, 120, სურ. 19].

14. ჩხარი (თერჯოლის რ-ნი). სამარხი № 6, ორი მიცვალებულით. ვერცხლის ფიბულა რკინის ნემსით, პირველ მიცვალებულთან. თანმხლები ინვენტარი: ვერცხლი – საყურე სამკუთხა დაბოლოებით; ბრინჯაო – ფირფიტა; კირქვის მძივი; თიხა – დოქის ფრაგმენტები. ახ. წ. II-III სს. [ბრაგვაძე 1997, გვ. 10, 11, 28, 29, ტაბ. XVIII4].

15. მურის ციხე (ცაგერის რ-ნი). ბრინჯაოს ფიბულა. ნაპოვნია შემთხვევით, მურის ციხის მიდამოებში, ქრონოლოგიურად განსხვავებულ ნივთებთან (ოქროს ბოლოდაბრტყელებული და გახვრეტილი სასაფეთქლეები, რკინის ბურცობებიანი სამაჯური, “კოლხური თეთრი”, ოთხკუთხაფარაკიანი ენაგადასული მრგვალი აბზინდა, დაწახნაგებული მინის მძივები, სამფრთიანი ყუნწიანი ისრისწვერები და სხვ.) ერთად. ძვ.წ. IV-III სს. [სულავა 1996, გვ. 62, 63, ტაბ. 3339].

16. კამარახევი (მცხეთის რ-ნი). № 4 ქაყრილიანი ორმოსამარხი (მიცვალებულს თავი ედო ბრტყელ ქვაზე. იწვა მარცხენა გვერდზე, კიდურებმოხრილი). ბრინჯაოს ფიბულა რკინის ენით. თანმხლები ინვენტარი: კერამიკა – ჯამი, კოჭობი; ბრინჯაო – ზურგმუხუნეილი სამაჯურები, თავგახვრეტილი საკინძები,

¹⁷⁷ ბრინჯაოს ფიბულა ერთწილადი რკალისებურია. ჩანს, ის მომდინარეობს ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის კულტურული ფენიდან, რომელიც ჩაჭრილია №2 სამარხის მიერ [ბრაგვაძე 2000, გვ. 107].

ზარაკები და მძივები; რკინა – ზურგაზნექილი სამაჯურები, ფარაკიანი ბეჭედი; მძივები – სარდიონის, მინის. ძვ.წ. V-III სს. [რამიშვილი 1959, გვ. 12, სურ. 4].

17, 18. ციხია გორა (კასპის რ-ნი). ბრინჯაოს 2 ცალი ფიბულა. № № 6, 9 ქვევრსამარხებიდან. № 6 ქვევრსამარხის ინვენტარი: კერამიკა – დოქი, სასმისი, ჯამი, კოჭობები; ბრინჯაო – საყურე, ფირფიტა, სამაჯური, ღილი; რკინის ბეჭედი; მძივები – პასტის, ქვის, სარდიონის. № 9 ქვევრსამარხის ინვენტარი: კერამიკა – დოქი; ბრინჯაო – ილარი, სამაჯურის ფრაგმენტები. ძვ.წ. IV-III სს. [ნაკაიძე 1980, გვ. 31-33, ტაბ. XXVIII¹⁰, XXIX³].

19. ქუთაისი (უქიმერიონის ნანგრევები). ბრინჯაოს ფიბულა. აღმოჩენილია 1924 წ. ინახება ნ. ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში, ინვ. № 915 [Иващенко 1941, გვ. 38, 39, სურ. 18b].

20. აღმოჩენის ადგილი უცნობია. ბრინჯაოს ფიბულა. ინახება ნ. ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში, ინვ. № 217 [Иващенко 1941, გვ. 37, სურ. 18e].

I 1 a ვარიანტის კომპლექსებიდან მომდინარე ფიბულების არსებობის ქრონოლოგიური დიაპაზონი საკმაოდ დიდია. ისინი არსებობენ ძვ.წ. V-III სს-ით დათარიღებულ ძეგლებზე (კამარახევი, ციხია გორა) და ძვ.წ. II-I სს-ის სამარხებში (პატკნეთი). განსაკუთრებით მრავლადაა ისინი ახ. წ. II-III სს-ით დათარიღებულ ძეგლებზე (არგვეთი, ბრილი, იცქისი, რგანი, ჩხარი).

I 1 a ვარიანტის ფიბულები უმთავრესად სამხრეთ კავკასიის ჩრდილო ნაწილშია გავრცელებული.

I 1 b ვარიანტის ფიბულების რკალი მრგვალგანივკვეთიანია, შემკულია თევზი-ფხური სახით. რკალის ერთ ბოლოზე ლურსმნისებური დაბოლოებაა, მეორეზე – ბუდე. ბუდე რკალის სიმეტრიულია, ნემსსაჭერი – ენისებური.

I 1 b ვარიანტის ფიბულები (დაახლ. 16 ცალი) ცნობილია კომპლექსებიდან: სტირფაზი (კატ. № № 21, 25, 26), დირგჟინი (კატ. № 29), შოშეთი (კატ. № 37); შემთხვევითი აღმოჩენა – გვირგვინა (კატ. № 22), გრომი (კატ. № № 23, 24), აღმოჩენის ადგილი უცნობია (კატ. № 27), გორეთი (კატ. № 28), აწყური (კატ. № 30), შორაპანი (კატ. № 31), სამაჩაბლო (კატ. № 32), ზემო ილემი (კატ. № № 33, 34), ბორის განძი (კატ. № 35), ბორი (კატ. № 36).

21. სტირფაზი. ორმოსამარხი № 8. მიცვალებულის პოზა გამოტოლი. ბრინჯაოს ფიბულა. ინვენტარი: რკინა – ლურსმნისებური ქინძისთავები; თიხა – 2 კათხა. V ს-ის ბოლო – VI ს. [Техов 1971, გვ. 261-263, სურ. 973].

20. სოფ. გვირგვინა (ზნაურის რ-ნი). ბრინჯაოს ფიბულა. აღმოჩენილია 1951 წ. (ინახება ცხინვალის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ინვ. № 866) [Техов 1971, გვ. 262].

23-24. სოფ. გრომი (სამაჩაბლო). ბრინჯაოს 2 ფიბულა. აღმოჩენილია 1951 წ. (ინახება ცხინვალის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ინვ. № 570) [Техов 1971, გვ. 262].

25. სტირფაზი. ორმოსამარხი № 15. მიცვალებულის პოზა გამოტოლი. ბრინჯაოს ფიბულა რკინის ნემსის ფრაგმენტით. ინვენტარი: ბრინჯაო – ფარაკიანი ბეჭედი, ამულეტი-საკიდი პუნსონით გამოყვანილი სახეებით, წნულისაგან დამზადებული “შორბალი”, ვერძის თავი, ზარაკი, ჭვირული ბალთა; მძივები – სარდიონის, ცისფერი და თეთრი მინის; თიხა – კათხა. ახ. წ. I საუკუნეები [Техов 1971, გვ. 270-271, სურ. 1054].

26. სტირფაზი. ორმოსამარხი № 11. მიცვალებულის პოზა გამოტოლი. ბრინჯაოს ფიბულა. ინვენტარი: ბრინჯაო – ზარაკი; ვერცხლი – ბუდეაბმული ფიბულები; თიხა – დოქი და კათხა. V ს-ის ბოლო – VI ს. [Техов 1971, გვ. 265, სურ. 1026].

27. აღმოჩენის ადგილი უცნობია. ბრინჯაოს ფიბულა [Техов 1971, გვ. 262].

28. სოფ. გორეთი (სამაჩაბლო). ბრინჯაოს ფიბულა. 1961 წ. შემთხვევითი აღმოჩენა. ცხინვალის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს გადაეცა სამარხეული კომპლექსი: ბრინჯაო – რგოლები, ფრინველის 2 მინიატურული ფიგურა; ვერცხლი – ბეჭედი, ქინძისთავი; ქვის მძივი. ძვ.წ. I საუკუნეები [Техов 1971, გვ. 231, 232, სურ. 851].

29. სოფ. დირგეინი (სამაჩაბლო). სამარხი № 5. ბრინჯაოს ფიბულა. ინვენტარი: ბრინჯაო – ქინძისთავი მორკალური თავით. II-III სს. [Сланов 1976, გვ. 16, ტაბ. I22].

30. აწყური (ახალციხის რ-ნი). ბრინჯაოს ფიბულა. შემთხვევითი აღმოჩენა. სიგრძე 4,7 სმ, სიმაღლე 2,8 სმ. კოლექციაში შედის: ბრინჯაო – ურარტული ტიპის ფიბულა (იხ. კატ. № 2), სხვადასხვა ტიპის აბზინდები, ქინძისთავები, ზარაკები. სემ კოლ. № 56-14:5. ძვ.წ. VII-VI სს. [არქეოლოგიური მასალების კატალოგი II, 1955, გვ. 37, ტაბ. XVIII1].

31. შორაპანი. ბრინჯაოს ფიბულა. სიგრძე 5 სმ, სიმაღლე 2,8 სმ. შემთხვევითი აღმოჩენა. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში შევიდა 1913 წ. რ. დათეშიძისაგან (სემ კოლ. № 16-32:23).

32. სამაჩაბლო. ბრინჯაოს ფიბულა. შემთხვევითი აღმოჩენა. ცხინვალის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ინვ. № 871 [Куптин 1949, გვ. 23, ტაბ. I5].

33-34. სოფ. ზემო ილეში (ზესტაფონის რ-ნი). ვერცხლის 2 ფიბულა. აღმოჩნდა გორგამეების ოჯახში, დაახლოებით 1950 წელს. კოლექცია შედგება: ვერცხლი – ბეჭედი ფარაკითა და წახნაგოვანი რკალით (2 ცალი); ბრინჯაო – ბუნკი სტილიზებული ცხოველის თავით, საკიდი შემკული მსხვილი ბურთულებით; სარდიონის 2 თვალი; დიდი ზომის ნიჟარა; მძივები – დაბალი კონუსის ფორმის, პოლიქრომიული (ფეს-ტონებიანი). ახ. წ. III ს. (სსმ კოლ. № 49-970:1-8) [ჯავახიშვილი 1987, გვ. 77, 78, ტაბ. XI2].

35. ბორი. ბრინჯაოს ფიბულა. 1902, 1903, 1907, 1908 წწ. შემთხვევითი აღმოჩენა, რომელიც ლიტერატურაში “ზორის განძის” სახელითაა შესული. ინვენტარი: ოქრო – თავგადასხვეული და თვლებით შემკული სამაჯურები; თვლებით შემკული “მტევნიანი” და სხივანა საყურეები; ყელსაბამები, გემიანი ბეჭდები, ღილაკები, ფირფიტები; ვერცხლი – თასები, სასმისები, სურები, კოვზები, ბალთები, ფირფიტები, ბეჭდები; ბრინჯაო – სურები, თასები, სხვადასხვა ტიპის ფიბულები (მათ შორის ორწილადი რკალისებური № 17. 178), ბეჭდები, ზარაკები, საკიდები, ბალთები, საყბურები; რკინა – საყბურები, ბეჭდები; მინა – ფლაკონები; თიხა – დოქები, ჯამები, თასები. ახ.წ. II ს. (“განძში” უფრო ძველი ნივთებიცაა – სხივანა საყურე, ბრინჯაოს ზოგიერთი ნივთი – ნ. ს.) [Придик 1914, ტაბ. VII, ინვ. № 17. 178].

36. ბორი. ბრინჯაოს ფიბულა. შემთხვევითი აღმოჩენა. კოლექციაში შედის: ოქრო – ყურმნისმტევნისებური საკიდი; მოწითალო ფერის ქვის მრავალწახნაგა მძივები; ვერცხლის პართული დრაქმები გოტარზისა (40-51 წწ.), 2 ცალი; ვერცხლის რომაული დენარები წარწერით – CFES[AR] AVC GERMANICUS, ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბადი, ვერცხლის 3 აზარფემა და სხვ. წვრილი ნივთები. ახ. წ. I ს. (1943 წ. შეიძინა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა) [აფაქიძე 1944, გვ. 441-448, სურ. 1].

37. შოშეთი (ონის რ-ნი). სამარხი № 13. ვერცხლის ფიბულა (სემ კოლ. № 5-993:33). გამოუქვეყნებელია.

I 1 b ვარიანტის კომპლექსებიდან მომდინარე ფიბულები დათარიღებულია ახ.წ. I საუკუნეებით (სტირფაზი, შოშეთი), II-II სს-ით (დირგეინი), V-VI სს-ით (სტირფაზი).

I 1 b ვარიანტის ფიბულებიც უმთავრესად სამხრეთ კავკასიის ჩრდილო ნაწილში არიან გავრცელებული.

I 2 a ვარიანტის ფიბულების რკალი რომბულგანივკვეთიანია, სადა. რკალის ერთ ბოლოზე ლურსმნისებური დაბოლოებაა, მეორეზე – ბუდე. ბუდე რკალის სიმეტრიულია, ნემსსაჭერი – ენისებური (ტაბ. 115).

I 2 a ვარიანტის ფიბულები (დაახლ. 7 ცალი) ცნობილია კომპლექსებიდან: სტირ-ფაზი (კატ. № 39, 2 ცალი), ჩხარი (კატ. № № 41, 42, 43, 44); სამარხებს გარეთ – მონასტერი (კატ. № 38), სოხთა (კატ. № 40).

38. მონასტერი (ცხინვალის რ-ნი). სამარხი № 11 (?). ბრინჯაოს ფიბულა. II-III სს. [Гаглоев 1980, გვ. 234, 238, ტაბ. XCIX5].

39. სტირფაზი. სამარხი № 29 (1964 წ.) და სამარხი № 57 (1974 წ.). ბრინჯაოს 2 ფიბულა. ანტიკური ხანა [Гаглоев 1976, გვ. 27, ტაბ. I16,17].

40. სოხთა (ჯავის რ-ნი). ბრინჯაოს ფიბულა. მონეტების (ოქტავიანე ავგუსტუსი, ოროდ I, ფრაატ IV, გოტარზე I) მიხედვით გვიანანტიკური ხანა. [Сланов 1980, გვ. 219, ტაბ. XCVI5].

41. ჩხარი (თერჯოლის რ-ნი). სამარხი № 4. ქვებით შემოსაზღვრული ორმოსამარხი. მიცვალებული ესვენა ნახევრადმოკრუნჩხული, მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთით. ბრინჯაოს ფიბულა რკინის ენით. ინვენტარი: ბრინჯაო – საყურე მტევნისებური შემსხვილებით, ენიანი აბზინდა, ზარაკი, რგოლი; რკინა – სატევიარი (2 ცალი), მახვილი; ვერცხლი – ბეჭედი სარდიონის ინტალიოთი, მონეტა (კესარიული), რვიანის ფორმის ფირფიტები; მძივები – გიშრის, სარდიონის, მინის, კირქვის; ქარვის თვალი. II-III სს. ინახება საქართველოს ხელოვნების სახ. მუზეუმში [ზრავგაძე 1997, გვ. 8-10, 28, 29, ტაბ. XIV4].

42. ჩხარი. სამარხი № 6, ორი მიცვალებულით. ვერცხლის ფიბულა ბრინჯაოს ნემსით. პირველი მიცვალებულის თანმხლები ინვენტარი: ვერცხლი – 2 ბეჭედი სარდიონისა და ქარვის თვალით; ოქრო – “მტევნიანი” საყურეები; ბრინჯაო – რგოლი, ფოთლისებური საკიდი, “გადაბმული” ქინძისთავები, 2 სამაჯური, თავგამსხვილებული რგოლი, თავგადახვეული სამაჯური, საკერებელი; მძივები – სარდიონის, კირქვის, მინის; II-III სს. ინახება საქართველოს ხელოვნების სახ. მუზეუმში [ზრავგაძე 1997, გვ. 10, 11, 28, 29, ტაბ. XVIII4].

43. ჩხარი. სამარხი № 11. მიცვალებული ესვენა ნახევრადმოკრუნჩხული, მარცხენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთით. ბრინჯაოს ფიბულა რკინის ენით. ინვენტარი: რკინა – დანა, აბზინდა (2 ცალი). II-III სს. ინახება საქართველოს ხელოვნების სახ. მუზეუმში [ზრავგაძე 1997, გვ. 13, 28, 29, ტაბ. XXII1].

44. ჩხარი. სამარხი № 12. მიცვალებული ესვენა მოკრუნჩხული, მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთით. ბრინჯაოს ფიბულა. ინვენტარი: ბრინჯაო – საყურე (2 ცალი); მძივები – მინის, კირქვის, სარდიონის, გიშრის; თიხა – დოქი. II-III სს. ინახება საქართველოს ხელოვნების სახ. მუზეუმში [ზრავგაძე 1997, გვ. 13, 28, 29, ტაბ. XXIII3].

I 2 a ვარიანტის კომპლექსებიდან მომდინარე ფიბულები დათარიღებულია ახ.წ. I საუკუნეებით და ისინიც სამხრეთ კავკასიის ჩრდილო ნაწილში არიან გავრცელებული.

I 2 b ვარიანტის ფიბულების რკალი რომბულგანივკეთიანია, თევზიფხური სახით შემკული. რკალის ერთ ბოლოზე ლურსმნისებური დაბოლოებაა, მეორეზე – ბუდე. ბუდე რკალის სიმეტრიულია, ნემსსაჭერი – ენისებური (ტაბ. 115).

I 2 b ვარიანტის ფიბულები (დაახლ. 8 ცალი) ცნობილია კომპლექსებიდან: შავსაყ-დარა (კატ. № 51), ძვერი (კატ. № 52); შემთხვევითი აღმოჩენები – შოშეთი (კატ. № 45), ბრილი (კატ. № № 46, 47, 48), ზახორი (კატ. № 49), ზემო ავჭალა (კატ. № 50).

45. შოშეთი. აღმოჩენილია 1950 წ. ზემო რაჭის ექსპედიციის მიერ. ბრინჯაოს ფიბულა. კოლექციაში შედის: ბრინჯაო – აბზინდა, ირმის 2 ქანდაკება (სემ კოლ. № 5-993). გამოუქვეყნებელი.

46. ბრილი. ბრინჯაოს ფიბულა. შემთხვევითი აღმოჩენა თხრილიდან (1960 წ.) (სემ კოლ. № 5-993:19). გამოუქვეყნებელი.

47. ბრილი. ბრინჯაოს ფიბულა. შემთხვევითი აღმოჩენა თხრილიდან (1960 წ.) (სემ კოლ. № 5-993:19). გამოუქვეყნებელი.

48. ბრილი. ბრინჯაოს ფიბულა. შემთხვევითი აღმოჩენა თხრილიდან (1960 წ.) (სემ კოლ. № 5-993:19). გამოუქვეყნებელი¹⁷⁸.

49. სოფ. ზახორი (ახალგორის რ-ნი). შემთხვევითი აღმოჩენა 1974 წ. ბრინჯაოს ფიბულა. კოლექციაში შედის: ბრინჯაო – ჭვირული ბალთა, ზარაკი; ვერცხლი – გემიანი ბეჭედი; პართული დრაქმა; მძივები – სარდიონის ქალცედონის, გიშრის, მინის. ახ. წ. III ს. (სემ კოლ. № 15-982:2) [ჯავახიშვილი 1987, გვ. 76, 77, ტაბ. X2].

50. ზემო ავჭალა (მცხეთის რ-ნი). 1923 წ. შემთხვევით აღმოჩენილი აკლდამა. ბრინჯაოს ფიბულა. სამარხეული ინვენტარი: ბრინჯაო – თვალბუდიანი ბეჭედი; რკინა – თვალბუდიანი ბეჭედი; მახვილი; ვერცხლი – გოტარზეს მონეტა, სამაჯური, ქამრის მოსართავეები, თასი; ოქრო – საყურე, თვალბუდიანი ბეჭედი; თიხა – ჭურჭელი. ახ. წ. I ს. (სემ კოლ. № 11-24:16) [მაკალათია 1928, გვ. 173].

51. შავსაყდარა (თეთრიწყაროს რ-ნი). შავსაყდარას I სამაროვანი. ქვის სამარხი № 4 (ინდივიდუალური. მიცვალებული მოხრილი). ბრინჯაოს ფიბულა. სამარხეული ინვენტარი: კერამიკა – სამტუჩა წითლად შერებილი დოქი, შავად გამომწვარი ჯამი; რკინის წვეტანა; ვერცხლის სასაფეთქლე; მძივები – სარდიონის, მინის. ძვ.წ. V-III სს. [Тушишвили, Амиранашвили, Маргишвили 1987, გვ. 26, ტაბ. XXVIII1; მარგაშვილი, ნარიმანიშვილი 2004, გვ. 77, ტაბ. CCIV12].

52. ძვერი (თერჯოლის რ-ნი). 1997 წ. შესწავლილ იქნა 5 ორმოსამარხი და 3 ქვევრსამარხი. № 4 ქვევრსამარხი. ვერცხლის ფიბულა ბრინჯაოს ნემსით. სამარხეული ინვენტარი: კერამიკა – დოქი; ვერცხლი – საყურე ხვიები, კონუსური საკერებელი, თვალბუდე; ბრინჯაო – ჯაჭვი, სამაჯური, სასაფეთქლე რგოლები; რკინის დანა; ძვლის საკიდი; მძივები – მინის, გიშრის, მთის ბროლის. II-III სს. [ბრავაძე 2003, გვ. 90, ტაბ. III7].

I 2 ხ ვარიანტის კომპლექსებიდან მომდინარე ფიბულები განეკუთვნება ძვ.წ. V-III სს-ს (შავსაყდარა) და ახ. წ. II-III სს-ს (ძვერი).

შავსაყდარას სამაროვანი ჯერჯერობით ამ ტიპის ფიბულების გავრცელების ყველაზე სამხრეთი პუნქტია.

I 3 ქვეტიპის ფიბულის რკალი გრეხილია. რკალის ერთ ბოლოზე ლურსმნისებური დაბოლოებაა, მეორეზე – ბუდე. ბუდე რკალის სიმეტრიულია, ნემსსაჭერი – ენისებური.

53. სანთა (წალკის რ-ნი). აღმოჩენილია სამაროვანზე. ბრინჯაოს ფიბულა. სველე № Ц3 317 (ინვენტარიზებული არაა). ძვ.წ. V-IV სს. [გაგოშიძე 1982, გვ. 100, ტაბ. V].

I 3 ქვეტიპის ფიბულა 1 ცალია ცნობილი სანთის სამაროვნიდან (კატ. № 53) და ძვ.წ. V-IV სს-ით თარიღდება.

I 4 ქვეტიპის ფიბულის რკალის ღერო რვაწახნაგაა, თევზიფხური სახით შემკული.

54. სოფ. სუქანანთუბანი (ქარელის რ-ნი). შემთხვევით აღმოჩენილი ორმოსამარხიდან. ბრინჯაოს ფიბულა. ნემსი რკინისა ყოფილა, მოტეხილია. სამარხის ინვენტარი: ბრინჯაო – ჭვირული ბალთა, საკიდები, ზარაკები, “საკინძები”, მავთულის ნატეხი, რგოლი; მძივები. II-III სს. (სემ კოლ. № 190-65:181-206) [ნემსაძე 1972, გვ. 27, ტაბ. I].

I 4 ქვეტიპის ფიბულა 1 ცალია ცნობილი სუქანანთუბნიდან (კატ. № 54) და ახ.წ. II-III სს-ს განეკუთვნება.

¹⁷⁸ კატალოგის № 46, 47, 48 ნომერი ფიბულები სემ-ის დავთარში გატარებულია ერთი - 19 ნომრით.

I 5 ქვეტიპის ფიბულები მძივისებურკალიანია. რკალის ერთ ბოლოზე მარყუჟისებური ხვეული აქვს საკიდისათვის ან ჩვეულებრივად შემსხვილებულია, მეორეზე – ბუდეა. ბუდე რკალის სიმეტრიულია, ნემსსაჭერი – ენისებური.

I 5 ქვეტიპის ფიბულები 2 ცალია ცნობილი, ორივე ოქროსი (კატ. № № 55, 56). აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარზე № 6 სამარხში და ძვ.წ. V-IV სს-ით თარიღდებიან.

55, 56. ვანი. სამარხი № 6 (1961 წ.). ოქროს 2 ფიბულა (11-974:22, 11-974:13). I ფიბულის რკალის ცენტრალური ნაწილი შემკულია სალტეებს შორის მოქცეული თითქოს მძივისებურად ასხმული ბურცოვებით (“მძივებით”), რომელთაგან შუა “მძივი” უფრო დიდია. II ფიბულის მთელი რკალი შემკულია სალტეებს შორის მოქცეული მძივისებურად ასხმული ბურცოვებით. ცენტრალური “მძივი” ყველაზე დიდია. რკალის იმ ბოლოზე, რომელზეც ნემსის მავთულია შემოხვეული, მირჩილულია მარყუჟი. მასზე პექტორალია ჩამოკიდებული. თანმხლები ინვენტარი: ოქრო – დიადემა, 9 საყურე, კისრის რკალი, 5 ყელსაბამი, 4 სამაჯური, 4 საბეჭდავი ბეჭედი, საკიდები, მილაკები, ზოდი, ომფალოსიანი ფიალა; ვერცხლი – დიადემის ფრაგმენტები, ჩამწა, ფიალა, სასმისი, სარწყული, მათარის ფრაგმენტები; მინა – ამფორისკი (3 ცალი), ოინოხოია, ალაბასტრონი; ადგილობრივი კერამიკის ფრაგმენტები. ძვ.წ. V-IV სს. [ფუთურიძე, ხოშტარია, ჭყონია 1972, გვ. 115, 117, სურ. 48, 52; ჭყონია 1981, გვ. 40, 41, 46, 109, სურ. 24, 36, კატ. № 49, 52; სულავა 1998, გვ. 48, 63, ტაბ. I3,4]

I 6 a ვარიანტის ფიბულა – ნახევარმთვარისებური, ბრტყელრკალიანი, სადა. რკალის ერთ მხარეზე შემსხვილებაა, მეორეზე – ბუდე. ნემსსაჭერი – პატარა.

I 6 a ვარიანტის ფიბულა (1 ცალი) ცნობილია კამუნთას (კატ. № 57) სამაროვნიდან.

57. კამუნთა. ბრინჯაოს ფიბულა. ერმიტაჟის კოლექცია [Уварова 1900, ტაბ. СХХIII1,12; Калитинский 1926, ტაბ. IV28; Muscarella 1965, ტაბ. 58, სურ. 528].

I 6 b ვარიანტის ფიბულის რკალი ნახევარმთვარისებრი და ბრტყელია. შემკულია სვასტიკებითა და მზისებრი წრეებით. რკალის ერთ მხარეზე შემსხვილებაა, მეორეზე – ბუდე. ნემსსაჭერი – პატარა.

I 6 b ვარიანტის ფიბულა 1 ცალია ცნობილი ალაგირიდან (კატ. № 58).

58. ალაგირი (თერის ოლქი). ბრინჯაოს ფიბულა [ОАК 1895, გვ. 33; Калитинский 1926, ტაბ. IV29 Muscarella 1965, ტაბ. 58, სურ. 529].

I 6 a, b ვარიანტის ფიბულებს ა. კალიტინსკი ძვ.წ. III ს-ით ათარიღებდა [Калитинский 1926, გვ. 61]. ო. მუსკარელა მათ ბერძნულ ბეოტიურ ფიბულებთან აკავშირებს და ძვ.წ. VIII-VII სს-ით ათარიღებს [Muscarella 1965, გვ. 69].

ჩვენს მიერ განხილული I 1-6 ვარიანტის¹⁷⁹ ფიბულებიდან იმ ფიბულების, რომლებიც ქრონოლოგიურად უფრო ძველია (კამარახევი, ციხია გორა, პატკნეთი, შავსაყდარა, სანთა, ვანი, კამუნთა, ალაგირი), რკალის შემსხვილებული ბოლო უფრო ბურთულისებურია ვიდრე ლურსმნისებური.

ამგვარად, I ტიპის ორწილადი რკალისებური ფიბულები არსებობენ ძვ.წ. V-IV სს-დან ახ.წ. I-III სს-ის ჩათვლით. ე.ი. მათი არსებობის ადრეული პერიოდი ერთწილადი რკალისებური ფიბულების არსებობის ბოლო ეტაპზე მოდის.

კავკასიაში I ტიპის ორწილადი რკალისებური ფიბულების გავრცელება ემთხვევა იმ სივრცეს, სადაც ერთწილადი რკალისებური ფიბულების წარმოება (სახელოსნოები) ივარაუდება. ესაა შიდა ქართლისა და რაჭა-იმერეთის ტერიტორია (ქვემო იმერეთის –

¹⁷⁹ Ббринჯაოს 16 ცალი ფიბულის ტიპოლოგიური ნიმუშების გარკვევა შეუძლებელია იხ.: Гаглоев 1976, ტაბ. I.

ვანის ჩათვლით). კავკასიაში აღმოჩენილი I ტიპის ორწილადი რკალისებური ფიბულების ანალოგები არსად გვხვდება. ისინი ნამდვილად ადგილობრივი მოვლენაა, რადგან გენეტიკურ კავშირს (შემკულობის სახე, რკალის მოყვანილობა) ერთწილად რკალისებურ ფიბულებთან ავლენენ, თუმცა შესაძლებელია კონსტრუქცია ურარტული ფიბულებისაგან ისესხეს.

I ტიპის ფიბულების მსგავსი ფიბულები ცნობილია ჩრდილო კავკასიის ძეგლებიდანაც [Уварова 1900, ტაბ. XCII1, CIV3, CXXII11,12; Калитинский 1926, ტაბ. IV26, 27, 28, 30; OAK 1895, გვ. 33].

II ტიპი – ე.წ. „მცირეაზიული“ ტიპების მსგავსი ანუ ურარტული ფიბულები (U)

საქართველოში აღმოჩენილი ორწილადი რკალისებური ფიბულების ერთი ნაწილის შესაძლებელ პროტოტიპად ბ. კუფტინი მიიჩნევდა მცირეაზიულ მოძრავნიან და ნახევარწრისებურ რკალიან ფიბულებს [Куфтин 1949a, გვ. 23], და სრულიად სამართლიანადაც. მათთვის, უპირველეს ყოვლისა, დამახასიათებელია: ა) **მოძრავი ნემსი**, რომელიც შემოხვეულია ფიბულის რკალის ერთ ბოლოზე, რომელიც თავის მხრივ, დასრულებულია ბურთულისებრი შემსხვილებით. ეს შემსხვილება ნემსის დახვეულ ბოლოს რკალიდან ჩამოცურებისაგან იცავს; ბ) **ნახევარწრისებური რკალი მრგვალგანივკვეთიანია** (თანაბრად ან მკვეთრად შემსხვილებული, სადა ან სხვადასხვაგვარად გაფორმებული) ან **ბრტყელი** (ნაჭდევი ორნამენტით სხვადასხვაგვარად შემკული); ზოგჯერ რკალს თავსა და ბოლოში შემსხვილებები აქვს. და ბოლოს, გ) **უბრალო ან ზოგჯერ „ხელის“ მაგვარი ნემსსაჭერი** (ანუ ნემსსაჭერი, რომელიც ხელის იმიტაციას წარმოადგენს) აქვს [Ögün 1979, გვ. 178; Caner 1983, გვ. 112, სურ. 3].

აღნიშნული ტიპოლოგიური ნიშნების მქონე ფიბულებს სპეციალურ ლიტერატურაში ურარტულს უწოდებენ, მათ წარმომავლობას კი ფრიგიულ ფიბულებს უკავშირებენ. თუმცა, აღნიშნავენ ფრიგიულისაგან ურარტული ფიბულების მთავარ კონსტრუქციულ განსხვავებასაც: შარნირიანი ნემსი და უბრალო ნემსსაჭერი, რომელიც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგჯერ ხელის იმიტაციას წარმოადგენს. ურარტულ ფიბულებში მკვლევარები განასხვავებენ ეგზემპლარებს, რომლებიც მისდევენ ფრიგიულ, ანატოლიურ და საკუთრივ ორიგინალურ ურარტულ ნიმუშებს. ისინი არაერთი მეცნიერის კვლევის საგანი ყოფილა [Blinkenberg 1926, გვ. 245, 247; Пиотровский 1950, გვ. 42; Stronach 1959, გვ. 181; Muscarella 1965, გვ. 233; 1967; Boehmer 1972, გვ. 46; Ögün 1979]. თვლიან, რომ მათი გამოჩენა ურარტუში ძვ.წ. VIII ს-ის ბოლო მეოთხედზე მოდის [Ögün 1979, გვ. 178].

საქართველოში გავრცელებული ორწილადი რკალისებური ფიბულების საერთო ჯგუფიდან (დაახლ. 100 ცალი) გამოყვავით ის ჯგუფი (დაახლ. 10 ცალი), რომელთაც პირდაპირი თუ ტიპოლოგიური პარალელები ურარტულ სამყაროში ეძებნება.¹⁸⁰

აღნიშნული სახეობის ფიბულები, რომლებიც მხოლოდ ბრინჯაოსია, ორი ქვეტიპითაა წარმოდგენილი: U I – მრგვალგანივკვეთიანი და U II – ბრტყელგანივკვეთიანი რკალით. ორივე ქვეტიპი იყოფა ვარიანტებად (U I 1-3, U II 1-4).

¹⁸⁰ დანარჩენ კავკასიაში მოპოვებული ურარტული ტიპის ფიბულები პარალელების სახით მოგვყავს.

U I _ მრგვალგანივკვეთიანი რკალით (ტაბ. 64)

U I 1 ქვეტიპი. რკალი თანაბრად შემსხვილებული, მრგვალგანივკვეთიანი, სადა. რკალის ერთი ბოლო მთავრდება ბურთულისებური შემსხვილებებით, ხოლო მეორე – მარტივი, ენისებური ფორმის ნემსსაჭერიანი ბუდით. ნემსი არა აქვს.

1. დარჩიეთი (გურჯაანის რ-ნი). ბრინჯაოს ფიბულა. შემთხვევითი აღმოჩენა. სიგრძე 3,5 სმ, სიმაღლე 3,2 სმ. კოლექციაში შედის: ბრინჯაო – სამაჯური, ე.წ. სკვითური ტიპის ისრისწვერები, შუბისპირის ფრაგმენტი; ოქროს საყურე; მძივები. სემ კოლ. № 19-62:3. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. – VI ს. [სულავა 2001a, გვ. 56, ტაბ. II].

დარჩიეთში აღმოჩენილი ეს ნივთი შემთხვევითი მონაპოვარია და სამარხის ინვენტარი უნდა იყოს. სამარხეულ ინვენტარში შემავალ სკვითურ ისრისწვერებზე დაყრდნობით, კოლექცია და მათ შორის ფიბულაც ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრითა და VI ს-ით უნდა დათარიღდეს [იხ. ფირცხალავა 1978, გვ. 41]. დარჩიეთის ფიბულას პირდაპირ შეესაბამება მკვლევარ ბ. იოლუნის კლასიფიკაციის U XII/1 ტიპი [Ögün 1979, გვ. 179, სურ. 1]. ამ ტიპის მაგალითები გორდიონის გარდა, ბოლაზქოშიცაა. არის ოშაკანის № 25 სამარხშიც [Есаян, Калантарян 1988, გვ. 69-76, ტაბ. LIV24]. ცნობილია ნორაშენის სიმაგრიდან [Есаян 1976, გვ. 67, ტაბ. 6315, 17; Карапетян 2003, გვ. 94, ტაბ. 511].

U I 2 ქვეტიპი. რკალი თანაბრად შემსხვილებულია, მრგვალგანივკვეთიანი, სადა. რკალზე შარნირის მხარეს ირგვლივი შემსხვილებებით. რკალის ერთი ბოლო მთავრდება ბურთულისებურად, ხოლო მეორე – ენისებური, დაბალი ფორმის ნემსსაჭერით. ნემსის ბოლო შემოხვეულია რკალზე არსებულ ირგვლივ შემსხვილებასა და ბურთულისებურ ბოლოს შორის. აღმოჩენილია შემთხვევით აწყურში და ძვ.წ. VII-VI სს-ით უნდა დათარიღდეს [სულავა 2001, გვ. 56].

2. აწყური (ახალციხის რ-ნი). ბრინჯაოს ფიბულა. შემთხვევითი აღმოჩენა. სიგრძე 3,5 სმ, სიმაღლე 2,5 სმ. კოლექციაში შედის: ბრინჯაო – ფიბულა (იხ. კატ. № 6), სხვადასხვა ტიპის აბზინდები, ქინძისთავები, ზარაკები. სემ კოლ. № 56-14:6. ძვ.წ. VII-VI სს. [არქეოლოგიური მასალების კატალოგი II, 1955, გვ. 37, ტაბ. XVIII; სულავა 2001a, გვ. 56, ტაბ. I2].

U I 2 ქვეტიპი. რკალი თანაბრად შემსხვილებული, მრგვალგანივკვეთიანი, ოთხ-ოთხი რელიეფური კოპით. რკალზე შარნირის მხარეს ირგვლივი შემსხვილებებით. რკალის ერთ ბოლოზე ლურსმნისებური შემსხვილებაა, ხოლო მეორეზე – ენისებური, ნემსსაჭერი მაღალია. ნემსის ბოლო შემოხვეულია რკალზე არსებულ ირგვლივ შემსხვილებასა და ლურსმნისებურ შემსხვილებას შორის.

3. შორაპნის რ-ნი. ბრინჯაოს ფიბულა. შემთხვევითი აღმოჩენა. სიგრძე 2,8 სმ, სიმაღლე 2 სმ. სემ კოლ. № 16-32:17 [სულავა 2001a, გვ. 56, ტაბ. I3].

პირდაპირი პარალელები აწყურისა და შორაპნის ფიბულებისათვის ვერ მოვიძიეთ, მაგრამ ტიპოლოგიური ნიშნებით მათი კავშირი ურარტულ ფიბულებთან ეჭვს არ იწვევს.

U I 3 ქვეტიპი. მრგვალგანივკვეთიანი რკალი მკვეთრადაა შემსხვილებული ცენტრალური ნაწილისაკენ. რკალის ორივე ბოლო შემკულია სამ-სამი ირგვლივი ბურცობით. ნემსი და ბუდე აკლია. მუხურჩის სამაროვანი, სადაც ეს ფობულაა აღმოჩენილი, ზოგადად ძვ.წ. VIII-VI სს-ით თარიღდება [Гогодзе 1984, გვ. 29].

4. მუხურჩა. ბრინჯაოს ფიბულა. სიგრძე 2,5 სმ, სიმაღლე 2,5 სმ. აღმოჩენილია მუხურჩის სამაროვანზე 1974 წ. (კვ. DC. 42. S - ნაწილი) სემ კოლ. № 81-976:994. ძვ.წ. VIII-VI სს. [Гогодзе 1984, გვ. 29; სულავა 2001a, გვ. 57, ტაბ. 14; დავლიანიძე 2003-2004, გვ. 24, ტაბ. I11].

U I 3 ქვეტიპი. მრგვალგანივკვეთიანი რკალი მკვეთრადაა შემსხვილებული ცენტრალური ნაწილისაკენ. რკალის ცალი ბოლო ლურსმნისებურადაა შემსხვილებული, მეორე ბოლოზე – ენისებური, დაბალი ნემსსაჭერია. რკალზე, ბუდისა და ლურსმნისებური შემსხვილების წინ ირგვლივი სამ-სამი ბურცობია. ნემსი აკლია.

5. სამთავრო. ბრინჯაოს ფიბულა. ორმოსამარხი № 1 (1939 წ.). სამარხეული ინვენტარი: რკინის დანები; კერამიკის ფრაგმენტები; სარდიონისა და მინის მძივები. სემ კოლ. № 12-54:950. ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ. – VI ს. [აბრამიშვილი 1957, გვ. 126, ტაბ. I32; სულავა 2001a, გვ. 57, ტაბ. I5].

მუხურჩისა და სამთავროს ტიპის ანალოგიური ფიბულები ცნობილია სომხეთიდან: ლორი-ბერდის სამაროვნის № 2 სამარხიდან [Деведжян 1981, გვ. 58, 63, 74, 75, ტაბ. XXV9], დილიქანიდან [Каталог . . . 1969, გვ. 121, 155, ტაბ. XXXIX10], კარმირ-ბლურიდან [Пиотровский 1952, გვ. 36, 39, სურ. 181; Каталог . . . 1969, გვ. 117, ტაბ. XXXVI13-15], ოშაკანის № 25, 96, 91 სამარხებიდან [Есаян, Калантарян 1988, გვ. 76, 80, 81, 92, ტაბ. LIV25, ХСIII5, LXIX3], ნორაშენიდან [Карапетян 2003, ტაბ. 513]. ისინი რკინის ხანის ძეგლებზე გვხვდება და ძვ.წ. VII-VI სს-ით თარიღდება [Деведжян 1981, გვ. 74, 75].

მსგავსი ფიბულა, ასევე სომხეთიდან (სოფ. შორუ, ერევანთან), დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში:

6. შორუ (სომხეთი, ერევანთან). ბრინჯაოს ფიბულა. სემ-ის არქეოლოგიური განყოფილების ძირითადი ფონდი № 2407 [სულავა 2001a, გვ. 58, ტაბ. II7].

ამავე ტიპისაა რკალის ცენტრალურ ნაწილში მკვეთრად ან ქედისებურად შემსხვილებული ოქროსა და ვერცხლის ფიბულები “აღმოსავლეთ თურქეთიდან” [Urartu 1991, კატ. 54, 55]. ძვ.წ. VII ს-ითაა დათარიღებული ფიბულა ჰასანლუდან [Muscarella 1965, გვ. 233-240, ტაბ. 57, ფიგ. 2]. ამგვარი ფიბულები ბ. იოლუნს ურარტული ფიბულების U XII/11 ტიპში აქვს გაერთიანებული და პარალელები მოაქვს გორდიონის (ძვ.წ. VIII ს-ის ბოლო – VII ს.) და S 1 (pre და post კიმერიული ხანა) სამაროვნებიდან. ის აღნიშნავს, რომ ამ ტიპის მსგავსება ფრიგიულ ფიბულებთან პირველად ო. მუსკარელამ დაადგინა [Öğün 1979, გვ. 184, სურ. 8; Muscarella 1967, გვ. 69].

U I 3 ქვეტიპი. თანაბრად შემსხვილებული მრგვალგანივკვეთიანი რკალი დაფარულია რელიეფური წნულით. რკალის ცენტრში ვერძის თავის სკულპტურული გამოსახულებაა. რკალის ცალი ბოლო ბურთულისებურადაა (მასზე სიგრძივი ნაჭდევებია) შემსხვილებული, მეორე ბოლოზე – ენისებური ნემსსაჭერია, რომელზეც დატანილი ნაჭდევები ხელის იმიტაციას ქმნიან. ბუდისა და ბურთულისებური შემსხვილების წინ ირგვლივი ღრმა ღარებია. ნემსის ერთი ბოლო შემოხვეულია ირგვლივ ღარებსა და ბურთულისებურ შემსხვილებას შორის.

7. სამაჩაბლო. ბრინჯაოს ფიბულა. ცხინვალის მუზეუმი. ინვ. № 1136/946 [Куптин 1949a, გვ. 23, ტაბ. 14, სურ. 22; სულავა 2001a, გვ. 57, ტაბ. 16].

ეს ფიბულა, ბ. კუფტინის შენიშვნით, აგრძელებს ბრინჯაოს ხანის ერთწილადი რკალისებური ფიბულების ადგილობრივი მხატვრული გაფორმების ტრადიციებს [Куптин 1949, გვ. 23]. ამგვარად შემკული რკალი – რელიეფური წნული ორნამენტი, ვერძის სკულპტურული გამოსახულება – მხოლოდ კავკასიის ერთწილადი რკალისებური ფიბულებისთვისაა დამახასიათებელი [Техов 1981, ტაბ. 804, 10118, 1075, 1152; Chantre 1886, ტაბ. XXII4].

U II – ბრტყელგანიკვეთიანი რკალით (ტაბ. 65)

U II 1 ქვეტიპი. რკალის ბრტყელი და განიერი ზედაპირი შემკულია ორ სიგრძივ სარტყელში მოქცეული ჯვარედინი ნაჭდევებით, ბუდისა და სახსრისაკენ – ასეთივე განივი თითო სარტყლით, შემდეგ კი ორ-ორი ირიბი ნაჭდევით. რკალის ცალი ბოლო შემსხვილებულია ნემსის დასამაგრებლად, ხოლო მეორე ბოლოზე ბუდეა, რომელსაც სიგრძივი პარალელური ნაჭდევები აქვს (ხელის იმიტაცია). ნემსის ფრაგმენტი თან ახლავს.

8. სამთავრო. ბრინჯაოს ფიბულა. შემთხვევითი აღმოჩენა. სიგრძე 4,5 სმ, სიმაღლე 2,7 სმ. სემ კოლ. № 12-54:8753 [სულავა 2001a, გვ. 57, ტაბ. III].

ამ ფიბულისათვის პირდაპირი ანალოგია ვერ მოვიძიეთ, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ტიპოლოგიურად ის დაკავშირებულია იმ ბრტყელრკალიან ფიბულებთან, რომლებსაც ქვემოთ განვიხილავთ. ესენია (კატ. 9 - 11):

U II 2 ქვეტიპი. რკალი ბრტყელია, მართკუთხად და სამკუთხად დაკბილული კიდეებით. რკალის განიერი ზედაპირი შემკულია გეომეტრიული სახეებით, რომლებიც შექმნილია ნაჭდევი ხაზებითა და წერტილებით. რკალის ცალი ბოლო შემსხვილებულია ნემსის დასამაგრებლად, ხოლო მეორე ბოლოზე განიერი ბუდეა ენისებური ნემსსაჭერით. ბუდე რკალისაგან გამოყოფილია სამი ირგვლივი შემსხვილებით.

9. დვანის სამაროვანი (ქარელის რ-ნი, მდ. ფრონეს ხეობა, ადგილი “სოლოფერდა”). ბრინჯაოს ფიბულა. ორმოსამარხი № 5. სამარხეული ინვენტარი: რკინის მასრაგახსნილი შუბისპირი და მოხრილი დანა ძვლის ვადით; თავგახვრეტელი სალესი ქვა. ძვ.წ. VII-VI სს. [მაკალათია 1948, გვ. 23-26, 40-46, სურ. 6, 7, ტაბ. IV; Макалатия 1949, გვ. 229, 236, სურ. 7; სულავა 2001a, გვ. 57, ტაბ. II2].

ფიბულა აღმოჩენილია ძვ.წ. VII-VI სს-ით დათარიღებული დვანის სამაროვნის № 5 ორმოსამარხში [მაკალათია 1948, გვ. 23-26, 40-46, სურ. 6, 7, ტაბ. IV; Макалатия 1949, გვ. 229, 236, სურ. 7]. ფიბულას ორმოსამარხში სხვა ნივთებთან ერთად თან ახლდა რკინის შუბისპირი, რომლის აქემენიდური ხანით დათარიღებული ანალოგები ცნობილია ბეშთაშენიდან [Куптин 1941, გვ. 47, ტაბ. XVI]. ხოლო იმავე სამარხში გამოვლენილი რკინის მოხრილი დიდი ზომის დანები ძვლის ვადის შემკულობის მიხედვით პარალელურებს პოულობენ თლიას ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრითა და VI ს-ით დათარიღებულ სამარხებში აღმოჩენილ დანებთან [Техов 1985, ქრონ. ტაბ.].

U II 2 ქვეტიპის (ოჟორა) ფიბულა ანალოგიურია დვანის ფიბულისა, ოღონდ მას ნემსი რკინისა აქვს.

10. ოჟორა (ზნაურის რ-ნი, ადგილი ზემოლისა). ბრინჯაოს ფიბულა. ორმოსამარხი № 14. სამარხეული ინვენტარი: ბრინჯაოს პინცეტი; რკინის სატევრისპირი, შუბისპირი, ხიშტის მსგავსი იარაღი; სარდიონის მძივი; თიხის სამი ჭურჭელი. ძვ.წ. VII ს. [ჯაფარიძე 1957, გვ. 202, სურ. 7; სულავა 2001ა, გვ. 57, 58, ტაბ. II3].

ფიბულა აღმოჩენილია ძვ.წ. VII ს-ით დათარიღებულ № 14 ორმოსამარხში [ჯაფარიძე 1957, გვ. 202, სურ. 7]. დვანისა და ოჟორას ფიბულების ანალოგიური ნიმუშები აღმოჩენილია კარმირ-ბლურში [Пиотровский 1950, გვ. 41, სურ. 33; 1952, გვ. 36, 39, სურ. 182], არმავირში [Мартиросян 1974, გვ. 150, სურ. 94], შეითანდალში [Morgan 1889, გვ. 117, 118, სურ. 86].

დვანის ფიბულა მოჰყავს ანალოგად ბ. იოლუნს თავის ნაშრომში “ურარტული ფიბულები”, U XII/14 ტიპისათვის [Öğün 1979, გვ. 186, სურ. 11]. მისი აზრით, ეს ტიპი ერთი შეხედვით არანაირ კავშირს არ ამჟღავნებს ფრიგიულ ფიბულებთან, მაგრამ ვინც დაწვრილებით სწავლობს ამ ტიპის ფიბულებს, შეამჩნევს, რომ ნაქდევები, რომლებიც ურარტული ფიბულების რკალის ორივე კიდეზეა დატანილი, ფრიგიული ფიბულების XII/14 ტიპს შეესაბამება. ოღონდ, ურარტული ეგზემპლარების რკალი ჭრილში მართკუთხაა. რკალზე ბრტყელი ზურგის შუაში, მათ ვოლუტის მსგავსი შემკულობა და რომბული ფორმის ორნამენტი აქვთ. რკალის ბოლოები შემსხვილებებითაა შემკული. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ ფიბულების ეს ტიპი ფრიგიული ფორმებიდანაა გადმოღებული, ისეა “ურარტიზებული”, რომ მისი წარმოშობა ძნელად შესაცნობიც კია [Öğün 1979, გვ. 186]. ამ ტიპის ფიბულები ცნობილია ნორაშენიდან და კარჩახპირიდან [Карапетян 2003, გვ. 94, ტაბ. 512, 10].

U II 3 ქვეტიპი. ფიბულის რკალი ბრტყელია, კიდეები მართკუთხედისებურად დაკბილული. რკალის განიერი ზედაპირი შემკულია ჯვარედინა ნაქდევებით, რკალებითა და წერტილებით. რკალის ცალი ბოლო შემსხვილებულია, ხოლო მეორე, ენისებური ნემსსაჭერიანი განიერი ბუდით ბოლოვდება.

11. ღრმახევისთავი (დმანისის რ-ნი, მდ. მამავერას მარცხენა ნაპირი). ბრინჯაოს ფიბულა. ქვის სამარხი № 24. სამარხეული ინვენტარი: ბრინჯაოს 4 ცალი სამაჯური; რკინის მთლიანადსხმული სატევარი; კერამიკა. ძვ.წ. VII ს. [აბრამიშვილი, გიგუაშვილი, კახიანი 1980, გვ. 21, 122, 123, ნახ. 105, ტაბ. XIV193; სულავა 2001ა, გვ. 58, ტაბ. II4].

12. განთიადი. ქვის სამარხი № 164 (მამაკაცის). ბრინჯაოს ფიბულა. სამარხეული ინვენტარი: ბრინჯაო – სკვითური ისრისპირი, საკისრე რკალი, პინცეტი, პატარა ღერო, შუბისპირი; რკინის ფიბულა (როგორი? – ნ. ს.); თიხის სამი ჭურჭელი. ძვ.წ. VII-VI სს-ის მიჯნა [Кахиани, Глигвашвили, Дзnelადзе, Каландадзе, Цквитиანიძე 1991, გვ. 53; Georgien 2001, გვ. 395, კატ. 349].

13. ლორე (სომხეთი). ბრინჯაოს ფიბულა [სულავა 2001ა, გვ. 58, ტაბ. II5].

14. კარმირ-ბლური (სომხეთი). ბრინჯაოს ფიბულა [Пиотровский 1950, გვ. 41, სურ. 33; Пиотровский 1952, გვ. 36, 39, სურ. 182].

15. არმავირი (სომხეთი). ბრინჯაოს ფიბულა [Мартиросян 1974, გვ. 150, სურ. 94].

16. შეითან-დალი (სომხეთი). ბრინჯაოს ფიბულა [Morgan 1889, გვ. 117, 118, სურ. 86].

დრმახევისთავის ანალოგიური ფიბულა აღმოჩენილია მუსი-იერში [Morgan 1889, გვ. 117, სურ. 89], აზერბაიჯანში პარადიზის სამაროვნის ძვ.წ. IX-VIII სს-ით დათარიღებულ № 4 ქვის სამარხში [Карахмедова 1994, გვ. 94, ტაბ. I17]. ამავე ტიპის, ოღონდ ზურგდაფანჯრული ფიბულა ლორედან (სომხეთი), დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (არქეოლოგიური განყოფილების ძირითადი ფონდი № 2407. კატ. 13). ამ ქვეტიპის ფიბულები ძვ.წ. VII-VI სს-ით უნდა დათარიღდეს.

U II 4 ქვეტიპი. ფიბულის რკალი ნახევარმთვარისებური და ბრტყელია, სადაა. რკალის ერთ მხარეზე შემსხვილებაა, მეორეზე - „ხელის“ ფორმის ბუდე.

17. კამუნთა. ბრინჯაოს ფიბულა. ერმიტაჟის კოლექცია [Калитинский 1926, ტაბ. IV30; Muskarella 1965, ტაბ. 58, სურ. 530].

როგორც განხილული მასალიდან ჩანს, ურარტული, თუ ურარტული ტიპის ორწილადი რკალისებური ფიბულები ჯერჯერობით უფრო მეტად აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეა აღმოჩენილი (გამონაკლისია შორაპნისა და მუხურჩის ფიბულები). როგორც ვნახეთ, ისინი ძვ.წ. VII-VI სს-ით, უფრო კონკრეტულად კი ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრითა და VI ს-ით თარიღდება. ეს ის ხანაა, როდესაც კავკასიის ტერიტორიაზე უკვე ადგილობრივ იწარმოება ფიბულები (რა თქმა უნდა, მხედველობაში გვაქვს ერთწილადი რკალისებური ნიმუშები) და როდესაც ფიბულათა წარმოების რამდენიმე ადგილობრივი სახელოსნო ცენტრიც კი შეიძლება ვივარაუდოთ (აფხაზეთი, რაჭა, შიდა ქართლი, ბორჯომის ხეობა). საქართველოში და მთელ კავკასიაში აღმოჩენილ ამ პერიოდის ფიბულებს უკვე აქვთ როგორც ტიპოლოგიური ნიუანსები, ისე გარკვეულად ჩამოყალიბებული სახე, რითაც ისინი განსხვავდებიან სხვა ქვეყნების მასალისაგან.

ურარტული ფიბულების რამდენიმე ეგზემპლარი ჩრდ. კავკასიის მასალებიდანაცაა ცნობილი¹⁸¹ ბუნებრივია, ისინი იქ სამხრეთ კავკასიის გავლით მოხვდა (კატ. 17).

ამგვარად, ურარტული ფიბულების ჯგუფის გამოყოფით დადასტურდა კიდევ ერთი რეგიონი (ეგეოსურ სამყაროსა და სამხრეთ ევროპის გარდა), საიდანაც კავკასიაში იმპორტული ფიბულები შემოდის.

კავკასიაში გავრცელებული ორწილადი რკალისებური ფიბულების ჯგუფიდან ურარტული ტიპის ფიბულების გამოყოფას და მათ სწორ ტიპოლოგიურ განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ისინი ზუსტ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში თავსდებათ და ამით ქრონოლოგიის საკითხების დაზუსტებაში გვეხმარებიან.

¹⁸¹ Калитинский 1926, ტაბ. IV25, 27 – რადგან ამ ნივთებს მხოლოდ ჩანახატის მიხედვით ვიცნობთ, ამიტომ გავვიჭირდა მათი კონკრეტულად I ან II ტიპისათვის მიკუთვნება.

დასკვნები

ამრიგად, ისტორიული ქრონოლოგიისათვის ფიბულების როლის წარმოსაჩენად ჩატარებული სამუშაოების შედეგად მივიღეთ შემდეგ დასკვნებამდე:

1. მართალია, კავკასიის ფიბულების შესწავლა XIX ს-ის მეორე ნახევრიდან დაიწყო, მაგრამ აქამდე არ გვქონდა ნაშრომი, სადაც ზედმიწევნით აისახებოდა კავკასიის მთელი მასალა. მიუხედავად იმისა, რომ კავკასიაც განეკუთვნება “ფიბულათა მატარებელ ქვეყანათა” რიცხვს, ის მაინც თეთრ ლაქად რჩებოდა იმ ქვეყნების რუკაზე (წინა აზია, მახლობელი აღმოსავლეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, საბერძნეთი, საბერძნეთის კუნძულები, ცენტრალური ბალკანეთი, სამხრეთ გერმანია, შვეიცარია, ქვემო ავსტრია, ქვემო საქსონია, მორავია, იტალია, ესპანეთი), რომელთა ფიბულების შესახებ არსებობს ფუნდამენტური გამოკვლევები; ხოლო დამოკიდებულება კავკასიის ფიბულების ტიპოლოგიის, ქრონოლოგიისა და გენეზისის პრობლემისადმი არ ატარებდა საფუძვლიან ხასიათს და ხშირად მხოლოდ ცალკეული საკითხების (მაგ. თლიას სამაროვნის ქრონოლოგია) წინ წამოწევას ემსახურებოდა.

2. კავკასიის ერთწილადი რკალისებური ფიბულების აღმოჩენების სუმარულად წარმოდგენით, მივიღეთ კავკასიაში არსებული სიტუაციის სურათი. გაირკვა, რომ ისევე, როგორც მაგალითად, საბერძნეთში ან რომელიმე ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც ფიბულებია გავრცელებული, კავკასიაშიც ფიბულები აღმოჩენილია **სამაროვნებზე** (ცენტრალური კოლხეთის სამაროვნები – ურეკი, ნიგვზიანი, ერგეტა, დღვაბა, პალური, მუხურჩა; სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთის სამაროვნები – ფიჭვნარი, წონიარისი; ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის სამაროვნები – ყულანურხვა, სოხუმის მთა, გუადიხუ, წითელი შუქურა, იაშთხვა, ჯანტუხი; შიდა კოლხეთის სამაროვნები – ვანი, გორაძირი; მთიანი კოლხეთის სამაროვნები – გონა, ბრილი, ლარილარი; ზემო ქართლის (მესხეთის) სამაროვნები – მზეთამზე, ჩითახევი; შიდა ქართლის სამაროვნები – თლია, ნაცარგორა, სამთავრო, თრელი, დილომი; ქვემო ქართლის სამაროვნები – მარალინ-დერესი, განთიადი; კახეთის სამაროვნები – თეთრიწყლები; ჩრდილოეთ კავკასიის სამაროვნები – ყოზანი, ზემო რუთხა, ნალჩიკი, ლუგოვოი, გიჟგიდი, ნიკიტინის ველი, ვოზდვიჟენსკოე, ვედენო, ზაიუკოვო, ჩეგემი, კამუნთა, მინაგა და მოზდოკი, ფასკაუ, არხონი, კამენომოსტსკი, ბაქსანი, მინერალური წყლები, კისლოვოდსკი, კიზილ-კალა, ტალიკი, ვაკო-ჟილე, პანტელეიმონოვსკოე, შაროი, სერჟენ-იურტი, ისტი-სუ, კლინ-იარსკი, კიჩ-მალკა, ტებერდა, დომბაი, ოტრადნაია, ბაიბარისი, ილიჩი, ცენტეროი, ურუპა; სომხეთი – მაკარაშენი, ერებუნი, ოშაკანი; აზერბაიჯანი – კალაკენტი, პარადიზი); **განძებში** (ოჯოლის, ჩაბარუხის, ფასანაურის, ყაზბეგის განძები); **სამლოცველოებზე** (გორაძირი, არაშენდა); **ნასახლარებზე** (სერჟენ-იურტი, რგანი). ფიბულები სულ ცნობილია 152 ძეგლიდან. მათგან, ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის სამაროვნებიდან ცნობილია 115 ფიბულა [Трапш 1969; 1970; Шамра 1984; სულავა 2004, გვ. 92, რუკა 7], ცენტრალური კოლხეთის სამაროვნებიდან – 51 [მიქელაძე 1985; სულავა 2004, გვ. 92, რუკა 7], ბრილის სამაროვნიდან – 85, მზეთამზე სამაროვნიდან – დაახლ. 100 ცალი. კავკასიაში ყველაზე მეტი ფიბულა ყოზანისა და თლიას სამაროვანზეა აღმოჩენილი. ისინი ყოზანში დაახლ. 180 ცალია [ერმიტაჟის კოლ. 1731, კოლ. 1360, სემ კოლ. 1-02:34-55], თლიაში – 250 (203 ცალი ბრინჯაოსია, 47 – რკინის) [Техов 1980; 1981; 1985; 2002]. ჩრდილო კავკასიის სხვა ძეგლებიდან ყველაზე მეტი ფიბულა (12 ცალი) მოპოვებულია ზემო რუთხას სამაროვან-

ზე [Уварова 1900; Крупнов 1960; Motzenbäcker 1996]. სხვა დანარჩენი 32 პუნქტიდან ფიბულათა რაოდენობა ერთეულებით განისაზღვრება.

ფიბულების შემცველი სამაროვნები, რომლებიც სამხრეთ კავკასიის დასავლეთ ნაწილში (კოლხეთში) დაფიქსირდა, როგორც ჩანს, ეკუთვნის იმ მოსახლეობას, რომელთაც ნაკლებად სჭირდებოდათ ფიბულები. აღნიშნული ძეგლების სიხშირის მიუხედავად, მათში აღმოჩენილი ფიბულების რაოდენობა გაცილებით ნაკლებია ბრილის, ყობანის, თლიას, მზეთამზის სამაროვნების ფიბულათა რაოდენობაზე. ეს ფაქტი შეიძლება აიხსნას როგორც განსხვავებული კლიმატური პირობებით, ისე განსხვავებული სამეურნეო საქმიანობითა და ცხოვრების წესით.

3. სამთავროსა (როგორც კავკასიაში უძველესი ფიბულიანი კომპლექსის შემცველი) და **თლიას** სამაროვნის (როგორც სამხრეთ კავკასიაში ფიბულებიანი კომპლექსების ყველაზე დიდი რაოდენობის შემცველი) ფიბულების ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიურ კვლევაზე დამყარებული სამარხეული კომპლექსების დათარიღებისას გაირკვა, რომ შედარებით ქრონოლოგიაზე დაყრდნობით (კვლევის საწყის ეტაპზე), როგორც სამთავროს, ისე თლიას სამაროვანზე, ფიბულათა უძველესი ტიპები დაბალრკალიანია და ოდნავ ასიმეტრიულრკალიანი (შესაბამისად I და II ტიპი). გაირკვა, რომ ორივე სამაროვანზე მომდევნო III ტიპი მაღალრკალიანი ფიბულებია. რადგან სამთავროს სამაროვანზე მხოლოდ 9 ფიბულაა აღმოჩენილი, ხოლო თლიას სამაროვანზე 250 ცალი და თანაც კავკასიაში გავრცელებული ფიბულების ტიპების უმრავლესობაა იქ თავმოყრილი, ამიტომ აშკარა გახდა, რომ თლიას სამაროვნის ფიბულების ტიპოლოგია შეიძლებოდა საფუძვლად დაედებოდა კავკასიის ფიბულების ტიპოლოგიასაც და ქრონოლოგიასაც.

